

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეყნებო დანახვებზე-საარქივო
სამმართველო**

**SUB-DEPARTMENT OF AJARA AUTONOMOUS REPUBLIC
GOVERNMENT – ARCHIVES ADMINISTRATION**

ISSN 2298-0776

**სამხრეთ-დასავლეთი საქართველო
(ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია)**

**საერთაშორისო სამეცნიერო
კონფერენციის მასალები**

V

**SOUTH-WEST GEORGIA
(history, archaeology, ethnology)
INTERNATIONAL SCIENTIFIC
CONFERENCE MATERIALS**



**გამომცემლობა „ენიპერსალი“
თბილისი – 2015 – Tbilisi**

სარედაქციო საბჭო:

მაია ივანიშვილი – აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსი, **სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე; თამაზ ფუტყარაძე** – საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების უფროსი, **რედაქტორი; თენგიზ ცინცილაძე** – აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე, **თენგიზ სალუქვაძე** – აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე, **ელგუჯა ჩაგანავა** – აპარატის უფროსი, **ელგუჯა გოგიბერიძე** – ცენტრალური სახელმწიფო არქივის სამსახურის უფროსი; **მაია რურუა** – დაცვის, აღრიცხვის და სამეცნიერო – საცნობარო განყოფილების უფროსი, **ფრიდონ ქარდავა** – საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების მთავარი სპეციალისტი; **ნატო ქიქავა** – საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობისა და დოკუმენტების პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების მთავარი სპეციალისტი; **ინგა ელიავა** – ქუთაისის ცენტრალური არქივის ესფ დოკუმენტების დაცვის, უზრუნველყოფის, აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილების მთავარი სპეციალისტი, **ალა სერდიუკი** – ბერდიანსკის სახელმწიფო ფილოლოგიური უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და სოციალური კომუნიკაციების ინსტიტუტის დირექტორი, **ალა კონდრაშევა** – ჩრდილო კავკასიის ფედერალური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, **ვლადიმერ წვერავა** – აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის არქეოლოგია-ისტორიის დეპარტამენტის პროფესორი, **ანტონ ვაჭარაძე** – საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივის დირექტორი, **ნოდარ შოშიტაშვილი** – გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ.

სარედაქციო საბჭო შეიძლება ყოველთვის არ ეთანხმებოდეს ავტორების მოსაზრებებს. ავტორთა სტილი დაცულია.

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2015

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის რაზმ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

Editorial Board:

Maia Ivanishvili – head of Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration, chairman of editorial board; **Tamaz Putkaradze** – head of foreign, public, media relations and documents publication and utilization department, editor; **Tengiz Tsintskiladze** – Deputy chief of Ajara AR – Archives Administration; **Tengiz Salukvadze** – Deputy chief of Ajara AR – Archives Administration; Elguja Chaganava – Head of staff; **Elguja Gogiberidze** – head of service of Central State Archives; **Maia Rurua** – Archives Administration, Head of preservation, registration and scientific-informational department; **Fridon Kardava** – Archives Administration, senior specialist of foreign, public, media relations and documents publication and utilization department; **Nato Kikava** – Archives Administration, senior specialist of foreign, public, media relations and documents publication and utilization; **Inga Eliava** – senior specialist of preservation, registration and scientific-informational department of Central Archives of Kutaisi; **Alla Serdiuk** – director of Philology and Social communication Institute of Berdyansk State Philological University; **Alla Kondrasheva** – assoc. professor of North Caucasus Federal University; **Vladimer Tsverava** – professor of Archaeology-history department of Akaki Tsereteli University; **Anton Vacharadze** – director of Central Historical Archives of National Archives; **Nodar Shoshitashvili** – Giorgi Chitaia Ethnographical Museum – The Open Air Museum.

Editorial board may not always agree with authors opinions.
Authors style is retained.

წინასიტყვაობა

უკვე მერამდენე წელია საარქივო სამმართველო მასპინძლობს ჩვენი ეგიდით ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმში მონაწილე სტუმრებს, საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწე მეცნიერ-მკვლევარებსა და არქივისტებს.

სამეცნიერო კონფერენციები ჩვენს არქივში ურთულეს – 1930-იან წლებშიც კი ტარდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ მწვავედ იდგა საარქივო დოკუმენტების განთავსების საკითხი. იმჟამად აღნიშნული ღონისძიებები ადგილობრივ ხასიათს ატარებდა. სამეცნიერო კონფერენციებმა საერთაშორისო მასშტაბები ბოლო პერიოდში შეიძინა.

მარტო ბოლო 10 წლის განმავლობაში ჩვენს სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 400-ზე მეტმა მონაწილემ საქართველოდან, რუსეთიდან, ავსტრიიდან, ბულგარეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, თურქეთიდან, სომხეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

წლევანდელი კონფერენცია რიგით მეხუთეა. ამ სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობისათვის საორგანიზაციო კომიტეტში შემოვიდა 60-ზე მეტი განაცხადი. მოხარული ვართ, რომ დღევანდელ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად გვეწვივნენ საპატიო სტუმრები საქართველოს ეროვნული არქივიდან, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტიდან, ღია ცის ქვეშ მუზეუმიდან, ქუთაისის ცენტრალური არქივიდან, ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან.

ორმაგად სასიხარულოა, რომ გვეწვივნენ სტუმრები მოძმე უკრაინიდან (პროფესორ ალა სერდიუკის სახით), ასევე რუსეთიდან (პროფ. ალლა კონდრაშევა, სვეტლანა ტებუევა). განაცხადი წარმოადგინეს ბულგარელმა და გერმანელმა კოლეგებმაც.

ჩვენი სამეცნიერო ღონისძიება ორ დღეს გაგრძელდება. იმუშავებს ისტორიის ორი და არქეოლოგია-ეთნოლოგიის ერთი სექცია.

მინდა კიდევ ერთხელ მივესალმო ჩვენი ქალაქის სტუმრებს და გამოვხატო ჩემი პატივისცემა კონფერენციის მონაწილეთა მიმართ. ვიმედოვნებ, რომ კონფერენცია წარმატებით იმუშაებს და სამეცნიერო აზრთა გაცვლა-გაზიარებით ითქმება ბევრი ახალი სიტყვა ჩვენი ქვეყნის ისტორიის სხვადასხვა პრობლემატურ საკითხზე, უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობა კი კვლავაც გაგრძელდება.

**მაია ივანიშვილი,
საარქივო სამმართველოს უფროსი**

თამაზ ფუტკარაძე

**ქურთულ-თურქული კონფლიქტი:
ეთნიკური იდენტიფიკაციის და კულტურული
მეხსიერების ზოგიერთი საკითხი თურქეთის
პოლიეთნიკურ საზოგადოებაში
(არტაანისა და შავშეთის ეთნოგრაფიული
მასალების მიხედვით)
(ნაშრომი შესრულებულია საგრანტო პროექტის
(NFR/196/2-105/14) „არტაანის ქართული კულტურული
მემკვიდრეობის ძეგლების“ ფარგლებში)**

XX-XXI სს. მიჯნა მძიმე აღმოჩნდა თურქეთის რესპუბლიკისათვის. იგი დადგა სერიოზული პოლიტიკური გამოწვევების წინაშე. ამ პერიოდში ერთის მხრივ საგრძნობლად დაწინაურდა ქვეყნის ეკონომიკა, ამასთან ამკარად გამოიკვეთა დემოკრატიული განვითარების ტენდენცია. აღნიშნული პროცესების შედეგად ქვეყანაში მცხოვრებ ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებში მწვავედ დადგა ეთნიკური თვითმყოფადობის დაცვის აუცილებლობის საკითხი, რამაც მის ცალკეულ რეგიონებში ეთნიკური კონფლიქტების გაჩაღებას შეუწყო ხელი. ტოტალიტარული სისტემისათვის დამახასიათებელი იდეოლოგიის („ყველა მუსულმანი თურქია“) მსხვრევამ განაპირობა არათურქულ ეთნიკურ ჯგუფებში ძველი იდენტობის ახლით ჩანაცვლების საჭიროება. დემოკრატიული პროცესების განვითარებამ ხელი შეუწყო ცალკეული ეთნიკური ჯგუფების მობილიზაციას. ცხადია, ეს ხდება კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების სხვა ეთნიკურ ერთობებთან დაპირისპირების ფონზე. ეთნიკური მობილიზაციის ხარისხით გამოირჩევიან თურქეთში მცხოვრები ქურთები, რომელთა ნაწილი ცხოვრობენ არტაანის პროვინციაში. ქურთები ცდილობენ პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენონ ისტორია. განცდა იმისა, ასეთ მრავალრიცხოვან ერს არ აქვს საკუთარი სახელმწიფო, ეფექტურად მოქმედებს ეთნიკური მობილიზაციის ხარისხზე. ამას ემატება დომინანტი ეთნოსისაგან დისკრიმინაციის განცდა.

დემოკრატიზაციის პროცესებმა თურქეთში მცხოვრები სხვა ჯგუფების ეთნიკურ მობილიზაციასაც შეუწყო ხელი.

ამ შემთხვევაშიც ერთ-ერთი ფაქტორი ისტორიის, სამეურნეო და ყოფითი ტრადიციების, მაღალგანვითარებული კულტურის მოშველიებაა. მხედველობაშია იქ მცხოვრები ქართველები, რომლებიც ამაყობენ თავიანთი მდიდარი ისტორიული წარსულით და სამეურნეო-კულტურული ტრადიციებით. რესპონდენტ ერდონ ალთუნის (ვახტანგ კეფოძეშვილის) თქმით „თურქი ცხენის ზრუგიდან არ იყო ჩამოსული, ჩვენ რომ ყანას ვთესევდითო“. ამდენად აშკარაა თანამედროვე თურქეთში იდენტობის ძიების საკითხი, თუმცა აღნიშნულმა პროცესებმა აშკარად იჩინა თავი ქურთულ-თურქული დაპირისპირების ფონზე.

თანამედროვე პერიოდში თვალნათლივ ჩანს იდენტობის გამოცოცხლება, რაც თურქეთის სინამდვილისათვის პარადოქსული მოვლენაა. იდენტობის გამოცოცხლების და ეთნიკური მობილიზაციის ტენდენციის მიუხედავად უმრავლეს შემთხვევაში ხდება მათი თვითიდენტიფიცირება იმ სახელმწიფოსთან, რომელშიც ის ცხოვრობს.

არტაანის პროვინცია ეთნიკური სიჭრელითაა გამორჩეული. რესპონდენტ ოქთაი აქფინარის თქმით (ჰანაკის რაიონი სოფ. ბინბასაკში (გოგიუბა) არტაანში **ცხოვრობენ ჩეჩნები, ქურთები, თურქები, გურჯები, თუმცა თითოეული მათგანის ცნობიერება თურქულია და საჯაროდ თავიანთ გენეტიკურ წარმომავლობას არ აღიარებენო**. მაგალითისათვის რესპონდენტმა ქართველებიც დაასახელა. ნიშანდობლივია, რომ მან დაადასტურა რეგიონში ქართველების ცხოვრების კვალი. თავად რესპონდენტის წინაპრები კი შუა აზიიდან გადმოსახლებულან ამ სოფელში. საიდან მოხდნენ ჩეჩნები შუა აზიაში, ეს არ იციან. ოქფაი აქფინარის (რომლის ცოლის ბებია „ახისკიდან ყოფილა“) დიდ ბაბუას ბინბაშაკში გადმოსახლებისას დახვედრიათ მდიდარი სომხები, რომლებსაც მათთვის გაუნევიათ მატერიალური და მორალური დახმარება და მიწებიც მიუციათ. სომხებთან ისინი დღემდე ინარჩუნებენ მეგობრულ ურთიერთობებს.

მთხრობელები ადასტურებენ სოფელში ეკლესიის არსებობის ფაქტს. ამჟამად არსებული სოფლის მეჩეთის გალავნის და სკოლის მშენებლობისას ეკლესიის ქვები გამოუყენებიათ, რასაც ადასტურებენ კიდევ იქ მცხოვრებნი (თ.

ფუტკარაძე, არტაანის საველე ექსპედიციის დღიური, რვეული პირველი, აგვისტო, 2015).

ქართველების ცხოვრების კვალს ადასტურებენ ჰანაკის რაიონის სოფ. ორთაკენტელი რესპონდენტებიც. მათი თქმით „ადრე ეს ტერიტორიები სულ გურჯების ყოფილა. სოფლის ერთ-ერთ უბანს „ნაქალაქო“ ჰქვია ახალციხის სოფ. ნაქალავის გავლენითო.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი წინაპრები ახალციხიდან არიან გადმოსახლებულნი, თუმცა თავს ქართველებად არ მიიჩნევენ. სტუმართმოყვარე მასპინძელმა ოჯახში შეგვიპატიუა და ჩაითაც გაგვიმასპინძლდა, რაც არაა აღნიშნულ რეგიონში ჩვეულებრივი მოვლენა. სავარაუდოდ, წარსულში მათი წინაპრების ქართველებთან თანაცხოვრებამ (შესაძლოა გენეტიკურადაც ქართველები არიან) ყოფის ამ ელემენტზეც მოახდინა სასურველი გავლენა, რაც შემონახული იქნა მათი შთამომავლების ოჯახებში.

ახალციხიდან//ახისკიდან გადმოსახლებულად თვლიან თავს კოდისწყაროელები, ჭინჭრობელები და ზოგიერთი სხვა სოფლის წარმომადგენლები. გადმოცემით, მათი წინაპრები ახალციხიდან ფოსოვში//ფოცხოვში, იქედან კი ამ სოფელში გადმოსახლებულან. გადმოსახლების მიზეზად ასახელებენ ზოგადად ომებს. როგორც ცნობილია, რუსეთ-თურქეთის ომებს თან ახლდა მოსახლეობის ადგილმონაცვლეობა. 1828-1829 წწ. ომის შემდეგ, რეგიონში ქრისტიანების დამკვიდრების შიშით, როგორც ჩანს მოსახლეობა ახალციხიდან გადავიდა მომიჯნავე არტაანის რეგიონში. ერთმა მთხრობელმა გადმოსახლების თარიღად 1877-1878 წწ. ომი დაასახელა, რომლის შემდეგაც „გამოვიქეცი ვალედანო“.

როგორც ცნობილია, 1828-1829 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის ხასიათიდან და ძალთა განლაგებიდან გამომდინარე საზავო პირობები კონფესიურ პრინციპს დაექვემდებარა. ადრიანოპოლის 1829 წ. სექტემბრის საზავო პირობებით მეომარ სახელმწიფოებს შორის საზღვარი უნდა გაეკლოთ კონფესიური ნიშნის მიხედვით და უნდა შექმნილიყო ერთიანი რელიგიური ზონები. ამ ხელშეკრულებით, საქართველოს

უბრუნდებოდა მისი ტერიტორიის გარკვეული ნაწილი, მაგრამ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებთა შემდგომი ბედი უნდა მოწესრიგებულყო რელიგიური ნიშნის მიხედვით. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქართველი მაჰმადიანები უნდა გადასახლებულიყვნენ მაჰმადიანური თურქეთის ტერიტორიაზე, ხოლო თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქრისტიანები (ძირითადად სომხები, გასომხებული ქართველები, თ. ფ.) გადმოსახლდებოდნენ ქრისტიანული რუსეთის ფარგლებში (ლომსაძე შ., 1991:180). **ფაქტობრივად ეს იყო ეთნიკური წმენდა.** მაჰმადიანური (მათ შორის ქართველები) მოსახლეობა აყარეს ამ ტერიტორიებიდან. სწორედ მათი შთამომავლები უნდა იყვნენ საკვლევი რეგიონის მოსახლეობის ნაწილი. დაცარიელებულ მიწებზე სომხები ჩამოსახლეს. არტაანიდან გადმოსახლებულებს შორის იყვნენ ხულგუმოს, ბავრას, კარტიკამის, კულიკამის, ტურცხის კათოლიკი ქართველებიც, რომლებსაც სომხური კათოლიკური კონდაკის გამო სომხებად წერდნენ (ლომსაძე შ., 1991:185). მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ **არტაანის სოფელი ველი**, საიდანაც მოხდა საქართველოში კათოლიკი ქართველების შემოსახლება, წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს, სადაც იყო სამცხე-საათაბაგოს მთავართა ერთ-ერთი სასახლე საკმაოდ მნიშვნელოვანი ციხით. ველის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მე-18 საუკუნის შუა ხანებამდე შეურყვნელად მოიტანა წინაპართა რწმენა (ლომსაძე შ., 1991:186). პატრ **იერონიმე ნორიჩელის** მონაცემებზე დაყრდნობით, მკვლევარი შ. ლომსაძე აღნიშნავს, რომ არტაანის სანჯაყში 1763 წლისათვის მხოლოდ სოფელი ველი დარჩენილა ქრისტიანულად. სოფელს ჰყოლია ერთი მართლმადიდებელი მღვდელი 154 მართლმადიდებელი მრევლით (ლომსაძე შ., 1991:186). ერთი ცნობით, სოფ. ველში 300 კომლამდე ქართველი მართლმადიდებელი ცხოვრობდა. ამ სოფლის გარშემო კი გამაჰმადიანებულ მესხ-ლაზთა სოფლები იყო (გაზეთი „ჯვარი ვაზისა“, N 8, 1906 წელი). ქართულ სამყაროს მოწყვეტილი არტაანის ქართველობა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. წყაროსთავის კათედრის მოშლის შემდეგ

მართლმადიდებელი მრევლი ერუშნელის მეურვეობის ქვეშ მოექცა, თუმცა მალე ერუშნელობაც მოიშალა და მე-18 საუკუნის ბოლოს მათი სულიერი მწყემსობა ანტიოქიას გადაეცა. მე-18 საუკუნის შუა ხანებში მტრულ გარემოცვაში მოხვედრილ ველის ქრისტიანებს ანდრია პალერმელის ინიციატივით მიაკითხეს კაპუცინმა მისიონერებმა და ქართული ტიპიკონითა და მღვდელთმსახურებით კათოლიკობაზე გადასვლა ურჩიეს. ეს იყო არსებულ სიტუაციაში საუკეთესო გამოსავალი და მოსახლეობის დიდი ნაწილი დათანხმდა. მალე გარდაიცვალა ქართველი მღვდელი ბასილი, რითაც ისარგებლეს სულთანის მხარდაჭერით აღჭურვილმა სომხებმა და სომხური რიგით მოსახლეობის გაკათოლიკება მოინადინეს. ამავე სოფელში სომეხ მღვდელთან ერთად საქმიანობდა იტალიელი პატრი, რომელიც ქართული კონდაკით ლოცულობდა და ქართულ ენასაც საფუძვლიანად ფლობდა. ერთი სოფლის ერთი ეთნოსი ორად გაიყო. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ სოფელში სალაპარაკო ენად თურქული იყო გაბატონებული. სოფლის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ქართველ-სომეხთა ამ დავაში იტალიელი პატრის ანუ ქართული კონდაკის მხარე დაიჭირა (თამარაშვილი მ., 1902:435). სომეხი კათოლიკენი არ ისვენებდნენ და ოსმალო ხელისუფლების მხარდაჭერით აიძულებდნენ ველელებს მიეღოთ სომხური ტიპიკონი. მ. თამარაშვილს აღნიშნულთან დაკავშირებით მიუკვლევი ერთი საარქივო დოკუმენტისათვის. ესაა ქართველთა საჩივარი, რომელიც ველელებს გაუგზავნიათ რომში, რომელშიც ითხოვენ ქართველთა „რიგის მღვდლის“ მოვლინებას: „ქართველი რომის კათოლიკეები გვედრებით თქვენს მამობრიობას, რომ არ მოაკლოთ სოფელ ველს ერთი პატრი მისიონერიო“. ხელს აწერენ: „სიმონი, მისი ძმისწული, ეფრემი, ელიზბარი, ყარაგოზი, დავითი, აპოსტული, ასლანი, ყოჟომოიო, სუმბული, პეტრეი, იასაი, პავლეი, ოქრუაი, შიოი, ელიკაი, ციცოი, თათაი და სხვ“ (გაზ. „ჯვარი ვაზისა“, 1906, N 8. ასევე, ლომსაძე შ., 1991:188). ველის ბაროხის პოლიკარპო მონთოელის მოხუცებულობის გამოველში გააგზავნეს სომხური რიგის მღვდელი ხაჩატურ უჯუბრიანი, რომელიც მაშინვე დადგა სომხურენოვან რიტ-

ზე მდგარი მორწმუნეების პოზიციაზე და ჩამოაგდო განხეთქილება, „შეურაცხყოფელი სიტყვებით მოსპო წესიერება, ორ ტომს შორის აღძრა უთანხმოება, პოლიკარპო მონთოელი ადგილობრივ ხელისუფლებასთან დაასმინა, თითქოს იგი მთავრობის სანინაალმდეგო საქმიანობას ეწეოდა, რის შემდეგ იგი არტაანის სანჯაყის უფროსმა სოფლიდან დაითხოვა“ (ლომსაძე შ., 1991:188-189).

1830-იან წლებში, როცა ჯავახეთში ერზრუმელ კოლონისტებთან ერთად ჩამოასახლეს ველელებიც, **დეკანოზმა იოსებ ორბრლიანმა სცადა რუსული მართლმადიდებლური ხელისუფლების გამოყენება ველელთა ძველ სარწმუნოებაზე გადასვლასთან დაკავშირებით**, მაგრამ უშედეგოდ. ველელებს დაუდგინეს სომხურენოვანი კათოლიკური კონდაკი.

ვეველებს ბრძოლა წინაპართა რწმენის დაბრუნებისათვის არც შემდგომ შეუწყვეტიათ. ისინი ქართული სკოლის გახსნასაც ითხოვდნენ. დგებოდა სხვადასხვა კომისიები, უპირატესად არაქართველებისაგან დაკომპლექტებული, რომელთა „მუშაობას“ არ გამოუღია სასურველი და ობიექტური შედეგი. 1832 წელს ველელებს კვლავ დაუწერიათ საჩივარი. კომისიას – ვინმე დანდუროვისა და კრასნოვის შემადგენლობით, დასკვნაში ჩაუწერია, **რომ ველიდან გადმოსახლებულნი ლაპარაკობენ თურქულად, თავს აღიარებენ ქართველებად, ეკლესიაში დანესებული აქვთ სომხური ტიპიკონი, ყავთ სომეხი მღვდლები, აქვთ ქართული ადათები და წესები**. მათი რაოდენობა ხულგუმოში, კარტიკამში, კულიკამში, ბავრაში, ეშთიაში 2000-მდე სულიაო (საქ. ცია, ფ.12, ან. 8, საქმე 394, ფურც. 9-10).

1907 წ. სოფ. ველი მოუნახულებია ე. თაყაიშვილს. მაშინ ამ სოფელში ახალციხიდან გადასული ქართველი მუსულმანები დააფიქსირა, **რომელთა უმრავლესობას სცოდნია ქართული** (ლომსაძე შ., 1991:191). ჩვენი ექსპედიციის დროს კი არა თუ ქართული ენა, არამედ ისტორიული მეხსიერებაც კი წაშლილი დაგვხვდა ამ შესანიშნავ სოფელში ქართველების ცხოვრების შესახებ.

გასომხების პარალელურად ადგილი ჰქონდა ქართველების „ურუმებად“ მონათვლასაც (არტაან-გიუმშიხანეს რაიონებში). ამ ტერმინთა ზეგავლენით ქართული მოსახლეობის ნაწილი გაბერძნდა. 1830-იან წლებში ძველი ვერცხლის ციხის//გიუმშიხანეს მცხოვრები ეთნიკური ქართველები, როგორც ბერძენ-ურუმები შემოასახლეს ქვემო ქართლში. ხოლო ზღვისპირა კლარჯეთიდან ასევე გაბერძნებული ქართველობა პირველი მსოფლიო ომის წინ გაასახლეს საბერძნეთსა და რუმელიაში. ასეთივე ბედი ეწია 1830-იან წლებში არტაან-ფოსოს მიდამოებში შემთხვევით გადარჩენილ ქრისტიან ქართველთა ერთ ნაწილს, რომლებიც ქვ. ქართლში იყვნენ შემოსახლებულნი (ლომსაძე შ., 1991:186).

როგორც ითქვა, იმ დროისათვის უკვე კარგა ხანია იყო დასრულებული მესხეთის მოსახლეობის გამუსულმანების პროცესი. უკვე მე-19 საუკუნის 20-იან წლებისათვის მესხეთში ოფიციალურად არც ქრისტიანობა არსებობდა და არც მართლმადიდებლური სამლოცველო (ლომსაძე შ., 1991:176). გაკათოლიკებული ქართველები კი სომხური ტიპიკონის გამო სომხებად აღირიცხებოდნენ (ლომსაძე შ., 1991:176). მესხთა უმრავლესობა სუნიტურ ისლამზე იყო გადასული. თავად ახალციხეში (სადაც დიპლომატიური მოსაზრებებით დატოვეს ერთადერთი ქრისტიანული სამლოცველო-წმ. მარინეს სახელობის ეკლესია შემცირებული მრევლით) არ იყო იმჟამად მონოეთნიკური საზოგადოება.

ქართული მიწების დაპყრობას შედეგად მოყვა ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის (ქართველობის) თურქული სოციალურ-პოლიტიკური სისტემით (ოსმალობით) შეცვლა, რასაც დამპყრობელი დიდი მოთმინებით ახორციელებდა. დაპყრობილ ტერიტორიებზე ოსმალები ქართველთა ერთიანობისა და წინააღმდეგობის დაძლევისათვის მესხეთის თემებს უფლებრივად სხვადასხვა საფუძველზე აწყობდნენ და სხვადასხვა პირობებს უდებდნენ. ე.ი. ისინი ერთმანეთისაგან ასხვავებდნენ „ხმლით“ //ბრძოლით დაპყრობილებს და „ამანიტ“ დაპყრობილებს. ხმლით//ბრძოლით დაპყრობილ რეგიონებში ოსმალები აერთიანებდნენ ჩილდირს, არტაანს, ახალქალაქს, ახალციხეს, ასპინძას და ა.

შ., რომელთა მიწები ჩარიცხეს სახელმწიფო მიწების კატეგორიაში (ლომსაძე შ., 1991:238-239). „ამანით“ დაპყრობილი მხარეები (აჭარა-შავშეთი, ლივანა...) ჩარიცხეს მულქის კატეგორიაში, სადაც ძველ ფეოდალს უმტკიცდებოდა არსებული მამულები კერძო, მემკვიდრეობით საკუთრებაში და როგორც საზღვრისპირა მხარეს, ეკისრებოდა სალაშქრო მოვალეობაც.

შარიათი მიწის ცნებაში გულისხმობდა სამხედრო ვალდებულებასაც, სამხედრო ვალდებული კი აუცილებლად მუსულმანი უნდა ყოფილიყო. ამ გზამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ფეოდალები მაჰმადიანობამდე მიიყვანა და ეროვნულობის სამი ძიორითადი საყრდენიდან ერთი – ქრისტიანობა გამოაცალა. გლეხოებაში კი ეს პროცესი ერთი საუკუნით გაგრძელდა (ლომსაძე შ., 1991:239). შემოერთების შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ ცარიზმი ხელს შეუწყობდა ქრისტიანიზაციის პროცესებს, მაგრამ პირიქით მოხდა. მეფის ხელისუფლებამ ისინი ერთი ხელის მოსმით თურქებად მონათლა (ლომსაძე შ., 1991:239). 1832 წლის სტატისტიკურ მონაცემებში პირდაპირ წერია, რომ „ახალციხელი თურქების დიდი ნაწილი ... წარმოშობით მთლიანად ქართველია... ბევრმა დღემდე შეინახა ქართული... ზოგი ისევ ქრისტიანობას დაუბრუნდაო“ *Статистическое описание Ахалцихского пашалика. Тифлиские ведомости. 1832. N 6*). მთავრობისაგან ზურგმექცეული მოსახლეობა გადაეშვა ღრმა ფანატიზმში. ისინი თურქ ემისრებს მიენდნენ. მალე ეროვნულობას მეორე საყრდენი – ენაც გამოეცალა ხელიდან, ხოლო 1944 წელს გამოაცალეს მესამე საყრდენიც მამული და „თურქის“ მარკით გაასახლეს საქართველოდან (ლომსაძე შ., 1991:241).

როგორც ცნობილია, სამცხე-ჯავახეთში გამუსულმანებულ ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ ყარაფაფახელები, თარაქამები და სხვა მოდგმის ხალხები. სწორედ მათი შთამომავლები უნდა იყვნენ ჩვენი რესპონდენტებიც.

აღნიშნული მოსაზრება კიდევ უფრო გაამყარა ზემო ქანჭრობელ (ეხლ. აგზეტიპი) რესპონდენტ **აიერსოი ათენისთან** საუბარმა. მან აღნიშნა, რომ „წინაპრები გურჯისტა-

ნიდან იყვნენ, რომ აქ ყველა საქართველოდანაა მოსული“. მისი თქმით „ერთ „ხოჯას“ აღუნერია“ ეს პროცესები. საინტერესოა, რომ წინაპრებს ისინი ქართველებად თვლიან, საკუთარ თავს კი თურქულ ეთნოსს მიაკუთვნებენ.

აღნიშნული დასახლებები რეგიონის სხვა სოფლებთან შედარებით სამეურნეო კულტურის მაღალი დონითაც გამოირჩევა, რაც ასევე წარსულში ქართველებთან თანაცხოვრებით უნდა იყოს განპირობებული (თუმცა ბევრი მათგანი წარმოშობით თავადაც ქართველია) (თ. ფუტყარაძე, არტაანის საველე ექსპედიციის დღიური, რვეული პირველი, აგვისტო, 2015).

საინტერესოა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: იმერხევში 1900-იანი წლების დასაწყისში იმოგზაურა ნ. მარმა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმერხეველები შესანიშნავი ქართულით ლაპარაკობდნენო. იმერხევში, ბორჩხის, მურღულის რაიონის სოფლებში (რომლებიც დიდი ხნის წინ მიიტაცეს ოსმალებმა და ახლაც თურქეთის პოლიტიკურ საზღვრებშია მოქცეული) დღესაც არ დავიწყებიათ წინაპრების ენა, მაშინ როცა ქვაბლიანის ხეობაში ქართულ მოსახლეობას სრულებით ჰქონდა დავიწყებული ქართული. ნიშანდობლივია, რომ ეს ტერიტორია ბევრად უფრო ადრე გათავისუფლდა ოსმალთა ბატონობისაგან, ვიდრე ტაო-კლარჯეთი, აჭარა თუ კოლა-არტაანი. ამ საკითხს ყურადღება ს. ჯიქიამაც მიაქცია მის მიერ თარგმნილ წიგნში „იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოს შესახებ“ (იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები, 1964:19). მისი აზრით, რაც გასათვალისწინებელია თანამედროვე მკვლევარებისათვისაც, თითოეული ქართული პროვინციის დაპყრობის ისტორია, დაპყრობათა თანმიმდევრობა, ქრონოლოგია, ქართული მოსახლეობის ისლამიზაციის პროცესის მიმდინარეობა და დაპყრობის შედეგად ქართულ მიწებზე შექმნილი კულტურულ-პოლიტიკური ვითარება კვლავაც საჭიროებს ყოველმხრივ შესწავლას (იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები, 1964:18-19).

ნიშანდობლივია, რომ ცალკეულ დასახლებებში დავაფიქსირეთ ტერმინები: „ახალციხელი თურქი“ და „კავკასიე-

ლი თურქი“. ახალციხიდან გადმოსული მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს სწორედ „კავკასიელ//ახალციხელ თურქად“ მიიჩნევს. სოფ. ქვ. ჭინჭრობში რესპონდენტები ამტკიცებდნენ, რომ ადრე მათ სოფელში უცხოვრიათ „თეთრ რუსებს“//მალაკნებს და გურჯებსო. მალაკნებს ისინი ახასიათებენ, როგორც შრომისმოყვარე, მშვიდობისმოყვარე, წესიერ და სამართლიან ხალხად, რომლებიც 1950-იანი წლებიდან წასულან ისტორიულ სამშობლოში, „ქართველები კი არსად არ წასულან, ადგილზე დარჩნენო“. თუ არსად წასულან, მაშინ ახლა სადღა არიან? ჩნდება ბუნებრივი კითხვა. რესპონდენტმა კითხვა ლოგიკურად და საინტერესოდ მიიჩნია, თუმცა პირდაპირი პასუხის გაცემას თავი აარიდა. როგორც ჩანს, ეშინიათ და ვერ ბედავენ მათი ქართველობის აღიარებას ან ახალციხიდან გადმოსახლებული თურქული მოდემისანი არიან (რომლებიც მოგვიანებით „თურქი მესხების“ სახელით მონათლეს). აჭარას ისინი მიიჩნევენ რუსეთის ნაწილად. მათ კულტურულ მესხიერებაში უფრო გამოკვეთილია ხსოვნა რუსების შესახებ. მეტყველებაშიც ზოგჯერ რუსულ სიტყვებს ურევენ (თ. ფუტკარაძე, არტაანის საველე ექსპედიციის დღიური, რვეული პირველი, აგვისტო, 2015).

დემოკრატიზაციის პროცესების ეტაპობრივ გაღრმავებასთან ერთად თანდათანობით ხდება იმ საერთო იდენტობის გაქრობა, რომელიც ეფუძნებოდა რელიგიურ ერთობას და აერთიანებდა თურქეთში მცხოვრები მუსულმანური აღმსარებლობის ყველა ეთნიკურ ჯგუფს. დღეს თურქეთში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები მოითხოვენ მშობლიურ ენაზე ლაპარაკის უფლებას. ეს პროცესი თვალში საცემია ქურთულ მოსახლეობაშიც. რესპონდენტის თქმით „ქურთები თურქების ნახევარი არიან და რავაი დუშმლიან ქურთის ლაპარაკს. თავრობა ვეფერ ვერ ებნევა, დაათმობიეს“ (ფუტკარაძე, 2009). ქურთების მოთხოვნები სამართლიანად აღიქმება და ანალოგიური მოთხოვნები გაუჩნდათ სხვა არათურქულ ეთნიკურ ჯგუფებსაც: „იმათ რომ ქურთული ლაპარაკი მიცეს, ჩვენცდა მოგვცენო“ – აღნიშნავენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

რესპონდენტთა თქმით, დემოკრატიზაციის გზაზე შემდგარი თურქეთი აღარ უკრძალავს სხვა ეთნიკურ ჯგუფებს მშობლიურ ენაზე საუბარს, მაგრამ უკვე აღარ არის მისი გავრცელება – განმტკიცებისათვის შესაბამისი პირობები: „აღრე სოფელში თეელ (ყველას, თ.ფ.) საქონელი ყავდენ, ყანას თესდენ, ფარა იყო სოფელში, ჰამა ახლა იმპერიალისტების დევლეთიდან (სახელმწიფოდან, თ.ფ.) ხორცი მეიტანეს ბულდა (ხორბალი, თ. ფ.) მეიტანეს. სოფლის არ გეიყიდა. სოფელში რაცხა მოგვყავდა, ყველაფერი სხვა დევლეთიდან შამეიტანა. ამით სოფელში ცხოვრება დამთავრდა. რაცხა იყო, ტყე იყო, ღელე იყო, ყველაფერი გაყიდეს. სოფელში აღარ დარჩა სამუშაო, საქონელი დაცოტავდა, მიწა აღარ იხნება, გენჯები (ახალგაზრდები) შეჰერისკენ (ქალაქისაკენ) გეიქცენ. ახლა გებნევა თავრობა – გურჯის ლაპარიკს არ გიშლიო, ჰამა ხალხი ქალაქში წევდა და აქ გურჯის ენაზე ვის დევლაპარიკო. ჰამანქი მეც თურქი გავხდი“ (მთხრობელი ერდონ ალთუნი). რესპონდენტის ნუხილში ნათლად ჩანს საგულისხმო ფაქტი – იდენტობის ძიების ინდივიდუალური ხასიათი. ზოგადად, თურქეთში მცხოვრებ ქართველებს ახასიათებთ იმ ქვეყნის იდენტობა, სადაც ცხოვრობენ, ინდივიდუალურ დონეზე კი ცალკეულ შემთხვევებში ვლინდება მისგან გამიჯვნის სურვილი, თუმცა საჯაროდ უჭირთ ამის დაფიქსირება. ინდივიდუალურ დონეზე თურქეთის სახელმწიფო პოლიტიკის არსი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემდეგნაირადაა გააზრებული: „ახლა ვითომ შამოვდა დემოკრატია. ქილისას აღარ ანგრევენ, ჰამა აღარც ქილისაა და აღარც ქილისაში შემსვლელი კაცი. ქართულია ლაპარიკს არ გიშლის ჰამა, ვინდა დაელაპარიკოს ქართულია?“ საგულისხმოა, რომ ეკლესია-მონასტრები დანგრეულია ქართულენოვან დასახლებულ პუნქტებში, ხოლო შემორჩენილია იქ, სადაც მოახერხეს ქართველობის კვალის ნაშლა. უფრო მეტიც, ადგილობრივი პროპაგანდის შედეგად ქართულენოვან სოფლებშიც კი ქართული მოსახლეობის ნაწილი ეკლესია-მონასტრების, ციხეებისა თუ თალიანი ხიდების მეპატრონეებად „ერმენებს“ მიიჩნევა. ცხადია, ეკლესია ქრისტიანობასთან იდენტიფიკაციის უტყუარი არგუმენტიცაა. იქ არსებული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში ამის აღიარება ადრე ქართველებისათვის სერიოზულ რისკთან იყო დაკავში-

რებული, მაგრამ **გარკვეულ კითხვებსბადებს ციხეებისა და თალიანი ხიდების მესაკუთრეებად „ერმენების“ გამოცხადება.** ქართველთა ნაწილის ასეთი დამოკიდებულება მშობლიური კულტურული მემკვიდრეობისადმი **თურქეთის სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურების იდეოლოგიური მუშაობის შედეგია.** ცალკეული ინდივიდების დონეზე სახელმწიფო პოლიტიკის მიზანი გასაგებია: „ჩვენები ამბობენ: ყალე (ციხე), ქილისა (ეკლესია), ხიდი (იგულისხმება თალიანი ხიდები) ერმენების აშენებულაო. ესალაგებიც ერმენების არიო. რატომ? ჩვენ ასეული წლებია, აქ ვცხოვრობთ, თამარა დოდოფალსაც აქ უცხოვრია. ეს არნა დეივიწყო, ჰამა ასერომ თქვა ხალხში, გაგამტყუნებენო“ – ამბობს რესპონდენტი და აღნიშნულ ტრანსფორმაციას უკავშირებს სახელმწიფოს იდეოლოგიურ საქმიანობას.

არტაანის სამეცნიერო ექსპედიციის დროს შეხვედრები გვექონდა თურქებთან, ქურთებთან, ჰემშილებთან, თარაქამებთან და სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებთან. ექსპედიციის პერიოდი დაემთხვა ქურთების წინააღმდეგ თურქეთის ხელისუფლების მიერ წამოწყებულ ე.წ. „ანტიტერორისტულ“ ოპერაციებს. შესაბამისად დაძაბული იყო ფსიქოლოგიური კლიმატი. ცალკეულ შემთხვევაში ადგილობრივნი „ისტანბულიდან შეგზავნილ ტერორისტებად“ მიგვიჩნევდნენ, რაც ერთობ გვირთულებდა საველე-სამეცნიერო საქმიანობას. ბევრი (მათ შორის ქურთებიც) ერიდებოდა თავისი ეთნიკური კუთვნილების დასახელებას, თუმცა ზოგიერთ ქურთს არ დაუმალავს თავისი მკვეთრი უარყოფითი დამოკიდებულება თურქეთის ხელისუფლების მიმართ (თ. ფუტკარაძე, არტაანის საველე ექსპედიციის დღიური, რვეული პირველი, აგვისტო, 2015).

დემოკრატიული პროცესების გაღრმავება თურქეთში არ ნიშნავს მმართველობის თურქული სისტემის სრულ მოშლას. მისი მოდერნიზაციის პროცესი არ იქნება მარტივი. იგი უცილობლად იქნება ჯგუფური იდენტობის განცდისა და სხვადასხვა ეთნოჯგუფების მობილიზაციის უმთავრესი ფაქტორი, რამაც შესაძლოა მიიღოს მინიმუმ სახელმწიფოს ფარგლებში ავტონომიური წარმონაქმნების მოთხოვნის სახე. ქურთებთან მიმართებაში უკვე სახეზეა აღნიშნული მო-

დელი. ქურთების სეპარატისტული ნაწილი ცდილობს საკუთარი მოთხოვნების ლეგიტიმაციას. თურქეთის სახელმწიფო კი პრობლემის მოგვარებას ცდილობს ქურთთა მოთხოვნების უგულებელყოფით. არც იმ ელემენტარული ჭეშმარიტების გაუთვალისწინებლობა შეიძლება, რომ კონფლიქტის ესკალაციისა და ეთნიკური მობილიზაციის ერთ-ერთი ფაქტორი შესაძლოა გახდეს პოლიტიკური რეჟიმი, მისი თავისებურება. რაც უფრო დემოკრატიულია პოლიტიკური გარემო, მით უფრო არაძალადობრივია პროტესტი ეთნოპოლიტიკური ჯგუფის მხრიდან და პირიქით (თორია, 2009:116). თურქეთში კი დემოკრატიული განვითარების ტენდენციები გამოიკვეთა მხოლოდ XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, თუმცა რესპონდენტთა თქმით აღნიშნული ტენდენციები მხოლოდ ფასადური ხასიათისაა: „გარედან რომ შეხედავ, დემოკრატიული ჩანს, ჰამა შიგან რომ შეხედავ, არაა ასე. გურჯი შიშით თავს გურჯად ვერ იტყოდა, დიგიშლიდენ. ახლა თლათ ასე აღარაა. ქურთები 20 წელია ომობენ, ჰამა ლაპარაკი ანჯახ აართვეს“ (ფუტკარაძე, 2009). მასმედია ექვემდებარება ხელისუფლების მუდმივ კონტროლს.

დემოკრატიული პროცესების განვითარება-გაღრმავებაში არსებული პრობლემების მიუხედავად თურქეთში ბოლო დროს ამკარად ამაღლდა ადამიანთა თავისუფლების ხარისხი. ახლა უკვე აღარაა საფრთხის შემცველი ქართველთა ერთად თავმოყრა, ახალშობილებისათვის ქართული სახელეების დარქმევა და ა. შ. ცალკეული პიროვნებები უკვე ფიქრობენ ქართული გაზეთის, ქართული სკოლების გახსნის, სისხლის სინმინდის ტრადიციის დაცვის (რომელიც ბოლო დროს საგრძნობლად შეირყა) აუცილებლობაზე. საგულისხმოა, რომ იქაურ ქართველს ურჩევნია თავისი ქალიშვილი მიათხოვოს მუსულმანს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ქრისტიანს, თუნდაც ქართველს.

ქართველთა ეთნიკური შემჭიდროვების ტენდენცია გამოიკვეთა ერთის მხრივ ქურთულ-თურქული დაპირისპირებისა და დემოკრატიული ტენდენციების განვითარების პარალელურად, მეორეს მხრივ კი – „თურქი ხალხის პარტიის“ (მილეთი ჰარექეთ ფარტი) გააქტიურების ფონზე. ოფიციალურად, სახელმწიფო არ ატარებს რომელიმე ეთნოსის დისკრიმინაციის, შევიწროების პოლიტიკას, მაგრამ ქვეყნის ნაციო-

ნალისტური ორგანიზაციები თუ ცალკეული პიროვნებები ამ-
კარა პროთურქული იდეოლოგიის გამტარებლებად გვევლი-
ნებიან სხვა ეთნიკური ჯგუფების წინააღმდეგ მიმართული
იდეოლოგიისა და პროპაგანდის გზით. რესპონდენტთა
თქმით, „მათთვის თურქია მთავარი, თურქმენებს, აზერბაი-
ჯანელებს იცავენ, გურჯებს არა. ოსების და გურჯების ომზე
ამბობენ: დახოცონ ერთმანებო“ (ფუტკარაძე, 2009).

ქართველთა ეთნიკურ შემჭიდროებაზე გარკვეული
გავლენა მოახდინა ქართულ-აფხაზურმა და ქართულ-ოსურ-
მა კონფლიქტებმა. იქაურ ქართველთათვის მიუღებელი აღ-
მოჩნდა თურქეთში მცხოვრები აფხაზებისა და ჩერქეზების
პოზიცია, რომლებიც ამ ომში სეპარატისტების მხარეზე აღ-
მოჩნდნენ. რესპონდენტის თქმით „თურქეთის აფხაზები მი-
ეხმარენ გურჯისტანის აფხაზებს. ერთი ბურსელი აფხაზი
მოკდა ამ ომში. ჩვენ ვერ გეგტანეთ აფხაზებზე მიმხრობა.
მათზე ჩვენი გული ძველებურად აღარ ჭამს, გული გაცივ-
დაო“ (ფიტკარაძე, 2009). მათივე ინფორმაციით, იქაური აფ-
ხაზები აქტიურად ეწეოდნენ ანტიქართულ პროპაგანდას,
თითქოს ქართველებმა მოაწყეს აფხაზ-ოსების გენოციდი,
ქართველებს წარმოაჩენდნენ დამპყრობელ, აგრესორ ერად
(ფუტკარაძე, 2009).

ქართულ, სომხურ და თურქულ მოსახლეობაში განსხვავ-
ებული შეხედულებები არსებობს ტაო-კლარჯეთში, ასევე
არტაანში მცხოვრები მოსახლეობის, საკუთრივ ქართველე-
ბის ავტოქტონობის საკითხთან დაკავშირებით.. თურქებისა
და სომხების პოზიცია თავისთავად ნათელია, მაგრამ გაურ-
კვეველია ქართველთა გარკვეული ნაწილის გაუთვითცნობი-
ერებლობა აღნიშნულ საკითხში. საკუთრივ იქ მცხოვრები
ქართველების, თუნდაც იმერხეველების პოზიციებიც კი ერ-
თმანეთისაგან განსხვავებულია. მათ ნაწილს მიაჩნია, რომ
ისინი ცხოვრობენ თურქეთის მიწაზე. მეორე ნაწილი თავს
საქართველოდან მოსულად თვლის, უფრო მცირე ნაწილმა
კი იცის, რომ ის ცხოვრობს საკუთარ ეთნიკურ ტერიტორია-
ზე და დანარჩენი საქართველოსაგან ჩამოშორება არის ის-
ტორიული ბედუკუღმართობის შედეგი. აღნიშნულ საკით-
ხთან დაკავშირებით არსებული აზრთა სხვადასხვაობის მიუ-
ხედავად ჩვენებურებს თანდათან უღვივდებათ და უძლიერ-
დებათ ზოგადეთნიკური ცნობიერება, მამაპაპური ტრადი-

ციებისა და ადათ-წესებისადმი ერთგულების, ბედისა და ისტორიის ერთობის განცდა. ყოფითი კულტურის (მატიერიალური და სულიერი კულტურა, უფროს-უმცროსობა, კულინარია და ა. შ.) იდენტურობა ხელს უწყობს ქართველთა შემოქმედრობის პროცესს, თუმცა უნდა ითქვას, რომ თურქეთში ქართველი ხალხის ეროვნული კულტურის, ეთნიკური ცნობიერების განმტკიცებისათვის არ არის ხელშემწყობი პირობები. ისტორიულ ქართულ მიწაზე მცხოვრები ქართველების დიდი ნაწილი თურქულ ყაიდაზეა გადასული. თითქმის არც ერთ ქართულ სოფელში აღარ არსებობს არა თუ ქართული, არამედ თურქული სკოლაც კი. ახალგაზრდების მიგრაციამ ქალაქურ დასახლებებში მიიღო მასიური ხასიათი. ქალაქებში კი გეგმაზომიერად და ბუნებრივად მიმდინარეობს ეთნიკური ასიმილაციის შეუქცევადი პროცესები.

მიუხედავად აღნიშნული ტენდენციისა, ჩვენებურებმა დააგროვეს თურქ ხალხთან თანაცხოვრების მდიდარი გამოცდილება, რომელიც ეფექტურად უნდა იყოს გამოყენებული ეთნიკური მობილიზაციისა და ეროვნული თავისთავადობის დაცვის ინტერესებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოს შესახებ (თურქული ტექსტი თარგმნა და კომენტარებით გამოსცა ს. ჯიქიამ), თბ. 1964
2. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. 1902
3. თორია მ., იდენტობის ძიების და ეთნიკური მობილიზაციის როლი XX საუკუნის 90-ნი წლების ქართულ-ოსური შეიარაღებული კონფლიქტის ესკალაციაში. კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XI, თბ., 2009
4. ლომსაძე შ., მესხები. თბ. 1991
5. ფუტკარაძე თ., საველე ეთნოგრაფიული ექსპედიცია შავშეთში, შავშეთი, 2009;
6. თ. ფუტკარაძე, არტაანის საველე ექსპედიციის დღიური, რვეული პირველი, აგვისტო, 2015;
7. საქ. ცია, ფ.12, ან. 8, საქმე 394, ფურც. 9-10;

8. გაზეთი „ჯვარი ვაზისა“, N 8, 1906 წელი
9. Статистическое описание Ахалцихскогопашалика. Тифлиские ведомости. 1832. N 6

Tamaz Phutkaradze

Kurdish-Turkish conflict: some issues of ethnic identity and cultural memory in polyethnic society of Turkey (by Ardahan and Shavsheti ethnographic materials)

Summary

XX-XXI centuries were hard for Republic of Turkey. It has come to the serious political challenges. The article deals with some issues of ethnic identity and cultural memory in polyethnic society of Turkey.

ნოდარ შოშიტაშვილი

მეურნეობის და ხელოსნობის ტრადიციული დარგები თურქეთის რესპუბლიკის შავი ზღვის სანაპიროების რეგიონის ეთნიკური ქართველებით დასახლებულ ტერიტორიაზე

სამხრეთ შავი ზღვისპირეთში ქართული მოსახლეობა კომპაქტურად მეცხრამეტე საუკუნის ბოლო მეოთხედში ჩნდება. ეს ფაქტი უკავშირდება რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომს და მის შედეგებს. ამ ომის შედეგები საქართველოსთვის გამორჩეულად დადებითი იყო, რადგანაც დედა სამშობლოს უბრუნდებოდა სამი საუკუნის განმავლობაში მის სივრცეს მონყვეტილი და ოსმალეთის სასულთნოს მიერ წართმეული აჭარა და კლარჯეთი.

ამ დიდებულ ფაქტს სამწუხაროდ მოჰყვა ჩვენი ერისთვის გამორჩეულად უარყოფითი მოვლენა, უფრო მეტიც, – ტრაგედია, როდესაც პროპაგანდას აყოლილი მუსლიმი ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი ტოვებს მშობლიურ მიწას, მამა-პაპეულ სამკვიდროს და ოსმალეთის იმპერიის შიდა პროვინციებში გადასახლდა. ამ სამწუხარო ფაქტში ორივე იმპერიამ, ჩრდილოურმაც და სამხრეთულმაც თითქმის თანაბრად დაიდეს წილი. მუჰაჯირობის, ანუ გადასახლების ფაქტი საქართველოსთვის იყო ტრაგიკული ფურცელი, თორე, ოსმალეთსაც და რუსეთსაც თითქმის თანაბრად აწყობდა.

მუჰაჯირებად წასული ქართული მოსახლეობის შთამომავლები დღეისათვის ძირითადად ცხოვრობენ მარმარილოს ზღვის რეგიონსა და სამხრეთ შავი ზღვისპირეთის მხარეში. ცხოვრობენ აგრეთვე ერთეული სოფლების სახით თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა მხარეში და ამ ქვეყნის დიდ და პატარა ქალაქებში. ამჯერად საუბარი გვექნება სამხრეთ შავი ზღვისპირეთის რეგიონზე, სადაც ქართული მოსახლეობის განსახლების არეალი იწყება გირესუნიდან და მოიცავს საგუბერნიო და რაიონულ ქალაქებს ფაცას, ორდუს, უნიეს,

ჩარშამბას, სამსუნს, სინოპს, ერფელეკს, ჩაიბაშს, სალიფა-ზარს, კასტამონუს და მათ სოფლებს.

ექსპედიციის განმავლობაში გავიარეთ ეს მარშრუტი თავიდან ბოლომდე, მოვიარეთ აქაურობის კუთხე-კუნჭული. ერთი წუთითაც არ გვტოვებდა იმაზე ფიქრი, რომ საქართველოს ძლიერების ხანაში, თამარის ლაშქრობამ, 1204 წელს ძღვევამოსილად „მოიარა“ ეს მხარე და ქალაქები მაშინდელი დასახელებით: ტრაპიზონი, კერასუნტი, კოტიორა, ჰერაკლია, სამსუნი, სინოპი. ძღვევამოსილმა და ქველმა თამარმა აქ დააარსა ბუფერული სახელმწიფო საქართველოსა და ბიზანტიას შორის, - ტრაპიზონის იმპერია, ქართული სამეფო კარის ნათესავების, კომნენოსების ხელმწიფეობით. სწორედ ეს სახელმწიფო დაეცა ბოლოს ოსმალეთის სულთნის მეჭმედ მეორის შემოტევის შედეგად, 1461 წელს. ახლა კი ჩვენ მიმოვიარეთ თურქეთის აყვავებული და ბევრი რამით მაგალითის ასაღები რესპუბლიკა ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ეთნოგრაფიული შესწავლის მიზნით.

თუ შავშეთ – იმერხევისა და ზოგადად ტაო-კლარჯეთის, აგრეთვე მარმარილოს ზღვის რეგიონის ქართველთა შესახებ ჩვენს საზოგადოებას მეტი ინფორმაცია აქვს, სამხრეთ შავი ზღვისპირეთი აქამდე ნაკლებად ექცეოდა მკვლევართა და საერთოდ ქართული საზოგადოების ყურადღების სფეროში.

შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენთვისაც სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ასეთი დიდი ქართული დიასპორის არსებობა თურქეთის ამ მხარეში. ჩვენი გამოთვლებით და იქაური კოლეგა მეგობრების ინფორმაციის შეჯერებით, აქ ქართველებით დასახლებული 200 – მდე სოფელია. ამის გარდა, ჩვენებურები ცხოვრობენ შესაბამის საგუბერნიო, თუ რაიონულ ცენტრებში. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ უმეტეს შემთხვევაში ორივე ადგილზე არიან დაფუძნებულები: ქალაქშიც ცხოვრობენ და სოფლებთანაც ინარჩუნებენ კავშირს, – აქაცა აქვთ სახლკარი და ენევიან სამეურნეო საქმიანობას, რეგლამენტირებული, შეზღუდული მასშტაბით.

მუჰაჯირებმა უმძიმესი წლები გამოიარეს, მიდიოდნენ უმძიმეს პირობებში, – მოდიოდნენ გემებით, ურმებით, ფეხი-

თაც. მიდიოდნენ და თან მიჰქონდათ აუცილებელი, ის მონაგარი რაც შეეძლოთ ეზიდათ. მათი მთავარი იმედი იყო ერთმანეთის თანადგომა და ის ტრადიციული გამოცდილება მეურნეობაში, ხელოსნობის სახვადასხვა დარგში, ის შრომითი ჩვევები, რაც წინაპრებისგან ჰქონდათ გადმოცემული. უახლესი მიზანი იყო ახლად დაფუძნებულ ოჯახებს მარტივად რომ ვთქვათ, თავი გამოეკვებათ. ამიტომაც იყო, რომ სოფლისათვის ახალი ადგილის შერჩევისას პრიორიტეტი ძველის მსგავსი ადგილების შერჩევა.

მთავორიანი და ტყიანი ადგილებიდან წამოსულ მუჰაჯირებს გაუჭირდათ ზღვის ნაპირებზე დასახლება. ასე იყო გემლიქში, ასე იყო საფანჯაში (მარმარილოს რეგიონი), ასე იყო აქაც. თავიდან ზღვის ნაპირზე სცადეს დაფუძნება, კომუნიკაციებთან ახლოს,- გირესუნში, ორდუში... მაგრამ ამ შემთხვევაში საჭირო იყო კლიმატთანაც შეგუება და სამეურნეო კულტურათა სტრუქტურის შეცვლაც. ამიტომ იყო, რომ ხულო-შუახევის ჰავას შერჩეული მუჰაჯირები ზღვასთან ვერ გაჩერდნენ. მუჰაჯირთა შთამომავალი ისმეთ მიდელაშვილი გადმოგვცემს: „ ძალიან ცხელოდა, კოლო, იყო, ავადმყოფობა (მალარია) იყო.“- იქ ვერ გაჩერდნენ და ახლოსვე, მთებში აინაცვლეს.

სამხრეთ შავი ზღვისპირეთის რეგიონში გავრცელებული საცხოვრისის ტიპს წარმოადგენს ვერტიკალურად ნაშენი ორსართულიანი ხის, ანუ შეშის სახლი, რომელიც ცხადია გადატანილია მთიანი აჭარიდან გადასული მუჰაჯირების მიერ. გადასახლებულ ჯგუფებს შორის როგორც წესი სახლის ამგები ოსტატები, უსტებიც იყვნენ. სახლების აგება ურთიერთ დახმარებით, ნადის საშუალებით ხდებოდა. ოსტატის ზედამხედველობის ქვეშ ტყეში ამზადებდნენ სახლის მასალას, მოჰქონდათ სოფელში და იწყებდნენ მისგან სათანადო მასალის დამზადებას. უწინარესად გაიმართებოდა ხარაჩო „საზედაო“ ხერხისათვის. ხერხის ვერტიკალური მოქმედებით ხდებოდა სახლისთვის ფიცრების „დახევა“, აგრეთვე ამზადებდნენ საკედლე აფრებს, ანუ ბოყვებს და სარტყლებისათვის მუხის დირებს. განსაკუთრებით მძიმე და შრომატევადი პროცესის დროს, თანაბარი რიტმის დაცვისათვის.

მთებში ანაცვლებულმა ისმეთ მიდელაშვილის წინაპრებმა სოფელსაც შესაფერისი სახელი დაარქვეს:,- თეფე-ქოი, ბორცვების, გორების სოფელი. არადა, გზით 20 კილომეტრია ზღვიდან, მოკლეზე კი შვიდი. აქ წყაროც იყო და დელეებიც, ტყეც ნაცნობი ჯიშების შემადგენლობით და სახნავი მდელოებიც; საახოე და სახოდაბუნე ადგილებიც. ახალ ადგილებზე დაითესა მარცვლეული: უპირატესად ხორბალი, ქერი, ღომი; ზღვის სიახლოვეც ბრინჯიც. გამართეს ბოსტანი ყველა ცნობილი ბოსტნეულით, ქართოფათი (კარტოფილით), ანუ მინიხაპათი, როგორც მას იმერხევში უწოდებენ.

მუჰაჯირებმა დარგეს მრავალწლოვანი ხეხილის ნარგავები. ხეხილის ჯიშებად ადგილობრივიც შეარჩიეს და თანაც წამოიყოლეს მშობლიური სოფლებიდანაც: მსხალი, ვაშლი, ლეღვი, ყურძენი...

მთხრობელები განსაკუთრებით მსხალს ასახელებენ,- ხეჭეჭურს, ბათუმურას. ამ უკანასკნელის ნაყოფი დიდი ზომით გამოირჩეოდა, ორი მუშტის ხელა იყო, გვიამბობენ. ყურძნებიდან, რატომღაც იზაბელას მიაქციეს გამორჩეული ყურადღება. რა ფაქტორმა მოახდინა ამ მოვლენაზე გავლენა? კლარჯეთში, სადაც ისტორიულად მევენახეობა-მეღვინეობის დიდი ტრადიციები არსებობდა, ისლამის შემოსვლის შემდეგაც შემორჩა რამდენიმე ჯიში, საბადაგედ და საშერბეთედ. მუჰაჯირების გადასახლების დროს, კი აქცენტი რატომღაც ახლად შემოსულ იზაბელაზე გაკეთდა, რომელიც გემოვნური თვისებებითაც აკმაყოფილებდა და სურნელებითაც. თანაც გამძლე აღმოჩნდა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს შემოსული ვაზის დაავადება ფილოქსერას მიმართ. შედეგად: პარადოქსია, მაგრამ რეალობა ისაა, რომ მარმარილოს ზღვის რეგიონშიც და შავი ზღვის ნაპირებშიც გურჯი უზუმი, სწორედ იზაბელაა. ასეც აღნიშნავენ: „სოფელში რომ შეხვალ, თუ იზაბელას სურნელი გეცა, ქართველი სოფელია, გურჯი სოფელია“.

შეიძლება მცირე ანალიზი გავაკეთოთ იმასთან დაკავშირებით, რომ მუჰაჯირების პირველი თაობიდან დაწყებული, რამდენიმეჯერ შეიცვალა სამეურნეო კულტურების

პრიორიტეტი. სამეურნეო ყოფიდან „ამოვარდა“ მარცვლეული კულტურები ხორბალი, ქერი, ღომი, ბრინჯი. პოზიციებს ბოლომდე ინარჩუნებდა სიმინდის კულტურა, რომელიც თავის ახალ მეზობლებსაც გააცნეს.

როგორც აკადემიკოსი სერგი ჯიქია აღნიშნავდა, „სოფლის მეურნეობის დარგში, ქართველებმა, მათ შორის ლაზებმაც, რომლებსაც მალალი სამინათმოქმედო კულტურა ჰქონდათ, აღმოსავლეთ ანატოლიაში გაავრცელეს როგორც სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ისე მინის დამუშავების გაუმჯობესებული მეთოდები. უეჭველია, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის ერთ-ერთი უმთავრესი სასოფლო-სამეურნეო კულტურა – სიმინდი, ანატოლიის ამ ნაწილში თურქებმა ლაზებისგან გადაიღეს. თურქულად სიმინდი გამოითქმის როგორც „ლაზოთი“, რაც ნიშნავს ლაზურ მცენარეს. (ჯიქია: 227)

სიმინდის კულტურის მეზობლებისათვის გაცნობასთან ერთად, აგრეთვე გააცნეს მისგან დანზადებული ნაცხობი, მჭადი და მისი გამოცხობის საშუალება კეცი. კეცს, ისე როგორც საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთში, აქაც ქალები ამზადებდნენ. მეზობლებს თავიდან მუჰაჯირებისგან მიჰქონდათ კეცები, შემდგომში, ზოგიერთ შემთხვევაში, თვითონაც უსწავლიათ და დაუნყიათ მისი დამზადება.

ამჟამად სიმინდის ნათესები შემცირებულია საოჯახო საჭიროების დონემდე. სიმინდისაგან და განსაკუთრებით ყველა სხვა კულტურებისაგან გამონთავისუფლებელი ფართობები 30-50 წელია დაიკავა თხილმა, თხილის კულტურამ. როგორც აქაურები იტყვიან, „თხილს ხალხი მოჰყვა“, ანუ ხალხი მოაბრუნა სოფლისაკენ. რადგანაც მსოფლიო ბაზარზე გაიზარდა თხილზე მოთხოვნილება და შესაბამისად შემოსავალის გაზრდის საშუალებაც. თხილისნაყოფის მოყვანისათვის და აქ ჩასატარებელი აგრო- სამეურნეო საქმიანობისათვის 4-5 თვეა საჭირო...

საოცარ სურათს წარმოადგენს თეფექოის, სალიფაზარის, დეირმენჯილეს და ფაცა-ორდუ-უნიეს სხვა სოფლების პეიზაჟი,- არა თუ ვაკე სავარგულები, არამედ გორაკ-ბორ-

ცვებიც ბუჩქნარების ნაცვლად თხილის ნარგავებით არის დაფარული. თუ ამ პროცესს შევადარებთ დასავლეთ საქართველოს, კოლხეთის დაბლობის ვაკესა და მთისწინეთში არსებულ ტენდენციებს, მსგავს მოვლანას დავაფიქსირებთ. აქაც მოსახლეობამ უფრო რენტაბელურ და შემოსავლიან თხილის კულტურაზე გააკეთა აქცენტი. თუმცა, ჩვენთან სხვა მიმართულებაც მიიღო სამეურნეო კულტურის შეცვლის პროცესმა. ქართულ მოსახლეობასთან ერთად, ყოფილი საზოგადოებრივი მეურნეობების ფართობებზე, ამ კულტურის პლანტაციები გააშენეს იტალიელმა და სხვა ქვეყნების მენარმეებმა. ერთი სიკეთე ის არის, რომ აქ ადგილობრივი მოსახლეობაც არის დასაქმებული.

ზოგადად ვიტყვით, რომ მეოცე საუკუნის გარდამტეხი პროცესები ყველა სფეროსთან ერთად, სოფლის მეურნეობის სფეროსაც შეეხო, თუნდაც სამეურნეო კულტურათა სტრუქტურის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო და თურქეთი აბსოლუტურად იზოლირებულნი იყვნენ ერთმანეთისაგან, სხვადასხვა სამყაროში და საზოგადოებრივ წყობილებაში ცხოვრობდნენ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ტენდენციები სამეურნეო კულტურების პრიორიტეტული ცვლის მიმართებით, მსგავსი სქემით განვითარდა. ასე მოხდა იმ რეგიონებშიც, სადაც ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ. უწინარესად ცეტრალიზებული მომარაგებისა და კომერციული სტრუქტურების განვითარების კვალდაკვალ, მოსახლეობის სამეურნეო კულტურების სტრუქტურებიდან, მარცვლელური კულტურები როგორც აქ იტყვიან „ადგა“, ანუ შეწყვიტეს მისი მოყვანა და აქცენტი როგორც აღვნიშნეთ, სიმინდის კულტურაზე გადაიტანეს, ხოლო შემგომ, პრიორიტეტულად იმ კულტურაზე, რომელიც ყველაზე ოპტიმალური შემოსავლით რენტაბელური იყო ამ კუთხისათვის. ანუ მოხდა დარგობრივი სპეციალიზაცია არა მხოლოდ აქ, არამედ მთელი თურქეთის მასშტაბით, – დარგობრივი სპეციალიზაცია იმ კულტურების პრიორიტეტო, რომელიც ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატუ-

რი პირობების თვალსაზრისით ყველაზე რენტაბელური იყო ამა თუ იმ ოლქისათვის.

დარგობრივი სპეციალიზაცია იგრძნობა თურქეთში საზღვრის გადაკვეთისთანავე. მთელი ლაზეთი, ხოფადან დაწყებული რიზეს ჩათვლით, ჩაის პლანტაციებით არის დაფარული. ჩაის ბუჩქებს უკავია, შედარებით მიუვალი გორაკ-ბორცვიანი ადგილები და იგი დღევანდელი ლაზეთის ლანდშაფტის განუყოფელი ნაწილია. არადა, ეს კულტურა ლაზეთში და ზოგადად თურქეთში საქართველოდან, ჩაქვიდან შევიდა. ჩაის ფოთლის ჩაბარება ორგანიზებულად წარმოებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების, ანუ ბელდიეების მიერ. ყველა სოფელში გამართულია ჩაის ფოთლის მიმღები, ასანონი და საშრობი პუნქტები. შემდგომი გადამუშავებისთვის კი აქედან ქალაქ რიზეში იგზავნება. რიზე კი მთელ თურქეთში ჩაის წარმოების „დედაქალაქია“, და მთელ ქვეყანას, სადაც წარმოუდგენლად ბევრი ჩაი მოიხმერება, მცირე ფართობის მქონე ლაზეთის კუთხე ამარაგებს. შიგადაშიგ, თანდათანობით მას კივის კულტურა ანაცვლებს, რომელიც აგრეთვე სიახლეა მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში. შემდეგ კი გირესუნიდან დაწყებული, როგორც აღვნიშნეთ, თხილის კულტურაა პრიორიტეტული. ჩარშამბა-ალაჩამიდან დაწყებული კი, მას შაქრის ჭარხლის კულტურაც ემატება... ასევეა მთელი თურქეთის მასშტაბით: ქართველი მუჰაჯირების შთამომავლებით დასახლებული ბურსა – გემლიკი ზეთისხილის „ქვეყანაა“, იელოვა ფსტით, ამასია,- ხორბლის ყანებითაა ცნობილი, ხოლო თოსიას ვაკეები ბრინჯის კულტურით. ასეთი სპეციალიზაციით, თურქეთის სოფლის მეურნეობამ საგრძნობ წარმატებას მიაღწია და სრულად აკმაყოფილებს თავისი პროდუქტებით ამ ქვეყნის 80 მილიონიან მოსახლეობას.

მუჰაჯირებმა დიდი მუყაითობით, გამრჯე საქმიანობით, ერთმანეთის თანადგომით რამდენიმე წელში სერიოზული მეურნეობა გამართეს. თანდათანობით მოხდა მათი როგორც სამეურნეო, ისე ყოფითი ადაპტაცია. დაამყარეს კავშირ-ურთიერთობა ადგილზე დამხვედრ, მეზობელი სოფლის,

თუ მეზობელი ხეობის მოსახლეობასთან. აღვნიშნავთ რომ , მეზობლებთან ურთიერთობა, ყოველთვის ჰარმონიული არ იყო. ჩამოსულები იმდენად შემართულები, მობილიზებულნი და „შეკრულები იყვნენ“, რომ ვაგლახად დამხვდურები ბევრს ვერაფერს ერჩოდნენ. პირიქით კი იყო, ერიდებოდნენ და რაც უფრო მრავლდებოდა ქართველობა, მით უფრო „ბეჩდებობნენ“ ისინი,- „ჰემ ბოლოკაებ, ჰემ კუდიანებ ვეტყოდთ...თავიდან ერმენებიც იყვნენ, რუმებიც... თავიდან კი ნევიკინკლებდით ხოლმე, მერე და მერე აღარ“ .

გაიმართა საოჯახო მეურნეობა. საცხოვრებელზე ზემოთ გვქონდა საუბარი და აღვნიშნეთ, რომ თავიდანვე, ერთობლივი ძალებით, თანადგომით, შრომის კოლექტიური ორგანიზაციით,- ნადის საშუალებით ააგეს კიდეც მამაპაპური, ტრადიციული საცხოვრებლები,- აჭარული, იმერხეული, ლაზური. იყო გამონაკლისი შემთხვევები, რომ სახელდახელოდ, დროებით სახლებს წნელით „მოქსოვდნენ და ეწერს (გვიმრას) წააფარებნენ“, თუმცა, ვიმეორებთ, სახელდახელოდ. მომდევნო წელს კი იწყებდნენ მკვიდრი საცხოვრებლების აგებას.

სიმინდის კულტურის თანმდევია ტაროების გამოსაშრობი და გასახმობი სასიმინდე, ნალია. აქ ღომის თაველებიც შრებოდა. სამხრეთ შავიზღვისპირული ნალიები აჭარულის მსგავსია, ნაკლები ყურადღება ექცეოდა მის დეკორატიულ გაფორმებას, ლაზურისაგან განსხვავებით. იმისათვის, რომ ჰაერს თავისუფლად ემოძრავა და იქ მოთავსებული მოსავალი დასაცეხვ-დასაფქვავად კონდიციაში მოსულიყო, სპეციალური ლიობები ჰქონდა, მცირე ზიმის რიკულების სახით. როგორც აჭარაშიდა როგორც ლაზეთში, ნალიას აუცილებლად ჰქონდა მღერღნელების შეღწევის საწინააღმდეგო საშუალება,- მრგვალი „ორგოები, მურგვალეები, თექერები“. ერთი ასეთი ნალია ქაბახტაში დავაფიქსირეთ, ფაცას რაიონში, ომან გენჩიოღლუ კენჭიშვილის კარმიდამოში. მისი ხნოვანება მუჰაჯირების მოსვლის პერიოდს ემთხვევა, პირველ-მოსახლეების გაკეთებულია. ცხრა სვეტზეა შემდგარი და აქ, ქაბახტაშივე დამზადებული კრამიტითაა გადახურული.

შედარებით განსხვავებული მდგომარეობა დავაფიქსირეთ ერფელეკის ილჩეში. საინტერესოა, რომ აქ, მოსულ ქართულ მოსახლეობას გადახურვის, ბურვილის მასალად არც მეტი, არც ნაკლები, – სიპი ჰქონდა გამოყენებული. სიპით გადახურვა, თითქმის ისეთი, როგორც საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთის მთაშია მიღებული,- თუშეთში, ხევსურეთში, სვანეთში... ამდენად საოცრად მოულოდნელი იყო სიპით გადახურული საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ხილვა ერფელეკის სოფელ ინჯემეიდანში, ჰამიდიეს, ანუ მეიდანჯიკ მეჭელეში. სიპის ტკეჩებით გადახურვა სრულიად სინოპის ილჩეში იყო გავრცელებული, ამას როგორც ჩანს, ხელს უწყობდა აქ შესაბამისი კლდის ქანებიც. ძნელი სათქმელია სიპით გადახურვა, ბერძენმა მოსახლეობამ დაიწყო თუ თურქებმა, მაგრამ ფაქტია, ფიქლით გადახურვა ადგილობრივი ოლქის, მათ შორის, გამორჩეულად ერფელეკის ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა.

ერფელეკის ერთ-ერთ სარეკრეაციო ადგილზე, ერფელეკის ჩანჩქერთან გამართულია ნისქვილი, ახლად აგებული და ტრადიციის მინიშნებისათვის სწორედ ფიქალის ქვით გადახურეს. როგორც ვთქვით, ასეთი ბურვილით გადახურვა ქართველი ახალმოსახლეების ერთმა ნაწილმაც დაიწყო. მაგალითად სინოპის ილჩეში ერფელეკის რაიონში პირველ მოსახლეების ძველი სახლებიც, ნალიებიც და ნისქვილებიც ფიქლის ტკეცებით იყო გადახურული. – მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გადახურვა მძიმეა(ამიტომ, ძველი ნაგებობების ერთი ნაწილი ჩაქცეულია), ეტყობა, გადმოსახლების პირველ ხანებში იგი უფრო ხელმისაწვდომი იყო და ახლომდებარე კლდეებში და კარიერებში მოიპოვებდნენ. თუმცა, თანდათან ყველასთვის ნათელი გახდა კრამიტის უპირატესობა და სიკეთე. შესაბამისად, ახალი სახლების გადახურვაში მეორე ტაობამ უპირატესად კრამიტს მისცა.

ნისანდობლივია, რომ სასიმიინდე, ნალია დგას ქალაქ უნიეს ცენტრში, ზღვისპირა პარკში, როგორც სიმბოლო აქაური ქართული წარმომავლობის მოსახლეობის ისტორიული ფესვებისა. სხვათა შორის იგივე სიმბოლური დატვირთვა

აქვს მის შორიახლოს, აგრეთვე ზღვიპირა სანაპირო სკვერში მოწყობილი დასავლურ ქართული, კოლხური კარმიდამოს, ტრადიციული კოლხური ოდითვე. უნიეში, რომლის მოსახლეობის უმეტესობა ქართული წარმომავლობისაა, ზღვიდან ქალაქს და სანაპიროს იცავდა მკვიდრად ნაგები ციხე სიმაგრის ქვითკირის კედელი – ზღუდე, რომელიც თავდგირიძეების აგებული ყოფილა. უნიეს გარეუბანში, კეთილმოწყობილ მამულში თავდგირიძეების შთამომომავალს, ქალბატონ აიშე ხაზნადარ თავდგირიძეს შევხვდით, რომელიც აღნიშნავდა, რომ უნიე-ფაცას მამულები ამ გვარს, სულთანმა ერთგული სამსახურისათვის ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის 30-40 იან წლებში უბოძა. სწორედ ამის გამო როდესაც 1877-1878 წლების შემდგომ ალი ფაშა თავდგირიძემ დატოვა ჩურუქსუქობულეთი, თან წამოიყვანა მუჰაჯირებად ათას ხუთასი ოჯახი, სწორედ აქ, ფაცა-უნიეში და მიმდებარე ხეობებში, თავის მამულებში დაასახლა ისინი თავიანთი ოჯახებით.

საერთოდ, ახალ დგილზე დაფუძნება, ახალ გარემოს შეგუება, სამეურნეო-ყოფითი ადაპტაცია, პროცესია, რომელსაც წლები სჭირდება. ამ პროცესში, ზოგი რამ ქართულმა მოსახლეობამ შემოიტანა, მეზობლებმა გადაიღეს, აითვისეს. ზიგი რამ კი აქაური შეინავლეს. ეს შეეხება სამეურნეო კულტურებს, საოჯახო და სამეურნეო ინვენტარს, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს, კვების კულტურას...

ქართველმა მუჰაჯირების ზოგიერთი მარცვლეული კულტურის დანერგვას (ლომი, ფეტვი), როგორც მარმარილოს ზღვის რეგიონში, ისე სამხრეთ შავი ზღვისპირეთში თან მოჰყვა მათი თანამდევნი სამეურნეო ნივთების შემოსვლაც. ასეთი იყო მათი საცეხვი საშუალება, ქვის ან ხის ჩამური, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში საძიგველის სახელწოდებითაა ცნობილი. საქართველოსი საცეხველების სამი ტიპი არსებობდა,- ხელის, ფეხის და წყლის. საცეხველები მეოცე საუკუნის პირველ ნახევრამდე თითქმის მთელ დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული სახელწოდებით ჩამური, დინგი, საძიგველი.

ასეთი საძიგველები ჩვენ დავაფიქსირეთ ფაცას რაიონის სოფელ ქაბახტაში ოსმან გენჯოლლუ კენჭიშვილის და უნიეს რაიონის ჩათალფინარში ოსმან ოზთურქი ხახუტაიშვილების ოჯახებში.

1. საძიგველი (ჩამური). ქვის, მასიური, ერთ ქვაში ამოკოდლი. მახევარ სფერული ფორმის. ზომები: სიმაღლე 60 სმ, პირის დიამეტრი 75 სმ. დაცული ოსმან კენჭიშვილის კარ-მიდამოში.

3. Кауфман Н. Я. Народни песни на българите от Украинска и Молдавска ССР: [в 2-х т.] / Н. Я. Кауфман. – София: БАН, 1982. – Т. 1. – 720 с.; Т. 2. – 944 с.
4. Куртев Л. За сурва и песните в живота на Евдокия Карастоянова / Л. Куртев // Роден край. – 14 януари. – 2012. – № 2 (1072). – С. 4.
5. Ноздрина Л. Ф. Фолклор болгарских сел Бердянского района Запорожской области (к 150-летию переселения болгар из Бессарабии в Таврию) / Л. Ф. Ноздрина. – Запорожье: Дикое Поле, 2010. – 88 с.
6. Христов В. Песня – душа народа / В. Христов // Роден край. – 2003. – № 18. – С. 6.
7. Червенко О. Б. Болгарський фолклор Північного Приазов'я / [збир. та упор. О. Б. Червенко]. – Бердянськ: БДПУ, 2012. – 126 с.

Translation by Tatyana Shevchinskaya

Наталия Лазба

К НЕКОТОРЫМ ВОПРОСАМ МАХАДЖИРСТВА АБХАЗОВ

Кавказ своим геостратегическим положением с древнейших времен привлекал к себе внимание сильных держав. На протяжении веков правители разных государств совершали попытки установить над ним господство. За последние двести лет значительная часть Кавказа оказалась эпицентром ожесточенного и бескомпромиссного военно-политического соперничества России, Англии, Франции, Османской империи, Ирана. События, происходившие в этом регионе в XIX-XX веках (Кавказская война 1817-1864гг., массовая департация коренных этносов, колонизация их стран, перекраивание этнических и политических границ, репрессии против целых народов и т.д.), явились детонатором военно-политических столкновений, этнодемографических и культурных процессов.¹

Необходимо отметить, что в конце XV века Османская империя активизирует свою политику непосредственно на Черноморском побережье Кавказа и, в 1454 году турецкий флот впервые атакует Севастополь (Сухум). Значение Абхазии для Османской империи было велико. Связано это было с укреплением позиций России в бассейне Черного моря и на Кавказе. Следствием чего стало строительство военных крепостей на побережье (напр., Анапы, построенной в 1781 году по приказу Абдул-Хамида I(1774-1789) при содействии французских инженеров).

Российская империя, в свою очередь, придавала весьма важное значение установлению своего господства на Кавказе. Энергично развивающаяся в тот период экономика страны нуждалась во внешних рынках, а новые захваченные земли – защите. Именно для этой цели Екатерина II (1762-1796) учредила Черноморское и Казачье линейные казачьи войска, которые позже преобразовались в единое Кубанской казачье войско. Следует отметить, что позже, царизм все время сталкивал горцев с казаками, считая, что казаки будут в

хорошей «боевой форме», о чем очень часто и открыто говорил Николай II (1868-1918).

По мере покорения горцев и их переселения на равнину среди населения усиливаются эмиграционные настроения, которые положили начало массовому переселению народов Кавказа.

На разных этапах переселенческая проблема превращалась в важную составную во внешней и внутренней политики как России, так и Османской империи.

В правительстве Российской империи существовали два подхода к решению проблемы покорения Кавказа. Сторонником одного из них был генерал Филипсон¹, который предлагал культурно освоить Кавказ: построить школы, дороги, приобщить местное население к русской культуре. Сторонником другого, силового, решения был генерал Барятинский¹, он предлагал силой оружия покорить Кавказ, непокорных – уничтожить, а оставшихся в живых выселить в болотистые земли Кубани или в Турцию.

В конце русско-кавказской войны (1817-1864гг.), в целях окончательного покорения Абхазии и всего Кавказа, царизм приступил к активной реализации плана насильственного переселения «ненадежного» коренного населения страны абхазов за пределы исторической родины, известного в народе под арабским термином «махаджирство» – «выселение». Главной целью, которую преследовал царизм было с одной стороны избавление от «непокорного» населения, а с другой – получение обширных земель для колоннизации.

Необходимо отметить, что данный процесс проходил в такой исторической обстановке, когда царизм переживал весьма тревожный, связанный с подъемом недовольства народных масс в стране. В такой обстановке правительство спешило решить с начала «кавказскую» проблему, с тем, чтобы впоследствии все силы направить на решение внутренних проблем.

На начальном этапе переселенческой политики царские власти не обязательно выселяли горцев в Османскую империю, была тенденция переселения их в районы Ставрополя и Кубани. Однако, среди горцев не было желающих переселяться в непривычные условия, к тому же к «гяурам»¹.

Первые попытки выселения абхазов в Османскую империю восходит к началу XIX столетия. В частности, в 1810 году, в связи с вхождением Абхазии в состав России и возникшими на этом фоне разногласиями между представителями абхазской знати, около пяти тысяч абхазов покинуло Родину – переселилось в Османскую империю¹. В дальнейшем, в 20-х – 40-х гг. XIX века, переселенческие процессы повторялись после очередных народных восстаний. Наиболее крупная волна махаджирства была связана с событиями Крымской войны 1853 – 1856 гг., когда, оставленная российскими военными подразделениями на произвол судьбы Абхазия, была оккупирована турецкими войсками с помощью англо-французских сил¹.

О необходимости избавления от горцев еще до окончания русско-кавказской войны писал императору Александру II фельдмаршал А.И. Барятинский: «Без потери времени и насколько возможно выселять в Турцию горцев, а раз страна будет от них очищена, мы утвердим свое положение навсегда»¹.

В последующий период, с 1858 по 1864 гг., из северо-западной части Абхазии было департировано 19 515 человек¹. Пунктами, через которые осуществлялось выселение, стали порты – Сухум, Адлер, Псоу, Сочи, Туапсе, Анапа, Тамань, Керчь, Батум, Поти и т.д.

Проследивая маршрут выселения горцев, историк, участник войны на Кавказе, генерал А.Л. Зисерман с явным сочувствием к последним писал: «Вытесненные шаг за шагом с плоскости в предгорья, с предгорья в горы, с гор к морскому берегу, полумиллионное население горцев перенесло все ужасы истребительной войны, страшные лишения, голод, поварьные болезни, а очутившись на берегу – должны были искать спасения в переселении в Турцию»¹.

Причиной последующей волны массового переселения стали события, связанные с лыхненским выступлением. 26 июля 1866 года в селе Лыхны¹ состоялся семитысячный народный сход. Поводом к возмущению явилась подготовка к проведению здесь крестьянской реформы. Участник этих событий князь Георгий Шервашидзе (Чачба) писал по этому поводу: «Объявление манифеста народу на почве крепостной зависимости, не существовавшей в этом народе, следовательно,

неприменимой к нему, являлось всецело непростительной ошибкой со стороны чинов администрации». Он также отмечал: «Чиновники и ближайшее начальство, которым было поручено введение реформы, не потрудились даже изучить условия сословных отношений страны. Дело в том, что в Абхазии официально не существовало крепостной зависимости... Народ никак не мог понять, от кого и от чего его освобождают».

Фактически власти не разобрались в социально-бытовых и сословных особенностях абхазского уклада жизни и спровоцировали народное волнение. Главная ошибка администрации заключалась в том, что она не желала замечать местных особенностей этой небольшой страны, внутренняя жизнь которой, в отличие от России и Грузии, была лишена крепостнических отношений. На сходе в Лыхны представители царской власти в очень грубой форме объявили, что народ освобождается от своих господ за определенный выкуп. Крестьяне «анхаю» (основная масса населения), считавшие себя свободными, возмутились, а князья и дворяне оскорбились, что они, оказывается, «владеют» не свободными людьми, а «рабами», с которыми были связаны молочным родством (аталычеством).

Таким образом, начиная с 1866 г., после упразднения Абхазского княжества и Лыхненского восстания, жизнь всего абхазского народа, и в особенности сохранившей мусульманское вероисповедание части, становится все более тяжелой. Один из самых вопиющих при этом фактов – придание всему абхазскому народу статуса «виновного», ставящего в вину простым людям то, что они хотели спасти свою родную землю от власти царских интервентов и сохранить свободу. Ярлык «виновных» еще долго будет тяготеть над абхазами, а чиновники царской администрации использовать это обвинение при любом случае¹.

Следующий, последний этап выселения абхазов в Османскую империю непосредственно связан с русско-турецкой войной (1877-1878 гг.). Абхазия превратилась в театр жесточайших боевых сражений двух великих империй XIX столетия.

Причин, спровоцировавших массовый исход абхазского народа, множество. Необходимо отметить и активную пропа-

гандистскую политику, проводившуюся Османской империей, которая выступала покровителем мусульманских народов, стремясь завлечь на свою территорию как можно большее число горцев. Османская империя к данному периоду столкнулась с проблемой нехватки населения. По указу султана I (от 9 марта 1857), миграция на территорию Османской империи объявлялась свободной и открытой для любого, желающего принять ее подданство. Он предусматривал защиту поселенцев от любых религиозных преследований и свободу вероисповедания. Кроме того, поселенцы могли получить разрешение от султана на постройку церквей или других религиозных учреждений, в зависимости от их веры и убеждений. Правительство обещало предоставлять переселенцам лучшие земли и освободить их от всех налогов и службы в армии на 6 лет, в том случае, если они поселились в Анатолии. Поселенцы не могли продать землю в течение 20 лет, а если они решали покинуть страну, то должны были вернуть землю турецкому правительству.

Активную политику среди абхазского населения, проводили турецкие агенты-авантюристы. О действиях таких лиц в Абхазии писал французский коммерсант Поль Гибаль: «Они стремились обращать в магометанство как можно больше абхазов и особенно стараются поддерживать и разжигать у местных жителей враждебные чувства по отношению к русским», внушая им, что рано или поздно последние уйдут из Абхазии. Они сочиняли и иные небылицы; и это делали «в своих собственных интересах и в интересах своей страны». А султанская Турция на население Абхазии и всего Западного Кавказа всегда смотрела, лишь «как на боевой материал, которым можно было во всякое время пользоваться в целях чисто турецкой политики».

Необходимо отметить, что преступную роль играли, помимо уже известных протурецких элементов, местные князья и дворяне, власть и влияние которых были в значительной степени ограничены, особенно буржуазными преобразованиями 60-70-х годов в Абхазии, те феодалы, которые, заняв антирусскую позицию, боролись за восстановление старых феодально-патриархальных устоев, как это имело место и на всем Северо-Западном Кавказе. Некоторые же из них, по той или иной причине, не ужившись с царскими администраторами

или просто провинившись перед последними, избегали неминуемого наказания. Эти помещики, стремясь таким образом сохранить свои феодальные права и привилегии, удалялись в султанскую Турцию, в деспотическом строе которой многие из них видели идеал политического и религиозного устройства. Будучи безразличными к судьбе родины, они всячески подстрекали к переселению обманутых ими крестьян, при этом широко пользуясь бытовавшими патриархально-феодальными отношениями и родовыми институтами.

Таким образом, карательными мерами царского самодержавия и политикой Османской империи в течение нескольких лет были опустошены Северо-Западная и Центральная Абхазия (современный Адлерский, Гагрский, Сухумский и Гулрипшский районы). В этих регионах исторической Абхазии полностью исчезли этнографические группы и территориальные общины абхазов: садзаа (приморские – халцисаа, горные – аибгаа, ахчипсаа, цвиджаа и др.), псхуаа, гумаа, цабалаа, далаа и др. Лишь в небольшом количестве, в виде отдельных этнических анклавов, остались бзыбаа, абжуаа и мырзаканаа.

Опустевшие земли Причерноморья стали в спешном порядке заселяться колонистами, всячески поощряемыми администрацией. Важным условием при этом было христианское вероисповедание, и тысячи вновь прибывших русских, армян, греков, болгар, эстонцев, немцев и т.д. принялись «осваивать» новые земли. Переселенцы освобождались от повинностей, им предоставлялись различные льготы, но при этом они должны были быть лишь христианами.

Массовым выселением за пределы исторической родины абхазскому этносу, его генофонду был нанесен невосполнимый урон. К.Д. Мачавариани о махаджирах писал: «Любили ли абхазы свою землю, свою родину?» И сам же отвечал: «Да, они любили, коли многие из них при переселении в Турцию брали в мешки горсть земли, чтобы с ней лечь в могилу на чужой земле»¹.

Военные события, развернувшиеся на Кавказе в XIX столетии, гибели десятков тысяч людей, массовая депортация целых народов нанесли непоправимый урон демографическому и этническому развитию коренных народов Кавказа.

ნატალია ლაზბა

აფხაზთა მუჰაჯირობის ზოგიერთი საკითხი

რეზიუმე

აფხაზებმა თავისი ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უმძიმესი ტრაგედია გადაიტანეს, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება მუჰაჯირობის დროს დაატყდათ თავს. სტატიაში სწორედ აფხაზთა მუჰაჯირობის ეს მტკივნეული საკითხებია განხილული.

შენობები, ადამიანები, ისტორიები.....

წინამდებარე სტატია „შენობები, ადამიანები, ისტორიები“ – ძირითადად მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისის პერიოდს მოიცავს, ანუ დროს როცა ბათუმი ოსმალეთის ბატონობიდან რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გადავიდა.

ოსმალეთის ბატონობის ბოლო პერიოდისათვის, ბათუმი აზიური ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებდა უგემოვნოდ ნაგები ხის შენობებით, ვინრო, ჭუჭყიანი ქუჩებით, ცხოვრების ხასიათით. ინგლისური გაზეთი „დეილი ნიუსი“ წერდა, რომ ოსმალებისგან არც შეიძლება მოველოდეთ რაიმე არსებით გაუმჯობესებას ბათუმისათვისო. ქართველი საზოგადო მოღვაწე ნ.ნიკოლაძე გულისტკივილით აღნიშნავდა: „ცოდვა არ არის, ამისთანა ბუნებისაგან მდიდრად დაჯილდოებული ბოლაზი, რომელიც ალებ-მიცემობით აყვავებული და გაბიბინებული უნდა იყოს, ასე ღარიბად გამოიყურებოდეს?“ (უზუნაძე რ., 2001:103).

არც ცდებოდნენ ნიკო ნიკოლაძე და იმ დროის ცნობილი ადამიანები, რომელთაც მიაჩნდათ, რომ ბათუმის განსაკუთრებული სტრატეგიულ-გეოგრაფიული მდებარეობისა და მოხერხებული სანავსადგურო პირობების გამო, გემებს ფოთისა და სხვა საზღვაო პუნქტებში ღია რეიდზე დგომასს, სწორედ რომ ბათუმის ნავსადგურში შესვლა ერჩივნათ.. იგივე ინგლისური გაზეთი „დეილი ნიუსი“ 1878 წელს წერდა: „ბათუმის ნავსადგური ერთადერთი უსაფრთხო ნავსაყუდე-ღია შავი ზღვის მთელ სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე ყირიმამდე“ (უზუნაძე რ., 2001:51). 1878წ. 25 აგვისტოს ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებით დაიწყო დიდმნიშვნელოვანი ეტაპი ბათუმის ისტორიაში. მალე იგი რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი უმსხვილესი სანავსადგურო ქალაქი გახდა. ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადების შემდეგ (1878წ.) კი ქალაქში დაიწყო უცხო კაპიტალის შემოდინება, მრეწველობისა და ვაჭრობის აღორძინება, რასაც

კიდევ უფრო შეუწყო ხელი ქალაქში 1883 წელს რკინიგზის ხაზის, ხოლო 1900 წელს ბათუმ-ბაქოს სანავთობო მილსადენის გაყვანამ, გაიზარდა უცხო ქვეყნების, განსაკუთრებით კი რუსეთის სანაოსნო საზოგადოებისგემების მიმოსვლა. ბათუმი მალე გადაიქცა ფაბრიკა-ქარხნების ქალაქად და სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრების რიტმში ჩაერთო.

ნებისმიერი ქალაქი გარდა ყოფა-ცხოვრებისა და ტრადიციებისა, ერთმანეთისაგან განსხვავდება განაშენიანების სტრუქტურით, რაცუპირველესად ადგილმდებარეობით, გარემო პირობებითადა კლიმატის თავისებურებებით არის განპირობებული. ამ მხრივ გამონაკლისს არც ბათუმი წარმოადგენს. ზღვისა და მთის შერწყმული კლიმატის ორმხრივი ცირკულაციის შესანარჩუნებლად, ზღვისპირა ქალაქი კვარტალებად დაიყო, ქუჩები კი ერთმანეთის პარალელურად განლაგდაზღვიდან მთის მიმართულებით.

ქალაქის განაშენიანების უამრავი გეგმიდან 1927 წელს დამტკიცებული იქნა ცნობილი ქალაქმშენის **დიმიტრი სვიშევსკის** მიერ შედგენილი გენგეგმა (რაც ხშირად მახინჯდებოდა, განსაკუთრებით კი ბოლო პერიოდში). ქალაქი სწრაფად ვითარდებოდა. შენობებიც ისევე იცვლებოდა, როგორც დრო და ადამიანები... ხის ნახევრად ნაქცეული ქოხმახები ნელ-ნელა ქვისა და ტანობის შერეული მასალით ნაგებმა ორ, სამ და ოთხსართულიანმა სახლებმა ჩაანაცვლა. ქალაქი თანდათან ლამაზდებოდა და ევროპულ იერს იძენდა.

მკითხველის ყურადღებას ქალაქის რამდენიმე უძველესი შენობისკენ მივაპყრობ, რომლებიც საუკუნეზე მეტია ამაყად დგანან და ბათუმის სავიზიტო ბარათს წარმოადგენენ. ამ მხრივ განსაკუთრებულად მიმზიდველია კ. გამსახურდიასა და მ. აბაშიძის პროსპექტების კუთხე და მიმდებარე ტერიტორია. ამ სახლების შესახებ ბევრი დანერილა და გამოქვეყნებულა, მაგრამ ამჯერად ქრონოლოგიურად მხოლოდ საარქივო წყაროებს გავყვებით...

რუსეთის იმპერიის მიერ შემოერთებულ ქალაქში სხვადასხვა სახელმწიფოსამსახურები ჩამოყალიბდა. 1888 წლის შემდეგ კი (თვითმმართველობის დაფუძნება) ქალაქის განა-

შენიანებაზე ზრუნვა კი თვითმმართველობამ ითავა. საქალაქო თვითმმართველობის ფონდში ქალაქის განაშენიანების საინტერესო მასალებთან ერთად დაცულია ე.წ. ქონების შეფასებითი უწყისები (оценочные ведомости), რომლებიც სხვა არაფერია თუ არა, შენობის მოკლე დახასიათება, თავგადასავალი და ისტორია.

თემასთან მჭიდრო კავშირშია ქუჩების სახელწოდებები, რომლებიც რამდენჯერმე შეიცვალა. ამჯერად სამი ქუჩის დროის სამ პერიოდზე გვექნება საუბარი, ეს დაყოფა პირობითია: შენობის სანყისი პერიოდი, ქვეყნის გასაბჭოება და დღევანდელი მესაბამისად იცვლებოდა ქუჩების სახელწოდებებიც. მაგალითად:

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა – ლენინის ქუჩა-კ. გამსახურდიას პროსპექტი:

მარინეს პროსპექტი -მე-2 ინტერნაციონალის ქუჩა - მ. აბაშიძის პროსპექტი;

ქართული შესახვევი – სანდრო ახმეტელის ქუჩა.

კ. გამსახურდიასა და მ. აბაშიძის კუთხეში (13/23), დღესაც ლამაზდ გამოიყურება შეუღესავი, მოვარდისფერო აგურით ნაგები სამსართულიანი შენობა. ნაგებობა სოლიდური მასშტაბისაა და კარგად აყალიბებს ქალაქის ამ ნაწილის დაგეგმარებით სტრუქტურას. სახლს ბათუმელები ვოლფენზონის სახლის სახელით იცნობენ, თუმცა 1890 წელს შედგენილი შეფასებითი უწყისის მიხედვით, დონდუკოვ-კორსაკოვისა და მარინეს პროსპექტის 14/22-ში მდგარი ორსართულიანი სახლი, ეკუთვნის ინჟინერ ოსინსკის მეუღლეს (ასსცსა, ფონდი ი-6; აღწ.1; საქ.72; ფურც.472). სახლს ჰქონდა სამზარეულო და ე.წ. ЛЮДСКОЙ. 1896 წლის მაისში ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე ოსინსკის მეუღლისაგან სახლი შეიძინა პირველი გილდიის ვაჭარმა შიმონ (სემენოლ) მანაშეს (მანასე) ძე ვოლფენზონმა, რომელმაც ორსართულიანი სახლი კიდევ უფრო გაზარდა მოცულობაში და 1910 წლის შეფასებითი უწყისის მიხედვითაც გამოიყურება: საცხოვრებელი სახლი სამსართულიანი, სარდაფით, ქვის 4-სართულიანი და ხის 2-სართულიანი ფლიგელებით, რომელზეც მი-

შენებულია ხის ორ სართულიანი გალერეა. სახლს ჰქონდა 15 ოთახი, 2 სართულიან ფლიგელს კი 8 ნათელი ოთახი, რომელთა უმეტესობა გამოდიოდა ქუჩისან ეზოს მხარეს (ასსცსა, ფონდი

ი-6; ფონდი ი-6; აღნ.1; საქ.692; ფურც.197-198). სახლი მარინეს პროსპექტის მხრიდან სრულდება ეზოში შესასვლელი თაღოვანი ლიობით, რომელსაც ამშვენებს ლოთნისცხაურიანი ჭიშკარი.

ცენტრალური არქივის ტექნიკური დოკუმენტების ფონდსაცავში დაცულია 1896წ. დამტკიცებული ვოლფენზონის ორსართულიან სახლზე მიშენების პროექტი (ასსცსა, ფონდი გ-6; საქ. 652).

1921 წელს, საქართველოსგასაბჭოების შემდეგ ვოლფენზონის სამსართულიანი სახლი, ისევე როგორც ბევრი სხვა შენობა, დაექვემდებარა მუნიციპალიზაციას და გადაეცა ქალაქის კომუნალურ განყოფილებას. ამ დროისათვის შედგენილი შენობის დახასიათებაში ვკითხულობთ: შენობა არის 3-სართულიანი, სახურავი თუნუქის, აქვს 63 ოთახი, სულ 2397 კვ. არშინი. სავაჭროები სახლში არ არის. სახლს ესაჭიროება კანალიზაციის, ასფალტის ხიდურას, მიწის გალერეის, ასევე მიწიანი ფანჯრების რემონტი-შეკეთება.

1923 წელს შენობაში განთავსდა შრომის სასახლე, ხოლო 1925 წელს, კომგანყოფილების კოლეგიის გადაწყვეტილებით შენობა და მასთან მდებარე ფლიგელი გადაეცა აჭარისტანის პროფკავშირს (ასსცსა, ფონდი რ-9; აღნ.1; საქ.131). ეს არ იყო ერთადერთი დაწესებულება, რომელიც ამ შენობაში ფუნქციონირებდა. სხვადასხვა წლებში აქ განთავსებული იყო აჭარის კულტურის სამინისტრო.

ვოლფენზონის სახლის მარჯვნივ, კ.გამსახურდიასა და მ. აბაშიძის პროსპექტის მეორე კუთხეში (11/20), თავს იწონებს ბათუმის ერთ-ერთი ულამაზესი, რენესანსულ-ბაროკულ სტილში შესრულებული აგურის ნაგებობა. სახლს ორი სადარბაზო შესასვლელი აქვს კ.გამსახურდიას პროსპექტის მხრიდან შენობის ცენტრში და მ. აბაშიძის პროსპექტის მხრიდან შენობის კიდეში. მთელი შენობის ფასადი ცენტრა-

ლურ ქუჩებზე გამოდის. მ.აბაშიძის მხრიდან შენობა პატარა ეზოთი მთავრდება, რომელშიც შენობის ფლიგელში ასასვლელი აჭურულმოაჯირიანი კიბეა აღმართული.

შენობა მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე აშენდა...შენობის ისტორიის გასაცნობად კვლავ შეფასებით უწყისებს გადავხედე. ჯერ კიდევ 1890 წელს აღნიშნულ მისამართზე: დონდუკოვ-კორსაკოვისა და და მარინეს პროსპექტი N 181-ით აღრიცხულია 108 კვ.საჟენი მიწის ცარიელი ნაკვეთი (ასსცსა, ფონდი ი-6 აღნ.1; საქ.72; ფურც 437). 1902 წელს კი უკვე აღწერილია ორ ქუჩაზე გადაჭიმული ორსართულიანი სახლი მეზონინითა და სარდაფით, კრამიტის გადახურვით. სახლს ზედა ნაწილში ჰქონდა 10 საცხოვრებელი და 3 სამომსახურეო ოთახი, ქვედა სართულში კი 13 საცხოვრებელი და 4 სამომსახურეო; სახლის სარდაფის ერთ ნახევარში მოწყობილია სავაჭრო, ხოლო მეორე ნახევარში საოჯახო ნივთების საწყობი და სამრეცხაო (ასსცსა, ფონდი ი-6; აღნ.1; საქმ.248; ფურც 6). 1910 წელს შენობა წარმოადგენს 3-სართულიან საცხოვრებელ ნაგებობას ფლიგელითა და ხის გალერეათი. მე-4 სართული არის 8 ნათელი ოთახისაგან შემდგარი მანსარდი(ასსცსა, ფონდი ი-6; აღნ.1 საქ.692; ფურც129).

სახლი მნახველის ყურადღებას უმაღლ იპყრობს არა მარტო თავისი გამორჩეული არქიტექტურული სტილითა და მასშტაბურობით, არამედ მასზე დატანილი მითიური ატლანტების ქანდაკებებით, თალის ცენტრში ქალის, ხოლო შენობის სახურავზე მამაკაცის თავის ძალიან დიდი ზომის სკულპტურული გამოსახულებებით. შენობის ფასადს ორივე ქუჩიდან ლამაზი აივნები ამშვენებს.

ამბობენ, ვოლფენზონი და საბაევი ერთმანეთს შეეჯიბრნენ და სანაძლევეოც კი დადეს, ვისი სახლი უფრო ლამაზი გამოვიდოდაო... ეს გადმოცემა მართალია თუ არა, საარქივო წყაროები არაფერს გვეუბნებიან,მაგრამ მათმა ამბიციურობამ ბათუმს უდავოდ შესძინა ეს ორი ულამაზესი შენობა.

სახლის მეპატრონე, ნიკოლოზ ანტონის ძე საბაშვილი იგივე საბაევი,მეორე გილდიის ვაჭარი და ქალაქის მიწების მეიჯარე, მეტად ცნობილი პიროვნება იყო. როგორც ბათუ-

მის სათათბიროს ხმოსანი 1907 წლიდან, აქტიურ მონაწილეობას იღებდა სათათბიროსთან არსებული კომისიების მუშაობაში. აღნიშნული შენობის გარდა, საბაევს ქალაქის სხვადასხვა ნაწილში ჰქონდა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი და სავაჭროები ოგლობჟინისა და მიხაილოვის (ახლანდელი მ.კოსტავასა და ზ.გამსახურდიას), ერისთავისა და სვიატოპოლსკ-მირსკის (ამჟამად გ.მაზნიაშვილისა და ა.მელაშვილის) ქუჩების კუთხეში, პუშკინის ქუჩაზე და სხვა.

გასაბჭოების შემდეგ ნიკოლოზ საბაევსაც ჩამოართვეს სახლები და სავაჭროები. რა ბედი ენია ატლანტიკიან შენობას? ამის შესახებ არქივში, ქალაქისკომუნალური განყოფილების საარქივო ფონდში დაცულიასაყურადღებო დოკუმენტები.

მუნიციპალიზაციაქმნილი საბაევის ყოფილი სახლი გადავიდა აჭარცაკის განკარგულებაში და 3 წლის ვადით იჯარით გადაეცა სახელმწიფო დაწესებულებებს: მინათმოქმედების, განათლების, ჯანმრთელობის და სოც უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატებს (ასსცსა, ფონდი რ-689; აღწ.1 საქ.5; ფურც 5; ფონდი რ-9; აღწ.1 საქ.131; ფურც 42). 1921-1922 წწ. შენობის სარდაფში, რომლის ფართობიც 402 კვ.არშინს წარმოადგენდა, მოწყობილი იყო საზკვების რესტორანი, „არტელი“, შენობის სამი ოთახი დაკავებული ჰქონდა გაზეთ „Трудовой Ватуми“-რედაქციას.

შენობაში შეასახლეს აგრეთვე მობინადრენი, და ბედის ირონიით თვით ყოფილი მეპატრონის ოჯახიც. ლენინის ქ. N11-ში მდებარე საბაევის სახლში 1922 წლისათვის შესახლებულ მობინადრეთა სიაში შეყვანილი არიან:

1.(N 26) საბაევი ნიკოლოზ ანტონის ძე-ქართველი; 2 სული; კერძო პირი

2.(N32) საბაევა მარია ნიკოლოზის ასული-ქართველი; 3სული; მუშაობს სახალხო ბანკში;

3.(N33) საბაევა ანა ნიკოლოზის ასული-ქართველი; 3 სული; N5 საბჭოთა სკოლის მასწავლებელი.

თითოეულ ოჯახს საკუთარი 45 ოთახიანი სახლიდან სამადლოდ მიეცათ შესაბამისად 26, 31 და32 კვ.მ. ფართობის

თითო ოთახი სახლის ფლიგელის მესამე სართულზე (ას-სცსა, აღნ 3; საქ.11;ფურც.25;28).

აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს (შემდგომში მინისტრთა საბჭოს) ფონდში დაცულია თავად ნიკოლოზ საბაშვილის, მისი ვაჟიშვილის და ამავედროულად მისი ვეჟილის ალექსანდრე საბაშვილის (საბაევი) წერილები, თხოვნები, უცხოური სავაჭრო ფირმების მიმონერები პარიზის ლაბორატორიის პასუხები და სხვა საინტერესო მასალები ჩამორთმეული ქონების, განსაკუთრებით ოგლობჟინის (მ. კოსტავას ქ.) ქუჩაზე მდებარე სახლისა და ჭურჭლეულობის სავაჭროს დაბრუნების თაობაზე (ასსცსა, ფონდი რ-2; აღნ.1; საქ. 17; ფურც.190. საქ.45; ფურც.309. საქ.52; ფურც 27-43.). მასალებში მხოლოდ ერთი, პუშკინის ქ.N74- ში მდებარე ორსართულიანი სახლის შესაძლო დაბრუნებაზეა საუბარი.

მოგვიანებით, ამ ლამაზ შენობაში ლენინის ქუჩის მხრიდან ბინა დაიდო ქალაქისა და აჭარის რესპუბლიკის პროკურატურამ, ინტერნაციონალის (შემდეგში სტალინის) ქუჩის მხრიდან კი ფინანსთა სამინისტრომ. ბათუმელებს კარგად ახსოვთ აგრეთვე კუთხიდან სარდაფში ჩასასვლელის თავზე გაკეთებული აბრა „ლომბარდი“.

დღეს, ამ შენობაში თავის საქმიანობასახორციელებს აჭარის ადგილობრივი ხელისუფლება.

საბაევის სახლის მარჯვნივ, დონდუკოვ-კორსაკოვისა და ქართული ქუჩების შესახვევში (N9/20) მდებარე სამსართულიანი სახლი, ქონების შეფასებითი უწყისის მიხედვით იუნკელ ჩერტკოვს ეკუთვნოდა.ეს ადგილი მის მფლობელობაშიჩანს 1905 წლიდან.იმ დროისათვის აქ იდგა ერთსართულიანი ქვის სახლი (ასსცსა, ფონდი ი-6; აღნ.1; საქ. 72; ფურც 435). 1914 წელს კი უკვე აღწერილია სამსართულიანი ქვის სახლი (ფონდი ი-6; აღნ.1 საქ.652; ფურც 123-125) სარდაფითა და დაუმთავრებელი მეზონინით მე-3 სართულზე. ეს შენობაც კუთხურია და მეზობელი შენობის მსგავსად ქვის მაღალ ცოკოლზეა დაფუძნებული. შენობა შელესილია, ფასადების გაფორმება, საბაევის სახლთან შედარებით რა თქმა უნდა,

სადაა, თუმცა ქუჩის მხატვრულ სახეს და მასშტაბურობას არ არღვევს.

მუნიციპალიზაციას ვერც ჩერტკოვის სახლი გადაურჩა. 1921 წელს შენობის აღწერა-დახასიათება ასეთია: ქვის (ბეტონის) ნაგებობა, 3-სართულიანი, სახურავი თუნუქის, სახლი 23 ოთახისაგან შედგება. პირველი სართული უკავია საბჭოთა მოსამსახურეებს და კერძო პირებს, მეორე სართული კი საქართველოს სახალხო ბანკს. სარდაფის სართულში არის დიდი სასაწყობე, რომელიც სამხედრო კომისარიატის განკარგულებაშია.

მას შემდეგ შენობამ რამდენჯერმე შეიცვალა მობინადრეები, მაგრამ ძირითადად ის დარჩა სახელმწიფო სტრუქტურების განკარგულებაში. ამ შენობაშიც წლებისგანმავლობაში ფუნქციონირებდა აჭარის განათლების, სოფლის მეურნეობის სამინისტროები. დღეს აქ აჭარის მთავრობის აპარატია დაბინავებული.

საბავეისა და ჩერტკოვის სახლების მოპირდაპირედ მიმზიდველობას არ კარგავს აგურის ორსართულიანი შენობა, რომელშიც ამჟამად საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მუშაობს. ამ შენობასაც მისი ისტორია და ძველი მფლობელები ჰყავს.

შენობის პროექტი შედგენილია 1908 წელს და იმთავითვე განკუთვნილი იყო სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილებისათვის (ასსცსა, ფონდი ი-6; აღწ.1. საქ.613). როგორც ჩანს მშენებლობა სწრაფად მიმდინარეობდა, რაზეც მეტყველებს 1910 წლის შეფასებითი უწყისი (ასსცსა, ფონდი ი-6 აღწ.1. საქ. 663; ფურც.37; საქ.692; ფურც 180.). მასში აღწერილია ერთი ორსართულიანი ქვის სახლი თუნუქის გადახურვით. სახლის ერთ ნაწილში არის სარდაფი, სადაც მოწყობილია ძრავა ელექტო განათებისათვის. ზემო სართულში 7 ოთახი და ერთი დიდი დარბაზია დამხმარე სათავსოებით. ზემო სართული განკუთვნილია სახელმწიფო ბანკის საოპერაციო სამსახურისათვის. ქვემო სართულში 10 ოთახი და დამხმარე სათავსოებია. გარდა ამისა შენობას აქვს ერთსართულიანი და ორსართულიანი ქვის ფლიგელები სარდაფითა

და მიშენებით, აგრეთვე საჯინიბე, საკუჭნაო. მოდერნული დეკორითა და ლითონის ცხაურების ჩანართებით გაფორმებული ხის კარით დამშვენებული შენობის ცენტრალური შესასვლელი დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩისაკენაა მიმართული.

აჭარის ცენტრალურ არქივში დაცულია ამ შენობის პროექტი, რომელიც ისევე ლამაზია, როგორც თვით ეს შენობა (ასსცსა, ფონდი ი-6; აღნ. 1; საქ.613).

1921-1922 წწ. მუნიციპალიზაციის გრიგალმა ამ შენობასაც გადაუარა. შენობა ფინანსთა სახალხო კომისარიატს გადაეცა, 1931 წელს შენობაში ბინა დაიდო აჭარისტანის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც სხვადასხვა წლებში აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის მთავრობამ, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ჩაანაცვლა.

კიდევ ერთი შენობა და ამით შეიკვრება დონდუკოვ-კორსაკოვისა და მარინეს პროსპექტების (კ. გამსახურდიასა და მ. აბაშიძის) ეს ულამაზესი არქიტექტურული კუთხე, რომელიც იმითაც არის საინტერესო, რომ აქ განლაგებული მასშტაბური შენობების უმეტესობა, კერძოდ 4 მათგანი კუთხური შენობაა, ხოლო ამათგან სამი, ორ მთავარ ქუჩაზეა განფენილი.

სწორედ ერთ-ერთი მათგანია ქუჩის მარჯვენა (ზღვიდან) მხარეს მ.აბაშიძისა და კ.გამსახურდიას N25/12-ში მდგარი მასშტაბური ზომის შენობა. ნაგებობის მთავარი ფასადის ცენტრალურნაწილში მოთავსებულ მედალიონზე გამოკვეთილია „1900 წელი“. შენობა თავიდანვე ბანკისათვის იყო გათვალისწინებული. 1901 წლის ქონების შეფასებითი უწყისის მიხედვით (ასსცსა,ფონდი ი-6; აღნ.1 საქ.229; ფურც. 56-59), რომელსაც ხელს აწერს ქალაქის თავი ლუკა ასათიანი, ორსართულიანი ქვის შენობა დემენტევისაგან შექმნილი ნასყიდობის საფუძველზე იმყოფებოდა თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილების მფლობელობაში. უწყისში აღწერილია 10 ოთახი 770 კვ.არშინის ფართობით, პირველ სართულზე 7 სავაჭროთი, ზემოსართულში 11 საცხოვრებელი და

3 არასაცხოვრებელი ოთახი. შენობას დონდუკოვ-კორსაკოვის (კ.გამსახურდია) ქუჩიდან ასრულებს აფურულცხაურიანი ჭიშკარი, ხოლო მარინეს პროსპექტის (მ. აბაშიძე) მხრიდან სადარბაზო შესავლელი, ასევე ლითონის ცხაურებითა და ჭედური დეკორით შემკული ხის მასიური კარი.

ამ შენობას ყველაზე მეტად გაუმართლა მუნიციპალიზაციის დროს, სსრკ სახელმწიფო ბანკისა და მისი უმთავრესი ფილიალების გახსნის შემდეგ, 1923 წლის 2 იანვრიდან შენობის მეორე სართული კვლავ ბანკს დაეთმო, პირველ სართულზე კი საზღვებისა და საქნიგნის მაღაზიები განთავსდა. სწორედ შენობის მეორე სართულზე ბანკის მდებარეობის გამო, ბათუმელები პირველ სართულზე მდებარე გასტრონომიულ და წიგნის მაღაზიებს, „ბანკისქვეშ“ მაღაზიებს უწოდებდნენ. წელს ყოფილ წიგნის მაღაზიაში გაიხსნა კაფე „БК“ – წიგნი ბათუმში, რითაც ეს ადგილი კვლავ ბათუმელთა საყვარელ ადგილად დარჩა.

ასეთია საარქივო დოკუმენტებში წარმოდგენილი ისტორია შენობებისა, რომელთა კედლებში ერთ დროს მჩქეფარე ოჯახური იდილია და იმ დროისათვის დამახასიათებელი ელიტური ცხოვრება, სახელმწიფო სტრუქტურებში მოხელეთა ერთფეროვანი, რუტინული საქმიანობით შეიცვალა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. რ. უზუნაძე. „ნაოსნობა ბათუმის ოლქში“, ბათ. 2001;
2. აჭარისსაარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, შემდგომში ასსცსა, ფონდი ი-6; აღწ.1; საქ.72; ფურც.472, 437
3. ასსცსა, ფონდი ი-6; აღწ.1; საქ.692; ფურც.80, 197-198, 129;
4. ასსცსა, ფონდი რ-9; აღწ.1; საქ.131, ფურც 42;
5. ასსცსა, ფონდი ი-6; აღწ.1; საქ.248; ფურც 6;
6. ასსცსა, ფონდი რ-689; აღწ.1 საქ.5; ფურც 5;
7. ასსცსა, ფონდი რ-2; აღწ.1; საქ. 17; ფურც190.
8. ასსცსა, ფ. რ-2, საქ.45; ფურც.309.

9. ასსცსა, ფ. რ-2, საქ.52; ფურც. 27-43;
10. ასსცსა, ფონდი ი-6; აღწ.1 საქ.652; ფურც 123-125;
11. ასსცსა, ფონდი ი-6; აღწ.1. საქ.613;
12. ასსცსა, ფონდი ი-6 აღწ1. საქ. 663; ფურც.37;
13. ასსცსა, ფონდი ი-6; აღწ.1 საქ.229; ფურც. 56-59.

Maia Rurua

Buildings, People, Histories...

Summary

This article covers the period from the end of XIX century to the beginning of XX century, that time, when Batumi moved from Ottoman rule to Russia Empire. Based on archival documents, in article is represented several adventures of houses in the city center.

ციური ქათამაძე

**არტაანის ციხეები წერილობითი წყაროების
მიხედვით**

(ქუმურლუხი, ური, ველი)

*(ნაშრომი შესრულებულია საგრანტო პროექტის
(NER/196/2-105/14) „არტაანის ქართული*

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების“ ფარგლებში)

სამხრეთ საქართველო შუა საუკუნეებში წარმოადგენდა არამართო სახელმწიფოებრიობისა და კულტურის მძლავრ კერას, არამედ ქვეყნის კარიბჭესაც მომხდურთა აგრესიის წინააღმდეგ. ამიტომ საუკუნეთა განმავლობაში რეგიონი მძლავრი საფორტიფიკაციო ნაგებობებით-ციხე-სიმაგრეებითა და კოშკებით დაიფარა. „ყამთა სიავემ“ თავისი კვალი დატოვა აღნიშნულ ციხე-სიმაგრეებზე: ზოგი საძირკვლებამდე დაინგრა; ზოგის დაზიანებული კედლები ჯერ კიდევ დგას ქართველთა თავგანწირული ბრძოლების მონმედ; ზოგის სახელი მხოლოდ მატყანეებს შემოუნახავს და ა.შ.

ჩვენი მიზანია, ისტორიული არტაანის ცალკეული ციხე-სიმაგრის შესახებ არსებული წერილობითი წყაროების საფუძველზე წარმოვაჩინოთ ზემოაღნიშნული საფორტიფიკაციო ნაგებობების ადგილი და როლი ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებსა თუ მომხდურთა აგრესიის მოგერიებაში.

ისტორიული არტაანი ამჟამად მოიცავს თანამედროვე თურქეთის არდაჰანის პროვინციის რამდენიმე რაიონს. ამ ტერიტორიაზეა დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნაშთები. უნდა აღინიშნოს, რომ წერილობითი წყაროები მათ შესახებ საკმაოდ მწირი და ფრაგმენტულია, თუმცა რაც შემორჩენილია, ისინი მეტნაკლებად წარმოაჩენენ ციხე-სიმაგრეთა ისტორიას. არტაანი, ქართული და ოსმალური წყაროების მიხედვით, ორ ნაწილად იყოფოდა: „ზემო“ და „ქვემო“ არტაანი, „მტკვარს იქითი“ და „მტკვარს აქეთი“ არტაანი, „დიდი არტაანის ლივა“ გურჯისტანის ვილაიეთში და „პატარა არტაანი“ – ყარსის ვილაიეთში (გურ-

ჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი III, 1958:498-499; ჩელები, 2013:111,249).

არტაანი მტკვრის ზემო დინებას მოიცავდა და შესაბამისად, ციხე-სიმაგრეებიც მდინარის ბუნებრივად დაცულ კლდოვან ნაპირებზეა აგებული. ამ ციხეების დაკავებით იწყებოდა რეგიონის და ქვეყნის დამორჩილებაც. ოსმალური წყაროს ჩვენებით, როდესაც 1578 წელს მუსტაფა ლალა-ფაშას ლაშქარმა „არტაანად წოდებულ ხეობას მიაღწიეს...აქ დაბანაკდნენ“, რადგან „ეს ადგილი კარია საქართველოსი“ (ფეჩევი, 1964:38). ამ „კარის“ ერთ-ერთი გასაღები იყო **ქუმურლუხის ციხე**. ციხის შესახებ წერილობითი წყაროები ფრაგმენტულია. ქუმურლუხის ციხე მდებარეობს ისტორიულ კოლაში, მტკვრის სათავეებთან ახლოს, ყანლუს მთის ძირას. ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებული თვალსაზრისით, „პატარა არტაანი ძირითადად უნდა ყოფილიყო იგივე ძველი ქართული მხარე-კოლა, რომელიც ხშირად წყაროებში არტაანთან იხსენიება“ (ქ.ცხ. I, 1955:288; გურჯისტანის ვილაიეთის..., III, 1958:499). ქუმურლუხის ციხე ამჟამად მოქცეულია არდაჰანის პროვინციის გიოლეს რაიონში, სოფელ კალეჯიკთან ახლოს. ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს: „მტკვრის სათავეს ზემოთ, ყანლუს მთის ძირზე არს ციხე შენიქუმურლუსი, მაგარი და შეუვალი (ვგონებ ბეჭის ციხედ). ან ცალიერ არს, მას ზედა გარდავალს გზა ბანასა და ფანასკერტს“ (ვახუშტი, ქ.ცხ.IV, 1973:674). ამ ცნობის თანახმად, XVIII ს. საქართველოში უკვე იცოდნენ, რომ ისტორიული ბეჭის ციხე, რომელსაც „მატიანე ქართლისაის“ ავტორი იხსენიებს ბაგრატ IV-სა (1027-1072 წ.წ.) და ლიპარიტის დაპირისპირებისას (ანისთან ლიპარიტ ერისთავმა დაატყვევა ბაგრატ მეფის მომხრე დიდებულები, მათ შორის, გუარამ გოდერძის ძე, ბეჭის ციხის პატრონი-ქ.ცხ.I, 1955:300), უკვე ქუმურლუხის სახელითაა ცნობილი. ციხის სახელის ცვლილება სამხრეთ საქართველოში ოსმალთა დამკვიდრებას უკავშირდება. ციხეს უნდა უკავშირდებოდეს სოფლის სახელიც: კალეჯიკი (კალე-თურქ. ციხე). XVII ს. ცნობილი თურქი მოგზაური ევლია ჩელები მიუთითებს, რომ „კალეჯიკი“

ნიშნავს – მცირე ციხეს (ჩელები, I, 1971:385). თუმცა მის მიერ აღწერილი კალეჯიკის ციხე სულაც არ არის მცირე და, რაც მთავარია, ევლია ამ ციხეს უთითებს ჩორუმის პროვინციაში შავი ზღვის სამხრეთით და მას არაფერი აქვს საერთო კოლაში არსებულ ქუმურლუხის ციხესა და სოფელ კალეჯიკთან. ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც XX ს. დასაწყისში მოინახულა ეს რეგიონი, ქუმურლუხს კალაჯუხის (ს. კალეჯიკის მიხედვით-ც.ქ.) ციხის სახელით იხსენიებს და დასძენს: „კალაჯუხის ციხე მშვენივრად არის დაცული და ფრიად ლამაზია. ეს უსათუოდ ერთი საუკეთესო ძეგლია კოლას რაიონისა...სხვა უკეთესი ციხე კოლაში არ არის“ (თაყაიშვილი, 1938:15-16). ქუმურლუხის (ბექის ციხე) სტრატეგიული მნიშვნელობის შესაფასებლად ასევე შეიძლება გავითვალისწინოთ თამარ მეფის ისტორიკოსის-ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობა, რომ „ზედათ არტაანი („პატარა არტაანი“-კოლა), სადაც მესხნი მონაპირობდეს“ (ქ.ცხ. II, 1959:129), იმ დროს საქართველოს სანაპირო ზოლში შედიოდა და ბექის ციხეც ამ ზოლის ნაწილი უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს ციხე ბანასა და ფანასკერტისაკენ მიმავალ მნიშვნელოვან გზებზე აკონტროლებდა.

XVI ს. საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს ნყაროში- „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ კალეჯიკის სახელით ორი სოფელი იხსენიება: ერთი, მოსახლეობისაგან სრულიად დაცლილი, დიდი არტაანის ტყე-ნაპიეში (გურჯისტანის ვილაიეთის..., II.1941:503; III.1958:557); მეორე კალეჯიკი-13 კომლიანი სოფელი-მზვარეს ნაპიეში (გურჯისტანის ვილაიეთის..., II.1941:424). მიუხედავად სახელის მსგავსებისა, ეს სოფლები დიდი არტაანის ფარგლებში შედის. ჩვენთვის საინტერესო კალეჯიკი, როგორც პატარა არტაანის-კოლას სხვა სოფლები, „დავთარში“ აღწერილი არ არის. მხოლოდ მათი ჩამონათვალია, სადაც დასახელებულია: ქუმურლუხი-კალეჯიკი (გურჯისტანის ვილაიეთის..., II. 1941).

ქუმურლუხის მნიშვნელობის გასათვალისწინებლად საინტერესოა შემდეგი გარემოებაც: ოსმალები დიდ ყურადღებას უთმობდნენ მნიშვნელოვანი საგზაო მაგისტრალების

შეკეთებას. მაგრამ იმის გამო, რომ გზისპირა სოფლები კიდევ უფრო მეტად ზარალდებოდა და მოსახლეობა აქედან გარბოდა ხოლმე, ოსმალური ხელისუფლება იძულებული იყო ასეთი კატეგორიის სოფლის მცხოვრებნი რიგი გადასახადებისაგან გაეთავისუფლებინა. ასე, მაგალითად: ერთი მინანერის მიხედვით, მტკვრის ზემო დინების მიდამოებში არსებული სოფლები (კონკრეტულად-ყუთარ-მელიქი-ც.ქ.) რადგან „არზრუმის, არტაანის და ახალციხის გზებზე მდებარეობს და მათ გამვლელ-გამომვლელთაგან მოსვენება არა აქვს, მცხოვრებლებმა დაფანტვა დაიწყეს...ამიტომ აუცილებელია (ისინი) გათავისუფლდნენ გადასახადებისაგან და მათ ს. კომკის-წყაროდან ვიდრე ქვემო ჯინჭრობად ნოდებულ სოფლამდე ხიდები შეაკეთონ“ (გურჯისტანის ვილაიეთის..., II.1941:443-444). ამ მინანერში ჩამოთვლილი სოფლები: ყუთარ-მელიქი, კომკი (თანამედროვე ს. ტეპლერი) და ქვემო ჯინჭრობი (თანამედროვე ს. სუგოზე) არტაანის სამხრეთ-დასავლეთით ჩრდილის ნაპირში შემავალი სოფლებია (გურჯისტანის ვილაიეთის..., III.1958:520-521:523) მტკვრის სანაპიროებზე, სადაც ამჟამად შემორჩენილია ნაეკლესიარებიც და ციხის ფრაგმენტებიც (ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2014 წლის საკვლევე ექსპედიციების ანგარიშები, 2015:100,106-107). უნდა აღინიშნოს, რომ ეს სოფლები იმ გზის გასწვრივ იყო გაშენებული, რომლის სათავეებთანაც ქუმურლუხის ციხე და სოფელი კალეჯიკი მდებარეობდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან მაგისტრალზე. თანამედროვე მდგომარეობითაც მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მაღალ ქარაფზე აღმართული ქუმურლუხის ციხის შემორჩენილი ნაშთები საკმაოდ მასშტაბური და შთამბეჭდავია. დანგრევას გადაურჩა გალავნის ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლები (თუმცა დაზიანებული) მათში ჩართული გოდოლებითა და კარიბჭით (ტაო-კლარჯეთის ძეგლების..., 2015:155). ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ამრიგად, ქუმურლუხის (ბეჭის) ციხე მტკვრის ზემო ნელის სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობებთან ერთად ქმნი-

და მძლავრ თავდაცვით სისტემას საქართველოს სამხრეთ საზღვრებთან.

სამხრეთ საქართველოს თავდაცვით სისტემაში მნიშვნელოვანი როლი იყო მტკვრის მარცხენა ნაპირზე აღმართული **ურის ციხე**. ამჟამად ციხე მოქცეულია არდაჰანის პროვინციის სოფელ ალტაშში (ისტორიული სოფელი ური). ურის ციხე სოფლის განაპირასაა. შემორჩენილია წრიული ფორმის დანგრეული გალავანი, ხოლო შიგნით გალავანს შერწყმული კოშკი. გალავანში ჩართული ყოფილა სამი ნახევარწრიული გოდოლი, შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა მოწყობილი. ნაგებია ქვების მშრალი წყობით, ზოგან გამოყენებულია დულაბიც. ციხე კარგად ჩანს ავტომაგისტრალიდან. ამავე სოფელში ყოფილა ორი ეკლესია, რომელთაგან ერთის მხოლოდ დულაბის ფრაგმენტია დარჩენილი, მეორე კი საერთოდ არ ჩანს (ტაო-კლარჯეთის ძეგლების..., 2015:37-40).

ქართულ წერილობით წყაროებში „ური“ გვხვდება ძველი ფორმით – „ჰური“: „მიეგება (ფარნავაზ) ნაქალაქევსა თანა არტანისასა, რომელსა ერქუა მამინ ქაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური“ (ქცხ.I, გვ.23). ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებით, „ქართლის ცხოვრების“ „ჰური“ – ქაჯთა ქალაქი და არტანის ნაქალაქარი, და „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში მოხსენიებული სოფელი ური ორი სხვადასხვა პუნქტია ძველთაგანვე (გურჯისტანის ვილაიეთის..., III, 1958:553-534). ყოველ შემთხვევაში, ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით საქართველოს ისტორიულ რუკაზეც „ჰური“ დატანილია სოფელ ურის ადგილას, ხოლო ქაჯთა ქალაქი და ნაქალაქევი ცოტა მოშორებით არიან განლაგებული (საქართველოს ისტორიული რუკა, 1923). ვახუშტის მიხედვით, „ჰური“ და „ქაჯთა ქალაქი“-წუნდაა ჯავახეთში (ქ.ცხ.IV.1973:670), ეს მოსაზრება წუნდასა და ურის (ჰურის) იგივეობის შესახებ მართებულად უარყო ექვთიმე თაყაიშვილმა (MAK., XII, 1909:59).

XVI ს. 70-იან წლებში სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე მიმდინარე შიდა დაპირისპირებასა და ოსმალთა შემოსევების დროს დასახელებულ ციხეთა შორის (თეთრა ციხე, ვე-

ლის ციხე, მგელ ციხე, ქაჯის ციხე) ურის ციხე მოხსენიებული არ არის. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ურის ციხე მაშტაბით აშკარად ჩამოუვარდება დასახელებულ ციხეებს. ამის მიუხედავად, ის მაინც მოიაზრება მტკვრის ზემო დინების იმ თავდაცვით სისტემაში, რომელსაც ეს ციხეები ქმნიდნენ. ოსმალური წყაროს თანახმად, ური საკმაოდ დიდი სოფელია 66 კომლით, რომელზეც შეწერილია 15 000 ახჩა (გურჯისტანის ვილაიეთის..., II, 1941:466).

XIX ს. რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ ურში მხოლოდ 20 კომლი ცხოვრობდა. როგორც ჩანს, მცხოვრებთა რიცხვი საკმაოდ შემცირებულია. ერთი ცნობით, ამ პატარა სოფლის მცხოვრებნი ახალციხის სოფლებიდან არიან გადმოსახლებულნი. სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით „პატარა გორაკზე, ტყის პირად დგას და დაღვრემით გადმოჰყურებს პატარა ციხე. აქაურობა მოსილი ყოფილა ტყით, ახლაც ნახავთ კარგა მანძილზე ტყეს (ბავრელი., გაზ. დროება, 1878, 20.10.№212:1-2; 2008:71). აქვე ს. ბავრელი ასახელებს პატარა ეკლესიის ნანგრევებს, და მიუთითებს, რომ ამ სოფელს, ჩემოვნ ხიმშიაშვილები (ხიმშიაშვილის მესამე ცოლი ცხოვრობს შვილებით), როგორღაც იმის შვილებს იქაურები არ ემადლიერებიან: „ცოტა ბაშიბუზუყობენო.“ ექ. თაყაიშვილი, რომელიც XX ს. დასაწყისში იმყოფებოდა ურში, ადასტურებს, რომ სოფელი შერიფ-ბეგ აჭარელის (შემდეგ აზუსტებს-ხიმშიაშვილის) საგვარეულო საკუთრებაა (MAK., XII, 1909:59). საინტერესოა, რომ სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა უკმაყოფილოა რუსული მართვა-გამგეობით და ოსმალთა აგენტების აგიტაციის გავლენით ამჯობინებს ოსმალეთის შიდა რაიონებს მიაშუროს. ამაზე ს. ბავრელიც მიუთითებს. უთუოდ ამის შედეგია, რომ 1889 წ. ურში მხოლოდ ორი კომლი დარჩენილა (სცია, ფ, 415, ს.12, გვ.82). ურის ციხის და სოფელ ურის შესახებ ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში მეტი არაფერია ნათქვამი. ძეგლი არქეოლოგიურად შეუსწავლელია. ამჟამად სოფელში ქურთული მოსახლეობაა.

არტაანის თავდაცვითი სისტემის მნიშვნელოვანი რგოლი იყო **ველის ციხე**, რომელიც მდებარეობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ისტორიულ სოფელ ველში (სახელი ადგილმდებარეობიდან მომდინარეობს). ამჟამად ციხის ნანგრევები შემორჩენილია თანამედროვე სოფ. სევიმლისთან, არდაჰანის პროვინციის, ჰანაკის რაიონში (თურქეთი). ესაა დიდი ზომის ციხე, რომლის ნაგებობები განლაგებულია რამდენიმე ასეული მეტრი სიგრძის შვერილ კლდეზე. მტკვარი კლდეს სამი მხრიდან ჩამოუდის. ციხის ნაგებობებიდან შემორჩენილია რამდენიმე დიდი ზომის შენობა და ორი ეკლესიის ფრაგმენტები, ასევე გალავნის ნაშთები.. განლაგებითა და მასშტაბით ველის ციხე წააგავს თმოგვის ციხეს. მსგავსი ციხეები არტაანიდან ხერთვისამდე ქმნიდნენ მტკვრის ხეობის ზედა დინების ერთიან თავდაცვით სისტემას (ტაოკლარჯეთის არქეოლოგიური ძეგლების..., 2015:27-28). ორივე ეკლესია ყოფილა მოხატული და წარწერებით შემკული, თუმცა ისინი ახლა განადგურებულია.

ისტორიულ წყაროებში სოფელი ველი და ველისციხე იხსენიება XVI საუკუნეში. 70-იან წლებში სამცხე-საათაბაგოში მიმდინარე ფეოდალური დაპირისპირებისას: „ამავე ქორონიკონსა (1576 წ.)...გურგაქ შემოგუენყო და ველი მოგუცა“ (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961:46-47); ხოლო სამხრეთ საქართველოში 1578 წ. შემოსულმა მუსტაფა ლალა-ფაშას ლაშქარმა „ამავე ქორონიკონსა (1578 წ.) პარასკევს დღესა, მარიამობის თვესა ქაჯის ციხე, ველი და თეთრ ციხე წაგვართვეს ურემთა“ (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, 1961:46-47; 163,169). სამცხე-საათაბაგოში მიმდინარე პროცესებს ძირითადად „მესხური დავითნის მატინანეზე“ დაყრდნობით გადმოგვცემენ ვახუშტიც, ბერი ეგნატაშვილიცა და „პარიზის ქრონიკაც“ (ცხოვრება საქართველოსა) (ქ.ცხ. IV. 1973:720; ქ.ცხ. II.1959:520-522).

XVII საუკუნის ოსმალთა ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევიც მიუთითებს, რომ როცა ოსმალებმა „არტაანად წოდებულ ხეობას მიაღწიეს, ეს ადგილი კარია საქართველოსი. აქ

დაბანაკდენენ“, ხოლო 1578 წ. 9 აგვისტოს ჩილდირის გადამწყვეტი ბრძოლის წინ „ისლამის“ ლაშქარი დაიძრა არტაანიდან და ველის ციხის მახლობლად დაბანაკდა-„შესაძლებელი გახდა ამ ციხის ადვილად დაპყრობა“ (ფეჩევი, 1964: 38-39).

ველის ციხის მასშტაბებიდან გამომდინარე ასე იოლი არ უნდა ყოფილიყო მისი დაპყრობა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სამცხის წინააღმდეგობა საკმაოდ შესუსტებული იყო ორწლიანი შიდა ომით, თანაც ლალა-ფაშას მრავალრიცხოვანი არმია ახლდა, მაშინ, ალბათ, გასაგები უნდა იყოს, რომ ველის ციხე სხვა ციხეებთან (მგელ ციხე და ქაჯის ციხე) შედარებით იოლად იქნა აღებული.

1578 წ. ველი ოსმალთა ხელში გადავიდა. „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, სოფელი დიდი არტაანის ლივას ტყე-ნაპიეში მოქცეულა. ველში 30 კომლი ირიცხება, რომელთაც შეწერილი აქვთ 21 ათასი ახჩა (გურჯისტანის ვილაიეთის..., III, 1958:531-532). „დავთარში“ ასევე მოხსენიებულია ს. ველის არხი, რომელიც მომდინარეობს ს. საკასრიადან(?) და საზიარო ყოფილა „გუგუბა, ზემო ბორქ და ველ სოფელთათვის“ (გურჯისტანის ვილაიეთის..., III, 1958:533). ამჟამად ეს სოფლები მდებარეობს არდაჰანის პროვინციის ჰანაკის რაიონში (თანამედროვე სახელწოდებები: ბინბაშაკი, ბიორქი და სევიმლი-ც.ქ.). ველი იმავე ადმინისტრაციულ სტრუქტურაში რჩება XVIII ს.-ის პირველ ათწლეულშიც, თუმცა გადასახადი 3000 ახჩამდეა შემცირებული (ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი, 1979:135), რაც მოსახლეობის კლებას ადასტურებს. ერთი ცნობით, ველში XVIII ს.-ში ახალციხის საფაშოს იმერხევის სანჯაყის ბეგი იჯდა (ლომსაძე, 1975:255). მიუხედავად ოსმალთა ბატონობისა ველის მცხოვრებლებმა ქრისტიანობა შეინარჩუნეს. მაჰმადიანურ გარემოცვაში მოქცეულებმა კათოლიკობა მიიღეს (ლომსაძე, 1975:363; ბავრელი-ასლანიშვილი, 2008: 17,18,72-76,186-197). 1829 წელს რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომის დამთავრების შემდეგ ველის მცხოვრებნი ჯავახეთის სოფლებში კარტიკაში, ბავრაში, ხულგუმოსა და ტურცხში გადმოსახლებულან. XIX ს.-ის 70-იან წლებშიც ველი დიდი

სოფელია, ადრე უფრო დიდი ყოფილა-300 კომლი მდგარაო (ბავრელი-ასლანიშვილი..., 2008:72), თუმცა „დავთარში..“ 30 კომლია მითითებული. იმჟამად ველში ახალციხის სოფლებიდან გადმოსახლებული გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობდნენ. იმავე ავტორის ცნობით, „ხეობის ჩასავალზე (სოფლიდან) მაგარ კლდეზე დგას ძველი ციხე“, რომელიც XIX ს. ბოლოსათვის კარგადაა შემონახული, ასევე შემონახული ყოფილა ციხის შიგნით მდგარი ეკლესია (წითელი ეკლესია) მოხატული და წარწერებით შემკული, აბანოსა და ორსართულიანი სასახლის ნაგებობებით: „ამ ადგილას საცა კლდე მთავრდება მტკვრისაკენ, დგანან მაგარი კოშკები (ბავრელი-ასლანიშვილი, 2008:74). XX ს-ის დასაწყისში, კ. ოდიშარიას ცნობით, ველში 55 კომლი გამაჰმადიანებული ქართველი ცხოვრობს და ბევრი მათგანი ქართულს კარგად ლაპარაკობს. თითქმის დაუზიანებელია ველისციხის გუმბათიანი წითელი ეკლესია, მოხატულობაც ბრწყინვალედ გამოიყურება (სიხარულიძე...,1998:245). ეკლესიის ჩრდილოეთი კედელი ციხის კედელზეა მიბჯენილი. აღმოსავლეთის კედელზე ორი დაზიანებული ხუცური წარწერაა, რომელშიც მოხსენიებულია ეკლესიის ამშენებელი გვარამ „მე გვარამ ავმართე წმიდა იოვანე ქ.კსა როდ (954) თვესა მაისსა“ ეკლესია თარიღდება X საუკუნის შუა ხანებით (თაყაიშვილი, MAK.,XII,1909:70-72; ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, 2013:217). ექ. თაყაიშვილის დასკვნით, „ველთან ყოფილა პირველხარისხოვანი ციხე, რომელიც მგელციხესა და ქაჯის ციხესთან ერთად დიდ როლს თამაშობდა სამცხე-საათაბაგოს ისტორიაში“ (თაყაიშვილი, MAK.,XII, 1909:70-71). ველის ციხე ახლაც მასშტაბურად გამოიყურება და შთამბეჭდავ გავლენას ახდენს მნახველზე. ისტორიულ სოფელ ველში (თანამედროვე სევიმლი) კი ქართული მოსახლეობაა. ძეგლი არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

ამრიგად, მიუხედავად არტაანის პროვინციის ზემოაღნიშნულ ციხეთა შესახებ წერილობითი წყაროების სიმცირისა, აშკარაა, რომ ისინი განსაკუთრებულ როლს ასრულებ-

დნენ შუა საუკუნეების სამხრეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, ხოლო XVI ს-ის მეორე ნახევრიდან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ოსმალური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბუნებრივია, ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქცეული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არქეოლოგიურად შეუსწავლელია და მათ დაზიანებულ ნაშთებზე დაკვირვებითაც ცხადი ხდება საქართველოს ისტორიის რამდენ სუფთა ფურცელს შეავსებს ამ ძეგლების მეცნიერული შესწავლა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ასლანიშვილი-ბავრელი ს, ნერილები „ოსმალს საქართველოზე“, თბ.,2008;
2. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ.IV, თბ.,1973;
3. გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ, ნ. II, თბ.,1941; ნ. III, თბ., 1958;
4. თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისსა და სოფ. ჩანგლში, 1907 წელს პარიზი, 1938
5. თაყაიშვილი ე., Карскаяобласть, МАК.,вып.XII, М., 1909;
6. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობებისაქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი თარგმნა, შესავლითა და კომენტარებით გამოსცა ს.ჯიქიამ, თბ., 1964;
7. ლომსაძე შ., სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975;
8. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV- XVI ს.ს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ.,1961;
9. საქართველოს ისტორიული რუკა, შედგენილი ევ. ბარამიძის მიერ ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, თბ., 1923;
10. სიხარულიძე ფრ., მასალები სამხარეთმცოდნეო ექსპედიციათა ისტორიისათვის (კონსტანტინე ოდიშარია-მარტვილელი), ბსუ, შრომები, II, ბათუმი, 1998;

11. ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2014 წლის საკვლევე ექსპედიციების ანგარიშები, თბ.,2015;
12. ქართლის ცხოვრება, ტ.I. თბ., 1955; ტ. II. თბ., 1959;
13. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, შეადგინეს: გ. გამყრელიძემ, დ. მინდორაშვილმა, ზ. ბრაგვაძემ, მ .კვაჭაძემ, თბ.,2013;
14. ჩელები ევლია, „მოგზაურობის ნიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. I, თბ., 1971; ნაკვ. II, თბ.,1973;
15. ჩელები ქათიბ, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტის თარგმანი, შესავალი და შენიშვნები გ. ალასანიასი, თბ.,2013;
16. ჩილდირის ვილაიეთის ჯაბა დავთარი (1694-1732 წ.წ.), ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ, თბ., 1979.

Tsiuri Katamadze

***Castles of Ardahan by written sources
(Kumurlukhi, Uri, Veli)***

Summary

On the basis of the Georgian and Ottoman sources, in this article are presented place and value of some fortification-kumurlukhi, Uri and Veli of Ardahan. It was concluded that their study is highly topical.

მერაბ მეგრელიძევილი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისტორიიდან აჭარაში XIX საუკუნის პოლოსა და XX დასაწყისში

აჭარა-გურიის მთები, როგორც დიდი ივანე ამბობდა, გარე მოზღუდვულ რეგიონს იცავდა გარეშე მტრებისგან. ს გარემოება საქართველოს მტრებსაც ესმოდათ და ამიტომ, არაერთხელ ყოფილა რომ ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ მონაპირე კუთხის დაპყრობა და ჩამოშორება უცდიათ, მაგრამ გაერთიანებული აჭარა-გურიის რეგიონი ერთიანი ძალით მტერს დიდ წინააღმდეგობას უწევდა. სამწუხაროდ, საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს საზღვრებს მოსული მტერი აწესებდა.

აჭარის სახელმწიფო არქივში ინახება 1858 წლის ივლისში ქუთაისის გუბერნატორის მიერ საქართველოს საზღვრებსა და მიწებთან დაკავშირებით გაცემული დოკუმენტი, სადაც საუბარია რუსეთისა და თურქეთის სახელმწიფო საზღვრების აღდგენის თაობაზე და ქობულეთის რეგიონის სოფლების: ჩეხედანას, ნაცხავატევის და ქაქუთის მდებარეობის შესახებ. რსებული საბუთიდან ირკვევა, რომ ნაცხავატევი არასოდეს არ ყოფილა თურქეთის ბატონობის ქვეშ და გურია-აჭარის საზღვრებში იყო მოქცეული. ჩეხედანა ქრისტიანული სოფელი იყო, ხოლო ნაცხავატევი კი მუსულმანური რელიგიის აღმსარებელი.

აჭარა-გურიაში შემოსული დამპყრობელი, როგორც თურქეთი ისე რუსეთი, ცდილობდა თავისი სურვილის და შეხედულების მიხედვით მოეწყო ცხოვრება. 1878 წლამდე ბათუმში მოქმედებდა მინათსაკუთრების თურქული კანონი (მინის კოდექსი „დუსტურ“) რომელიც დიდ უპირატესობას ანიჭებდა რელიგიის მსახურთ. 1878 წლის 1 ივნისს ბათუმის ოლქის რუსეთის იმპერიასთან შემოერთების შემდეგ, რუსეთი მინის საკუთრებასთან დაკავშირებით კანონის მიღებით ცდილობს ადგილობრივ მოსახლეობაში რელიგიის მსახურთა გავლენის დასუსტებას. რუსეთის ხელისუფლება ძალით ართმევდა საკუთარ მიწებს ადგილობრივ მოსახლეობას და იძულებულს ხდიდა მუჰაჯირად წასულიყო თურქეთში. ამის

ერთ-ერთ დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოადგილის, გენერალ-მაიორ ნ.ო. ერისთავისადმი ბათუმის ქალაქის მმართველის მიმართვა, რომელშიც საუბარია 1880 წლის დასაწყისში ბათუმიდან წასულ მუჰაჯირებზე, რომელთაც ბერლინის ტრაქტატის საფუძველზე წაართვეს მიწაზე საკუთრების უფლება.

1878 გაზაფხულზე ბათუმში, ართვინში და სხვა რეგიონებში შეიქმნა შეიარაღებული სამხედრო ორგანიზაცია „შურისმგებელი“, რომლის ამოცანა იყო ბრძოლა რუს დამპყრობთა წინააღმდეგ. გარკვეული დროის შემდეგ რუსეთმა გაანადგურა ეს ორგანიზაცია (აჭარის საარქივო სამმართველო, ცენტრალური სახელმწიფო არქივი, შემდგომში ასსცსა, ფონდი 432, საქმე 399, ფურც. 9).

ერთი ბედის ქვეშ იმყოფებოდა როგორც აჭარის, ისე გურიის მოსახლეობა. ახლახან გამოიცა ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევარის პროფესორ შალვა რადიანის ავტობიოგრაფიული ნაშრომი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი დაპყრობის შედეგად განცდილი ცხოვრების მძიმე წლები და ის დიდი თანადგომა, რამაც გადაარჩინა ერთ ბედს ქვეშ მყოფი ეს ორი კუთხე. შალვა რადიანი თავის ავტობიოგრაფიულ ნაშრომში „გარდასულ დროთა მატთან“ იხსენებს: „1906 წლის იანვარში გურიას „ესტუმრა“ პოლკოვნიკ კრილოვის დამსჯელი ექსპედიცია, რომელიც ცეცხლითა და მახვილით შევიდა ოზურგეთში, გადანვა და გაძარცვა ის. შემინებული ხალხი გარბოდა ქვეყნიდან, ჩემი მშობლებიც გაქცეულან სოფელ აჭში ქართველ მაჰმადიანებთან. გზაზედ, როდესაც გადადიოდნენ მდინარეზე, მამაჩემი, რომელსაც ატატიებული მიყვავდი, შემთხვევით ნაქცეულა და მეც ხელიდან გავვარდნილვარ, მაგრამ მაინც გამამარჩინეს. აჭში რამდენიმე კვირის ყოფნის შემდეგ, ჩემი მშობლები დაბრუნებულან ოზურგეთში, იქ მათ აღარაფერი დახვედრიათ, ყველაფერი ცეცხლს შთაენთქა. ისე ხელმეორედ დაიწყეს მათ ოჯახის მონყოლა. ოჯახი ჩვენი კი მრავალრიცხოვანი იყო“. 1906 წლის შემდეგ, როგორც აჭარამ ისე გურიათ არაერთგზის განიცადა მტრისგან დარბევა. შალვა რადიანი იგონებს, რომ 1918 წელს, ბათუმის აღების შემდეგ, ოზურგეთში შემოიჭრენ თათრები. ამ ხანებში ქალაქში სრული უდარდელობა სუფევდა, არავინ ფიქრობდა, რომ მოახლოვებულ

მტერს შეეძლო თავდასხმა ქალაქზე, სალამო ხანი იქნებოდა როდესაც გავრცელდა ხმა „თათრები მოდიანო“. ხალხი პანიკამ მოიცვა. იმდროინდელი სამხედრო და სამოქალაქო მესვეურები ყველაზე ადრე გაიქცნენ ქალაქიდან. მათ ვერც კი მოახერხეს სუსტი მტრის წინააღმდეგ დაერაზმათ ხალხი. ქალაქში დაიწყო ძარცვა-გლეჯა. ხალხი გარბოდა უმთავრესად ნაგომარის მიმართულებით. პირდაპირ შემზარავ სურათს წარმოადგენდა შეშინებული, არეულ-დარეული ხალხის გაქცევა, თან მიჰქონდათ რისი წაღებაც სახელდახელოდ შეძლეს. თანდათან ძლიერდებოდა სროლის ხმაც. თათრები უახლოვდებოდნენ ოზურგეთს. 1918 წლის 7 აპრილს ანასეულ-ეჟადის მხრიდან შემოვიდნენ ისინი ქალაქში. შიმშილმა მოიცვა ყველაფერი. მახსოვს ხალხს გამოსაკვებად მაშინდელნი მესვეურნი ურიგებდნენ რაღაცნაირ ნამცხვრებს, რომელთა კბილებით დაღრნა არ შეიძლებოდა, ისე მაგარი იყო და თანაც სავსე მატლებით. დამშეული ხალხი სოფელ-სოფელ დადიოდა გამოსაკვების საშოვნელად, მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე იყო (რადიანი შ. 2015:5)

1918 წელს თურქების მიერ ბათუმის ოკუპაციის დროს დარბეული იქნა ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის შენობა, განადგურებული და გაძარცვული იქნა სასწავლო-სამეცნიერო ბიბლიოთეკა. ბათუმის ვაჟთა გიმნაზის შენობაში თვეების განმავლობაში ცხოვრობდნენ თურქი ოფიცრები. გიმნაზიის ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნები ბაზრობაზე იყიდებოდა. ბიბლიოთეკაში თურქების შემოსვლამდე აღრიცხვაზე იყო თერთმეტი ათასი წიგნი, ხოლო თურქების წასვლის შემდეგ ბიბლიოთეკაში დარჩა 5300 წიგნი. გიმნაზიის შენობიდან, ფიზიკის, ქიმიის, და სხვა კაბინეტ-ლაბორატორიებიდან თურქების მიერ გატანილი იქნა ავეჯიც. ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორის სახელზე დანერილ ანგარიშში დეტალურადაა აღწერილი გიმნაზიის შენობიდან გატანილი ძვირფასი ნაკეთობანი. მათ შორის აღსანიშნავია ფიზიკის და ქიმიის კაბინეტ-ლაბორატორიიდან 337.400 მანეთის ღირებულების სასწავლო ხელსაწყოები, ასევე უძველესი ისტორიული რუკები, მსოფლიო ლიტერატურის შედევრები, ფერწერული ტილოები, ძვირფასი ლექსიკონები და ენციკლოპედიები. გაიძარცვა ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში არსებული ეკლესია. თურქებმა ეკლესიას ჩამოხსნეს ზარი, გაიტაცეს ოქროს

ჯვრები, ხატები, ოქროს სასანთლები, მოქარგული ნოხები ა.შ. (ასსცსა, ფონდი ი-10, საქმე 58, ფურც. 21)

1918 წელს თურქების მიერ ბათუმის დაკავებას სრულიად საქართველო აღუდგა წინ. მათ შორის იყვნენ ცისფერყანწელების ახალი თაობა. ამ ქვეყნის შვილს გული სიამაყით გევსება, როდესაც გეპულობ თუ როგორი პროტესტის გრძნობით შეხვდნენ ცისფერყანწელები ოსმალების მიერ ახალციხისა და ბათუმის დაკავებას. მურად მთვარელიძის წიგნი „ქრონიკები ტიცვიან ტაბიძის ცხოვრებიდან“ ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს წინო ტაბიძის ნაშრომისა – „ტიციანი და მისი მეგობრები“. წიგნში კონკრეტულად არის აღწერილი ცისფერყანწელთა პატრიოტული საქმიანობა. ვალერიანი იმ დროს პატრიოტული გრძნობით მოუწოდებდა თანამემამულეებს:

„მაშ, ძმებო, ერთად გავწიროდ თავი,
ნუთუ გვიმტყუნებს ბედი მასხარა,
ან გამარჯვება და ან საფლავი
მტერს შევებრძოლოთ, თოფები ჩქარა“

პაოლოც არ დარჩა ვალში და მის ლექსში გამოხატა თავისი გულის ნადები ბათუმის დაცემის გამო:

„ბათუმის ცაზე მე ვუმზერ ყვავებს
ბრძანება ისმის და სმენა ჩქარა,
გაშაღეთ მზეზე პრიალა ხმლები
ან დავიბრუნოთ ჩვენი აჭარა
ანდა ბათუმთან დავტოვოთ ძვლები“.

ბათუმის დაცემის ამბავი ტიცვიანმა თავისი დაბადების დღეს ეროვნული ტრაგედიის ფონზე წარმოიდგინა და ბათუმს უძღვნა ლექსი „ორი აპრილი“:

„ბათუმი მისცეს და ორპირზე მოდის თათარი
ატმის ყავილით სისხლიანის ტირის აპრილი
ყვითელ სატურნის უბედობით ავად გამხდარა
პოეტის სულიც საქართველოს კუზად დახრილა“

ცისფერყანწელები სიცოცხლის ბოლო წუთებამდე საქართველოს ერთიანობის იდეის დაცვას ემსახურებოდნენ. ისინი მკაცრად იცავდნენ ქართლის ცხოვრების მთავარ კა-

ნონს: „არავის ვეყმით, არცა ვემონოთ, გარეშე ღვთისა დამ-
ბადებლისა“.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ასსცსა, ფონდი ი-10 საქმე 58
2. ასსცსა, ფონდი 432 საქმე 399
3. შ.რადიანი „გარდასულ დროთა მატიანე“, თბ. 2015
4. მ. მთვარელიძე „ქრონიკები ტ. ტაბიძის ცხოვრებიდან“
თბ. 2011

Merab Megrelishvili

Socio-political life in Ajara (XIX-XX centuries)

Summary

On the basis of archival materials, in article is presented socio-political life in Ajara during XIX-XX Centuries.

*თემურ ავალიანი
ელგუჯა მაკარაძე*

**არტაანის ონომასტიკა „გურჯისტანის ვილაეთის
დიდი დავთრის“ მიხედვით. მისი ტრანსფორმაციის
ძირითადი გზები და ფაქტორები
(ნაშრომი შესრულებულია საგრანტო პროექტის
(NFR/196/2-105/14) „არტაანის ქართული კულტურული
მემკვიდრეობის ძეგლების“ ფარგლებში)**

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია არტაანის რეგიონში მოწყობილი ჩვენი პირველი სამეცნიერო ექსპედიციის შედეგები, რომლის მიზანიც იყო მშობლიური ფესვებისგან საუკუნეების მანძილზე დღემდე მოწყვეტილ ამ უძველეს ისტორიულ ქართულ რეგიონში ქართული კულტურის ნაკვალევის გამოვლენა და კომპლექსური ანალიზი, რაც დღემდე არ ჩატარებულა.

კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა საუკუნეების განმავლობაში ფორმირებულ წმინდა თურქულენოვან გარემოში ქართულენოვანი სუბსტრატის და რეგიონის ენობრივი სურათის ტრანსფორმაციის სოციოკულტურული ფაქტორების გამოვლენა-ანალიზი. სწორედ მისი ნაწილია კონკრეტულად წინამდებარე ნაშრომის ანალიზის საგანიც: რეგიონის ტოპონიმია, რომელიც, როგორც წესი, ყველაზე მგრძნობიარედ რეაგირებს კულტურულ-ისტორიულ ცვლილებებზე, რის გამოც ის წარმოადგენს რეალური სურათის ამსახველ ერთ-ერთ ყველაზე უტყუარ მასალას.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევის თვალსაზრისით „თურქეთის საქართველოს“ სხვა კუთხეებთან შედარებით არტაანი ფრიად სპეციფიკური რეგიონია, რაც დაადასტურა ჩვენმა სამეცნიერო ექსპედიციამაც: დღეის მდგომარეობით ქართული ფოლკლორული და ენობრივი მასალა აქ თითქმის მთლიანად წაშლილია. ანალოგიური სიტუაციაა საქართველოს არქივებშიც, რაზედაც არაერთხელ მიუთითებდნენ კიდევ მკვლევრები. ასე მაგალითად, ცნობილი ქართველი

მეცნიერი, „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთრის“ მკვლევარი და ქართული თარგმანის ავტორი ს. ჯიქია: წერს: „ ... ტაო-არტაანის შესახებ საქართველოს ცენტრალურ არქივში მასალები თითქმის არ მოიპოვება. არტაანისა და ოლთისის ოლქების შესახებ მასალები არ არის არც 1878 წლის მომდევნო ხანებისათვის, როცა ეს ადგილები ისევ დაგვიბრუნდა. **ესაა მიზეზი იმისა, რომ ტაო-არტაანის გეოგრაფიული პუნქტების დახასიათება წიგნის ამ ნაწილში ძალიან მოკლედაა მოცემული**“ (გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, შემდგომში გვდდ, 1958: გვ.505).

ს. ჯიქია მიუთითებს რეგიონის სხვა თავისებურებაზეც, კერძოდ, ის აღნიშნავს, რომ 1933 წელს მოენყო სამეცნიერო ექსპედიცია, რომლის მიზანიც იყო ამ კუთხის (საუბარია ჯავახეთ-არტაანის რეგიონებზე) ტოპონიმიკური მასალის ადგილზე შესწავლა. ექსპედიცია ხშირად ჯავახეთშიც კი ვერღებულობდა ზუსტ ცნობებს გეოგრაფიული ნომენკლატურის შესახებ. **„ეს ალბათ იმიტომ, რომ ჯავახეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ადგილობრივი არ არის... ჩვენ არაფერს ვლაპარაკობთ, „გურჯისტანის ვილაეთის“ იმ რაიონებზე, რომლებიც ამჟამად თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში არიან. ასეთებია: ფოცხოვის პროვინციაში – მზვარისა და ჩრდილის რაიონები, ე.წ. დიდი არტაანში – მზვარის, ჩრდილისა და ტყის რაიონები, და ტაოში – ფანაკის, ქამხისისა და ფანასკერტის რაიონები“**- წერს მკვლევარი.

დღეისათვის ამ ფაქტორებს ემატება ისიც, რომ რეგიონში საკმაოდ დიდია ქურთი ეროვნების მოსახლეობის რიცხვი, რომელიც თურქეთის რესპუბლიკაში ამჟამად შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო მაქსიმალურად არიდებს თავს სოფელში შესულ უცნობ ადამიანებთან კომუნიკაციას, მითუმეტეს რაიმე სახის კითხვებზე პასუხების გაცემას. ამის გამო ხშირ შემთხვევაში იძულებული ვხდებოდით მათთან ინტერაქცია დაწყებისთანავე უშედეგოდ შეგვეწყვიტა.

მიუხედავად აღნიშნული წინააღმდეგობებისა, ექსპედიცია წარმატებით დასრულდა, მოძიებულ იქნა არც თუ ისე

უხვი, თუმცა მნიშვნელოვანი და უაღრესად საინტერესო მასალა, რომლის სრული ანალიზიც მოხდება მას შემდეგ, რაც შეივსება მომდევნო კიდევ ორი სამეცნიერო ექსპედიციის შედეგად. წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში კი ჩვენ ვისაუბრებთ XVII-XXI საუკუნეების მანძილზე (ანუ ოსმალეთის მიერ მისი დაპყრობიდან დღემდე) არტაანის რეგიონის ტოპონიმიკური სურათის ტრანსფორმაციის ძირითად ტენდენციებსა და მათ განმაპირობებელ ფაქტორებზე, რისთვისაც საჭიროა XVII საუკუნის დასაწყისის ტოპონიმიკური სურათის წარმოჩენა და მისი შედარება დღევანდელთან.



„თურქეთის საქართველოს“ ოსმალომდელი პერიოდის ეკონომიკური, კულტურული, ენობრივი თუ სხვა სახის სურათის აღდგენისათვის ერთ-ერთი ფასდაუდებელი წყაროა ე. წ. გურჯისტანის ვილაეთის დავთრები. როგორც მკვლევრები მიუთითებენ, „**მათში დაცული ცნობები სანდოა...** რადგან ისინი შედგენილია ადგილზე მომუშავე კომისიის (ცხადია, ოსმალური) მიერ თითოეული მონაცემის ზუსტად შემოწმებისა და შეჯერების შედეგად... **როდესაც საქმე ეხება მოსახლეობის დაბევრას, ეჭვგარეშეა, რომ მათში დაფიქსირებულია ყველა ობიექტი. არ არის გამოტოვებული უმცირესი დასახლებული ობიექტიც კი (შაშიკაძე, 2009).**

ჩვენი საკვლევი მასალის ძირითადი წყაროა ოსმალ მოხელეების მიერ 1595 წელს შედგენილი „გურჯისტანის ვი-

ლაეთის დიდი დავთარი“⁴, ვინაიდან სწორედ მასშია აღწერილი ჩვენი საკვლევი რეგიონი. როგორც ს. ჯიქია წერს, „დავთარის შემდგენელი დიდი მონდომებით ცდილობს შეძლებისდაგვარად ზუსტად ასახოს საკუთარი სახელები ამ ოფიციალურ დოკუმენტში. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ „დავთარში“ ხშირად სახეებით სწორი ფორმებია ჩანერილი იმ გეოგრაფიული სახელებისა, რომლებიც შემდეგ დროთა სიავის გამო ისე გადასხვაფერდა, რომ **თუ არა დავთარი, ამ სახელების ქართული ეროვნული ფორმების აღდგენა გარკვეულ შემთხვევებში შეუძლებელი შეიქმნებოდა**“ (გვდდ 1958:25). მკვლევარი არაერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ამ თვალსაზრისით ძნელად თუ წარმოიდგინება დავთრის თანამედროვე თუ უფრო მოგვიანო ეპოქის საქართველოს რომელიმე კუთხისთვის უკეთესი ძეგლი, რომელშიც ასე ამომწურავად და თანამიმდევრულად იყოს წარმოდგენილი მხარის გეოგრაფიული დასახლებული პუნქტები. მასში არ არის გამოტოვებული უმცირესი დასახლებული პუნქტიც კი. მაგალითად, ერთკომლიანი სოფელი *სამწუბი*, ორკომლიანი სოფლები *კულიკამი* და *კიმოსთიმანი*. აღწერილია აგრეთვე ჟამთა სიავის გამო გაუკაცრიელებული 300-მდე სოფელიც (გვდდ, 1958:22)

დავთრის მიხედვით გურჯისტანის ვილაიეთი 8 ადმინისტრაციულ ერთეულად — ლივად იყოფოდა. ესენი იყო: ახალციხის, ხერთვისის, ახალქალაქის, ჩილდირის, ფოცხოვის, პეტრეს, ფანაკისა და **დიდი არტაანის** ლივები. თავის მხრივ ლივები ნაჰიებად (რაიონებად) იყო დანაწილებული, დასახლებული პუნქტების საერთო რიცხვი 1160-ს შეადგენდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მათგან ჩვენ ავიღეთ მხოლოდ დიდი არტაანის ლივა, რომელიც სამი ნაჰიესგან შედგება: ესაა **მზვარის, ჩილდირის/ჩრდილის და ტყის ნაჰიეები, რომელთა** იმდროინდელ ტოპონიმურ სურათს 150-მდე გეოგრაფიული სახელწოდება ქმნის. ესენია:

1. მზვარის ნაჰიე, სადაც დაფიქსირებულია 70-მდე ისტორიული ტოპონიმი (ძირითადადში სოფლისსახელები):

1. ადაგული, 2.ალაბალა, 3.ანბარაკი, 4.არდანა/არდანაკი („ხუთვერსიან რუკაზე აღნიშნულია Арданяк-ად, რომელიც არდანაკის (მდრ. აგარა-აგარაკი) დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს), **5.ბებერეკი** (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისთვის გ. შალიბაშვილის მიერ გამოგზავნილ წერილში სოფელს „ბებერაქი“ ჰქვია. ნამდვილი ქართული სახელის დასადგენად საჭიროა დამატებითი მასალა (გვდდ 1958:506) (ჩამონათვალში ს. ჯიქიას კომენტარებს გვერდებს აღარ ვუთითებთ. - ავტორები), **6.ბერდაგული, 7.გელაზორი (ზედა, ქვედა), 8.გურა** (ერთ-ერთ თურქულ რუკაზე ჰქვია Гюра, რაც თურქიზებული „გურა“-ა), **9.დადაგული, 10.დროში, 11.თაგურეთი, 12.თაგვეთი/თავგეთი, 13.თორა, 14.თოროსხევი, 15.იაილაჯიკი, 16.კანდრიდი, 17.კანდახორი, 18.კუნზულუტი, 19.მანიოხი, 20.მალარკარა, 21.მახლაფური, 22.მამული, 23.მეიდანი, 24.მიმრანი, 25.ორი ეკლესია, 26.რევაზი/რევაზისი, 27.ლორი, 28.სარნები/სარზაბი**, („გიორგი მერჩულეს თხზულებაში მოხსენიებულია პუნქტი „სარნები“, რომელიც არტაანის მხარეში მდებარეობდა. ამიტომ უეჭველი უნდა იყოს დავთრისეული „სარზაბისა“ და მერჩულეს „სარნების“ იგივეობა, ოღონდ უნდა შევნიშნოთ, რომ თურქ მოხელეს სარნების ნაცვლად სარნაბი (სარზაბ) ჩაუნერია. მე-19 საუკუნის სარნებში რუსი სექტანტები იქნენ ჩასახლებული და სოფელს ახალი სახელი შეარქვეს: Николаевка – бывш. Серзед“). **29.სიგლაშენი, 30.სირასგომი, 31.ტამალი, 32.ტეზათი, 33.ტიკაშენი, 34.ტყემლობი, 35.ტყისთავი, 36.ურუმი**, („urum/rum – ს თურქები ანატოლიელ ბერძნებს ეძახდნენ, სწორედ მათთან უნდა იყოს კავშირში ეს სახელწოდება“), **37.ფარაკანი, 38.ციხის 39.რაბათი, 40.წმინდაელია, 42.წმინდამარინე, 43.წისქვილისხევი** („რუსულ რუკაზე აღნიშნულია სოფელი дагирманкёй, რისი თურქულიდან პირდაპირი თარგმანიც „წისქვილის სოფელი“-ა ... სწორედ ეს უნდა იყოს ამ სოფლის დავთრისდროინდელი სახელი, ჯერ კიდევ ქართულად იყო ფიქსირებული და თურქებს მათ ენაზე უთარგმნიათ“), **44.ფახრელი = „ქვაყრილი“** („სახნავ-სათე-

სის სახელიათურქულსა და რუსულში თავკიდური „Ф“ ქართულისთვის უცხოა, ამიტომ ქართულ ტოპონიმში ეს ბგერა არ უნდა ყოფილიყო, მის ნაცვლად აქ უნდა ყოფილიყო „ქვ“ . ე.ი უნდა იყოს ქვაყრილი, იმიტომ რომ სწორედ ამ ზონაშია ცნობილი არსიანის მთა „ქვაყრილად“ წოდებული. ამ მთის კალთების ძირში უნდა ყოფილიყო სოფელი „ქვაყრილი“), **45.ქესაზოკორდი, 46.ფიჩხასგომი, 47.ქალაქშენი, 48.ქინძოტამალი, 49.ღუმეთი, 50.შადევანი, 51.შუა ეკლესია** („რუსეთის ევროპული რუკებიდან ამომინერია რომ სოფელი Шуакилиса მდებარეობს სოფ. ალაბალასთან“), **52.ხევა, 53.ხერენკი** („შეიძლება „ხერენგი“ და სხვა.

2. ჩილდირის/ჩრდილის ნაჰიე, სადაც დაფიქსირებულია 40-მდე ისტორიული ტოპონიმი (ძირითადადში სოფლის სახელები):

1.აკამეთი, 2.ალმონა („სპეცრუკაზე Алмана. შეცდომაა, დავთრის დაწერილობის მიხედვით უნდა იყოს ალმონა“), **3.ალაჯა ქილისა** (=„ჭრელი ეკლესია“), **4.ახალშენი, 5.ბურდოსანი, 6.გოგაშენი, 7.გურჯიბეგი, 8.ბაღდადი** („ზოგ რუკაზე შეცდომით Богдат-ი წერია ... სოფელთან აღრიცხულ სათესველთაგან ერთს ჰქვია შაჰ-აზიზ-პინნარი=„შაჰ აზიზის წყარო“). **9.თეთრინყაროს იალალი** („შემდგომში აკპინარი, „ეტყობა თეთრინყარო ერქვა და თურქებმა თარგმნეს“), **10.კომკი, 11.კოთისწყარო/კოდისწყარო** („კ. ოდიშარიას მიერ მოწოდებულ სიებში წერია, თითქოს ამ სოფლის ახალი სახელია ვლადიმროვკა“), **12.მინდაშენი, 13.ნადარბაზი, 14.პატარა ტამალი, 15.საბულარი** („რუსულ რუკებში და სტატისტიკურ მონაცემებში ყველგან დამახინჯებულად Сафара წერია და 1923 წლის საქართველოს ისტორიულ რუკაზეც საბგარაა დაფიქსირებული“), **16.პეტრეპავლე** („პეტრესა და პავლეს ეკლესია იყო და იმიტომ“), **17.სადგომი, 18.საზარა, 19.სეფისხევი, 20.სინდიგომი, 21.ქამრასორი** (ზემო და ქვემო), **22.შირმანი, 23.შირაზი** („ეს სახელი ეჭვებს არ იწვევს, რადგან ირანული წარმოშობის გეოგრაფიული სა-

ხელები შირაზის გარდა სხვაც გვაქვს: ანუშირვანი, ქირვანი. დავთრის დროს შირაზში 7 კომლია და შვიდივე მუსლიმია“). **24. ყუთარმელიქი** („რომელიღაც რუკიდან ამომინერია „Кютар-мелик“); **25. ჯინჭრობი** („ვახუშტი არტაანის აღწერის შემდეგ ამბობს: „ამას ზეით, მტკვრის კიდეცა ზედავე, არს დავლით „ჯინჭრობი“ ... ალბათ ამის მიხედვით „საქართველოს ისტორიულ რუკაზეც „ჯინჭრობი“ გვაქვს. ალ. ფრონელიც ჯინჭრობს წერს ... თურქულად ჯინჭრობი ჯინჯირობი უნდა ყოფილიყო“) და სხვა.

3. ტყის არტაანის ნაჰიე, სადაც დაფიქსირებულია 70-მდე ტოპონიმი (ძირითადად შოფლის სახელები):

1. ალიოსმანი (=„ელიასუბანი“); **2. აღჯაყალა** (=„თეთრციხე“ თარგმნილი თურქულად); **3. ახაშენი**, **4. ბენდენოხვარდი**, **5. ბეგრახათუნი**; **6. ბორქი**, **7. გუგუბა** (« ... церковь этого селения была посвящена, видимо, Святому Георгию и само слово Гогюба/Гюгюба должно происходить от Георгоба» с. 533), **8. გეჯი**, **9. გუდამეთი/გუდანეთი**, **10. გულაბერთი**, **11. დიდი ვარდოსანი**, **12. დუდუნა**, **13. ვაჯარი**; **14. ვარდოსანი/ბურდოსანი**, **15. ველი**, („ე. თაყაიშვილის ცნობით, ამ სოფელს ველი იმიტომ ეწოდა, რომ არტაანის ეს ზონა სწორია, ვაკეა“), **16. ზარაბუქი**, **17. იშაგომი**; **18. კალამეთი (გულამეთი)**, **19. კალაჯიკი** („თურქული კნინობითი ფორმაა სიტყვისა „კალე-ციხე“, **20. კარგსოფელი** („არტაანის ახლოს არის მეორე სოფელი სახელწოდებით „ხასქოი“, რისი პირდაპირი თარგმანიც კარგსოფელია“), **21. კიზილ-ქილისა** („კიზილ“-თურქ. „წითელი“ („ამ სოფელს „წითელი ეკლესია“ უნდა რქმეოდა და თურქებმა მერე ეს სახელი თარგმნეს“), **22. კიზილ-ჩახომტეკი**, **22. კონდურელი/კონდრაული**, **23. ლალვანა**, **24. მაჩუეთი**; **25. მერიემი**, **26. მგლინავი/სამგლია**, **27. მონასტერი (სათესველია)**, **28. მუნუსი**; **29. ნაქალაქევი**; **30. ნასოფელი** („დავთრის დროს უკაცრიელი სოფელია“), **31. ოკამი**, **ორჩოკი**; **32. ორჯოხის მთა** და ამავე სახელით გეოგრა-

ფიული პუნქტებიც. ფონეტიკურად შეუძლებელი არ არის, რომ ორჩოკი თურქიზებული ორჯოხი იყოს“), 33.ორბუხა; 34.ორუშეთი/ერუშეთი; 35.ონჯორბეგი; 36.ოქროქოთანი, 37.ოჩკორა 38.როკეთი, 39.სათორნია, 40.სასხარა; 41.სამაბეგი; 42.სამოთხე/სამუტკა; 43.სალმრო; 44.სკარები; 45.სორსი; 46.სუმელი; 47.ტიკანი, 48.ტყემლობი, 49.ური, 50.უკანმოთილი; 51.ფიკლობი, 52.ფუშხულეთი, 53.ქარაშუთი/ქირფაშენი, 54.ქომქი, 55.ყამიშლუ, 56.ყანდურეთი; 57.შავციხე, 58.ჩაისი/ჩაისთარი; 59.ცახომტეკი; 60.ჩიხირეთი 61.ჩობან-ქოი; 62.წურმანი; 63.ხანაკი/ხანახი; 64.ხამაში; 65.ხაროსმანი, 66.ხომურეთი/ჩულურეთი, 67.ხოვბახეთი, 68.ჯვარისხევი; 69.ჯოთი (დღეს ჯოთ-ქაია)



დავთრისდროინდელი ტოპონიმის ნარმომავლობის შესახებ ნიშანდობლივია ვ. კოპტონაშვილის სიტყვები: „ყველა სოფელი ჩილდირში ქართული ნარმომავლობის ყოფილა“ (კოპტონაშვილი 1915; ციტირებულია „დავთრიდან“, გვ.

32). იგივეს წერს ს. ჯიქია მთლიანად რეგიონზე: „დავთარი“ შედგენილია „გურჯისტანის ვილაეთის“ ოსმალთა მიერ დაპყრობის პირველ წლებში, როდესაც **ადგილობრივი ეროვნული ტოპონიმკასავსებით შეუბღალავი იყო ... „დავთარის“ დროს, მე-16 საუკუნეში ტოპონიმკა, რა თქმა უნდა, წმინდა ქართული იყო**“ (გვდდ, 1958:25, 27).

ახლა კი ავიღოთ თანამედროვე არტაანის/არდაჰანის რეგიონის ერთერთი რუკა და გადავხედოთ მათზე დატანილ ტოპონიმებს (სოფლის სახელებს):

აშკარაა, რომ რეგიონის ტოპონიმური სურათი რადიკალურადაა შეცვლილი, ანუ ს. ჯიქიას სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, ოსმალთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ **მოხდა ადგილობრივი გეოგრაფიული ნომენკლატურის შერყვნა**(გვდდ, 1958:25)



რა ფაქტორებს უნდა განეპირობებინა ასეთი რადიკალური ცვლილებები და რა გზებით უნდა წარმართულიყო იგი?

საერთოდ, არავისთვის გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ დაპყრობილი ტერიტორიების ონომასტიკური სურათის ხელოვნური შეცვლა ჩვეულებრივი, შეიძლება ითქვას, უნივერსალური მოვლენაა, მაგრამ ოსმალთა ხელისუფალთა მხრიდან ტოპონიმთა დამახინჯებისა და სწორედ რომ შერყვნის პრაქტიკა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე მოვლენაა,

სხვებისგან გამორჩეულია და განსაკუთრებული სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი. ამის გამო განგაშის ზარებს არისხებენ ჩვენი სომეხი კოლეგებიც, რომლებიც, პირველ რიგში, ხაზს უსვამენ აბდულ-ხემიდის დროინდელი ოსმალეთის სახელმწიფო მოხელის, ინგლისური ორიენტაციისვეზირ ქამილ-ფაშას სიტყვებს: „Ежели мы вырастили змею на своей груди в Европе (имеется в виду балканские народы. – Л.С.), ту же самую глупость мы не должны повторять в Азиатской Турции. **Логика требует убрать с пути все те элементы, которые однажды представят повод для международного вмешательства и станут орудием в руках этих сил.**Мы и Англия не признаем слова „Армения“ и следует разбить ту челюсть, которая осмелится произнести это слово“– (ერევნის უნივერსიტეტის დოცენტ ლ. სააკიანის ციტატას ჩვენ აღარ ვთარგმნეთ.მისი ნაშრომი მოძიებულია მისამართზე: <http://yerkramas.do.am/publ/oturechivanie-toponimov-v-osmanskoj-imperii-i-respublikanskoj-turcii/5-1-0-218>).

არათურქული და საერთოდ არამუსლიმური ტოპონიმების სისტემური გადათურქების სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანის დასტურად მკვლევარს მოჰყავს 1913 წლის 13 მაისს გამოცემული „**ინსტრუქცია ლტოვილთა განსახლების შესახებ**“ და 1916 წლის 5 იანვარს სამხედრო მინისტრ ენვერ-ფაშას მიერ გამოცემული ბრძანება, რომელიც თურქეთის სამხედრო-პოლიტიკურ მოხელეებს პირდაპირ ავალდებულებდა **რაც შეიძლება დაჩქარებული ტემპებით შეეცვალათ არამუსლიმური წარმოშობის ტოპონიმები**. ამ ბრძანებაში ტოპონიმების შეცვლას ეხება შემდეგი შინაარსის პუნქტები:

1. ოსმალეთში სომხური, ბერძნული, ბულგარული და სხვა არამუსლიმური ხალხების გეოგრაფიული სახელწოდებების თურქულით შეცვლა აუცილებელია;

2. ამ ღონისძიების გატარების პროცესში ახალ სახელწოდებათა ნუსხები უნდა შეთანხმდეს სამხედრო და ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოებთან;

3. ახალი სახელწოდებები უნდა შეიცავდნენ და ასახავდნენ სახელგანთქმული თურქული არმიის ისტორიის ეპიზოდებს ... და ა.შ.

ტოპონიმთა „ნაციონალიზაციის“ სახელმწიფო პოლიტიკა ინტენსიურად გრძელდება ქემალისტურ და შემდგომ პერიოდებშიც. ასე მაგალითად, უცხოურენოვანი ტოპონიმების თურქული ტოპონიმებით ჩანაცვლების შესახებ თურქეთის ხელისუფლებამ 1940 წელს გამოსცა სპეციალური განკარგულება № 8589, თუმცა ის მსოფლიო ომის დაწყების გამო შეფერხდა.

1949 წელს ტოპონიმთა გადარქმევის საკითხი შეტანილ იქნა რეგიონალურ ადმინისტრაციულ კანონში (31 Эдаresi Kanunu). 1957 წელს სახელთა გადარქმევის სპეციალური ორგანოც კი იქმნება. როგორც ლ. სააკიანი წერს, ამ კომისიამ 21 წლის მანძილზე 75 000 ტოპონიმი გამოიკვლია, რომელთაგანაც 28 000 შეცვალა (მათ შორის 12 000 სოფლის სახელია). „Для предотвращения „сепаратизма“ были изменены арабские, персидские, армянские, курдские, грузинские, татарские, черкезские, лазские названия сел” – წერს ავტორი.

დაპყრობილი ტერიტორიების გეოგრაფიულ სახელწოდებათა სწორედ რომ შერყვნის მოტივაციას შესანიშნავად ასახავს ენვერ-ფაშას თანამედროვე ერთ-ერთი სამხედრო მოხელის, თურქული კულტურისა და ენის შესახებ სტატიების ავტორის **ჰუსეინ ავნი-ბეის** სიტყვები: „თუ გვინდა ვიყოთ ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონები, ვალდებულნი ვართ გადავათურქულოთ ყველაზე პატარა სოფლის სახელწოდებაც კი. **სწორედ ამ გზით შევძლებთ „გადავლებით ჩვენი ქვეყანა ჩვენს ფერებში“**“ (ლ. სააკიანი).

ცხადია, ამ ფაქტორებმა განაპირობა „დავთრისდროინდელი“ არტაანის რეგიონის ტოპონიმის ტრანსფორმაცია, რომლის ერთ-ერთ ყველაზე პროდუქტიულ გზად პირდაპირი თარგმანი სახელდება: „რადგან ეს სოფლები დიდი ხანია თათრის ხელშია, და თათრებითაა დასახლებული, ზოგიერთი სოფლის სახელი თათრულად გადაუთარგმნიათ, თა-

ნაც დღემდე ქართული სახელიც შემორჩენილა. ასე მაგალითად, ქართველები ... ამბობენ „თეთრაციხე“, თათრები ეძახიან „აღჯაყალეს“ (კოპტონაშვილი, 1915. ციტირებულია ნიგნიდან: გვდდ, 1958:32). ანალოგიურად ხსნის შემდეგნაწილებს ს.ჯიქიაც: **გურჯი ბოლაზის** ანუ ისტორიული **საქართველოს ყელის ხეობა (გვ. 31); დოხუსპინარი ანუ** ისტორიული **ცხრანყარო (გვ.32); ალთუნ-კალა ანუ** ისტორიული **ოქროციხე (გვ. 32); კურტ-კალე ანუ** ისტორიული **მგელციხე (გვ. 32); შაითან-კალა ანუ** ისტორიული **ქაჯისციხე; ოთხთა ეკლესია ანუ** ისტორიული **დორთქილისა** და სხვა. მათ შესახებ ავტორი წერს, რომ ყველა ეს შემთხვევა საგანგებოდ აქვს შესწავლილი და ამიტომაც შეაქვს ის თავის გამოკვლევაში (გვ. 33).

„დავთარში“ დაფიქსირებულ ისტორიულ ქართულ ტოპონიმთა ტრანსფორმაციის შედეგების კვლევის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო მასალას იძლევა აგრეთვე ნაშრომი: „ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2014 წლის საკვლევე ექსპედიციების ანგარიშები“, რომელიც შესრულებულია თ. ხუციშვილისა და ავტორთა კოლექტივის მიერ საგრანტო პროგრამის: „თურქეთში მდებარე ქართული ისტორიული მხარეების ტაო-კლარჯეთისა და კოლა-არტაანის მატერიალური კულტურის ძეგლების კატალოგი“-ს ფარგლებში.

მითითებული ნაშრომების, სხვა წყაროებისა და ჩვენი პირველი ექსპედიციის მასალების ერთმანეთთან შეჯერების საფუძველზე არტაანის ლივის ტოპონიმური სურათის ტრანსფორმაცია ასეთ სახეს მიიღებს:

№	დღევანდელი ტოპონიმი	ისტორიული ტოპონიმი	სადაა დაფიქსირებული
1.	აიდინგიუნ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
2.	ავჯილარ	ზემო ჰანაკი	დავთარი, ხუციშვილი
3.	აკკირაზ	ქავთარნაგები	დავთარი, ხუციშვილი
4.	აკიაკა	კოდისწყარო	დავთარი, ხუციშვილი

5.	აკინჯილარ	ოქოშეთი	ხუციშვილი
6.	აკჩაკალე	თეთრციხე	დავთარი, ხუციშვილი, რუკა
7.	აკდარი	ჩამარდო	დავთარი, ხუციშვილი
8.	ალაჩამი	ქვემო ტიკანი	დავთარი, ხუციშვილი
9.	ალაგიოზ	ალაგიოზი	დავთარი, რუკა
10.	ალქოი	ალი	ხუციშვილი
11.	ალტაშ	ური	დავთარი, ხუციშვილი)
12.	არიკონაკ	კომკი	რუკა, ხუციშვილი
13.	არდიჩდერე	ზემო თოროსხევი	დავთარი, ხუციშვილი
14.	აღილლი	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
15.	აღილიოლი	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
16.	აღზიპეკ	ზემო ჭინჭრობი	დავთარი,
17.	აშაჰიგიუნდემ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
18.	აშალიადერე	ზემო ნურმანი	დავთარი, ხუციშვილი
19.	ბაირამოჰლუ	კორა	რუკა, ხუციშვილი
20.	ბალტალი	თათალეთი	დავთარი, რუკა, ხუციშვილი
21.	ბალიკჩილარ	დუდუნა	დავთარი, ხუციშვილი
22.	ბალოზე	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
23.	ბაიკენტ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
24.	ბაჰლაშენ	ქინძოტამალი	დავთარი, რუკა, ხუციშვილი
25.	ბაშტოკლუ	ზემო ტიკანი	დავთარი, რუკა, ხუციშვილი
26.	ბინბაშაკ	უგუბო	დავთარი, რუკა, ხუციშვილი
27.	ბინბაშჯემინბეი	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
28.	ბიორკი	ზემო ბორგი	დავთარი, რუკა, ხუციშვილი
29.	ბოშდერე	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
30.	ბოზიიჰით	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა

31.	ბუიუკსუტლუჯე	დიდი ხარზიანი	დავთარი, რუკა
32.	გედიკ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
33.	გერმირეკ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
34.	გერკოი	გეჯი	დავთარი, ხუციშვილი
35.	გიოკბაკან	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
36.	გიოლბელენ	ურთა	დავთარი, რუკა, ხუციშვილი
37.	გიოლგელი	ყელღელე	ხუციშვილი
38.	გიუმლიუჯე	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
39.	გიუვენოჯაკ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
40.	გიუზნიმენი	ქირმანი	დავთარი,
41.	გიულიუზუ	ფექრაშენი	დავთარი, რუკა, ხუციშვილი
42.	გიუნემგორენ	ქარქათვალი	დავთარი,
43.	გიურჩაირ	ზემო საბულარი	დავთარი, რუკა
44.	დამალ	პატარა ტამალი	დავთარი, რუკა, ხუციშვილი
45.	დამლასუ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
46.	დამლიჯა	კოტამახი	ხუციშვილი
47.	დაჰევი	ტებათი	დავთარი,
48.	დაჰჯი	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
49.	დედეგიულ	ადაგული	დავთარი, რუკა
50.	დენგელი	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
51.	დერეიოლუ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
52.	დერინდერე	ხევა	რუკა, დავთარი, ხუციშვილი
53.	დეღირმენლი	ნისქვილისხევი	დავთარი, ხუციშვილი
54.	დილეკდერე	ხომურეთი	დავთარი, ხუციშვილი
55.	დირსეკკაია	ზაქი	დავთარი, ხუციშვილი
56.	დოჰრუიოლ	ჭალა	დავთარი, რუკა, ხუციშვილი
57.	დურანჩამ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
58.	ესკიკილიჩ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
59.	ესკიბეირათხანუმ	ბეგრახათუნი	დავთარი, ხუციშვილი

			ვილი
60.	ესენბოლაზ	ჯერ-ჯერობით უცნობია	დავთარი,
61.	ემეპინარ	ფრუტი	დავთარი, ხუციშვილი
62.	თეხეკი	ბებერი	რუკა, ხუციშვილი
63.	იაილაჩიკ	პატარა სარძევე	დავთარი,
64.	იაიუზლარ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
65.	იალნიზჩამ	სიდისგომი	დავთარი, რუკა, ხუციშვილი
66.	იამჩილი	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
67.	იამაჩიოლუ	პატარა ვარდოსანი	დავთარი, რუკა, ხუციშვილი
68.	იაკინსუ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
69.	იენიქოი	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
70.	იენიბერიეჰათუნ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
71.	იუკარჯავდერე	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
72.	ილდირიმტეპე	ჩრდილი	დავთარი,
73.	ინჯედერე	ფიქლობი	დავთარი, ხუციშვილი
74.	იოიუნჯულ	წყაროსთავი	დავთარი, რუკა, ხუციშვილი
75.	იოკუშდები	ლორი	რუკა, დავთარი, ხუციშვილი
76.	იოვუნდუ	ვაშლობი	რუკა, ხუციშვილი
77.	იუნბიუკენ	ჩიხირეთი	დავთარი, რუკა, ხუციშვილი
78.	იუკარიჯამბაზ	პატარა ჯამბაზი	დავთარი, ხუციშვილი
79.	იქიზდერე	მუნუსი	დავთარი, ხუციშვილი
80.	კაიაალტი	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
81.	კაიაბეი	ჩაისი	დავთარი, ხუციშვილი
82.	კაკაჩ	კაგარი	რუკა, ხუციშვილი
83.	კალეჯიკ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
84.	კარაკალე	შავციხე	დავთარი, რუკა, ხუციშვილი
85.	კარტალპინარი	ფახრელი	რუკა, დავთარი,

			რი,ხუციშვილი
86.	კენარდერე	ამფური	დავთარი, ხუციშვილი
87.	კენარბელ	ქანარბელი	დავთარი, რუკა, ხუციშვილი
88.	კიზლიკაია, კაშ-ლიკაია	ვარდმანა	დავთარი, ხუციშვილი
89.	კირაჩ	ზანასგომი	დავთარი,
90.	კიოპრიულიუ/ქი-ოპრიულიუ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
91.	კიოპრუჯუკი	ხეზისკარი	ხუციშვილი
92.	კოლქოი	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
93.	კოჩაკოი	კოჩაკოი	დავთარი,
94.	კოტანლი	სკარები	დავთარი,ხუციშვილი
95.	კუზუკაია	საბადური	დავთარი, რუკა
96.	კუიუტუჯა	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
97.	კურტკალე	მგელციხე	დავთარი, რუკა დავთარი,
98.	კუშუმაზი	ქოფალი	რუკა, დავთარი, ხუციშვილი
99.	მერიემქოი	მერიემი	დავთარი, ხუციშვილი
100.	ნეზიოღლუ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
101.	ოვაპინარი	ბალდადი	დავთარი, ხუციშვილი
102.	ოვუნდუ	ვაშლობი	დავთარი, ხუციშვილი
103.	ორთაგეჩიტ	საზარა	რუკა, ხუციშვილი
104.	ორთაკენტ	ნაქალაქევი	დავთარი, ხუციშვილი
105.	ოღჩეკ	ორჩოკი	დავთარი, ხუციშვილი
106.	ოღუზიოღლუ	ორუშეთი	ხუციშვილი
107.	საბაჰოღლუ	კოტასი	დავთარი, რუკა, ხუციშვილი
108.	სავაშირ	ჭანჭახი	დავთარი, რუკა
109.	საზლისუ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა

110.	საზღიჩაირი	ახალშენი	დავთარი, ხუციშ-ვილი
111.	სამანბელი	სახირპეთი	ხუციშვილი
112.	სამანდიოკენ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
113.	სარიიამაჩი	სირასქომი	დავთარი, რუკა, ხუციშვილი
114.	სევიმლი	ველი	დავთარი, ხუციშ-ვილი
115.	სეიტვერენ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
116.	სემიჰაშაკირი	ჩაისთარი	დავთარი, ხუციშ-ვილი
117.	სოუტლუკაია	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
118.	სიუგიოზე	ქვემო ჭინჭრობი	დავთარი, ხუციშ-ვილი
119.	სიუნგიულიუ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
120.	სიურიუგიუდენ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
121.	სულაქიურტი	სარნები	რუკა, დავთარი, ხუციშვილი
122.	სულაჩაირი	ჯვარისხევი	დავთარი, ხუციშ-ვილი
123.	ტაშლიდერე/თაშ-ლიდერე	პანკისი	რუკა, ხუციშვილი
124.	ტაჰტაკირან	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
125.	ტეპელერ	კომკი	დავთარი, ხუციშ-ვილი
126.	ტეპესუიუ	გურჯიბეგი	დავთარი, ხუციშ-ვილი
127.	ტოპტაშ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
128.	ფანიკი	ჯერ-ჯერობით უცნობია	ხუციშვილი
129.	უზუნოვა	მანიოხი	დავთარი,
130.	ქოიუნპინარი	სასხარა	დავთარი, რუკა, ხუციშვილი
131.	ქიუჩიუკსიუტლი-უჯე	პატარა ხარზიანი	დავთარი, რუკა
132.	ჩაკილდერე	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
133.	ჩაკირკორ	მერე	დავთარი, ხუციშ-ვილი
134.	ჩალაბაში	ჯერ-ჯერობით უცნობია	ხუციშვილი

135.	ჩამლიჩათაკ	გულაბერთი	დავთარი, ხუციშვილი
136.	ჩანაქსუ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
137.	ჩატალდერე	კუნძულუტი	დავთარი, ხუციშვილი
138.	ჩატალკოპრუ	შადევანი	ხუციშვილი
139.	ჩაირჩიმენ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
140.	ჩაიალზი	ორეზაქი	დავთარი, ხუციშვილი
141.	ჩალლაიკი	ერდამელი	ხუციშვილი
142.	ჩიმენკაია	სიგლაშენი	დავთარი, ხუციშვილი
143.	ჩიჩეკლიდაჰ	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
144.	ჩეტინსუ	ბებერეჯი	რუკა, დავთარი, ხუციშვილი
145.	ჩეჰილლი	რევახისი	დავთარი, რუკა, ხუციშვილი
146.	ჩავდარლი	ორბუხა	რუკა, ხუციშვილი
147.	ჯოთაქოი	ჯოთი	დავთარი
148.	ჰასქოი	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა
149.	ჰაჯიალი	ჯერ-ჯერობით უცნობია	რუკა

დავთარში 451 ისტორიული სახელწოდებაა დაფიქსირებული, რომელთაგან ჩვენ შევარჩიეთ მხოლოდ ჩვენი საკვლევი რეგიონის – არტაანსა და მის ახლომდებარე სოფლის სახელები.

როგორც სქემიდან ჩანს, სახეზე გვაქვს ისტორიულ ადგილობრივ სახელწოდებათა ტრანსფორმაციის სხვადასხვა გზა. აქ არის ტოპონიმური წყვილები, რომლებსაც ერთმანეთთან კალკირება ანუ პირდაპირი თარგმანი აკავშირებთ (რაზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი): **თეთრციხე-აკჩაკალე; მგელციხე-კურტკალე; შავციხე-კარაკალე; ახალსოფელი-ინიქოი და სხვა.** ტრანსფორმაციის ეს მეთოდი ნაკლებად პროდუქტიულია.

არის წყვილები, რომელთა შინაფორმებსაც საერთო მოტივაციური ნიშანი აკავშირებთ: **ჭინჭრობი/ჭანჭრობი-სუგოზუ** („სუ“-წყალი, ანუ „დაჭაობებული ადგილი“), **ნაქა-**

ლაქვევი-ორთაკენტ („კენტ“-ქალაქი); **ნისქვილის ხევი-დე-ლირმენლი** (თურქ. „დელირმან“- ნისქვილი) და სხვა.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ტოპონიმი არაა შეცვლილი ან ნაწილობრივია შეცვლილი თურქული ელემენტის დამატებით თუ სხვა გზით: **ალი-ალკოი;ჯოთი-ჯოთაკოი;ბეგრახათუნი-ესკიბეირაჰატუნ; გეჯი-გეჩკოი; მერიემი-მერიემკოი; ბორგი-ბიორკ;ტამალი-დამალ; კოლა-გიო-ლე; ალაგიოზი – ალაგიოზ; ორჩოქი-ოლჩეკ; კოჩაკოი-კოჩაკოი; დადაგული-დედეგიულ; დადაშენი-დედეშენ** და სხვა.

ყველაზე პროდუქტიულია აბსოლუტურად ხელოვნური ტრანსფორმაცია, როცა ტოპონიმურ წყვილებს ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ; **ბალდადი-ოვაპინარი; ბებერექი-ჩეტინსუ; ბებერი-თეზეკოი; გულაბერთი-ჩამლიჩათაქ; დუდუნა-ბალიკჩილარ; ველი-სევიმლი.** როგორც მოცემული ჩამონათვალიდან ჩანს, ასეთი წყვილების რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე ყველა დანარჩენი.

უნდა ითქვას ისიც, რომ მოცემულ სქემას, ცხადია, არ აქვს სრული სიზუსტის პრეტენზია, თუმცა, ეყრდნობა რა ერთის მხრივ, ოსმალთა ჩინოვნიკების მიერ შედგენილ დავთარს, მეორეს მხრივ, თანამედროვე თურქულ რუკას და რეგიონში ჩვენი და ჩვენი კოლეგების მიერ ჩატარებული ექსპედიციების მონაცემებს, მისი სანდოობის ხარისხი ეჭვქვეშ არ უნდა დადგეს.

არანაკლებ საინტერესოა აგრეთვე საკვლევი რეგიონში შემავალი თითოეულისოფლის ანთროპონიმული სურათის ტრანსფორმაციის შედეგების ანალიზი, რაც ჩვენი შემდგომი პუბლიკაციების თემა იქნება.

ლიტერატურა

1. **გვდდ, 1958** – ჯიქია ს. გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი. წიგნი III. გამოკვლევა. თბილისი, 1958
2. **გვდდ, 1958 –II-** ჯიქია ს. გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი. წიგნი II. თბილისი, 1958
3. **შაშიკაძე, 2009** – შაშიკაძე ზ. ოსმალური აღწერის დავ-

თრები როგორც საისტორიო წყარო. აჭარის დედასამ-
შობლოსთან დაბრუნებისადმი 130 წლისთავისადმი მიძ-
ღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მა-
სალები. ბათუმი, 2009.

<http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/osmaluri-agceris-davtrebi.html>

4. ვ. კობტონაშვილი. მოგზაურისდღიურიდან. „ივერია“. 1894. № 155
5. თ. ხუციშვილი და სხვები. „ტაო-კლარჯეთის ძეგლების 2014 წლის საკვლევო ექსპედიციების ანგარიშები“, თბილისი 2015;
6. «Джавахети», ИздательствоООО “ФаноманГруп“, Тбилиси, 2010 г <http://www.dzeglebi.ge/rus/statiebi/istoria/djavaxeti.html>
7. Лусине СААКЯН. **Отуречивание топонимов в Османской империи и республиканской Турции.** <http://yerkramas.do.am/publ/oturechivanie-toponimov-v-osmanskoj-imperii-i-respublikanskoj-turcii/5-1-0-218>
8. Турецкая Грузия Артаани, Самцхе и Кола. <http://travelgeorgia.ru/299/>

Temur Avaliani
Elguja Makaradze

Ardahan onomastics by The Great Book of Gurjistan Vilaiet. The main methods and factors of its transformation

Summary

From the Georgian culture heritage of „Turkey’s Georgia“, the most poorly is researched historical Ardahan region. The paper deals with that main factors, which caused full transformation of that region’s (not only that region’s) toponymic image.

**სახელმწიფო საზღვარი სარწმუნო
მენსიერებაში**

ამბობენ, დიდი ხნის წინათ, თამარ მეფის ეპოქაში, საქართველოს ზღვისპირა მიჯნა ლაზეთში, ქემერის კონცხთან გადიოდაო. ლაზების საბინადრო ტრაპიზონის მიღმაც ვრცელდებოდა, მაგრამ ქემერსიქითა ლაზეთი თამარის სამფლობელოს აღარ წარმოადგენდა. ამის შესახებ, 1745 წელს, ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „...არს ქალაქი მცირე, რიზა, ზღვის კიდეზედ... ხოლო ამის დასავლეთით ჩამოვარდების მცირე მთა, კნინლა ზღვამდე ჭანეთის მთიდან და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა – ტრაპიზონისა. აქა არს რკინის პალო“ (ვახუშტი, 1941:142).

საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ სასაზღვრო თემა გიორგი ყაზბეგმაც გაიხსენა, როცა XIX საუკუნის 70-იან წლებში მონახულა ვახუშტის მიერ დასახელებული ადგილი. მოგზაურს თავის დღიურში ჩაუწერია: „ათინადან ერთი საათის მანძილზე ჩვენ შემოვუარეთ სამიდან ერთ-ერთი კლდოვანი კუნძულის კონცხს, დავინახეთ ძველი კოშკის ნანგრევები, რომელსაც ყიზ-ყული (გოგოს კოშკი) ჰქვია...“

ყიზ-ყულიდან ერთი საათის სავალზე, ლაროსის კონცხის კლდეზე შემორჩენილა რომელიღაც ძველი შენობის კლდის ნანგრევი. აქედან იშლება ცნობილი ქემერ ბურუნის კონცხის შესანიშნავი ხედი. გადმოცემით, აქ ოდესღაც რკინის ბოძი იდგა, რომელიც თამარის დროს საქართველოს საზღვარს აღნიშნავდა“ (ყაზბეგი 1995:152).

ამდენად, რკინის ბოძის ამბავი მითად შემორჩა ქართულ საისტორიო მეცნიერებას. ყიზყულე (Kiz Kulesi) და ქემერბურუნის კონცხი დღესაც მისაწვდომია მნახველთათვის. კონცხთან სოფელია – ქემერქოი (KemerKöy). რკინის ბოძის ძებნა დღეს საზღაპრო ეპოსის თემად თუ გამოდგება. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ზემოხსენებული მითის რაიმე ნასახი, თუნდაც გაუცნობიერებელი და, როგორც ხდება ხოლმე, –

ტრანსფორმირებული ფრაგმენტების სახით, დღემდე შემორჩა ადგილობრივი მოსახლეობის მეხსიერებას.

სამწუხაროდ, საქართველოს დიდების მზე მალე ჩაესვენა. დაეცა ბიზანტიაც და ტრაპიზონის იმპერიაც. რეგიონში ოსმალეთი გაბატონდა და თავის გამგებლობაში მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო მოაქცია. თანდათან ამ ასპარეზზე კიდევ ერთი მრისხანე იმპერია – რუსეთი გამოჩნდა და სასაზღვრო ისტორიაც ხელახლა გადაიწერა.

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ საზღვარი ლიმანსა და ხოფას შორის მოექცა. ზღვისპირეთში იგი **კოფიშთან** გადიოდა. ჩხალის ხეობა, სარფი, მაკრიალი და ლიმანი რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა, დანარჩენი ნაწილი ლაზეთისა – თურქეთს დარჩა. რუსებს ლიმანში სამხედრო ბაზაც აუგიათ. ამ ბაზის ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი: ადგილობრივთა თქმით, რუსების შემდეგ, აქ ერთხანს ინგლისელები ყოფილან; მერე თურქმა ასკერებმა დაიდეს ბინა და ამერიკელების დახმარებით ბაზა ჩამოაყალიბეს. ადგილი, სტრატეგიული თვალსაზრისით, ბრწყინვალედაა შერჩეული – აქედან შავი ზღვის საქართველოს (შესაბამისად, მაშინდელი სსრკ-ს) სანაპიროს ვრცელი მონაკვეთის კონტროლი შეიძლებოდა.

დღეს ამ ნაყაზარმალს ხავსი და სურო მოსდებია: რუსების ნაგები კედლების ნაშთი დგას, როგორც ანარეკლი არცთუ მარტივი შინაარსის მქონე ისტორიისა.

პირველმა მსოფლიო ომმა და მასთან რუსეთის რევოლუციებმა კიდევ ერთხელ აურია თითქოსდა დაწყობილ-დალაგებული სასაზღვრო ცხოვრება. მოსკოვის ხელშეკრულებით რუსეთ-თურქეთის სასაზღვრო სოფლად პირველად დასახელდა სარფი.

სარფის და მახლობელი სოფლების მცხოვრებთა მეხსიერებამ მაშინდელი ჭორ-მართალიც შემოინახა, მაგრამ ამჯერად შორიდან მოვუვლი და ერთ მოარულ ამბავს გავიხსენებ:

ვიქტორ ნოზაძეს თავის ნაშრომში „საქართველოს ადგენისათვის ბრძოლა მეხსეთის გამო“, ასეთი ცნობა მოჰ-

ყავს: „1828 წელს, როდესაც იწერებოდა ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულება რუსეთსა და ოსმალეთ შორის, რუსეთმა მოითხოვა და ოსმალეთმა დაუთმო მას მთელი ტერიტორია მდინარე ქოროხამდე, რომელიც შეერთვის შავ ზღვას ბათუმს იქით, დასავლეთით. ამ დათმობის მიხედვით ბათუმი უკვე 1828 წელს უნდა შეერთებოდა რუსეთს, მაგრამ ხელშეკრულებაში და საზავო რუკის შედგენის დროს, საზღვარი გაყვანილ იქნა, მდინარეთა სახელწოდების შერევის გამო, არა მდინარე ქოროხთან, არამედ მდინარე ჩოლოქთან, რომელიც შეედინება ზღვას ბათუმის აქით, ჩრდილო-დასავლეთით. ამ ხაზის მიხედვით, ბათუმი დარჩა ოსმალეთს. შეცდომა შემჩნეულ იქნა ხელშეკრულებაზე ხელმოწერისა და დამტკიცების შემდეგ, მაგრამ უკვე გვიანი იყო საკითხის ხელახლა აღძვრა და ამ შეცდომის გამო ბათუმი ოსმალეთს შერჩა (ნოზაძე 1989:8). ამ ისტორიის ერთგვარი გამოძახილს ხშირად მოისმენდი სასაზღვრო ზონაში: ოლონდ იმ გამოძახილში, ყველაფერი პირუკუ იყო და თანაც 1828-ს ან 1878-ს კი არა, 1921 წელს უკავშირდებოდა: თითქოს საზღვრის გავლება გადანყვეტილი იყო ჩოლოქთან, მაგრამ საბჭოთა მხარემ, გამომდინარე ჰიდრონიმთა ბგერწერის მსგავსებიდან, თურქულ დელეგაციას გზა-კვალი აურია და საზღვარმა ქოროხზე გაიარა. ზოგი მთხრობელი ამ დიახაც შთამბეჭდავ ფაქტს პირადად სტალინის გამჭრიახობას მიაწერდა, ზოგიც – რომელიმე ადგილობრივი თუ საკავშირო დიპლომატის მონაძინებას. მთხრობელები (და მსმენელებიც) იშვიათად აქცევდნენ ყურადღებას იმას, რომ სინამდვილეში საბჭოთა კავშირის დროინდელი საზღვარი (რომელიც ამჟამინდელ საზღვარს ემთხვევა) მხოლოდ ერთ ადგილას კვეთდა მდინარე ქოროხს და სრულიადაც არ გასდევდა მის კალაპოტს.

ძნელი სათქმელია, საიდან იღებს სათავეს ეს ნარატივი, მისი მრავალფეროვანი ინტერპრეტაციებით, მაგრამ როგორც ჩანს, სასაზღვრო თემებს ყოველთვის თან სდევს ხალხური ისტორიები და მითები, რომლებსაც ზოგჯერ შეიძლება გარკვეული ისტორიული საფუძველიც გააჩნდეს.

მსგავსი ნარატივების გაჩენას, როგორც ჩანს, ხელი

იმანაც შეუწყო, რომ, მართალია, მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებში სოფელი სარფი დაფიქსირებული იყო, მაგრამ სასაზღვრო ზოლის ზუსტი ადგილმდებარეობა გაურკვეველი რჩებოდა. დემარკაცია უნდა მოეხდინა პარიტეტულ საწყისებზე შექმნილ კომისიას, რომელშიც საქართველოს, თურქეთის და რუსეთის წარმომადგენლები მიიღებდნენ მონაწილეობას.

სოფელ ქაზიმიეში მოვისმინეთ ნარატივი, რომელსაც სწორედ სადემარკაციო კომისიის მუშაობის ერთი ფრაგმენტი შეუნახავს. მოხუცი ბალქაიას თქმით, რუს კარტოგრაფებს, ქალსა და მამაკაცს, მარადიდიდან გადმოუვლიათ. მთიდან რომ გადმოხედეს აქაურობას, უთქვამთ – აი ღალღიდი, იქვე ნაეკლესიარია, ჰოდა, საზღვარიც ამ ხეობაზე გავატაროთ, ნახევარი სოფელი ჩვენკენ დავტოვოთო. ბალქაია ფიქრობდა, როგორც ჩანს, ის ეკლესია რუსული იყო და ამიტომ მოინდომეს რუსეთში მისი მოქცევაო (როგორც ჩანს, იგულისხმება ცარაში ე.წ. „დამწვარ ზასტავასთან“ მდებარე ნაეკლესიარი, რომლის ქვებითაც მოგვიანებით რუსებმა ყაზარმა ააშენეს).

საზღვრის დემარკაციის გაჭიანურებული პროცესი (1921-1926 წლები) ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა ჭორებისა და ხალხური ისტორიებისათვის. თურქეთის სარფიდან მაკრიალამდე არაერთგზის მოგვისმენია ამბავი, რომ თავდაპირველად სარფის შუაზე გაყოფა სულაც არ იგეგმებოდა: სუმჯუმასთან უნდა გაეყო. კიდევ ერთი ვერსიით, რომელიც მაკრიალში გვიამბეს, საზღვარი აბუ ისლაში (აზლალაში) უნდა გავლებულიყო, მდინარე ყანლი დერეს უნდა ჩაჰყოლოდა. ამ შემთხვევაში ათი ათასიანი დასახლება გაიყოფოდა შუაზე. ამიტომ ამჯობინეს, გაეყოთ მცირე დასახლება და საზღვრადაც სარფის მდინარე იქცა. ბუნებრივია, მთქმელს აღარ უცდია დაზუსტება, რატომ იყო აუცილებელი მაინცადამაინც რომელიმე სოფლის გაყოფა...

თურქეთში ჩანერილ ნარატივებში საზღვრის სარფისკენ გადმონწევას ძირითადად თურქული მხარის მოხერხებულობას და მიზანსწრაფულობას, აგრეთვე, მოსახლეობის

განწყობას უკავშირებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ რეგიონის მოსახლეობას არ გააჩნდა რუსულ სახელმწიფოში ცხოვრების სურვილი (აღსანიშნავია, რომ იგივე მოტივი თურქეთის მარადიდშიც დავაფიქსირეთ).

საზღვრის ადგილმდებარეობის თემა, ცხადია, საქართველოს სარფის მოსახლეობაშიც იკავებს გარკვეულ ადგილს. ამ ნარატივების მიხედვითაც საზღვარი სარფსა და სუჯუშუმას შორის უნდა ყოფილიყო, მდინარე გოლბაშზე, რომელიც ასევე სარფის ნაწილია, მაგრამ თურქეთის სარფის ფერდობს გადაღმაა. შესაბამისად, საქართველოს შემადგენლობაში მოექცეოდა მთელი სარფი, ქაზიმის ჩათვლით, რომელიც მაშინ დამოუკიდებელი სოფელი არ იყო და ჰემშილ-ლული ერქვა.

შესაძლოა, ეს სუბიექტური შთაბეჭდილებები იყოს, მაგრამ მეჩვენება, რომ საქართველოს სარფის ნარატივებში მეტი ემოცია და გულისტკივილია ჩადებული გაღმა დარჩენილთა გამო. ამასთან, მათ ნაამბობშიც თურქული მხარის აქტიურობა და მიზანსწრაფულობაა ხაზგასმული.

„დემარკაციისას თურქული კომისია უფრო ადრე მოვიდა. გოლბაშის ნაცვლად მდინარე ტიბაში (იგივე ღალიტბა – რომელსაც ამჟამინდელი საზღვარი გასდევს) აჩვენეს და უთხრეს, სწორედ ეს მდინარეა სასაზღვროდ მონიშნულიო.

კომისიაში რუსეთის მხრიდანაც იყვნენ ჩართული ადგილობრივები – ოთხი კაცი (გვარებსაც ასახელებენ). მათ პროტესტი განაცხადეს – ასე სოფელი გაიყოფა შუაზე, შვილი დედას დაშორდება, ძმა – ძმას, – ერთი ოჯახის წევრებს სხვადასხვა სახელმწიფოში მოუწევს ცხოვრებაო.

რუსები დაუკავშირდნენ პეტერბურგში (აქ შეიძლება ვინმემ ლენინის ან სტალინის სახელიც ახსენოს). პეტერბურგიდან დირექტივა მოვიდა – ეს მაინც დროებითი საზღვარი იქნება, ამიტომ დათანხმდით და მდგომარეობას ნუ გაამწვავებთო...

ხალხის ხმას არავინ მოუსმინა და დარჩა სოფელი ასე შუაზე გაყოფილი“.

სარფელებს სოფლის გაყოფა და ახალი რეჟიმი, შესაძ-

ლოა, თავიდან, განსაკუთრებული სიმწვავით არ აღეჭვავთ. ჯერ ერთი, უკანასკნელ წლებში იმდენჯერ შეიცვალა მთავრობები და საზღვრები, იმდენი ქორი და მართალი დატრიალდა ხალხში, რომ საზღვარიც და მესაზღვრეებიც დროებითი მოვლენა ეგონათ.

გარდა ამისა, თავდაპირველად საზღვარი მნიშვნელოვან დისკომფორტს არ ქმნიდა. სარფელებს საზღვარს იქით თუ აქით დარჩენილი მიწებით სარგებლობას არავინ უშლიდა. უფრო მეტად „საბჭოთა სარფელებს“ ჰქონდათ მიწები – გაღმა სარფშიც და მაკრიალისკენაც – იქით უფრო ბრინჯის ყანები.

სასაზღვრო რეჟიმმა კონტრაბანდის აყვავებასაც შეუწყობ ხელი. ეს საკმაოდ სახიფათო საქმე იყო, მაგრამ რა გაეწყობოდა და კონტრაბანდა არაერთი ზღვისპირელის შემოსავლის წყაროდაც იქცა. თუმცა, მერე საბჭოურმა სასამართლომ ზოგიერთს სავაჭროდ კი არა, ოჯახის საჭიროებისთვის შექმნილი ნივთებიც დაუთვალა და კონტრაბანდად ჩაუთვალა.

კონტრაბანდული საქონლის ნუსხა საკმაოდ მრავალფეროვანი ყოფილა. ახლაც ყვეებიან ნივთის ან ფორთოხლის ზღვით თუ ხმელეთით გადატანა-გადმოტანის ამბებს (განსაკუთრებით ორთახოფა ყოფილა განთქმული ლიმონის და ფორთოხლის ბალებით). საკმაოდ მარტივი იყო ოფიციალური გადასვლაც. ამისთვის საჭირო იყო „ზასტავაში“ ანუ საგუმაგოზე მისვლა და „პროპუსკის“ ანუ საშვის აღება. „პროპუსკს“ ადვილად იძლეოდნენ (ფარდულში ერთი ქალი იჯდა, მოგცემდა „პროპუსკს“ იმის შესაბამისად, რამდენი დღით მიდიოდი. გასაყიდად რაიმე რომ წაგელო, უფლებას არ იძლეოდნენ, მაგრამ კონტრაბანდა გადაჰქონდათ ხოლმე). ანალოგიური პროცედურა იყო თურქეთის მხრიდან. როგორც ვთქვით, სარფელთაგან ბევრს ჰქონდა მიწა, განსაკუთრებით, ქემალფაშაში. დილით გადიოდნენ, მუშაობდნენ, საღამოს კი უკან ბრუნდებოდნენ. ბუნებრივია, ხშირი იყო ნათესავებთან მისვლა-მოსვლა. ამდენად, თავისუფალი სასაზღვრო რეჟიმის დროს საზღვარზე მოძრაობა საკმაოდ ინტენსიური უნდა ყოფილიყო.

მესაზღვრე ჯარისკაცები სოფლებს არაფერს უშაგებდნენ, მაგრამ შეგუების პროცესი ალბათ ორივე მხარეს უნდა გაეგლო. სარფში სასაზღვრო სტრუქტურა მანამდე არ ყოფილა. ომის ბოროტი ხელი შეეხო აქაურობას, მაგრამ ცხელ და ინტენსიურ სამხედრო მოქმედებებს ადგილი არ ჰქონია. ამდენად, საბჭოთა სარფელს რუს სალდათთან, ხოლო თურქეთისას თურქ ასკერთან შეგუებისთვის, „თვალის შეჩვევისთვის“ გარკვეული დრო დასჭირდებოდა.

ბოლშევიკების სისასტიკეზე ხმები ისედაც დადიოდა. თურქული პროპაგანდაც აფრთხობდა მოსახლეობას რუსეთის რევოლუციებით, ხოლო ბოლშევიკებს „ნითელ ჭირად“ მოიხსენიებდა. სარფში პირველად რომ გამოჩნდნენ ნითელარმიელები ჩვეულებრივი ჯარისკაცული ფორმა ეცვათ, მაგრამ თავზე „ბუდიონოვკები“ – ნითელ არმიამი 1919 წლიდან დაკანონებული თავსაბურავები ეხურათ. „ბუდიონოვკა“ ერთგვარი ნოწოლა ქუდი იყო და მისი ზედა, ამოზნექილი ნაწილი რქის ასოციაციას იწვევდა. მოსახლეობის განწყობის მაპროვოცირებელი (იმასთან ერთად, რომ ნითელარმიელები „გიაურები“ ანუ არამუსლიმები იყვნენ) სწორედ ეს ქუდები აღმოჩნდა: „შეითნები თუ არ არიან, თავზე რქა რატომ აქვთო“.. – უფროსების გესლიან სარკაზმს ბავშვები ყოველთვის ადეკვატურად როდი იგებდნენ და „რქიანი“ სალდათები ერთხანს მართლა ეშმაკები ეგონათ. მერე, დროთა განმავლობაში, ქუდმობდილებიც რომ ნახეს არაერთგზის და, ნელ-ნელა, კონტაქტებიც რომ დაამყარეს, ურთიერთობაც დათბა და „შეითნის“ ამბავიც დავინწყებას მიეცა. თურქი ასკერების ჩანაქქალეში „ნაბრძოლ“ ქუდებს კი „რქა“ არ ჰქონდა და შესაბამისად „შეითნის“ მოტივი იქით აღარ განვითარებულა.

სასაზღვრო რეჟიმის ყველაზე ცივი რეალობა 1937 წელს დადგა. საზღვრის შესაძლო ჩაკეტვაზე ალბათ ჭორები მანამდეც დადიოდა, მაგრამ იმას, რაც მოხდა სარფელები ალბათ ვერასდროს წარმოიდგენდნენ – თუ მანამდე არსებობის და ურთიერთობის ბუნებრივი გარემო – შავიზღვისპირა ლაზეთი – მხოლოდ შეზღუდული ჰქონდათ, ახლა საერთოდ მოისპო ამ გარემოსთან ურთიერთობის შესაძლებლობა.

ეს მკაცრი რეალობა მეტ-ნაკლებად ყველა სარფელ ოჯახზე აისახა. აქ მხოლოდ ერთ კონკრეტულ ისტორიას მოვიყვან, რომელიც თვალნათლივ ასახავს სახელმწიფოთა გულგრილ ნებას: როცა გლობალური პოლიტიკური საკითხები წყდება კონკრეტული ადამიანების ბედზე, მათს იმედებზე, გულისტკივილსა თუ მისწრაფებაზე არავინ ფიქრობს.

„დედაჩემის დედას ვაღმა სარფში ჰქონდა ნამზითვი მინები, – გვიამბობდა მშობლებისგან განაგონს ასიე. ამ მინების ნაწილს ჩვენ, ნაწილსაც დეიდაჩემის ოჯახი ამუშავებდა. დეიდაჩემი ვაღმა სარფში ცხოვრობდა, მაგრამ მაშინ მისვლა-მოსვლის პრობლემა არ არსებობდა, არც მინის დამუშავების, მოსავლის აღების და ვადმოტანისა. ერთხელაც მოსავალი აიღეს და წამოსაღებად მოამზადეს. უნდა წამოეღოთ ავტომობილით, რომელზედაც ბიძაჩემი (დედის ძმა) მუშაობდა. გამშვებ პუნქტთან ჩასული მესაზღვრეებმა არ გაატარეს – გადასვლა აიკრძალა, მიმოსვლა – დასრულდაო!

სოფელი ძალიან შეაწუხა ახალმა ამბავმა. ბებია კი თავს ინუგეშებდა, – მოსავლის გამო გული არ მტკივა, – იმიტომ რომ ჩემ შვილს მაინც დარჩებაო – ვაღმა სარფში დარჩენილ ქალიშვილს გულისხმობდა, დეიდაჩემს“.

მაგრამ ამჯერად უფრო რთულად იყო საქმე. ერთი საყანე მინის მოსავალს მეორე შვილი რომ მოიხმარდა, ნუგეში კი იყო, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ ჭირდა იმის გაცნობიერება, რომ ძალიან დიდი ხნით შეწყდებოდა კომუნიკაცია, დაშორდებოდნენ ერთმანეთს ოჯახის წევრები, ნათესავები, ორ სახელმწიფოში მოქცეული სოფლის ორ ნაწილს შორის რკინის ფარდა დაეშვებოდა და მიმოსვლა კი არა, თითის გაშვერა ც სახიფათო გახდებოდა... მრავალი წელი გაივლიდა, სანამ ნათესავების ახალი თაობა ხელახლა აღმოაჩენდა ერთმანეთს, თავიდან გაიცნობდა, დაკარგული წლებით შობილ გაუცხოების ხარისხს მისხალ-მისხალ აწონიდა.

საზღვარს უკავშირდება მრავალი ჯამუშური ისტორიაც – უფრო 30-40-იანი წლებისა. 30-იან წლებში მთელი სისტემა მუშაობდა საბჭოთა დაზვერვისა. განსაკუთრებით ინ-

ტენსიურად გადაჰქონდათ საპროპაგანდო მასალები, მათ შორის „მჭითა მურუცხი“ – „ნითელი ვარსკვლავი“ ლაზურენოვანი გაზეთი. აქ მხოლოდ ერთ ისტორიას მოვიყვან:

მუხამედი თურქეთიდან ბრუნდებოდა. ყველაზე გავრცელებული ვერსიის მიხედვით, იგი საბაჟოს შენობაში აპირებდა შესვლას. „პროპუსკის“ წარდგენა და საზღვრის გადმოკვეთა ჩვეულებრივი, სტანდარტული, მარტივი პროცედურა იყო. მაგრამ იგი ძველმა ნაცნობმა აზღაღელმა მენაღემ შენიშნა და გააფრთხილა – ნუ შეხვალ დაგიჭერენ, ცნობილია შენი ამბავი და გელოდებიანო.

მუხამედი სასწრაფოდ გაერიდა საბაჟოს. გაღმა სარფში ბიძაშვილები ჰყავდა, მაგრამ აღარც იმათ დაკონტაქტებია – მათთვის პრობლემები რომ არ შეექმნა. იმათ ნაღიაში შეიპარა და დაიმალა. დილაბნელზე საზღვრისკენ გაემართა, რათა ჩუმად გადმოეკვეთა და შინ მშვიდობიანად დაბრუნებულიყო.

„აღმართში ავდიოდი, – იხსენებდა თურმე მუხამედი, – უკნიდან თურქი ჯარისკაცის ძახილი რომ დამენია – „დურ, ათარუმ!..“ – ამ დროს ნეიტრალურ ზონაში ვიყავი და ვიჩქარე, საზღვარი რომ გადამეკვეთა. წინ რუსი ჯარისკაცის შეძახილი დამხვდა „სტოი, სტრილიატ ბუდუ!“

ორივე შეძახილი ერთსა და იმავეს ნიშნავს – ცეცხლის გახსნით ემუქრებოდნენ საზღვრის დამრღვევს, მაგრამ ამ დროს იგი უკვე სსრკ-ს ტერიტორიაზე იყო და მაშინვე მიწაზე დანვა. თავს რომ საბჭოთა ჯარისკაცი დაადგა, მიხვდა, გადარჩენილი იყო და ერთი სიტყვის თქმაღა მოახერხა: „ზასტავა“: რუსული ცუდად იცოდა და ამით მიანიშნა ჯარისკაცს – საგუშაგოზე წამიყვანეო. ჯარისკაცმაც, „შპიონის“ დაჭერით გაამაყებულმა, უცებ ჩაიყვანა საგუშაგოზე. იქ მალევე გაარკვიეს ყველაფერი, დაასვენეს, დააპურეს და ბათუმში გაგზავნეს.

ეს ამბავი დაახლოებით 1935-1937 წლებს შორის უნდა მომხდარიყო.

მუხამედის გაღმასარფელ ნათესავებთან მისი გადასვლების შესახებაც მოვიკითხეთ, მაგრამ ამაოდ – ამ თაობამ

არაფერი იცის... ან იქნებ ყურმოკვრით იცის კიდეც რამე, მაგრამ დუმს!

ეს შთამბეჭდავი სარფული ნარატივი აქ როდი მთავრდება. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, წლების შემდეგ, პერესტროიკის პერიოდში, საზღვარი ისევ გაიხსნებოდა და მუხამედი თურქეთში გადასვლას მოინდომებდა ნათესავეების თუ ძველი ნაცნობ-მეგობრების მოსანახულებლად, – ამ დროს იგი უკვე 80 წელს მიღწეული, მაგრამ ჭარმაგი ბერიკაცი იყო.

მუხამედმა თურქ ასკერს საზღვარზე გადმოასწრო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მეზობელი ქვეყნის კანონმდებლობისთვის, მკაცრად რომ განეხილათ მისი ქმედებანი და სიკვდილით დასჯა გადაეწყვიტათ. ამდენად, სავსებით რეალური საშიშროება არსებობდა, რომ საზღვარს იქით გადასულ ბერიკაცს დააპატიმრებდნენ.

ცხადია, ამ სურათის წარმოდგენისასაც ნარატივებს ვეყრდნობი და არა ოფიციალურ წყაროებს: დატრიალდნენ აქაური თუ იქაური ნათესავეები, მიიკითხ-მოიკითხეს, მიმართეს სათანადო პირებს და ორგანოებს. როგორც გაირკვა, ხანდაზმულობის გამო (რაკილა 50 წელზე მეტი იყო გასული), თურქეთის კანონმდებლობა მუხამედს არაფერს დაუშავებდა. შესაბამისად, გადასვლისთვის ხელშემშლელი პირობები აღარ არსებობდა, თუმცა, ზოგიერთი გარემოების გათვალისწინება აუცილებელი იყო და აუცილებელია დღესაც:

ფაქტია, რომ თურქეთში არსებობდა იატაკქვეშა ორგანიზაცია, რომლის იდეოლოგიური საყრდენი მარქსიზმ-ლენინიზმი იყო. ამ ორგანიზაციის წევრები, არა მხოლოდ თურქეთის ტერიტორიაზე ურთიერთობდნენ საბჭოეთიდან გადასულ თანამოაზრეებთან, არამედ თავადაც გადმოდიდნენ სსრკ-ში. ეს უკვე მავანთა მეხსიერებაში მწირად ჩარჩენილი და ობიექტურ გარემოებათა გამო, დასავინწყებლად განწირული ისტორიებია. ეს ფრაგმენტები ბევრს ვერაფერს შეჰმატებს დახატულ სურათს, ამიტომ იმასლა ვიტყვი, რომ საბჭოთა დაზვერვის საქმიანობის გაშიფრვის, შემდეგ რეპრესიების სუსხი თურქული ორგანიზაციის წევრებმაც იწვნიეს –

ზოგი დაიჭირეს, ზოგიც გადაასახლეს. მუხამედის გამორჩენამ ბევრი ოჯახი შეაშფოთა. თანამოაზრეთაგან ცოცხალი ცოტალა დარჩენილიყო, მაგრამ წარსულიდან გამოყოლილი შიში ამდენი ხნის შემდეგაც თვალსაჩინო იყო ზოგიერთ ოჯახში. იყო შეხვედრები. იყო ცრემლები, მაგრამ ძველ თავგადასავლებს აღარავინ შეჰხებია.

ლიტერატურა:

1. **ვახუშტი, 1941:** ვახუშტი, “აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი.
2. **ნოზაძე 1989:** ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბილისი.
3. **ყაზბეგი 1995:** ყაზბეგი გ., „სამი თვე თურქეთის საქართველოში“, ბათუმი.

Malkhaz Chokharadze

State border in Sarpian's memory Summary

The paper deals with the themes as: pre-history of border motive, the free movement of the border, closed border, spy stories and more.

**XI-XII საუკუნეების ქართული რენესანსული
კულტურის სოციალური და
მსოფლმხედველობრივი საფუძვლები**

მსოფლიო ისტორიულ პროცესში XI-XII ს.ს-ები ახალი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული მოვლენებით ხასიათდება. ამ ეპოქის ქართული კულტურა განვითარების მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით არსებითი ცვლილებებით განისაზღვრება. ყალიბდება ახალი შეხედულება ადამიანსა და მის დანიშნულებაზე, გრძნობებისა და მისწრაფებების უარყოფის ასკეტური იდეალი იცვლება ჰუმანიზმით. „ქართული ნეოპლატონიზმის“ სახელწოდებით ცნობილი ფილოსოფიური მიმართულება (ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, შ.რუსთაველი) მთავარ მიმართულებას წარმოადგენს და ქვეყნის იდეურ ცხოვრებაში მომხდარ არსებით ცვლილებებს ასახავს.

ამ ეპოქის ქართულმა კულტურამ მიაღწია განვითარების იმ დონეს, რომელმაც ივ. ჯავახიშვილს საფუძველი მისცა საქართველოში რენესანსული მოძრაობის დასაწყისი დაენახა, ხოლო შ. ნუცუბიძეს – შეექმნა აღმოსავლური რენესანსის თეორია, რომელშიც ქართული რენესანსის პრობლემებს ცენტრალური ადგილი უკავია.

ვიდრე გადავიდოდეთ რენესანსული მოძრაობის კონკრეტულ გამოვლინებაზე საქართველოში, მიზანშეწონილათ მიგვაჩნია გავერკვეთ ამ დიდი გონებრივი მოძრაობის პრობლემაში.

რენესანსი ფრანგული სიტყვაა და აღორძინებას ნიშნავს. ტერმინი „რენესანსი“ პირველად იტალიური მხატვრობის ისტორიკოსმა ჯორჯო ვაზარიმ გამოიყენა, როგორც *Rinascimento* – ხელახლა შობა, აღორძინება. ეს მეტაფორა შემდგომში ცნობილმა ფრანგმა ისტორიკოსმა ჟიულ მიშლემ სიტყვად აქცია, გერმანული კულტურის ისტორიკოსმა იაკობ ბურკჰარტმა კი დაამკვიდრა თავის ეპოქალურ ნაშრომში „რენესანსის კულტურა იტალიაში“. იტალიაში რენესან-

სის განვითარებას ხელი შეუწყო ჩრდილო და ცენტრალურ იტალიაში ურბანიზაციის მაღალმა დონემ. ქალაქის ინტერსიურმა ცხოვრებამ ბიძგი მისცა საერო კულტურის განვითარებას, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა შუა საუკუნეების საეკლესიო-სქოლასტიკური ტრადიციებისგან, რომლის მთავარ საყრდენს სამონასტრო სკოლები და უნივერსიტეტები წარმოადგენდა.

რენესანსის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მან უდიდესი ნაბიჯი გადადგა შუა საუკუნეებიდან ახალი დროის კულტურისაკენ სხვადასხვა სფეროში – ხელოვნებაში, მეცნიერებაში, ფილოსოფიაში, რელიგიაში. ამ ეპოქაში დამკვიდრდა მეცნიერული ცოდნის დაგროვების ახალი, რაციონალური მეთოდები, ახალი გამომსახველობითი სისტემა ხელოვნებაში, ახალი ფილოსოფიური სწავლებანი, საზოგადოების სოციალური მოწყობის ახლებური სქემები და ა.შ.

აღორძინების ეპოქის კულტურული ცხოვრება განსაკუთრებული მრავალფეროვნებით და ინტენსიურობით გამოირჩევა, ხოლო მიმდინარე პროცესები – ევოლუციის განსაკუთრებული სისწრაფით. მასში ძალიან გაიზარდა პიროვნების შემოქმედებითი თავისუფლება. გარდა ამისა, რენესანსის ხანას ახასიათებს გენიალური შემოქმედების უდიდესი კონცენტრაცია სივრცეშიც და დროშიც: მაგ. არცთუ ისე დიდ ქალაქ ფლორენციაში ერთდროულად მოღვაწეობდა მსოფლიო ხელოვნების სამი ტიტანი – ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო ბუონაროტი და რაფაელ სანტი. აღორძინების ხანის კულტურის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიშანია ადამიანის ინდივიდუალობის, მისი პიროვნული მსოფლმხედველობის წინა პლანზე წამოწევა და ის, რომ რენესანსული კულტურის საფუძველია ჰუმანისტური ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ახლებურად ხსნიდა სამყაროს მოწყობას და ადამიანის ადგილს და როლს მასში.

რენესანსის ანუ აღორძინების ეპოქის ნიშან-თვისებათა კვლევაში ზღვა ლიტერატურა არსებობს. მათში მრავალი ერთმანეთის საპირისპირო მოსაზრებაა გამოთქმული. მაგრამ ნიშანდობრივია ერთი საერთო ტენდენცია – ევროპოცენტრიზმი ანუ ის, რომ „მიუხედავად იმისა, რომ აღორძინე-

ბის ხელოვნებას ნებისმიერ ქვეყანაში განსხვავებული ნიშნები, თავისებურებები გააჩნდა, ეს მაინც საერთო-ევროპული კულტურული მოვლენა იყო“. (მ. მაჭარაშვილი, ნ.სილაგაძე, 2010:121) რომელიც დასავლეთის კულტურამ მოიპოვა მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში. რაც შეეხება აღმოსავლური რენესანსის საკითხს ეს პრობლემა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. XI-XIII ს.ს-ში ქართული ლიტერატურის ჰუმანისტური ხასიათი მრავალი სპეციფიკური ნიშნით ხასიათდება. ქრონოლოგიურად იგი წინ უსწრებს ევროპულ რენესანსს და ქრისტიანობის ბაზაზე აღმოცენდა. ადამიანის სულიერი სამყაროს ასახვის პირველი ნიმუშია დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, XIII ს-ის ქართული ჰუმანისტური ლიტერატურის მთლიანი სურათის შექმნაში დიდ როლს თამაშობს მოსე ხონელის „ამირან დარეჯანიანისა“ და „ვისრამიანის“ ეპოსი, რომელიც შუასაუკუნეთა სპარსულ მწერლობაში ცნობილი რომანის „ვის ო რამინის“ პროზაულ თარგმანს წარმოადგენს. იგი ქართულად გადმოღებულია სარგის თმოგველის მიერ. იოანე პეტრიწის, როგორც ქართული ფილოსოფიური აზროვნების ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელის შემოქმედების ანტიკური კულტურით, მითოლოგიით და ფილოსოფიით გაჯერება, ეფერემ მცირეს მიერ ფსევდო დიონისე არეოპაგელის ტრაქტატებისა და ეპისტოლეების თარგმნა ხელს უწყობდა მათ გამოყენებას საერო მწერლობაში, კერძოდ, შოთა რუსთაველის მიერ. „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ავტორი მუდამ იყო და დღესაც არის საგანგებო შესწავლის საგანი. დღეს რუსთველოლოგია საქართველოში ცალკე მეცნიერებაა და მრავალი გამოკვლევებია შექმნილი თვით რუსთაველის პიროვნების, მისი მსოფლმხედველობის, მისი ნაწარმოების მხატვრული დონის პრობლემებზე. სწორედ შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“ გამომდინარე აღმოსავლური რენესანსის პრობლემა პირველმა აღძრა შალვა ნუცუბიძემ თავის გამოკვლევაში „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“. რენესანსის მსოფლმხედველობითი საფუძვლების ძიებისას შ. ნუცუბიძე მიდის იმ დასკვნამდე, რომ „წინარენესანსი და რენესანსი აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიედინება და იდეოლ-

გიურად ეს ერთიანი ხაზი იყო“. (შ. ნუცუბიძე, 1976:511) შ. ნუცუბიძის ეს გამოკვლევა მსჯელობის საგნად გადაიქცა და მას პირველი გამოცხადება ნ.კონრადი, რომელმაც ეს იდეურ-კულტურული პროცესი გაიაზრა გლობალურად-ჩინეთის, ინდოეთის, შუა აზიის, ირანის, ამიერკავკასიის ისტორიულ ფონზე. ამ რიგს თავისი მდიდარი კულტურით ეკუთვნის საქართველოც. ნ.კონრადმა ქართული რენესანსის მთავარი ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს ქმნილებათა შორის ჩააყენა.

რენესანსის ეპოქის პრობლემებისადმი მიძღვნილ ნაშრომთა შორის გამოირჩევა ა.ლოსევის მონოგრაფია „აღორძინების ესთეტიკა“ რომელიც 1978 წელს გამოიცა. ა. ლოსევი იზიარებს აღმოსავლური და დასავლური რენესანსის შესახებ შ. ნუცუბიძის დებულებებს და „სარწმუნოდ მიიჩნევს ნუცუბიძე- ჰონიგმანის თეორიას პეტრე იბერისა და ფსევდოდოდიონისე არეოპაგელის იგივეობის შესახებ და რენესანსის საფუძვლად როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში ანტიკური ნეოპლატონიზმის შემდგომ გადამუშავებას – არეოპაგიტიკას თვლის.“ (ა.სურგულაძე, 1989:202)

შუა საუკუნეების, კერძოდ XI-XII საუკუნეების საქართველოში რენესანსისა თუ რენესანსული ელემენტების არსებობაზე მიუთითებდნენ ივ. ჯავახიშვილი, გ. რობაქიძე, ვ. ბარნოვი, გ. ქიქოძე და სხვა. ამავე ეპოქის საქართველოში ჰუმანიზმის არსებობაზე დადებითი აზრი ჰქონდა ნიკო მარს.

ქართული რენესანსის თეორიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა შ. ხიდაშელმა. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნეოპლატონურ ფილოსოფიას და მას მიიჩნევს რენესანსისა და ჰუმანიზმის მთავარ მსოფლმხედველობრივ წყაროდ. როგორც შ. ხიდაშელი აღნიშნავს – „რენესანსის არსი გულისხმობს მინიერი ცხოვრების მიჩნევას ღირებულად და ადამიანის ახლებურ გაგებას. რენესანსი ახალი ეპოქის დასაწყისია, მაგრამ ის მზადდებოდა და მნიფდებოდა შუა საუკუნეების პირობებში და ატარებდა ევროპის სააზროვნო ნიშნებს. ამიტომაც ამქვეყნიური სინამდვილის ღირებულების აღიარება, წერს შ.ხიდაშელი, სულაც არ ნიშნავს იმქვეყ-

ნიური (ზეციურის) ღირებულების უარყოფას. ის ქვეყანა“ რჩება „უმაღლეს“ რუსთაველის სიტყვით „ზენა“ სინამდვილედ, აბსოლიტურ მნიშვნელობად და ღირებულად“. (მ.მახარაძე.,2003:30)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XI-XII საუკუნეები გაერთიანებული, ფეოდალური საქართველოს ისტორიაში პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების უმაღლესი მწვერვალია. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოჩნდა მთელი პლეადა საზოგადო მოღვაწეების, მეცნიერების, მხატვრების, მწერლებისა და პოეტებისა, რომელთაც ახალ სიმაღლეზე აიყვანეს ქართული კულტურა. იმდროინდელ საქართველოში განვითარდა და დაწინაურდა მეცნიერული ცოდნის ისეთი დარგები, როგორცაა იურისპუდენცია, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მედიცინა, გრამატიკა, ასტრონომია, განსაკუთრებით აღორძინდა ისტორიოგრაფია, ფილოსოფია, მხატვრული ლიტერატურა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება და მათ პარალელურად კულტურის მაღალი დონე თავისი გამომსახველობით ქართულ ხელოვნებაშიც გამოვლინდა. ამ დროს შეიქმნა საერო და საეკლესიო არქიტექტურის, კედლის მხატვრობის, მინიატურებისა და ოქრომჭედლობის, დეკორატიული სკულპტურის მრავალი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები. ყველაზე ადრე ეს მიღწევები ხუროთმოძღვრების დარგში გამოვლინდა. ამის დასტურია სამი დიდი კათედრალი – ბაგრატის ტაძარი (1003წ.) ალავერდი (XI ს-ის I მეოთხედი) და სვეტიცხოველი (1010-1029წ.წ.). ასევე XII ს-ის I ნახევრის ქართული ხუროთმოძღვრების გამორჩეული ძეგლია დავით აღმაშენებლის მიერ 1106წ. დაარსებული გელათის მონასტრის დიდი ტაძარი.

დავით აღმაშენებლის ინიციატივით საქართველოში შეიქმნა უმაღლესი სამეცნიერო-საღვთისმეტყველო დაწესებულება- გელათის აკადემია. დავითმა აკადემიაში მოიწვია ქართული კულტურის სახელგანთქმული წარმომადგენლები, რომლებიც იმ დროს ათონის, პეტრიწონის, აგრეთვე კონსტანტინეპოლის და ბიზანტიის სხვა აკადემიებში მოღვაწეობდნენ: იოანე პეტრიწი, თეოფილე ხუცესმონაზონი, იოანე

ტარიქისძე და სხვები. და მათ მიზნად დაუსახა აზროვნების ეს ცენტრი“მეორედ იერუსალიმად“ და „სხუად ათინად“ ქცეულიყო. XII ს-ის საქართველოში გარდა გელათისა უმაღლესი სასწავლებელი აკადემიის სახით არსებობდა იყალთოშიც და გრემშიც. აღსანიშნავია ის ფაქტიც,რომ ქართული კულტურის განვითარების საქმეში დიდი როლი ენიჭებოდა საზღვარგარეთულ ქართულ სავანეებს. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ივერიის მონასტერი-ათონის მთაზე, შავი მთა (ანტიოქიის მონასტერი, სირიაში), ჯვრის მონასტერი (პალესტინაში) და პეტრიწონის (ბაჩკოვის) მონასტერი (ბულგარეთში).

ამ ეპოქის ქართული კულტურის შეფასებისას მნიშვნელოვანია ნ.ბერძენიშვილის მოსაზრება, რომელიც ყურადღებას ამახვილებს სამ მთავარ კომპონენტზე, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ერის კულტურულ-ისტორიულ სიმტკიცეს. „იდეურ-პოლიტიკურად ფეოდალური საქართველოს ცივილიზაცია სამ სვეტს ემყარება – ამბობს მეცნიერი,- სახარება“ვეფხვისტყაოსანი“ და „ქართლის ცხოვრება“ იყო გამარჯვებული ფეოდალური ურთიერთობის სამი „წმიდა ნიგნი“. (ა.სურგულაძე.,1989:212)

და ბოლოს, XI-XII საუკუნეების ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების განვითარების დონე, ფილოსოფიური აზროვნების და სულიერი ცხოვრების მთავარი კომპონენტების – ლიტერატურის, მეცნიერების და ხელოვნების მოკლე მიმოხილვა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ,რომ თვითმყოფად, მაღალი დონის ქართულ კულტურას შუა საუკუნეების მსოფლიო ცივილიზაციათა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) მ. მაჭარაშვილი, ნ.სილაგაძე „მსოფლიო ხელოვნება“თბ.,2010
- 2) შ. ნუცუბიძე, რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი ტIV,თბ.,1976
- 3) ა.სურგულაძე „ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები“ თბ.,1989
- 4) მ.მახარაძე რენესანსი, ჰუმანიზმი და XI-XII საუკუნეების საქართველო„თბ.,2003

Marina Jincharadze

Social and ideological basics of Georgian Renaissance culture In XI-XII century

Summary

The basis of Georgian Renaissance of cultural and social ideology in the 11-12th century. In the above topic The basis of Georgian Renaissance of cultural and social ideology in the 11-12 th century,I am talking about achievements of Georgian culture in social-political thinking about development of literature,science and art .In which high level Georgian civilization is among the civilizations of the middle centuries.

გურამ ჩავანავა

ეთნონიმ “ჰალიძონებისა“ და ჰიდრონიმ “ალაზნის“ კანონზომიერი კავშირი თუ შემთხვევითი დამთხვევა

ეთნონიმ “ჰალიძონებისა“ და ჰიდრონიმ “ალაზანის“ კავშირზე მიუთითებს ანანია ჯაფარიძე. ის წერს “ამ მხრივ მნიშვნელოვანია სტრაბონის ცნობა და ასევე ვრცელი მსჯელობა იმის შესახებ, რომ ხალიბების (ქალდეების) ძველი სახელწოდება ასევე იყო “ალაზონები“ ან “ალიზონები“ (ალაძონები, ალიძონები). ეს სახელწოდება, აგრძელებს ავტორი, – ნაწარმოებია ფუძისაგან – ალზ-ალძ. ეს ფუძე “ალძ-ალზ“ უნდა იყოს იგივე “არძ-არზ“, რომელიც შეიძლება “გურძ-გურზ“ სახელშიც ჟღერდეს, რადგანაც სწორედ ასე უწოდებდნენ ალზის სამეფოს მეზობლად მცხოვრები სირიელები ქართველებს. მდ. არაცანის სახელი, პ. ინგოროყვას აზრით, ჟღერდა როგორც არანანი, შესაძლოა ის ჟღერდა, როგორც “არაზანი ანუ “ალაზანი“ (ქართული სუფიქსი “ანი“, “ონი“). მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ მიტროპოლიტ ანანიას თვალსაზრისით “ალზ-იკი“ უნდა იყოს, საფუძველი მისგან ნაწარმოები სახელისა “ლაზიკა“ (ალზიკა-ლაზიკა), რამდენიმე თანხმოდვის გაადგილებით სიტყვის ფუძეში“. ამგვარად შავიზღვისპირეთის ეთნონიმ “ჰალიძონებისა“ და ჰიდრონიმ “ალაზანის“ კავშირის შესახებ მოსაზრება უკვე გამოთქმულია. ჩვენ გვაინტერესებს, რამდენად შესაძლებელია, რომ ეს კავშირი კანონზომიერია და არა შემთხვევითი დამთხვევა.

საქმე იმაშია, რომ ჰალიძონების სამშობლოზე საუბრისას სურუშაძის მიხედვით “გეოგრაფოსი {სტრაბონი}, ამ ტომის გარკვევისა და ცხადი შეცნობისათვის რაკილა დიდ სიძნელეს ნააწყდა, ამბობს, რომ პოეტმა მოიხსენია რომელიღაც უცნობი {ტომი}... ხან არის “ალიბედან“, ზოგიერთები წერენ “ალიბებიდან“, ზოგიერთები – “ხალიბებიდან“, სხვები კი – “ალოპედან“, ან მენეკრატეს მიხედვით, – “ალობედან“ და აგრეთვე – “ხალიბედან“ (ურუშაძე, 1964: 180-181). ჰალიძონების სამშობლოს ძებნასთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ მათი წარმომავლობა შეიძლება დაკავშირე-

ბული იყოს ტერმინ “ლაზონასთან”(ჩაგანავა,2014), რაც იგივე ლაზეთს (“ლაზისტანს“) აღნიშნავს და საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით არის განლაგებული. მაგრამ ამავე დროს, აღნიშნავენ, რომ თანამედროვე ალაზნის ველს ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით ძველად თურმე **ალონი** ერქვა და **ალაზანის** სახელიც მისგან არის ნაწარმოები. საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებოა, რომ ნახურელები მდინარე ალაზნის რეგიონს უწოდებენ „გალ“-ს (Нагиев,2013). უნდა ვიფიქროთ, რომ ჰიდრონიმ **ალაზნის** სახელწოდება ჯერ უნდა ყოფილიყო **გალაზანი/ჰალაზანი/ან გალოზანი/ჰალოზანი**, ხოლო შემდგომში **გ**-ს ან **ჰ** დასუსტებამ ქართველურში გამოიწვევა ძველად ალაზნის ველის სახელწოდებაში ფორმა **ალონის** გაბატონება (რომლის სრული ფორმა **გალა(ო)ზო(ა)ნა/ჰალო(ა)ზო(ა)ნა** უნდა ყოფილიყო). განსხვავებული საგნების მსგავს სახელწოდებათა შორის განსხვავების დაფიქსირების ჩვეულებრივმა ტენდენციამ გამოიწვია ის, რომ **ალაზნის ველის** პირველად სახელწოდებაში **გალა(ო)ზო(ა)ნა/ჰალო(ა)ზო(ა)ნა** დარჩა **ალონის** ფორმა, ხოლო მდინარის სახელწოდებაში ძველი ალაზნის ველის სახელწოდებასთან უფრო ახლოს მდგომი ფორმა **ალაზანი**. როგორც ჩანს ანალოგიური კანონზომიერებები მოქმედებდნენ აგრეთვე შავი ზღვისპირეთში, სადაც საუბარი იყო მოსახლეობის განსახლების ადგილმდებარეობის სახელწოდებაზე და აქ გაბატონდა ‘**გა**’ და ‘**ჰა**’-ს გარეშე ფორმები, როდესაც ძველი **ჰალაძონების/გალაძონების** ფორმის ნაცვლად მივიღეთ, თანამედროვე ეთნონიმის“**ლაზის**“-ა და შესაბამისად **ლაზების** განსახლების მხარის“**ლაზონას**“ (**ან ლაზეთი**)ჩამოყალიბება(ჩაგანავა,2014).

ის რომ “ალაზან სა“ და “ლაზონას“ ტერმინებს შორის არსებობს გარკვეული კავშირი ეს იმითაც დასტურდება, რომ ალაზანი შეიძლება დავუკავშიროთ მეგრულ ფალაზონს, ალაზონს, რაც მეგრულში დიდ, სწორ ველს, ზოგ შემთხვევაში მდინარესაც აღნიშნავს (ჯალალონია,2013). ალიო ქობალიას “მეგრული ლექსიკონის“ მიხედვით ალაზონი ნიშნავს-შამბნარს; მდიდარ საძოვარს, იგივეა, რაც ფალაზონი(ქობალია,2010:26).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი კავშირი არსებობს. მიტროპოლიტი ანანიას თვალსაზრისით,

ფუძე**გალ**-იშეიძლება დაკავშირებული იყოს ფუძეებთან: ხალ;ჰალ; ქალ;ხარ; ქარ;გარ;ჰარ; გარ;ღარ; ღალ;ღოლ; ღორ; ხოლ;ხორ; ჰოლ;ჰორ;ქოლ; ქორ; გორ;გოლ. ამავე დროს დასაშვებად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ისეთი ფორმის არსებობაც, როგორიცაა, მაგალითად, **“გარ”** ძირისაგან „გარკვეულ პოზიციებში უმლაუტის გზით მიღებული“**“გერ”** ფუძე (ფენრიხი,სარჯველაძე, 1990:74). ფუძე**“გალ”**-ის ფონეტიკური ყლერადობის ანალოგიების მოძიებამ მიგვიყვანა კარგად ცნობილ კელტების ლათინურ სახელწოდებასთან galli, რომელიც კელტურად „მეომრულ“-ის მნიშვნელობით საკუთრივ კელტურ gal ფუძეს უკავშირდება. „მეომრული“ თვისება შეესატყვისება კელტების ისეთ ზოგად თვისებას, როგორიც არის **გამბედაობა და ომისადმი** ლტოლვა. კარგად არის ცნობილი, რომ (Гамкрелидзе, Иванов,1994:) მეომრული სულისკვეთება, დიდება ინდოევროპულ მითოლოგიაში იდაკავშირებულია მგლის კულტთან, რაც ბუნებრივად გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ ფუძე **gal**-აგრეთვე მგლის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული. ასეთი ვარაუდის არსებობაზე კიდევაც მიუთითებენ ლიტერატურაში(Трусов, 2012). არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვით ტერმინი **ე-გერ-ი**(“ეგრისი“) დაკავშირებულია მგლის ტოტემურ სახელთან **გერ**-თან, რაც მეგრულად მგელს ნიშნავს (ვერულავა, 2009; მორგოშია, 2012). საყურადღებოა, რომ თუ მეგრულში მგელი სიტყვა **გერი-თ** აღინიშნება (ქობალია,2010:95), ლაზურში **მგელი** სიტყვა **მგერი-თ** (თანდილავა,2013:419), **მგეი-თ** (თანდილავა,2013:419), ან კიდევ **მგვერი-თ** (თანდილავა,2013:419) აღინიშნება. სიტყვა მგელის ასეთი მრავალვარიანტობა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ, როგორც ჩანს, ძველად ზანურში მგლის სახელწოდება ფუძე **“გალ”**-თან ახლო მდგომი სიტყვით უნდა ყოფილიყო აღნიშნული. ცნობილია,რომ ქართულში და მეგრულში (საერთოდ ზანურში) მგლის სახელწოდება ალბათ ნასესხებია სომხურიდან (Гамкрелидзе, Иванов, 1994) სადაც ის **გაილ** (gayl) ფორმით დასტურდება (Антонов АНТОН –<http://www/czudovo/ru/word.php>.), რაც ჩვენს ვარაუდს სანდოობას მატებს. ზურაბ ჭუმბურიძე წერს:“ვარაუდობენ, რომ ეგრისი

და გურია ნაწარმოებია ერთი და იმავე სატომო სახელისაგან – **გურ** – ისაგან (ჭუმბურიძე, 1978:179-180). თვითონ ფუძე **გურ-ის** ეტიმოლოგია არ არის მოცემული. ამ დროს კი, თუ ფუძე „**გალ**“ შეიძლება დაკავშირებული იყოს სპარსულ ფუძე „**გორ**“-თან და აქედან მგლის სპარსულ სახელწოდებასთან (**გორგ**), მაშინ ფუძე „**გურ**“ შეიძლება დაკავშირებული იყოს მგლის ქურთულ სახელწოდებასთან – „**გურ**“-ი (Курдоев, 1961)(თუმცა ქურთულში აგრეთვე არსებობს იმავე სიტყვის ვარიანტი **გორ** – **gor**).

თუ ზემოთ მითითებულ **გალ/ხალ** ფუძეებისნაირსახეობას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ გასაგები იქნება, რომ სიტყვა **გალაზონასაგან/ჰალაზონასაგან/** ნაწარმოები სიტყვა ან მის ვარიანტის /**ჰალიძონების/ ვალიზონების/ გალაზონების** ფუძე ნამდვილად უნდა იყოს **ტოტემური ცხოველის –მგლის** სახელთან დაკავშირებული. ამავე ტოტემური ცხოველის **გალ-ისაგან** უნდა იყოს ნაწარმოები თანამდროვე ალაზნის ველის სავარაუდო სახელწოდება **გალა{ო}ზო{ა}ნა/ჰალო{ა}ზო{ა}ნა**, რომელმაც მოგვცა ალაზნის ველის ძველი სახელწოდება **ალონის** ფორმით, და კახეთის მთავარი მდინარის სახელწოდება **ალაზანი**. ვფიქრობთ, რომ კახეთში ძველ ქართველურ ტოტემთან მგელთან დაკავშირებული სახელწოდება უნდა შემორჩენილიყო კახეთთან დაკავშირებული ისეთი მხარის სახელწოდებაში, როგორიცაა **ჰერეთი**. თუ ამ სახელწოდების ფუძედ ჩვენ **ჰერ-ს**, იგივე **გერს მივიჩნევთ, მაშინ გასაგები იქნება, რომ ამ ტერმინში ისევე, როგორც ტერმინ ე-გერ-ში** (“ეგრისი“) გამოყენებული იყო მგლის ტოტემური სახელი **გერ-ი**, რაც მეგრულად მგელს ნიშნავს (ვერულავა, 2009; მორგოშია, 2012).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. ვერულავა, სამეგრელოს ეტიმოლოგია, ბურუსი. 05/05/2009;
2. ა.თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბ., 2013;
3. ბ. მორგოშია, გერ-ის ეტიმოლოგია. 25.04.2012;

4. ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულება-ში. თბ., 1964;
5. ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაზე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990;
6. ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010;
7. გ. წერეთელი, “საქართველოს ირანულ სახელწოდებათა ისტორიისათვის“, კრ.: “საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“ – თბ., 1993;
8. ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ, თბ., 1978;
9. თ. ჩხეიძე, “საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები საშუალო სპარსულსა და პართულენებში“, კრ.: “საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“ – თბ., 1993;
10. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, არიან-ქართლი. სიტყვა “ქართველის“ ეტიმოლოგია, სვეტიცხოველი, №2, თბ. 2011;
11. ზ. ჯალალონია, “ნანარები“. 2013.
12. kolxeti.usoz.com./ news/zadghonia–tzanareb./2013.03-30 29;
13. გ. ჩაგანავა. ეთნონიმ “ჰალიძონების“ ეტიმოლოგიის ცდა. კრ.: მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “სამხრეთ-დასავლეთ საქართველო – ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“, ბათ. 2014;
14. Антонов Антон – <http://www/czudovo/ru/word.php>.);
15. Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч., Вс. Индоевропейский язык и индоевропейцы. Тб., 1994;
16. Гельмгольт Г. История человечества. Всемирная история. Шестой том, Средняя и Северная Европа, СПб., 1904;
17. Курдоев К.К., Курдский язык, М.1961;
18. <http://www.ashkimsin.ru.chayxana/lofiversion/index/php>;
19. Нагиев Ф., Ономастика Кавказкой Албании, 2013, <http://www.nagiev-clan.ru/search/>;
20. Трусов С.В. Варианты этимологий этнонима. 2012
21. «галлы». rtkorr.com/news.

Guram Chaganava

*Regular Connection or Accidentally Coincidence Between the
Ethnonym "Halizones" and Hydronym "Alazani"*

Summary

Etymology of the ethnonym "Halizones" and hydronym "Alazani" led us to the conclusion that both terms have a common origin. Since both go back to the general Kartvelian -volk totem, which manifests itself in the root of "gal" and, on the one hand, originally preserved in some self-name Kartvelian ethnic groups (Laz, Megrelians), and, on the other hand, preserved in a changed form in the old name of Alazani Valley – "Aloni", in the name of the river "Alazani" and in the title of the Georgian province – "Hereti".

**ბათუმის საკითხი ანტანტის სახელმწიფოთა
საგარეო პოლიტიკაში (1918-1920)
ისტორიოგრაფია**

„ჩემი სურვილი არის, რომ საქართველო ისეთივე ძლიერი იყოს, როგორც წინათ იყო; რომ არავითარი დახმარება უცხოელთა არ სჭირდებოდეს მშვიდობიანობისა და ომის დროს. მაგრამ რაკი დროთა ბრუნვისა, ანუ დაუდგრომლობის მიზეზით, ანუ, შესაძლოა, ამ ორსავე მიზეზით ერთად, ისეთ დაუძღურებამდის მივედით, რომ სხვებს უნდა დავემორჩილოთ, მე უფრო გონივრულად მიმაჩნია, იმათგან ვიყოთ დამოკიდებული, ვინც უფრო ზომიერი და მართლის მოყვარეა და ვინც მეგობრობას თავის მოკავშირეებთან მტკიცედ ინახავს“... ზურაბ ავალიშვილის მიერ პირველად 1924 წელს გამოქვეყნებული წიგნი „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“, ამ სიტყვებით იწყება¹. ზურაბ ავალიშვილს პერიფრაზირებული აქვს ბიზანტიელი ისტორიკოსის (VI ს.) წყარო კოლხეთის სამეფოს შესახებ, რომელიც ამ სიტყვებს კოლხ აიეტს მიაწერს სპარსეთსა და ბიზანტიას შორის ორიენტაციის არჩევისას.

დღესდღეობით, ჩემი სადისერტაციო თემის – „ბათუმის საკითხი ანტანტის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში (1918-1920)“ წერის დროს, ზურაბ ავალიშვილის წიგნის დაწერიდან 90 წელზე მეტია გასული, საქართველო კი VI თუ შუა საუკუნეების ან XX საუკუნის დასაწყისის ანალოგიური პოლიტიკური გამოწვევების წინაშე დგას. ყოველთვის არსებობს არჩევანი რამდენიმე საგარეო ორიენტაციას შორის და ამ არჩევანს ყოველთვის ჰყავს მომხრეც და მოწინააღმდეგეც. საერთაშორისო პოლიტიკის შესწავლა და დეტალების სიღრმეებში წვდომა კი აუცილებელია, რომ ისტორიის უარყოფითი მოვლენების ხელახალი გამოცდა აღარ გახდეს საჭირო.

ბათუმის ოლქის საკითხი, ძირითადად, დაკავშირებული იყო ბაქოს ნავთობთან და მილსადენთან, რომელიც კავკასი-

ამი 1906 წლიდან მოქმედებდა. აზერბაიჯანის დამოუკიდებელ რესპუბლიკას მხოლოდ ბათუმის მეშვეობით შეეძლო ბაქოს ნავთობის დასავლეთში ექსპორტი, ხოლო ნავთობის ეს მარაგი იმ დროისათვის მსოფლიოში მეორე იყო, რაც ჯერ კიდევ 1918 წელს თავისი დეტალური მოხსენებით ბრიტანეთის მთავრობას აცნობა საქართველოს პირველი რესპუბლიკის წარმომადგენელმა, დავით ღამბაშიძემ¹.

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში შეიქმნა ერთგვარი ძალაუფლების ვაკუუმი. ომში დამარცხებულ ოსმალეთის იმპერიას, ისევე, როგორც ომითა და შიდა არეულობებით ფაქტობრივად დაანგრეულ რუსეთის იმპერიას, არ შეეძლო ამიერკავკასიაში საკუთარი კონტროლის დამყარება. 1917 წლის 23 დეკემბერს, ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის მიღწეული შეთანხმება ამ ვაკუუმის შევსების მცდელობას წარმოადგენდა. შეთანხმების მიხედვით სამხრეთი კავკასია ბრიტანეთის სამოქმედო ზონად გამოცხადდა. შესაბამისად, 1918 წლის 30 ოქტომბრის მუდროსის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების თანახმად, ოსმალეთს დაევალა გამოეყვანა ჯარები დაკავებული ტერიტორიიდან და მოქცეულიყო ომამდელ საზღვრებში რუსეთის იმპერიასთან.

ოსმალეთთან და გერმანიასთან დადებული ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებების შემდეგ, 1918 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ბრიტანული სამხედრო ძალები შევიდნენ ბათუმში, თბილისსა და ბაქოში. ამასთანავე, დაიკავეს ამ მნიშვნელოვანი ცენტრების შემაერთებელი რკინიგზისა და ნავთობსადენის სტრატეგიული პუნქტები. 1918 წლის 30 ოქტომბრიდან 1920 წლის 7 ივლისამდე, სანამ ბრიტანული ჯარები სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, ეს ქვეყანა იყო მთავარი მოთამაშე რეგიონში. ამ სტრატეგიული პოზიციებიდან უმნიშვნელოვანესი კი იყო ბათუმის ოლქი და პორტი.

ბათუმის ოლქს, ნავთობის გარდა, კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური დატვირთვა გააჩნდა. ჯონ როუზის სტატია – „ბათუმი როგორც დომინო, 1919-1920: ინდოეთის დაცვა ამიერკავკასიაში“ სწორედ ამ საკითხის გაა-

ნალიზებას ეხება. მკვლევარის აზრით, ბათუმი იყო დომინოს პირველი ქვა, რომლის ნაქცევასაც მოჰყვებოდა ბრიტანული ინტერესების შესუსტება ახლო აღმოსავლეთში და ფუნდამენტური ცვლილებები ამ მიმართულებით¹.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ლორდი ჯორჯ კერზონი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ბათუმი-ბაქოს სარკინიგზო და ნავთობსადენის ხაზების კონტროლს. ბაქოს მიმართულებით პრობლემების და ნავთობის რესურსებზე კონტროლის დაკარგვის შემთხვევაშიც კი, კერზონის აზრით, მოკავშირეთა ჯარები ბათუმში მაინც უნდა დარჩენილიყვნენ, რომ აღმოსავლეთის პოლიტიკაში მოვლენათა არასასურველი სცენარით განვითარების შემთხვევაში ჩარეულიყვნენ ბრიტანული გავლენის უზრუნველყოფის აღსადგენად. კერზონს, როგორც აღმოსავლეთის საკითხებში ყველაზე მეტად ჩახედულ პიროვნებას, მიაჩნდა, რომ კავკასია უნდა გამხდარიყო ბუფერი, რუსეთი უნდა დარჩენილიყო კავკასიის ქედს ჩრდილოეთით და ამით უზრუნველყოფილი იქნებოდა ბრიტანეთის აღმოსავლური ინტერესები სპარსეთში, ავღანეთში, ცენტრალურ აზიასა და ინდოეთში.

კერზონის საგარეო პოლიტიკის ხაზს ატარებდა კავკასიაში ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი, ქართველოლოგი და ჩვენი ქვეყნის გულშემატკივარი ოლივერ უორდროპი. საპირისპირო პოლიტიკურ ხაზს ემხრობოდა (ან რამე სხვა. ტავტოლოგიაა ქ.ა.) თავდაცვის მინისტრი – უინსტონ ჩერჩილი. ის ყველა შესაძლო რესურსით მხარს უჭერდა რუსეთის აღდგენისათვის გამართულ ანტიბოლშევიკურ „ჯვაროსნულ ლაშქრობას“, ეხმარებოდა თეთრ გენერლებს. შესაბამისად, ჩერჩილისათვის, კავკასიის მომავალი ერთიან რუსეთთან ასოცირდებოდა. პრემიერ-მინისტრი ლოიდ ჯორჯი ზოგადი რუსული პოლიტიკის ფარგლებში უყურებდა სამხრეთ კავკასიის რეგიონს. მისთვის მთავარი იყო რუსეთის ყოფილი იმპერიიდან ჯარები გამოეყვანა, ომით დასუსტებული ბრიტანული ეკონომიკა გამოეცოცხლებინა და დაენყნარებინა ლეიბორისტული ოპოზიციის ანტისაომარი, პაციფისტური კრიტიკა.

შექმნილ ვითარებაში ჩერჩილისა და ლოიდ ჯორჯის პოლიტიკურმა ხაზმა გაიმარჯვა. გაზაფხულზე გადაწყდა,

რომ ჯარების გაყვანის პროცესი უნდა დაწყებულიყო 1919 წლის 15 აგვისტოს, თუმცა ბათუმის საკითხზე იმდროინდელი პოლიტიკური და სამხედრო ფიგურების მოსაზრება კარდინალურად განსხვავდებოდა. შავი ზღვის არმიის მეთაური, სერ ჯორჯ მილნი თავდაცვის სამინისტროს წერდა, რომ ბათუმში უნდა დარჩენილიყო ბრიტანელი გუბერნატორი მცირე სამხედრო ნაწილით, სანამ პარიზის საზავო კონფერენცია გადწყვეტდა თუ ვისთვის გადაეცა ქალაქი. ამავე მოსაზრების იყო საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი კერზონი, რომლისთვისაც ჯარების 1 წლით დატოვებაც მნიშვნელოვანი იყო პრესტიჟის გამო, იმის საჩვენებლად, რომ ბრიტანეთს ინტერესი აზიის ცენტრალური რეგიონისადმი კვლავ დღის წესრიგში იდგა. აგრეთვე, მისი აზრით, თუ ამიერკავკასიაში არეულობას ექნებოდა ადგილი, ბათუმის დატოვების შემდეგ მასზე პრეტენზია გაუჩნდებოდა: საქართველოს – ისტორიული თვალსაზრისით, აზერბაიჯანს – რადგან ბათუმში უმრავლესობას მუსლიმი მოსახლეობა შეადგენდა და სომხეთს – რომელსაც დიდი სურვილი გააჩნდა ზღვაზე გასასვლელი ჰქონოდა. აგრეთვე, არ იყო გამორიცხული ამ მიმართულებით დენიკინის გააქტიურება, რომლის ძალებიც ბრიტანეთს რუსეთში ბოლშევიკების წინააღმდეგ ბალანსის შესანარჩუნებლად სჭირდებოდა და ამ ყველაფრის გათვალისწინებით, რეგიონში შეიქმნებოდა ქაოტური სიტუაცია.

სანინაალმდეგოდ ფიქრობდა ფელდმარშალი სერ ჰენრი უილსონი, რომელიც რეგიონში ჯარების ყოფნას გაუმართლებელ ხარჯად მიიჩნევდა. მისი აზრით, ეს ყველაფერი შეარყევდა ბრიტანეთის ინტერესებს სხვა, უფრო სტრატეგიული მიმართულებებით, როგორც იყო იგივე ინდოეთი ან ირლანდია, სადაც, ასევე, მიმდინარეობდა „შინ ფეინის“ პარტიის აქტიური გამოსვლები.

ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი მთავარი ფიგურა, პრემიერ-მინისტრი ლოიდ ჯორჯიც არ იზიარებდა კერზონის მოსაზრებას და კავკასიას, როგორც რუსეთისაგან თავდაცვის ელემენტს არ განიხილავდა. ამ მოსაზრების სანინაალმდეგოდ, იგი ესწრაფოდა რუსეთთან

სავაჭრო ურთიერთობების აღდგენას, რათა ბრიტანეთის გამოფიტული ეკონომიკა კვლავ წამოენია.

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კავკასიის საკითხი ბრიტანეთისთვის მრავალმხრივი იყო და მიბმული როგორც „რუსეთის“, ასევე „აზიის საკითხთან“ და პოლიტიკური კურსის ცვალებადობა დამოკიდებული იყო ბრიტანეთის ამა თუ იმ პოზიციასთან ამ ორ მიმართულებასთან დაკავშირებით.

ანტანტის სხვა სახელმწიფოთა შორის არ ყოფილა ერთგვაროვანი დამოკიდებულება ბათუმის მიმართ. 1920 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში, როდესაც ბრიტანელები ტოვებდნენ სამხრეთ კავკასიას, ბათუმის გამოკლებით, და მათ ნაცვლად იტალიელთა შემოსვლა იგეგმებოდა, იტალიის მთავრობას მნიშვნელოვნად მიაჩნდა, რომ ბათუმიც (განსაკუთრებით მისი პორტი), მათ ხელში გადასულიყო.

ბათუმის პორტი და ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა განმსაზღვრელი იყო ბაქოს ნავთობის ექსპორტის საქმეში. ეს საქმე 1918 წლის ბოლოდან ბრიტანელთა ხელში გადავიდა. შესაბამისად, საფრანგეთს შურნარევი დამოკიდებულება ჰქონდა ბრიტანელთა უპირატესი მდგომარეობისადმი, განსაკუთრებით მის კომერციულ წრეებს. დისერტაციის წერილსა ჩვენი მიზანია, ყველა დაინტერესებული ქვეყნის წყაროთა გამოვლენით და პოზიციების შესწავლით რეგიონში საერთაშორისო წინააღმდეგობის სურათი აღვადგინოთ. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გარდა ბრიტანული საარქივო მასალებისა, შესანიშნავ შესაძლებლობას იძლევა საფრანგეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერის – გიორგი მამულიას მიერ ჩვენთვის გადმოცემული ფრანგული დოკუმენტების ასლები და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული, პროფესორ ილია ტაბალუას პირადი არქივი, რომელშიც წარმოდგენილია იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალები, ასევე ილია ტაბალუას მონოგრაფია აღნიშნულ საკითხზე.

„ბათუმის საკითხი“ არაერთხელ დაისვა საერთაშორისო ფორუმებზე – პარიზის, ლონდონისა და სან-რემოს სამშვიდობო კონფერენციებზე 1919-1920 წლებში. თავისი მნიშ-

ვენელობით, ცალკე აღებული ბათუმი, საერთაშორისო თვალსაზრისითა და მნიშვნელობით, უფრო პრიორიტეტულიც კი იყო, ვიდრე მთლიანად საქართველოს საკითხი. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გამოცემა „მასალები შეერთებული შტატების საერთაშორისო პოლიტიკიდან“ ინტერნეტში უფასოდ, ონლაინ არის ხელმისაწვდომი, მასში დაცულია პარიზის სამშვიდობო კონფერენციის ოქმები 13 ტომად, ამერიკის პოლიტიკა რუსეთთან და თურქეთთან მიმართებით 1919-1920 წლებში 8 ტომად. აღნიშნული მასალა შესაძლებლობას იძლევა „ბათუმის საკითხი“ განვიხილოთ არა მხოლოდ ამერიკული, არამედ საერთაშორისო ფორუმთა თვალთახედვიდან.

ცალკე თემაა 1919-1920 წლებში, ბათუმის ოლქის მოსახლეობის შემადგენლობის, მათი პოლიტიკური პრეფერენციის დადგენა. ქართული, აზერბაიჯანული, რუსული, ბრიტანული წყაროები და ავტორები ურთიერთგამომრიცხავ ცნობებს იძლევიან. ქართული საარქივო მასალა ეჭვქვეშ არ აყენებს მოსახლეობის პოლიტიკური ლოიალობის და საქართველოს მთავრობასთან მჭიდრო კავშირში მყოფ „მემედ-ბეგ აბაშიძის პარტიის“ წამყვან როლს; აზერბაიჯანელი ავტორები მოსახლეობის პრო-თურქულ, მუსლიმანურ ორიენტაციაში მკითხველის დარწმუნებას ცდილობენ; დენიკინი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა მოსახლეობის პოლიტიკურ ორიენტაციას და რეგიონს რუსეთის განუყოფელ ნაწილად თვლიდა.

ბრიტანელთა მოსაზრებები შემდეგნაირად იყოფოდა: ბათუმში ბრიტანეთის კონსული – პატრიკ სტივენსი თვლიდა, რომ მოსახლეობის პოლიტიკური გემოვნება თანაბრად ნაწილდებოდა პროთურქულსა და პროქართულს შორის. შავი ზღვის ჯარების სარდალი – გენერალი მილნი რეგიონის მოსახლეობას ანტიქართულ ძალად განიხილავდა, ხოლო კავკასიაში ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი – ოლივერ უორდროპი მთლიანად იზიარებდა ქართველთა დამოკიდებულებას. საკვლევ თემასთან მიმართებით ეს საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, რეგიონის პოლიტიკური მომავლის განსაზღვრისას ბრიტანელები, ისევე, როგორც

ანტანტის ქვეყნები, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პროვინციის მოსახლეობის პოლიტიკურ ორიენტაციას. დღემდე არ არსებობს ამ წყაროების შემაჯამებელი, ჭეშმარიტების გამომავლინებელი სამეცნიერო შრომა, რაც ჩვენ მიზნად გვესახება.

ზემოხსენებული მოვლენები ქართულ ისტორიოგრაფიაში, ზოგადად, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ჭრილშია განხილული. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ემიგრაციაში წასულმა ქართველმა მოღვაწეებმა ვიქტორ ნოზაძემ და ზურაბ ავალიშვილმა გამოაქვეყნეს წიგნები, რომლების რიტორიკაც და მოვლენების აღწერის ზოგადი კუთხეც დღევანდლამდე თან სდევს აჭარის საკითხის ირგვლივ გამოქვეყნებულ ნაშრომებსა თუ სტატიებს. ამის შემდგომ საბჭოთა საქართველოს პირობებში გამოიცა რამდენიმე მონოგრაფია, რომლებიც საკითხის სუბიექტურ კვლევას ეფუძნება. აღსანიშნავია, 1964 წელს გამოცემული, გ. ლამბაძის „ინგლისისა და ამერიკის აგრესიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ“, ვ. ადამიას „საქართველოში ინგლისური ინტერვენციის ისტორიიდან“ და კიდევ მრავალი, მსგავსი პათოსით განმსჭვალული სხვა ნაშრომი. ამ კვლევებში საკითხის განხილვასა და ანალიზზე დაყრდნობა კი, ბუნებრივია, დღესდღეობით შეუძლებელია.

1990-იანი წლებიდან რიტორიკა იცვლება და ცენზურა აღარ არსებობს, გამოიცა რ. ცუხიშვილის „ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წლებში“. ათეულობით სხვა ქართველი ავტორის ნაშრომი თუ სტატია აღნიშნულ საკითხზე, რომელთაგან გამოსაყოფია: ერმილე მესხია, ბრძოლა საქართველოს ერთიანობისთვის 1918-20 (2004), დოდო ჭუმბურიძე, აჭარის საკითხი 1918-21 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი (1999), მიხეილ სვანიძის, ალექსანდრე ბენდიანიშვილის, შოთა ჯაფარიძის სტატიები. ნ. ზოსიძის და ა. ვარშალომიძის დისერტაციები. ზოგადად, ამ პერიოდის დიპლომატიურ ურთიერთობებზეა გამოცემული ნ. კირთაძის, ი. ტაბალუას, ხ. ქოქრაშვილის და სხვათა ნაშრომები, თუმცა მათი უმრავლესობა არ ეყრდნობა არც ე.წ.

„ჰარვარდისა და ლევილის“ საარქივო მასალას, რომელიც 2000-იანი წლებიდან ინახება საქართველოს ეროვნულ არქივში და ამ თემის ირგვლივ ფასდაუდებელ დოკუმენტებს შეიცავს და არც უცხოურ არქივებში დაცულ დოკუმენტებს.

საერთაშორისო ასპარეზზე, ამ მხრივ, უკეთესი მდგომარეობაა, არსებობს ჯონ როუზის სტატია – „ბათუმი როგორც დომინო, 1919-1920: ინდოეთის დაცვა ამიერკავკასიაში“. ეს გახლავთ კონკრეტულად ამ საკითხისადმი მიძღვნილი, საარქივო მასალის ანალიზზე დაყრდნობით შესრულებული სამეცნიერო სტატია, თუმცა ვთვლით, რომ საკითხის კვლევა გაცილებით ფართომასშტაბიანია და მხოლოდ ამ ერთი კონკრეტული სტატიით არ უნდა შემოიფარგლებოდეს.

გარდა ამ სტატიისა, საკითხს ეხება ამერიკაში მოღვაწე ირანელი პროფესორი, ფირუზ კაზემზადე მონოგრაფიაში – „ბრძოლა სამხრეთ კავკასიისათვის (1917-1921)“, ჰენრიხ ულმანი თავის სამტომეულში – „ანგლო-საბჭოური ურთიერთობები 1917-1921 წლებში“, რიჩარდ ჰოვანესიანი თავის ფუნდამენტურ კვლევაში – „სომხეთის რესპუბლიკა“, ფინელი ავტორი, ლაური კოპისტო სადისერტაციო ნაშრომით „ბრიტანული ინტერვენცია სამხრეთ რუსეთში 1918-1920“, საკითხს ერთი თავი ეძღვნება ჩარლზ კინგის მონოგრაფიაში „შავი ზღვა: ისტორია“ და ა.შ. თუმცა ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში, საკითხის მიმართ მათი ინფორმირებულობა საარქივო მასალის გარდა, ხშირ შემთხვევაში, რუს, აზერბაიჯანელ და სომეხ ავტორებს ეყრდნობა და ამ ისტორიკოსებს ქართული მასალით თუ ქართველი ავტორის მონოგრაფიით არ უსარგებლიათ, რადგან საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ურთიერთობათა ისტორიის კუთხით, ხარისხიანი ნაშრომებიდან მხოლოდ ერთია ხელმისაწვდომი უცხოურ ენაზე, 1924 წელს გამოცემული ზურაბ ავალიშვილის მემუარები.

საკითხის კვლევისთვის მნიშვნელოვანია იმ პერიოდის ქართველი თუ უცხოელი მოღვაწეების მემუარები. რამდენიმე წელია ქართულადაც ხელმისაწვდომია გერმანიის საიმპერიო გენერლის, საქართველოში გერმანიის მისიის ხელ-

მძღვანელის, ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინის მოგონებები. ხელთ გვაქვს ქართველი პოლიტიკოსებისა და სამხედრო პირების: ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელის, გიორგი მაზნიაშვილის, გიორგი კვინიტაძის და სხვათა ბიოგრაფიული სახის არაერთი ნაშრომი. 2015 წელს გამოვა ოლივერ უორდროპის მიმონერა თავის ოჯახთან, რომელშიც არაერთ სიახლესა და მნიშვნელოვან ცნობას ველით ამ საკითხზე. ქართული ისტორიოგრაფიისთვის დღემდე უცნობ ნყაროს წარმოადგენს ბრიტანელი ჟურნალისტის, კარლ-ერიკ ბეკჰოფერ რობერტის მემუარი: „დენიკინის რუსეთსა და საქართველოში 1919-1920 წლებში“. ჟურნალისტმა 1915 და 1919 წლებში იმოგზაურა ბათუმში და საკმაოდ საინტერესო ცნობებს გვანვდის იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ქართველ მეცნიერებს ჯერჯერობით არა აქვთ სათანადო წვლილი შეტანილი საკითხის კვლევაში, ხოლო ზემოხსენებული უცხოელი ავტორებიდან არც ერთი არ გახლავთ ცალკე აღებული საქართველოს თემით დაინტერესებული, მათი კვლევა არ არის უზუსტობისგან დაზღვეული. ხშირად ისინი ეყრდნობიან მხოლოდ ერთი მხარის მასალას, მაგალითად, ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს რეპორტებს; ეს სამინისტრო კი საგარეო საქმეთა სამინისტროსგან განსხვავებით არაკეთილგანწყობილი იყო საქართველოს მიმართ.

საქართველოს, როგორც პატარა ქვეყანას, 1919-1920 წლებში არ ჰქონია საკმაო პოლიტიკური წონა იმისათვის, რომ „ბათუმის საკითხის“ საერთაშორისო განსაზღვრაში გადამწყვეტი სიტყვა ეთქვა, შესაბამისად, საერთაშორისო, უფრო მეტად ბრიტანული საარქივო დოკუმენტების გარეშე შესრულებული სამეცნიერო გამოკვლევები, საკითხს ნათელს ვერ მოჰფენს. აღნიშნული თემის შესწავლისთვის აუცილებელ მასალას – პოლიტიკურ კორესპოდენციასა და სხვადასხვა ჩანაწერს ინახავს, ძირითადად, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი. მასალაზე წვდომა ქართველ ისტორიკოსებს დიდი ხნის მანძილზე არ ჰქონიათ, ხოლო ბოლო დროს სხვადასხვა ქართველი მკვლევარის და,

აგრეთვე, ინტერნეტის დახმარებით შესაძლებელი გახდა ამ მასალის მოპოვება და მათი კვლევაში ჩართვა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია 1919-1939 წლებში ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტების მრავალტომეული, რომელთაგან სამი ტომი ეძღვნება რუსეთის იმპერიას, ამიერკავკასიას და ახლო აღმოსავლურ პოლიტიკას. აღნიშნული ტომების დამუშავება ანალოგიური მნიშვნელობისაა.

ბრიტანეთის ეროვნულ არქივში, აგრეთვე, არსებობს საკვლევი თემისათვის უმნიშვნელოვანესი წყარო, თავდაცვის სამინისტროს ორი საარქივო საქმე – „27-ე დივიზიის დღიურები“. 27-ე დივიზიის მიერ მიმდინარეობდა ბათუმისა და მთლიანად საქართველოს ოკუპაცია 1919-1920 წლებში. დღიურებში წარმოდგენილია ბრიტანული სამხედრო მისიის ფაქტობრივად ყოველდღიური აქტივობა ბათუმის პროვინციაში, რეპორტების, დეპეშების, მემორანდუმების, მოვლენათა აღწერილობის დონეზე.

მნიშვნელობით მეორე და საკმაოდ დიდი მოცულობის საარქივო მასალა დაცულია 1990-იანი წლების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ეროვნულ არქივში შემოსული ე.წ. „ჭარვარდისა და ლევილის“ კოლექციები – საარქივო მასალა, რომელიც საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად ემიგრაციაში იმყოფებოდა და მხოლოდ რამდენიმე წლის წინ დაუბრუნდა ქვეყანას. კოლექციებიდან შემდგარი „საგარეო საქმეთა სამინისტროს“, „მთავრობის საქმეთა მმართველობის“, „აკაკი ჩხენკელის“, „ევგენი გეგეჭკორის“ და სხვა ფონდები მასალის კვლევაში ქართული მხარის დამოკიდებულებას და შესაბამის კორესპონდენციას წარმოადგენს.

საარქივო მასალიდან გამოსაყოფია ბათუმის არქივში 1990-იანი წლების მიწურულს და 2000-იანი წლების დასაწყისში ჩამოტანილი ასლები, რომლებიც შემდეგ დამუშავდა და ფონდის სახით ინახება ბათუმის არქივში. ბათუმის არქივში მუშაობისას გამოვლინდა არაერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტიც, რომელთა შორის ყველაზე წონიანია 1918-1920 წლებში ბათუმის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის,

მასლოვის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მემუარები. აქ ის საკუთარი პოზიციიდან გადმოგვცემს იმ ზოგად ვითარებას, რომელიც შექმნილია ოლქში და, ამ მხრივ, უნიკალურ პირველწყაროს წარმოადგენს. გარდა ამისა, ბათუმის არქივის ფონდებში ინახება ამ პერიოდის სხვა მასალაც.

ზემოთ ჩამოთვლილი საარქივო მასალის და ნაშრომების გააზრებით დაგეგმილია საკითხის ირგვლივ სრულყოფილი მონოგრაფიის მომზადება. პასუხი უნდა გაცეს რამდენიმე უმნიშვნელოვანეს შეკითხვას:

- ბრიტანეთი მხარს უჭერდა დენიკინს და თეთრგვარდიელებს, აფინანსებდა მათ, მაგრამ მათ მიერ აჭარის და ბათუმის ოკუპაციას არ ეთანხმებოდა და ამ უკანასკნელთ ამის განხორციელების საშუალებას არ აძლევდა. რატომ?;

- რატომ წავიდა ინგლისი კავკასიიდან? (შიდაპოლიტიკური დავა ინგლისის პოლიტიკის უმაღლეს პირებს შორის);

- რა პოზიცია გააჩნდათ სხვა ძირითად მოთამაშეებს, საფრანგეთსა და იტალიას?

- ოსმალეთის და აზერბაიჯანის სურვილი ბათუმის ოლქზე: მიუხედავად უკანა პლანზე ყოფნისა, ოსმალეთს მაინც გააჩნდა საკმარისი რესურსი ოლქზე პრეტენზიის გამოსაცხადებლად და რა გააკეთა ევროპულმა დემოკრატიამ მათ შესაკავებლად? (განსაკუთრებით ინგლისელთა ოლქიდან გასვლის შემდგომ);

- რას აკეთებს საქართველოს მთავრობა ბათუმის შემოსაერთებლად, რა ღონისძიებები გატარდა ამ წლებში?

- როგორი იყო ადგილობრივი მოსახლეობის და პოლიტიკური ფიგურების განწყობა?

ვფიქრობთ, რომ საკითხის ირგვლივ დაგეგმილი კვლევა მოგვცემს ყველა ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემის საშუალებას.

*განსაკუთრებული მადლობა ისტორიკოს ბექა კობახიძეს თემაზე მუშაობისას დახმარებისთვის და ეროვნული არქივის სამეცნიერო განყოფილების უფროსს, ქეთევან ასათიანს რედაქტირებისათვის.

Anton Vacharadze

*The role of Batumi in 1918-1920 international politics
of the entente countries - Historiography*

Summary

Political orientation issues is still stands in Georgia's agenda. There is always a choice between a number of foreign policy orientation and the choice always has supporters and opponents. This article is a discussion of these issues.

თინათინ ჯაბადარი

**მუნიციპალიზაცია-ნაციონალიზაცია,
კონფისკაცია-რეკვიზიცია აჭარაში
XX საუკუნის 20-იან 30--იან წლებში
(საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ
არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით)**

1921 წლის თებერვალში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით, ახალი ეპოქა დაიწყო, რევოლუციურმა კომიტეტმა ძალაუფლება მთლიანად აიღო ხელში და დაიწყო ქვეყნის მმართველობა. რევკომი აერთიანებდა მმართველობის მთელი სისტემას: სამოქალაქო და სამხედრო ძალაუფლებას. ერთი წლის განმავლობაში, 1921 წლის 25 თებერვლიდან 1922 წლის თებერვლამდე რევკომის მიერ შემუშავდა სამასამდე დეკრეტი და ბრძანება. მათ შორის ერთ-ერთი პირველი და მნიშვნელოვანი იყო რეკვიზიცია – კონფისკაცია, ნაციონალიზაცია – მუნიციპალიზაციის შესახებ. ეს იყო კანონი, რომლის გარეშეც ქვეყანაში უძრავი ქონების არანაირი განკარგვა – არც ჩამორთმევა, არც გასხვისება არ ხდებოდა.

რეკვიზიცია, სახელმწიფოს მიერ კერძო პირისაგან დაკავებული ქონების იძულებით, დროებით და სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული შეფასებით ჩამორთმევას ეწოდებოდა. კონფისკაციაში კი, კერძო პირის ან საზოგადოებრივი ქონების უსასყიდლო, იძულებით ჩამორთმევა იგულისხმებოდა **(სუიცა, ფ. 281, ან 1, საქ. N 201, ფ.15, 16)**. აღნიშნული დეკრეტით ჩამორთმეული ქონება ითვლებოდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საკუთრებად, ან დროებით საკუთრებად, მისი შესაძლო დაბრუნების შემთხვევაში. კონფისკაცია – რეკვიზიციის უფლება ჰქონდა საქართველოს საგანგებო კომისიას, რომელიც შედგებოდა საგუბერნიო მთავრობის წარმომადგელებისა და საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარმომადგელებისაგან. ამოუფლებით სარგებლობდნენ საქართველოს სსრ რევოლუციური ტრიბუნალი, საქართველოს

სსრ მუშურ – გლახური ინსპექციის სახალხო კომისარიატი, სახალხო სასამართლოები და რესპუბლიკის ყველა საკანონმდებლო ორგანო(სუიცა, ფ. 281, ან 1, საქ. N 201.ფ.15.).

აქედან გამომდინარე ჩამორთმეული ქონების შესახებ დოკუმენტური მასალა გათავსებულია უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში დაცულ სხვადასხვა ფონდებში: საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სახალხო კომისარიატის, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის, საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი ორგანოების ფონდებში.

1921 წლის დეკრეტის პრაქტიკაში გამოყენებამ ნათელიყო, რომ ქონების ექსპოპრიაციის დროს, ხშირად ირღვეოდა დეკრეტის პირობები. 1923 წლის 15 ივნისის საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებული ახალი დეკრეტი კიდევ უფრო ამტკიცებდა სახელმწიფოს უფლებებს, კერძოდ, მოქლაქეებს ნაერთვათ რეკვიზიცია – მუნიციპალიზაცია, ნაციონალიზაციის წესით ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნების უფლება, ამავე დროს ახალ კანონში შეტანილი ცვლილებები განმტკიცდა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსით, მუხლი N 59 (სუიცა, ფ.600, ან 1, საქ.N 605, ფ. 27, 28.).

ყოველწლიურად იხვეწებოდა კერძო ქონების ჩამორთმევის კანონი, დროთა განმავლობაში მოხდა ჩამორთმეული უძრავი ქონების კლასიფიკაცია: დაიყო მუნიპალიზაციაქმნილ, ნაციონალიზაციაქმნილ, რეკვიზაციაქმნილ, კონფისკაციაქმნილ შენობებად, ცალკე გამოიყო შენობების პირველ სართულზე განლაგებული დარაბები და სავაჭრო ობიექტები, სამრეწველო საწარმოები. შეიქმნა სიები, სადაც გამოყოფილი იყო მოუვლელი, იჯარით გადაცემული, ან სულაც დაბრუნებული ბინები. ნაციონალიზაციაქმნილად ითვლებოდა ის შენობები, რომლებიც რესპუბლიკის საკუთრებას შეადგენდა, ცენტრალური ორგანოების განკარგულება-

სა და სარგებლობაში იყო, სამრეწველო სანარმოს ტერიტორიაზე აგებული შენობები, რომლებსაც ზოგადსახელმწიფოებრივი ხასიათის სპეციალური დანიშნულება ჰქონდა: ყოფილი სასახლეები, სამხედრო ყაზარმები, სპეციალური სამხედრო შენობები, უნივერსიტეტებისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების შენობები, სახელმწიფო მუზეუმები, აკადემიური თეატრები, სახაზინო შენობები, რომელთაც ცენტრალური დაწესებულებები ეკავათ **(სუიცა, 600, საქ. N 619, ფ.14.)**. მუნიციპალიზაცია ქმნილად ითვლებოდა ის შენობები, რომლებიც დეკრეტის გამოქვეყნებამდე ჩამოერთვათ მის წინანდელ პატრონს და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის უშუალო განკარგულებაში იყო. ასევე სავაჭრო-სამრეწველო სადგომები (მაღაზიები, დუქნები, საწყობები, სასტუმროები, აბანოები, ბანკები, სავაჭრო ხასიათის საწყობები, სამაღაზიო დარაბები), რომლებიც 1923 წლის დეკრეტამდე ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების განკარგულებაში იმყოფებოდა **(სუიცა, 600, საქ. N 619, ფ.17)**.

საქართველოს რესპუბლიკის ზემდგომ ორგანოებში შემუშავებული ყველა დეკრეტი, ცირკულიარი და განკარგულება წესისამებრ, შესასრულებლად ეგზავნებოდა ყველა მაზრის აღმასრულებელ კომიტეტს და რა თქმა უნდა აფხაზეთისა და აჭარის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო კომისარიატებს.

1924 წლის 18 აპრილს აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს პლენუმის სხდომაზე გაეროვნულეული და მუნიციპალიზაციაქმნილი შენობების საკითხის საბოლოო მოწესრიგების მიზნით შეიქმნა სპეციალური კომისია: ქავთარაძის, პ. ჯიქიას, ს. ბარამიძისა და სახელმწიფო სამშენებლო მთავარი სამმართველოს წარმომადგელის (გვარი არ არის მითითებული) შემადგენლობით. კომისიას დაევალა მუნიციპალიზაცია-ნაციონალიზაციაქმნილი სახლებისა და ბინების საკითხის დროული მოგვარება **(სუიცა, ფ.284, ან, 1, საქ. N 126, ფ. 62, 63.)**.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებ-

ბელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1928 წლის 29 აგვისტოს დადგენილების თანახმად და აჭარისტანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 15 აპრილის N4 დეკრეტის განსავითარებლად და იმ უფლებათა გამოსარკვევად და მოსაწესრიგებლად, რაც ეკუთვნოდა სახელმწიფოს მისი ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების სახით – ნაციონალიზაციაქმნილად და მუნიციპალიზაციაქმნილად შენობების სარგებლობის სფეროში, აჭარისტანის ასსრ სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

ნაციონალიზაციაქმნილად ითვლებოდა ყველა ის შენობა, რომელიც:

ა. სახელმწიფოს ეკუთვნოდა 1921 წლის 25 თებევლამდე, რომელითაც ამ დადგენილების გაცემის დღისთვის სარგებლობდა სათანადო ცენტრალური ორგანო ან მისი ადგილობრივი ორგანო თავის საჭიროებისთვის.

ბ. შენობა, რომელიც აჭარისტანის სსრ საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აჭარისტანის საბჭოთა სოციალისტური სახალხო კომისართა საბჭოს სპეცილური დადგენილებით ნაციონალიზაციაქმნილად იყო ცნობილი და მათივე დადგენილებით დამტკიცდა.

გ. ისეთი შენობა, რომელიც აუცილებელი კუთვნილებაა ნაციონალიზაციაქმნილი ფაბრიკის, ქარხნისა და სხვა სამრეწველო საწარმოსი. ასეთი შენობა ნაციონალიზაციაქმნილად ჩაითვლებოდა იმის დამოუკიდებლადაც, იქნებოდა თუ არა ის საწარმოს ტერიტორიაზე.

ყველა სახალხო კომისარიატს და სხვა ცენტრალურ უწყებას ევალეზობდა, დადგენილების გამოცემიდან ორი თვის განმავლობაში შეედგინა მის განკარგულების ქვეშ არსებული ყველა შენობის სია. მის განსახილველად იუსტიციის სახალხო კომისარიათან უნდა შექმნილიყო სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში იქნებოდნენ უზენაესი სასამართლოს წევრი (თავმჯდომარე), მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენლები. ბათუმის შემთხვევაში კომისიას უნდა დამატებოდა ორი წევრი. მუნიციპალიზაციაქმნილი შენობების რეესტრი ევალეზობდა მხოლოდ ადგი-

ლობრივ აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც ხდებოდა ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის საფუძველზე (ფ. 284, ან.1, საქ. 738, ფ.24.).

პირველი ნაციონალიზაცია აჭარაში შეეხო ბათუმისა და მის სიახლოვეს განთავსებულ სამრეწველო საწარმოებს. მოხდა მათი შეფასება და გამოქვეყნდა ინფორმაცია:

NN	საწარმოს დასახელება	მეპატრონე	მისამართი	საც-ხოვ.ფარ.კვ.მ	შენობ. აღნ.
1	ცინკის ქარხანა	შელინგოვსკი	ბათუმ/ყარსის ქ. N 9	2 ოთახი, 30 კვ.მ	ქვის შენობა
2	რკინის ყუთების ქარხანა	ხაჩატურიანი	ნავთობის ქ. N 105	54, 6კვ.მ	ქვის შენობა
3	ფანერის 2 ფაბრიკა	პრესლენკო	მარქსის ქ. N 56, 43	-	ქვის შენობა
4	თამბაქოს ფაბრიკა	დანიელოვი	პეტროგრადის 60/16	46კვ.მ	ქვის შენობა
5	ბეტონის ქარხანა	პიტოევი	ბაქოს 50,52	227კვ.მ	ქვის შენობა
6	თამბაქოს ფაბრიკა	დანიელოვი	ლენინის ქ.38	53,68კვ.მ	ქვის შენობა
7	ბიდონების ქარხანა	ლეონიდ, კოზმა, გიორგი არვანიტიდები	სასაფლაოს 17	5 საცხოვრებელი ოთახი	ქვის შენობა
8	ქარხანა „მარსი“	ვოლფი, კაპლანი, ჰემარენცევი, გერშევიჩ, ზელმან, პოზდნიაკ	პუშკინის ქ. N 1	-	ქვის შენობა
9	მექანიკური ქარხანა	კაპლანი, ვოლფი		55 ოთახი	-

(სუიცა, ფ. 284, ან 1, საქ. N 298, ფ.1).

ნაციონალიზირებული იყო ნობელის ნავთის სინდიკატი, ბინერის, მანთაშევის, შიბაევის, ბნიტო-ს, რუსეთ – კავკასიის საზოგადოება „ვახენ-გეიმის“ უმსხვილესი საწარმოები (სუიცა, ფ. 284, ან 1, საქ. N 298, ფ.2-19) .

1925 წლის 9 თებერლის საქართველოს ეკონომიური საბჭოს სხდომის ამონაწერიდან ვგებულობთ, რომ კონფისკაციაქმნილი გახდა ბათუმი-ტრაპიზონის რკინიგზის მოიჯარადის სერიედკინის ქონება, რომელიც მთლიანად გადაეცა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს. მას ჩამოერთვა ასევე საკესანო ქონება, გარდა იმ ნივთებისა, რომელიც საჭირო იყო ამიერკავკასიის რკინიგზის სალიანდაგო სამსახურითვის. (სუიცა, ფ. 600, ან 1, საქ. N 226, ფ. 1,2.)

დიდი საწარმოებისა და სინდიკატების ნაციონალიზაციის პარალელურად მიმდინარეობდა კერძო სახლების, დარაბებისა და მიწის ნაკვეთების ჩამორთმევა.

აჭარაში გასაბჭოების შემდეგ, სულ მალე, ადგილობრივმა მთავრობამ მსხვილ მესაკუთრეთა აგარაკებსა და კულტურულად დამუშავებულ მიწის ნაკვეთების ნაციონალიზირება მოახდინა. პირველ რიგში ეს შეეხო მიწის იმ ნაკვეთებს, რომლებიც მდებარეობდნენ ქობულეთსა და ბათუმს შორის მდებარე ზღვის სანაპირო ზოლში და შეადგენდა 261 ჰექტარს. საქმეში არსებული ისტორიიდან ირკვევა, რომ ნაკვეთები მოიჯარადეებზე გაცემული იყო ჯერ – 5, ხოლო შემდეგ 12 წლის ვადით. მოიჯარადეები სოციალური მდგომარეობა განსხვავებული იყო, იყვნენ შეძლებულებიც და იყვნენ ღარიბი გლეხებიც. ამიტომ მიწის ნაკვეთების ჩამორთმევისას, მატერიალური შესაძლებლობის მიხედვით ადგილობრივმა მთავრობამ პროცენტულად ასე დაჰყო: ღარიბები – 23%, საშუალო – 47% და შეძლებულნი-20%.

1928 წელს ცენტალური აღმასრულებელი კომიტეტის ბათუმში ჩატარებულმა მესამე სესიამ გამოიტანა დადგენილება, რომ იჯარით გაცემული კულტურულად დამუშავებული მიწის ნაკვეთები და აგარაკები უნდა გადასცემოდა სახელმწიფოს საბჭოთა მეურნეობაში გასაერთიანებლად ან მათი კოლმეურნეობითი სისტემის მიხედვით დასამუშავებლად. (სუიცსა, ფ.284, ან51, საქ. N 697, ფ. 1.)

ამ დადგენილების თანახმად აჭარის მთავრობამ ყველა მოიჯარადეს ჩამოართვა მათ მფლობელობაში არსებული აგარაკები, მიწის ნაკვეთები და გადასცა აჭარის მიწადმოქმედების კომისარიატის საბჭოთა მამულების სამმართველოს. უკმაყოფილო მოიჯარადეებმა სარჩელი აღძრეს ზემდგომ ორგანოებში, სახელდობრ: საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის რიკოვის სახელზე, საკავშირო მუშურ-გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატის, საქართველოს და ამიერკავკასიის მუშურ – გლეხური ინსპექციების, საქართველოს ცაკისა და სხვა ორგანოების წინაშე.

მათი მოთხოვნა ძირითადად ითვალისწინებდა: მათ მიერ დამუშავებული მიწებზე მიღებული წლიური მოსავლის დაბრუნებას, მამულების გამშენიერება-გაფართოვებაზე განეული ხარჯების ანაზღაურებას, თავშესაფრებისა და მიწის ნორმების დარიგებას **(სუიცსა, ფ.284, ა61, საქ. N 697, ფ 1.)**

ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მუშურ – გლეხური ინსპექციის სახალხო კომისარიატში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია საქმის არსებითობა და აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად უნდა გამოემუშავებინა კონკრეტული ღონისძიებები. 1928 წლის ოქტომბერში კომისიამ მუშაობა დაასრულა. მუშაობის პროცესში გამოამკარავდა, რომ მოიჯარადე გლეხების მიწის ნაკვეთების ჩამორთმევა მოხდა არაორგანიზებულად და მნიშვნელოვანი დარღვევებით. კომისიამ საჭიროდ მიიჩნია აჭარის მთავრობას თავი შეეკავებინა მოიჯარადე გლეხების აგარაკებიდან იძულებითი გამოსახლებისგან მათთვის საცხოვრებელი ბინების გამონახვამდე, დამატებით გამოყოფილიყო უკიდურესად გაჭირვებული მოიჯარადე გლეხებისთვის 10 ათასი მანეთი; კომისიამ აუცილობლობად ჩათვალა მათთვის სამაგიერო მიწის ნაკვეთების გადაცემა. **(სუიცსა, ფ.284, ა61, საქ. N 697, ფ. 59, 60)**

1928 წლის ივლისში საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტს აჭარისტანის ავტონომიური სსრ ცაკის საქმეთა მმართველობისაგან ეცნობა, რომ ციხის-

ძირში მოიჯარადეებისაგან მიწის ნაკვეთების ჩამორთმევა მოხდა მათთან დადებული ხელშეკრულების გათვალისწინებით და სახელმწიფოს საკუთრებისთვის ჩამორთმეულ მიწის ნაკვეთებში მოიჯარადეებს გადაეცათ სათანადო კონპესაცია. დოკუმენტს დართული აქვს მეორე ხარისხოვანი მიწის ნაკვეთებიდან გამოსახლებული მოიჯარადეების სია, სულ 26 გლეხი. **(სუიცა, ფ. 600, ან 1, საქ. N 697, ფ.7, 8, 9.)**

აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გაცემულ მონაშობიდან ვიგებთ, რომ 1928 წლის ბოლოსთვის ჩამორთმეული იყო 90 მიწის ნაკვეთი, სულ 261 ჰექტარი მიწა. აქედან 60 ჰექტარზე განთავსებული იყო ციტრუსები, 20 ჰექტარზე – ჩაი, 2 ჰექტარზე – ბამბუკი. კომპენსაცია დარიგდა მოიჯარადე გლეხების მატერიალური მდგომარეობის მიხედვით: ღარიბებს – 4.366 მან; საშუალო შეძლების გლეხებს – 9.960 -მან; ხოლო მდიდრებს- 3.350 – მან. სულ კომპენსაციით გაიცა 17.876 მანეთი.

რეკვიზირებული იყო მაღალჩინოსნების ოთხი აგარაკი, რომელთაგან ორი გადაეცა სახელმწიფოს საჭიროებისთვის, ხოლო დანარჩენი (ყოფილი პოლკოვნიკების -ლოსევის და ოსტრიკოვის) აგარაკები გადავიდა სახელმწიფოს საკუთრებაში სოფლის მეურნეობის ტექნიკუმის მოსაწყობად. ყველა აგარაკის ნაციონალიზაცია მოხდა აჭარის რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოებთან შეთანხმებით **(სუიცა, ფ. 600, ან 1, საქ. N 697, ფ.60, 61.)**

1924 წლის დეკემბერში აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც ბათუმის კომუნალურ მეურნეობას წინადადება მიეცა სავაჭრო შენობებისა და შენობების პირველ სართულებზე განთავსებულ კერძო მესაკუთრეთა სავაჭრო ობიექტები, საცხოვრებელ ბინებად გადაკეთებინათ **(სუიცა, ფ.285, ან.1 საქ.1168, გვ.23.)** თუმცა, გაცილებით ადრე, 1921 წლიდან უკვე დაიწყო უძრავი კერძო ქონების ჩამორთმევა. მეტად საინტერესოა ჩამორთმეული ქონებისა და მათი მეპატრონეების ისტორიები.

1921 წელს მოხდა ბათუმში მიხაილოვის ქ. N 14-ში მდებარე თამარ სიდამონ -ერისთავის ოპტიკური და საათების

გასწორების მაღაზიის კონფისკაცია. საინტერესოა ამ მაღაზიის ისტორია. 1921 წლის თებერვალში ვერა ალექსანდრეს ასული ჟივოვამ მაღაზიის მფლობელ ა. ენკელევიჩისაგან 250 ოსმალურ ლირად მთლიანი მონყობილობით შეიძინა მაღაზია. ახალმა მფლობელმა მთელი წლის განმავლობაში ხაზინის სასარგებლოდ შეიტანა 787 მანეთი და 51 კაპიკი, ხოლო სანიტარული გადასახადი 3000 მანეთი. მოგვიანებით 1921 წლის ნოემბერში თამარ სიდამონ – ერისთავმა ვერა ჟივოვასაგან ნოტარიული წესით, 750 ოსმალურ ლირად შეისყიდა ზემოთ აღნიშნული სავაჭრო ობიექტი მთელი ინვენტარით და საჭირო ნივთებით. მიუხედავად ამისა, ბათუმის კომუნალურმა განყოფილებამ 1921 წლის დეკემბერში მაღაზია ისევ ენკელევიჩის საკუთრებად გამოაცხადა და დალუქა. დოკუმენტებით ირკვევა, რომ 1921 წლის ბოლოს, მაღაზია კვლავ გაიხსნა და მთელი ქონება ამჯერად ენკელევიჩის წარმომადგენელს ნიკოლოზ ჩიკვაიძეს გადაეცა. ამ პროცესს ესწრებოდა თამარ სიდამონ -ერისთავის მხრიდან ფრანკენბერგი, შეერი და შმავესკი. ხოლო ჩიკვაიძის მხრიდან სამუელ სმოლიაკი. **(სუიცა, ფ. 285, ან.1, საქ. N 369, ფ. 70- 83).** ჩამორთმეული ქონებით უკმაყოფილო თამარ სიდამონ – ერისთავმა ამ ფაქტის გაასაჩივრება მოახდინა. საქმეში ინახება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის იურის კონსულტის ა. რიჟამაძის დასკვნა: „ბათუმის კომუნალური მეურნეობის განკარგულება ენკელევიჩისეული მაღაზიის მონყობილობის კონფისკაციის შესახებ უკანონოდ ჩაითვალა და მოხდა მისი გაუქმების მოთხოვნა“ **(სუიცა, ფ.285, ან. 1, საქ. N 720, ფ.20, 21).**

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ფონდში დაცულ აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის პლენუმის ამონაწერიდან ვგებულობთ: რომ რეკვიზიციის წესით მოხდა ქალაქ ბათუმში ტროცკის ქ. N 44-ში მდებარე ეუბ-ალა დიასამიძის სასტუმრო „მესხეთის“ ჩამორთმევა. იგივე დადგენილებით სასტუმრო გადაეცა აჭარის ცენტრალურ გლეხკომს აჭარელ გლეხთა სახლის განყოფილების დასაარსებლად **(სუიცა, ფ. 285, ან. 1. საქ. N 1168, ფ.11).**

აჭარის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ოთხი წელი მიმდინარეობდა და 1924 წელს დასრულდა ქობულეთში, მემედ მჟვანაძისათვის ჩამორთმეული სახლის საკითხის განხილვა. სახლი გადაეცა სამაზრო აღმასკომს. ქობულეთის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის აჭარის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ მემედ მჟვანაძეს ქობულეთსა და ბათუმში რამდენიმე საცხოვრებელი სახლი ჰქონდა, ამიტომ, მისი სახლის დაბრუნება შეუძლებლად მიიჩნიეს **(სუიცა, ფ. 284, ან. 1, სახ. N 808, ფ.3).**

ოციანი წლების საქართველოში, განსაკუთრებით კი ზღვისპირეთში იგრძნობოდა უცხოელებისა და მათი საწარმოების სიმრავლე. 1921 წელს რევკომის მიერ გამოცემული N 64 დეკრეტი, იყო კანონი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები უცხოელებისთვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭების შესახებ. უცხოელებს საერთო კანონმდებლობის მიხედვით, უფლება ეძლეოდათ საქართველოში თავისუფალი ცხოვრებისა და მიმოსვლისა, თავისუფალი ვაჭრობისა, ხელოსნობის წარმოებისა და საზოგადოდ ყოველგვარი კერძო საქმიანობისა. უცხოელის ქონებისკონფისკაცია შესაძლებელი იყო, მხოლოდ სასამართლოს წესით. რეგისტრაციაში გატარებული საქონელი და ქონება ხელუხლებელი იყო კონფისკაციისა და იძულებით ჩამორთმევისაგან, გარდა იმ შემთხვევისა თუ სასამართლოს წესით იყო დადასტრებული **(სუიცა, ფ.281, ან.1, საქ. 201, ფ.124.)**.

მიუხედავად ასეთი კანონისა ბათუმისა და მთლიანი აჭარის ტერიტორიაზე 1921-1930 წლებში უცხოელებზე მიწერელი უამრავი სახლი, მამული, სავაჭრო და სამრეწველო ობიექტი სასამართლოს გადანყვეტილების გარეშე იქნა ჩამორთმეული.

1922 წლის თებერვალში ქალაქ ბათუმში მდებარე უძრავი ქონება ჩამოერთვა საბერძნეთის ქვეშერდომს მურად ბინიატ-ოღლის. მისი რწმუნებულის სიმონ ჩხეიძის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისადმი გაგზავნილი განცხადებიდან ვგებულობთ, რომ ბათუმის რევკომის დადგენილება მურად ბინიატ – ოღლის მამულის კონ-

ფისკაციის შესახებ, გაუქმებული იყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ, წესით ის უნდა ჩაბარებოდა მეპატრონეს, მაგრამ ირკვევა, რომ 1922 წლის ივლისში, ხელმეორედ მოხდა მისი მამულების მუნიციპალიზაცია, რაც, რა თქმა უნდა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს რევკომის N 64 დეკრეტს. ასეთივე შინაარსისაა საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის იურისკონსულტის მოადგილის ა. რიჟამაძის დასკვნა: „... ბინიატ – ოლლი საბერძნეთის ქვეშედომია და მისი მამულების ჩამორთმევა ეწინააღმდეგება საქართველოს რევკომის N 64 დეკრეტს უცხოელების შესახებ, რომლის მე-II მუხლში ვკითხულობთ, რომ უცხოელების ქონების კონფისკაცია შეიძლება, მხოლოდ საერთო სასამართლო წესით.... აქვე აღნიშნავდა, რომ აჭარის რესპუბლიკა თუმცა ავტონომიურია, მაგრამ საგარეო საქმეები ავტონომიის კომპეტენციას სრულიად არ შეადგენს, რადგანაც ისინი მთლიანად რჩებიან საქართველოს სსრ რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოების გამგებლობაში (საქართველოს სსრ რევკომის N 54 დეკრეტი, მუხლი 3, შენიშვნა 2.), ამიტომ დეკრეტი N 64 უცხოელების შესახებ, რომელიც საგარეო საქმეების დარგშია გამოცემული, სავალდებულოა აჭარისტანითვისაც... ამდენად 1922 წლის 7 თებერვლის დადგენილება, რომელიც ეხება მურად ბინიატ-ოლლის ქონებას უკანონოა და გასაუქმებელი.“ იურისკონსულტის მლდვლიევის დასკვნაში ვკითხულობთ: ჩვენ მოვალეობად მიგვაჩნია მივუთითოთ..., ვინაიდან ბინიატ-ოლლი, რომელიც სტამბულში გადასახლდა სამი წლის წინ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, არ შედის გაქცეულთა კატეგორიაში, ის შეწყნარების ღირსია **(სუიცა, ფ.285, ან.1, საქ. N 369, ფ.64, 65,66.)**

საინტერესო ისტორიის შემცველია ბავშვთა ექიმის, მარია თეოდორეს ასულის სიგალის სახლის მუნიციპალიზაციის საკითხი. მარია სიგალი ლენინგრადში კალევის ქ. N 17-ში ცხოვრობდა, ქობულეთში, მესხეთის ქუჩა N 99-ში, კი ჰქონდა 1912 წელს ჰქონდა შეძენილი აგარაკი, რომელიც შეიცავდა 600 კვ.მ მიწის ნაკვეთს. იყო ერთ სართულიანი, ოთხ ოთახიანი კრამიტით გადახურული, აივნისანი სახლი, ეზოში

მოთავსებული იყო სანყოფი და სამზარეულო. როგორც მისი განცხადებებით ირკვევა, 1917 წლამდე აგრაკით ყოველთვის სარგებლობდა. ქობულეთში ჩამოსვლისას ის მზრუნველობას არ აკლებდა ადგილობრივ ბავშვებს. აგარაკი პირველად 1921 წელს იყო ნაციონალიზირებული, როგორც მიტოვებული ქონება. 1923 წლიდან აგარაკი შევიდა ადგილობრივი საკურორტო კომისიის შემადგენლობაში. 1924 წლიდან კი, მის სახლს შეეხო მუნიციპალიზაცია.

1922 წლიდან საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, მან არა ერთხელ მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას, 1925 წლის სექტემბერში კი, საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანს ა. ენუქიძეს, ითხოვდა აგარაკის დაბრუნებას, რადგან სხვა შემოსავალი მის ცხოვრებაში არ იყო. აღნიშნულ წერილზე საქართველოს ცაკმა რამდენჯერმე მოითხოვა აჭარის მთავრობიდან პასუხი. საქართველოს ცაკის მდივნის თოდრიას მიერ აჭარის ცაკის თავმჯდომარის სურმანიძისადმი გაგზავნილი (გრიფით-„სრულიად საიდუმლოდ“, პირადად) წერილიდან ირკვევა, რომ მიუხედავად არა ერთგზის შეხსენებისა, მარიამ სიგალის საკითხზე აჭარის ცაკიდან პასუხი იგვიანებდა. 1927 წლის თებერვალში საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტიდან საქართველოს სსრ ცაკის მიმართ გამოგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ მარია სიგალის სახლის საკითხი ჯერ კიდევ არ იყო ამოწურული და ამის შესახებ აჭარის ცაკიდან ინფორმაციას ითხოვდნენ (**სუიცა, ფ. 284, ან. 1, საქ. N 290, ფ.2.**).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ფონდში დაცულია დოკუმენტები ექიმ ვერა ტრიანდაფილიდესის უძრავი ქონების მუნიციპალიზაცია-ნაციონალიზირებული ქონების, კერძოდ ბათუმში რუსთაველის 31-ში და მწვანე კონცხზე მდებარე აგარაკის შესახებ. აჭარის მთავრობამ რამდენჯერმე განიხილა მისი ქონების დემუნიციპალიზაციის საკითხი, მაგრამ უშედეგოდ. ვერა ტრიანდაფილიდესმა რამდენჯერმე მიმართა საქართველოს მთავრობას. ტრიანდაფილისების ქონების დაბრუნების მოთხოვნით აჭარის მთავრობას მიმართ თხოვნა გააგზავნა ბათუმის ექიმთა სა-

მეცნიერო საზოგადოებამაც. წერილში საუბარი იყო ვერა ტრიანდაფილიდესის მეუღლის ტ.პ. ტრიანდაფილიდესის ღვანლისა და დამსახურების შესახებ. ის ცნობილი იყო თავისი მრავალრიცხოვანი სამედიცინო შრომებით, როგორც ამიერკავკასიასა და რუსეთში, ასევე ევროპაში. საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემია დიდ შეფასებას აძლევდა მის დამსახურებას ავადმყოფების მალარიით განკურნებაში.

ირკვევა, რომ ტ.პ. ტრიანდაფილიდესი ასევე დიდი ყურადღებას უთმობდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ის იყო დამაარსებელი და ბერძნული სასწავლებლის ინტერესების დამცველი, ქალაქის სათათბიროს წევრი, ექიმთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, ბათუმში ჭაობის დაშრობის ინიციატორი, ბათუმში კლიმატური სადგურის (აქ იკურნებოდა სხვადასხვა დაავადებები) დამაარსებელი, მეუღლესთან ერთად ბათუმის სანაპირო ზოლის განაშენიანების ინიციატორი (**სუიცა,600, ან. 1, საქ.624, ფ.18.**)

ვერა ტრიანდაფილიდესმა 1925 წლის აპრილში ბათუმში ჩამოსულ ს. ორჯონიკიძეს, მ.ორახელაშვილსა და ელიავას მიმართა თხოვნით და მიიღო სიტყვიერი დაპირება. 1925 წლის ოქტომბერში აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე გოგიბერიძემ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ჯუღელისაგან მიიღო სრულიად საიდუმლო წერილი, მოთხოვნით, რომ თუ ს. ორჯონიკიძეს, მ.ორახელაშვილსა და ელიავას ბათუმში ყოფნისას მიღებული გადაწყვეტილება სწორი იყო, მაშინ ბათუმში რუსთაველის N 31-ში მდებარე ბინის მეპატრონეს ვ.ტრიანდაფილიდესს, უნდა დაბრუნებოდა ბათუმში ჩამორთმეული ქონება (**სუიცა,600, ან. 1, საქ.624, ფ. 27.**)

1925 წელს გაზეთ „მშრომელი აჭარისტანის“ 12 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაცია გერმანიის ქვეშევრდომის პანცერის მახინჯაურში არსებული მთლიანი ქონების ნაციონალიზაციის შესახებ, კერძოდ ნაციონალიზირებული იყო 15 დესეტინა მიწის ნაკვეთი (ნაწილობრივ კულტივირებული ტროპიკული ნარგავებით, ნაწილი სახნავ-სათესი და ნაწილი შერეული ტყის ფართობი), მის მფლობელობაში არ-

სებულ მინაზე განლაგებული ყველა შენობა – ნაგებობა: საცხოვრებელი სააგარაკე სახლი, გოგირდის აბანოები ნომრებით, გოგირდის წყარო ბასეინით და სააბაზანე შენობით, საცხოვრებელი ორსართულიანი ფართი, სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობები. (სუიცა, ფ. 600. ან 1, საქ. N 1009, ფ.25).

გერმანიის მოქალაქე პანცერისთვის ქონების ნაციონალზაციისთანავე მოლაპარაკებები მიმდინარეობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატსა და აჭარისტანის ასსრ-ს მთავრობას შორის. აჭარის მთავრობა თავიდან გამორიცხავდა პანცერის მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობას, მაგრამ შემდეგ აღიარეს ის ფაქტი, რომ შესაძლებელი იყო კომპრომისზე წასვლა, კერძოდ, შესაძლებელი იყო პანცერს დაბრუნებოდა 3 დესეტინა მიწის ფართობი და მასზე განთავსებული საცხოვრებელი სააგარაკე ნაგებობა. ეს არ ეწინააღმდეგებოდა მშრომელთათვის მინათმფლობელობის მარეგულირებელი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მიწის საკუთრების ნორმას, დანარჩენი ქონება, კი სახელმწიფოს დაექვემდებარებოდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე (სუიცა, ფ. 600. ან 1, საქ. N 1009, ფ.26ა).

იოჰანეს პანცერი თავის მხრივ ითხოვდა საკუთრებაში შემდეგი ქონების დაბრუნებას: 1. საცხოვრებელი შენობა, მიმდებარე სამეურნეო ნაგებობებით; 2. 15 დესეტინა მიწის ნაკვეთი მასზე განლაგებული იშვიათი კულტურული ნარგავებით, გოგირდის წყაროთი და ტყით, ბასეინი და სააბაზანო შენობა ინვენტარით და გოგირდის წყაროს მიმდებარე შენობით (სუიცა, ფ. 600. ან 1, საქ. N 1009, ფ.29ა.).

საქმის განხილვაში ჩართული იყო გერმანიის საელჩო, რომელმაც 1926 წლის ივნისში მიმართა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს შუამდგომლობით, რათა გაეთვალისწინებინათ პანცერის მოთხოვნები და დაებრუნებინათ მისთვის ქონება. საელჩოს ვერბალურ ნოტაში გამოთქმული იყო შემდეგი მოსაზრებები: პანცერის ქონება ვერ ჩაითვლებოდა ნაციონალიზირებულად, რადგან ნაციონალიზაციის აქტი განეკუთვნება რაპპალის ხელშეკრულების შემდგომ პერიოდს. აქედან გამომდინარე არ შეიძლებოდა ამ ხელშეკრუ-

ლების მე-2 მუხლის გამოყენება, რომელიც 1922 წლის 16 აპრილამდე გერმანელი მოქალაქეების პრეტენზიებს ანულირებას უხდენდა. (სუიცა, ფ. 600. ან 1, საქ. N 1009, ფ.8). პანცერის ქონების საკითხის განხილვაში ჩართული იყო სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი მიხეილ ლიტვინოვი, რომელიც ითხოვდა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსგან განსახილველი საკითხის საბოლოო პასუხის მიღებამდე, ყადაღისაგან გაეთავისუფლებინათ პანცერის უძრავი ქონება. 1927 წლის გაზაფხულზე სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატსა და ქ. მოსკოვში გერმანიის საელჩოს შორის მიმდინარეოდა მოლაპარაკება (სუიცა, ფ. 600. ან 1, საქ. N 1009, ფ.4), თუმცა 1927 წლის 30 აპრილს, ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ო. კარკლინის ლიტვინოვის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში ვკითხულობთ, რომ მახინჯაურში, პანცერის ქონება ყადაღისაგან თავისუფალია, ყადაღა ადევს მხოლოდ აბანოს შენობას, რათა შეჩერებულიყო მინერალური წყაროს არაკანონიერი გზით ექსპლუატაცია. (სუიცა, ფ. 600. ან 1, საქ. N 1009, ფ.1). თუმცა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს იურისკონსულის ვ. ლუნკევიჩის დასკვნაში წერია, რომ მიწა, ტყე და წიაღისეული საბჭოთა ხელისუფლებამ მთლიანად ამოიღო მოქალაქეთა კერძო საკუთრებიდან. მიწაზე უფლებები დასაშვები იყო გარკვეულ საზღვრებში და ამ შემთხვევაში მოქალაქეს ეძლეოდა, მხოლოდ მომხმარებლის და არა მესაკუთრის უფლება. აქედან გამომდინარე, პანცერს შეეძლო მხოლოდ მოეთხოვა 1200 კვ. საჟენი მიწის ნაკვეთი, თუ ამ მიწის ნაკვეთზე თავად იცხოვრებდა და დაამუშავებდა. შეეძლო მოეთხოვა დამატებითი მიწის ფართი, თუ მას აღიარებდნენ ამ ქვეყნის მოქალაქედ. პანცერის მიწის ჩამორთმევა მოხდა 1921 წლის 6 აპრილის დეკრეტით და აქედან გამომდინარე მისთვის მიწის ჩამორთმევაც ექცევა რაპპალის ხელშეკრულებაში მინიშნებულ სამართლებლივ ნორმაში. პანცერს უარი ეთქვა გოგირდის წყაროს ექსპლუატაციაზე (სუიცა, ფ. 600. ან 1, საქ. N 1009, ფ.31).

1927 წლის ბოლოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო კვლავ მიუბრუნდა პანცერის საქმეს და ეთხო-

ვა აჭარის მთავრობას დაეჩქარებინათ მახინჯაურში მდებარე პანცერის ქონების ნაციონალიზაციის დასრულება **(სუი-ცა, ფ.600, ან.1, საქ.1245.ფ.3.)**

1927 წლის ბოლოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე ორთა-ბათუმის თემის, მწვანე კონცხის ტერიტორიაზე მდებარე დანიის მოქალაქის მოქალაქე სტიურის მამულის მუნიციპალიზაციის საკითხი დადგა. სახალხო კომისართა საბჭოს დაევალა საკითხის შესწავლა მამულის ნაციონალიზაციის აუცილებლობა და მოტივირებული მოხსენების წარმოდგენა. სრულიად საქართველოს ცაკის წინაშე შუამდგომლობის აღძვრამდე საკითხი შეთანხმებული უნდა ყოფილიყო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატთან.

1928 წლის 9 იანვარს აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭომ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წარუდგინა მოხსენება დანიის მოქალაქის, სტიურის ქონების რეკვიზიციის შესახებ (გრიფით – „სრულიად საიდუმლოდ“). მოხსენებაში ნათქვამი იყო, რომ სტიურის მამულის რეკვიზიცია ექვემდებარებოდა ე.წ. ფასიან რეკვიზიციას აგრონომიული ტექნიკუმის სასარგებლოდ, რომელის 1925 წელს ორი მოსამზადებელი კლასით დაარსდა. 1926/1927 წელს გაიხსნა კიდევ 2 ახალი კლასი. ტექნიკუმში დაწყებითი კლასების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან აჭარაში გარდა ბათუმისა და ქობულეთისა 7 – წლიანი სასწავლო დაწესებულებები არ ფუნქციონირებდა. ტექნიკუმის დაწყებითი კლასები 7 – წლიანი სასწავლო დაწესებულებების როლსაც თამაშობდა. იმ პერიოდისათვის მხოლოდ 80 მოსწავლე სწავლობდა, იგეგმებოდა ტექნიკუმის გაფართოვება და 170 მოსწავლის მიღება, რაც თავისთავად ითვალისწინებდა მომსახურე პერსონალისა და პედაგოგების რაოდენობის გაზრდას.

ტექნიკუმის ადგილმდებარეობის საკითხის განხილვისას არჩეულ იქნა მწვანე კონცხი, რადგან გათვალისწინებული იყო ადგილზე სამეცნიერო – პრაქტიკული მუშაობაც. თავდაპირველად აღნიშნულ ტერიტორიაზე გამოყოფილი იყო შვიდი ნაციონალიზირებული აგარაკი მიმდებარე მიწის ნაკვეთებით, მაგრამ ეს არა საკამრისი აღმოჩნდა, გარდა სი-

ვინროვისა, არ იყო დაცული ჰიგიენური პირობები. რადგან სახელმწიფო ბიუჯეტიდან ახალი კორპუსის მშენებლობისთვის ვერ მოხერხდა თანხის გამოყოფა, ყურადღება შეაჩერეს სტიურის სახლზე. მეპატრონემ უარი განაცხადა შენობის გაქირავებაზე და როგორც აჭარის სახკომის თავმჯდომარე მ. გოგიბერიძე აღნიშნავდა, რეკვიზიციის გარდა სხვა გამოსავალი არ დარჩა. რეკვიზიციის ხარჯები დაეკისრა თვითონ ტექნიკუმს (**სუიცა, ფ. 600, ან 1, საქ. N 564, ფ.4, 4ა**).

სტიუარის ქონების ასეთი სახით ჩამორთმევის წინააღმდეგი იყო სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგია. სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელის ო. კარკლინის მიმართვაში საქართველოს მთავრობისადმი აღნიშნულია, რომ სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგია სასტიკად წინააღმდეგია დანიის მოქალაქის სტიუარის ქონების ჩამორთმევისა, ერთადერთი სამართლებლივ გადანყვეტილებად მიიჩნდა მოქ. სტიუარს თავისი ქონება ნებაყოფლობით გადაეცა აჭარის განათლების სახალხო კომისარიატისთვის (**სუიცა, ფ.600, ან 1, საქ. N 564, ფ. 6, 6ა**).

სტიურის სახლის ნაციონალიზაციაზე უარყოფითი პოზიცია დაიკავა სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა, სახალხო კომისარის მ. ლიტივინოვის წერილში საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიმართ ჩამოთვლილია მთელი რიგი გარემოებები და მიზეზები, რის გამოც საკავშირო კოლეგიამ დაიკავა უარყოფითი პოზიცია. 1. სსრკ-დანის 1923 წლის ხელშეკრულების პუნქ. 4 – ის თანახმად სსრკ ტერიტორიაზე დანიის მოქალაქეთათვის გამონაკლის შემთხვევაში ქონების ჩამორთმევას შეიძლება ჰქონოდა ადგილი მხოლოდ ზარალის და ქონების საფასურის სრულად გადახდის შემთხვევებში. 2. როგორც ნესი ქართული მხარე არ ითვალისწინებდა ამ ფაქტს და უცხოელებს ქონების რეკვიზიციისას სთავაზობდა სიმბოლურ საფასურს. 3. რეალური თანხის შეთავაზების შემთხვევაშიც არ იყო მიზანშეწონილი ქონების გასხვისება მეპატრონის კეთილი ნების გარეშე... 4. მსგავსი ქმედება ატარებდა აგრეთვე ოდიოზულ ხასიათს. ეჭვს არ იწვევდა ის ფაქტიც, რომ უც-

ხოელები გამოიყენებენ ამას ანტისაბჭოური კამპანიის გააქტიურებისათვის. 5. საკითხს ართულებდა ის ფაქტიც, რომ ჩამორთმევას წინ უძღოდა ხანგრძლივი მიმონერა მეპატრონესთან. სსრკ საგარეო საქმეთა კოლეგია მოითხოვდა ქართული მხარისაგან შეეცყობინებინა კოლეგიის მოსაზრებების თაობაზე ყველა მონაწილე ორგანოსთვის, საკითხიდან საუკეთესო გამოსავალად ჩათვალა აჭარის მთავრობის მიერ მოლაპარაკების გაგრძელება სტიუართან **(სუიცა, ფ.600, ან 1, საქ. N 564, ფ.6ა).**

1928 წლის 21 თებერვლის სხდომაზე საქართველოს სახკომსაბჭოს ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის თანახმადაც აჭარის მთავრობას სტიუარის მამულის რეკვიზიციაზე უარი ეთქვა **(სუიცა, ფ.600, ან 1, საქ. N 564, ფ.8).**

ხარვეზების გამოსასწორებლად აჭარის ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ და აჭარის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1928 წლის 26 თებერვალს შეიმუშავა დადგენილება N13, აჭარაში ნაციონალიზაციაქმნილი და მუნიციპალიზაციაქმნილი სახლების სარგებლობისა და განაწილების შესახებ. ამ დადგენილებით ხდებოდა შენობების ნაციონალიზაცია – მუნიციპალიზაცია, მათზე სათანადო სიების შედგენა, ნაციონალიზაციაქმნილი შენობის მუნიციპალიზაციაქმნილ შენობად გადარიცხვა ან პირიქით **(ფ. 284, ან. 1, საქ. N 738, ფ.25, 26).** აღნიშნული დადგენილების შემდეგ პერიოდულად ხდებოდა ქალაქის საბჭოს მიერ მუნიციპალიზაცია-ნაციონალიზაციაქმნილი შენობების წარმოდგენილისიების გადახედვა და მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხდებოდა მათი დამტკიცება. აჭარის ცაკის პრეზიდიუმის 1930 წლის 13 ივლისის ოქმის ამონაწერიდან ვგებულობთ, რომ ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარმოდგენილი სიიდან ცამეტი სახლისა და დარაბის მეპატრონეს დაუბრუნდა ქონება **(ფ. 284, ან. 1, საქ. N1570, ფ.1, 2).**

1930 წლისთვის თითქმის შეწყდა ქონების მასიური ჩამორთმევები, ამ დროისათვის მარტო ბათუმში დაახლოებით ათასზე მეტი სახლი და სავაჭრო დარაბა იქნა გაეროვნულე-

ბული. 30-ნი წლებიდან დაიწყო უძრავი ქონების ჩამორთმევის ახალი ტალღა – გაკულაკება.

გამოყენებული წყაროები:

1. სუიცა, ფ. 281. ან1. საქ. N 201;
2. სუიცა, ფ. 284. ან.1. საქ. NN 126; 298; 290; 738; 808;1570;
3. სუიცა, ფ. 285. ან1. საქ. NN 369; 720; 1168;
4. სუიცა, ფ. 600. ან.1. საქ. NN 226; 605; 619; 624; 564; 1009; 1245.

Tinatini Jabadari

Municipalized – nationalization, confiscation – requisition in 20-30s of XX century in Ajara

Summary

The twentieth century, 20-30years after the establishment of Soviet power in Georgia, Adjara, as well as Georgia, began and continued property confiscation: Municipalised – Nationalization, Confiscation-Requisition. Soviet Georgia passed a law that carried this complex process. Municipalised-Nationalization affected Georgians and representatives of different nations living in Georgia

**საზღვაო ნაოსნობის ისტორიიდან
საქართველოში**

*ვუძღვნი მეგობრის, ქართული
ზღვაოსნობის ისტორიის გამოჩენი-
ლი მკვლევარის, პროფესორ თამაზ
ბერაძის ხსოვნას.*

საქართველო ერთ-ერთი უძველესი საზღვაო ქვეყანაა. რასაც ხელი შეუწყო მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და სანავსადგურო პირობებმა. საქართველოს დასავლეთიდან (მდ. ფსოუს შესართავსა და სოფელ სარფს შორის) აკრავს შავი ზღვა. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საქართველოს მონაკვეთი შეადგენს 330 კმ. (ქსე/საბჭოთა საქართველო, 1991: 20). საქართველოს ზღვით ემეზობლება თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, რუსეთი, უკრაინა. საქართველოს სანაპიროზე დიდი ნავსადგურებია ბათუმი, ფოთი, სოხუმი. მცირე ნავსადგურებს მიეკუთვნებიან ოჩამჩირე, გაგრა.

ზღვაოსნობა საქართველოში სათავეს იღებს ძვ.წ. II ათასწლეულიდან. ამის ნათელი დადასტურებაა ძველი ბერძნული მითი **არგონავტების შესახებ**. მასში ასახულია დაახლ. ძვ.წ. XIII საუკუნის 60-იან წლებში უფლისწულ იაზონის მეთაურობით გემ „არგოთი“ ბერძენთა ლაშქრობა აია-კოლხეთის სამეფოში (რომლის საზღვრებში შედიოდა დასავლეთ საქართველო, თითქმის მთელი კოლხეთის აუზი, შავი ზღვის სანაპირო მდ. ჰალისიდან (დღევანდელი მდ. ყიზილ-ირმაკი თურქეთში) მდ. ყუბანის (რუსეთი) შესართავამდე (თ.მიქელაძე, 1974; თ. ბერაძე, მ.სანაძე, I, 2003 : 45-46). მოგვიანებით მდ.ჰალისამდე ტერიტორია წარმოადგენდა ქართული ტომებით დასახლებულ „ლაზეთის ქვეყანას“ (გ.მელიქიშვილი, I, 1970:554) განთქმული ოქროს საწმისის გასატაცებლად (აკ. ურუშაძე, 1964; მისივე, 1975:14-25; აკ. გელოვანი, 1983:558-560; თ.ბერაძე, მ.სანაძე, 2003:45). მითში მოთხრობილია, რომ დაბრკოლების გადალახვის შემდეგ, კოლხეთის მეფე აიეტის ქალიშვილის მედევას დახმარებით (რომელსაც შეუყვარდა ბერძენთა უფლისწული იაზონი) მოახერხეს ოქროს საწმისის

ხელში ჩაგდება. ბერძნები გემ „არგოთი“ შეეცადნენ ნადავლით სასწრაფოდ გასცლოდნენ კოლხეთის სამეფოს. მათთან გაჰყვა იაზონზე შეყვარებული მეფის ასული მედეა. როგორც მითშია მოთხრობილი, ოქროს საწმისის დასაბრუნებლად და მედეას შესაპყრობად მეფე აეტმა გამტაცებლებს დაადევნა საზღვაო ფლოტი უფლისწულ აფსირტეს წინამძღოლობით. კოლხმა მეზღაურებმა მყის მოამზადეს ხომალდები, აფრები აუშვეს და შეცურეს ზღვაში. აპ. როდოსელი ასე აღგვინერს კოლხეთის სამეფო ფლოტის გასვლას ზღვაში:

„კოლხებმა დაუყოვნებლივ გამართეს ყველა საბრძოლო გემი, სასწრაფოდ აღჭურვეს იმავე დღესა, ზღვაში ჩაუშვეს სანაპიროზე გამწკრივებული ურიცხვი გემი. კაცი იტყოდა: გემთა კრებული კი არ გასულაგაშლილ ზღვაშიო, არამედ ფრთამალ ფრთოსანთა გუნდი გაფრენილაჟივილ-ხივილით“ (აპ. როდოსელი, 1975 : 162). ასევე, კოლხებს ჰქონდათ „თავიანთ მამა-პაპათაგან ნაწერი **კვირბები**. რომლებზედაც მოგზაურთათვის ნაჩვენებია **ზღვისა** და ხმელეთის ყველა გზა“ (აკ. ურუშაძე, 1964 : 150-151. აკ. გელოვანი; 1975 : 31). ამ უაღრესად საინტერესო ცნობიდან გამომდინარე ქართველთა წინაპრებს, ჯერ კიდევ სამიათასი წლის წინათ, ჰქონდათ **საზღვაო რუკები** (აკ. გელოვანი, 1975:31). აღნიშნული ცნობები მიუთითებს შორეული წასულისსაქართველოში ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის განვითარების დიდ ტრადიციებზე.

როგორც ირკვევა საქართველოში ზღვაოსნობის ინტენსიური განვითარება ემთხვევა ბერძენთა საკოლონიზაციო მოძრაობას და სავაჭრო აქტიურობის ზრდას. ერთის მხრივ, ბერძნული აგრესიისაგან თავდაცვა და მეორეს მხრივ ბერძნულ სამყაროსთან სავაჭრო ურთიერთობა უზიდავდა კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს განვითარებინა სავაჭრო და სამხედრო ფლოტი (ზ. კუტალიეიშვილი, 1987 : 226).

ანტიკური და შემდგომი ხანის საქართველოში ზღვაოსნობის განვითარების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ძველ ბერძნულ, რომაულ წყაროებში. ამ მხრივ აღსანიშნავია ჰიპოკრატეს, ქსენოფონტის, სტრაბონის, ტაციტის... ცნობები. ქსენოფონტი, რომელმაც ძვ.წ. 401 წ. ბერძენთა 10 ათას კაციანი ჯარით გაიარა ქართველი ტომებით დასახლებულ ტერიტორიებზე, წერდა: ბერძენთა ჯარი მთლიანად აღ-

ჭურვილი იყო ადგილობრივი მოსახლეობის მოსინიკების (მოსინიკები – ერთ-ერთი ძველი ქართული ტომი სამხრეთ კოლხეთში. ცხოვრობდნენ შავი ზღვის სანაპიროზე ტრაპიზონტისა და კერასუნტის დასავლეთით. იხ. გ.მელიქიშვილი, I, 1970:401; ქსე, 7, 1984: 134) მიერ დამზადებული, ერთ ხეში ამოღებული სამასი ცალფა ნავით. თითოეულ ნავში სამი კაცი ეტეოდა (თ. მიქელაძე, 1967:99). სტრაბონის ცნობით მთრიდატეს საზღაო ძალას ძირითადად შეადგენდა კოლხეთის (ეგრისის) საზღვაო-სამხედრო ფლოტი (თ. ყაუხჩიშვილი, 1957: 164; მისივე, 1976:135-139). საქართველო, ეგრისის სამეფოს სახით ანგარიშგასანევ საზღვაო ქვეყნის მდგომარეობას ინარჩუნებს ასევე მომდევნო ხანაში. ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის (490-562) ცნობით ეგრისის ფლოტი წარმოადგენდა მნიშვნელოვან ძალას (გეორგიკა, II, 1965:79-81).


ისტორიის სხვადასხვა ეტეპზე, დანიშნულებისა და ზომების მიხედვით საქართველოში გავრცელებული იყო შემდეგი ტიპის საზღვაო-სანაოსნო საშუალებები: კოლხური ხომალდი, კამარა, ნიში (ნუშა), ოლეჭკანდერი, ორჩხომელი, სანდალი, ფელუკა, ლაზური მენექსილა ნავი, ფათალია ნავი, ხეჭეპა ნავი (თ.ბერაძე, 1981; Т. Бердзე 1989; აღ.დავითაძე, 1983:45-60; ზ.კუტალიეშვილი, 1987; რ.უზუნაძე, 2001:162-185). **კოლხური ხომალდი** წარმოადგენდა ოთხკუთხა აფრებიან ხომალდს ძველ კოლხეთში „კოლხური სამეფო ხომალდი“ (აპ. როდოსელი, 1975:110, 126,169).

კამარა იყო ძველად საქართველოში ფართოდ გავრცელებული საბრძოლო ხომალდი. წარმოადგენდა ვინრო, კარგი მანევრირების მქონე სწრაფ ნავს. რომაელი ისტორიკოსის კორნელიუს ტაციტის (55-115) ცნობით: კოლხებს სხვა ხალხებისაგან განსხვავებული კონსტრუქციის ხომალდები ჰქონდათ, რომელსაც კამარა ეწოდებოდა. მისივე დახასიათებით კამარა გამოირჩეოდა სიმსუბუქით, მოძრაობისა და ნაპირთან მიდგომის კარგი უნარით. „შეეძლო ქარიშხლის დროსაც კი არ ჩაძირულიყო“ (გ.ქავთარია, 1977:128). მკვლევართა შეფასებით: ანტიკური პერიოდის ავტორების მიერ კამარების დაწვრილებითი აღწერა დამამტკიცებელია ადგილობრივი ტიპის ხომალდების უნივერსალურობისა, რომელშიც ხორცშესხმულია საუკეთესო საზღვაო თვისებები. რაც

შედეგია კოლხეთში ნავმშენებლობის უძველესი ტრადიციებისა (ზ.კუტალიევილი, 1987 : 223-224) (კამარა ძველი კოლხური წარმოშობის ტერმინია. ეთნოგრაფ ზ.კუტალიევილის გამოკვლევით ნავის სიგრძე შეადგენდა 15 მ., სიგანე – დაახლ. 3 მ., სიმაღლე – 1,7 მ. (ზ.კუტალიევილი, 1987:339). სტრაბონის ცნობით კამარები 25-30 კაცს იტევდა იხ. თ.ყაუხჩიშვილი, 1957:167).

ოლეჭკანდერი/ოლაჭკინდერი იყო შუა საუკუნეების საქართველოში ფართოდ გავრცელებული აფრებიანი ხომალდი (ტერმინი ოლეჭკადერი ქართული წარმოშობისაა. მომდინარეობს კოლხური (მეგრული) სიტყვა „ოლეჭკანდუა-დან“. რაც გადაჭედილს ნიშნავს. იხ. თ.ბერაძე, 1981: 65). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „ოლაჭკანდერი – კატარლა“ (ს.ს.ორბელიანი, I, 1966 : 557-598). მას შეეძლო სამასამდე მგზავრის გადაყვანა. გამოირჩეოდა სისწრაფით და კარგი მანევრირებით (ჟ.ფ. გამბა, 1987 : 89; ზ.კუტალიევილი, 1987 : 240, 252).

ორჩხომელი იყო საქართველოში გავრცელებული აფრებიანი სათევზაო ხომალდი. წარმომდგარია საერთო ქართველური ფუძე-ენის შემადგენელი ნაწილის – კოლხური (მეგრული) სიტყვისაგან „ჩხომი“- „თევზი“ (ოთ. ქაჯაია, III, 2002 : 334).



XVII-XIX სს.-ის საქართველოში საზღვაო სატრანსპორტო საშუალება იყო **სანდალი**. წარმოადგენდა სავაჭრო ხომალდს.

მალდს. მისი სიგრძე უდრიდა 20-35 მ., სიგანე 5-10 მ. ხომალდის ტვირთამწეობა უდრიდა 78-80 ტონას. შეეძლო გადაეყვანა 100-დან – 200 –მდე მგზავრი (Дж. Пальгрев, 1879:118; რ.უზუნაძე, 2001:170-171). გავრცელებული იყო ორ და სამ ანძიანი სანდალები (თ.ბერაძე, 1981 : 98).

საქართველოს შავიზღვისპირეთში ფართოდ იყო გავრცელებული ლაზური **ფელუკები** (ლაზები მიეკუთვნებიან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას. ისტორიულად ლაზების განსახლების არეალი აღწევდა ტრაპიზონამდე (ი.სიხარულიძე, I, 1997 : 32). ისინი ცნობილი იყვნენ საზღვაო საქმის კარგ, გამოცდილ ოსტატებად. „ლაზები კაცნი არიან ხელოსანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა დიდთა და მცირეთა“ (ვ.ბატონიშვილი, 1973:689).. იყო საშუალო და დიდი ზომის ფელუკები. გამოიყენებოდა სათევზაოდ, სატრანსპორტოდ – ტვირთების გადასატანად და მგზავრების გადასაყვანად. საშუალო სიდიდის ფელუკების სიგრძე უდრიდა 9-14 მ., სიგანე – 2მ., ტვირთამწეობა – 3 ტ. (ზ.კუტალიევილი, 1987:28; რ.უზუნაძე, 2000:165). დიდი ფელუკები წარმოადგენდნენ მცირე წყალწყვის ხომალდებს. მათი სიგრძე უდრიდა 16–20 მ., სიგანე – 5-7 მ., ტვირთამწეობა 8-10 ტონას (რ.უზუნაძე, 2001:165). ისინი ფართოდ გამოიყენებოდა მცირე საკაბოტაჟო ნაოსნობაში მგზავრთა გადასაყვანად, სავაჭროდ, ტვირთების გადასატანად. ფელუკების მოძრაობაში მოყვანა ხდებოდა ნიჩბებით და აფრებით. გავრცელებული იყო ერთ და ორ ანძიანი ფელუკები (თ.ბერაძე, 1981 : 98-99; რ.უზუნაძე, 2000 : 67-68).

მენექსილა წარმოადგენდა სამგზავრო, სავაჭრო და სამხედრო დანიშნულების ნავს. საჭიროების შემთხვევაში მას ქართველები საომრად იყენებდნენ. გავრცელებული იყო გვიან ფეოდალურ ხანაში. ხომალდის სიგრძე უდრიდა 18-20 მ., სიგანე 4-5 მ., სიმაღლე 1,9-2,7 მ. (რ.უზუნაძე, 2001 : 170). გვერდებზე შემოვლებული ჰქონდა ორი კაცის სიმსხო ლერწმისა და ჭილის ნწული. რომელიც საკმაოდ კარგად იცავდა ხომალდს შიგნით ზღვის ტალღების შეღწევისაგან (ე.ჩელევი, I, 1971:95). ლაზურ მენექსილას შეეძლო ასი კაცის გადაყვანა. მისი მოძრაობაში მოყვანა შეიძლებოდა აფრებითა და ნიჩბებით. იყო ერთ ანძიანი ხომალდი. ჰქონდა 10-15 წყვილი ნიჩაბი (Т. Берадзе 1989 : 96).



ქართული საზღვაო ხომალდი - კეტჩი

საქართველოს ზღვაოსნობაში ასევე გავრცელებული იყო მცირე ზომის ნაგები (საქართველოში ძველად ხისაგან ნაგებ წყლის ყველა სახეობის საშუალებას ნავი ეწოდებოდა. ცნობილი ქართველი ლექსიკოგრაფის ნ.ჩუბინაშვილის განმარტებით: ნავი ზოგადი სახელი არის ყოველი ხის ნაგები წყალთა შინა სავალად“ (ნ.ჩუბინაშვილი, 1961 : 311): **ფათალია, ნიში/ნუშა, ხეჭეპა დ ჭირნილი** ნაგები. გამოიყენებოდა ზღვაში სათევზაოდ. პირველი სამი იმართებოდა ნიჩბებით. ჭირნილი წარმოადგენდა მცირე ზომის აფრებიან ნავს (ზ.კუტაღიშვილი, 1979:25-26; ალ დავითაძე, 1983:59). ყველა მათგანი ქართული სახელწოდებისაა.

როგორც ირკვევა შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოს ზღვაოსნობაში ცნობილი იყო კატარლა (საბრძოლო ხომალდი). მოხსენიებულია შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანში“. შოთა რუსთაველი თავის პოემაში, ფრიდონისადმი დასახმარებლად საომრად გამზადებულ ტარიელს ათქმევინებს: „დავკაზმე ნავი კატარლა...“ (შოთა რუსთაველი, 1992:613,2).

საქართველოში უძველესი დროიდან დიდად განვითარებული ყოფილა ნავმშენებლობა, „რაც წარმოადგენს ნაოსნობის განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას“ (თ.ბერაძე, 1981:16). აპ. როდოსელის **არგონავტიკაში** მოხსენიე-

ბული „კოლხური სამეფო ფლოტი“, „კოლხური ხომალდები“ მიაწვდილენ, რომ ძველ კოლხეთში ნავმშენებლობის საქმე კარგად ჰქონიათ ათვისებული. აღნიშნული საქმის განვითარებისათვის დასავლეთ საქართველოში უხვად მოიპოვებოდა საჭირო მასალა. ჯერ კიდევ ძველი და ახალი ნელთაღრიცხვების მიჯნაზე სტრაბონი წერდა: „ქვეყანაში (კოლხეთში) მოიპოვება ნავთსაშენი ყოველივე მასალა, რადგან აქ იზრდება ხშირი ტყე. ამუშავებენ ბლომად სელს, კანაფს, ცვილს და ფისს“ (თ.ყაუხჩიშვილი, 1954:6). ნავთმშენებლობაში ხის მასალად გამოიყენებოდა: ნაბლი, სოჭი, ცაცხვი, ფიჭვი, თხმელი (მურყანი). განსაკუთრებით ფასობდა ნაბლი. ლაზი ნავმშენებლები მას **ოქროს ხეს** უწოდებდნენ (ალ.დავითაძე, 1983:53). სხვადასხვა ეპოქაში ნავმშენებლობით გამოირჩეოდა საქართველოს ზღვისპირეთის შემდეგი პუნქტები: ტრაპიზონტი, ხოფა, რიზე, ბათუმი, ფოთი, ანაკლია, სოხუმი (ზ.კუტალიევილი, 1983:83). სადაც მრავლად აგებდნენ სხვადასხვა ზომისა და კონსტრუქციის სანაოსნო საშუალებებს „ნავთა დიდთა და მცირეთა“ (ვ.ბატონიშვილი, 1973 : 689) (თავიანთი მაღალი პროფესიული ოსტატობის გამო, XVIII-XIX ს.ს.-ში ქართველ ნავმშენებლებს მცირე წყალწყის ხომალდების ასაგებად, ფართოდ იყენებდნენ აგრეთვე თურქეთის, სამხრეთ რუსეთისა და შავი ზღვისპირეთის მთელ რიგ ადგილებში (რ.უზუნაძე, 2001:178).

ზღვაოსნობისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობის განვითარება დაკავშირებულია ნავსადგურების (ნავსაყუდელების) სიმრავლესა და მოხერხებულობასთან. წერილობითი წყაროებითა და არქეოლოგიური მონაცემებით საქართველოს ზღვისპირეთში ნავსადგურების საკმაოდ ხშირი ქსელი დასტურდება. რაც ქვეყნის სამეურნეო ყოფაში ნაოსნობის დიდ როლზე მიუთითებს (ზ.კუტალიევილი, 1987: 148). ნავთსადგომებად გამოიყენებოდა ბუნებრივი ყურეები, მდინარეთა შესართავები. ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე საქართველოში შემავალი ზღვისპირეთის ნავსადგურებიდან აღსანიშნავია: ტრაპიზონტი, რომელიც კერასუნტთან და კოტიორასთან ერთად უძველესი ბერძნული კოლონა ქართველებით დასახლებულ მიწაწყალზე ძველ კოლხეთში (თ.მიქელაძე, 1974:85, 94-101; დ.მუსხელიშვილი, I, 1977:93).

ტრაპიზონის შემდეგ აღსანიშნავია ნავსადგურები ჰი-

სოსი (მოგვიანო ხანაში სუსარმია, სურმენე), ათინა, აფსაროსი (გონია, გონიო), ბათუმი (ბათუსი, ბათომი), პეტრა-ციხის-ძირი, ფაზისი (ფოთი), გინეოსი (ოჩამჩირე), დიოსკურია-სე-ბასტოპოლისი (ცხუმი, სოხუმი), პოტიუნტი (ბიჭვინთა), ტრაქეა (გაგარი-გაგარი ძველ ქართულში გასასვლელს ნიშნავდა (T. Берадзе 1989 : 26)., გაგრა), ლაზოსი (ლაზოსი სახელწოდება იმ დროიდან მოდის, როდესაც შავიზღვისპირეთის ეს ნაწილი ქართველთა მოდგმის ტომებით (ლაზები) იყო დასახლებული. არიანე მას იხსენებს ძველი ლაზიკის სახელწოდებით (თ.ბერაძე, 1981 : 152-154)ანუ გვიანდელი ხანის ნიკოფსია (ა.კახიძე, 1971 : 76-78, 112)(მდებარეობდა ტუაფსის ჩრდილო-აღმოსავლეთით 47 კმ-ზე იხ. თ.ბერაძე, 1981 : 152).

აღნიშნული პროცესის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა საზღვაო ნაოსნობის განვითარება. აღიარებულია, რომ „ზღვით კავშირურთიერთობა არა მარტო ეკონომიკური პროგრესის გამომწვევია, არამედ ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ფაქტორია ადამიანთა აზროვნებისა და საერთოდ, მეცნიერების განვითარების საქმეში“ (ზ. კუტალიევილი, 1987:221). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საზღვაო ნაოსნობა და ვაჭრობა ერთმანეთთან ყოველთვის მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული. ახლაც და ძველაც უდიდესი ნაწილი მსოფლიო ვაჭრობისა საზღვაო გზებით ხდებოდა.

ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე საქართველოში განვითარებული იყო საზღვაო ნაოსნობის ორი ძირითადი სახეობა: საკაბოტაჟო (მცირე) და საზღვარგარეთული (საერთაშორისო) ნაოსნობა. ქართულ რეალობაში საკაბოტაჟო ნაოსნობის როლისა და ადგილის შესახებ პროფ. თ. ბერაძე აღნიშნავს:„საქართველოს ზღვისპირეთის ზოგიერთი რეგიონის მთიანი რელიეფი, სხვაგან ჭაობებითა და ხშირი ტყეებით დაფარული მიდამო, ძალზე აძნელებდა მათ კავშირს სახმელეთო გზებით და ძალზე ხშირად მიმოსვლის ერთადერთ საშუალებად ზღვა და მდინარეები რჩებოდა. ეს კი ხელს უწყობდა ზღვაოსნობას და ნაპირის გასწვრივ ცურვას, ანუ კაბოტაჟური ნაოსნობის განვითარებას“ (თ.ბერაძე, 1981:58). იგი ასევე მიუთითებს: ქართველურმა ტომებმა თავიდანვე დიდ წარმატებას მიაღწიეს ზღვაოსნობაში. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ადრეანტიკური და ანტიკური ხანის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უდიდესი ნაწილი ქართული

მოდგმის ტომებით იყო დასახლებული. ერთმანეთისაგან ასე დამორებული, მკვეთრად გამიჯნული ტერიტორიის ათვისება ჩვენს წინაპრებს მხოლოდ საზღვაო ნაგების ფართო გამოყენებით შეეძლოთ (თ.ბერაძე, 1981 :60). ძველი ბერძენი სწავლულის ჰიპოკრატეს ცნობით: დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის მოსახლეობა „ფეხით ძალზე ცოტას დადიოდა და ძირითადად ქალაქებსა და ნავსადგურებში დაცურავდნენ ერთ ხეში ამოღებული ნაგებით“ (თ.ყაუხჩიშვილი, 1963 :65).

ფეოდალური ხანის საქართველოს ზღვისპირა ქალაქებსა და სანავსადგურო პუნქტებს შორის არსებობდა ინტესიური ურთიერთობა, რაც ძირითადად მიმდინარეობდა სანაოსნო საშუალებებით. პროფ. თ.ბერაძის გამოკვლევით: ფეოდალურ ხანაში წყლის ტრანსპორტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან წყლით ექვსჯერ მეტი ტვირთის წაღება შეიძლებოდა, ვიდრე ხმელეთით. ასეთი ვითარება იყო დასავლეთ საქართველოში, სადაც განსაკუთრებით ძნელი იყო სახმელეთო გზების გაყვანა და მოწესრიგება“ (თ.ბერაძე, 1981 : 83).

XVII-XIX ს.ს.ში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საკაბოტაჟო ნაოსნობაში მონოპოლური მდგომარეობა ეკავათ ლაზ ზღვაოსნებს. ისინი თავიანთი სავაჭრო ხომალდებით შავი ზღვის სანავსადგურო პუნქტებში ეზიდებოდნენ საქონელს და ეწეოდნენ ვაჭრობას (რ.უზუნაძე, 2001 : 178). ზოგიერთი ცნობით ლაზები საკუთარი გემებით საზღვაო ვაჭრობაში წარმატებით უწევდნენ კონკურენციას თურქეთისა და სპარსეთის სავაჭრო ფლოტს“ (Гр.Вешапел, 1916:33).

საქართველოში მნიშვნელოვან განვითარებას აღწევს საზღვარგარეთული (საერთაშორისო) ნაოსნობა. როგორც ირკვევა საქართველოს სანაოსნო ურთიერთობა ჰქონდა შავი, ეგეოსის და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებთან (ბიზანტია, ტრაპიზონის სამეფო, ეგვიპტე, სირია, იტალია...)

ჩრდილოეთით აღწევდნენ ყირიმამდე და აზოვის ზღვის ნაპირებამდე (თ.ბერაძე, 1981 : 174-177; მისივე, 1983, №2 : 23-37; Т. Берадзе, 1989 : 84-91; ზ.კუტალეიშვილი, 1987 : 155-156, 177-178). XI-XII საუკუნეებში საქართველოს საზღვაო ურთიერთობა ჰქონდა კიევის რუსეთთან (Т. Берадзе, 1989 : 75-77). ყირიმის მეშვეობით ქართველები დასავლეთ შავიზღვისპირეთს უკავშირდებოდნენ (თ.ბერაძე, 1981 : 166). V-XII ს.ს.-ში

ყველაზე უფრო მჭიდრო საზღვაო ურთიერთობა საქართველოს ბიზანტიასთან ჰქონდა. XI ს-ის მეორე ნახევარში წინა აზიაში თურქ-სელჯუკები გაბატონდნენ. მათ საქართველოდან ბიზანტიისაკენ მიმავალი სახმელეთო გზები მთლიანად გადაკეტეს. რამაც საქართველოსა და ბიზანტიას შორის საზღვაო ურთიერთობა კიდევ უფრო ინტენსიური გახადა (თ.ბერაძე, 1981:167; რ.უზუნაძე, 2003:15).

ისტორიის თითქმის მთელ ეტაპზე საქართველოს ჰყავდა საზღვაო ფლოტი. მრავალრიცხოვანი ფლოტი გააჩნდა კოლხეთის, მოგვიანო პერიოდის ეგრისის (ლაზიკის) სამეფოებს. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდიან ძველი ბერნული წყაროები (Т. Берадзе, 1989 : 202). XI-XV ს.ს.-ში საქართველოს გააჩნდა ძლიერი საზღვაო ფლოტი. იგი შედგებოდა საბრძოლო და სავაჭრო ხომალდებისაგან.

განვითარებული ფეოდალური ხანის საქართველოს ზღვაოსნობის მაღალ დონეზე მეტყველებს შოთა რუსთველის უკვდავი „ვეფხვისტყაოსანი.“ პოემაში საინტერესო ცნობებია დაცული ამ პერიოდის საბრძოლო კატარღებისა და აფრებიანი დიდი სავაჭრო ხომალდების შესახებ, აღწერილია ზღვაოსნობასთან დაკავშირებული ეპიზოდები, მოცემულია საზღვაო ნაოსნობის ქართული ტერმინოლოგია (შოთა რუსთაველი, 1992). სავსებით სწორად შენიშნავს პროფ. თ.ბერაძე: შოთა რუსთაველის ცოდნა ზღვაოსნობის შესახებ ხაზს უსვამს მისი დროისათვის ამ საქმის მაღალ დონეს ჩვენს ქვეყანაში“ (თ.ბერაძე, 1981 : 71) (საქართველოში ზღვაოსნობის განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს ძველი ქართული საზღვაო ტერმინოლოგია, რომელიც შემოგვინახეს VII-XIV საუკუნეების ქართული მწერლობის ძეგლებმა (იხ. ს.ს. ორბელიანი, I, 1966:357–358; Т. Берадзе, 1989: 167–198; ალ.დავითაძე, 1983:142–160; ზ.კუტალიევილი, 1987). ქართული საზღვაო ფლოტი მონაწილეობდა 1204წ. საქართველოს სამეფო კარის მიერ ბიზანტიის წინააღმდეგ მოწყობილ სამხედრო ექსპედიციაში. როგორც მიუთითებენ ქართველთა ჯარმა **იოლად დაიპყრო** შავი ზღვის სამხრეთი ტერიტორიები (შ.ბადრიძე, 1979:333). დაიკავეს თითქმის მთელი სამხრეთი შავიზღვისპირეთი: ლაზეთი, ქალაქები „ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნტი, კოტიორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლალონიისა და პონტოსანი“ (ქარ-

თლის ცხოვრება, II, 1959 : 142). დაპყრობილი ტერიტორიის ბაზაზე საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ შექმნა ცალკე სახელმწიფო – ტრაპიზონის იმპერია (შ.ბადრიძე, 1979 : 333; Т. Берадзе, 1989 : 73).

საქართველოში ზღვაოსნობის განვითარების მაღალი დონე მიუთითებს ქართველი ზღვაოსნობის პროფესიონალიზმზე. ამ საქმეში კარგად იყვნენ დაოსტატებული საქართველოს ზღვისპირა ზონის მოსახლეობა. მათ შორის გამოირჩეოდნენ ლაზები. „ისინი ისე დახელოვდნენ ამ ძნელსა და საშიშ საქმეში, რომ ამათ ხელში ძნელად მოხდებოდა უბედურება ზღვაში. იმათ ოსტატობას, სიმარდეს, გულადობასა და მოხერხებულობას ზღვაში ინგლისელებიც კი კვირობდნენ, რომელთაც ტოლი არ ჰყავდათ ნაოსნობასა და მეხომალდეობაში“, – ნერდა იაკობ გოგებაშვილი (ი.გოგებაშვილი, 1993 : 292).

საზღვაო საქმის ცნობილი რუსი მკვლევარი ნ. შავროვი ლაზების დახასიათებისას მიუთითებდა: „ისინი დაბადებული არიან მეზღვაურებად. ზღვასთან კავშირმა მოსახლეობისაგან წარმოშვა მამაცი, გამოცდილი მეზღვაურები, რომლებიც ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს წყალში ატარებენ“ (Н. Шавров, 1907:25). საარქივო ცნობების მიხედვით 1878 წლისათვის ბათუმის ოლქში ცხოვრობდა 5000-მდე მამაცი, გამოცდილი მეზღვაური (საქართველოს ცსსა, ფ.416, ან.3, ს. 820, ფურც. 42).

XIII ს-ის მეორე ნახევრიდან გახშირდა იტალიელთა სავაჭრო-სანაოსნო ურთიერთობა საქართველოსთან. ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საპორტო ქალაქები სოხუმი (ცხუმი), ფოთი, ბათუმი. იტალიელებმა 60-იანი წლებიდან დაიწყეს სავაჭრო კოლონიების დაარსება აზოვსა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში: კაფა, ტამანი, ტანა... სავაჭრო კოლონია იყო ცხუმშიც. ამ ქალაქს იტალიელები სებასტოპოლის უწოდებდნენ (თ.ბერაძე, 1981 : 176).

საყურადღებოა, რომ XIII ს-ის 80-90-იანი წლების იტალიურ საკონტრაქტო, სანოტარო დოკუმენტებში გემებით ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებით ხშირადაა მოხსენიებული ბათუმი. აქ ღუზას უშვებდნენ გენუელ, ვენეციელ, პიზელ სოვდაგართა გემები. შემოჰქონდათ და გაჰქონდათ სხვადასხვა საქონელი. იმართებოდა ბაზრობები. ბათუმში მრავლად ცხოვრობდნენ იტალიელი ვაჭრები (თ.ბე-

რაძე, 1983, №2 : 31)(XIII-XV საუკუნეების საქართველოს მთავარ სავაჭრო ქალაქ-ნავსადგურების ბათუმის, ფოთის, ცხუმის (სოხუმი) შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული იტალიურ სავაჭრო-სანოტარო დოკუმენტებში, ელჩებისა და მოგზაურ-სწავლულთა ჩანაწერებში, მათ მიერ შედგენილ რუკებზე (ე.მამისტვალიშვილი, 1981; თ.ბერაძე, 1983, №2:23-38; Т. Берадзе, 1989:92-96; ალ თვარაძე, 2004). წამყვანი ადგილი ეკავა გენუას. როგორც ირკვევა XIII საუკუნის 80-იანი წლებიდან გენუასა და საქართველოს ზღვისპირა პუნქტებს შორის არსებობდა გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა. გენუელ ვაჭრებს შემოჰქონდათ დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახის საქონელი, მონაწილეობდნენ ბაზრობების მოწყობაში. მაისის ბოლოსა და ივნისის პირველ ნახევარში იმართებოდა საგაზაფხულო დიდი ბაზრობები. მათ ასევე შემოჰქონდათ ფული და ენეოდნენ სავაჭრო-სავაჭრო საქმიანობას. რითაც დიდ სარგებელს იღებდნენ. XIII ს-ის 80-90-იან წლებში გენუასა და საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვამ 1 მილიონ ასპრს გადააჭარბა (თ. ბერაძე, 1983, №2; 28-29

XVI საუკუნიდან მძიმე პერიოდი დაუდგა საქართველოს. ოსმალებმა, სხვა ქართულ ტერიტორიებთან ერთად, დაიკავეს საქართველოს ზღვისპირეთი. მათ ხელში აღმოჩნდა საქართველოს ძირითადი სანავსადგურო ცენტრები – ბათუმი, ფოთი, სოხუმი. ოსმალეთის იმპერიამ უცხო ქვეყნების ხომალდებს შავ ზღვაში შესვლა აუკრძალა. შეწყდა სანაოსნო კავშირურთიერთობა გარე სამყაროსთან. დაღმავლობას განიცდის ზღვაოსნობა. აღნიშნული პროცესი XIX ს-მდე გაგრძელდა.

საქართველოსში ზღვაოსნობის გამოცოცხლება იწყება XIX ს-დან. აღნიშნულ პროცესს განსაკუთრებული ბიძგი მისცა კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის განვითარებამ. იწყება დასავლეთის სამხელმწიფოთა სწრაფვა საქართველოს სანავსადგურო პუნქტებით დაემყარებინათ ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა აღმოსავლეთის მდიდარ რაიონებთან. ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და მოხერხებულმა სანავსადგურო პირობებმა გამოიწვია ბათუმის დანიანაურება. იზრდება ბათუმის, როგორც სანავსადგურო პუნქტის კომერციული მნიშვნეობა. ინგლი-

სის გაზეთი „დეილი ნიუსი“ წერდა: „ბათუმის ნავსადგური ერთდერითი უსაფრთხო ნავსაყუდელია შავი ზღვის მთელ სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე ყირიმამდე. აქ წყალი იმდენად ღრმაა, რომ ყველა დიდ გემს შეუძლია ჩაუშვას ღუზა ნაპირის ახლოს. გემების დატვირთვა და გადმოტვირთვა შეიძლება ყოველგვარ ამინდში. ჩრდილოეთი და ჩრდილოეთ-დასავლეთის ქარები, რომლებიც აღწევენ კავკასიის ნაპირებს, არასოდეს არ უბერავენ ბათუმის ნავსადგურის სანაპიროს“ (რ.უზუნაძე, XV, 1988 : 88)


თავისი მოხერხებული სანავსადგურო პირობების გამო გემები ფოთსა და სხვა საზღვაო პუნქტებში ღია რეიდებზე დგომას ამჯობინებდნენ ბათუმის უსაფრთხო ნავსადგურში შესვლას. გახშირდა გემების მიმოსვლა ბათუმში. თუ ადრე აქ მხოლოდ თურქეთის გემები შემოდის, უკვე XIX ს-ის 60-იანი წლებიდან სისტემატურად შემოდის ნაოსნობისა და ვაჭრობის რუსული საზოგადოების და სხვა ქვეყნების (ინგლისის, ნორვეგიის, ავსტრიის, საბერძნეთის, საფრანგეთის, იტალიის...) სავაჭრო გემები (რ.უზუნაძე, 2001: 52-54).

60-იანი წლებიდან, განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს ღებულობს ბათუმის სნაოსნო გზით ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობა. XIX ს-ის 40-იანი წლებიდან რუსეთის მმართველობა გარკვეულ ყურადღებას უთმობს სოხუმის პორტს. შავი ზღვის სანაპირო ხაზის უფროსი – გენერალ-ლეიტენანტი რაევსკი უმაღლესი ხელისუფლებისადმი წარდგენილ პატაკში მიუთითებდა: სოხუმს აქვს მშვენიერი პორტი. რომლის მეშვეობით შეიძლება დასავლეთ რუსეთის დაკავშირება ამიერკავკასიასთან, ტრანზიტული საქონლის გადაზიდვები“ (პ.გუგუშვილი), 1979:250-251).

1858 წელს ფოთი გამოცხადდა საპორტო ქალაქად. რუსეთის მიერ ბათუმის შემოერთებამდე ამიერკავკასიის, სპარსეთის, შუა აზიის ექსპორტ-იმპორტი ხდებოდა ფოთის პორტით (პ.გუგუშვილი, 1979:79-80, 186). 1864-1905 წლებში მიმდინარეობდა ფოთის ნავსადგურის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა (ქსე, 10, 1976 : 351).

რუსეთის მიერ ბათუმის შემოერთების (1878 წ.) შემდეგ ბათუმის ნავსადგურში ჩატარდა დიდი საამშენებლო-კეთილმოწყობითი სამუშაოები (1885-1893 წლები). აღნიშნული სამუშაოების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბათუ-

მის ყურეს სანავსადგურო პირობები. რეკონსტრუქციის შემდეგ იგი პირობითად დაიყო ნავთობის ნავსადგურად და ქალაქის სანაპირო ნავსადგურად. პირველი ძირითადად განკუთვნილი იყო გემებში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ჩასატვირთად. მწყობრში ჩადგა ტანკერების ხუთი მისადგომი ხაზი. სანაპირო ნავსადგური ემსახურებოდა ყველა სახეობის (გარდა ნავთობპროდუქტებისა) სატვირთო ოპერაციებს და მგზავრთა მიმოსვლას. რეიდზე სატვირთო ოპერაციებისათვის მოეწყო მცურავი ნავსაბმელები (რ.უზუნაძე, 2001:110-113). XIX ს-ის 90-იანი წლების ბოლოს ბათუმის პორტში ფუნქციონირებდა 23 ნავმისადგომი. მცირე წყალნევის გემების მომსახურებისათვის 1895–1897 წლებში აიგო საკაბოტაჟო ნავსადგომი (რ.უზუნაძე, 2001 : 114-117).



ბათუმის გზით სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ინტენსიური ზრდის შესაბამისად ვითარდება სანაოსნო საშუალებები, ნაოსნობის სახეები. იგი მოიცავდა მცირე და დიდ საკაბოტაჟო, საერთაშორისო (საზღვარგარეთულ) ნაოსნობას. ბათუმს მცირე საკაბოტაჟო-სანაოსნო კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა კავკასიის, ყირიმისა და აზოვის ზღვისპირა პუნქტებთან. მცირე საკაბოტაჟო ნაოსნობას ემსახურებოდა საკმაოდ დიდი ფლოტი. 1900-1902 წლებში ბათუმის პორტით საკაბოტაჟო გემთბრუნვამ შეადგინა 17747 ერთეული. აქედან 4304 იყო ორთქლის გემი (მათზე მოდიოდა საკაბოტაჟო გემთა საერთო ტვირთბრუნვის 98 %), ხოლო და-

ნარჩენი მცირე წყალწყვის იალქნიანი გემი, მათ შორის ლა-ზური ფელუკები (Батуми....1906:373-374).

დიდი კაბოტაჟი ბათუმისათვის წარმოადგენდა ნაოსნობის ახალ სახეობას. მას გარკვეულად ბიძგი მისცა ბათუმის სანაოსნო გზით ამიკავკასიისა და რუსეთის იმპერიის შორეულ რეგიონებს შორის ტვირთების, პირველ რიგში ნავთობპროდუქტების გადაზიდვების აუცილებლობამ. ბათუმს დიდი საკაბოტაჟო სანაოსნო ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილოეთში სანკტ-პეტერბურგთან, რიგასთან, რეველთან (ტალინი), შორეულ აღმოსავლეთში – ვლადივოსტოკთან, ნიკოლაევსკთან (აჭარის ცსა, ფ. 12, ან, 1, ს.1, ფურც. 43, 125).

დიდ განვითარებას აღწევს საერთაშორისო ნაოსნობა, რასაც ბიძგი მისცა ბათუმიდან საზღვაო გზით ტვირთბრუნვის არნახულმა ზრდამ. 1901-1902 წლების მონაცემებით ბათუმს სანაოსნო ურთიერთობა ჰქონდა 42 ქვეყნის ასზე მეტ საპორტო ქალაქთან. ვითარდება სატვირთო, სატვირთო-სამგზავრო და საფოსტო-სამგზავრო რეისები. ბათუმის საზღვაო გზით საერთაშორისო ტვირთების გადაზიდვებში უპირველესი ადგილი ეკავა ნავთობპროდუქტების ექსპორტს, რომელიც გადიოდა ევროპის, აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. ბათუმზე მოდიოდა 1889-1903 წლებში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მსოფლიო ექსპორტის 26% (რ.უზუნაძე, 2013:90).

ბათუმის გზით საერთაშორისო ნაოსნობას ემსახურებოდა 17 ქვეყნის 30-ზე მეტი კომპანია და საზოგადოება, კერძო გემთმფლობელები. 1902 წელს ბათუმის პორტით საერთაშორისო ნაოსნობის გემთბრუნვამ შეადგინა 4751 გემი.

იცვლება საერთაშორისო ნაოსნობის გემების ხარისხობრივი მაჩვენებელი. წამყვან ადგილს იკავებს ორთქლის საზღვაო ხომალდები. 900-იან წლების დამდეგს მათზე მოდიოდა ბათუმის პორტით საგარეო ტვირთბრუნვის 96% (რ.უზუნაძე, 2001:218). ბათუმის გზით საერთაშორისო ნაოსნობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ტრანსპორტის ახალისახეობა—ტანკერი. ბათუმის პორტით ნავთობპროდუქტების ექსპორტს ემსახურებოდა 45 ტანკერი. პირველი ტანკერი ბათუმში შემოვიდა 1886 წლის დამდეგს. ეს იყო ინგლისური გემი „ფერგიუსონი“. მან იმავე წლის 20 იანვარს გაიტანა საექსპორტო ტვირთი. 1892 წელს ბათუმის პორტში შემოვიდა

გიგანტური ტანკერ (300 ათასი ფუთი ტვირთამწეობის) „მურექსი“, რომელმაც 1892 წლის 23 აგვისტოს ბათუმის პორტიდან, სუეცის არხის გავლით კურსი აიღო სინგაპურისა და ტაილანდისაკენ (რ.უზუნაძე, 2001:219).

XIX ს-ის 80-90 წლებში ფოთის ნავსადგურით ძირითადად წარმოებდა მანგანეცისა და სიმინდის ექსპორტი. 1913 წ. ფოთის პორტით გატანილი იქნა 65 მილიონი ფუთი მარგანეცი (მ.პაჭკორია, 1967:91).

საქართველოში ზღვაოსნობის განვითარების ახალი ეტაპი იწყება XX ს-ის 20-იან წლებიდან. მიუხედავად საბჭოთა მმართველობის შუქ-ჩრდილების საბჭოთა პერიოდის საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა ზღვაოსნობის განვითარებისათვის. ამოქმედდა გემთშემკეთებელი და გემთმშენებელი ქარხნები, ვითარდება თევზის რენვა, პორტებს ჩაუტარდათ სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ისინი აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, ვითარდება საზღვაო ტრანსპორტის სახეები, დიდი ყურადღება დაეთმო მეზღვაურთა კადრების მომზადებას, შეიქმნა საქართველოს საზღვაო ფლოტი.

ბათუმის ნავსადგურის დამხმარე საწარმოების ბაზაზე შეიქმნა ბათუმის გემთმშენებელი ქარხანა (1921 წ.). 1956 წლამდე ქარხანა ემსახურებოდა გემების მიმდინარედა საშუალო შეკეთებას. 1957 წლიდან ქარხანა გადავიდა გემების გამომშვეებაზე (კ.ტოტოჩავა, 1975:192–193). 50-იან წლებში ქარხანა უშვებდა სამგზავრო კატერებს, 60-იანი წლებიდან – სამგზავრო თბომავლებს, კანჯოებს (კ.ტოტოჩავა, 1975:193). 1959 წლიდან ქარხანამ დაიწყო წყალქვეშაფრთიანი კატარლების წარმოება. 1923 წელს ამოქმედდა ფოთის გემთმშენებელ-გემთშემკეთებელი ქარხანა. 60-იანი წლებიდან უშვებდა სწრაფმავალ წყალქვეშაფრთიან ხომალდებს (ნარკვევები, VIII, 1980:332: ქსე, 10, 1988:351–352).

ფოთში განთავსებული იყო საოკეანო თევზჭერის სამმართველო. წარმოადგენდა საქართველოს საოკეანო თევზჭერის ძირითად ბაზას. 1958 წ. ბათუმში შეიქმნა თევზკომბინატი. იგი თვითონ აწარმოებდა თევზის რენვას. მის განკარგულებაში იყო რეფრიჟერატორები, სეინერები. კომბინატს ჰქონდა თევზის გადამამუშავებელი ქარხანა (ვ.ჯაოშვილი, 1966:56–57).

XX ს-ის 60-იან წლებში იქმნება საქართველოს საზღვაო ფლოტი. რასაც ბიძგი მისცა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შექმნამ (1967 წ.). მან ბინა დაიდო ბათუმში. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს შემადგენლობაში შედიოდა სატრანსპორტო ფლოტი, ბათუმის, ფოთის და სოხუმის საზღვაო ნავსადგურები, გაგრის, ბიჭვინთის, ახალი ათონის, ოჩამჩირის სანავსადგურო პუნქტები, ფლოტის მომსახურე საწარმოები და ორგანიზაციები. (1967–1979 წლებში სანაოსნოს უფროსი იყო შორეული ნაოსნობის კაპიტანი ანატოლი კაჭარავა). საქართველოს საზღვაო ფლოტი 1983 წლისათვის შედგებოდა 37 ტანკერის და 12 სამშრალტვიროთა გემებისაგან, რომელთა ტვირთამწეობა უდრიდა 723 350 ტონას (ქსე – საქართველოს სსრ, 1981:144; ვ.ჭანტურია, 1997:115–116; სდსინ (აჭარა), IV, 2012:305). საქართველოს საზღვაო ფლოტი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს, მთელი ამიერკავკასიისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რაიონების ეკონომიკასთან დაკავშირებულ საგარეო–სავაჭრო გადაზიდვათა უზრუნველყოფაში. ტვირთბრუნვის 90 %-ზე მეტი მოდიოდა საზღვარგარეთულ გადაზიდვებზე. ამასთან, თხევადი ტვირთის ხვედრითი წილი 1978 წ. 70 % შეადგენდა. გადაზიდვების დიდი ნაწილი მოდიოდა შავი ზღვის აუზში. გემები ენეოდნენ ასევე დიდ საკაბოტაჟო სანაოსნო გადაზიდვებს. საქართველოს სანაოსნოს გემები ემსახურებოდნენ ტვირთების საერთაშორისო (საზღვარგარეთულ) გადაზიდვებს. საქართველოს საზღვაო ფლოტის გემები შედიოდნენ მსოფლიოს 60 ქვეყნის 180–მდე ნავსადგურში (ქსე, 1981 : 144.). საერთაშორისო გადაზიდვები ძირითადად მოდიოდა ნავთობპროდუქტების ექსპორტზე. 1992 წლიდან სანაოსნო ფლოტი შეივსო მადანსაზიდი გემებით. მადანის გადაზიდვებს ემსახურებოდა ფოთის ნავსადგური. 1990 წლის ბოლოს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ჰყავდა 53 გემი, რომელთა ტვირთამწეობა მილიონ ტონას აღემატებოდა.

საქართველოს საზღვაო ფლოტი შედგებოდა აგრეთვე სამგზავრო (100–200ადგილიანი) კომფორტული თბომავლებისაგან. სამგზავრო რეისები სრულდებოდა შავი ზღვის აუზის შემდეგ პორტებში: ბათუმი, ფოთი, სოხუმი, ახალი ათონი, გუდაუთა, გაგრა, ოჩამჩირე, სოჭი, ტუაფსე, ნიკოლაევსკი, სევასტოპოლი. 80–იანი წლების ბოლოს მათ მიემატა ტრაპიზო-

ნი, რიზე. (ვ.ჭანტურია, 1997 : 111). საერთაშორისო ტურისტულ რეისებს ასრულებდნენ სუპერკლასის ლაინერები „საქართველო“, „როსია“, „მაქსიმ გორკი“. ექსპლუატაციაში შევიდა ბათუმის (1963 წ.), ფოთის (1974 წ.) ახალი საზღვაო სადგურები 1970 წ. მწყობში შევიდა სოხუმის კეთილმოწყობილი სამგზავრო სადგური (ვ.ჭანტურია, 1997 : 104–113).



საქართველოს პორტებით ტვირთბრუნვის გაზრდისა და შეუფერხებლად მათი გადაზიდვების უზრუნველსაყოფად აშენდა სპეციალიზებული მისადგომები და სანავსადგურო გადამტვირთავი კომპლექსები. რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ბათუმის ნავთობის ნავმისადგომებს. სადაც მთლიანად მექანიზებული იქნა ნავთობტვირთვის ჩასხმის პროცესი. სისტემატურად ხდებოდა საქართველოს ნავსადგურების აღჭურვა მაღალმწარმოებლური სანავსადგურო ამწეებით, პნევმოდანადგარებით (ქსე, 1981 : 144; სდსინ (აჭარა), IV, 2012 : 30).

საქართველოს საზღვაო ფლოტისათვის მეზღვაურთა მოსამზადებლად 1921 წ. ბათუმში გაიხსნა საზღვაო სასწავლებელი. (სასწავლებლის უფროსი იყო კონტრ-ადმირალი ალექსანდრე ჭავჭავაძე.) 1929 წ. სასწავლებელი გადაკეთდა საზღვაო ინდუსტრიულ ტექნიკუმად. 1930 წ. ფუნქციონირება დაიწყო ფოთის საზღვაო ტექნიკუმმა (ვ.ჭანტურია, 1997 : 44). 1939 წელს ბათუმის საზღვაო ტექნიკუმს შეუერთდა ფოთის საზღვაო ტექნიკუმი და გადაკეთდა საზღვაო სასწავლებლად. არსებობის მანძილზე სასწავლებელმა მოამზადა 6 ათასზე მეტი სპეციალისტი. საქართველოს საზღვაო ფლოტის გემების უმრავლესობას ემსახურებოდა სასწავლებლის

კურსდამთავრებულები. მრავალი მათგანი იყო გემის კაპიტანი და უფროსი მექანიკოსი. ბათუმის საზღვაო სასწავლებლის და ნოვოროსიისკის საზღვაო აკადემიის ბათუმის სასწავლო – საკონსულტაციო პუნქტის (გაიხსნა 1990 წ.) გაერთიანების ბაზაზე 1992 წ. შეიქმნა ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებელი. რომელიც 1994 წ. გადაკეთდა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიად (ვ.ჭანტურია, 1997 : 54–57; საქართველოს ენციკლოპედია, I, 1997 : 334).

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მთელი აქტიულობით იკვეთება მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის როლი და ადგილი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზაზე. ამ პროცესში უდიდესია საქართველოს, როგორც საზღვაო ქვეყნის მნიშვნელობა. საქართველოს ნავსადგურებზე გამავალი სანაოსნო ხაზები წარმოადგენენ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ერთ-ერთ უნიშვნელოვანეს კვანძს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ასსცსა, ფ.12, ან.1, ს.1.
2. საქართველოს ცსა, ფ. 416, ან. 3, ს. 820, ფურც. 42.
3. ნ.ასათიანი, გ. ლორთქიფანიძე, შ. მესხია, საქართველოს ისტორია, თბ., 1990.
4. შ.ბადრიძე, საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა XIII ს-ის 10-20-იანი წლები. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979.
5. ვ.ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973.
6. Батуми и его окрестности, батуми, 1906.
7. თ.ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ., 1981
8. თ.ბერაძე, საქართველოს საზღვაო ვაჭრობის ისტორიიდან, XIII–XV ს.ს. ჟურ. „მაცნე“, 1983, №2.
9. Т. Берадзе, Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, ТБ., 1989.
10. თ.ბერაძე, მ.სანაძე, საქართველოს ისტორია, I, თბ., 2003.
11. ნ. ბერძენიშვილი, ივ.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნან. I, თბ., 1948.

12. ა.ბოლქვაძე, ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგური, ბათუმი, 1996.
13. ჟ.გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბ., 1987.
14. აკ.გელოვანი, „არგონავტიკა“ დიდი კოლხურ-ელინური ეპოსი. აპ.როდოსელი, არგონავტიკა, თბ., 1075.
15. აკ.გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983.
16. ი.გოგებაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები. „საგანძური“, თბ., 1993.
17. პ.გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX ს.ს. ტ. VI, თბ., 1979.
18. ალ.დავითაძე, ქართული ხალხური ტრანსპორტის ისტორიიდან, ბათუმი, 1983.
19. Г.Вешапел, Турецкая Грузия (Лазистан, Трапезунд и Чорохский край), М. 1914.
20. ჟურნ. „ივერია“, 1878, №18
21. ა.ინაიშვილი, ციხე-ქალაქ პეტრას ნავსადგურის საკითხისათვის. სდსიძ, III, თბ., 1971
22. ა.კახიძე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1971.
23. ა.კახიძე, დიდი ბერძნული კოლონიები და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, (აჭარა), ბათუმი, 2007.
24. ა.კახიძე, დ.ხახუტაიშვილი, მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის (წინაანტიკური ან ანტიკური ხანა), სდსინ, XVIII, თბ., 1989.
25. ზ.კუტალიევილი, ლაზური საზღვაო ნაგებობები. „მეცნიერება და ტექნიკა“, №4, თბ., 1970.
26. ზ.კუტალიევილი, მეთევზეობა დასავლეთ საქართველოში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 227, თბ., 1982.
27. ზ.კუტალიევილი, ნაოსნობა საქართველოში, თბ., 1987.
28. ე.მამისთვალაიშვილი, XV-ის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1981.
29. გ.მელიქიშვილი, კოლხეთი ძვ.წ. VI–IV საუკუნეებში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები (ნარკვევები), I, თბ., 1970.

30. გ.მელიქიშვილი, მოსინიკები. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), 7, თბ., 1984.
31. თ.მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისი“, თბ., 1967.
32. თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისადასამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974.
33. დ.მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, 1977.
34. ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი, I, 1966.
35. Дж. Пальгрев. Материалы для описания Азиатской Турции и Батумской области. Отчёт В.Джиффорда Пальгреева о провинциях Анатолии за 1967-1868, 1869 и 1872 годы. ИКОИРГО, т. VII, Тифлиси, 1882.
36. მ.პაჭკორია, ფოთის წარსულიდან, თბ., 1967.
37. აპ.როდოსელი, არგონავტიკა, თბ., 1975.
38. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1992.
39. საქართველოს ენციკლოპედია, I, თბ., 1997.
40. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (სდსინ), IV, თბ., 2012.
41. საქართველოს ისტორიის ნარკვევები (ნარკვევები), I, 1970.
42. საქართველოს ისტორიის ნარკვევები (ნარკვევები), VIII, თბ., 1980
43. კ.ტოტოჩავა, ზღვაოსნობისა და გემთმშენებლობის განვითარება საბჭოთა აჭარაში (1921–1958 წწ.), ბათუმი, 1975.
44. რ.უზუნაძე, ბათუმის წარსულიდან, ბათუმი, 1997.
45. რ.უზუნაძე, საზღვაო ნაოსნობის ისტორიიდან ბათუმის ოლქში (XIX ს–ის 60–70 წლები). „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“, თბ., 1988.
46. რ.უზუნაძე, ნაოსნობა ბათუმის ოლქში (სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ასპექტები), ბათუმი, 2001
47. რ.უზუნაძე, ნაოსნობის ტრადიციები ბათუმის ოლქში, საისტორიო მაცნე, ბათუმი, 2008, №8.
48. რ.უზუნაძე, რ.სურმანიძე, ნ.ზოსიძე, ბათუმი (ისტორია და თანამედროვეობა), 2013.

49. აკ.ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტიების თქმულე-ბებში, თბ., 1964.
50. აკ.ურუშაძე, აპოლონ როდოსელი და მისი თხზულება. აპ.როდოსელი, არგონავტიკა, თბ., 1975.
51. ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959
52. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (საქართველოს სსრ), თბ., 1981.
53. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. (ქსე), 7, თბ., 1984.
54. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), 10, თბ., 1986.
55. გ.ქავთარია, ძველი საქართველოს ისტორიის ერთ ფურცელი. „ცისკარი“, №5, თბ., 1977.
56. თ.ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957.
57. თ.ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976.
58. ს.ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, თბ. 1965.
59. И. Шавров, из путевых наблюдений от Батума до Лимана. ИКОИРГО . т.ХІХ. №1, Тифлис,1907.
60. В.Чантурия, Батумское мореходное училище, Батуми, 1980.
61. ე.ჩელეების „მოგზაურობის წიგი“, I, თბ., 1974.
62. ნ.ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.
63. დ.ხახუტაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადრეკლასობრივი ქალაქები და საქალაქო ცხოვრება (ძვ.წ. VI – ახ.წ. V ს.ს.) – სდსინ (აჭარა), I, თბ. 2007
64. ვ.ჭანტურია, ქართველები ზღვებსა და ოკეანეებში, ბათუმი, 1997 წ.
65. ვ.ჯაოშვილი, ბათუმი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1966.
66. ო.ქაჯაია, ქართულ-მეგრული ლექსიკონი, III, თბ., 2002.

Revaz Uzunadze

From the history of maritime navigation

Summary

Georgia is th oldest maritime country. Maritime in Georgia originates from II millennium BC. On the various stages of history, Georgia was known for maritime navigation .

ცარიზმის პოლიტიკის პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის შესახებ გათუმის ოლქში

ცარიზმი მტკიცედ ატარებდა ნაციონალურ-კოლონიურ პოლიტიკას აჭარაში. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა მუდამ ცდილობდა გაეთიშა მცირე ერები ერთმანეთისაგან და ამ გათიშული ერების ასიმილაცია მოეხდინა¹. დიდმპყრობელური პოლიტიკა ხელოვნურად ქმნიდა ისეთ პირობებს, რომ პატარა ერებს დავინყებოდა თავისი წარსული. უპირველეს ყოვლისა, იგი არწმუნებდა აჭარლებს, რომ მას არაფერი საერთო არ აქვს ქართველობასთან. მეფის მთავრობის მოხელეები ჩასჩინებდნენ მოსახლეობას, რომ ქართული კულტურა მისთვის უცხოა. ცარიზმმა განდევნა ქართული ენა სკოლებიდან, სასამართლოდან, ადმინისტრაციული დაწესებულებებიდან. ამ დაწესებულებაში ხელისუფლებას ჰყავდა ოსმალური ენის მცოდნე თარჯიმნები და ამ უკანასკნელთა საშუალებით ელაპარაკებოდნენ ხალხს. ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობისთვის მშობლიური ენის წართმევა ანტიეროვნული მოქმედება იყო: „ადგილობრივმა მაჰმადიანმა მოსახლეობამ კარგად უნდა იცოდეს რუსული ენა. ჩვენ ყველაფერი უნდა ვილონოთ, რათა რუსული მათთვის გახდეს ერთადერთი და მშობლიური ენა. ხოლო მთებში, სადაც ჯერ კიდევ ძლიერია ოსმალური გადმონაშთები, აქაც უნდა ვეცადოთ, რომ რუსულმა თანდათან შეავინრივოს და შემდეგ განდევნოს იგი ხმარებიდან“, - აღნიშნავს 1901 წლის ოფიციალურ წერილში კავკასიის მთავარმართებლის სახელზე ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი.

თვითმპყრობელობა არ კმაყოფილდება მარტო ადგილობრივ პრივილიგიურულ ფენებზე დაყრდნობით და იგი ცდილობდა შეექმნა აჭარაში რუსული მოსახლეობის მტკიცე კერები. ამით ცარიზმს უნდოდა გაეძლიერებინა სამეფო კარის დასაყრდენი საიმედო ელემენტები. მეფის რუსეთს აჭარის სტრატეგიული მნიშვნელობაც არ ავიწყებოდა და სწორედ ამიტომ აჭარაში რუსეთისათვის საიმედო მოსახლეობის

დამკვიდრებაზე ზრუნავდა. რუსი მემამულეები გაჩნდნენ ქობულეთში, მწვანე კონცხზე, ციხისძირში, ბუკნარში, მახინჯაურში და სხვაგან. ამის გარდა წარმოიშვა შიდა გუბერნიებიდან გადმოყვანილ რუს გლეხთა დასახლებული სოფლები. ასეთი სოფლებიდან ყველაზე ადრე **სმეკალოვკა** შეიქმნა. მანამდე, 1883 წელს საფუძველი ჩაეყარა რუსულ სოფლებს ჭოროხის გაღმა², **გოროდოკში** აძლიერებდნენ რუსეთის ჩამოსახლებას. არარუსს გოროდოკში უფლება არ ჰქონდა ეყიდა მიწა და სახლი აეშენებინა. მთავრობამ ფართოდ განიზრახა რუსული ახალშენის მონყობა მურღულის ხეობაში, სადაც მკვირი მოსახლეობა შედარებით შეძლებულად ცხოვრობდა. მთავრობამ მოინდომა ამ ხეობის მკვიდრთა აყრა და აქ რუსული სოფლების მონყობა. 1904 წელს ასეთი გეგმა შესასრულებლად მოსვლია ადგილობრივ მოხელეებს, მაგრამ შეშინებიათ ხალხისათვის ბრძანების გამოცხადება, რადგან ეს გამოიწვევდა აჯანყებას. ბრძანების ნაკითხვა დაავალეს ქართველ მოხელეს ალექსანდრე აბაზაძეს, რომელსაც ვერ გაუბედია დავალების შესრულება. დავით კლდიაშვილი იგონებს: „ერთი ფეხის გადადგმა გამოიწვევდა, ყოველ ეჭვის გარეშე, საშინელ სისხლის ღვრას, დაუსრულებელს, გაუთავებელს, იქნებოდა დიდი მსხვერპლი, შედეგი კი არაფერი. გადმოსახლებულები ამ ადგილებში ვერ მოეწყობოდნენ და ამოიყლიტებოდნენ გაბრაზებულ მკვიდრთა ხელით, როგორც იქნა ეს უცნაური განკარგულება გადაიდო“. იქაც კი, სადაც იძულებით დაასახლეს რუსის გლეხობა, ჩრდილოეთიდან ჩამოსულებმა ვერ იხეირეს. მაგალითად, ჭოროხის გაღმა, თხილნარში, ჩამოსახლებული რუსები ბუნებრივ გარემოს ვერ შეეგუვნენ. მათ არ იცოდნენ სიმინდის მოყვანა, პური კი არ მოდიოდა ნესტიან ადგილებში...

აჭარაში თავისი სურვილითაც მოდიოდნენ დასასახლებლად ფულის მქონე მდიდარი რუსები და ჩალის ფასად ყიდულობდნენ მიწის ნაკვეთებს... 1905 წლისთვის ქობულეთამდე გაჭიმულ რუს მემამულეთა შორის მხოლოდ ერთი ქართველი მიწის მფლობელი- სევასტი ჭელიძე ყოფილა, რომელსაც პატარა აგარაკი ჰქონია გაშენებული. რუსი მემამუ-

ლები შეეცადნენ ქელიძის გაძევებას, მაგრამ იგი მეტად ჯიუტი კაცი ყოფილა, ამოტომ მისი გაძევება ვერ მოუხერხებიათ აგარაკიდან³.

ხელისუფლება ყოველნაირად ხელს უწყობდა აგრესიულ რუს მემამულეებს. ისინი წარმოადგენდნენ ხელისუფლებისათვის საიმედო დასაყრდენს. ერთი ბათუმელი რუსი მემამულე წერდა: „როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი რუსული კულტურისა და რუსული მოქალაქეობის დანერგვის ინტერესების შესაბამისად ერთილა დაგვრჩენია ვისურვოთ, რომ ბათუმის დანარჩენი ნაწილიც გადავიდეს რუსეთიდან გადმოსახლებულთა ხალხში, რადგანაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაამტკიცეს თავისი სრული უუნარობა, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ჯეროვნად გამოეყენებინათ მათ განკარგულებაში მყოფი ოლქის სანაპირო ნაწილი“. ასეთ რუს მემამულე მოსახლეებზე ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებდა. ერთის მხრივ, ეს მოსახლეობა ხელს უწყობდა გარუსების პოლიტიკას და, მეორე მხრივ, მეფის რეჟიმს. იგივე მოსახლეობა უზრუნველყოფდა სტრატეგიულ თავდაცვას, რადგან ამით საიმედო დასაყრდენი ბაზაც მტკიცდებოდა.

ეთნიკურ თავდაცვით საკითხს ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, ეს დასტურდება კავკასიის მთავარმართებლის მიმართვიდანაც ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის სახელზე, რომელშიც მითითებულია: „როგორც უმაღლესი მთავრობა, ისე ადგილობრივი ადმინისტრაცია დღიდან რუსეთის ბატონობის დამკვიდრებისა კავკასიაში, მუდამ ზრუნავდა დაპყრობილი მხარის კოლონიზაციაზე და ამ ამოცანის განსახორციელებლად ხელს უწყობდა ამ მხარეში ნამსახურევი ჯარისკაცების დასახლებას, რომ ამით შეექმნა სტრატეგიული ადგილები, ხელისუფლება აქაც განაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ბათუმის სამხრეთით ზღვის სანაპირო ზოლის, ოსმალთა საზღვრამდე რუსეთიდან გადასახლების საკითხს. აგრეთვე ამას აქვს არა მარტო კულტურული მნიშვნელობა, არამედ პოლიტიკურიც, რადგან იგი უშუალოდ ეხება ოსმალეთის იმპერიას. ადგილობრივი მოსახლეობა ამჟამადაც თავის ერთმორწმუნეთა გავლენაში

იმყოფება, რაც სახელმწიფო ინტერესების მხრივ სრულიად არაა სასურველი"⁴.

აჭარის და საერთოდ კავკასიის შავიზღვისპირეთის კოლონიზაციის შესახებ შესანიშნავ მასალას გვანვდის პეტერბურგელი პროფესორი ფ. პასტერნაცი თავის ნიგნში: „კავკასია- შავიზღვისპირეთის სანაპიროს ციებ-ცხელების შესახებ“, რომელიც გამოვიდა 1900 წელს. მან ორჯერ (1898-1899) იმოგზაურა შავიზღვისპირეთში და იმპერიის მთავრობას წარუდგინა მოხსენებითი ბარათი კავკასიის შავიზღვისპირეთის კოლონიზაციაზე. ის წერდა: „როგორც ცნობილია, უკანასკნელ ხანს ამ სანაპიროზე მოხდა ისეთი მოვლენები, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა დამიკიდებულება ამ მხარისადმი და მიიღო ახალი მიმართულება ამ მხარის დამოკიდებულებაში. ის ჩართული იქნა იმპერიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ამ მხარეში გადავასახლოთ რუსი ადამიანები, რომელთაც უნდა გამოეყოს მიწის დიდი ნაკვეთები, აგრეთვე ის მიწებიც, რომლებიც აქ დატოვეს ტუზემცებმა და ჩერქეზებმა“. შემდეგ ავტორი განაგრძობს: „შავი ზღვის სანაპიროებზე ჩვენ ათასი წლის წინათ მივიღეთ საჩუქრად ჩვენი სულიერი კულტურის ძვირფასი საგანძური. შავი ზღვის სანაპიროებისაკენ იყო მიმართული იმპერიის მთელი ძალისხმევა. ამ ზღვის დაუფლებით ჩვენ გვეხსნება ხელოვნები აღმოსავლეთისაკენ და ეს არის ჩვენი უდიდესი პოლიტიკური ამოცანის გადაჭრა. აღმოსავლეთის სანაპიროს დაპყრობა იმითაც არის საუკეთესო რუსული სახელმწიფოებრიობისათვის, რომ ეს არის საუკეთესო ეკონომიკური გზა აზიიდან ევროპისაკენ, სადაც მიმდინარეობს მსოფლიო საქონლის გაცვლა და სადაც უნდა მოხდეს სავაჭრო პოლიტიკური დაახლოვება ინდოეთთან და შორეულ აღმოსავლეთთან. შავი ზღვის სანაპიროებისაკენ უნდა იყოს მიმართული რუსეთის იმპერიის მთელი ძლისხმევა, რათა გადავაქციოთ ეს ზღვა რუსული ცხოვრების ქვაკუთხედად, მრენველობის განვითარების ძირითად ბაზად და რუსი ხალხის კეთილდღეობის წყაროდ“⁵. როგორც ვხედავთ, ჩინებულად არის გადმოცემული ის მიზნები, რაც ამოძრავებდა ცარიზმს კავკასიის შავიზღვისპირეთის კოლონიზაციის საქმეში.

მეფის რუსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნების რუსიფიკაციის ერთ-ერთ საშუალებას რუსული სკოლა წარმოადგენდა. თვითმყოფლობის კოლონიური პოლიტიკისგატარების მეთოდი ისეთი უხეში იყო, რომ მოსახლეობამ უარყო რუსული სკოლა.ეს გარემოება ანუხებდა ხელისუფლებას და გამოსავალს ეძებდა. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი თავის 1903 წლის საანგარიშო მოხსენებაში წერდა: „ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის ზნეობრივ მდგომარეობაში არავითარ საგრძნობ ცვლილებებს არ აქვს ადგილი. კულტურის გავლენა დანაშაულობათა შემცირებაზედ ჯერ მცირედ შესამჩნევია, რადგან ოლქის უმნიშვნელოვანესი გამტარებელი რუსული სკოლები მცირე რაოდენობისაა, ჯაამებთან არსებულ სკოლებს ე.წ „მედრესეებს“, რომლის რაოდენობა უდრის 257 ერთეულს, ადგილობრივი მუსულმანური მოსახლეობის ცხოვრებაში აქვს რელიგიური ფანატიზმის დაცვის უნარი და ყველა კერძო არა მუსულმანური კულტურის გავლენისაგან განკერძოვების ტენდენცია. ამ სკოლებში სწავლა მისაწვდომია თითოეული მთიელი ბავშვისთვის, რადგანაც იგი იწვევს მეტად უმნიშვნელო ხარჯებს და ასეთი სკოლები ყველა სოფელშია. ამ სკოლების დამლუპველ გავლენასთან ბრძოლა აუცილებელია სამინისტროს მიერ დაწყებითი სკოლების გახსნის საშუალებით. ამ სკოლების გახსნა ხაზინის ხარჯზეა საჭირო, რადგან მოსახლეობას არა აქვს შეგნებული მათი მნიშვნელობა და რადგანაც მაჰმადიანური სამღვდელოების ზეგავლენით იგი უყურებს ამ საქმესინდეფერენტულად და მტრულადაც. ამჟამად არსებულ რუსულ სასწავლებელში მაჰმადიანთა შვილები ნაკლებად შემოდიან. სამინისტროს სკოლებში ამჟამად მყოფი აჭარელთა მოსწავლე-ახალგაზრდობა დაკომპლექტებულია უმთავრესად მცველთა და სხვა მოსამსახურეთა ბავშვებით“...

აღნიშნავს რა ასეთ მდგომარეობას, გუბერნატორი სახავს ღონისძიებებს თუ როგორი საშუალებით იქნება შესაძლებელი აჭარელი ბავშვების მოზიდვა რუსულ სკოლაში. იგი ფიქრობს, რომ ამისთვის ჯერ საჭიროა დაველოდოთ შესაფერი დროს. მანამდე კი აუცილებელია, რომ პირველკურსდამთავრებულებს მისცენ პრივილეგიები, ხელფასიანი ად-

გილები მამასახლისების, მწერლის და პოლიციის სამსახურში მცველების თანამდებობაზედ. გუბერნატორის აზრით, ეს გამოიწვევს შურს სხვებში, რადგანაც ადგილობრივი მოსახლეობა განსაკუთრებით მიისწრაფვის საპატიო ადგილებისაკენ, რაც დაკავშირებულია იარაღის ტარების უფლებასთან და მატერიალურ სარგებლობასთან. გუბერნატორის აზრით, მხოლოდ ამ გზით შეიძლება ადგილობრივი მუსულმანი ბავშვებით რუსული სკოლების შევსება⁶.

მეფის მთავრობა ძირითადად რუსი მოსახლეობისთვის და პრივილეგიური ფენებისათვის ხსნიდა სკოლებს. მაგალითად, მთავრობამ გახსნა ორკლასიანი ნორმალური სკოლები ქობულეთში 1896 წელს, ხულოში – 1897 წელს, ქედაში -1903 წელს. გახსნეს აგრეთვე ერთკლასიანი სკოლები კვირიკეში (1904 წელს), ორთა ბათუმში (1907 წელს), მარადიდში (1909წ).

მეფის მთავრობამ რუსი ჩინოვნიკების შვილებისათვის საკმაო რაოდენობით გახსნა ბათუმში რუსული სკოლები. სამხედრო გუბერნატორი თავის მოხსენებაში წერდა: „სხვა მიმართულება ჩანს ქალაქის მოსახლეობაში, რომელიც წარმოადგენს ხალხთა დიდ სიჭრელს. ქალაქის მოსახლეობის სკოლისადმი შეგნებული დამოკიდებულობის საუკეთესო საზომს წარმოადგენს ის გარემოება, რომ რუსეთის 25 წლის ბატონობის განმავლობაში, ბათუმში 20 სასწავლებელი წარმოიშვა, რომელთა რიგში ვაჟთა კლასიკური გიმნაზია და აგრეთვე ქალთა გიმნაზიაა. მიუხედავად ამისა ეს სასწავლებლები არაა საკმარისი და სწავლის მსურველთა უმეტესობა იძულებულია სხვა ქალაქების სასწავლებლებში შევიდნენ“. მართლაც, ქალაქის რუსულ სკოლათა შორის პირველი ადგილი ეკავა ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიას, რომლის შენობის აგება 1897 წელს დაიწყო ზღვის პირას. 1910 წელს აქ სწავლობდა სულ 409 მოსწავლე, ხოლო 1913 წელს 500 მოსწავლე. ეროვნული შემადგენლობის მხრივ რუს მოსწავლეთა რიცხვი 1910 წელს 133 იყო, ხოლო რუსული ორიენტაციის ქართველთა კი 125, აქედან მუსულმანთა რიცხვი 15 მონაფით განისაზღვრებოდა, მაგრამ ოფიციალური ფურცლიდან არ ჩანს, თუ რამდენი იყენებდა მათ შორის ქართველი მაჰმადია-

ნი. ასევე აღსანიშნავია ქალთა გიმნაზია, სახელოსნო სასწავლებლები, გოგოლის სახელობის სკოლა, ბერძნული სკოლა, რკინიგზის სკოლა და ა.შ.⁷

მეფის დროინდელი სკოლა მიზნად ისახავდა თვითმპყრობელური რეჟიმისადმი მონური სულისკვეთებით გაჟღენთილი თაობის აღზრდას.

დავით კლდიაშვილი იგონებს: ადგილობრივ მოსახლეობას „რუსობას უნერგავდა გულმოდგინედ ოლქის მზრუნველი ზავადსკი, ცნობილი იანოვსკის ნაცვალი. ასეთ ინციდენტს ჰქონდა ადგილი ბათუმში მისი ერთ-ერთი ჩამოსვლის დროს. ბათუმის საქალაქო სასწავლებლის ერთ კლასში მან მოიხმო მოწაფე და შეეკითხა თუ ვინ იყო ის, როდესაც მოსწავლემ უთხრა მისი ვინაობა, ზავადსკი გაბრაზდა და აიძულა მოსწავლე გაემეორებინა მასთან ერთად, რომ ის იყო რუსი. ამ გზით „აძლიერებდნენ“ მეფის რუსეთს“⁸.

მეფის რუსეთი ცდილობდა ქართული ენა საფუძვლიანად ამოეძირკვა სკოლებიდანაც. იბრძოდა, რათა მაჰმადიანი ქართველებისათვის ქართული ენა უცხო ენად ექცია. ცარიზმი ავინროვებდა პროგრესულად მოაზროვნე ქართველ პედაგოგებს, რომლებიც ეროვნულ სულს აღვივებდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში. ცარიზმის ჩინოვნიკების შეფასებით ქართველი პედაგოგები „უბნელებდნენ მოსწავლეებს გონებას, არასწორი მიმართულებით მიჰყავდათ მათი აღზრდის საქმე, უნერგავდნენ ქართულ ნაციონალიზმს!“

აღნიშნულთან დაკავშირებით, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს ადგილობრივმა გუბერნატორმა გაუგზავნა წერილი, რომელიც ეხებოდა ქართველ პედაგოგს მირიან რამიშვილს. მისი დანიშვნა ბათუმის ოლქის სკოლაში ყოვლად მიუღებლად ჩათვალეს. წერილში ხაზგასმულია: „მე იძულებული ვარ გთხოვოთ მიაქციოთ ყურადღება ბათუმის ოლქში სკოლების ისედაც შემცირებულ რაოდენობას... ადგილობრივი მოსახლეობა რელიგიური შეხედულებების გამო ირიბად უყურებს რუსულ კოლებს და ასეთ სკოლებში მასწავლებლად ქართველების დანიშვნა და თანაც პოლიტიკურად არასაიმედოების, ნამდვილად არასასიამოვნოა. ამას ისიც ემატება, რომ ქართველი პედაგოგები ყოველ ღონეს

ხმარობენ გაავრცელონ თავიანთი პოლიტიკური შეხედულებები მაჰმადიანებზე და მათში შეიტანონ ქართული წიგნიერება. ვიმეორებ „ქართული წიგნიერება“... „ქართველებს არა თუ შეუძლია სასკოლო ქსელის გაზრდა ოლქში, არამედ თავისი შმოქმედებით მუსულმანების თვალში ამცირებენ სკოლის მნიშვნელობას და ამიტომ ქართველები არ უნდა იქნან დაშვებული სკოლებში პედაგოგებად... უნდა ვეცადოთ, რომ პედაგოგებად იყონ მხოლოდ და მხოლოდ რუსები იმისათვის, რომ მძლავრი ტემპით დაიწყოს ოლქის სკოლებში რუსიფიკაციის პროცესი“. ამისათვის კი აუცილებელია- როგორც ამას მიუთითებდა გუბერნატორი- რუსული სკოლების მასიური გახსნა. საჭიროა იმუშაონ პედაგოგებად რუსებმა, სომხებმა და თუგინდც მუსულმანებმაც, გარდა ქართველებისა, რომლებმაც კარგად იციან რუსული ენა. ამით ეს მხარე (ბათუმის ოლქი) კიდევ უფრო შეეზრდება რუსულ- ნაციონალურ კულტურას“¹⁰.

შავრაზმელები, რომლებიც მოკალათდნენ განათლების სფეროში, კარებს ურაზავდნენ პროგრესულ იდეებს, აბუჩად იგდებდნენ ხალხის ზნე-ჩვეულებებს, იძულების წესით ნერგავდნენ მათთვის უცხო ტრადიციებს¹¹.

საყურადღებოა ერთი გარემოება, რომელიც შესამჩნევი გახდა რუსეთის კოლონიზაციის დროიდან, კერძოდ იმპერიას თავი არ შეუწუხებია მედრესეების ან სხვა რომელიმე ოსმალური დაწესებულებების შესამცირებლად. პირიქით, როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, რუსეთის მმართველობის დროს კიდევ უფრო გაიზარდა მედრესეების რიცხვი.¹²

განსაკუთრებით გამწვავდა ვითარება 1910 წლისათვის, როდესაც დღის წესრიგში დადგა მოსახლეობის **სამხედრო სავალდებულო სამსახურში განვევის საკითხი**. იმ დროისათვის ბათუმის ოლქში ცხოვრობდა 57 637 კაცი, უმრავლესობა მუსულმანი ქართველი, ქურთები და ხემშილები იყვნენ. მთელი გასანვევი მოსახლეობა შეადგენდა 35%-ს, აქედან გამომდინარე ყოველწლიურად განვეული უნდა ყოფილიყო სულ 364 კაცი. ამდენი რაოდენობის კაცის გამოყვა-

ნა შეუძლებელი იყო, რადგან მაჰმადიანი მოსახლეობა ძნელად თუ შეეგუებოდა ჯარის პირობებს. საიმპერიო ხელისუფლებას სურდა მოეხდაინა განვევა, რადგან მათი შეფასებით მოსახლეობის ჯარში განვევა გამოიწვევდა ადგილობრივი მაჰმადანების მასიურად აყრას მკვიდრი ადგილიდან და გაქცევას ოსმალეთში. აქ კი უნდა განხორციელებულიყო ცარიზმის გეგმა, კერძოდ, რუსული მოსახლეობის მასიურად ჩამოსახლება და იმპერიისათვის არასასურველი ელემენტების თავიდან მოშორება.

აი, რაში მდგომარეობდა სამხერო რეფორმის ძირითადი შინაარსი და მიზანი: „В связи с русским заселением этово района скорее осуществитвится наша гоударственная зфдфча во всем этом богатейшем районе. И для нас будет благоприятна последствие массово ухода ихода инородцев из области".¹³

„აჭარიდან ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივ წასვლას უნდა მივესალმით",- ასეთი იყო ამ ღონისძიების ძირითადი შინაარსი. მეფის მთავრობას ამ გეგმის განხორციელებით საშუალება ეძლეოდა აჭარის ნოყიერ მიწაზე ჩამოსულები დაესახლებინა, რაც ხელს შეუწყობდა ამ მხარის რუსიფიკაციას. იმპერიის მესვეურები ვარაუდობდნენ, რომ: „ведение всеобщей повинности... вызовет бегство и муходжирование большинства населения и вероятно всего мужского населения призывного возраста".¹⁴

მიუხედავად ამ ვერაგული ჩანაფიქრისა, ცარიზმმა ვერ შეძლო სამხედრო რეფორმის ბოლომდე განხორციელება, რადგან ამ რეფორმას 1911 წლის თებერვალში მოჰყვა მღელვარება. იმპერიის მესვეურები იძულებულნი გახდნენ ის შეენწყვიტათ.

ამრიგად, აშკარაა, რომ მეფის რუსეთი აჭარის ინკორპორაციისთვის იყენებდა რუს მოახალშენეთა დიდი მასის ჩასახლებას- რუსული სკოლების შექმნას, სასკლო პოლიტიკას და სამხედრო რეფორმასაც კი, რათააჭარა მტკიცე ღვედებით დაეკავშირებინათ იმპერიის ცენტრალურ გუბერნიებთან და ამოეშანათათ ყოველი ქართული, ტრადიციული.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. რ.კოჭლამაზიშვილი, საქართველოს გლეხურ მეურნეობათა სოციალურ-ეკონომიური ხასიათი, თბილისი, 1975, გვ. 25.
2. აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემოკლებით ასსცსა), ფ.1, აღწ. 1, საქ. 410, ფურც.20.
3. იქვე ფურც.26.
4. იქვე ფურც.41.
5. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი №283, გვ.179.
6. ასსცსა, ფ.1, აღწ.1, საქ. 426, ფურც.11.
7. იქვე ფურც.19.
8. დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათ, 1984,
9. ასსცსა, ფ.1, აღწ.1, საქ.426, ფურც 29.
10. იქვე, ფურც.37.
11. აქვე, ფურც.59.
12. აცსა, ფ.1, აღწ.1, საქ 431, ფურც.3.
13. იქვე, ფურც.8
14. იქვე, ფურც.16.

Otar Gogolishvili

About Some Aspects of Tsarist Colonial Policy in Batumi Region

Summary

Russian Tsarist regime steadily led its national-colonial policy in Adjara. The Tsarist colonial policy always tried to isolate the small nations from each other and then to make their assimilation. The invading policy of Russia artificially created the conditions for small nations to forget their past. First of all, this policy persuaded the Adjarians that they had nothing in common with Georgians. The officials of the Tsarist government constantly

told the people that the Georgian culture was strange for them. The Tsarist policy banished The Georgian language from schools, court, administrative institutions. The government officials spoke to the people by the help of interpreters of the Turkish language. To restrict the native language for the Muslim Georgians was an anti-national step: the local Muslim population must know the Russian language very well. We must do our best to make Russian the only native language for them, and in the mountainous regions, where the Ottoman remains are still strong, we should try that Russian could oppress and gradually abolish its usage“ – one of the military governor of Batumi region mentions in his official letter to the Chief Governor of the Caucasus in 1901.

სელიმ ხიმშიაშვილი

სელიმ ხიმშიაშვილი იყო თავის დროის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, რომელმაც ღირსეული კვალი დაამჩნია ოსმალთა ბატონობისაგან სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლას. მან ისარგებლა მე–18–19 საუკუნეების მიჯნაზე ოსმალთა იმპერიაში გაჩაღებული სეპარატისტული მოძრაობით, თავადაც ჩაება მასში და ორჯერ (1803–1809 და 1812–1815 წლებში) ამაღლდა ახალციხის საფაშოს ტახტზე. (ა. სურგულაძე, გვ. 3). უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სელიმ ხიმშიაშვილს კავშირი და მიმონერა ჰქონდა კავკასიის რუსულ ხელისუფლებასთან, მჭიდრო ურთიერთობა, შეხვედრები და მოყვრობაც კი – ქართველ პოლიტიკოსებთან, ეხმარებოდა იმერეთის მეფეს სოლომონ მეორეს და ქართლ–კახეთის დაუცხრომელ მაძიებელს ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონს. ყოველივე ამის გამო, იგი როგორც ფეოდალური ეპოქის ღვიძლი შვილი, იყო რთული ხასიათის პიროვნება, რომელიც ცდილობდა ქრისტიან ძმებთან და რუსულ ხელისუფლებასთან საკმაოდ გულთბილი ურთიერთობა შეეხამებინა, მოღვაწეობის ადრინდელ ეტაპზე მაინც სულთნისადმი სამსახურსა და ლეკ აბრაგებთან კავშირისათვის (იქვე, გვ. 4)

ასეთი გაორებული პოზიცია საერთოდ ნიშანდობლივი იყო დაშლილ-დანანევრებული სახელმწიფოს მოღვაწისათვის, რომელიც „თავისი“ კუთხის ინტერესებით ცხოვრობდა და ზოგჯერ „სხვა“ ქართული „ქვეყნის“ წინააღმდეგ მოქმედებას საძრახისად არ თვლიდა. ასე იყო ევროპასა და რუსეთში ფეოდალური დაქსასულობის ეპოქაში. ასე იყო საქართველოშიც. ჩანს, ვერც სელიმ ხიმშიაშვილი აცდა ამ „ცხოვრებისეულ“ ტენდენციას, მაგრამ მის საქმიანობაში ეს კი არაა ძირითადი და განმსაზღვრელი, არამედ ის ბრძოლა, რომელიც ასუსტებდა ოსმალეთის იმპერიას, ამაღლებდა ქართველთა პატრიოტულ სულისკვეთებას და ამით აჩქარებდა

რებდა ოსმალეთისაგან მიტაცებული აჭარის განთავისუფლებას.

როდის გაძლიერდა სელიმ ხიმშიაშვილი, იგი სავარაუდოდ, როგორც ან განსვენებული მეცნიერი აბელ სურგულაძე ვარაუდობს XVIII საუკუნის ბოლოს, როდესაც დასუსტდა ახალციხელი ფაშების (ჯაყელთა) ხელისუფლება. ასპარეზზე გამოდის საფაშოს სანჯაყ-ბეგები, რომლებმაც დაიწყეს თავიანთი იმუნიტეტის გაძლიერება, თუმცა საფაშოს ტახტის ხელში ჩაგდება. ცხადია მოძლიერებული ხიმშიაშვილების გვარმაც მიიღო მონაწილეობა ამ ბრძოლაში. მართლაც სელიმ ხიმშიაშვილმაც დაიწყო XVIII საუკუნის 90-იან წლების ბოლოდან საფაშოს ტახტისათვის ბრძოლა და მიზანსაც მიაღწია.

1791 წლის თებერვალში ახალციხის ფაშა სელიმ ჯაყელი გარდაიცვალა და ტახტისათვის ბრძოლაში აჭარელმა სელიმ ხიმშიაშვილმა მხარი დაუჭირა შერიფ სულეიმანის ძე ჯაყელს, თუმცა ახალციხის ტახტზე ავიდა ისაყ ჯაყეასანის ძე ჯაყელი. ამ უკანასკნელმა მოინდომა აჭარის სანჯაყ-ბეგის სელიმ ხიმშიაშვილის დასჯა. თუმცა საქმე სისხლისღვრამდე არ მისულა. ისინი შეარიგეს შუამავლებმა. ამას იუწყება „ახალციხური ქრონიკა“ (შ. ლომსაძე, გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, გვ. 169). მალე შერიფ ჯაყელმა შეძლო ისაყ ჯაყელის დამარცხება და სულთანი ფაქტის წინაშე დააყენა. სულთანმაც მას მიულოცა ახალციხის ფაშობა. შერიფ ფაშამ ვერ შეძლო გაძლოლოდა ახალციხის საფაშოს უნარიანად. მალე მან გუშინდელი მოკავშირეები აიძვდნენ. მათ შორის სელიმ ხიმშიაშვილიც. ამ უკანასკნელმა კი სხვა კანდიდატს დაუჭირა მხარი, კერძოდ საბუდ მეჰმედს და მისი დროშის ქვეშ დადგა. სელიმ ხიმშიაშვილმა შეთქმულება მოაწყო და ტახტზე ფაშად საბუდი აიყვანა 1797 წლის 20 აპრილს ახალციხეში

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შერიფ ჯაყელი არ შეურიგდა თავის ბედს, მან მომხრეები მოაგროვა და საბუდ-ფაშა ახალციხის ტახტიდან ჩამოაგდო და თავად გახდა ფაშა. მათ შორის დაიწყო ახალციხის საფაშოს ტახტისთვის ბრძო-

ლა, რომელშიც სელიმ ხიმშიაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებს, მან დახმარება თავის მოყვრებს გურიელებს სთხოვა. თავის მხრივ გურიელმა რუსულ ხელისუფლებას, მაგრამ შერიფ ხიმშიაშვილმა მოახერხა იმერეთში გახიზნული საბუღ-ფაშა ჯაყელის მოკვლა. ამან კი სელიმ ხიმშიაშვილს მისცა საბაზი თავად გამხდარიყო ახალციხის ფაშა. მან საბუღ ფაშას მომხრეები შეაგროვა და თავის მომხრეებთან ერთად შერიფ ფაშას შეუტია, მით უმეტეს, მას მიემხრო ყარსის ფაშა. ისინი ისე სწრაფად მოქმედებდნენ, რომ შერიფ-ფაშამ ვერ მოასწრო ჯარის შეგროვება, იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა ახალციხე. და ოლთის გაქცეულიყო. სადაც სელიმი მიუხდა დიდად აზარალა და შერიფ ფაშა ჯაყელი აქედანაც გააქცია.

თურქეთის იმპერიის ხელისუფლებამ სერიოზული ყურადღება მიაქცია ახალციხის საფაშოში მიმდინარე ბრძოლებს და ახალციხის ფაშად სხვა დანიშნა, ხოლო მოადგილედ გადასახადის აკრეფის თვალსაზრისით კი სელიმ ხიმშიაშვილი. რამაც გაანაწყენა ეს ამაყი ფეოდალი და იგი აჭარაში გადავიდა გულმოსული.

როგორც მკვლევარი აბელ სურგულაძე მიუთითებს, ახალციხის რაჯაბ ფაშას დიდი კვალი არ დაუმჩნევია, რადგან ახალციხეს ფაქტიურად სელიმ ხიმშიაშვილი განაგებდა. (აბ. სურგულაძე, გვ. 34) მალე 1803 წლის 21 სექტემბერს სულთნისაგან სელიმის ახალციხის ფაშად დამტკიცების ამბავი მოვიდა (შ. ლომსაძე, გვ. 195).

ახალი ფაშა შეუდგა ხელისუფლების განმტკიცების გზას. მას რამდენიმე შებრძოლება ჰქონდა ფაშას ტახტის პრეტენდენტებთან, იგი დამარცხდა, თუმცა მალევე აღიდგინა თავი ფაშად, როგორც ან განსვენებული მეცნიერი ფიქრობს ამით იგი ასუსტებდა ოსმალეთის იმპერიას და აჩქარებდა მის დაშლას. (აბ. სურგულაძე, გვ. 36).

ახალციხის საფაშოს ტახტისათვის ბრძოლაში გამარჯვებით სელიმ ხიმშიაშვილი იმპერიის სამოხელეო იერარქიის ერთ-ერთ უმაღლეს საფეხურზე შედგა. ამიერიდან იგი იყო ოსმალთა იმპერიის ვრცელი ტერიტორიული ერთეული ჩილდირის ვილაიეთის (ახალციხის) ბეგლარბეგი. მას ეპყრა

მთელი სამხედრო და ადმინისტრაციული ხელისუფლება და თავის საგამგეო ტერიტორიაზე ქონდა ისეთივე განუსაზღვრელი უფლებები, როგორც სულთანს იმპერიაში.

სელიმ ხიმშიაშვილს სამი თული ჰქონდა. ე.ი. უმაღლესი ხარისხის ფაშობა. ეს არა მარტო იმიტომ, რომ ახალციხე ახლა როგორც რუსეთის მოსაზღვრე ოლქი, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული იყო, არამედ იმიტომაც, რომ აქაურ ფაშას ოფიციალურად ემორჩილებოდა ვრცელი მიწა-წყალი, მასვე ექვემდებარებოდა ფოთის გარნიზონიც, რაც ცხადია ზრდიდა მის ხელისუფლებას.

როგორც ცნობილია ახალციხის ფაშას სელიმ ხიმშიაშვილის ურთიერთობა ამიერკავკასიის რუსულ ხელისუფლებასთან 1803 წლის ზაფხულიდან დაიწყო. 21 აგვისტოს ფაშას მოადგილე სელიმ ყიფიანი ბარათს უგზავნის კავკასიის მთავარმართებელ ციციანოვს და აცნობებს სელიმის დამტკიცებას ბეგლარბეგად და დასძენს, რომ ... ბეჯითი ვიქნებით თქვენდამი, ხალისით გავწევთ თქვენთვის სასარგებლო სამსახურს. .. ღვთის დახმარებით ისიც და მეც ვეცდებით დღეიდან ვიყოთ თქვენი კეთილი და პირველი მეგობრები, როგორც ადრე ვასრულებდით, რამდენადაც შეგვეძლო, ისე ახლაც შევასრულოთ თქვენი ნება და ბრძანება“. (AKAK; T. II. სტრ. 894).

კავკასიის რუსული ხელისუფლების მიმონერა სელიმ ხიმშიაშვილთან თავდაპირველად სასაზღვრო სადავო საკითხებს მოიცავდა, შემდეგ კი მისი შინაარსი გაფართოვდა და შეეხო ახალციხეში ლეკთა დასაყრდენის მოშლას, ტახტის მაძიებლებისათვის შესაძლო დახმარების აკრძალვას, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების სამინაო საქმეებში ჩარევის აღკვეთას, რუსეთ-ახალციხის ურთიერთობას და სხვ.

როცა 1806 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის ომი გაჩაღდა, ახალციხის ფაშამ თავი მოიავადმყოფა და ამით რუსეთს დიდი სამსახური გაუწია. ასეთ პირობებში კავკასიის რუსულმა ხელისუფლებამ ახალციხის ფაშას ოფიციალურად შესთავაზა რუსეთის მფარველობა. საამისოდ თითქოს ხელსაყრელი პირობები არსებობდა. 1808 წელს სულთანის კარზე

განხორციელდა მორიგი სახელმწიფო გადატრიალება, რომელსაც დიდი არეულობა და პროვინციების განდგომა მოჰყვა. რუსთა კავკასიის სარდლობის ვარაუდით შეიძლებოდა ამ სიტუაციის გამოყენება საკითხის უმტკივნეულოდ გადწყვეტისათვის (ნ. ქართუა, გვ. 281).

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის ცენტრალური ხელისუფლებისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა ყარსისთვის ბრძოლის დროს სელიმის ავადმყოფობა და მისი საექვო კავშირი რუსეთთან. ამას ზედ დაერთო ახალციხის საფაშოში არეულობა, რომელშიც მისი ერთი ვაჟი იყო გარეული. ასეთ დროს მისი გადასვლა რუსეთის მფარველობაში ხსნაც კი იყო სელიმისათვის. იგი გამოეხმაურა რუსული ადმინისტრაციის წინადადებას, ხელი მოეწერა ტრაქტატისათვის ახალციხის შესვლისა რუსულ მფარველობაში. რისთვისაც სელიმს გენერალ-ლეიტენანტის წოდებას მიანიჭებდნენ.

ამით, ახალი ეტაპი იწყებოდა ახალციხის საფაშოს ისტორიაში. სელიმ ხიმშიაშვილი აღმოჩნდა ის პირველი ჭეშმარიტი მოღვაწე, რომელმაც არა მარტო სიტყვიერად განაცხადა უარი სულთანის მორჩილებაზე, არამედ საქმით სცადა იმპერიის შემადგენლობიდან გამოსვლაც, რაც არსებითად ოსმალეთის კლანჭებიდან ამ მხარის გამოსხნა-განთავისუფლებას ნიშნავდა.

სამწუხაროდ, ყველაფერი დაგვიანებული აღმოჩნდა. მიმოსვლაში, მფარველობაში შეხვედრის პირობების დაზუსტება-დადგენაში და საქმის სარგებლობის ანონვა-დანონვაში ძვირფასი დრო დაიკარგა. ამასობაში ინიციატივას შერიფ ჯაყელი დაეპატრონა, მან ახალციხის საფაშოს მეჯლისიც აუმხედრა რუსეთის მფარველობაში შესვლისათვის, ამ უკანასკნელმა კი იგი გადააყენა და სელიმი იძულებული გახდა აჭარას წასულიყო, რადგან 1809 წლის შუა ნოემბერში შერიფ ჯაყელმა იგი დაამარცხა.

ახალციხის საფაშოს ტახტის დაკარგვით ს. ხიმშიაშვილი თითქოს ბედს უნდა შერიგებოდა მაგრამ არა, დაკარგულის დასაბრუნებლად მან აქტიური ბრძოლა დაიწყო. იგი ამ მიზნით დაუკავშირდა რუსულ ხელისუფლებას კავკასიაში

და დახმარება სთხოვა, რომ იგი შევიდოდა რუსულ მფარველობაში. სამაგიეროდ ბრძოლაში დახმარება და ფულით მიშველიება ითხოვა (AKAK; ტ. IV. სტ. 790). მან ამ საქმეში შუამავლად გურიელი ჩართო. ასეთ ვითარებაში რუსული ხელისუფლება მზად იყო. ყოველივე შეესრულებინათ, რასაც ითხოვდა სელიმ ხიმშიაშვილი. მაგრამ რუსულმა ხელისუფლებამ მალე გააუქმა იმერეთის სამეფო და სოლომონ მეორე შეიპყრო. რამაც საფუძვლიანი ეჭვი აღუძრა სელიმს და ვერ მიენდო რუსულ ხელისუფლებას. მან კარგად დაინახა, რომ ცარიზმი ადრე თუ გვიან ვერ მოითმენდა ახალციხის საფაშოს არსებობას და მასაც გააუქმებდა.

სელიმ ხიმშიაშვილი მეორედ ახერხებს ახალციხის ფაშას ტახტზე ასვლას, თუმცა ძალიან მწირი ცნობები გაგვაჩინია მისი მეორედ ტახტზე ასვლის შესახებ, თუმცა ცნობილია, რომ მხოლოდ ის, რომ ამ თანამდებობის შესანარჩუნებლად მას ცვალებადი წარმატებით ეწევა 1812–1814 წწ. სისხლისმღვრელი ბრძოლის გადატანა შერიფ ჯაყელთან. ამ მიზნით შავშეთშიც მოუხდა რამდენჯერმე გაიმარჯვა და თითქოს პოზიციებიც გაიმაგრა–განიმტკიცა. ამავე დროს არც რეპრესიებს ერიდებოდა (აბ.სურგულაძე, გვ. 73). 1813 წლის 13 თებერვალს „ანყვერის ალა მოკლა“. იმავე წლის 10 აპრილს „მოაკვლევინა ვალეს ორი ძმა და ბაირახტარი“; ათი დღის შემდეგ კიდევ აზრუმელი ოსეფა მოკლა ფაშამ“. 13 ივნისს ახალციხეში „დაახრჩობინა შაქარიშვილი ფოცოი“ (შ.ლომსაძე, გვ. 219). რეპრესიების მიუხედავად, ს. ხიმშიაშვილის მდგომარეობა მაინც მძიმე რჩებოდა. სულთანის მთავრობას იგი კარგა ხანია შერისხული ჰყავდა–არზრუმის ახალდანიშნულ ფაშა სულთანის ბრძანებით ლაშქარს აგროვებდა ტახტის მიმტაცებელი ფაშას წინააღმდეგ და რუსეთთან საექვო კავშირისათვის შემჩნეული ფაშას დასასჯელად. ერთადერთი იმედი იყო მოკავშირე, სელიმს კი იგი არ ყავდა და არც პერსპექტივაში ეგულვებოდა. საერთოდ მას შეეძლო ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გურიის მთავრის გამოყენება, მაგრამ სელიმი უმცდაროდ სჭვრეტდა, რომ მოყვარისაგან ამჯერად მხოლოდ მორალური მხარდაჭერა თუ ექ-

ნებოდა. საქმე იმაში იყო, რომ მამია გურიელი რუსეთის ქვე-შევრდომი იყო, ხოლო რუსეთის ოსმალეთთან 1812 წლის ზავით ეკრძალებოდა თურქეთის საწინააღმდეგო ქმედებები. რაკი სულთანის ხელისუფლება სელიმ ხიმშიაშვილს მემამბოხედ და თვითმარქვიად მიიჩნევდა, რუსეთიც ასე უნდა მოქცეულიყო და ამიტომ იყო მთავარმართებელ რტიშჩევის დაპირება არზრუმის ფაშისადმი, რომ „რუსეთში ვერსად ვერ ნახავს ვერც მფარველს, ვერც თავშესაფარს, ვიდრე ჩვენს ორ მაღალ სახელმწიფოს შორის იარსებებს მშვიდობა და მეგობრობა“.

სელიმის წინააღმდეგ ერთდროულად გამოვიდნენ ტრაპიზონის 12 ათასიანი და არზრუმის ფაშას 15 ათასი მხედრობანი. ძალთა უთანასწორობის გამო, დამარცხებული სელიმი ახალციხიდან გადადის თავის საგვარეულო ციხე ხიხანში (დ. კოჟორიძე, გვ. 108). მან დიდი დანაკლისი უკუაგდო თურქთ ჯარები, რომლებიც რამდენჯერმე დაესხნენ თავს მის თავშესაფარს. (AKAK; ტ. IV. სტრ. 790).

სამნუხაროდ, როგორც ყოველთვის ციხე შიგნიდან გატყდა, ლალატი. ამჯერად უახლოესმა თანამებრძოლმა, ციხისთავმა უმუხთლა და განირა იგი, ქრთამის საფასურით, ლამით ხიხანის კარები გახსნა და მტერი მძინარე სელიმს თავს დააყენა. 1815 წლის 31 მაისს ს. ხიმშიაშვილი შეიპყრეს, ციხიდან დაბლა, სოფელ ბაკოს ჩამოიყვანეს და ადგილობრივი მცხოვრებთა თვალწინ თავი მოკვეთეს.

ზ. ჭიჭინაძის ცნობით დასჯის წინ სელიმ ხიმშიაშვილს თურმე განუცხადებია თურქებისათვის „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალეთს სამუდამოდ არ შერჩება. ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავეუტოვებო“. წარმოსთქვა თუ არა ეს სიტყვები სელიმ ხიმშიაშვილმა ძნელი გასარკვევია დღეისათვის, რადგან დოკუმენტი არ არსებობს, ხოლო ზეპირი გადმოცემით ამის გამგონე ხალხი დღეს აღარ არსებობს.

სელიმ ხიმშიაშვილის ოჯახს რაც შეეხება, მისი ორი შვილი საქართველოში გამოიქცა, კერძოდ მოყვრებთან გურიისაში, დანარჩენი ახალციხეს წაიყვანეს მკაცრი ზედამხედ-

ველობის ქვეშ. მამია გურიელმა შემოხიზნულ მოყვრებს კავკასიის მთავარმართებელთან ხლება და დახმარება გამოთხოვა ურჩია. მაგრამ მათ პირად წვევას ამჯერად ერთგული ხაზინადარის მუსტაფა ალას (კეკელიძე) გაგზავნა არჩიეს და მას გაატანეს აჯა – ვედრება. (ი. სიხარულიძე, რამდენიმე საბუთი სელიმ ხიმშიაშვილზე, გვ. 83).

ბუქარესტის ზავიდან გამომდინარე კავკასიის მთავარმართებელი სელიმის შვილებს ოფიციალურად ვერ აიყვანდა მფარველობაში, იგი მამია გურიელს სთავაზობდა თავისთან ჰყოლოდა, როგორც კერძო პირები და თუ ისინი მოინდომებდნენ სადმე წასვლას, მათთვის ხელი შეეწყობო.

სულთანს მალე შეუწყალებია სელიმის შვილები, მათთვის აჭარაში ყმა-მამულიც დაუბრუნებია (შესაძლოა მას აფიქრებდა რუსთა კარზე შეხიზნული ხიმშიაშვილები და ამიტომაც დაუბრუნა მამულები). ახმედ და აბდი ბეგებმა ამჯობინეს თავიანთ მამულებს დაბრუნებოდნენ და განდევნილობას და სხვის კარზე უმადურად ცხოვრებას ისევ ძველებური პატივი და დიდება არჩიეს. მათ სულთანის ერთგულებაზე დაიფიცეს. ამის საფუძველზე ახმედმა მამის სახელოც დაიბრუნა და 1816 წლიდან აჭარის სანჯაყ-ბეგის თანამდებობაზეა.

რაც შეეხება სელიმ ხიმშიაშვილის საფლავს, როგორც მკვლევარი ი. სიხარულიძემ გაარკვია იგი უნდა იყოს სოფ. ნიგაზეულში დასაფლავებული (ი. სიხარულიძე, სელიმ ხიმშიაშვილის საფლავი, გვ. 85).

უნდა აღინიშნოს, რომ სელიმ ხიმშიაშვილს დიდი ისტორიული მისიის შესრულებლა მოუწია. ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლებისაგან განდგომით. სამშობლოსაკენ ლტოლვით, იგი უდაოდ, პროგრესულ საქმეს აკეთებდა. პროგრესულს იმიტომ, რომ აჩქარებდა ოსმალთ ბატონობისაგან ქართული მიწების გამოხსნის დიდმნიშვნელოვანი ამოცანის წარმატებით გადანყვეტას.

ფაქტი ერთია, „სამუსლიმანო საქართველოს“ პოლიტიკოსთა შორის სელიმ ხიმშიაშვილმა პირველმა გააკეთა უდიდესი საქმე, როდესაც უარყო სულთნის მორჩილება და რუსეთის მფარველობაში შესვლით სცადა იმპერიის შემადგენ-

ლობიდან სამცხე – საათაბაგოს გამოსხნა–განთავისუფლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბ. სურგულაძე, ბათ. 1988 – აბ. სურგულაძე, სელიმ ხიმშიაშვილი, ბათ. 1988 წ.
2. შ. ლომსაძე, თბ. 1979 – შ. ლომსაძე, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, თბ. 1979 წ.
3. ნ. ქორთუა, თბ. 1964 – ნ. ქორთუა, საქართველო 1806–1812 წლების რუსეთ–თურქეთის ომში, თბ. 1964 წ.
4. ი. სიხარულიძე, ბათ. 1961 – ი. სიხარულიძე, რამდენიმე საბუთი სელიმ ხიმშიაშვილზე; ჟურ. „ლიტერატურული აჭარა“, ბათ. № 4, 1961 წელი.
5. ი. სიხარულიძე, ბათ. 1961 – ი. სიხარულიძე, სელიმ ხიმშიაშვილის საფლავი, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, თბ. № 6, 1961 წელი.
6. АКАК; Т. II – Акти Кавказской Археографической комиссии, Т. II, Тф. 1868 г.
7. АКАК; Т. IV – Акти Кавказской Археографической комиссии, Т. IV, Тф. 1870 г.
8. ხ. ახვლედიანი, ბათ. 1956 – ხ. ახვლედიანი, სახალხო გამანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, თბ. 1956.
9. შ. მეგრელაძე, თბ. 1956 – შ. მეგრელაძე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათ. 1956 წ.

Vladimer Tsverava

Selim Khimshiashvili

Summary

Selim Khimshiashvili was an eminent public figure among his contemporaries, who left an indelible mark on the liberation struggle against the Ottoman domination in South Georgia. He made use of the arousal of the separatist movement in the Ottoman Empire at the turn of the 18/19th centuries; he himself got involved into it and ascended the Akhaltsikhe Pasha's throne twice (1803-1809 and 1812-1815 yrs.). He had close relations with Mamia Gurieli, the prince of Guria and the Russian authorities in the Caucasus. He tried his hardest regarding Akhaltsikhe Eyalet to be under the protection of Russia.

It is noteworthy that Selim Khimshiashvili happened to undertake a historic mission of the greatest importance. Undoubtedly, he was acting progressively through his separation from the central government and aspirations towards the homeland. It was progressive since he hastened the controversy solution process to be successful concerning the release of the Georgian lands from the Ottoman rule.

No one can deny that Selim Khimshiashvili was the first to do a tremendous job among the politicians from "Muslim Georgia" in the way that he refused to subordinate to the Sultan and through the attempt to come under the protection of Russia, he made a step towards liberating Samtskhe –Saatabago from the Ottoman Empire.

მაყვალა გოგუა

1953-1956 წლების ყირიმის ომი და ქართველები

XVIII ს. მეორე ნახევარში ოსმალეთის იმპერია ღრმა ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. ეცემოდა მისი სამხედრო ძლიერება, ძლიერდებოდა ოსმალთა მიერ დაპყრობილ ხალხთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. გაჩაღდა დიდ სახელმწიფოთა ბრძოლა ოსმალეთის იმპერიის სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიური პოზიციების ხელში ჩაგდებისათვის, რომელიც დიპლომატიის ისტორიაში აღმოსავლეთის საკითხის სახელწოდებითაა ცნობილი.

ამ საკითხის გადაჭრასთანაა დაკავშირებული XIX ს-ის რუსეთ-თურქეთის ომები. ამიტომაც მას აღმოსავლეთის ომებს უწოდებენ. მაგრამ ვინაიდან 1853-1856 წლების აღმოსავლეთის ომის ძირითადი საბრძოლო ოპერაციები ყირიმის ნახევარკუნძულზე გაიშალა. ეს უკანასკნელი ყირიმის ომის სახელწოდებით შევიდა ისტორიაში.

XIX ს-ის დასაწყისიდან ცარიზმმა აღმოსავლეთში დიდ წარმატებებს მიაღწია. საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის რუსეთის შემადგენლობაში შევიდა.

რუსეთი აუმჯობესებდა თავის პოზიციებს აღმოსავლეთში, რომელმაც 1833 წელს უნჯიარისკეისის ხელშეკრულებით გადამწყვეტი გავლენა მოიპოვა თურქეთზე. 1840-1841 წლების ლონდონის კონვენციებით ინგლისმა შეძლო გაეუქმებინა რუსეთის უპირატესობა თურქეთში. 1833 წლის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულებამ ძალა დაკარგა და ამიერიდან ფაქტიურად გაძლიერდა თურქეთის დამოკიდებულება ინგლისზე. 1848-1849 წლების რევოლუციებმა ევროპის მონარქთა ძლიერება შეარყია.

XIX ს-ის შუა წლებში ინგლისსა და საფრანგეთში სამრეწველო კაპიტალიზმი აყვავებას განიცდიდა. ყველაზე მეტად ინგლისის ინტერესები ახლო და შუა აღმოსავლეთში ეჯახებოდა ცარიზმის სამხედრო-ფეოდალურ მიზნებს. ავსტრიას თავისი ინტერესები ჰქონდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ამიტომ მტრული პოზიცია დაიკავა რუსეთის მი-

მართ. საფრანგეთის იმპერატორი ლუი ნაპოლეონი ცდილობდა აღედგინა პირველი იმპერიის დიდება. მის გეგმებში დაპყრობითი ლაშქრობების პროგრამა ისახებოდა. მას სურდა გაეუქმებინა 1815 წლის ხელშეკრულება და ჰეგემონობა მიეღო ევროპაში. პრუსიის მონარქი ფრიდრიხ II ოფიციალურად ნიკოლოზ I-ის ერთგული რჩებოდა.

ომისათვის ემზადებოდნენ თურქეთის აგრესიული წრეები, რომლებსაც სურდათ ოსმალთა იმპერიის ყოფილი დიდების აღდგენა. კერძოდ, წარსულ ომებში დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება და ამიერკავკასიაზე კვლავ თავისი ბატონობის აღდგენა.

რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე თურქები შეუდგნენ თავისი ძალების კონცენტრაციას საქართველო-ამიერკავკასიის საზღვრების გასწვრივ. 1853 წლის სექტემბრის დასასრულისათვის ყარსთან 50000 კაცი-საგან შემდგარი თურქების რეგულარული ჯარების კორპუსი იდგა. ეს კორპუსი 65 ზარბაზნით იყო აღჭურვილი. არდაგანთან იდგა რაზმი 14 ზარბაზნით, ბაიაზეთში დაახლოებით ასეთივე შემადგენლობის რაზმი იყო, ხოლო ბათუმის ახლოს თურქებმა 10 000 ჯარისკაცისაგან შემდგარი კორპუსი გადმოსხეს (ბურჭულაძე ე., 1960:200).

მიზეზებით და ხარისხით ყირიმის ომი მეომარ მხარეთა მხრივ უსამართლო, დაპყრობითი ომი იყო. იგი მხოლოდ მაშინ გახდა პოპულარული, როდესაც საბრძოლო ოპერაციებმა რუსეთის ტერიტორიაზე გადაინაცვლეს. ინგლის-საფრანგეთის და თურქეთის ჯარები ყირიმსა და კავკასიაში შეიჭრნენ და ცეცხლს მისცეს ქალაქები და სოფლები.

ქართველი ხალხის მონაწილეობა ამ ომში რუსეთის მხარეზე თავიდანვე სამართლიანი, პროგრესული ხასიათის მოვლენა იყო, რადგან მის მიზანს შეადგენდა მხოლოდ სამშობლოს დაცვა და საქართველოს იმ მინაწყლის გათავისუფლება, რომელიც ჯერ კიდევ ოსმალეთს რჩებოდა.

ყირიმის ომში მოპოვებულმა გამარჯვებებმა შეუმსუბუქეს რუსეთს მდგომარეობა. ამ გამარჯვებაში დიდი დამსახურება მიუძღვის ქართულ მილიციასაც.

ომის უშუალო საბაბი გახდა “პალესტინის წმინდა ადგილების“ საკითხი. XIX ს-ის 50-იანი წლების დასაწყისში კათოლიკურ და მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის დავა

ატყდა “ნმინდა ადგილების” გასაღებებზე უფლებათა შესახებ. XVIII ს-მდე “ნმინდა ადგილებს” კათოლიკური ეკლესია ბატონობდა. XVIII ს-ის შემდეგ კი ეს უფლება მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მოიპოვა. დავას “ნმინდა ადგილები-სათვის” არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. აქ იმალებოდა სხვა, უფრო სერიოზული მიზეზი, კერძოდ ახლო აღმოსავლეთში გავლენათა სფეროების გაყოფისათვის ბრძოლა.

რუსეთის არმიის გააქტიურებამ აღმოსავლეთში განაპირობა ოსმალეთთან ინგლისისა და საფრანგეთის დაახლოება. 1853 წლის 3 ივლისს რუსეთის 80 ათასიანი არმია თავად გორჩაკოვის მეთაურობით მდ. პრუტზე გადავიდა და მოლდავეთის და ვლახეთის ოკუპაცია მოახდინა.

დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლები კონფლიქტის მოსაგვარებლად ვენაში შეიკრიბნენ. ოსმალეთის მთავრობამ უარი თქვა რაიმე მოლაპარაკებაზე რუსეთთან. ნიკოლოზ I სცადა კავშირი დაემყარებინა პრუსიასა და ავსტრალიასთან, მაგრამ უშედეგოდ.

კავკასიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართული მილიცია, რომელიც პირველად 1803 წელს შეიკრიბა გენერალ ციციანოვის ორგანიზებით. მან თავი ისახელა ჭარბელაქანზე ლაშქრობის დროს. რუსეთ-ირანის (1804-1813 წწ) და რუსეთ-თურქეთის (1806-1812წ.) ომებში.

მე-19 ს-ის პირველ მესამედში ქართული მილიცია არსებითად ისეთივე რჩებოდა, როგორც იყო საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, ფეოდალური ლაშქრის სახით. ქართულმა მილიციამ დიდი როლი შეასრულა 1826-1828 წლების რუსეთ-ირანის, 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომებში. 30-იანი წლების დამდეგს ცარიზმმა მიზანშეწონილად ჩათვალა ქართული მილიციის რეგულირება და 1831 წელს პირველად კავკასიაში მისგან ქვეითი ლეგიონ შეიქმნა იასე ანდრონიკაშვილის მეთაურობით.

კავკასიის მოსახლეობისაგან 1853 წელს შედგა 92 ასეული. ომის დასაწყისში კავკასიაში ბრძოლისათვის მზად იყო 41 ქვეითი ბატალიონი, 26 ესკადრონი, კაზაკთა 45 ასეული, კავკასიის ხალხთა 32 ასეული და 130 ქვემეხი (მეგრელიძე შ., 1974:12).

კავკასიის ცალკე კორპუსის სარდლობა დიდ იმედებს ამყარებდა აჭარლებისა და ზღვისპირეთის მცხოვრებლებზე,

რომელნიც ვორონცოვის სიტყვებით, მას “სამსახურს თავა-ზობდნენ“. ოსმალები ამ დროს შეეცადნენ გზა-კვალი აებნი-ათ ოსმალთა ბატონობაში მყოფ ქართველი მოსახლეობი-სათვის და თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ ადგი-ლობრივი მოსახლეობა.

გახშირდა თავდასხმები საზღვრისპირა გურიის სოფ-ლებზე. ინგლისელები და ოსმალები შეთანხმებულად მოქმე-დებდნენ. ამიტომ მათ წარმატებაში ეჭვი არ ეპარებოდათ.

1853 წლის 15 ოქტომბერს, ომის ოფიციალურად გამოცხადე-ბამდე, 5 ათასი თურქი თავს დაესხაშეკვეთილს, რომელსაც მხოლოდ ორი ასეული (250 კაცამდე) იცავდა. გარნიზონი უთანასწორო ბრძოლაში ჩაება და კარგა ხანს გამირულად იგე-რიებდა მტერს (მეგრელიძე შ. 1974:13). შეკვეთილის ბრძოლა-ში განსაკუთრებით ისახელა თავი გურულმა მილიციამ და მისმა მეთაურმა გრიგოლ გურიელმა, რომელმაც იქ სასიკ-ვდილო ჭრილობა მიიღო. დაჭრილი მეთაური მილიციელებმა გამოიყვანეს ბრძოლის ველიდან. ამის შემდეგ გურიელმა ერ-თი თვე იცოცხლა. სიცოცხლის წინ გ.გურიელმა თავის თანა-მებრძოლებს ასე მიმართა: “ნუ ფიქრობთ ჩემზე, ჩემი სიკვდი-ლი ერთი კაცის სიკვდილია, გაამართლეთ ნდობა, დაამტკი-ცეთ, რომ ისევ ის გურულები ხართ, რომელთა მიწა ოსმალე-ბისათვის ყოველთვის სამარე იყო“. გრიგოლ გურიელის დაჭ-რის შემდეგ მილიციის უფროსობა მისმა ვაჟიშვილმა 16 წლის იესე გურიელმა იკისრა. ოსმალებმა მაინც მოახერხეს შეკვე-თილის დაკავება. ისინი სასტიკად მოექცნენ მოსახლეობას. შეიპყრეს ხუცესი და თავი გადახერხეს. მაგრამ ამის შემდეგ კავკასიაში 1853 წელი ბრწყინვალე გამარჯვებებით აღინიშნა.

პირველი გამარჯვება წილად ხვდა გენერალ-მაიორ ი.ორბელიანს. 1953 წლის ოქტომბერში ნოვგოროდის პოლ-კის მეთაურმა მსცოვანმა, მაგრამ ნიჭიერმა და გამოცდილმა გენერალმა იასონ ჭავჭავაძემ ერთი ასეული გაგზავნა ბაინ-დურისაკენ. მზვერავებმა დიდი მამაცობა გამოიჩინეს ოს-მალთა ცხენოსან ჯართან ბრძოლაში.

ამას მოყვა ილია ორბელიანის რაზმის საკმაოდ წარმა-ტებული ბრძოლა. მტერმა იკადრა გაქცევა. გაქცეული მტრის დევნა და ოსმალთა 30 ათასიანი კორპუსის სრული განადგურება წარმოუდგენელი იყო იმ მცირე ძალებით, რო-მელიც ორბელიანს გააჩნდა.

1853-1856 წლების ომის წინ 1844 წელს შავშეთში, აჭარაში, იმერხევში, ქობულეთსა და სამხრეთ საქართველოს სხვა რაიონებში დიდი აჯანყება მომხდარა აბდი-ბეგის შვილის სელიმ-ბეგის მეთაურობით. ეს აჯანყება მიმართული ყოფილა რეფორმების წინააღმდეგ. (ახვლედიანი ხ.1957:106).

1853 წლის 4 ნოემბერს ოფიციალურად გამოცხადდა მეფის მანიფესტი თურქეთთან ომის შესახებ. ქართველი ხალხი ამ ცნობას განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდა. თურქების აქტიურობა აღინიშნებოდა მცირე აზიაში. ისინი ამოქმედნენ ახალციხესთანაც. ალყაში მოაქციეს გენერალ-მაიორი კოვალევსკი. მისი ხსნა დაევალა გენერალ-ლეიტენანტი ი.ანდრონიკაშვილს. ბრძოლა გაიმართა აწყურთან. ანდრონიკაშვილთან შეტაკება თურქებმა ვერ გაბედეს, ალყა მოხსნეს და უკან დაიხიეს. როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, ახალციხის დამცველები დიდი ალტაცებით შეხვდნენ გენერალ ანდრონიკაშვილს და მის არწივებს. ქართველი ხალხი თურქებთან პირველ გამარჯვებას ზეიმობდა. ახალციხის ბრძოლის მონაწილეები უხვად იყვნენ დაჯილდოებულნი. რუს რეგულარულ ჯართან ერთად დაჯილდოებული იყვნენ ქართული მილიციის 150-მდე მეთაური და მებრძოლი (საქ.ისტორიის ნარკვევები. ტ.5. 1970:199). გენერალმა ანდრონიკაშვილმა წარმატებით დაასრულა ოპერაცია. ამ დამსახურებისათვის მიიღო მან წმინდა გიორგის მესამე კლასის ორდენი.



განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გამოჩენილი ქართველი მხედართმთავრის, პოეტ გრიგოლ ორბელიანის ძმის გენერალ ილია ორბელიანის გმირობა, რომელსაც ბრძოლა მოუხდა ბაინდურთან. მას ცოლად ჰყავდა საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ქალიშვილი.

ილია ორბელიანი თავისი ჯარით შეებრძოლა თურქთა ჯარს 1853 წლის 31 ნოემბერს – ბაშკადიკლარის რაიონში. ამ ბრძოლაში მას გულის არეში ორი სასიკვდილო ჭრილობა მიყენეს. იგი ალექსანდრეპოლში გარდაიცვალა.

ბაშკადიკლარის ბრძოლაში თავი გამოიჩინა ბაგრატიონ-მუხრანელმა, ილია ორბელიანის ბიძაშვილმა იოსებ ორბელიანმა, რომელიც ბატალიონს მეთაურობდა. საბრძოლო დიდების ფავორიტი გახდა კავალერიის ლეგენდარული წინამძღოლი გენერალი იასონ ჭავჭავაძე. მას ეხმარებოდა ზაქარია ჭავჭავაძის ესკადრონი. წმინდა გიორგის მეოთხე კლასის ორდენით დაჯილდოვდეს ამ ბრძოლის გმირი კაპიტანი ზაქარია ჭავჭავაძე, თავი გამოიჩინა კაპიტან ა. ქავთა-რაძის ორმა ბატალიონმა და ორმა ასეულმა. ბაშკადიკლარის ბრძოლის იშვიათ შემთხვევათა შორის აღმოჩნდა პროპორშიკ ი. ანდრონიკაშვილის გმირობაც. ამ ბრძოლაში შედეგი გამოიღო და ბრწყინვალე გამარჯვება მოუპოვა რუსთა მხედრობას. ამ გამარჯვებამ დიდი როლი შეასრულა ადმირალ ნახიშოვის მიერ თურქეთის ესკადრის განადგურებაში. ბრძოლა ოთხი საათი გრძელდებოდა. ტყვედ ჩავარდა ოსმალთა სარდალი და რამდენიმე ინგლისელი ოფიცერი. სინოპის ყურე გახდა მოწმე ხის იალქნიანი ხომალდების უკანასკნელი ბრძოლისა.

1853 წლის კამპანია ორივე ბალკანეთისა და კავკასიის ბრძოლის ასპარეზზე ოსმალთა მძიმე მარცხით დამთავრდა.

1853 წლის ბოლოს და 1854 წლის დასაწყისში ინგლის-საფრანგეთის ფლოტმა აიძულა რუსეთის ფლოტი თავი სევასტოპოლს შეეფარებინა. ცარიზმმა განწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა საფრანგეთსა და ინგლისთან. იგი აღმოჩნდა ევროპის სახელმწიფოთა და ოსმალეთის კოალიციის წინაშე.

1853-1854 წლების ზამთრის პერიოდში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო საზღვრისპირა გურია, რომელსაც გამუდმებით უტყევდნენ ქობულეთის მხრიდან. 20 დეკემბერს შეტაკება მოხდა სოფელ ქაქუთთან, 21 დეკემბერს კი

შეტაკება მოხდა ქახათის საგუშაგოზე. გურული მილიციის გმირობამ და მამაცობამ ამ ბრძოლებში მთავარსარდლობის განცვიფრება გამოიწვია.

ამ ბრძოლაში თავი გამოიჩინეს მეთაურებმა ლევან და დავით გურიელებმა, ალ. თავდგირიძემ, იმერეთის თავადებმა სიმონ ნულუკიძემ, გრიგოლ წერეთელმა, ანტონ ერისთავმა. 1854 წ. ზაფხულში სოფ.თოხლიაურში დაიწყო ქართული დრუჟინის ფორმირება (ანდრონიკაშვილის ინიციატივით). გათვალისწინებული იყო 400 კაცის განწვევა. მოხალისედ გამოცხადდა 800 ვაჟკაცი.

ქართულ ცხენოსან დრუჟინას მეთაურობდა თავადი გიორგი ჯანდიერი, რომელსაც განსაკუთრებული მამაცობისათვის მეტ სახელად “დროშ გიორგის“ უწოდებდნენ. (საქართველოს ისტორიის ნარკვევები.1970:205).

1854 წელს ომი კავკასიაში ახალ ფაზაში შევიდა. თებერვალში ვორონცოვმა კავკასია დატოვა. ზამთრის შესვენებით ისარგებლეს თურქებმა და ანატოლიაში 120 ათასიან არმიას მოუყარეს თავი. კავკასიის კორპუსი ბრძოლის ასპარეზზე კვლავ ორ ნაწილად იყო გაყოფილი, რომელთაგან ერთს ვ.ბეხუთოვი სარდლობდა, ხოლო მეორეს გენერალი ანდრონიკაშვილი. 1854 წელს პირველი საბრძოლო მოქმედება გურიაში გაიშალა. ი.ანდრონიკაშვილმა გურიის რაზმს ოზურგეთიდან უკან დახევა უბრძანა. ეს დროებითი უკანდახევა იყო. საზღვრებიდან უკან დახევის შემდეგ გურიის რაზმი განლაგდა მდ.რიონის ორივე მხარეს. ინგლისისა და საფრანგეთის ომში ჩართვით გამხნეებულმა ოსმალებმაც მალე დაიწყეს ფართო ფრონტით მოქმედება და ერთდროულად შემოუტიეს საქართველოს ბათუმიდან, ანაკლიიდან და სოხუმიდან.

მტერმა ცეცხლს მისცა გურიის სოფლები. თუმცა ამ წარუმატებლობამ კიდევ უფრო გააქტიურა გურიის მილიცია. ოსმალთა ჯარებს ბრძოლა მოუხდა პოლკოვნიკ ნ.ერისთავთან, რომლის ჯარს წინ მოუძლოდა რენეგატი ჰასან ბეგ თავდგირიძე, ასევე რენეგატი ფაშები დუმბაძე და მაჭავარიანი. შეტაკება მოხდა შუხუთში. აქ თავი გამოიჩინა იმერეთის მილიციამ 75 წლის ქაიხოსრო მიქელაძის მეთაურობით. გურიანთელმა გოგია კუპრაძემ დროშა მოსტაცა თურქებს. ნიგოეთის რაზმის წარმატებამ საშუალება მისცა გენერალ ანდრონიკაშვილს ოზურგეთისაკენ დაძრულიყო.

1854 წლის 4 ივნისს გაჩაღდა ცნობილი ბრძოლა. ამ ბრძოლაში ორი ჭრილობა მიიღო ასეულის მეთაურმა ნიკო ჭავჭავაძემ. სასიკვდილო ჭრილობა მიიღო ქართულ ცხენოსან დრუჟინის მეთაურმა პოლკოვნიკმა ჯანდიერმა და მისმა მოადგილემ კაპიტანმა ციციშვილმა. ბრძოლის ველზე დაეცა იმერელ მოქალაქეთა საგვარეულოს ასეულის მეთაური 75 წლის ქაიხოსრო მიქელაძე.

ჩოლოქის ბრძოლაში სელიმ-ფაშას არმია სრულად განადგურდა. ნიგოეთის გმირი ნიკო ერისთავი პეტერბურგს გაიგზავნა. იქ მას პოლკოვნიკობა უბოძეს. იგი წმინდა გიორგის მე-4 კლასის ორდენით დააჯილდოვეს და ალ. ნეველის ორდენი უბოძეს.

ჩოლოქზე გამარჯვებამ უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია მთელ საქართველოში. განსაკუთრებით დიდი ზეიმი იყო ქუთაისში. 12 ივნისს ქუთაისში ჩავიდა გენერალი ანდრონიკაშვილი. ცერემონიაზე, რომელიც მის საპატივცემულოდ ჩატარდა გენერალს მიართვეს ბრძოლის ველიდან ჩამოტანილი ნადავლი ქვემეხები, რომლებზეც სულთან აბდულ მეჯიდის სახელი ეწერა.

8 ივლისს ჩოლოქის ბრძოლის მთელი ნადავლი თბილისში ჩამოიტანეს და მეფის ნაცვლის სასახლის ერთ დარბაზში გამოაფინეს. 1854 წლის 24 ივლისს დილის 6 საათზე ყარააღლის მთების სამხრეთ-დასავლეთ ფერდობებზე სოფ. ქიურუქდარასთან გენერალური ბრძოლა გაჩაღდა (მეგრელიძე, 1974:33).

ამ ბრძოლაში თავი გამოიჩინეს პორუჩიკმა ერისთავმა, კოლეგიის მდივანმა ბარათაშვილმა, მაიორმა ჭავჭავაძემ.

ერთ-ერთი ნაწილის ღირსეული მეთაური აღმოჩნდა ერევნის კარაბინერთა ლეგიონის მესამე ბატალიონის პოლკოვნიკი იოსებ დავითის ძე თარხან-მოურავი, რომელმაც წმინდა გიორგის მე-4 კლასის ორდენი დაიმსახურა. წმინდა გიორგის მე-4 კლასის ორდენით დაჯილდოვდა ასევე კაპიტანი ალექსი გაბრიელის ძე ქავთარაძე.

დიდი იყო ნიჟეგოროდის პოლკის მეთაურის გენერალ-მაიორ იასონ ჭავჭავაძის დამსახურება. მას ბრძოლაში ორი ცხენი მოუკლეს. მესამე ცხენზე კი თითონ დაჭრეს. ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა გრენადერთა პოლკის უნტერ-ოფიცერი გაგნიაშვილი.

გურიაში ოსმალების შემოსევის პარალელურად ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოში შამილის მეთაურობით მიუზრდობის შემოსევასაც. შამილი საინგილოში შემოიჭრა და ზაქათალისა და ბელაქნის ციხეების აღებას ლაშობდა. მაგრამ ქართველთა და რუსთა რაზმებმა გენერალ გრიგოლ ორბელიანის მეთაურობით ალაზანზე მომდგარი მტერი უკუაგდეს. შამილის ამ დივერსიას არავითარი გავლენა არ მოუხდენია ომის საერთო მსვლელობაზე (დუმბაძემ. 1853:222-223).

1854 წლის ზაფხულში კახეთს თავს დაესხა შამილი, ამ ლაშქრობის დროს ტყვედ აიყვანეს გენერლის და პოეტის ალ.ჭავჭავაძის ოჯახი. შამილის ლაშქრობას კახეთში აღამაჰმად ხანის მიერ საქართველოს დარბევას ადარებენ. “გურიის რაზმი” და მთელი საქართველო დიდი მწუხარებით შეხვდა ცნობას ჯანმრთელობაშერყეული გენერლის ივანე ანდრონიკაშვილის გადადგომის შესახებ. იგი შეცვალა გრენადერთა ბრიგადის მეთაურმა გენერალ-მაიორმა ბაგრატიონ-მუხრანელმა.

ამის შემდეგ, “გურიის რაზმი” თავდაცვით პოზიციებზე გადავიდა გურიასა და სამეგრელოში. 1854 წლის ზაფხულში ოსმალებმა მოკავშირეებთან ერთად მარცხი განიცადეს საზღვაო ბრძოლებში.

ყირიმის ნახევარკუნძულზე ბრძოლებში თავი ისახელეს ქართველმა სამხედრო მოღვაწეებმა: პირველ რიგში უნდა დავასახელოთ გენერალ-მაიორ ნიკოლოზ ბორისის ძე გარსევანაშვილი. მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ინკერმანის ბრძოლაში 1854 წლის 24 ოქტომბერს. ასევე მამაცურად იბრძოდა შტაბსკაპიტანი ივანე იაგორის ძე მაჩაბელი. მაჩაბელი წმინდა გიორგის კლასის ორდენით დააჯილდოვეს. იგივე ორდენი უბოძეს მე-11 ფლოტის ეკიპაჟის ლეიტენანტ გიორგი დიმიტრის ძე გედევანიშვილს. ყირიმში იბრძოდა გენერალ-მაიორ მაკერ თომას ძე ორბელიანი. იგი საგანგებო პარტიზანულ რაზმს მეთაურობდა, ხოლო შემდეგ ევპატორში საგანგებო “მფრინავ რაზმს“.



ივანე ამილახვარი



ნიკოლოზ გარსევანიშვილი

1855 წელი შეიქმნა მილიციის ფორმირებები. ახალციხესა და ახალქალაქში იყო ახალციხის ცხენოსან მილიციელთა ორი და ქართული ლაშქრის 8 ასეული, ხოლო გურიის რაზმში 82 ასეული და 12 ათასამდე ცხენოსანი და ქვეითი ქართველი მილიციელი.

ოსმალთა ჯარების გადმოსხმა საქართველოში მხოლოდ სევასტოპოლის აღების შემდეგ გახდა შესაძლებელი 1855 წ. 2 სექტემბერს ბათუმში 8 ათასიანი ჯარი გადმოსხეს. მთელი სექტემბრის განმავლობაში ბათუმში, ყულევსა და ტრაპიზონში გრძელდებოდა ოსმალთა ჯარების გადმოსხმა (საქ.ისტორიის ნარკვევი. 1970:211).

ომის დასასრული ეტაპი ორი დიდი ოპერაციით აღინიშნა. ეს იყო ომერ-ფაშას კორპუსის შეჭრა აღმოსავლეთ საქართველოში და ბრძოლა ყარსისათვის.

ომერ-ფაშას იმედი ქონდა, რომ ცარიზმის კოლონიური რეჟიმით უკმაყოფილო კავკასიის ხალხები მას მიემხრობდნენ აიღებდა ქუთაისს და თბილისისაკენ აიღებდა გეზს. ყარსზე მიშველებას ომერ-ფაშა ბათუმის გავლით აპირებდა. ქართული ლაშქარი უშუალო მონაწილეობას იღებდა ყარსის იერიშში. იგი 17 სექტემბერს დაიწყო. და მარცხით დამთავრდა. დანაკარგი 11 ათასამდე კაცს აღწევდა. დაიღუპა 248 ოფიცერი და რამდენიმე გენერალი. მათ შორის მრავლად იყვნენ ქართველებიც. 1855 წელს აჭარის მთებიდან დაბრუნებულმა ომერ-ფაშამ ჯარები აფხაზეთში გადასხა. 1855 წლის ოქტომბერში ომერ-ფაშა აფხაზეთში გადავიდა. მოკლე

დროში ყარსზე დახმარების პრობლემა მოიხსნა. მან გადამწყვიტა დაზამთრება- მდე დაეკავებინა სამეგრელო და გურია. ხოლო 1856 წლის გაზაფხულზე შეტევა განევიტარებინა დასავლეთ საქართველოს სიღრმეში. ფაშამ პირველად აფხაზეთის მთავრის ძმებთან დიმიტრი და გრიგოლ შერვაშიძეებთან სცადა დაკავშირება, მაგრამ ვერ შეძლო მათ შორის არსებული უკმაყოფილების გამოყენება.

ასე სამარცხვინოდ დამთავრდა თურქთა ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში.

1856 წლის 13 (25) თებერვალს დროებით ხელშეკრულება გაფორმდა რუსეთსა და მის მონინაალმდეგებს შორის და საომარი მოქმედება შეწყდა.

1856 წლის 18 (30) მაისს ხელმონერილი იქნა პარიზის ხელშეკრულება. სევასტოპოლი და მისი მიდამოები რუსეთს დაუბრუნდა. სამაგიეროდ თურქეთს გადაეცა რუსთა ჯარების მიერ დაკავებული ყარსი, ყარსისა და ბაიაზეთის საფაშოები. დიდმა ქვეყნებმა იკისრეს ოსმალეთის მთლიანობის დაცვა. შავი ზღვის სრუტეები ნეიტრალურად გამოცხადდა და მხოლოდ სამხედრო გემებისათვის ჩაიკეტა. ბესარაბია მოლდავეთს გადაეცა.

ომი კავკასიაში რუსეთისათვის რთულ პირობებში მიმდინარეობდა, მაგრამ თუ იგი აქ მაინც გამარჯვებით დასრულდა. ამაში როგორც აკადემიკოსი ე.ტარლე აღნიშნავდა “ამიერკავკასიის და პირველ რიგში ქართველი ხალხების პატრიოტულ, ჭეშმარიტად მტკიცე, მამაცურ თავდადებას“. 1853-1856 წლების ყირიმის ომში ქართველი ხალხის ღვანლს დავინყება არ უნერია. დიდი პატივისცემით და მოკრძალებით შეაფასებს მას ყოველი პირუთვნელი მემატიანე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შ.მეგრელიძე “საქართველო აღმოსავლეთის ომებში“ თბ. 1974 წ.
2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. თბ. 1970 წ. ტ. 5.
3. ხ.ა.ახვლედიანი “სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“ ბათუმი. 1956 წ.
4. ე.ბურჭულაძე “ყირიმის ომი და საქართველო“ თბ. 1960 წ.
5. მ.დუმბაძე “აღმოსავლეთ კახეთის (საინგილო) ისტორიიდან“ თბ. 1953 წ.

Makvala Gogua

1953-1956 years Crimean war and Georgians

Summary

1953-1956 years Russia-Turkey war was served to the „East Issue“ resolution. It’s known as Crimean war. In this war, the Georgians have made enormous sacrifices and shown their heroism examples. The article also deals with these issues.

**სახელმწიფო უსაფრთხოების ზოგიერთი
საკითხი საქართველოში ისტორიულად
და თანამედროვე პირობებში**

სახელმწიფოთა თანაარსებობის ისტორიაში უძველესი პერიოდიდან მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებს. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება კონტრდაზვერვითი ორგანიზაციების საქმიანობაა. აღნიშნული საქმიანობა უცხო ქვეყნების სადაზვერვო ქმედებების ერთ-ერთი ძირითადი დაზიანების ობიექტია. თუ სადაზვერვო ქმედების შინაარსი დაზიანების ორგანოებში მდგომარეობს, კონტრსადაზვერვო ორგანიზაცია დაზიანების თავიდან აცილების პრევენციულ ზომებს მოიცავს, რათა თავიდან იქნას აცილებული სადაზვერვო ქმედებებიდან მომდინარე საფრთხეები. სწორედ ამიტომაც აუცილებელი, შესაბამისი ინტელექტუალური და გამოცდილების მქონე თანამშრომლებით უზრუნველყოფილი საკადრო ორგანიზაცია. ჯერ კიდევ ძველ სპარსეთში სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აქციების, გამოსვლების, საიმპერიო მოხელეთა მექრთამეობის სიხშირის გამო საჭირო იყო პრევენციული ღონისძიებების გატარება, რადგან ამ ქმედებებში ორგანიზატორის როლი უცხო სახელმწიფოებს ჰქონდათ დაკავებული.

აღნიშნულ საკითხებს ადრიდანვე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჩვენს ქვეყანაში. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა **დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდი**. ამ დროს სამეფოს მძლავრი სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სისტემა გააჩნდა. ერთ-ერთ ძირითადი მიზანი კი „მსტოვარ-მზირთა“ ინსტიტუტის შექმნა-განვითარება იყო. „მსტოვარ-მზირთა“ ერთ-ერთ ძირითად მოვალეობას ქვეყნის შიგნით მოლაღატე ფეოდალთა და მათი კავშირების ხასიათის დადგენა წარმოადგენდა. „ლიპარიტ ამირამ იწყო მათვე მამა-პაპეულთა კუალთა სვლა და როცა დავითმა ეს შეიტყო ინება განურთა მისი შეიპყრო და დილეგში ჩასვა“. (ალადაშვილი ბ., 2009:14., ასევე „ქართლის ცხოვრება“,

2002:325). კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის თვალსაზრისით ასევე საყურადღებოა ქვეყანაში არსებული წეს-წყობილების ძალადობრივი დამხობის ორგანიზაციაში ეჭვმიტანილ პირთა შორის სადაზვერვო ქმედებების ორგანიზაცია. სწორედ ამიტომ დავით აღმაშენებლის კონტრსადაზვერვო ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი ადგილი იმდროინდელ ვაჭრებს ჰქონდათ დაკავებული, რომლებიც ქვეყნის შიგნით აქტიურად გადაადგილდებოდნენ. ყოველივე ეს კი განპირობებული იყო იმდროინდელი სადაზვერვო საფრთხეებით, რომლის ორგანიზაციას უცხო სახელმწიფოები ადგილობრივი ფეოდალების მეშვეობით ახორციელებდნენ.

ზემოთდასახელებული საკითხები აქტუალური იყო შემდგომ ეპოქებშიც, თუმცა ისტორიული ბედუკუღმართობის გამო უსაფრთხოებითი სისტემა თანდათანობით მოირყა.

საქართველოს უსაფრთხოებისა და კონტრსადაზვერვო ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდია 1918-1921 წლები. საქართველოს სახელმწიფო, დამოუკიდებლობამდე და მის დაკარგვამდე პერიოდში აქტიურ სადაზვერვო კონტროლს ექვემდებარებოდა. განსაკუთრებულად აქტიურობდა საბჭოთა რუსეთი და თურქეთი, რომლებთანაც საკუთარი ინტერესების დასაცავად სატელიტის როლში შესაბამისად სომხეთი და აზერბაიჯანი მოღვაწეობდნენ. სადაზვერვო აქტიურობით გამორჩეული იყო აჭარის რეგიონი. უცხო სახელმწიფოებმა საქართველოში და შესაბამისად აჭარაში ხელი შეუწყეს კრიმინოგენული, სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური დაძაბულობის ინსპირირებას, რასაც ხელს უწყობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული არასწორი გადაწყვეტილებები (არასწორი საკადრო და ეკონომიკური პოლიტიკა, სტრატეგიული პარტნიორის არასწორი შერჩევა და სხვა). საქართველოს ხელისუფლების სტრატეგიული პარტნიორი სახელმწიფოს გერმანიის ცალკეული ქმედებანი საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ იყო მიმართული. გერმანიის სადაზვერვო ქმედებებში გამორჩეულია ისეთი ოპერატიული საქმიანობა როგორცაა პროგერმანული განწყობის მოპოვება, რომლის მიზანსაც პრორუსული, პროთურქული, პროინგლისური განწყობების ნეიტრალიზებას ისახავდა მიზნად. გერმანიამ ამოწურა რა სტრატეგიული პარტნიორის სტატუსი, მისი ჩანაც-

ვლება საქართველოს ხელისუფლებამ ინგლისის სახელმწიფოს მემწეობით განახორციელა.

გამორჩეულია ინგლისის სადაზვერვო აქტივობა აჭარაში, კერძოდ: „კუკ-კოლის ინგლისელი აგენტების ორგანიზებით აჭარის დედასამშობლოსაგან მონყვეტის მიზნით სისტემატიურად ხორციელდებოდა იდეოლოგიური (პრესის, მიტინგების მეშვეობით) და პრაქტიკული სახის ძირგამოთხრელი საქმიანობა“ (დავით კუხალაშვილი: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შექმნა, ჩამოყალიბების და საქმიანობის ისტორიიდან, 2006 წ. თბილისი, გვ. 80). პრესას საზოგადოების ცნობიერების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია. გამოდის რომ, ინგლისელებმა შეძლეს წარმატებული სადაზვერვო იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული საქმიანობის წარმოება, რისთვისაც ზემოაღნიშნულს აქტიურად იყენებდნენ.

ინგლისელთა მხრიდან განხორციელებულ სადაზვერვო აქციებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას რელიგიური შუღლის ინსპირირება წარმოადგენდა. შერჩეული იყო ზემოქმედების ძირითადი ჯგუფი: აჭარაში ქრისტიანულ მოსახლეობასთან ერთად მცხოვრები ქართველი მუსლიმები. ამავე მეთოდს იყენებდა თურქეთის სადაზვერვო სამსახურებიც.

აზერბაიჯანის სადაზვერვო სამსახური მოქმედებდა დამოუკიდებლად და იყენებდა იგივე მეთოდს. გამოდის რომ, ზემო აღნიშნული ქვეყნების სპეცსამსახურებს რელიგიური შეღწევადობის კუთხით სადაზვერვო მიზნიდან გამომდინარე შეეძლოთ შეეღწიათ როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში, ისე სასულიერო წრეებში.

საბჭოთა იმპერიის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის სპეცსამსახურების ძირეული რეორგანიზაცია. თავდაპირველად სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის „სუკ“-სი ბაზაზე შეიქმნა **თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების სამმართველო** <http://www.resonancedaily.com/index.php?id=rub=2&idartc=3095>), (რომელსაც კონტრდაზვერვითი ფუნქციებიც ჰქონდა შეთავსებული. შემდეგ ჩამოყალიბდა „საინფორმაციო სადაზ-

ვერვო სამსახური”, მოგვიანებით სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო – „სუს”, რომელსაც გამოეყო საგარეო დაზვერვის სამსახური და დღეს დამოუკიდებელი სპეცსამსახურია **„საქართველოს დაზვერვის სამსახურის”** სახელწოდებით. ამავე დროს ყოფილი საბჭოთა „სუკი”-ის (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი) მე-9 სამმართველოს ბაზაზე შეიქმნა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური - **„სდს”**, რომლის ძირითი ფუნქციაა სახელმწიფო მეთაურის, პრემიერ-მინისტრის, კანონით გათვალისწინებული მაღალი თანამდებობის პირების, სამთავრობო დანესებულებების, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის დაცვა, 2004-2005 წლებში დანყებული რეფორმის შედეგად უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სისტემა გაერთიანდა და თავი მოიყარა შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში, რომელმაც იარსება 2005-2015 წლებში. აღნიშნულმა რეფორმამ თავის მხრივ გამოიწვია იმდროინდელი სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს გაუქმება. ბოლოდროინდელმა რეფორმებმა კი სახელმწიფო უშიშროება კვლავ ცალკე უწყებად გამოყვეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახით, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს კი მხოლოდ პოლიციური ფუნქციები დარჩა. არ უნდა აგვერიოს თვითონ სამართალდამცავი და სპეციალური სამსახურების ფუნქციები. სპეციალური სამსახური არ არის სამართალდამცავი უწყება არამედ იგი წარმოადგენს სპეციალურ ორგანიზაციას, სახელმწიფო ინსტრუმენტს, რომლითაც სახელმწიფო ახორციელებს იმ ძირითადი საშინაო თუ საგარეო საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას, ანალიზსა და პრევენციას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ეროვნული ინტერესების, სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ქვეყნის შიგნით და საგარეო ასპარეზზე, ხოლო რაც შეეხება სამართალდამცავ ორგანიზაციებს მათ ძირითად ფუნქციას სწორედ დანაშაულთან, კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლასა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას წარმოადგენს. აქვე აუცილებელია შევეხოთ იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო უშიშროების გამოყოფა და ჩამოყალიბება სამსახურის და არა სამინისტროს სახით, ასევე მისი ხელმძღვანელის 6

ნლით თანამდებობაზე არჩევა, რომელსაც აუცილებლად მოეთხოვება ძალოვან უწყებაში შესაბამისი გამოცდილების ქონა, ქმნის არამარტო სტაბილურობის გარემოსა და თანამშრომელთა კარიერული წინსვლის პერსპექტივას, არამედ სამსახურის ეფექტური მუშაობის წინაპირობადაც უნდა განვიხილოთ. იმის გათვალისწინებით, რომ სპეციალური სამსახურები წარმოადგენენ საკმაოდ კონსერვატორულ ტრადიციულ ორგანიზაციებს ნებისმიერი რეფორმა ან ცვლილება განსაკუთრებულად სწორედ, რომ აღნიშნულ ორგანიზაციებში იგრძნობა, შესაბამისად სტაბილურობისა და თანამშრომელთა კარიერული წინსვლის ხელშეწყობა, სამსახურის ეფექტური მუშაობის საფუძველს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ალადაშვილი ბესიკ, მსტოვრობის ისტორია საქართველოში, 2009;
2. ქართლის ცხოვრება, 2002;
3. დავით კუხალაშვილი: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შექმნა, ჩამოყალიბების და საქმიანობის ისტორიიდან, თბილისი, 2006 წ.
4. სადაზვერვო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი;
5. სულაძე გელა, ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები, 2012;
6. <http://www.resonancedaily.com/index.php?id=rub=2&id-arte=3095>;
7. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2930985> – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დებულება;
8. საქართველოს კანონი კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ;
9. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2012.

რუსუდან კობრავა

ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის ისტორიიდან

ბათუმი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრი – თვითმმართველი ქალაქია. მის მმართველობას განსაზღვრავს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის“ შესახებ. იგი ამოქმედდა 2005 წლის 16 დეკემბრიდან, თუმცა ქალაქის თვითმმართველობას გაცილებით დიდი ხნის ისტორია აქვს.

ბათუმის საკრებულოს დაარსება და ჩამოყალიბება დაკავშირებულია მასშტაბურ გეოპოლიტიკურ პროცესებთან. 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში რუსების გამარჯვების შემდეგ 1878 წ. 25 აგვისტოს დღის 2 საათზე ბათუმში შემოვიდა რუსული ჯარი სვიატოპოლკ-მირსკის მეთაურობით. ამავე პერიოდისათვის საქართველოში მიმდინარეობდა მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით.

სწორედ ამ პერიოდში რუსეთის იმპერიის ხელისუფლება შეუდგა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ტაო-კლარჯეთის და განსაკუთრებით ბათუმის ინტეგრაციას რუსული სახელმწიფოს ფარგლებში. ბათუმს, როგორც სამხედრო-სტრატეგიული, ასევე ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის იმპერიის უკიდურესი სამხრეთ საზღვრების გამაგრებისათვის. ამ მიზნების განხორციელებისათვის საჭირო იყო გარკვეული ღონისძიებების გატარება. უპურველესად ახალი წესრიგის შემოღება (გ.ტოტოჩავა გაზეთი „ბათუმური ქრონიკები, 2008). პირველი ნაბიჯი იყო საპოლიციო მმართველობა. 1878 წ. ბათუმის პოლიცმაისტერად დაინიშნა დურმიშხან ჟურული, რომელიც ქალაქს განაგებდა სახლმფლობელებისა და ვაჭრებისაგან არჩეული 3-4 დეპუტატის დახმარებით. საპოლიციო მმართველობის დროს ბათუმს საოლქო მმართველობიდან გამოყოფილი ცალკე ფინანსები ჰქონდა.

1885 წ. ბათუმის 90 მცხოვრებმა კავკასიის მთავარ-

მმართველის სამოქალაქო ნაწილს გადასცა თხოვნა ქალაქში თვითმმართველობის შემოღების შესახებ. თხოვნაში ნათქვამი იყო, რომ ბათუმში თვითმმართველობის შემოღება ხელს შეუწყობდა ქალაქის კეთილმოწყობას და სხვა საკითხების ადგილზე გადაწყვეტას. ამ თხოვნის წინააღმდეგი წავიდა ბათუმის მაშინდელი პოლიცმანისტერი ვოზნესენსკი, რომელმაც თავისი უარი დაასაბუთა მოტივით-ბათუმს ინტელიგენცია არ ჰყავსო. ამ და სხვა მიზეზების გამო ეს საქმე შეჩერდა 1887 წლამდე (Месхи, 1906:483-485)

მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაცია გრძნობდა, რომ სწრაფად მზარდი ქალაქის დატოვება პოლიციის გამგებლობაში დიდხანს არ შეიძლებოდა. ბათუმის ოლქის ყოფილი სამხედრო გუბერნატორის გენერალ-მაიორ გროსმანის დაჟინებული მოთხოვნით ქუთაისის გუბერნატორი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბათუმში შემოეღოთ საქალაქო მდგომარეობა. ამ მიზნით – მოსამზადებელი სამუშაოების წარმოებისათვის 1887 წ. ნოემბერში შეიქმნა კომისია კ.ა. სევერინის თავმჯდომარეობით. კომისიამ შეადგინა საარჩევნო სიები, რომელიც დაამტკიცა გუბერნატორმა, მაგრამ შემდეგ კომისიის მოქმედება შეჩერდა და საქმის წარმოება გადაეცა საპოლიციო სამმართველოს. საბოლოოდ 1888 წ. 25 აპრილს მოვიდა იმპერატორის ბრძანება შემოღებულიყო ბათუმში საქალაქო მდგომარეობა 1870 წ. იმ შეზღუდვებით, რომ თვითმმართველობასთან არ ყოფილიყო სამშენებლო განყოფილება (ის იყო დამტკიცებული მხოლოდ 1900 წელს) და ქალაქის თავის თანამდებობა პირველ ოთხ წელს ყოფილიყო არა არჩევითი, არამედ დანიშნითი კავკასიის მთავრობის მიერ (Гурская, 1901:34-35). ამ ბრძანების შესრულება დაევალა ახალ კომისიას, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა კავკასიის მთავარმართველის კანცელარიის მოხელე კ. დ. გაგრონსკი.

1870 წ. რუსული საქალაქო დებულების შესაბამისად, მოქალაქეს უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო თვითმმართველობის არჩევნებში, თუ იგი აკმაყოფილებდა შემდეგ პირობებს: 1. იყო რუსეთის ქვეშევრდომი; 2. იყო 25 წლის და მეტი ასაკის; 3. ქალაქში ფლობდა უძრავ-მოძრავ

ქონებას და იხდიდა შესაბამის გადასახადს, ან ჰქონდა სავაჭრო-სამრეწველო დანესებულება და გააჩნდა ფასიანი სანებართვო მოწმობა; 4. მასზე არ ირიცხებოდა გადასახადთა ნარჩენები. მოსახლეობის ეკონომიკური კატეგორიების შესაბამისად ყალიბდებოდა სხვადასხვა თანრიგის სამი საარჩევნო კრება. პირველ თანრიგში შედიოდნენ მსხვილი მესაკუთრეები (სახლმფლობელები, ვაჭარ-მრეწველები), მეორეში-სამუშალო შეძლების მოქალაქენი, მესამეში კი ის წვრილი მესაკუთრეები, რომლებიც იხდიდნენ გარკვეულ საქალაქო გადასახადს. ყოველი თანრიგი ირჩევდა სათათბიროს ხმოსანთა მესამედს.

საქალაქო თვითმმართველობის განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენდა სათათბირო, რომლის ხმოსანთა რაოდენობა, ქალაქის სიდიდის შესაბამისად 36-დან 150 კაცამდე მერყეობდა. სათათბიროს უფლება-მოვალეობაში შედიოდა ქალაქის თანამდებობის პირთა არჩევა და მათი ხელფასების განსაზღვრა, ქალაქის შემოსავალ-გასავლის ბიუჯეტის დამტკიცება, თვითმმართველობის სახელით კრედიტის აღება, საქალაქო საქმეთა განხილვა, სხვადასხვა საკითხზე მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა და სხვ.

საქალაქო სათათბირო ირჩევდა მის წინაშე ანგარიშვალდებულ გამგეობას, რომელსაც აღმასრულებელი ფუნქციები ეკისრებოდა. გამგეობაში რამდენიმე კაცი შედიოდა და იგი ქალაქისათვის თავმჯდომარეობით მუშაობდა. სათათბირო ქმნიდა მუდმივ და დროებით მოქმედ კომისიებს, რომელთაც ევალებოდათ საქალაქო მეურნეობის ცალკეულ სფეროთა ხელმძღვანელობა ან განსაკუთრებული რთული საკითხების დამუშავება და მნიშვნელოვანი პროექტების შედგენა. სათათბიროს ხმოსნები, ქალაქისთავი, გამგეობის წევრები და სხვა თანამდებობის პირები ერჩეოდნენ 4 წლის ვადით.

საქალაქო თვითმმართველობის ძირითად ფუნქციას შეადგენდა კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობა. მას ხელი უნდა შეეწყო აგრეთვე ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის, გაეხსნა სკოლები, ბიბლიოთეკა-სამ-

კითხველოები, საავადმყოფოები, საქველმოქმედო დაწესებულებები (ბენდიანიშვილი, 2008:232-233).

1888 წ. 25 აგვისტოს და 2 სექტემბერს ჩატარდა ხმოსანთა არჩევნები 3 საარჩევნო კრებაზე. 525 ამომრჩევლიდან ყოველ საარჩევნო კრებას უნდა აერჩია 12 ხმოსანი, სულ 36. არჩეული 36 ხმოსანისგან შედგებოდა 1 სახალხო სათათბირო. **1888 წ. 17 სექტემბერს ჩატარდა ქალაქის საზოგადოებრივი სამმართველოს თანამდებობის პირთა არჩევნები, რომელთაც ფიცი დადეს 1 ოქტომბერს და ეს დღე ითვლება ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის დღედ.** სათათბიროს შემადგენლობაში პირველ ოთხნლეულში შევიდნენ შემდეგი ხმოსნები: პირველი თანრიგის: ციმერმანი ა. ფ., კოიანდერი ა. ი., ერგარდტი ვ. ა., მელქონიანელი ო. გ., პასსეკი ნ. ბ., სევერინი კ. ა., ზროდლოვსკი ს. ი., ვანშეიდტი ა. ი., მამულოვი ი. ა., რელიგიონი ფ. ა., ცეიტლინი მ. გ. მეორე თანრიგის: ბიკოვი დ. ი., ტიხუმოვი მ. ნ., კარა-ალა-ზადე-ჰუსეინ-ეფენდი, ბოიანი ი. ს., ალავერდოვი არ., მჭედლოვი ლ. ლ., კეშიშ-ოღლი მ., კოჩხოვეი ი. ი., სტეპანოვი გ. ა., ტერ-ასატუროვი ნ. ბ., ცატუროვი ა. ა., ეფრემიდი ნ. კ. მესამე თანრიგის: აბაშიძე სანჯაყ-ბეგ-ზადე იბრაიმ ბეგი, ოგანეზოვი ს. ა., ხარაზოვი დ. ფ., საბაშვილი ს. ს., როსტომ-ალა-ზადე-სულეიმან-ალა, ვარშავსკი ი. ა., აბაშიძე-სანჯაყ-ბეგ-ზადე ჰუსეინ ბეგი, მამედოვი გ. დ., შადინოვი ი. ს., მჭედლოვი გ. დ., კოჩეტკოვი გ. ე. და დავითაია პ. ზ

რელიგიური მრწამისა და ეროვნებით პირველი სათათბიროს შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: რელიგიური მრწამისის მიხედვით: მართლმადიდებელი – 10, კათოლიკე – 6, სომეხი-კათოლიკე -1. სომეხი-გრიგორიანელი – 9. პროტესტანტი – 1. ქართველი მუსლიმანი – 4. ეროვნების მიხედვით: რუსი – 8, ქართველი – 11, სომეხი – 10, ბერძენი – 2, ებრაელი – 2, პოლონელი – 2, გერმანელი – 1. ამ შემადგენლობიდან ინჟინერი იყო – 4, იურისტი – 2, ჩინივნიკი – 3, ვაჭარი – 14, ექიმი – 1, სამხედრო – 3, აფთიაქარი – 1 და სახლმფლობელი – 8.

პირველი ოთხნლეულის ქალაქის თვითმმართველობა

შედგებოდა შემდეგი თანამდებობის პირებისაგან: მთავარ-მმართველის მიერ დანიშნული ქალაქის თავი კ. დ. გავრონსკი, თვითმმართველობის 3 წევრი: დ. ი. ბიკოვი – ბათუმის საბაჟოს ყოფილი თავმჯდომარე (ის დაინიშნა ქალაქის თავის მოადგილედ); ა. ი. კოიანდერი და ი. ს. შადინოვი; ქალაქის მდივანი ი. ს. მესხი; სხვა სამსახურთა პერსონაჟი შედგენილი იქნა შემდეგი პირებისაგან: ბუხჰალტრად დაინიშნა თბილისის თვითმმართველობის ყოფილი ბუხჰალტერი ს. დ. ტარუმოვი, საქმეთა მმართველად მ. ა. ჩხატარაიშვილი, მოლარედ გ. გ. გუდზი და სანაპიროს ზედამხედველად ს. პ. ვერნიგორი.

ამით დასრულდა ქალაქის საზოგადოებრივი თვითმმართველობის დაკომპლექტება. ქალაქის თვითმმართველობის პირველი შემადგენლობის მიერ ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: 1. დაიწყო და დამთავრდა ჭაობების ამოშრობა რკინიგზის გასწვრივ, შემუშავდა ქალაქის ხიდებისა და წყალსადენების მონესრიგების საერთო გეგმა, რომელიც საფუძვლად დაედო ქუჩების მონყობისათვის მომავალ სამუშაოებს. ასფალტის საფარი დაიგო და მონესრიგდა ქალაქი ძველ თურქულ ნაწილში, შემოდებული იქნა დებულება საპორტო შემოსავლების შესახებ, ჩატარდა პირველი სერიოზული სამუშაოები ქალაქის წყალსადენის გაფართოებისათვის, 1890 წ. 17 ივლისს ჩატარდა ქალაქის მოსახლეობის აღწერა, დამტკიცდა ქალაქის სანიტარული და ვეტერინალური ექიმების თანამდებობები, აღიძრა შუამდგომლობა ზოგიერთ სანოტარო წესის შეცვლის, ბათუმში ვაჭთა გიმნაზიის გახსნის, რკინიგზაზე ტარიფების შემცირებისა და სხვა საკითხებზე (Месхи, 1906:487-491).

სათათბიროს პირველი შემადგენლობა ფუნქციონირებდა არა 4, არამედ 6 წელს, ხმოსანთა ახალი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო 1892 წ. დაიწყო კიდეც, თანრიგების მიხედვით საარჩევნო სიების შედგენა, მაგრამ კომისია წააწყდა ხელშემშლელ გარემოებას, რომ ბათუმის ცენზიან მოქალაქეთა უძრავ-მოძრავი ქონების ერთ მესამედი ეკუთვნოდა „კასპია-შავი ზღვის საზოგადოებას“. ამ საზოგადოების წარ-

მომადგენლები ხვდებოდნენ ამომრჩეველთა 1 თანრიგში, მათ უნდა აერჩიათ ხმოსანთა მესამედი. ამის გამო საჭირო შეიქმნა ახალი საარჩევნო კანონის შემოღება.

1892 წ. 30 დეკემბერს საქალაქო საქმეთა ქუთაისის საგუბერნიო საკრებულომ მიზანშეწონილად ცნო ბათუმში გატარებულიყო ახალი საარჩევნო კანონი. ეს კანონი მართალია აუქმებდა საარჩევნო თანრიგებს, მაგრამ სამაგიეროდ რამდენჯერმე ზრდიდა საარჩევნო ცენზს. საარჩევნო სიებში შეყავდათ მხოლოდ მსხვილი და საშუალო შეძლების მესაკუთრეები, პირველი და მეორე გილდის ვაჭრები, რომლებიც ფლობენ ქალაქში უძრავ ქონებას, შეფასებულს არანაკლებ ათას მანეთად.

იმ დროისათვის გავრონსკი გადადგა და ქალაქის თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა მისი მოადგილე, თვითმმართველობის წევრი ა. ი. კოიანდერი, რომლის ხელმძღვანელობით ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები 1894-1898 წლების ხმოსანთა არჩევნებისათვის. დადგენილი წესის მიხედვით 1894 წ. 12 ოქტომბრის არჩევნების დღისათვის საარჩევნო სიებში აღმოჩნდა 318 ამომრჩეველი (Мечу, 1906:494). გაჩაღდა წინასაარჩევნო მუშაობა.

ბათუმში მცხოვრებ ყველა ეროვნებას სურდა ქალაქის თავად მისი ერის წარმომადგენელი გამხდარიყო. განსაკუთრებულ პრეტენზიას აცხადებდნენ რუსები და სომხები. ქალაქისთავის მოვალეობის შემსრულებელი კოიანდერი დარწმუნებული იყო, რომ არჩევნები მის სასარგებლოდ დამთავრდებოდა, სომხებმა კი ქალაქისთავის კანდიდატად გენერალი ბებუთოვი ჩამოიყვანეს.

საჭირო შეიქმნა ქართული ფრაქციის მუშაობის გააქტიურება, რათა თვითმმართველობაში რაც შეიძლება მეტი ქართული ორიენტაციის პიროვნება მოხვედრილიყო. ეს საქმე იკისრეს ივანე მესხმა და გრიგოლ ვოლსკიმ. მათი მოხერხებული მოქმედება და სიტყვა თანდათან ზრდიდა მომხრეებსა და თანამგრძნობთა რიცხვს. როცა მომხრეთა საკმარისი რიცხვი შეიქმნა, გადაწყვეტილება მიიღეს შემოეერთებინათ ბერძენი ამომრჩეველები. საბოლოოდ ვოლსკისა და მესხის


მომხრეთა ამომრჩევლებმა გაიმარჯვეს. ხმოსანთა შორის უმეტესობა ქართველებს ეკუთვნოდა.

საარჩევნო დარბაზში თვალსაჩინო, სავარძელზე მოთავსებული იყო და არჩევნების მსვლელობას აკვირდებოდა ამ შემთხვევისათვის თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსული ილია ჭავჭავაძე. ბრწყინვალე გამარჯვებამ დიდი აღტაცება გამოიწვია ქართველებში (კლდიაშვილი, 1984:55-56). დღის წესრიგში დადგა ქალაქის თავის თანამდებობისათვის შესაფერისი კანდიდატის შერჩევა. ასეთ კანდიდატად დასახელებული იქნა ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავი ლუკა ასათიანი.

1894 წ. 12 ოქტომბერს ბათუმის საქალაქო სათათბიროში არჩეული იქნა 35 ხმოსანი. ამათგან 8 რუსი, 3 პოლონელი, 19 ქართველი, 5 ბერძენი. არჩეულმა ხმოსნებმა 1894 წ. 25 ნოემბერს დადეს ფიცი და იმავე დღეს ჩატარდა სათათბიროს თავმჯდომარის არჩევნები. სათათბიროს თავმჯდომარედ არჩეული იქნა ხმოსანი ს. ზროდლოვსკი. 1895 წ. 25 იანვარს კი ჩატარდა თვითმმართველობის თანამდებობის პირთა არჩევნები. არჩეულ იქნენ: ქალაქის თავი ლ. ასათიანი, გამგეობის წევრები: გ. ი. ვოლსკი, ი. ა. ივანოვი და ქალაქის მდივანი ი. მესხი. ქალაქის თავის მოადგილედ არჩეულიქნა გამგეობის წევრი ი. ა. ივანოვი (Месхи, 1906:496).

ლ. ასათიანის არჩევას ქართველობა დიდი აღტაცებით მიეგება. იგი, როგორც საქალაქო საქმეების მცოდნე, მუყაითი და დაულალავი თავდაუზოგავად მუშობდა. მის დროს ქალაქის განახლებული თვითმმართველობის საქმიანობამ სხვა ხასიათი მიიღო, ვიდრე იყო მანამდე.

ლუკა ასათიანი დაიბადა 1826 წ. ქუთაისის ახლოს მდებარე პატარა სოფელ ქვიტირში. ქუთაისის ოთხკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჯერ სწავლა გიმნაზიაში განაგრძო, შემდეგ კი მუშაობა დაიწყო. მუშაობდა ერევნის გუბერნიის სასამართლოში, ქუთაისის ოლქის სასამართლოში, შემდეგ კი არჩეულ იქნა ქალაქის თავად. დიდი ცოდნისა და გამოცდილების მქონე, მშვენიერი სიტყვის პატრონი, დინჯი, წარმოსადეგი, ყოველთვის და ყველგან ტოვებდა კარგ შთაბეჭდილებას (კლდიაშვილი, 1984:58).



ლუკა ასათიანი

1898 წ. დაინიშნა ახალი არჩევნები. 18 ოქტომბერს და 15 ნოემბერს ჩატარდა ხმოსანთა არჩევნები. არჩეული იქნა 41 ხმოსანი, რომელთა შორის უმეტესობას ქართველობა შეადგენდა. 1899 წ. 7 იანვარს ჩატარდა თანამდებობის პირთა არჩევნები, რის შედეგადაც შენარჩუნებული იქნენ ადრე არჩეული თანამდებობის პირები. კერძოდ: ლ. ასათიანი – ქალაქის თავი. გ. ი. ვოლსკი – გამგეობის წევრი და ი. მესხი ქალაქის მდივანი.

ლუკა ასათიანმა თავის გარშემო შემოიკრიბა ყველა პროგრესული პიროვნება ეროვნების მიუხედავად, რომლებიც ჩართული იყვნენ ყველა იმ დიდ საქმეში, რამაც განაპირობა უმოკლესი ექვსი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი საქმეების განხორციელება ქალაქში. აღსანიშნავია ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე ჭაობის ამოშრობა, კაპიტალურად გაყვანილი სანიაღვრე არხები, პარალელურად წარმოებდა ქალაქის დადაბლებული ადგილების ხრემითა და გრუნტით

ამოვსება. ამ სამუშაოების შესრულების შემდეგ შესაძლებელი გახდა გაყვანილიყო ახალი ქუჩები და მოასფალტებულიყო მათი სავალი ნაწილი. ქალაქში დამონტაჟდა მცირე მოცულობის ელექტროსადგური. ლ. ასათიანის და მისი მომხრეების ძალისხმევით დაიწყო ქალაქის საავადმყოფოს მშენებლობა. დამთავრდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პირველი ქართული სკოლის მშენებლობა. გაიხსნა ორი დაწყებითი სკოლა, ქალთა და ვაჟთა გიმნაზიები, ქალაქში დაარსდა ლომბარდი, აიგო დახურული ბაზრის შენობა, საფუძველი ჩაეყარა საჯარო ბიბლიოთეკას, გაცოცხლდა თეატრალური ცხოვრება, ფართო გასაქანი მიეცა სავაჭრო საყოფაცხოვრებო და საბანკო საქმიანობას, ქალაქის ძველი რაიონი სავაჭრო ცენტრად იქცა, აშენდა რამდენიმე კომფორტული სასტუმრო, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ნავსადგურს (კომახიძე, 2000:43-45).

ლუკა ასათიანის ინიციატივით ქალაქის თვითმმართველობისათვის შენობის გასამართავად გამოიყო მიწის ნაკვეთი, გაკეთდა შენობის პროექტი, რომლის საფუძველზეც დაიწყო მშენებლობა.

თავდაპირველად ქალაქის გამგეობა მდებარეობდა ნაქირავებ ბინაში მარინსკის და მიხაილოვის ქუჩების კუთხეში მდებარე თავად გურიელის სახლში (Гурская, 1901:73). ხოლო, 1903 წ. დამთავრდა ქალაქის თვითმმართველობის ვრცელი, მოხერხებული შენობის მშენებლობა დიდი დარბაზით სათათბიროს სხდომისათვის. საკანცელარიო სამმართველოს და სამშენებლო განყოფილების გარდა ქვედა სართულზე იყო ქალაქის ლომბარდი და სხვა საქალაქო დაწესებულებები, მათ შორის ბიბლიოთეკა (Марковъ, 1906:266).

1901 წ. 9 ნოემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა ლუკა ასათიანი. მისმა უეცარმა სიკვდილმა საზოგადოების დიდი მწუხარება გამოიწვია. იგი გულით დაიტირა ათასობით ბათუმელმა. მისი ნეშტი გადაასვენეს მშობლიურ ქალაქ ქუთაისში. ლუკა ასათიანის სახელის უკვდავსაყოფად მისი სახელი მიანიჭეს ახლანდელი ერას ქუჩის ერთ მონაკვეთს, აჭარის გასაბჭოების შემდეგ ქუჩას მიენიჭა მ. გორკის სახელი. ამჟამად ლუკა ასათიანის სახელი მინიჭებული აქვს იმ

ქუჩას, სადაც განთავსებულია ბათუმის მერიის შენობა (კომახიძე, 2003:48).

ლუკა ასათიანის გარდაცვალების შემდეგ საჭიროებამ მოითხოვა გამოძებნილიყო სხვა ქართველი მოღვაწე, რომელიც ღირსეულად გააგრძელებდა დაწყებულ საქმეს. ილია ჭავჭავაძის რჩევით შეჩერდნენ ივანე ანდრონიკაშვილის კანდიდატურაზე.

ივანე ანდრონიკაშვილი იყო ახალგაზრდა აგრონომი. ენერგიული და ნებისყოფიანი კაცი. იგი დაიბადა 1862 წ. გურჯაანის რაიონის სოფელ მელიანში. 1887 წ. წარმატებით დაამთავრა მოსკოვის პეტროვსკის სახელობის სამინათმოქმედო და სატყეო აკადემია (ამჟამად ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია). 1889-1902 წწ. მუშაობდა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის მთავარ ექსპერტად და ხელმძღვანელობდა ფილოქსეროსთან ბრძოლის ექსპედიციებს, როგორც საქართველოში, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში. ი. ანდრონიკაშვილი იმხანად ხალხში აგრონომიული ცოდნა-პოპულარიზაციის მიზნით აწყობდა საჩვენებელ-საცდელ ნაკვეთებს, ცდიდა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს. ანდრონიკაშვილი დათანხმდა ბათუმიდან წარგზავნილ დელეგაციას კენჭი ეყარა ბათუმის ქალაქის თავის თანამდებობაზე (კომახიძე, 2003:5-6).

1902 წ. 17 იანვარს ბათუმის ქალაქის თავად აირჩიეს ივანე ანდრონიკაშვილი. ამის შემდეგ ი. ანდრონიკაშვილი კიდევ 4-ჯერ იქნა არჩეული ქალაქის თავად.

ივანე ანდრონიკაშვილის მოღვაწეობა ბათუმში ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა. მისი ხელმძღვანელობით გაშენდა ახალი სასმელი წყლის სათავე ნაგებობა, დაჩქარებული ტემპით გაგრძელდა ქალაქის ირგვლივ არსებულ ჭაობების ამოშრობის სამუშაოები, დაიწყო გაძლიერებული ბრძოლა მალარიის წინააღმდეგ. აშენდა ქალთა და ვაჟთა გიმნაზიის შენობები, არსებული 120 ცხენისძალის მქონე ელექტროსადგური გაძლიერდა 300 ცხენისძალამდე. შეიქმნა ქალაქის ძლიერი სახანძრო რაზმი, სათანადო აღჭურვილობით. საფუძველი ჩაეყარა მწვანე კონცხის ბოტანიკური ბაღის განა-

შენიანებას და პირადად ი. ანდრონიკაშვილის რეკომენდაცი-
ით მის ხელმძღვანელად დაინიშნა პროფესორი ა. კრასნოვი.



ივანე ანდრონიკაშვილი

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის ფინანსური მდგომარეობა და შესაბამისად მისი პრაქტიკული საქმიანობის მასშტაბურობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრებოდა მრეწველობის განვითარების დონით, საშინაო და საგარეო ვაჭრობის ბრუნვით. 1888 წლიდან 1904 წლამდე ბათუმის ეკონომიკა აღმავალი ხაზით ვითარდებოდა. შესაბამისად იზრდებოდა თვითმმართველობის შემოსავლებიც. მომდევნო პერიოდში ნავსადგურის ტვირთბრუნვა, ნავთობის ექსპორტის შემცირების გამო თითქმის განახევრდა. დაიხურა ნავთობის ტარის ქარხნები, შემცირდა შინამრეწველობა, დაქვეითდა მოქალაქეთა გადახდისუნარიანობა, რამაც საგრძნობლად დაარღვია საქალაქო თვითმმართველობის ბიუჯეტის წონასწორობა, იგი დეფიციტური გახდა (ბენდიაშვილი. გვ.351).

1913 წ. 6 ოქტომბერს გაიმართა ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის 25 წლის იუბილე. მღვდელმა ნ.კალისტოვმა, პარაკლისის გადახდის შემდეგ განაცხადა:შესრულდა მეოთხედი საუკუნე თვითმმართველობის გახსნის დღი-

დან. ვდღესასწაულობთ რა ამ თარიღს, არ შეგვიძლია მადლობა არ შევსწიროთ ღმერთს და კეთილი სიტყვით არ მოვიხსენიოთ მუნიციპალური მოღვაწენი, რომელნიც რწმენითა და სიმართლით ემსახურებოდნენ ქალაქს. მადლობა მათ, ვინც ქალაქს მისცა კეთილმოწყობილი სახე, გაამდიდრა მრავალგვარი საჭირო დაწესებულებებით, უზრუნველყო მათი შესვლა ევროპის ქალაქთა პლეადაში. სახელი და დიდება მისცა ბათუმის მოქალაქეებსაც. თვითმმართველობის ორგანოებში ყოველთვის ნიჭიერ და უნარიან ადამიანებს რომ ირჩევდნენ (მესხი. 1914. გვ.142-145). პარაკლისის შემდეგ ქალაქისთავმა ივანე ანდრონიკაშვილმა გახსნა საზეიმო საიუბილეო სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ბათუმის ოლქის უფროსი და სხვა მოხელეები, მსხვილი ვაჭარ-მრეწველები, საკრედიტო დაწესებულებების წარმომადგენლები, საზღვარგარეთის კონსულები. ქალაქისთავი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და თავის სიტყვაში მოკლედ შეეხო თვითმმართველობის საქმიანობას. მან მართალია ხაზი გაუსვა სათათბიროსა და გამგეობის წარმატებებს ქალაქის კეთილმოწყობის, განათლების, სამედიცინო მომსახურების და სხვა სფეროში, მაგრამ ყურადღება გაამახვილა აგრეთვე მთელ რიგ სიძნელეებზე, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საგრძნობლად რომ აფერხებდა თვითმმართველობის საქმიანობას.

ქალაქისთავმა მორიდებულად აღნიშნა, რომ მთავრობის ზოგიერთმა ღონისძიებამ (პორტო-ფრანკოს გაუქმება, საბაჟო გადასახადების წილის დაკარგვა, საექსპორტო ნავთობის ტარიფის გადიდება და სხვა) არსებითად დაარღვია ქალაქის ეკონომიკური განვითარების პირობები. ამან კი სერიოზული ზარალი მიაყენა თვითმმართველობის საღაროს, 40%-ით შემცირდა მისი ბიუჯეტის შემოსავალი, რამაც ძალიან გააძნელა თვითმმართველობის დაწესებულებათა და კომუნალური მეურნეობის დაფინანსება (მესხი., 1906:150-153).

1916 წ. ივანე ანდრონიკაშვილი გადადგა დაკავებული თანამდებობიდან. მისი ადგილი დაიკავა ევგენი კრინიციკი

(დარახველიძე), რომელიც ეროვნებით ქართველი გახლდათ, ძალზე განათლებული და ერუდირებული პიროვნება იყო. ე. კრინიცკი ბათუმის ქალაქის თავის თანამდებობაზე შეცვალა ვ. საბახტარაშვილმა, საბახტარაშვილი – ჯავახიშვილმა, ჯავახიშვილი – ანჯაფარიძემ (კომახიძე, 2003:49-57).



გთავაზობთ იმ ხმოსანთა სიას, რომლებიც არჩეული იყვნენ ბათუმში საქალაქო თვითმმართველობაში 1888–1915 წწ. ცხრილი შედგენილია ი. მესხის მონაცემების მიხედვით (Месхи, 1914:58-65).

	გვარი, სახელი, მამის სახელი	რომელ ოთხნეულში აირჩიეს					
		I	II	III	IV	V	VI
1.	აბაშიძე ზია ბეგი, სანჯაყ-ბეგი			III			
2.	აბაშიძე ჰუსეინ ბეგი, სანჯაყ ბეგი	I					
3.	აბაშიძე იბრაიმ ბეგი, სანჯაყ ბეგი	I					
4.	აბაშიძე ფეზლი ბეგი, სანჯაყ ბეგი			III			

5.	აკინიანი ს.ი.				IV		
6.	ალავერდოვი ა.ფ.	I					
7.	ანჯაფარიძე მ.ს.			III			
8.	ანდრეევი ს.ა.				IV		
9.	არკადაქსი ა.ბ.						VI
10.	ასლან- სადე ხ.ეფენდი					V	VI
11.	ბარაკოვსკი ფ.ს.				IV		
12.	ბარათოვი დ.ი.		II	III			
13.	ბარკალაია მ.ს.				IV		
14.	ბენლისი ი.ე.		II				
15.	ბერძენიშვილი ე.ს.		II			V	VI
16.	ბეთანოვი მ.ს.		II		IV		
17.	ბოგოსლოვსკი ე.ა.			III			
18.	ბაიანი ი.ს.	I					
19.	ბიკოვი დ.ი.	I	II				
20.	ბიალუსკი ნ.ა.					V	VI
21.	ვაკიე ა.პ.		II	III			
22.	ვანშტიედი ა.ი.	I					
23.	ვარშავსკი ი.მ.	I					
24.	ვარშანიძე შ.ე.						VI
25.	ვერმიშევი ა. ა.						VI
26.	ვოლსკი მ.ი.		II	III			
27.	გაბუნია დ.მ.					V	
28.	გაიდებუროვი ი.ა.				IV		
29.	გედევანოვი ი.ზ.		II	III			
30.	გოგიჯანოვი ა.ი.			III	IV		
31.	გოგოლაძე კ.ა.						VI
32.	გრიელსკი ვ.ფ.		II	III	IV		
33.	გრიგორიადი ხ.ხ.					V	VI
34.	გრიგორიანცი გ.ვ.						VI
35.	გუგუშვილი ა.თ.		II				
36.	გუნდრიზერი რ.ფ.			III			
37.	გურგენიძე ს.ა.						VI
38.	დავითაია პ.ზ.	I					
39.	დანიელოვი გ.ა.						VI
40.	დეკანოზოვი ა.დ.						VI
41.	დე-პოლინი ბ.რ.		II				
42.	ჯაყელი ო.ვ.			III	IV		

43.	დიმიტრიადი ა.დ.		II	III	IV	V	VI
44.	დუმბაძე ნ.კ.		II	III			
45.	დუნიაიანი ს.ზ.					V	VI
46.	ელიავა გ. ლ.		II	III	IV	V	VI
47.	ეფრემიძე ნ.კ.	I					
48.	ზაქარიანი პ.მ.					V	
49.	ზაქარიანი ფ.ა.					V	
50.	ზროდლოვსკი ს.ი.	I	II				
51.	ივანოვი ი.ა.		II				
52.	იმნაძე ნ.ო.						VI
53.	კაკაბაძე ი.დ.				IV		
54.	კანდელაკი დ.მ.					V	VI
55.	კარა-ალა-ზადე გ.ეფ.	I					
56.	კახიანი ი.მ.					V	VI
57.	კვიციხისკი					V	
58.	კეჭეყმაძე ნ.ი.						VI
59.	კეშიშ ოღლი მ.	I					
60.	ქიქოძე ლ.ს.			III	IV	V	VI
61.	კოვალიოვი ვ.ა.	I					
62.	კოვალენკო ნ.ს.						VI
63.	კონცელიძე ი.ა.					V	
64.	კოჩეტკოვი გ.ე.	I	II				
65.	კოჩხოვი ი.ა.	I					
66.	კოიანდერი ა.ი.	I					
67.	კრასნიცკი კ.ა.					V	VI
68.	კრინიცი ე.მ.					V	
69.	კუბანიევი გ.ა.		II				
70.	კურტოევი ი.ბ.					V	
71.	ქუთათელაძე ს.დ.			III	IV		
72.	ლოპატო ვ.ა.		II				
73.	ლომინაძე ი.კ.		II				
74.	მავროპულო მ.დ.					V	VI
75.	მემედ-ალა ზადე ო.ა.	I					
76.	მამულოვი ი.ა.	I					
77.	მარტინოვსკი ფ.ა.						VI
78.	მასუმოვი გ.დ.	I					
79.	მაჭუტაძე დ.მ. თავადი			III	IV		
80.	მგელაძე კ.კ.		II				

81.	მდივანი ს.გ.					V	VI
82.	მელქონიანი ო.გ.	I					
83.	მელია ი.ა.						VI
84.	მესხი ი.ს.		II				
85.	მირიმანოვი მ.მ.				IV		
86.	მიხაილიძე მ.ტ.		II	III		V	
87.	მნაცაკანოვი ა.ა.				IV		
88.	მანდოიანცი ა.ო.					V	VI
89.	მჭედელოვი გ.ლ.	I					
90.	მჭედელოვი ლ.ლ.	I		III			
91.	მჭედელოვი პ.ლ.					V	
92.	მურომოვი ი.გ.			III			
93.	მუფტი ზადე კ.ე.				IV	V	VI
94.	მხეიძე კ.ა.						6
95.	მხეიძე ხ.ი.		II				
96.	ნაკაშიძე დ.გ. თავადი						VI
97.	ნაკაშიძე მ.მ.			III	IV		VI
98.	ნაკაშიძე ნ.პ. თავადი				IV		
99.	ნეკლიუდოვი ა.ა.		II				
100.	ნიკიტინი გ.პ.						VI
101.	ნიკოლაძე მ.ი.		II	III			
102.	ოგანეზოვი ს.გ.	I					
103.	ოგანეზოვი ი.ი.			III			
104.	პანასევიჩი ი.ფ.				IV	V	VI
105.	პარონბეგოვი ი.ს.			III			
106.	პალმი გ.ა.			III			
107.	პასსეკი ნ.ბ.	I					
108.	პეტროსიანი ა.ო.						VI
109.	პეშეკეროვი ე.მ.			III			
110.	პილოიანი ი.გ.					V	
111.	პოდოლეცკი ლ.ი.			III			
112.	პოლსკი ი.მ.		II	III			
113.	პუჩინიანი კ.ბ.					V	VI
114.	რადვილოვიჩი პ.ფ.				IV		
115.	რაკოვიცა გ.გ.					V	
116.	რელიგიონი ფ.ა.	I					
117.	როსტომ ა-ზ. ს.ა.	I					
118.	რუხაძე ვ.დ.					V	VI

119.	საბაევი ნ.ა.		II	III	IV	V	VI
120.	საბახტარაშვილი ი.ბ.			III		V	VI
121.	საბაშვილი ს.ს.	I	II	III			
122.	საზონოვი ი.დ.				IV		
123.	საიპოვი ნ.გ.						VI
124.	სახნოვსკი ბ.ვ.					V	VI
125.	სევერინი კ.ა.	I	II	III			
126.	სელიტრენიკოვი მ.ა.		II				
127.	სკლიარევსკი ვ.ე.				IV		
128.	სიბირიკოვი კ.მ.				IV		
129.	სიმეონიდი პ.ს.		II	III			
130.	სიმონოვი ა.დ.		II				
131.	სიმონოვი პ.დ.			III			
132.	სიმულოვი კ.ბ.			III		V	
133.	სომოროვი გ.ს.					V	VI
134.	სტეპანოვი გ.ა.	I					
135.	სტრელცოვი გ.ი.					V	
136.	თაყაიშვილი დ.ა.					V	
137.	ტარუმოვი ს.ს.			III	IV		
138.	ტერ-ასატუროვი ნ.ბ.	I					
139.	ტოხუმოვი მ.ნ.	I					
140.	ტრანცი ე.ი.						VI
141.	ტრიანტაფილიდისი ტ.პ.			III	IV		
142.	ტრიფიმოვი ა.ტ.					V	VI
143.	ფელიაკოვი ი.მ.						VI
144.	ხალვაში ი.ე.					V	
145.	ხარაზოვი დ.ო.	I					
146.	ხაჩიკიანი ი.ო.					V	
147.	ხიტაროვი ი.მ.				IV		
148.	ხიტაროვ-ბესტავეაშვი- ლი ზ.ს.						VI
149.	ხაჯიმიროვი ა.ა.			III			
150.	ხუდადოვი ი.მ.			III	IV		
151.	ჭანტურია ს.ბ.						VI
152.	ჩაუსოვი გ.ნ.						VI
153.	ჩილინგარიანი ა.ხ.				IV		VI
154.	ჩხაიძე ტ.ე.					V	VI
155.	ჩხეიძე კ.ს.			III			
156.	ცატუროვი ა.ა.	I					

157.	ცეიტლინგი მ.გ.	I					
158.	წერეთელი ნ.ვ. თავადი				IV		
159.	ტიმერმანი ა.ფ.	I					
160.	ცინცაძე შ.ი.						VI
161.	ცურინოვი ს.მ.						VI
162.	შადინოვი ი.ს.	I					
163.	შარვაშიძე პ.დ. თავადი		II				
164.	შუტცი პ.კ.					V	
165.	ელიავა მ.დ.					V	VI
166.	ელიაშვილი ს.ს.					V	VI
167.	ენუქიძე ს.ე.						VI
168.	ერგარიდტი ე.ფ.	I					
169.	ერისთოვი ნ.ბ. თავადი		II				

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე დღეებში შეიქმნა ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობდა ქალაქის კულტურულ და სამეურნეო ცხოვრებას. რაც შეეხება ქალაქის სათათბიროს, იგი აჭარის გასაბჭოებამდე უწყვეტლივ ფუნქციონირებდა.

ლიტერატურა

1. გ.ტოტოჩავა, ქალაქ ბათუმის საკრებულო 120 წლისაა – გაზეთი „ბათუმური ქრონიკები“, 2008 წ. 29 ივნისი, №.6
2. ბენდიანიშვილი ა., ქალაქები, სავაჭრო-სამრეწველო და ბები, საქალაქო თვითმმართველობა და კომუნალური მეურნეობა. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, III, ბათუმი, 2008
3. კლდიაშვილი დ., ჩემი ცხოვრების გზაზე, ბათუმი, 1984;
4. კომახიძე თ., ქალაქ ბათუმის დაგეგმარებისა და განაშენიანების ისტორია. ბათუმი, 2000;
5. კომახიძე თ., ივანე ანდრონიკაშვილი, ბათუმი, 2003;
6. Гурская Н. Путеводитель и справочная книжка по гор. Батуми и окрестностям. Тифлис, 1901;

7. Месхи И. Памятная книжка гласных Батумской городской думы на 1914 г. Батуми, 1914;
8. Месхи И. Очерк развития Батумского городского хозяйства. – Батум и его окрестности. Батуми, 1906;
9. Марковъ Л. Очеркъ Батумской торговли нефтяными продуктами. – Батум и его окрестности. Батуми, 1906.

Rusudan Kobrava

From the history of Batumi self-government Summary

After the victory of Russians in 1877-1878 years Russia-Turkey war, on August 25, 1878, at 2 pm in Batumi entered Russian army commended by Sviatopolk-Mirski.

On August 25 and September 2, 1888, was held summit elections. On September 17, 1888 were held elections of the city's community department officials, who took the oath on October 1. This day is considered as a day of Municipal Government. The article presents the most important issues in the history of the Municipal Government.

ალექსანდრე ჩხაიძე

სელიმ ხიმშიაშვილი „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების“ მიხედვით

სელიმ ხიმშიაშვილის ბიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები“. ამ რუსულ სქელტანიან წიგნებში, უამრავ საბუთს შორის მისი მოღვაწეობის მრავალ მხარეს ვხედავთ. აქ ერთ-ერთი საკითხია სელიმ ხიმშიაშვილის დაპირისპირება შერიფ ჯაყელთან.

შერიფ ჯაყელი პირველად 1792-1796 წწ. იყო ჩილდირის ანუ ახალციხის ვიალეთის ფაშა (ახალციხის ფაშების სია. თავისუფალი ქართულენოვანი ენციკლოპედია, ვიკიპედია, კუპატაძე., 2009:146). იგი სარგებლობდა ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული მხარდაჭერით და დაუმორჩილებლობას იჩენდა ოსმალეთის დიდგვზირის მიმართ (მურად ქასაბი, 2012:142). მეორედ შერიფი 1801-1802 წწ. იყო ამ თანამდებობაზე.

XVIII ს. ბოლოს სელიმ ხიმშიაშვილი აჭარის მფლობელი იყო. ის ანგარიშს არ უწევდა თანამდებობრივად მაღალ იერარქიულ კიბეზე მყოფ ახალციხის ფაშებს (АКТЫ КАК, ТОМ II, 1868:541). მსგავსი საქციელი უნდა აიხსნას ჯერ ერთი იმიტ, რომ აჭარელი ბეგები საკუთარ ლენს ფლობდნენ იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესით. ამ წესის მიხედვით ადგილობრივი ბეგები სარგებლობდნენ საგადასახადო და ადმინისტრაციული იმუნიტეტით და პასუხისმგებელნი იყვნენ უშუალოდ სულთნის წინაშე (შენგელია ნ., 1974:192). რთული რელიეფის და უგზოობის პირობებში, აჭარა სამხედრო თვალსაზრისით საკმაოდ გამაგრებული ადგილი გახლდათ.

1801წ. აჭარის სანჯაყ ბეგი სელიმ ხიმშიაშვილი აუჯანყდა შერიფ ფაშას. ამ აჯანყებას შეუერთდა ახალციხის მოსახლეობაც. შერიფი შემორჩენილი ძალებით არტაანში გადავიდა, იქიდან კი ოლთისში. მას ერევნის ხანი დაეხმარა, თუმცა მაინც დამარცხდა (მურად ქასაბი, 2012Ж142). გენერალ-მაიორი ლაზარევი 1802წ. 25 ოქტომბერს კავკასიის

მმართველს (1802-1806 წლებში) პ. ციციანოვს უპატაკებდა, რომ მიიღო ცნობა სელიმ-ალას მიერ ახალციხის აღების შესახებ. გაურკვეველია სად დაიმალა შერიფ ფაშა 20 კაცთან ერთად (АКТЫ КАК, ТОМ II, 1868:301). მართალია გამარჯვება სელიმმა მოიპოვა, მაგრამ ფაშად დაამტკიცეს ვინმე რეჯები ევროპული თურქეთიდან. ის კი მუსელიმის თანამდებობაზე დაინიშნა (АКТЫ КАК, ТОМ II, 1868:903-904). განდევნილ შერიფზე რუსეთის და ოსმალეთის ხელისუფლება ცუდი წარმოდგენის ყოფილა. პ. ციციანოვმა 1803 წლის 12 მარტს ვორონცოვს გაუკეთა წარდგინება, რომელშიც ვკითხულობთ, რომ გაგდებული შერიფ ფაშა იყო ჩვენი ბოროტი მტერი, ის ოტომანთა პორტამაც ცნო შფოთისთავად (АКТЫ КАК, ТОМ II, 1868:611).

1803 წ. სელიმ ხიმშიაშვილმა ფაშობა მიიღო. სერდარი სელიმ ალა ყიფიანი ამავე წლის 21 აგვისტოს პ. ციციანოვს წერდა, რომ ხიმშიაშვილი გახდა ახალციხის ფაშა. დიდი ალა მიიღებს სამთულიანი ფაშის წოდებას. როგორც ადრე ჩვენ მეგობრებად დავრჩებით, მაგრამ ჩვენ უკმაყოფილო ვართ, რადგან შერიფ ფაშა, რომელსაც თქვენი სამფლობელოდან ახლავს ხალხი, არბევს და ძარცვავს ჩვენს სოფლებს. თქვენ ეს არ უნდა დაუშვათ. ჩვენ ხომ ლეზგინებს ვართმევთ და გიბრუნებთ, რაც თქვენ სამფლობელოში გაძარცვესო (АКТЫ КАК, ТОМ II, 1868:894-895).

სელიმ ხიმშიაშვილი ორჯერ იყო ახალციხის ფაშა. პირველად 1803-1809 წლებში. შემდეგ იგი შეცვლა შერიფ ჯაყელმა 1810-1812 წლებში, ხოლო 1812-1815 წლებში კი ფაშად კვლავ სელიმ ხიმშიაშვილია. რაც შეეხება ლეზგინებს, ისინი, რუსეთის იმპერიიდან გაქცეულნი ახალციხის ვიალეთს აფარებდნენ თავს, შემდეგში რუსეთის ხელისუფლება ბრალს სდებდა სელიმ ხიმშიაშვილს, რომ ის მფარველობდა ლეზგინებს, რომლებიც თავს ესხმოდნენ რუსეთის საზღვრებში მყოფ საქართველოს. კავკასიის მმართველი გენერალ-ფელდმარშალი გრაფი გუდოვიჩი (1806-1809 წწ.) 1808 წ. 19 მაისს იმპერატორს წერდა, რომ საქართველოს ყველაზე უფრო მოუსვენარი მეზობელი სელიმ ფაშა ჩვენგან გაქცეულ 800-ზე

მეტ ლეზგინს აძლევს ჯამაგირსო. „ეს ლეზგინები ახალციხის ზოგ მცხოვრებთან ერთად ახდენენ ძარცვას საქართველოს საზღვრებში. მე მივმართე ერზრუმის სერასკისრს ამის შესახებ, მაგრამ უშედეგოდ“ (АКТЫ КАК, ТОМ III, 1869:469). სელიმ ხიმშიაშვილი ზოგჯერ ეურჩებოდა ერზრუმის სერასკისრს და პორტასაც კი.

შერიფ ჯაყელი ვერ ისვენებდა, ხელისუფლების დაბრუნება სურდა. პ. ციციანოვი 1804წ. 27 მაისს სელიმ ხიმშიაშვილს წერდა, რომ აქვს ინფორმაცია რომლის მიხედვით შერიფ ფაშა მიიწვია უფლისწულმა ალექსანდრემ და დაპირდა 4000-კაციანი სპარსეთის ჯარს საფაშოს დასაბრუნებლად (АКТЫ КАК, ТОМ II, 1868:898).

1808 წელს შერიფ ჯაყელი დიარბაქირის ვალის ე.ი. ფაშას თანამდებობაზე დაინიშნა. მალე იქ აჯანყება მოხდა, რის გამოც იქიდან წამოვიდა (მურად ქასაბი, 2012:142).

1806-1812 წწ. მიმდინარეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომი. 1809წ. შერიფ ჯაყელმა მოახერხა სელიმ ხიმშიაშვილის დამარცხება და ახალციხეში თვითონ მიაღწია ფაშობას. ამ ამბებთან დაკავშირებით გვაქვს როგორც „აქტების“, ისე ოსმალური წყაროები, რომლის მიხედვით შერიფ ჯაყელი 1808წ. დაინიშნა ტრაპიზონის ვილაიეთის ფაშად. მას ევალებოდა რუსების წინააღმდეგ ბრძოლა. მაგრამ, ამასთან, მან როგორც საკუთარი დაქვემდებარებული შეიარაღებული ძალები, ისე ახალციხის მოსახლეობის უკმაყოფილება სელიმის მიმართ გამოიყენა და ეს უკანასკნელი განდევნა ახალციხიდან (ბატი-აშვილი ზ., 2008:36-37; АКТЫ КАК, ТОМ IV, 1870.:765). მოსახლეობის უკმაყოფილებას ადასტურებს პოლკოვნიკი სიმონოვიჩი. 1809წ. 26 დეკემბერს თავის მოხსენებაში კავკასიის მმართველის გენერალი ტორმასოვის (1809-1811წწ.) მიმართ. მისი აზრით სელიმ ფაშაზე ახალციხელები იმიტომ გაბრაზდნენ, რომ თითქოს მას განზრახული ჰქონდა მოეცა ჩვენთვის ახალციხე და აჭარაში გაჰქონდა არტილერია სხვა ქონებასთან ერთად (АКТЫ, 1870:790). შესაძლოა ეს იყოჭორი, რომელიც სელიმის მტრებმა გაავრცელეს. თუმცა, შესაძლოა მას ნამდვილად სურდა რუსების დახმარება.

1810 წ. 21 აპრილს გენერალ-მაიორი ორბელიანი მოახსენებდა გენერალ ტორმასოვს, რომ სელიმ ფაშა მთლიანად დამარცხებულია შერიფ ფაშას მიერ და ვერ გაბედავს შევიდეს ახალციხის საზღვარში ჩვენი ჯარის გარეშე (АКТЫ 1870:797). თუმცა, მარცხმა სელიმი ვერ გააჩერა. ის დაცულად გრძნობდა თავს აჭარაში, გამაგრებულ ადგილებში. იქაური მოსახლეობაც მას უჭერდა მხარს და შეიარაღებულ გამოხტომებსაც ახდენდა ახალციხის საფაშოსი (АКТЫ. 1870:798).

XIX ს. დასაწყისში რუსეთის კავკასიური ხელისუფლება უარყოფითად აფასებდა ახალციხის ვიალეთში ფაშობისათვის მებრძოლი ორი ქართველის სელიმ ხიმშიაშვილის და შერიფ ჯაყელის პოლიტიკას. ერთის მხრივ მიაჩნდა, რომ ისინი „ვერაგობით“ იბრძვიან ვიალეთში პირველობისათვის, მეორე მხრივ ისინი მტრულ გამოხტომებს აკეთებენ საქართველოში, რომელიც ეხლა მათი, ე.ი. რუსების მიერ იყო დაპყრობილი. ამავე დროს რუსები ხედავდნენ, რომ სელიმი და შერიფი სარგებლობენ ოსმალეთში არსებული ჩამორჩენილი პოლიტიკური სისტემით და ზედმეტად დამოუკიდებელი პოლიტიკისაკენ იხრებოდნენ, არად აგდებდნენ ქვეყნის ცენტრალიზაციას. ამიტომ რუსეთის კავკასიური ხელისუფლება ცდილობდა რომელიმე მათგანი გამოეყენებინა ახალციხის ვიალეთის დაპყრობის საქმეში. ჩვენს ისტორიოგრაფიაში რატომღაც ყურადღებაა გამახვილებული რუსების საიდუმლო კავშირის შესახებ სელიმ ხიმშიაშვილთან, შერიფ ჯაყელი კი ჩრდილში რჩება. რეალურად კი რუსეთის კავკასიური ხელისუფლებისათვის სულ ერთი იყო რომელ ავტორიტეტს გამოიყენებდა. ცალ-ცალკე ორივეს ჰპირდებოდა, რომ თუკი რუსების მხარეს დაიჭრდნენ, როცა ახალციხის ვიალეთი რუსეთის ქვეშევრდომობაში გადავიდოდა მის მმართველობას შთამომავლობით გადასცემდნენ (АКТЫ, 1870:782-783), მაგრამ ვერც სელიმ ხიმშიაშვილმა და ვერც შერიფ ჯაყელმა ვერ გადაადგეს შესაბამისი ნაბიჯი.

1810წ. როდესაც რუსებმა გაიგეს სელიმ ხიმშიაშვილისა და შერიფ ჯაყელის შესაძლო შერიგების ამბავი დასცაადეს ხელის შეშლა (АКТЫ, 1870:799). თუმცა რაღაც ეტაპზე ამის

გაკეთება შეუძლებელი იყო. მართალია სელიმი და შერიფი რეგიონში პირველობისათვის ბროლაში მეტოქეები იყვნენ, მაგრამ ისინი მაინც საერთო ოსმალური დროშის ქვეშ უნდა დარაზმულიყვნენ რუსების წინააღმდეგ, ოფიციალურად მაინც. 1810წ. 22 დეკემბერს გენერალი სიმონოვიჩი უპატაკებდა გენერალ ტორმასოვს სელიმის და შერიფის შესაძლო შერიგების შესახებ. „ეს ხმები ფაქტებით დასტურდება. ისინი იბრძვიან ჩვენს წინააღმდეგო“ (АКТЫ, 1870:452).

ისტოგრაფიაში ხაზგასმულია სელიმ ხიმშიაშვილისა და იმერეთის მეფე სოლომ II შორის კარგ ურთიერთობის შესახებ. ანალოგიური კავშირი სოლომონ II-სთან შერიფ ჯაყელსაც ჰქონდა (АКТЫ, 1870:807).

1812წ. დასრულდა რუსეთ-ოსმალეთის ომი და დაიდო ზავი. იმავე წელს ჩილდირს ვიალეთში ხელისუფლება შეიცვალა. შერიფ ჯაყელის ნაცვლად ფაშად დაამტკიცეს სელიმ ხიმშიაშვილი. შესაძლოა ეს ცვლილება დაკავშირებული იყო სამხედრო წარუმატებლობასთან. 1811წ. რუსებმა ოსმალებს ახალქალაქი წაართვეს (თუმცა ზავის პირობებით დაუბრუნეს). კავკასიის მმართველი მარკიზი პაულიჩი (1811-1816 წწ) 1812წ. 11 მარტს იმპერატორს წერდა, რომ გასულ თვეში ახალციხის ფაშამ შერიფმა ახალქალაქს წარუმატებლად შემოუტიაო (АКТЫ, 1873:63). იმავე 1812 წელს შერიფ ჯაყელი კარაპისარის ფაშად დანიშნეს (მურად ქასაბი, 2012:142).

1815წ. ერზრუმის სერასკირის ბაბა ფაშას ბრძანებით ოსმალთა სამხედრო ნაწილმა ღალატით აიღო ხიხანის ციხე. სელიმ ხიმშიაშვილი დაატყვევეს, თავი მოკვეთეს და მოკვეთილი თავი სტამბოლში გაგზავნეს ((АКТЫ, 1873:828-829). თურქული ისტორიოგრაფიის მიხედვით ის სიკვდილით დასაჯეს „დაშვებული კანონდარღვევების გამო“ (მურად ქასაბი, 2012:140).

შერიფ ჯაყელი ჩილდირის ვიალეთში არ დაუბრუნებიათ. 1819წ. ის ტრაპიზონის ფაშად და შავიზღვრისპირეთის სერასკირად დანიშნეს. 1820წ. ის კანდიეს ციხისთავია. 1822წ. კი კრეტის ფაშა და სერასკირია. იგი გარდაიცვალა 1823წელს იქვე გარდაიცვალა (მურად ქასაბი, 2012:142).

წყაროები და ლიტერატურა:

1. ახალციხის ფაშების სია. თავისუფალი ქართულენოვანი ენციკლოპედია, ვიკიპედია, ლიტერატურა: ბონდო კუპატაძე, „საქართველოს ხელისუფლების ისტორია“, უნივერსალი თბ, 2009;
2. მურად ქასაბი, ოსმალეთის ქართველები, საქართველოს-თან მეგობრობის ასოციაცია, სტამბოლი 2012;
3. ნ. შენგელია, XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1974;
4. ზურაბ ბატიაშვილი, ქართველები ოსმალური პერიოდის ტრაპიზონში, გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი, 2008.
5. АКТЫ КАК, ТОМ II, ИЗДАНЬ ВЪ ТИПОГРАФИИ ГЛАВНАГО УПРАВЛЕНИЯ НАМЕСТНИКА КAVKAZCCKAΓO, ТИФЛИСЬ, 1868;
6. АКТЫ КАК, ТОМ III, ИЗДАНЬ ВЪ ТИПОГРАФИИ ГЛАВНАГО УПРАВЛЕНИЯ НАМЕСТНИКА КAVKAZCCKAΓO, ТИФЛИСЬ 1869;
7. АКТЫ КАК, ТОМ IV, ИЗДАНЬ ВЪ ТИПОГРАФИИ ГЛАВНАГО УПРАВЛЕНИЯ НАМЕСТНИКА КAVKAZCCKAΓO, ТИФЛИСЬ 1870;
8. АКТЫ КАК, ТОМ V, ТИПОГРАФИЯ ГЛАВНАГО УПРАВЛЕНИЯ НАМЕСТНИКА КAVKAZCCKAΓO, 1873.

Aleksander Chkhaidze

*Selim Khmishiashvili by the acts of Caucasia Archeographic
commission*

Summary

One of the most important source of the biography of Selim Khimshiashvili is “Acts of Archeological Commission of Caucasus“. Here, among many documents we have outlined topic concerning

confrontation of Selim Khimshiashvili with Sheriff Jakeli for an anteriority in Eyalet of Childir (Akhaltzikhe) at the beginning of XIX in The Ottoman Empire.

Selim Khimshiashvili with Sheriff Jakeli were similar fruit of the same land. Both of them had furious battle between each other for an anteriority. Both of them were officially fighting under the same Ottoman flag as ottoman officers against Russian. Sometimes, they expressed principal disobedience against the representatives of superior government. Due to the policy of Ottomans' government, they were damaging Georgia, which was beyond the borders and was in the ownership of Russia. Caucasian government of Russia evaluated their career negatively and they considered that both of them were "Traacherous" and at the same time Russians understood that because of weaknesses of the social and political system of The Ottoman Empire, Selim and Sheriff differed with independent actions and Russians were trying to use them in confrontation of Eyalet of Childir (Akhaltzikhe) by promises. Both of them were in good relationships with the king of Imereti Solomon II. We consider that the ideal of the both of them was independent Samtskje-Saatabago governance. Also, we should mention that according to the Russian documents Selim was surfaced in the secret agreements with Russians. We are not aware of the specific reason of his punishment. It could be alliance with Russia, disobedience against the representatives of superior government or any other actions taken against the Porta. Officially, in the history of Turkey we can read out that he was punished because of violation of the law.

რამაზ სურმანიძე

მრავონი პრასკოვია შვაროვა და ძართველი საზოგადოებრიობა

ცნობილი რუსი არქეოლოგის, პრასკოვია უვაროვას (1840-1924) ურთიერთობა ქართველ მეცნიერებთან ძალზე ფართო და საინტერესოა. ეს დასტურდება მრავალი კერძო წერილით, რომელშიც გამოსჭვივის ქართველ მეცნიერთა დიდი ინტერესი, შექმნან საქართველოს ისტორიის და არქეოლოგიის მძლავრი ცენტრი საკუთარ სამშობლოში. ამ მხრივ განსაკუთრებულია პრ. უვაროვას და **ექვთიმე თაყაიშვილის** მიმოწერები.

შემთხვევითი არაა, რომ ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთი მამამთავარი, ექვთიმე-ლვთისკაცი, 38 წლის ასაკში პირველი აირჩიეს მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად (1901 წლის 19 სექტემბერს), ხოლო 5 წლის შემდეგ ამავე საზოგადოების ნამდვილ წევრად (1906 წლის 20 დეკემბერი). ექვთიმე თაყაიშვილის პირად არქივში ინახება ორივე ცნობა, რომლებსაც ხელს აწერს გრაფინია პრასკოვია უვაროვა(აკადემიკოს **ექვთიმე თაყაიშვილის** არქივი. 1972:19).

ამ საპატიო წოდებების მოპოვების შემდეგ კიდევ უფრო გაფართოვდა პრ. უვაროვას და ექ. თაყაიშვილის საქმიანი ურთიერთობა. 1907 წლის 26 ნოემბრის წერილით პრ. უვაროვამას თხოვს არქიტექტორთან ერთად დაათვალიეროს ტიმოთეს უბნის მონასტერი.

1909 წელს მოსკოვში „Материалы по археологии Кавказа“-ს რუბრიკით გამოვიდა ექვთიმე თაყაიშვილის „Христианские памятники“, რომელშიც შევიდა მეცნიერის 1902 წლის ექსკურსიის შედეგები. საკმაოდ დიდი მოცულობის შრომას (176 გვერდი) ავსებდა 26 ტაბულა და ცინკოგრაფიები (108). ნაშრომი გამოსცა მოსკოვის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა პრასკოვია უვაროვა. იგი ამ ნაშრომის რედაქტორიც იყო (Материалы по археологии Кавказа (МАК), Христианские памятники. 1909).

ვალში არც ე. თაყაიშვილი რჩება. 1910 წლის 17 მაისს პრ. უვაროვას საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელით ექვთიმემ მიულოცა მოღვაწეობის 25 წლისთავი, ხოლო ხუთი წლის შემდეგ გამოსცა კრებული, რომელიც ასევე პრ. უვაროვას მოღვაწეობის 30 წლისთავს მიუძღვნა (MAK, 1909).

1901-1917 წლებში პრ. უვაროვას და ექვთიმე თაყაიშვილს შორის მიმონერათა საერთო რაოდენობა, რომელიც დატულია ექვთ. თაყაიშვილის არქივში, 70-ს უდრის. ყველა მათგანი არქეოლოგიის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს ეხება და ამ დარგის ისტორიის შესწავლისთვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს (MAK, 1909:164).

ექვთიმე თაყაიშვილის სახელი იხსენიება აგრეთვე პრ. უვაროვას სხვა, კერძოდ თბილისის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორის ლ. გ. ლოპოტინსკისადმი გამოგზავნილ წერილებში (1910-1913 წ.წ.). ერთ-ერთ წერილს ადრესატის ხელით მიწერილი აქვს: „Многоуважаемый Ёфимий Семёнович! Потрудитесь ответить на все эти вопросы графинии... Преданный Вам Л. Лопатинский” (ნიკო მარის და ექვთიმე თაყაიშვილის მიმონერა. 1991:126, 127).

სამეცნიერო და პროფესიული თანამოსაქმეობის, ურთიერთ პატივისცემის მიუხედავად ექვთიმე თაყაიშვილი ხშირად ეკამათებოდა უვაროვას დაშვებული შეცდომების გამო.

1891 წლის 8 თებერვლის წერილში ნიკო მარისადმი იგი წერს: „შარშან ზაფხულში ცოლის შერთვის შემდეგ აბასთუმანში წავედი. იქიდგან გულმა აღარ გამიძლო და ცოლითურთ ზარზმის მონასტერში გავემგზავრე, გზაზე სმადის პატარა ეკლესია ვნახე, აგრეთვე ვალეში წავედი და სხვაგან კიდევ. ბევრში ცრუობს გრაფინია უვაროვას გამოცემა და მინდა ცოტა რამ დავწერო მათ გამოცემაზე, მაგრამ დამემდურებინ ვიცი. ბევრი საბუთი მაქვს მათი უვიცობისა, მეტადრე კითხვაში“ (ნიკო მარის და ექვთიმე თაყაიშვილის მიმონერა. 1991:126, 127).

იმიტრი ერმაკოვი მართლაც შეუდარებელი ფოტოხელოვანი იყო, მაგრამ თავის დიდ ხელოვნებას ხშირად ფინანსურ ინტერესებზე ცვლიდა. მის გამო ხშირად ჰქონდა უსია-

მოვნება მეცნიერთა წრესთან. ამონაკლისი არც ე. თაყაიშვილი იყო; ამჯერად საქმე პრ. ვაროვასაც ეხებოდა.

სვანეთში მოგზაურობისას სურათების გადაღება ე. თაყაიშვილის დამსახურება იყო, რადგანაც მის გარეშე ეკლესიაში არავის უშვებდნენ; დ. ერმაკოვმა* გადაწყვიტა ფოტომასალა გადაეცა პავლე თუმანიშვილისთვის, რათა ექვთიმეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „უნდა კიდევ ბევრი ფული დასტყუროს თუმანოვს და ჩემი მისაცემი სურათების ფული მას გადაახდოს, სხვებზე კი სურათებს ყიდის... დღეს მოსვლია ქალღმერთი ერმაკოვს უვაროვასაგან, რომ ადიშის სახარების გამოცემა უკისრია მოსკოვის საზოგადოებას და იბარებს ფოტოგრაფიულ სურათებს. მე უნდა მივსწერო უვაროვისას, რომ თუ გამოცემა უნდათ, ჩემი ხელმძღვანელობით და წინასიტყვაობით უნდა გამოსცენ. ისე პროტესტს გამოვაცხადებ.“ (ნიკო მარის და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერა. 1991:246, 247).

გრაფინიასთან ექვთიმე ცამდე მართალი იყო, რადგანაც ადრე ქალბატონს უთქვამს სახარებას ჩვენ ვერ გამოვცემთო, შემდეგ კი შეუცვლია აზრი. გამოდის, რომ ექვთიმეს დიდი რუდუნებით აღმოჩენილი საბუთები ერმაკოვის ფოტოებს უნდა შეწირვოდა.

საბოლოოდ საქმე კომპრომისულად გადაწყდა ადიშის 897 წლის სახარება გამოვიდა პრ. უვაროვას, ალ. ხახანაშვილის და ექვთ. თაყაიშვილის რედაქტორობით,** რომლის წინასიტყვაობის ავტორიც ექვთ. თაყაიშვილია (Материалы по археологии Кавказа (МАК), 1916)

პრ. უვაროვასთან მიმოწერები ჰქონდა **კორნელი კეკელიძეს**. მათი ურთიერთობა ასე დაიწყო. 1908 წელს გამოცხადდა კონკურსი ს.ს. უვაროვის სახ. პრემიაზე (დანესდა 1897 წელს). კორნელიმ გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო ამ კონკურსში, რისთვისაც მოსკოვში ნ. კონდაკოვს და ნ. მარს (ალბათ კომისიის წევრებს) 1908 წლის 3 ივლისს გაუგზავნა თავისი წიგნი „Литургические грузинские памятники“ (**კორნელი კეკელიძის** პირადი არქივის აღწერილობა. 1979:103).

როგორც ირკვევა, თავის განზრახვაზე, მონაწილეობა მიეღო კონკურსში, კ. კეკელიძემ პასუხი ვერ მიიღო, ამიტომ 1908 წლის 22 სექტემბერს მეორე წერილი გაგზავნა მოსკოვ-

ში ა. ა. გლაგოლევის, ნ. გროსუს, ვ. დ. პრილუცკის სახელზე, რომლითაც თხოულობს შეატყობინონ მიიღეს თუ არა მისი

წიგნი, წარდგენილი უვაროვის პრემიაზე (**კორნელი კეკელიძის** პირადი არქივის აღწერილობა. 1979:103).

ჩვენთვის უცნობია, როგორ დამთავრდა ეს მიმოწერა. თუმცა, თუ ერთი მოგვიანო წერილით ვიმსჯელებთ (1912 წ.), უნდა ვიფიქროთ, რომ უშედეგოდ. ამჯერად კ. კეკელიძე პირადად პრ. უვაროვას საყვედურობს იმის გამო, რომ მისი მეცნიერული ღვაწლი სათანადოდ არაა დაფასებული (**კორნელი კეკელიძის** პირადი არქივის აღწერილობა. 1979:151).

ივანე ჯავახიშვილის არქივში ინახება 1901 წლის 17 მაისით დათარიღებული საბუთი, რომელიც ეხება ქართველი მოღვაწეების მონაწილეობას ათონის ძეგლის გამოცემაში და მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების განყოფილების დაარსებას საქართველოში. მომავალი დიდი ქართველი მეცნიერი ამ მიზნით დახმარებას თხოვს პრასკოვია უვაროვას, რომელსაც მაშინ, შეიძლება ითქვას, ხელთ ეპყრა რუსეთის არქეოლოგიის სადავეები (**ივანე ჯავახიშვილის** პირადი არქივის აღწერილობა. 1976:159).

მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა გულითადად მიესალმებოდა ქვეყანაში არქეოლოგიის განვითარებას, მინისქვეშა სიძველეების გამოვლენა-შესწავლას და ამ ახალ წამოწყებას დიდად უწყობდა ხელს, მაგრამ იგი ვერ ეგუებოდა და დიდ სინანულს გამოთქვამდა, რომ ყველა მნიშვნელოვანი ისტორიული სიძველე, საგანი და ხელნაწერი საქართველოდან გაჰქონდათ და მათი დაბრუნების არავითარი იმედი აღარ იყო. ამ მხრივ განსაკუთრებულ საყვედურს გამოთქვამდნენ პრ. უვაროვას მიმართ.

მისი ექსპედიციის მოძრაობას საკმაოდ ვრცლად აღწერს **თედო სახოკია**, რომელიც ამავე დროს გვანავდის სიას იმ საგნებისა, რომელიც პრ. უვაროვამ ს. აგარაში (ზემო აჭარა) აღმოაჩინა და საქართველოდან გაიტანა; ესენია: მინის ჭურჭლის ნამტვრევები, თხელი ბრინჯაოს ღვთისმშობლის ხატი, რკინის ჯვარი, თითბრის ეჭვნები, გასაღები, დანა, ვერცხლის ლილები, მინის ფიალის ნატეხი, ქვის ხატი ქართული მხედრული წარწერით, რომელზეც გამოსახულია მაცხოვარი, ღვთისმშობელი და სხვა წმინდანები, არჩვის და ირმის რქები და ა. შ. „უვაროვის ექსპედიციამ, როგორც აჭარი-

დან, ისე ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებიდანაც, არქეოლოგიური მხრით რაც რამ ღირსშესანიშნავი ნახა, ყველაფერი გაზიდა. გაზიდა ძველი ხატები და ხელნაწერებიცა. სამწუხაროა, რომ ჩვენი ქვეყნიდან ეზიდებიან ჩვენს ეროვნულს საუნჯესა, ვინ იცის სად მიაქვთ, საბოლოოდ გვწირავენ, და ჩვენს შორის კი არავინ გამოჩნდა ისეთი, რომ ამავე ნივთებისათვის თავი ერთად მოეყარა და შთამომავლობისათვის უკლებლივ გადაეცა. მაგრამ სადაა ასეთი მადლიანი! სანამ ჩვენ გონს მოვიკრეფდეთ და საქმეს შევუდგებოდეთ, ხელიდან გამოგვაცლიან ყველაფერს“-წერდა თ. სახოკია. ამ საყვედურნარევი სიტყვების მიუხედავად თედო სახოკია არც დამსახურებას უკარგავს არქეოლოგ ქალბატონს: „მეორეს მხრით, – წერს ეთნოგრაფი, – ამაგიც დაგვდო: ყველაფერი დაწვრილებით აღწერილ და დახატულ იქნა (თედო სახოკია, 1950:138).

თუმცა ავტორი ჩვენი სიძველეების გატანას მაინც დიდ დანაშაულად თვლის და ამას ჩვენი უყურადღებობით და ბედოვლათობით ხსნის.

ამავე თემას ეხებიან **ზაქარია ჭიჭინაძე** და **ივანე ჯაიანი**. ზ. ჭიჭინაძე იმეორებს თ. სახოკიას ნათქვამს, მაგრამ მათი ჩანაწერები ერთმანეთისგან განსხვავდება. სრული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, ვფიქრობ, უადგილო არ იქნება ამ ჩანაწერის მოტანაც: „1889 წ.* აქ იყო **უვაროვისა** და ამან გადაათხრევინა ეკლესიის ნანგრევები, რაც 3 000 მან. დაუჯდაო. მიაბბეს: ეკლესიის იატაკი თლილის ქვით ნაგები აღმოჩნდა, მთელი იატაკი ააყრევინა, საფლავები გაათხრევინა, შიგ ერთი ლურჯი მარმარილოს ქვის ფიცარი იპოვნეს, რომელზედაც დახატული ყოფილა მღვთის მშობელი, გარშემო ფეხზედ მდგარნი ქართველთ მეფეები და მხედრული წარწერა ჰქონია. იპოვნეს კიდევ ერთი ძველი პატარა ვერცხლის ხატი და სხვა ნივთები, რაც შესანიშნავი ქვები მოგროვდა, რომელზედაც-კი ჩუქურთმა და მხატვრობა აღმოჩნდა, ყველა ესენი ერთად შეკრიბეს და რუსეთს წაიღეს. სულ 100 ფუთამდე იყოვო. დღეს ამ ეკლესიის ალაგას აღარაფერია და მთლათ მიწით არის დაფარული. სოფლელებს მიწა მოუფენიათ და ჰხნავენ, დანარჩენი ქვებიც სულ აქეთ იქით გადაუყრიათ“ (**ზაქარია ჭიჭინაძე**. 1913:182).

გრაფინია უვაროვას და მის თანმხლებთა ექსპედიცია საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. მის შესახებ ნერდნენ მეფის ჩინოვნიკები და სამხედრო პირებიც. ერთ-ერთი მათგანია მაიორი **ივანე ჯაიანი**, რომლის ნაწილი ბორჩხაში იდგა: „ამას წინად აქ მობრძანდა მოსკოვიდან თავმჯდომარე, მოსკოვის საიმპერატორო და საარხეოლოგიო კომისიის გრაფის ქვრივი უვაროვისა თავისი **შვილებითურთ, დითა და დის-წულით** და დაიარა მთელი აჭარის ძველი მონასტრები. უვაროვისა და იმასთან მყოფნი ავიდნენ ერთს ნასაყდრალზე, რომელიც არის აგარის საზოგადოებაში და სახელად უძახიან საციხურს; აქ უვაროვისამ მოათრევინა ის ნასაყდრალი და იპოვა მარმარილოს ქვაზე რამდენისადმე წმინდანის სურათი. ამას გარდა კიდევ გამოჩნდა შესანიშნავი თლილი ქვები ნატეხებით, მაგრამ ამ ქვებს თითოს ხუთს ფუთიდგან ათ-თორმეტ ფუთამდის გამოდიოდა, ასე რომ, ას ოც ფუთამდის ყველა ქვები წონით. ყველა ეს ქვები, ხატები და ნაპოვნი ნივთები ბათუმში ჩაიტანეს“ (**ივანე ჯაიანი**. 1991:42, 43).

ქართული კულტურის ძეგლებისადმი ასეთი დამოკიდებულების, ზოგჯერ ტენდენციური გამოთქმების, მატერიალური სიმდიდრის უკანონოდ გატანის მიუხედავად მიგვაჩინია, რომ პრ. უვაროვაზე საჭიროა რაც შეიძლება მეტი ვიცოდეთ, რამეთუ მან საქართველოს ისტორიაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა და მრავალი საყურადღებო ნაშრომიც შექმნა. ერთ-ერთი მათგანია მისი „მოგზაურის ჩანაწერები“ (აჭარა, შავშეთი, ფოცხოვის მხარე), რომელსაც საკმაოდ დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს. იგი ჩვენ ქართულად ვთარგმნეთ და სერიით, „აჭარა უცხოელთა თვალით,“ ალბათ მას მალე იხილავს მკითხველი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აკადემიკოს **ექვთიმე თაყაიშვილის** არქივი. შეადგინა **ელენე კელენჯერიძემ**. თბილისი. 1972;
2. Материалы по археологии Кавказа (МАК). Христианские памятники. М., 1909;

3. ნიკო მარის და ექვთიმე თაყაიშვილის მიმონერა. გამოსაცემად მოამზადეს რ. კავილაძემ და მ. მამაცაშვილმა. თბილისი. 1991;
4. Материалы по археологии Кавказа (МАК). Вып. XIV. Москов. Археол. Об-ва. М. 1916 г.
5. კორნელი კეკელიძის პირადი არქივის აღწერილობა. შეადგინა რ. კავილაძემ. თბილისი. 1979;
6. ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა. შეადგინესა. ბაქრაძემ და ნ. ჯავახიშვილმა. თბილისი. 1976;
7. თედო სახოკია. მოგზაურობანი. თბილისი. 1950;
8. ზაქარია ქიქინაძე. მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი. 1913;
9. ივანე ჯაიანი. წერილები შავშეთიდან. თბილისი. 1991 წ. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა რამაზ სურმანიძემ.

Ramaz Surmanidze

Countess Praskovya-Uvarova and Georgian society

Summary

The famous Russian archaeologist, Praskovya Uvarov relations with Georgian scientists evidenced by the many letters. In this regard, is special conversations between Uvarova and Ekvtime Takaishvili. In article is explored and narrated these issues.

ბათუმის ოლქის მეჯლისის ისტორიისათვის

ბათუმის ოლქის მეჯლისი 1919 წლის 31 აგვისტოს შეიქმნა და 1922 წლის იანვრამდე არსებობდა. მისი შექმნის ძირითადი მოტივაცია ის იყო, რომ ლეგიტიმაციის ფორმა მიეღო „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ ბრძოლას უცხოეთის ოკუპანტი სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც ლამობდნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დედასამშობლოსგან ჩამოცილებას და სხვა ქვეყნებთან მიერთებას. მეჯლისი აირჩიეს ბათუმის ოლქის მოსახლეობის წარმომადგენლობის ყრილობაზე ინგლისელთა ბატონობის დროს.

ბათუმის ოლქში მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობის მოწვევისათვის დიდი მუშაობა ჩაატარა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა“, რომელიც 1918 წლის 15 მაისს შეიქმნა თბილისში. მისი დაარსების ინიციატორები იყვნენ მემედ, ჰაიდარ და ზია აბაშიძეები, სულეიმან დიასამიძე, ხასან თხილაიშვილი, ყადირ შერვაშიძე, იუსუფ ქათამაძე, ქესკინ ნოლაიდელი და სულეიმან ბეჟანიძე. კომიტეტის თავმჯდომარედ დაუსწრებლად აირჩიეს მემედ აბაშიძე, რომელიც მაშინ ტრაპიზონის საპატიმროში იმყოფებოდა, მოადგილედ – ჰაიდარ აბაშიძე. „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ ორგანიზაციის საერთო საქმიანობას წარმართავდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომლის პოლიტიკური, ფინანსური და მატერიალური დახმარებით კომიტეტმა გაშალა დიდი მუშაობა თურქი ოკუპანტებისა და სხვა მოძალადეების წინააღმდეგ. ოკუპანტები ყველა საშუალებას მიმართავდნენ საქართველოს ტერიტორიის მოტაცებისა და ანექსიისათვის.

ოსმალეთმა, რომელიც სამი საუკუნის განმავლობაში ბატონობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ფორმალურად გამოიყენა ბრესტის ხელშეკრულება (1918 წ. 3 მარტი) და 1918 წლის აპრილში სამხრეთ-დასავლეთ საქართველო დაიპყრო. წარმოიქმნა რეალური საფრთხე მხარის ანექსიისათვის. ამ მიზნისათვის ოსმალეთის მთავრობა ადგი-

ლობრივ რეაქციულ ძალებსაც იყენებდა. ოსმალეთის დამპყრობლებმა აჭარაში ტირანული პოლიტიკური რეჟიმი დამყარეს და ძალადობით ახშობდნენ მოსახლეობის ნებისმიერ გამოსვლას. სწორედ ამიტომ „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ თბილისში შეიქმნა, რომლის ამოცანას შეადგენდა: პირველი, უცხოელი ოკუპანტების განდევნა საქართველოდან, ბათუმის ოლქის დედასამშობლოდან ჩამოცილების აღკვეთა, ქვეყნის მთლიანობის აღდგენა და დაცვა. მეორე, ოლქისათვის ავტონომიური მართვა – გამგებლობის შემოღება.

მაშინდელ პირობებში ავტონომიური მმართველობის შემოღებას რეგიონისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. საქმე ის არის, რომ ოსმალეთის ხელისუფლება თანახმა იყო ბათუმის ოლქისათვის ავტონომიის სტატუსის მინიჭების თაობაზე, თუ საქართველოს ეს რეგიონი მის მფლობელობაში მოექცეოდა. ამ მიმართებით ოსმალეთის სასარგებლოდ პროპაგანდას ეწეოდნენ თურქოფილები, მათ შორის თემურ შერიფის ძე ხიმშიაშვილი. იგი ხელმძღვანელობდა აჭარის დელეგაციას, რომელიც ოსმალეთის სულთანს ეწვია 1918 წლის სექტემბერში და შესთავაზა ავტონომიის სტატუსით ბათუმის ოლქის ოსმალეთთან შეერთება. ამასთან დაკავშირებით, ჰაიდარ აბაშიძე სტატიიაში „სამუსლიმანო საქართველო და ოსმალეთი“ წერდა: „ჩვენი ხალხი ოსმალეთის მიერ წამოსროლილ ანკესზე აღარ წამოეგება. ჩვენს ხალხს ოსმალეთის ავტონომია არც სჯერა და არც ესაჭიროება“ (ჰაიდარ აბაშიძე, 1963:103).

განმათავისუფლებელმა კომიტეტმა 1918 წლის მაისში ოზურგეთში გახსნა განყოფილება, რომელიც დეკემბრამდე მოქმედებდა. განყოფილებას ზია აბაშიძე ხელმძღვანელობდა. მეორე განყოფილება გაიხსნა ახალციხეში 1918 წლის ბოლოს, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ყადირ შერვაშიძე. საგულისხმოა, რომ სამცხე-ჯავახეთში კიდევ უფრო მეტად აქტიურობდნენ სეპარატისტები, რომელთაც ხელმძღვანელობდა სერვერ ქვაბლიანელი (ჯაყელი). როგორც ბათუმის ოლქში, ისე სამცხე-ჯავახეთში სეპარატისტების წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მოსახლეობის ნაწილი, რომელიც მათი ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა, დამაჯერებელი აგიტაცია-პროპაგანდის შედეგად, უნდა

განთავისუფლებულიყო თურქოფილების ანტიქართული ქადაგებისაგან. ეს ამოცანა განმათავისუფლებელმა კომიტეტმა წარმატებით გადაწყვიტა.

განმათავისუფლებელ კომიტეტს იმის შესაძლებლობა არ გააჩნდა, რომ რაღაც სასწაული მოეხდინა მოძალადეებისაგან მხარის გათავისუფლებაში. იგი აკეთებდა იმის მაქსიმუმს, რაც შეეძლო. ოსმალეთი ყველა მომხდურზე საშიში იყო, მაგრამ საერთაშორისო ვითარებამ იგი აიძულა დაეტოვებინა სამხრეთ-დასავლეთი საქართველო. საბერძნეთთან ომში დამარცხების შედეგად ოსმალეთმა 1918 წლის 30 ოქტომბერს დადო საზავო ხელშეკრულება და ნოემბერში თურქებმა დატოვეს ბათუმი, მაგრამ დეკემბრის ბოლოს სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, მათ შორის ბათუმი, დაიკავეს ინგლისელმა კოლონიზატორებმა. ბათუმში დიდი ბრიტანეთის 15000 სამხედრო შემოვიდა 5 გემით, რომლებიც განთავსდნენ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში. ინგლისელებმა ბათუმის ოლქში დაამყარეს სამხედრო-კოლონიური რეჟიმი. დიდი ბრიტანეთი მაშინ მხარს უჭერდა ლოზუნგს „ერთიანი და განუყოფელი რუსეთი“. როგორც ჩანს, ინგლისელი პოლიტიკოსები დარწმუნებული იყვნენ თავიანთ გამარჯვებაში. მაგრამ სამოქალაქო ომში ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ მხარდაჭერის პოლიტიკის გატარებას აზრი აღარ ჰქონდა.

ცხადია, ინგლისელებს საკუთარი ანგარებითი მიზნებიც ამოძრავებდათ. მათ აინტერესებდათ ბათუმი, როგორც აღმოსავლეთთან და დასავლეთთან დამაკავშირებელი ხიდი. სწორედ ამით იყო ნაკარნახევი, რომ 1920 წლის დასაწყისში დიდი ბრიტანეთის უმაღლეს ხელისუფლებაში შეიმუშავეს გეგმა ბათუმისა და მისი შემოგარენის ბაზაზე „მინი სახელმწიფოს“ შექმნის შესახებ. ახალ პირობებში შეიცვალა განმათავისუფლებელი კომიტეტის მუშაობის ფორმები, მეთოდები და ტაქტიკა. აუცილებელი გახდა განმათავისუფლებელი კომიტეტის, როგორც მცირერიცხოვანი ჯგუფის, შეცვლა ფართო ლეგიტიმური ორგანოთი. ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ განმათავისუფლებელი კომიტეტთან დაპირისპირებაში იმყოფებოდა ზოგიერთი გავლენიანი პირი, მათ შორის ჯემალ ხიმშიაშვილი. მან საშუალება არ მისცა განმათავისუფლებელ კომიტეტს ზემო აჭარაში მოენვიათ მოსახლე-

ობის კრება, სადაც აირჩეოდა მუსლიმან ქართველთა ყრილობის დელეგატები. ფაქტობრივად ჯემალ ხიმშიაშვილი ყრილობის მოწვევის წინააღმდეგ გამოდიოდა. იგი ასევე წინააღმდეგი იყო ავტონომიის შექმნისა. მან თავისი პოზიცია დააფიქსირა თბილისში 1920 წლის ივლისში. ჯ. ხიმშიაშვილმა ოფიციალურად განაცხადა: „აჭარას არ სურს ავტონომია და იგი საქართველოს უერთდება, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი“ (სრ, 29 ივლისი, 1920).

ყრილობის მოწვევისათვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა გასწია განმათავისუფლებელმა კომიტეტმა. ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ ნება დართო ინიციატორებს ყრილობის ჩატარებაზე. ამის შემდეგ დაიწყო სახალხო შეკრებებზე ყრილობის დელეგატების არჩევა. ყრილობა გაიხსნა ბათუმის საქალაქო საბჭოს სხდომათა დარბაზში. მას დაესწრო 100-მდე დელეგატი, რომელთა შემადგენლობა, სოციალური მდგომარეობითა და პოლიტიკური შეხედულებით, არაერთგვაროვანი იყო (ე.მესხია, 1997:97).

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლები: დამფუძნებელი კრების წევრები პ. საყვარელიძე და ს. ფირცხალავა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კონსული ბათუმში ნ. აღნიაშვილი, სპარსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის კონსულები და სხვები.

ყრილობის მომზადებაში, მისი იდეების პროპაგანდაში განსაკუთებული როლი შეასრულა გაზეთმა „სამუსლიმანო საქართველომ“, რომლის პირველი ნომერი 1919 წლის 11 იანვარს გამოვიდა. გაზეთს აფინანსებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. 1919 წლის ივლისამდე გაზეთის რედაქტორი იყო თახსიმ ხიმშიაშვილი, რომელიც შემდეგ მემედ აბაშიძემ შეცვალა. 1919-1921 წწ. (თებერვალ-მდე) გაზეთის 500 ეგზემპლარი დაიბეჭდა (აქედან ნახევარზე მეტი 1919 წელს).

„სამუსლიმანო საქართველოს“ ყრილობამ განსაზღვრა მომავალი მუშაობის სტრატეგია და ტაქტიკა. ყრილობის რეზოლუციაში ნათქვამია: „ამიერიდან და სამარადისოდ ბათუმი და ბათუმის ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ სამშობლოს, საქართველოს რესპუბლიკას, ფართო ავტონომიის წინა-

ადაგზე“ (მ. აბაშიძე, 1967:43). მეჯლისმა განაგრძო ის მუშაობა, რასაც განმათავისუფლებელი კომიტეტი ახორციელებდა ფართო ლეგიტიმაციის საფუძველზე. ძირითადი სტრატეგია იგივე რჩებოდა: ბათუმის ოლქის გათავისუფლება ინგლისელთა ბატონობისგან და დედასამშობლოსთან სამარადისოდ შეერთება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების და აჭარის მოსახლეობის დარწმუნება რეგიონში ავტონომიის სტატუსის შემოღებისათვის.

ბათუმის ოლქის მეჯლისის შექმნის შემდეგ სტრატეგიული მიზნის მისაღწევად მუშაობა ახალ სტადიაში შევიდა. იგი დასახული მიზნის მისაღწევად დიდ მუშაობას ეწეოდა, მაგრამ ამ რთულ და ეკლიან გზაზე სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდა. ქვეყნის შიგნით კვლავ აღმოჩნდნენ ძალები, რომლებიც მეჯლისის ლეგიტიმაციას ეჭვის ქვეშ აყენებდნენ, ამ მოტივაციით მის დისკრედიტაციას ეწეოდნენ. ასეთ პროპაგანდას და პრაქტიკულ ღონისძიებას ატარებდნენ ბათუმის ოლქში ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლება, რუსი და ოსმალეთის აგრესორები და სხვები. გაოცებას იწვევს აჭარის გავლენიანი პიროვნების ჯემალ ხიმშიაშვილის პოზიცია მეჯლისის მიმართ. მისი აზრით თითქოს მეჯლისს არ აქვს უფლება ხალხის სახელით ილაპარაკოს, რადგან დემოკრატიული საარჩევნო სისტემით არ არის არჩეული (სრ, 1920, №168).

ბათუმის ოლქის მეჯლისმა ორი წელი და 4 თვე იარსება. მისი ისტორია შეიძლება სამე ეტაპად დაიყოს. პირველი ეტაპი 1919 წლის 31 აგვისტოდან 1921 წლის ივნისამდე გაგრძელდა. ამ ეტაპზე მეჯლისმა თავისი წვლილი შეიტანა ინგლისელი ოკუპანტებისაგან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გათავისუფლებაში. 1920 წლის 7 ივნისს (ძვ.სტ.) ინგლისის ჯარმა დატოვა ბათუმი და აჭარა საქართველოს დაუბრუნდა.

„ფართო ავტონომიის“ ცნებაში, რომელიც დაფიქსირდა სამუსლიმანო საქართველოს ყრილობის რეზოლუციაში (1919 წ. 31 აგვისტო), იგულისხმებოდა პოლიტიკური ავტონომია. ამის დასტურია სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის პროგრამა და ინსტრუქცია, რომელიც გამოქვეყნდა 1919 წელს. ამ დოკუმენტის მიხედვით, „სამუსლიმანო საქართველოს“ ეყოლება საკანონმდებ-

ლო ორგანო, ე.ი. პარლამენტი, საკუთარი მთავრობა, რომელიც დამოუკიდებლად განაგებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სარწმუნეობის საქმე, სასამართლო, ადმინისტრაცია, სწავლა-განათლება, ეკონომიკა. საქართველოს მთავრობასთან ერთად, განსაზღვრულ პირობებში, უნდა აწარმოებდეს სამხედრო, საფინანსო, საგარეო, ფოსტა-ტელეგრაფის, სარკინიგზო, საბაჟო და სხვა საკითხებს (ო. თურმანიძე, 2012:85).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ არ გაიზიარა მეჯლისის მოთხოვნა აჭარისათვის ფართო, ე.ი. პოლიტიკური ავტონომიის სტატუსის მინიჭების შესახებ. მართალია, საქართველოს პარლამენტის 1919 წ. 19 დეკემბრის დადგენილებით ბათუმის ოლქს ავტონომიის სტატუსი მიენიჭა, მაგრამ ამაში ადმინისტრაციული ავტონომია მოიაზრებოდა. ბათუმის ოლქის ინგლისელი კოლონიზატორებისაგან განთავისუფლებისა და დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ საერთოდ არ შეასრულა თავისი დაპირება: ბათუმის ოლქში შეიქმნა არა ავტონომიური, არამედ საგანგებო მმართველობა შეფარდებული სამხედრო წესებთან. გენერალ გუბერნატორად დაინიშნა ბენია ჩხიკვიძელი, რომელიც სამხედრო წესებითა და მეთოდებით მართავდა რეგიონს. ამ გარემოებამ ბათუმის ოლქის მეჯლისის წევრების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია (ო. თურმანიძე, 2012:86).

მეჯლისის თანმიმდევრული და გაბედული ბრძოლის შედეგად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება იძულებული გახდა დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია აჭარის ავტონომიის შესახებ. იგი აისახა 1921 წლის 21 თებერვალს კონსტიტუციაში, რომელშიც ნათქვამია: „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს: აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველო (ბათუმის მხარე), ზაქათალას (ზაქათალას ოლქი) ენიჭებათ ადგილობრივ საკითხებში ავტონომიური მმართველობა“ (სკ, 1921:23).

1921 წლის თებერვალ-მარტში, როდესაც საბჭოთა რუსეთის ჯარი საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდა, თურქეთი კვლავ გააქტიურდა ქართული მიწა-წყლის ინკორპორაციისათვის. ამ ამოცანის რეალიზაციისათვის ლეგიტიმაციის რა-

ლაც ფორმასაც ეძებდა, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა საერთაშორისო საზოგადოებაში თავის მართლება აგრესიის შესანიღბავად. ამის დასტურია ის, რომ საქართველოს გასაბჭოებისას (1921 წლის თებერვალში) ბათუმის ოლქის მეჯლისის ენვია თურქეთის დელეგაცია, რომელიც ანგორის მთავრობის დავალებით არმიის მთავარსარდალმა ქაზიმ ყარაბექირ – ფაშამ წარმოგზავნა. აღსანიშნავია, რომ ქაზიმ ყარაბექირ – ფაშა წარმოშობით ქართველი იყო. გვარად მიქელაძე, ქვემო აჭარის სოფელ დოლოგნიდან. დელეგაცია ჯერ შეხვდა ჯემალ ხიმშიაშვილსა და ხასან ლორთქიფანიძეს, შემდეგ წარსდგა მეჯლისის თავმჯდომარე მემედ აბაშიძესთან.

დელეგაციამ წინადადებით მიმართა მემედ აბაშიძეს, რათა გადაესინჯათ საქართველოსთან შეერთების საკითხი და მეჯლისის სახელით მიეღოთ დადგენილება, რომ ავტონომიის საფუძველზე ბათუმის ოლქი გადასცემოდა თურქეთს (მემედ აბაშიძე, 1967:87). აჭარას ავტონომიას პირდებოდნენ დენიკინელები და აზერბაიჯანელი ნაციონალისტები. მათ ზურგს უმაგრებდნენ ადგილობრივი რუსოფილები და თურქოფილები. მათ შორის განსაკუთრებით აქტიურობდნენ მასლოვის ჯგუფი და სედაიმილეთელები. მეჯლისის დიდი დამსახურება ისიც არ ის, რომ ყველა ანტიქართული ჯგუფი იდეურად და პოლიტიკურად გაანადგურეს და მტკიცედ განაგრძეს ბრძოლა დედასამშობლოსთან გაერთიანებისა და ქართული სახელმწიფოს ფარგლებში ავტონომიის სტატუსის მინიჭებისათვის. მართალია, აჭარლები ქართველები არიან, მაგრამ მაშინ აჭარის ავტონომიის შექმნით მეტი შესაძლებლობა იქმნებოდა ისტორიული ბედუკუღმართობით გამოწვეული სიძნელეების დასაძლევად, ეროვნული ცნობიერების ამაღლების, დიდი ხნით ნაძალადევად გახლეჩილი ერის გამთლიანების, ნებისმიერი ხელოვნურად წარმოქმნილი გაუგებრობის აღმოფხვრის, ფიზიკური და სულიერი დაახლოებისა და ერთ ეროვნულ ორგანიზმად შერწყმისათვის.

1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შედეგად ხელისუფლებაში მოვიდნენ ბოლშევიკები, რომელთა ლიდერები საერთაშორისო სო-

ციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში რადიკალიზმით გამოირჩეოდნენ. ამიერიდან ბათუმის ოლქში მმართველობის ავტონომიური ფორმის შემოღება დამოკიდებული იყო საბჭოთა ხელისუფლების ლიდერების პოლიტიკურ ნებაზე. კრემლისათვის კარგად იყო ცნობილი „სამუსლიმანო საქართველოს“ მეჯლისის ბრძოლა ბათუმის ოლქში მმართველობის ავტონომიური ფორმის შემოღებისათვის. საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელთა პოლიტიკური ნება აჭარის ავტონომიის შესახებ დაფიქსირდა რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებაში. მაგრამ საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში განსხვავებული შეხედულება არსებობდა.

აჭარაში 1921 წლის თებერვალ-მარტში რთული პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. გაჭიანურდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ერთმენტოს დაუპირისპირდა სამი მთავარი ძალა: ბოლშევიკების საოლქო რევკომი, ეროვნულ-განმათავისფულებელი მოძრაობის ჯგუფი (მეჯლისი) და თურქოფილები (სედაიმილები). საქართველოს რევკომისათვის კარგად იყო ცნობილი სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის გავლენა და ავტორიტეტი ადგილობრივ მოსახლეობაში და შეეცადა მის გამოყენებას საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. 1921 წლის 20 მარტს საქართველოს რევკომის თავმჯდომარემ ფელიპე მახარაძემ დეპეშით მიმართა მეჯლისის თავმჯდომარეს მემედ აბაშიძეს, რომელშიც გამოთქმულია სურვილი, რომ მეჯლისის წევრები ჩამდგარიყვნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში. საქართველოს რევკომის მიმართვაში აღნიშნულია, რომ ამიერიდან აჭარის მოსახლეობას ეძლევა სრული თავისფულება და ხელშეუხებლობა, ავტონომიური მმართველობა (რკა, 1963:9-10).

„სამუსლიმანო საქართველოს“ მეჯლისის სხდომაზე რომელიც 1921 წლის 24 მარტს გაიმართა, განიხილეს საქართველოს რევკომის დეპეშა და ამის შემდეგ გაკეთდა განცხადება, რომელიც ასევე დეპეშით გადაეცა საქართველოს ბოლშევიკურ ხელისუფლებას. მასში ნათქვამია: „სამუსლიმანო საქართველო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მონყვეტილი იყო საქართველოსაგან და 1919 წლის 31 აგვისტოს საქვეყნოდ განაცხადა, რომ იგი სამარადისოდ უერთდება თავის ბუნებრივ სამშობლოს-საქართველოს ფართო ავტო-

ნომიის საფუძველზე. მეჯლისი მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს რევკომს და სრულ რწმენას გამოთქვამს, რომ ცხოვრებაში გაატარებს სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის დეკლარაციას (რკა, 1963:18). ამ მისალმების ტონმა დადებითი როლი შეასრულა.

მემედ აბაშიძე (როგორც „სამუსლიმანო საქართველოს“ მეჯლისი თავმჯდომარე) და რეჯებ ნიჟარაძე (წევრი) 1921 წლის 3 აპრილს შეიყვანეს ბათუმის საოლქო რევკომის შემადგენლობაში. საოლქო რევკომის თავმჯდომარის სერგო ქავთარაძის 1921 წლის 24 მარტის ბრძანებით სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის წევრებისა და თანამშრომლების ქონება ქ. ბათუმსა და ოლქში ხელშეუხებლად გამოცხადდა და ისინი გათავისუფლდნენ შრომითი ბეგარისაგან. რევკომის 1921 წლის 2 აპრილის დადგენილებით მეჯლისის გადაეცა სახელოსნოს კლუბი და გამოეყო 15 მილიონი მანეთი კლუბის შენობის რემონტისა და მიმდინარე ხარჯებისათვის (რკა, 1963:19.26).

ბათუმის ოლქიდან უცხოეთის ოკუპანტების განდევნისა და აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ მეორე მნიშვნელოვან პრობლემად რჩებოდა ავტონომიის შექმნა. ამ საკითხზე 1921 წლის აპრილ-მაისში თბილისს არაერთხელ ეწვიენ მემედ აბაშიძე, ჯემალ ქიქავა, რეჯებ ნიჟარაძე და სხვები, რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებდნენ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობასთან. მეჯლისის მიხედვით სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიაში, ბათუმის ოლქთან ერთად, სამცხე-ჯავახეთიც გაერთიანდებოდა, მაგრამ ამ იდეას არ იაზრებდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება.

მეჯლისის წევრები, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დაპირების შემდეგ, რწმენას გამოთქვამდნენ, რომ აჭარის ავტონომიის საკითხი ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო. მემედ აბაშიძემ 1921 წლის აპრილში გამოსცა ბრძანება მეჯლისის ახალი არჩევნების ჩატარების შესახებ. არჩევნები ჩატარდებოდა საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლებით. საარჩევნო კომისიებში, მეჯლისის თანამშრომლებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებდნენ ბათუმის საოლქო რევკომის წევრებიც (რკა, 1963:36).

მაგრამ პრინციპული განსხვავება იყო მეჯლისის ხელ-

მძღვანელობასა და კომუნისტურ პარტოკრატიას შორის. მეჯლისის პროგრესული წევრებისათვის მიუღებელი იყო საზოგადოების დაყოფა სოციალური და პარტიული კუთვნილების მიხედვით.

კომუნისტებს კლასობრივი ბრძოლა მიაჩნდათ საზოგადოების მამოძრავებელ ძალად. შეურიგებლად ებრძოდნენ თავადაზნაურ-მემამულეებს, კაპიტალისტებს, სასულიერო წოდებას, საერთოდ სხვაგვარად მოაზროვნეებს. აქედან გამომდინარე „სამუსლიმანო საქართველოს“ მეჯლითან შეთანხმება ბოლშევიკების დროებითი ტაქტიკური სვლა იყო. ისინი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამზადებდნენ პრივილეგირებული წოდებისა და არაკომუნისტური პარტიების სოციალურ და პოლიტიკურ განადგურებას. 1921 წლის მაისში მემედ აბაშიძე და რეჯებ ნიჟარაძე გამოიყვანეს საოლქო რევკომის შემადგენლობიდან და გააჩაღეს კრიტიკა არსებული მეჯლისის წინააღმდეგ, მისი დისკრედიტიზაციის მიზნით. ამ სამარცხვინო საქმეში ყველაზე მეტად აქტიურობდა ბათუმის საოლქო რევკომის ახალი თავმჯდომარე ს. გუბელი, რომელმაც ამ თანამდებობაზე ს. ქავთარაძე შეცვალა.

საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტმა 1921 წლის 9 მაისს განიხილა მეჯლისის საკითხი. დადგენილებაში აღნიშნა, რომ მეჯლისის არჩევნებში, რომელიც დაწყებულია, ინიციატივა ხელთ უნდა აიღოს საოლქო კომიტეტმა. არსებული მეჯლისი ჩაითვალა დროებითად. ამასთან, დადგენილებაში მოცემულია მისი დაუსაბუთებელი კრიტიკა. თურმე მეჯლისმა სახელი გაიტეხა. მხარს უჭერს მენშევიკებს, ანტანტას და ხალხის სხვა მტრებს, რომ ბოლშევიკები მხარს არ დაუჭერენ ბეგების, ხანების დაწესებულებებს და სხვა (რკა, 1963:40). ბათუმის საოლქო რევკომის პრეზიდიუმმა, ს. გუბელის მოხსენების შედეგად, 1921 წლის 25 მაისის დადგენილებით დაითხოვა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი და დანიშნა ახალი არჩევნები. 1921 წლის 28 მაისის დადგენილებით დაევალა რევკომის პრეზიდიუმს შეემუშავებინა ახალი მეჯლისის საზეიომდ გახსნის ცერემონიები და დღის წესრიგი (რკა, 1963:41). ამით დასრულდა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის ისტორიის პირველი ეტაპი. ამ ეტაპზე მეჯლისის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მონაპოვარია უცხოელი მოძალადეებისაგან აჭარის განთავისუფ-

ლება და დედასამშობლოსთან დაბრუნება, რეგიონის ავტონომიური მმართველობის იდეის ჩამოყალიბება და ამისათვის საზოგადოებრივი აზრის შემზადება.

მეჯლისის ისტორიის მეორე ეტაპი დაიწყო 1921 წლის ივნისიდან. 6 ივნისს გაიხსნა მეჯლისის პირველი სხდომა. გარდა დეპუტატებისა, მის მუშაობაში მონაწილეობდნენ კომუნისტური და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, საბჭოთა დანესებულებების ხელმძღვანელები, წითელი არმიის ნაწილების მეთაურები, თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, სპარსეთის, შვედეთის კონსულები. საზოგადოებაზე, პირველ რიგში, მეჯლისის შეკრების მონაწილეებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისათვის გამოყენებული იყო მუსიკალური ორკესტრი, წითელი დროშები და ტრანსპარანტები. განსაკუთრებით აქტიურობდა ს. გუბელი, რომელმაც შესავალი სიტყვით გახსნა შეკრება, მონაწილეობდა კამათში და შეაჯამა ყრილობის მუშაობა. ს. გუბელის გამოსვლაში კრიტიკის ძირითადი საგანი იყო ბეგები, სასულიერო წოდება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი ხელმძღვანელობა, აგრეთვე არაკომუნისტური პარტიები და ორგანიზაციები. მათი სახით მტრის ხატი წარმოადგინა. საოლქო რევეკომიდან მეჯლისს მიესალმა ბათუმის ოლქის სამხედრო კომისარი თ. ჟღენტი, ხოლო აზერბაიჯანის სახელით – სალთანოვი. დასასრულს მოისმინეს მისაღების დეპუტე საქართველოს რევეკომის თავმჯდომარის ფ. მახარაძისადმი.

მეჯლისის თავმჯდომარედ აირჩიეს ხასან ლორთქიფანიძე, მოადგილედ – ზია ხარაზი. ხასან ლორთქიფანიძე შემედ აბაშიძის მიმდევარი იყო. თავის სიტყვაში მან მკაფიოდ განაცხადა, რომ აჭარა უნდა დარჩეს საქართველოს შემადგენლობაში ფართო ავტონომიის საფუძველზე. ასეთი ურყევი პოზიციის კიდევ ერთხელ ხაზგასმით დაფიქსირება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ჯერ კიდევ აქტიურობდნენ ბოროტი ძალები, რომლებიც ოცნებობდნენ აჭარის თურქეთთან მიერთებაზე. სხდომა დასრულდა ინტერნაციონალის სიმღერით. მიმდინარე საქმეების წარმართვისათვის მეჯლისმა შექმნა აპარატი, რომელშიც 27 კაცი შედიოდა. მათ შორის იყვნენ: ოსმან და ახმედ ბაკურიძეები, ლიზა ერქომაიშვილი, შუქრი და ხუსეინ მჟავანაძეები, პეტრე ლლონტი, ზაბით აბაშიძე,

შახბელ ჩიჯავაძე, ჰაიდარ ბიბინ-ზადე და სხვები (ასსცსა, ფ. რ-11, ან.1, ს. 3, ფურც.5).

მეჯლისის სხდომის დამთავრების შემდეგ მისი მონაწილეები ფართო საზოგადოებასთან ერთად, დაესწრნენ ბათუმში დისლოცირებული წითელი არმიის სამხედრო პარადს. ასეთი ხმაურიანი ცერემონიები წინასწარ იყო დაგეგმილი საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტის მიერ 1921 წლის 3 ივნისის დადგენილებით, რომელიც მიზნად ისახავდა არა მარტო პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას საზოგადოებაზე, არამედ, ამასთან კომუნისტური რეჟიმის იმიჯის ამაღლებას. კომისიაში რომელმაც მოამზადა მეჯლისი სახეიმოდ გახსნისა და მუშაობის ცერემონიები, შედიოდნენ კომუნისტური საოლქო კომიტეტის, რევკომის, სამხედრო კომისარიატისა და პროფკავშირების წარმომადგენლები (ასსცსა, ფ. 1, ან. 1, საქმე 3, ფურც. 42).

მეჯლისის ახალ შმეადგენლობაში კომუნისტური ხელისუფლება დიდ იმედს ამყარებდა. მეჯლისის მეშვეობით კომუნისტური პარტოკრატია ცდილობდა რეგიონის პრივილეგირებული წოდების განიარაღების, მის ჩამოცილებას პოლიტიკური ცხოვრებიდან, კომუნისტური რეჟიმის განმტკიცებას. ფ. მახარაძე თავის დეპეშაში მეჯლისის მისამართით აღნიშნავდა: „საქართველოს საბჭოთა მთავრობა მოუწოდებს ახალ მეჯლისს მტკიცედ იდგეს საბჭოთა ხელისუფლების საფუძველზე და ცხოვრებაში გაატაროს მისი დადგენილებანი“ (ასხგამაჰ, 1975:29). მაგრამ მეჯლისი არ იზიარებდა კომუნისტების კლასობრივ პოლიტიკას, საზოგადოების დაყოფას „წითლებად“, „შავებად“ და „თეთრებად“. მეჯლისი საზოგადოების ყველა კლასისა და წოდების თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის იდეას ქადაგებდა. მაგრამ ამაოდ. 1921 წლის 5 ივლისს ბათუმის საოლქო რევკომის პრეზიდიუმისა და საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის დახურულ თათბირზე მიიღეს ერთობლივი დადგენილება „ბეგებთან ბრძოლის შესახებ“. ბეგები კონტრევოლუციონერებად და ტერორისტებად გამოაცხადეს. დადგენილებით დაევალა შესაბამის სამსახურებს შეიარღვეული ძალის გამოყენებით აელაგმათ ისინი (რკა, 1963:46).

ფართო ავტონომიის მოთხოვნასთან ერთად მეჯლისი პრეტენზიას აცხადებდა რეგიონის ხელისუფლებაზე. მის

ნევრებს სამართლიანად მიაჩნდათ, რომ აჭარაში ხელისუფლების ერთადერთ ლეგიტიმურ ორგანოს წარმოადგენდა მეჯლისი. ამ მიზნის განხორციელებისათვის მეჯლისის დავალებით თბილისში გაიზავნა დელეგაცია ხასან ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით, რომელიც დედაქალაქში ცენტრალურ ხელისუფლებას გააცნობდა თავიანთ პროექტს აჭარის ავტონომიის შესახებ, ცენტრისა და რეგიონის ურთიერთობის პრინციპებს (რკა, 1963:44).

აჭარიდან თბილისში წარგზავნილმა მეჯლისის დელეგაციამ ამჯერადაც დიდი მუშაობა ჩაატარა, რის შედეგად 1921 წლის 16 ივლისს გამოქვეყნდა საქართველოს რევკომის დეკრეტი (№54) აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ. დეკრეტით მეჯლისი გამოცხადდა ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ერთადერთ ორგანოდ. აღმასრულებელ ხელისუფლებად გამოცხადდა სახალხო კომისართა საბჭო და ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც მომავალში შეიქმნებოდა (რკა, 1963:47-49).

საქართველოს რევკომის დეკრეტი მოულოდნელი აღმოჩნდა კომუნისტური პარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობისათვის. ისინი ამ დეკრეტით უკმაყოფილო იყვნენ. ამასთან დაკავშირებით, ბათუმის საოლქო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი კ. ქაჯაია თავის ანგარიშში აღნიშნავდა: 1921 წლის 16 ივლისის დეკრეტით რევკომმა დაკარგა ავტორიტეტი, ჩვენს რიგებში შეიტანა დაბნეულობა. ბათუმის საოლქო კომიტეტი ამ დეკრეტის გამოცემის გამო აღშფოთებას გამოთქვამდა (ასსცსა, ფ. პ-1, ან.1, საქმე 10, ფურც.1).

1921 წლის 16 ივლისის დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგ აჭარაში შეიქმნა ორხელისუფლებიანობა. მართალია, რევკომმა ფორმალურად დაკარგა ხელისუფლება, მაგრამ რეალური ძალაუფლება შეინარჩუნა, რამდენადაც მის დაქვემდებარებაში იყო არმიის, პოლიციისა და უშიშროების ძალები. დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგ მეჯლისი პრაქტიკულად შეუდგა ხელისუფლების ორგანოების ჩამოყალიბებას, მაგრამ ამ გზაზე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობებს წააწყდა. თბილისიდან ტაქტიკურად დაინწყეს ახალი მეჯლისის დის-

კრედიტაცია, მისი ხელმძღვანელი ბირთვის კომპრომენტი-რება. ამ ბრძოლაში საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების დასაყრდენი იყო პარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტი და ოლქის რევკომი. ამ უკანასკნელის პოლიტიკურად და ორგანიზაციულად გაძლიერებისათვის საქართველოს რევკომის 1921 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით ბათუმის საოლქო რევკომის თავმჯდომარედ დაინიშნა ა. ლამბაროვი, რომელიც მანამდე ფოთის რევკომის თავმჯდომარე იყო. რეორგანიზაციის შედეგად რევკომის პრეზიდიუმში დარჩნენ ა. ლამბაროვი (თავმჯდომარე), კ. საჯაია (მოადგილე), თ. ჟღენტი (წევრი).

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ახალი მეჯლისის ავტორიტეტის შელახვისა და პოლიტიკური ცხოვრებიდან ჩამოშორებისათვის ბრძოლაში ძირითად დასაყრდენ ძალად ადგილობრივ გლეხურ მოსახლეობას მოიაზრებდა. საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტისა და ოლქის რევკომის ძალისხმევით თბილისში იგზავნებოდა სპეციალურად შერჩეული დეპუტატები, რომლებიც თითქოს ხალხის სახელით გამოდიოდნენ მეჯლისისა და ავტონომიის წინააღმდეგ. ამის გამო აჭარის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ამკარა პრიორიტეტი გამოხატა. მაგალითად, 1921 წლის 22 და 23 აგვისტოს მინდას, აგარის, ყოროლისწყლის, ურეხის და სხვა სოფლების მცხოვრებლებმა თბილისში გააგზავნეს საპროტესტო დეპეშები, მოითხოვეს მეჯლისისა და ავტონომიის წინააღმდეგ ბრძოლის შეწყვეტას. დეპეშის ტექსტზე ხელმონერით, რომელიც დამონმებული იყო ხელისუფლების სასოფლო ორგანოების მიერ, მათ დაადასტურეს თავიანთი ერთგულება მეჯლისისა და ავტონომიის მიმართ (ასსცსა, ფ. რ-11, ან,1, საქმე 3. ფურც.8-17).

მეჯლისს, რომელიც ძირითადად აჭარლებისაგან შედგებოდა, დაუპირისპირეს ადგილობრივი გლეხოზა. ბათუმის საოლქო კომიტეტისა და რევკომის თაოსნობით 1921 წლის აგვისტოში აჭარაში დაიწყო ღარიბ გლეხთა მიტინგები და შეკრებები, წითელი დროშებითა და რევოლუციური სიმღერებით. ღარიბ გლეხთა სამაზრო კომიტეტების ჩამოყალიბების შემდეგ 1921 წლის 31 აგვისტოს შეიქმნა აჭარის ღარიბთა კომიტეტების ცენტრალური საბჭო, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს შერიფ აბდია.

გლახთა შეკრებები და მიტინგები გამოიყენებოდა მეჯლისის კრიტიკისათვის. საოცარი ის არის, რომ ფ. მახარაძემ, რომლის ხელმოწერით გამოქვეყნდა დეკრეტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის შესახებ, სტატიკაში „უღარიბესი გლახობის კომიტეტები აჭარაში“ მეჯლისი დაახასიათა, როგორც ანტისაზოგადოებრივი ორგანო, მდიდრების ინტერესების დამცველი და ღარიბების მჩაგვრელი. ვითარება ისე წარმოაჩინა, თითქოს მეჯლისი მხარს უჭერდა ინგლისისა და საფრანგეთის ინპერიალისტების, სხვა ჯურის მტრებს. თითქოს ხალხი უკმაყოფილოა მეჯლისის საქმიანობით, აჭარას ესაჭიროება ახალი რევოლუციური ორგანო. საბჭოთა ხელისუფლებამ იმიტომ არ დაითხოვა მეჯლისი, რომ უფრო უკეთესი იქნებოდა ხალხს მოეთხოვა მისი დათხოვნა, როგორც საბჭოთა რეჟიმისათვის შეუსაბამო. ფ. მახარაძის აზრით, ახალი მეჯლისი, რომელიც უფრო დემოკრატიული წესით იყო არჩეული, არ პასუხობს მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებს, იგი არ გამოხატავს აჭარის ღარიბთა მისწრაფებასა და იმედს. თითქოს ხალხის წიაღში აღმოჩნდა ახალი მიმართულება, რომელიც დაიცავს ღარიბთა ინტერესებს. ხალხი ერთადერთ ახსნას კომუნიზმში ხედავს (რკა, 1963:77-79). ეს იყო სიცრუეზე აგებული დემაგოგია, რომელიც აქეზებდა ღარიბ გლახებს მეჯლისის წინააღმდეგ.

მეჯლისის წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანდნენ საქართველოს კომპარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტი, პრფკავშირები და ღარიბკომები. 1921 წლის 31 აგვისტოს შედგა ამ ორგანიზაციების გაერთიანებული სხდომა, რომელმაც დაადგინა: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ხელისუფლებას უმაღლესი ორგანო არის რევკომი, რომელშიც შევლენ მეჯლისის, ღარიბთა კომიტეტისა და ბათუმის პროლეტარიატის წარმომადგენლები; ბეგები და კაპიტალისტები ვერ მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში; ყველა ფორმის არჩევნები ჩატარდეს რევკომის ხელმძღვანელობით. არჩევნებისადმი ხელმძღვანელობა ჩამოერთვას მეჯლისს. ამით დამთავრდა ორ ხელისუფლებიანობა აჭარაში. დამყარდა თუ აღდგა რევკომის ერთ ხელისუფლებიანობა.

ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. მეჯლისი არ აპირებდა ხელისუფლების დათმობას. მისი წევრები კიდევ მეტად გააქტიურდნენ. მდგომარეობა იმდენად დაიძაბა, რომ საქარ-

თველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ, დაძაბულობის განმუხტვისა და ვითარების მოწესრიგებისათვის, მოავლინა საქართველოს რევკომის წევრი და შინაგან საქმეთა მინისტრი ბ. კვირკველია. მოწინააღმდეგე ძალებს შორის მოლაპარაკება რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა. 1921 წლის 8 სექტემბერს შედგა მეჯლისის, გლეხთა კომიტეტისა და რევკომის წარმომადგენელთა გაერთიანებული სხდომა, რომელზეც მიიღეს შეთანხმებული დადგენილება: რევკომის შემადგენლობაში შევა მეჯლისის, გლეხთა კომიტეტისა და პროფესიული კავშირების სამ-სამი წარმომადგენელი; არსებული მეჯლისი რჩება საბჭოების პირველ ყრილობაზე: შეიქმნას სახკომსაბჭო 11 კომისარიატით. აღნიშნული დადგენილება 1921 წლის 8 სექტემბერს დაამტკიცა საქართველოს რევკომმა.

რევკომის 9 კაცთან შემადგენლობაში მეჯლისიდან შეიყვანეს: ხასან ლორთქიფანიძე, ზია ხარაზი, მემედ კონცელიძე. ბათუმის პროლეტარიატიდან (კომპარტია) – ა. ლამბაროვი, კ. საჯაია, თ. ჟღენტი; გლეხთა კომიტეტიდან – ჯემალ ფაღავა, ზექერია ლორთქიფანიძე, ხასან ბერიძე. თავმჯდომარედ აირჩიეს ხ. ლორთქიფანიძე, მოადგილედ – ა. ლამბაროვი, წევრებად – თ. ჟღენტი, კ. საჯაია, ხ. ბერიძე. ამჟამად გამოჩნდა, რომ მეჯლისის წინააღმდეგ ყველაზე აქტიურად იბრძოდნენ ა. ლამბაროვი, კ. საჯაია და თ. ჟღენტი. ამიტომ მეჯლისის წევრები შეურიგებელნი იყვნენ მათ წინააღმდეგ ბრძოლაში. მეჯლისთან მკვეთრად დაპირისპირების გამო საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ ლამბაროვი გამოიყვანა რევკომის შემადგენლობიდან და 1921 წლის 24 სექტემბერს დანიშნეს რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის კონსულად ბათუმში.

კომუნისტური ხელისუფლებისათვის მეჯლისი არასასურველი ორგანო აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ მის შემადგენლობაში საოლქო კომუნისტური ხელმძღვანელობის ბირთვი შედიოდა. კომუნისტური პარტოკრატია არსებული მეჯლისის შეცვლას ამზადებდა. 1921 წლის 2 ნოემბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტმა მიიღო დადგენილება ქ. ბათუმში უპარტიოთა ყრილობის მოწვევის შესახებ. იგი ცნობილია ღარიბ გლეხთა ყრილობის სახელით, რამდენადაც დელეგატების აბსოლუტურ უმრავლესობას გლეხები შეადგენდნენ.

ყრილობა მიმდინარეობდა 1921 წლის 7-11 ნოემბერს, რომელსაც ესწრებოდა 230 დელეგატი. მის მუშაობას ხელმძღვანელობდა ა. ლამბაროვი. ყრილობის მუშაობაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ თ. ხიმშიაშვილი, მ. გოგიბერიძე, ო. მონყობილი და სხვები. ყრილობის დადგენილებით დაითხოვეს ძველი მეჯლისი. იგი დაახასიათეს როგორც რეაქციული, კონტრრევოლუციური ძალა და შერაცხეს შავ მეჯლისად. შეიქმნა ახალი მეჯლისი, რომელიც ისტორიაში შევიდა „წითელი მეჯლისის“ სახელწოდებით (რკა, 1963:82-84). აქედან იწყება მეჯლისის ისტორიის მესამე ეტაპი, რომელიც 1922 წლის იანვრამდე გაგრძელდა.

ლარიზ გლეხთა ყრილობის მუშაობას ტონს აძლევდნენ კომუნისტები. ყრილობის გახსნის დღეს და 9 ნოემბერს მოსასალმებელი დეპუტები გაიგზავნა საქართველოს რევკომისა დალენინის სახელზე. დეპუტებში შავ ფერებშია ლაპარაკი ბეგების, ბურჟუაზიის, მემამულეების, მენშევიკების შესახებ. თითქოს აჭარის მოსახლეობა ამიერიდან გათავისუფლდა ექსპლოატაციისაგან და იწყება ახალი ცხოვრება (რკა. 1963:83-84). ყრილობის მუშაობაში ცენტრალური ადგილი ეკავა მიწის საკითხს. დელეგატები მოითხოვდნენ აგრარული რეფორმის გატარებას, რათა ჩამორთმეოდათ მიწები მიწათმფლობელებს და გადასცემოდა გლეხებს. დელეგატები შეეხენ სავაყუფო მიწებსაც, რამდენადაც ამ კატეგორიების მიწების მესაკუთრენი კერძო პირები იყვნენ. მოითხოვდნენ მოსახლეობის შიმშილობის დაძლევას, გზების, ხიდების მშენებლობას, სკოლების, სამედიცინო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გახსნას და სხვა (რკა, 1963:90).

რეზოლუციაში მიწის შესახებ გათვალისწინებულია დელეგატების მოთხოვნები. მასში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ დღემდე არსებობს ბატონყმური ურთიერთობა, მიწის იჯარა. ყრილობამ დავალა რევკომსა და ლარიზთა კომიტეტს უმოკლეს დროში შეიმუშავონ კანონპროექტი მიწის, ტყისა და საძოვრების შესახებ. იგი შესატყვისობაში უნდა იყოს მოყვანილი საქართველოს რევკომის მიწის კანონთან. ვინც არ სარგებლობს, ჩამოერთვას სავარგულები და უფასოდ გადაეცეს აჭარის მშრომელ მოსახლეობას. ამასთან, ყრილობა თხოვნით მიმართავს მთავრობას დასამუშავებლად გადაე-

ცეს მშრომელ მოსახლეობას სახელმწიფო და საუფლისწულო მამულის მიწები. რეზოლუციაში საგზაო მშენებლობის შესახებ ყურადღება გამახვილებულია ახალი გზებისა და სარწყავი არხების მშენებლობას, სკოლების გახსნისა და მეჩეთების გარემონტების შესახებ. ბოლოს, რწმენა გამოთქმულია, რომ მთავრობა იზრუნებს აჭარის მშრომელების შესახებ (რკა, 1963:169).

ყრილობის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო ახალი მეჯლისის შემადგენლობის, მისი მუდმივმოქმედი ორგანოს (პრეზიდიუმის) არჩევა და აპარატის შექმნა.

„წითელი მეჯლისის“ შემადგენლობაში აირჩიეს 49 კაცი. არჩევნები ჩატარდა კლასობრივი ნიშნით. მის შემადგენლობაში შედიოდნენ გლეხები და ე.წ. „გლეხური ინტელიგენცია“. თავმჯდომარედ აირჩიეს თახსიმ ხიმშიაშვილი, თანაშემწეებად – შერიფ აბდიბა და მემედ გოგიბერიძე, მდივნად – ოსმან მონყობილი. „წითელი მეჯლისის“ პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს 9 კაცი. თავმჯდომარის, თანაშემწეებისა და მდივნის გარდა „წითელი მეჯლისის“ პრეზიდიუმში შედიოდნენ: ისაკ თედორაძე, იუსუფ ბოლქვაძე, ხასან ჩიჯავაძე, სულეიმან დიასამიძე და სულეიმან ლორთქიფანიძე. მეჯლისის ზოგიერთი წევრი შემდგომში თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე გახდა. ასეთებად გვევლინებიან ზექერია ლორთქიფანიძე, სულეიმან დიასამიძე, ხასან ბერიძე, ჯემალ ფალავა, რიზა გოგიტიძე და სხვები.

მეჯლისში წარმოდგენილი იყვნენ აჭარის ყველა მაზრის წარმომადგენლები. ხულოს მაზრიდან „წითელ მეჯლისში: შედიოდა 9 კაცი (ალალი ბოლქვაძე, ინუს ბერიძე, მურად მახარაძე და სხვები), კინტრიშის მაზრიდან – 7 კაცი (ისმაილ კაიკაციშვილი, ქემალ ნოლაიდელი, ხასან თხილაიშვილი, ხუსეინ გოგიტიძე და სხვები), ქედის მაზრიდან – 6 პიროვნება (მემედ გათენაძე, ხასან ჩოლოლი და სხვა), აჭარისწყლის მაზრიდან – 3, ხოლო ბათუმის მაზრიდან – 7 პიროვნება. „წითელი მეჯლისის“ ორგანიზაციასა და საქმიანობას სახელმწიფო აფინანსებდა. ცხადია, მას მეტი შესაძლებლობა გააჩნდა, ვიდრე მის წინამორბედს.

„წითელ მეჯლისს“ საკმაოდ მრავალრიცხოვანი აპარატი ემსახურებოდა. მათ შორის: საქმეთა მმართველი, 3 საქმის მწარმოებელი, ამდენივე მემანქანე, 2 შიკრიკი, 3 მძლო-

ლი, კომენდანტი და 2 მისი თანაშემწე. მიმდინარე საქმეების ოპერატიული წარმართვისათვის შეიქმნა 3 განყოფილება: საორგანიზაციო 5 თანამშრომლით, აგიტაცია – პროპაგანდის 3 და საბუღალტრო – ამდენივე თანამშრომლით. „წითელი მეჯლისის“ დაქვემდებარებაში იყო გასამხედროებული რაზმი ათასეული, რომლის ამოცანას შეადგენდა მეჯლისის დაცვა. დადგენილება გასამხედროებული რაზმის შექმნის შესახებ მეჯლისმა გამოიტანა 1921 წლის 23 ნოემბერს და მის წევრებად მხოლოდ ღარიბებს ირჩევდნენ, სოფლიდან თითო გლეხს (ასსცსა, ფ. რ-11, ან.1, საქმე 9, ფურც. 5-9; საქმე 31, ფურც. 1-5; ფონდი რ-12, ან,1, საქმე 2, ფურც. 13).

წითელი მეჯლისი, უფლებამოსილების თანახმად, ირჩევდა საოლქო რევკომს. ცენტრალურ და სამაზრო გლეხთა კომიტეტებს, ნიშნავდა სახალხო კომისრებს. მაგალითად, 1921 წლის 18 ნოემბერს მეჯლისის პრეზიდიუმმა დანიშნა სახალხო კომისრები: იუსტიციის – რეჯებ ნიჟარაძე, ჯანდაცვის – აბდულ გოგო, ფინანსთა – სულეიმან დიასამიძე, სასურსათო – შერიფ აბდიბა. მადლობა გადაუხადეს გლეხთა პირველ ყრილობამდე დანიშნულ სახალხო კომისრებს: განათლების – თ. ხიმშიაშვილს, მიწათმოქმედების – ჯ. ფალავას, სოციალური უზრუნველყოფის – ხ. ბერიძეს (ასსცსა, ფ. რ-11, ან.1, საქმე 9, ფურც. 14). 18 ნოემბერს დამტკიცდა ბათუმის მაზრის გლეხთა კომიტეტი 7 კაცის შემადგენლობით. 19 ნოემბერს და 23 ნოემბერს შეიქმნა დისციპლინის განმტკიცების, სამინათმოქმედო და პატიმართა შესწავლის კომისიები, დაამტკიცა კომუნისტური პარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტთან თავისი წარმომადგენელი (აცსა, ფ. რ-11, ან.1, საქმე 9, ფურც. 14-17). წითელი მეჯლისის 1921 წლის 23 ნოემბერის დადგენილებით შეიქმნა სასოფლო, სათემო, საქალაქო და სამაზრო საბჭოები, განისაზღვრა თითოეული მათგანის წევრების რაოდენობა (აცსა, ფ. რ-12, ან.1, საქმე 2, ფურც. 11).

წითელი მეჯლისი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ხელისუფლების ახალი ორგანოებს – საბჭოების არჩევნებს. მაგალითად, 1921 წლის 29-31 დეკემბერს კინტრიშის მაზრაში საბჭოების არჩევნების ჩასატარებლად მეჯლისის მიერ წავზავნილი სპეციალური კომისია მუშაობდა, რომელშიც შედიოდნენ ისმაილ კაიკაციშვილი, ჯემალ მჭავანაძე, ხუსეინ გო-

გიტიძე და მეჯლისის ინსტრუქტორი აკაკი ურუშაძე (ას-სცსა, ფ. რ-12, ან.1, საქმე 2, ფურც. 7-8).

მეჯლისის მიერ წარგზავნილი ანალოგიური კომისიები აჭარის დანარჩენ მაზრებშიც მუშაობდნენ. წითელი მეჯლისის ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით მისი თავმჯდომარე თახსიმ ხიმშიაშვილი არაერთხელ დაუპირისპირდა პარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტს, როდესაც პრობლემები უსამართლოდ წყდებოდა. ეს გაბედულება და საკითხების ორიგინალური გადაწყვეტის თვისება თახსიმ ხიმშიაშვილმა ბოლომდე შეინარჩუნა.

წითელი მეჯლისის მოღვაწეობის მთავარი შედეგი ის იყო, რომ მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო აგრარულ საკითხს, რაც გლეხობას ყველაზე მეტად აწუხებდა. არანაკლები მნიშვნელობა მიენიჭა გზების, ხიდების მშენებლობას, მოსახლეობის განათლებისა და კულტურის ამაღლებას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მეჯლისის უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და მატროსთა საბჭოების არჩევნები. ორგანიზაცია გაუკეთა აჭარის საბჭოების პირველი ყრილობის მომზადებასა და მსვლელობას, რომელზედაც აირჩიეს ხელისუფლების ახალი ორგანოები – ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო. ამით ამ ორგანომ მოიხსნა თავისი უფლებამოსილება და გაუქმდა.

წითელი მეჯლისის მოღვაწეობის ერთმნიშვნელოვნად შეფასება არ შეიძლება. ის გარემოება, რომ მეჯლისის საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას ატარებდა, შეცდომად არ ჩაითვლება. არსებულ ვითარებაში სხვაგვარად მოქმედება გონივრული არ იქნებოდა. მეჯლისის მოღვაწეობის ერთ-ერთი დადებითი მხარე ისიც არის, რომ აჭარის გლეხური ახალგაზრდობა ჩააბა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამასთან, უარყოფითად ფასდება „წითელი მეჯლისის“ მიერ ადრინდელი მეჯლისის დაუსაბუთებელი კრიტიკა, მისი წარმოდგენა ანტისაზოგადოებრივ ორგანოდ.

ამრიგად, მეჯლისის ისტორიის მეცნიერულ შესწავლას ისტორიულ-შემეცნებითი, ისტორიულ-საგანმანათლებლო და პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობა ენიჭება. მისი საქმიანობაწარმოადგენს ცოდნას და გამოცდილებას, რომე-

ლიც უდაოდ წაადგება თანამედროვე პოლიტიკურ საქმიანობასაც.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ასსცსა), ფონდი 1, ან.1, საქმე 3
2. ასსცსა, ფონდი პ-1, ან.1, საქმე 10
3. ასსცსა, ფონდი რ-11, ან.1, საქმეები 3,9,31;
4. ასსცსა, ფონდი რ-12, ან.1, საქმე 2;
5. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, მიღებული საქართველოს დამფუძვნებელი კრების მიერ 1921 წ. 21 თებერვალს, თბილისი, 1990;
6. მემედ აბაშიძე, რჩეული ნაწერები, თბილისი 1967;
7. ჰაიდარ აბაშიძე, წერილები, ბათუმი, 1963;
8. აჭარა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (ასგსმპ) (1921-1925), ბათუმი, 1975;
9. გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა, 29 ივლისი, 1920;
10. революционные комитеты Аджарии борьбе за становление и упрочение Советской власти (март 1921 – октябрь – 1922). Сборник документов и материалов, сухуми 1963
11. ო.თურმანიძე, აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია (1921-1940). ბათუმი, 2012
12. ე. მესხია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან. ბათუმი, 1997.

Otar Turmanidze

For the history of majlis of Batumi district

Summary

The district is Mejlis was established in 1919 and existed on August 31, 1922 until January. Its history consists of three stages. The first stage covers the period from June 1919 to September

1921. At this stage, the majlis has contributed to ideas formation of regions' autonomous government.

The second stage of the history of majlis of Batumi district has continued from June to November, 1921. During this period, the main result was the creation of the Autonomous Republic and the Mejlis was declared as the only government body.

On the third stage (from November 7, 1921 to January 1922) was created „Red Mejlis“ , which prepared the first Congress of the workers, peasants, soldiers soviets. Afterwards he removed the major powers and abolished.

ქრისტიანე მეძველია

ბათუმის საქალაქო სასწავლებელთან არსებული პედაგოგიური კურსების ისტორია 1903-1905 წლები

მე-20 საუკუნის დასაწყისში, საქართველოში, დიდი ყურადღება ექცეოდა განათლებას, კერძოდ კი პედაგოგთა მომზადებისა და გადამზადების პროგრამებს. გიმნაზიების გარდა არსებობდა ერთნობიანი და ორნობიანი სასწავლებლები. ბათუმის საქალაქო სასწავლებელთან არსებული პედაგოგიური კურსები, რომელიც 1903-1905 წლებში ფუნქციონირებდა, მიზნად ისახავდა ზემოთ ხსენებული სასწავლებლებისთვის კვალიფიციური პედაგოგიური კადრის მომზადებას.

ქუთაისის ცენტრალურ არქივში, აჭარის განათლების სისტემაზე არაერთი საინტერესო ფონდია დაცული, მათ შორის აღსანიშნავია: ფონდი № 92, ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექციის მასალები. გვინდა გავაცნოთ რამდენიმე საქმე აღნიშნული ფონდიდან, რომელიც ბათუმის საქალაქო სასწავლებელთან არსებულ პედაგოგიურ კურსებს უკავშირდება და 1908-1909 წლებით თარიღდება.

საინტერესოა აღნიშნული კურსების გახსნის ისტორია, რომელსაც გვაცნობს ქუთაისის სახალხო სასწავლებელთა დირექციასა და სახალხო სასწავლებლების ინსპექტორს შორის მიმონერა. ჩვენთვის საინტერესოა აღნიშნულ ფონდში დაცული 3 წერილი, რომელთაგან პირველი, დათარიღებულია 1908 წლის 2 ნოემბერით. წარმოგიდგინთ წერილის თრგმანს, ვეცადეთ ზუსტად დაგვეცვა დოკუმენტის სტილი და შინაარსი:

• „**პატაკიმის მაღალკეთილშობილებას, ქუთაისის გუბერნიის მესამე რაიონის სახალხო სასწავლებლების ბატონ ინსპექტორს**

ჩემდამი რწმუნებულ, ბათუმის საქალაქო სასწავლებელთან, 1905 წლის 1 სექტემბრამდე არსებობდა დამატებითი პედაგოგიური კლასი ახალგაზრდა კადრების მოსამზა-

დებლად, დაწყებით სახალხო სასწავლებლებში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის. ხსენებული კლასი გახსნილი იყო სახალხო განათლების ბატონ მინისტრის 1903 წლის 24 სექტემბრის № 29993 განკარგულების საფუძველზე კავკასიის სასწავლო ოლქის ბატონი მზრუნველის 1903 წლის 9 აგვისტოს შუამდგომლობის საფუძველზე, მხედველობაში იქნა რა მიღებული ბათუმის საქალაქო სათათბიროს გადაწყვეტილება და თხოვნა აღნიშნული კლასის გახსნის შესახებ, ბათუმის რუსეთის იმპერიასთან შეერთების 25 წლის აღსანიშნავად.

პედაგოგიური კლასი სრულყოფილად იყო აღჭურვილი და დაიწყო ფუნქციონირება 1903–1904 სასწავლო წლიდან. ყველა აუცილებელი ხარჯი, მის აღჭურვაზე და მუდმივ უზრუნველყოფაზე ზრუნვა თავის თავზე აიღო ქალაქმა. ყოველწლიურად ბათუმის საქალაქო მმართველობამ მის შენახვაზე გამოყო 1200 მანეთი. კლასი ორგანიზებული იყო პედაგოგიური კურსების წესების შესაბამისად როგორც მასწავლებელ კაცთა, ასევე მასწავლებელ ქალთა მოსამზადებლად დაწყებითი სასწავლებლებისათვის, რომელიც დამტკიცებულია სახალხო განათლების ბატონი მინისტრის 1900 წლის 31 მარტის განკარგულების საფუძველზე.

მაგრამ 1905 წლის 1 სექტემბრიდან, ბათუმის საქალაქო მმართველობის 1905 წლის 21 ივლისის № 2947 შეფასების საფუძველზე, აღნიშნული კლასი დაიხურა. შეფასებაში საუბარია, რომ ბატონი ოლქის მეურვის განკარგულებით ნებადართულია ქალაქის სახსრებიდან აღნიშნული სასწავლებლის დაფინანსების შეწყვეტა, რის საფუძველზეც იმავე წლის 1 სექტემბრიდან დაფინანსება შეწყდა. აღნიშნულ კლასში, ორწლიანი არსებობის მანძილზე, 19 სტუდენტი სწავლობდა, რომელთაგანაც მხოლოდ 10–მა გაიარა სრული თეორიული და პრაქტიკული კურსი, და მიენიჭათ 1903-1904 სასწავლო წლის ბოლოს შესაბამისი მოწმობები, დანარჩენმა 9–მ ვერ ჩააბარა გამოსაშვები გამოცდები 1904-1905 სასწავლო წლის ბოლოს ბათუმის მოსწავლეთა შორის მომხდარი არეულობების გამო. კლასის დახურვის დროისთვის, სასწავლებელში ჩარიცხვის, 26 მსურველი იყო.

პედაგოგიური კლასის არსებობიდან გამომდინარე, მასში რიცხული მოსწავლეთა შემადგენლობისა და ჩარიცხვის მსურველთა რიცხვის გათვლისწინებით, ჩანს, რომ კურსების ასე ხანმოკლე არსებობის მიზეზი მდგომარეობს მის ორგანიზებასა და საქმიანობაში. მოთხოვნილება კურსებისა იყო და იზრდებოდა მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ ბათუმის სასწავლო დაწესებულებები და ზოგადად სასკოლო ცხოვრება არაკეთილსაიმედო იყო. იგი ჩამორჩა და დღესაც იგრძნობა იმით, რომ 1906–1907 წლებში დაიხურა ამ სასწავლებელთან არსებული საფოსტო–ტელეგრაფული კლასი, რომელშიც ყოველწლიურად განათლებას იღებდა 20 აბიტურიენტი, ჩემს რწმუნებულებაში მყოფი სასწავლებლიდან, და კიდევ დამატებით ქალაქის სხვა სასწავლებლებიდან. აღნიშნული საფოსტო–ტელეგრაფული კლასის დახურვის შემდეგ 30–მდე მოსწავლე, რომელიც ამთავრებდა კურსებს ჩემს დაქვემდებარებაში მყოფ სასწავლებელში, დარჩა გაურკვევლობაში, განათლების მიღებისა და შემდგომში გამოყენების თვალსაზრისით.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენებისა, სასწავლებლის მიერ დაკარგული, მის მიერ ორგანიზებული დამატებითი სასწავლო დისციპლინების მოთხოვნადობა დგინდება სხვა მნიშვნელოვანი გარემოებებითა და მოვლენებით, რაც საფუძვლად უდევს სასწავლებლის აბიტურიენტების მოთხოვნებს და ინტერესებს. ამასთანავე მნიშვნელოვანია მოთხოვნილება საკმარისი პედაგოგიური მომზადებისა, იმპერიაში და მათ შორის კავკასიაში განსახორციელებელი საყოველთაო განათლების შემოღების ფონზე. უმაღლესი სასწავლო სფეროები განისაზღვრება, როგორც შესაბამისი წყარო, დაწყებითი სასწავლებლის კონტინგენტის შექმნისა, ზემოთ აღნიშნული რეფორმის გასატარებლად.

გარდა ამისა აღინიშნება არანაკლები საჭიროება, დაწყებითი განათლების მასწავლებლებისა, ადგილობრივი ხასიათისა – ეს არის სრული უკმარისობა თქვენი უკეთილშობილესობისადმი რწმუნებულ რაიონში თურქებისა და აჭარლებისთვის არსებული და მომავალში დაგეგმილი გასახსნელი

სასწავლებლებისათვის მუსულმანი მასწავლებლებისა. ამ საჭიროების და მუსულმანი მასწავლებლების უკმარისობის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქოდა ბათუმის დაწყებითი მუსულმანური სასწავლებლის გახსნისას. აღნიშნული სასწავლებელი მიმდინარე წელს ვერ გაიხსნა იმის გამო, რომ ქალაქის სასწავლო კომისიამ ვერ შეძლო მოეძია მუსულმანი მასწავლებლები შესაბამისი პედაგოგიური მომზადებით. ამგვარი ფაქტი თქვენი მაღალკეთილშობილების რწმუნებულ რეგიონში არა ერთია და უდაოდ უფრო მძიმეა ვიდრე ჩემს მიერ გადმოცემული.

ჩემდამი რწმუნებული სასწავლებელი, თვისი საგანმანათლებლო ფუნქციების გაფართოების, განვითარების და მიზანმიმართულად გახორციელებისათვის ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი განათლების დონის ამალლებისთვის, არ შეიძლება არ გამოეხმაუროს იმ გამოწვევებს, რასაც მოითხოვს ამ დროისათვის ცხოვრება. აქედან გამომდინარე ვიხელმძღვანელებთ რა პედაგოგიური კუესების შესახებ წესების მე-3 პუნქტით, რომელიც დამტკიცებულია სახალხო განათლების მინისტრის მიერ, ვბედავ უმორჩილესად გთხოვთ თქვენი მაღალკეთილშობილების შუამდგომლობა, მისი აღმატებულება კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველთან, შემდეგზე: ჩემდამი რწმუნებული სასწავლებლის კურსდამთავრებულთა დიდ ნაწილს, რომელიც სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ვერ დასაქმდა მიეცეს საშუალება მიიღოს შესაბამისი პედაგოგიური განათლება რათა ასწავლონ დაწყებით სახალხო სკოლაში, რითაც შეივსება დაწყებითი კლასების მასწავლებელთა კონტინგენტი, რომელთა ნაკლებობა ამ დროისთვის მწვავედ იგრძნობა როგორც აქ ასევე მთელს იმპერიაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კურსდამთავრებულ მუსულმან პედაგოგთა მომზადებას, რომლებიც მოიაზრებიან უკვე არსებულ და მომავალში გასახსნელად დაგეგმილ სასწავლებელში, სადაც მოსწავლეთა უმეტეს ნაწილს მუსულმანი ბავშვები შეადგენენ.

ზემოთ ჩემოთვლილი ფაქტების ანალიზის შედეგად გთხოვთ ისევ გაიხსნას ჩემდამი რწმუნებულ სასწავლებელ-

ში პედაგოგიური კურსები ქვემოთ მოყვანილი მოსაზრებების საფუძველზე:

1. კურსები უნდა იყოს 2 წლიანი.

2. ზოგადსაგანმანათლებლო საგნების, სპეციალური თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების გაგმები და პროგრამები მთლიანად უნდა იყოს შეთანხმებული და შეესაბამებოდეს:

ა) 1900 წლის 31 მარტს დამტკიცებული პედაგოგიური კურსების წესების მე-5,6,7,8,9,10, პუნქტებს.

ბ) ბატონი განათლების მინისტრის მიერ 1901 წლის 17 თებერვალს დამტკიცებული № 4759 წესებს, დამატებითი მეცადინეობების და გაკვეთილების შესახებ, რომლებიც გამოყებებული იქნება მუსულმან მოსწავლეებთან.

3. კურსების შენახვისათვის საჭირო თანხას 2450 მანეთს სასწავლებელი განკარგავს შენდევნაირად:

ა) 710 მანეთი, თავისუფალი სახსრები, ზეგანაკვეთური თანამდებობის შესანახად, რომელიც ვაკანტურია 1905 წლიდან, და გაიცემა M.H.II – მიერ (აბრევიატურა გულისხმობს სახალხო განათლების მინისტრის მიერ).

ბ) სპეციალური სახსრებიდან სასწავლებელს საშუალება აქვს გადაიხადოს 180 მანეთი თურქული ენის შესწავლისთვის. დარჩენილი თანხა 1560 მანეთი ვითხოვთ გაიცეს ხაზინიდან.

4. თავისი საქმიანობის და ორგანიზაციის დანარჩენ საკითხებში კურსები ყველაფერში უნდა შეესაბამებოდეს 1900 წლის 31 მარტს მიღებულ პედაგოგიური კურსების შესახებ წესებს“.

წერილს ხელს აწერს სასწავლებლის ინსპექტორი.

(ფონდი № 92, საქმე № 26, ფურც. 2–5ა)

მეორე წერილი 1908 წლის 22 დეკემბრით თარიღდება და შინაარსობრივად აგრძელებს პირველ წერილში მოყვანილი პრობლემის განხილვას. წერილის ადრესატი ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების დირექტორია, რომელსაც

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი წერს.

• ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების ბატონ დირექტორს

ვაბრუნებთ რა ბათუმის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის წარდგინებას აღნიშნულ სასწავლებელთან პედაგოგიური კურსების დაარსების შესახებ, გთხოვთ თქვენო აღმატებულებაგ გამოარკვიოთ:

1. დაწესებულების რომელი თანამდებობა რა თანმიმდევრობით რჩება ვაკანტური

2. რომელი სახეობის სკოლებისათვის იგეგმება კურსების ორგანიზება, თუ ეს არის მუსულმანური სკოლებისთვის, მაშინ ვისგან დაკომპლექტდება მისწავლეთა შემადგენლობა.

3. ზუსტად გამოიკვლიეთ ადგილობრივი რესურსები აღნიშნულ საკითხზე და დაფინანსების წარმატებით გადანყვეტის შემთხვევაში წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებები ორწლიანი პედაგოგიური კურსების ერთ წლის შემდეგ დაარსების შესახებ.

წერილს ხელს აწერს სასწავლებლის ზედამხედველი და კანცელარიის მმართველი.

(ფონდი № 92, საქმე № 26, ფურც. 1-1ა)

მესამე წერილი დათარიღებულია 1909 წლის 10 თებერვლით და წარმოადგენს მეორე წერილის პასუხს:

• მის მაღალკეთილშობილებას ქუთაისის გუბერნიის მე-3 რაიონის სახალხო სასწავლებლების ბატონ დირექტორს

ვუბრუნდებით რა მიმონერას, ჩემდამი რწმუნებულ სასწავლებელთან პედაგოგიური კურსების დაარსების შესახებ, პატივი მაქვს მოგახსენოთ, შემდეგი ცნობები მისი აღმატებულება კავკასიის სასწავლო ოლქის მეურვის 1908 წლის 22 დეკემბრის № 26822 წერილის შესახებ:

ა) (წერილის I პუნქტზე) ჩემდამი რწმუნებულ სასწავლებელში ვაკანტური არის ზეგანაკვეთური მასწავლებლის თანამდებობა, რომელიც ვაკანტურია 1905 წლიდან, სახელდობრ ან ყოფილ სასწავლებელთან არსებული პედაგოგიური კურსების დახურვის დღიდან. ეს თანამდებობა დაშვებულია სახალხო განათლების მინისტრის 1903 წლის 15 ნოემბრის № 35673 წინადადებით და დამტკიცებულია სასწავლო დაწესე-

ბულებების შესახებ წესდების 3126 მუხლზე დაყრდნობით. 1893 წელს გამოცემული ტ.11 ნაწ. 1 შესაბამისად გამოეყო შენახვისათვის 710 მანეთი წელიწადში, ქალაქის მიერ, სასწავლებელთან არსებული პედაგოგიური კურსების შენახვისათვის გამოყოფილი თანხებიდან (იხილეთ ტ. 11 კავკასიის სასწავლო ოლქის მართვის განკარგულებების კრებული, გვ. 320).

ბ) (წერილის მე-2 პუნქტზე) კურსები გულისხმობს დაწყებითი სახალხო სასწავლებლების პედაგოგთა მომზადებას სახალხო განათლების სამინისტროსთვის ზოგადად და კონკრეტულად ასეთივე სასწავლებლებში, მუსულმანთა უმრავლესი შემადგენლობით. მსმენელ მუსულმანთა რაოდენობა აღნიშნულ კურსებზე შედგება და შეივსება უმთავრესად კურსდამთავრებულ მუსულმან მოსწავლეთაგან. ამ უკანასკნელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ბოლო 3 წლის მონაცემებით მუსულმან მოსწავლეთა რაოდენობა სასწავლებელში იყო: 1906 წელს—8, 1907 წელს—15, 1908 წელს—19, ამჟამად მათი რაოდენობა არის— 21. პედაგოგიური კურსების მუსულმან მოსწავლეთა ჯგუფით გახსნის შემდეგ, მიღებულ მოსწავლეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. ჩემდამი რწმუნებულ სასწავლებელში ასეთი მონაფეების მიღება მოგვცემს სოხუმის საქალაქო, ხოლო უახლოეს მომავალში კი ართვინისა და არტანუჯის საქალაქო სასწავლებლების გახსნის საშუალებას.

გ) (წერილის მე-3 პუნქტზე) ჩემდამი დაქვემდებარებულ სასწავლებელთა არსებული კურსები, დაარსებული სახალხო განათლების მინისტრის 1903 წლის 24 სექტემბრის № 29993 განკარგულების საფუძველზე და ბათუმის საქალაქო სათათბიროს გაგანწყვეტილებით, ბათუმის იმპერიასთან მიერთების 25 წლის აღსანიშნავად და სასწავლო ოლქის მეურვის 1903 წლის 12 სექტემბრის № 13739 მოხსენებით, კურსებისთვის მოთხოვნილი თანხა გაიცემოდა ქალაქის სახსრებიდან. სასწავლებლის გახსნის წელს ნახევარ სასწავლო წელზე ქალაქის მიერ გაცემული იქნა 1550 მანეთი— შენახვის, მოწყობისა და სამეურნეო ხარჯებისთვის. მომდევნო წლებში კი ქალაქის მიერ გაიცემოდა 1200 მანეთი, მათ შორის 900

მანეთი– სასწავლო ნაწილზე, 120 მანეთი გამგეობისთვის, 80 მანეთი ბიბლიოთეკა და დახმარებისთვის, 100 მანეთი კურსების სამეურნეო ნაწილისთვის. ამ თანხების გაცემა შეწყვეტილი იქნა ქალაქის მმართველობის მიერ 1905 წლის 1 სექტემბრიდან, როგორც ეს ჩანს ამავე წლის 21 ივლისის № 2947 შეფასებით. ამ შეფასებიდან ჩანს, რომ პედაგოგიური კურსების დახურვისა და მასზე სახსრების გაცენის შეწყვეტის უფლება ქალაქის მმართველობას ჰქონდა მიღებული ბატონი ოლქის მზრუნველის განკარგულებით, მაგრამ ბატონი მზრუნველის ამგვარი ნებართვისა და განკარგულების შესახებ სასწავლებლის საქმეებში არანაირი მონაცემები არ მოიპოვება.

წერილს ხელს აწერს სასწავლებლის ინსპექტორი.

(ფონდი № 92, საქმე № 26, ფურც. 6–7)

წერილებიდან ირკვევა, რომ ბათუმის საქალაქო სასწავლებელთან არსებობდა პედაგოგიური კურსები, რომელიც დაიხურა ზეპირი ბრძანებით და წერილობითი ფორმით ეს განკარგულება სასწავლებელთან აღნიშნული კურსების საბუთებში ვერ იქნა აღმოჩენილი. წერილები შეიცავს ინფორმაციას თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო პედაგოგიური კურსების არსებობა საქართველოს სახალხო განათლების წინსვლისათვის.

ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულ № 92 ფონდში აღმოვაჩინეთ იმ პედაგოგთა ნამსახურების სია (ფორმულარი), რომლებსაც დამთავრებული ჰქონდათ ბათუმის საქალაქო სასწავლებელი და ამ სასწავლებელთან არსებული პედაგოგიური კურსები:

ავა კუმბუჭუს ძე მგელაძე

პედაგოგი, 34 წლის, მართლმადიდებელი, ღებულობს 420 მანეთს.

წარმომავლობა- გლეხი, ფლობს პატარა მამულს.

განათლება მიიღო ბათუმის საქალაქო სასწავლებელში, შემდეგ დაამთავრა ბათუმის საქალაქო სასწავლებელთან არსებული პედაგოგიური კურსები (სავარაუდოდ 1904 წელს).

1900 წლის 14 სექტემბერს მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში.

სამსახურს შეუდგა 1904 წლის 1 სექტემბერს, შემოქმედისორწლიან სასწავლებელში, 1906 წლის 20 მარტს გადავიდა ბახვის ორკლასიან სასწავლებელში. დაქორწინდა 1907 წლის 25 აგვისტოს პელაგია დიმიტრის ას. ინწკირველზე (დაბადებული 1887 წ.). ჰყავს 2 შვილი: თამარა (დაბ. 1908 წ. 22 ოქტომბერი) და ვლადიმირი (დაბ. 1910 წლის 4 ოქტომბერი)

ცოლიც და შვილებიც მართლმადიდებლები არიან.

(ფონდი № 92, საქმე № 38, ფურც. 12ა–13)

პლატონ სიმონის ძე იმნაძე

პედაგოგი, 26 წლის, მართლმადიდებელი, ლეზულობს 360 მანეთს

წარმომავლობა- გლეხი, მშობლები ფლობენ პატარა მამულს.

განათლება მიიღო ბათუმის საქალაქო სასწავლებელში, შემდეგ დაამთავრა ბათუმის საქალაქო სასწავლებელთ არსებული პედაგოგიური კურსები (სავარაუდოდ 1904 წელს).

სამსახურს შეუდგა 1904 წლის 1 სექტემბერს, ძიმითის ორწლიან სასწავლებელში, 1907 წლის 1 სექტემბრიდან ჭუბხევის ერთკლასიანი სასწავლებლის გამგე ზემო სვანეთში, 1908 წლის 1 სექტემბრიდან ჩიბათის ორკლასიან სასწავლებელში.

დაქორწინდა 1907 წლის 4 თებერვალს ნინა ლევანის ას. კვაჭაძეზე (დაბადებული 1887 წ.)

ჰყავს 3 შვილი: მიხეილი (დაბ. 1908 წ. 14 მაისი), თამარა (დაბ. 1910 წლის 18 აპრილი) და შიო (დაბ. 1911 წლის 1 ნოემბერი).

ცოლიც და შვილებიც მართლმადიდებლები არიან.

(ფონდი № 92, საქმე № 37, ფურც. 60ა–61)

სამწუხაროდ, ფონდში ვერ მოიძებნა სხვა პედაგოგთა სამსახურების სია (ფორმულარი), რომლებსაც ბათუმის საქალაქო სასწავლებელი და ამ სასწავლებელთან არსებული პედაგოგიური კურსები ექნებოდათ დამთავრებული. თუ გავიხსენებთ წერილებში მოყვანილ ფაქტებს, აღნიშნულ კლასში, ორწლიანი არსებობის მანძილზე, 19 სტუდენტი სწავ-

ლობდა, რომელთაგანაც მხოლოდ 10–მა გაიარა სრული თეორიული და პრაქტიკული კურსი და მიენიჭათ 19031-904 სასწავლო წლის ბოლოს შესაბამისი მოწმობები, დანარჩენმა 9–მ ვერ ჩააბარა გამოსაშვები გამოცდები 1904-1905 სასწავლო წლის ბოლოს ბათუმის მოსწავლეთა შორის მომხდარი არეულობების გამო. აღნიშნული სასწავლებლის 2 კურსდამთავრებულის ნამსახურების სიის (ფორმულარის) აღმოჩენა კვლევის წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს.

განახლდა თუ არა ბათუმის საქალაქო სასწავლებელთან არსებული პედაგოგიური კურსები – ინფორმაცია ამ საკითხზე, ქუთაისის ცენტრალურ არქივში ჩვენს მიერ გამოკვლეულ ფონდში არ მოიპოვება. ზოგადად შეგვიძლია დასკვნის სახით ვთქვათ, რომ ბათუმის საქალაქო სასწავლებელთან არსებული პედაგოგიური კურსების კურსდამთავრებულები ზრუნავდნენ თავიანთი წვლილი შეეცანათ ზოგადი განათლების საკითხში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. მათი მოღვაწეობა მნიშვნელოვანი იყო ქართული განათლების წინსვლისათვის.

გამოყენებული წყაროები:

1. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ქცსა), ფონდი № 92, საქმე № 37, ფურც. 60ა–61;
2. ქცსა, ფონდი № 92, საქმე № 38, ფურც. 12ა–13;
3. ქცსა, ფონდი № 92, საქმე № 26, ფურც. 6–7;
4. ქცსა, ფონდი № 92, საქმე № 26, ფურც. 1–1ა;
5. ფონდი № 92, საქმე № 26, ფურც. 2–5ა.

Kristine Medzvelia

*The history of pedagogical courses of Batumi
municipal institutes (1903-1905)*

Summary

The 20th century, Georgia, great attention was paid to education, in particular teacher training and retraining programs. Pedagogical courses of Municipal Institute of Batumi, which functioned in 1903-1905, aimed for the training of qualified teachers at the above-mentioned institutions. In this article, base on archival materials are explored these issues.

ინგა ელიავა

**„გელჯენკირხენის სამთო-სამრეწველო
საზოგადოების“ მიერ მოპოვებულ მანგანუმის
ქიმიკატორით აღჭურვილი სადგურის
მანეჟლოვის მცდელობის შესახებ**

XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ეჭირა სამთა-მადნო მრეწველობას. სამრეწველო ნედლეულის მნიშვნელოვან სახეობას კავკასიაში მანგანუმი წარმოადგენდა, რომელიც ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრაში, ჭიათურაში იქნა აღმოჩენილი. მანგანუმი ფოლადის დნობის ტექნოლოგიური პროცესის აუცილებელი კომპონენტი გახდა. რევოლუციამდელი სტატისტიკის მიხედვით, ჭიათურის საბადოების ფართობი 125 კვ. ვერსს, ანუ 12,5 ათასი დესეტინას შეადგენდა და შეიცავდა არაუმცირეს 1 მლრდ. ფუთ მანგანუმის მადანს. ჭიათურა იძლეოდა რუსეთში ამოღებული მანგანუმის 85 %-ს და მსოფლიო მოპოვების 38 %-ს, 20 წლის შემდეგ, 1912 წელს კი, შესაბამისად, 70 და 58 %-ს. შემდეგად, მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში მსოფლიო ფოლადის საჩამომსხმელო წარმოების ნახევარი რუსეთის, პირველ რიგში, ჭიათურის მანგანუმზე იყო დამოკიდებული. ეს დიდ მნიშვნელობას აძლევდა დარგს, ჭიათურას მჭიდროდ აკავშირებდა მსოფლიო ბაზართან და მსოფლიო ფინანსურ-სამრეწველო დაჯგუფებებთან.

თავდაპირველად, მანგანუმის წარმოებას წვრილი საწარმოები ახდენდნენ, შემდგომში დაიწყო კაპიტალის კონცენტრაცია. 1899 წელს 292 ფირმის მიერ მოპოვებულ იქნა 34,1 მლნ. ფუთი მადანი, აქედან ნახევარი მხოლოდ 40 საწარმოზე მოდიოდა. უცხოური კაპიტალი დიდი ხნის განმავლობაში მანგანუმის შესყიდვას და ექსპორტს ახდენდა და თანდათან მოპოვების სფეროც დაიკავა. ამ მიმართებით მნიშვნელოვანი იყო 1904 წელი, როცა კავკასიაში მოღვაწეობა დაიწყო გერმანულმა სააქციო საზოგადოებამ «Акционерное общество Шальского союза горнопромышленников и

владельцев копей в Гельзенкирхене». ამ საზოგადოების 1912 წლის 25 მარტის საერთო კრების ოქმიდან ცხადი ხდება, რომ პირველი მსოფლიო ომის წინ ყველაზე დიდი პაკეტის მფლობელი იყო დოიჩე ბანკი -25 მლნ. მარკა. შემდეგ დისკონტოგეზელშაფტი- 18 მლნ., და დრეზდენ ბანკი -9 მლნ. ამ სამ საკრედიტო ორგანიზაციას კონცენტრირებული ჰქონდა საკონტროლო პაკეტი – 52 მლნ. მარკის აქციები(94 მლნ. მარკიდან). კერძო აქციონერთა შორის იყვნენ ისეთი გერმანელი მენარმები, როგორებიცაა: ჰუგო სტინესი, სოლომონ ოპპენგეიმი. რუსეთის ფინანსურ წრეებში არსებობდა მოსაზრება, რომამ საზოგადოების ერთ-ერთი მსხვილი აქციონერი იყო გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II კაიზერი. ვორონცოვ-დაშკოვის ხელთ არსებული ცნობით, გერმანიის იმპერატორის აქციები „ჩანერილი იყო ტისსენის საზოგადოების ყოფილი დირექტორის სახელზე. რუსეთში გელზენკირხენის საზოგადოების წარმომადგენელი იყო ივან სპირიდონის ძე პერსინაკი, რწმუნებული – ლევ მოსეს ძე ბერლინი.

გელზენკირხენის ორგანიზაცია, სხვა უცხოური ფირმების მსგავსად, რუსეთიდან მანგანუმის ექსპორტით იყო დაკავებული. იგი მანგანუმის ბაზარზე იმ დროს შემოვიდა, როცა აქ უკვე აღარ იყო თავისუფალი ნიშები. ამიტომ მას საკმაოდ მძაფრი საკონკურენციო ბრძოლა უწევდა. გელზენკირხენის სამთო-სამადნო ორგანიზაციამ, დაძლია რა წინააღმდეგობები, განმტკიცდა მანგანუმის ბაზარზე. 1905 წელს ამ საზოგადოების მიერ შესყიდული და გატანილი იქნა მთელი ექსპორტირებული მანგანუმის 5 %, ხოლო 1913 წელს 13%. ამავდროულად მან დაიწყო წიაღისეულით მდიდარი მინების შესყიდვა. პირველი მსოფლიო ომის წინ ფრანგები შორაპნის მაზრაში ფლობდნენ 70 დესეტინა მიწას, ინგლისელები – 80, ხოლო გელზენკირხენის საზოგადოება თითქმის 500 დესიატინას.

აღნიშნულ საზოგადოებას ჰქონდა მადნეულის, რკინის, ფოლადის, ცემენტის, კოქსის, პურის და სხვა საქონლის იმპორტისა და ექსპორტის უფლება, რასაც წარმატებით ახდენდა კიდევ, მაგრამ 1912 წლის 27 თებერვალს გელზენკირ-

ხენის სამთო-სამადნო სააქციო საზოგადოებამ (წარმომადგენელი ბურგერს შრაიბერი) თხოვნით მიმართა მეფისნაცვალ გრაფ ვორონცოვ დაშკოვს ნება დაერთო დასახელებული საზოგადოებისთვის მანგანუმის და სხვა საქონლის სატვირთო სადგურის მოწყობაზე სადგურ ქობულეთთან ახლოს და ამ მიზნით მიწის შესყიდვაზე.

„ეს შუამდგომლობა ემყარება შემდეგ მოსაზრებებს: დაახლოებით გასული საუკუნის ბოლომდე კავკასიის მანგანუმის მრეწველობას პირველი ადგილი ეჭირა მადნის მოპოვებით, რომლითაც იგი აკმაყოფილებდა მსოფლიო მოთხოვნის ნახევარს. მას შეეძლო ფასის კარნახი და აქედან გამომდინარე, კაპიტალდაბანდებების კარგი პროცენტების მიღება. მაგრამ ბოლო ათწლეულში მდგომარეობა შეიცვალა სწრაფად მზარდი ბრაზილიური და ინდური კონკურენციის გამო.

კავკასია -1900-- 428.593 ტ.—569.193 ტ.

ინდოეთი – 90.445 ტ. 695.499 ტ.

ბრაზილია – 130.423 ტ. 247.463 ტ.

„თუ გავითვალისწინებთ საბადოების არაჩვეულებრივ სიმდიდრეს ინდოეთსა და ბრაზილიაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ კონურენტი მხარეები ჩამოიშორებენ კავკასიის საბადოს, რადგან ამ ქვეყნებში რკინიგზის ქსელის გაფართოებასთან ერთად ბაზრისთვის ხელმისაწვდომი გახდება მადნით მდიდარი სხვა უბნებიც. კავკასიურ მადანში ფოსფორის დაბალი შემცველობა და მისი სასქონლო სახე – დიდი ნატეხები სხვა ქვეყანაში მოპოვებულ მადანს აძლევს უპირატესობას და მყიდველი მას (კავკასიურს) 1 ან 2 პენსად აფასებს (4-8 კაპ.).

მეორე მხრივ, ახლო მომავალში გაიზრდება მადნის თვითღირებულება, ვინაიდან მადნის მოპოვება იწყება ქიათურის შტოდან დაშორებული უბნებიდან, გაიზრდება მოსაკრებელი, მზარდი საზღვაო ფრახტებიც ამცირებს მადნის კონკურენტუნარიანობას. აუცილებელია ზომების მიღება ფრახტის შესამცირებლად.

„ჩვენს მიერ შემოთავაზებული, ქობულეთთან ასაგები სადგური შესაძლებლობას მოგვცემდა 48 სთ-ში დაგვეტვირ-

თა ყველაზე დიდი გემი, (მხედველობაში გვაქვს 11 000 ტონიანი გემები, რომლებიც ვერ შედიან ბათუმსა და ფოთში, რადგან ეს პორტები არაა საკმარისად ღრმა და მოხერხებული ამ ზომის გემების მისაღებად).“

საზოგადოებამ წარმოადგინა მონაცემები და მოსაზრებები სადგურ ქობულეთთან დასატვირთი სადგურის აგების საჭიროების დასადასტურებლად. გარდა ამისა, გელზენკირხენის საზოგადოება სხვა ფირმებსაც მისცემდა სადგურით სარგებლობის საშუალებას შესაბამისი ანაზღაურების საფასურად და მზაყოფნას გამოთქვამდა, შეექმნა სხვა სახის ტვირთების (ხორბალი, სიმინდი, და სხვ) გადაზიდვისთვის – მოსახერხებელი პირობები. (ქცსა,ფ.120, საქმე 2082, ფ.1,2,3).

საქმეში დაცულია ამონაწერი კამმერგერისტის სამეფოს საოლქო ნოტარიუსის დ/რ კარლ მეიდინგერის 1912 წლის რეესტრიდან. გელზენკირხენის სააქციო საზოგადოების საერთო კრების ოქმი /29.02.1912/, საკითხი №3, რუსული ეკზეკვატური, რომლის მიხედვითაც საზოგადოებამ უფლებამოსილება მისცა მმართველობას იშუამდგომლოს რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებასთან შემდეგ ეგზეკვატურზე:

1. მიეცეს საზოგადოებას ნედლი და გადამუშავებული მადნეულის, რკინის, ფოლადის, ასევე ნახშირის, კოქსისა და კოხსის ქარხნის გვერდითი პროდუქტების, სასუქის, ცემენტის, პურისა და სხვა პროდუქტების შემოტანისა და გატანის უფლება, როგორც საკუთარი ხარჯით, ასევე სხვა ფირმების დავალებით;

2. უკვე აგებული და სამომავლოდ ასაგები ელევატორებისა და დატვირთვის სხვა საშუალებების, შექმნილი და სამომავლოდ შესაძენი, ან დროებით სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთების ექსპლოატაციის უფლება;

3. პირველ პუნქტში ჩამოთვლილი საქონლით ვაჭრობის უფლება.

კაპიტალი, რომელიც რუსეთში ამ ოპერაციებისთვის იყო გამიზნული, შეადგენდა **600 000** მარკას.

ქუთაისის გუბერნარორმა ბუნებრივია, მიმართა ფოთის ბირჟის კომიტეტს, საკუთარი მოსაზრება გამოეთქვა ამ საკითხთან დაკავშირებით. ამ მნიშვნელოვანი საკითხის მრავალმხრივი განხილვის შემდეგ ფოთის ბირჟის კომიტეტმა შემდეგი მოსაზრებები წარუდგინა ქუთაისის გუბერნატორს (05.07.1912 წ. ქცა, ფ.№120, საქმე№ 2082, ფურ. 4.): „**კომიტეტმა მიიჩნია**, რომ გელზენკირხენის საზოგადოება შეფარულად ცდილობს მოიპოვოს თანამედროვე ტექნიკით, ელევატორით აღჭურვილი საკუთარი ღრმა პორტის მშენებლობის უფლება, ამაზე მეტყველების მისი მთავარი არგუმენტი, თითქოს მეზობელ, ბათუმისა და ფოთის პორტებს არ ჰქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ და მოკლე დროში, 48 საათში დატვრთონ 11 000 ტონა ტევადობის გემები.

ფოთის ბირჟა და ფოთის ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობა 1910 წლიდან ცდილობენ პორტის გაღრმავებასა და მისი მანგანუმის ელევატორით აღჭურვას. პორტი თანაბარი პირობებით იქნებოდა ხელმისაწვდომი ყველა მრეწველისა და მოვაჭრისათვის, გელზენკირხენის საზოგადოებას კი მხოლოდ კერძო ინტერესები ამოძრავებს. 1910 წელს ამ საკითხის განხილვაზე მონვეულმა გელზენკირხენის საზოგადოებამ დიამეტრალურად განსხვავებული აზრი გამოთქვა და ეს გადაუდებელი და საჭირო საქმე უშედეგოდ დარჩა. ბირჟის კომიტეტის მოსაზრებით, გერმანულმა სააქციო საზოგადოებამ ფარული, შემდგომში პორტის მშენებლობის უფლების მიღების მიზნით დატოვა ეს რეგიონი თანამედროვე პორტის გარეშე.

შუამდგომლობის დაკმაყოფილება მძიმე შედეგებს გამოიღებს, გამოიწვევს საერთო სარგებლობის ამ ორი მეზობელი პორტის გაღატაკებას, რომელთა კეთილმოწყობის ასიგნირება სხვადასხვა ინსტანციაში მრავალწლიან განხილვას საჭიროებს.

სავაჭრო კონკურენციაში მომავალი ეკუთვნის მას, ვინც ფლობს ღრმა პორტებსა და გემებს, მანგანუმის მრეწველობა მოხდება კერძო ღრმა პორტის მფლობელის მონოპოლიაში, რომელსაც შესაძლებლობა ექნება საკუთარი ნებისამებრ გააუმჯობესოს პორტის აღჭურვილობა, მიიღებს

რა პორტის მშენებლობის უფლებას, გელზენკირხენის საზოგადოება ყველა სხვა საექსპორტო ფირმას არაკონკურენტუნარიანს გახდის, მანგანუმის ექსპორტი ფოთიდან ქობულეთში გადაინაცვლებს, რაც გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს ვაჭრობის ყველა სფეროს, გააკოტრებს ქალაქ ფოთს, რომელიც ბოლო ოცი წლის განმავლობაში მთელ ძალასა და თანხებს პორტის მონყობაზე ხარჯავს.

ამ უზარმაზარი ღირებულების პორტის მშენებლობის ხარჯების ამოღებას, რა თქმა უნდა, ეცდება გელზენკირხენის საზოგადოება, რისთვისაც მიიზიდავს ვაჭრობის სხვა დარგებს, უცხოური ფირმისათვის ტვირთების შემოტანა-გატანის საქმის მონოპოლიაში გადაცემა უდავოდ ხელს შეუშლის სამამულო მრეწველობის განვითარებას.

დაბოლოს, შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ომის შემთხვევაში ჯარების წინაშე სერიოზული ამოცანა იქნება – დაიცვან ფოთის პორტი, რომ იგი მოწინააღმდეგის ხელში არ ჩავარდეს და არ გახდეს მძიმე სამხედრო ტექნიკის და იარაღის გადმოსხმის ნერტილი, როგორც ეს იაპონიასთან ომის დროს პორტ დალნის და პორტარტურის მაგალითზე მოხდა. ამ რთულ ამოცანას კიდევ უფრო გაართულებს – ბათუმის სიმაგრესთან კიდევ უფრო ახლომდებარე, გერმანული სააქციონერო საზოგადოების მიერ აშენებული და ექსპლოატირებული პორტის დაცვა... ეს იქნება ქვეყნის თავდაცვის უმნიშვნელოვანესი ინტერესების დარღვევა, მხოლოდ ეს მიზეზიც საკმარისია იმისათვის, რომ გელზენკირხენის საზოგადოების შუამდგომლობა არ იქნას დაკმაყოფილებული. ...მით უფრო, რომ ეს მოთხოვნა აჭარბებს საზოგადოების რუსეთში საქმიანობის პირობებს.

საპასუხოდ, ფოთის ბირჟის კომიტეტმა ქუთაისის გუბერნატორისადმი მიწერილობაში -- 07.12.1912 – აღნიშნა, რომ „გელზენკირხენის სამთოსამადნო საზოგადოების“ შუამდგომლობა შესაძლებელია დაკმაყოფილდეს იმ ნაწილში, რომელიც ეხება საზოგადოების მიერ მადნის, რკინის, ფოლადისა და სხვა საქონლის შემოტანას და გატანას, ადგილობრივი მრეწველობის დაზარალების გარეშე და ისიც

აქამდე დადგენილი და სამომავლოდ მისაღები – მომავალში მიღებული ყველა მოსაკრებლის და წესის დაცვით.

რაც შეეხება მეორე საკითხს, მისი დაკმაყოფილება გამოიწვევს უმძიმეს შედეგებს მთელი ამიერკავკასიის სავაჭრო სამრეწველო ცხოვრებაში, ამიტომ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უარი უნდა ეთქვას საზოგადოებას.

ამის დასამტკიცებლად, ბირჟის კომიტეტს მოჰყავს შემდეგი მოსაზრებები:

1. ფოთის პორტს ამჟამადაც აქვს შესაძლებლობა, ქალაქის ელევატორის საშუალებით (დღევამეში 5.250 ტონა) დატვირთოს მაღალი ტვირთამწეობის გემი (მაგალითად, STIKLESTAD“, 10.500 ტონიანი, რომელიც სწორედ იმ დროისთვის იდგა პორტში) და რომ აღნიშნულმა ელევატორმა არაერთხელ დაამტკიცა თავისი სიმძლავრე. და თუ ის აქამდე არ გამოიყენება სრული სიმძლავრით, ამაში დამნაშავეა გელზენკირხენის საზოგადოება, რომელიც თავისი განცხადებებით ხელს უშლის აღნიშნული ელევატორის გამოსყიდვასა და მისი საბოლოოდ დასრულებას.

მონოპოლიის შექმნის გარეშეც არის შესაძლებელი მხარის სამთამადნო მრეწველობის „თანამედროვე დასატვირთი სადგურით“ უზრუნველყოფა.

2. ქალაქმა უზარმაზარი ვალი აიღო მანგანუმის ელევატორის ასაგებად, იმ პირობით, რომ მას ექვსი წლის განმავლობაში მონოპოლური უფლება ექნებოდა ტვირთების მექანიკური გადააზიდვისა.

3. თვით იდეა თანამედროვე დასატვირთი სადგურის მშენებლობისა, ეკუთვნის ქალაქ ფოთს, ჯერ კიდევ 12 წლის წინ მან თავისი წარმომადგენელი გაამგზავრა მივლინებაში უახლეს ევროპული და აფრიკულ პორტებში ვაჭრობისა და მრეწველობის საჭიროებათა ყველაზე ხელსაყრელი საშუალებების გამოსაკვლევად. მოსაზრება, რომ პორტის სიღრმე 28-30 ფუტამდე უნდა გაიზარდოს და უნდა აიგოს მძლავრი ელევატორი მანგანუმისთვის, რაც პორტს დაიცავს კონკურენციისაგან, ფოთს რამდენიმე წლიანი კვლევა, დაკვირვება

და შრომა დაუჯდა. გელზენკირხენის საზოგადოება ცდილობს, გამოიყენოს მის მიერვე დაბრკოლებული იდეა.

4. საქმე განხილული უნდა იქნას მხარის თავდაცვის თვალსაზრისითაც სამხედრო უწყების მიერ და ამიტომ მიხაილოვსკის სიმაგრის ხელმძღვანელობის აზრიც უნდა იქნას გათვალისწინებული. -რა გავლენას იქონიებს მის მის დაცვაზე მისგან 22 ვერსით დაშორებულ ქობულეთში მდებარე ღრმა პორტი მძლავრი ელევატორით.

შემდგომი მიმონერა ცხადყოფს, რომ 1913 წ. დეკემბერში ქუთაისში შემდგარმა მანგანუმის მრეწველთა ყრილობამ დააკმაყოფილა ბათუმისა და ფოთის ქალაქების თვითმმართველობებისა და ბათუმისა და ფოთის საბირჟო კომიტეტების შუამდგომლობა პორტების სამრეწველო მიზნებისთვის აღჭურვისა და გაუმჯობესების შესახებ, 1914 წელს მიმდინარეობდა პორტთან მისასვლელი გზების მოწყობა და ა. შ.

საქართველოს სავაჭრო ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვანი სფეროა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება. სატრანსპორტო დერეფნებისა და მეზობელ ქვეყნებთან საგარეო ეკონომიკური კავშირების განვითარება ხელს უწყობს ტრანსსასაზღვრო რეგიონების ინტენსიურ ფორმირებას, დადებითად მოქმედებს ინტეგრაციული ეკონომიკური პროცესების განვითარებაზე მეზობელ ქვეყნებს შორის. ტრანსპორტის მომსახურებიდან მიღებული ეკონომიკური სარგებელი ძალზე არსებითია ქვეყნისათვის.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ქცსა), ფონდი № 120, საქმე № 2082
2. ქცსა, ფონდი № 139, ანან. №1, საქმე № 112
3. ქცსაფონდი №139, ანანური №2 საქმე № 436;
4. А. В. ОСТРОВСКИЙ. “Кто стоял за спиной Сталина“
Издательский дом Нева;
5. <http://forbes.ge/news/164/WiaTuris-manganumi---qarTuli-%E2%80%9ESavi-oqros%E2%80%9C-istoria>

Inga Eliava

*Manganese elevator-equipped station construction efforts in
Kobuleti by GelsenKirchen mining industrial society*

Summary

In XIX-XX centuries in the economic development important role was holding the mining industry. "Gelsenkirchen mining-industrial society" for the further development of the sector, it tried to build manganese elevator-equipped station, but this idea failed.

**ისტორიული რეალიები სულიკო ჟღენტის
შემოქმედებაში**

*„ადამიანები ცხოვრობენ გვერდიგვერდ,
მეგობარი მეგობრისთვის, ყოველთვის უნდა
გრძნობდე, რომ შენ ვილაცხას სჭირდები, რო-
გორც კი ეს გრძნობა დაგტოვებს, შენ თავს იგ-
რძნობ კაცად, რომელმაც თავისი ვალი მოიხადა.
ამის შემდეგ ცხოვრება აზრს კარგავს“.*

სულიკო ჟღენტი

ქართველმა მწერალმა და კინოსცენარისტმა საქვეყ-
ნოდ ცნობილი ფილმების სცენარის ავტორმა სულიკო ჟღენ-
ტმა, შემოქმედებით სარბიელზე გამოსვლის დღიდან დაიმა-
ხურა ხალხის ყურადღება და პატივისცემა, მისი ნაწარმოე-
ბის გმირები იქცნენ ყველა თაობის საყვარელ და მისაბაძ
პერსონაჟებად.

სულიკო ჟღენტი დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სო-
ფელ სამებაში 1925 წელს. საშუალო განათლება მეზობელი
სოფლის ამალეების სკოლაში მიიღო. მას ფეხით საკმაოდ-
დიდი მანძილის გავლა უხდებოდა სკოლაში მისასვლე-
ლად. მისი ყრმობის პერიოდში სოფელი საკმაოდ მჭიდროდ
იყო დასახლებული. ამიტომაც ყოველი დღე მისთვის ბუნება-
სა და ადამიანებთან ურთიერთობის ცინცხალი შთაბეჭდი-
ლებით ივსებოდა და მადლიან კვალს ტოვებდა მომავალი ხე-
ლოვანის ფაქიზ ემოციურ სულსა და სხარტ გონებაზე. სად-
ღეისოდ მიგრაციის მძიმე ხვედრმა დაჩაგრა სოფელი.

ბავშვობის შთაბეჭდილებები, ბრძენ, გამრჯე, ენაკვი-
მატ თანასოფლელებთან ურთიერთობის გამოცდილება და
საკუთარი ბიოგრაფია იქცა თავისივე შემოქმედების უშრეტ
წყაროდ. მის სცენარებზე შექმნილმა ფილმებმა დაამშვენა
არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო კინომატოგრაფია.

მეორე მსოფლიო ომი მაშინ დაიწყო, როცა ყმანვილკა-
ცის პიროვნებად ჩამოყალიბება იწყებოდა და მოხალისედ
წავიდა ფრონტზე. ომიდან დაბრუნებულმა საფრენოსნო

სასწავლებელი დაამთავრა და სწავლა ქალაქ მოსკოვის კინომატოგრაფიის ინსტიტუტის სასცენო ფაკულტეტზე განაგრძო (გ. უღრელიძე, 1970:6;).

ქალბატონი ოლიკო ჟღენტი წერს: ომიდან დაბრუნებულ მამას სახლში ბარათი დახვდა, გაყვითლებული ფურცელი, რომელიც მის დაღუპვას და დასაფლავების ადგილს აუწყებდა მის მშობლებს. თითქოს მართლაც ასე იყო—ის ბიჭი, ომში რომ წავიდა, აღარ დაბრუნდა. მოვიდა სხვა, სული იმ ბიჭისა, მხოლოდ უფრო დაბრძენებული, ჭირგამოვლილი. სიკვდილს თვალებში ჩახედული (რ. სურმანიძე, 2001:316).

ამბობენ ბუნებით უბრალოს, უმუალოს, კაცთმოყვარეს, ძალიან უყვარდა ადამიანებთან ხშირი ურთიერთობა, „ჩინების“ მიხედვით არავის არჩევდა. მეგობარი რამაზ სურმანიძე იგონებს: სულიკო ჟღენტი ქართველი ერის ერთი გამოორჩეული, ქვეყნისათვის სულით ხორცამდე თავდადებული და ერთგული შვილია. 16 წლის ყმანვილმა თავი სასწორზე მაშინ დადო, როცა მოხალისედ ომში წავიდა სულიკოს ნაღმის ნამსხვრევმა შეუნგრია გულმკერდის მარცხენა მხარე, დაუზიანა კუნთები, ჭურვის ნატეხი მოხვდა ფილტვში, მარცხენა ხელი დიდხანს დადამბლავებული ჰქონდა, დაიჭრა კისრის არეშიც. შეუძლებელია აულელვებლად წაიკითხო გაყვითლებულ, სქელ მუყაოს ფურცელზე დაწერილი მისი ადვადმყოფობის ისტორია, გიკვირს რამდენი რამ გადაუტანია ცხოვრებაში ჯერ კიდევ გამოუსვლელ ჭაბუკს!

სულიკო ჟღენტი ცხოვრებაში უბრალო და უპრეტენზიო იყო. თავისთავისადმი გულგრილი კაცი სხვების მიმართ დიდ ყურადღებას, სიტბოსა და უსაზღვრო სიყვარულს გამოხატავდა. არ უყვარდა რეკლამა და განდიდება, მაგრამ მისი უდიდესი ინტელექტი მისსავე თავშეკავებაში არ ეტეოდა, ადამიანების სულსა და გონებაში გადაიღვრებოდა და სახელოვან შემოქმედს მათ გულში კიდევ უფრო განადიდებდა (რ. სურმანიძე, 2001:6).

ფილოსოფიური აზროვნების მქონე მწერლის შემოქმედებაში ნათლად მჟღავნდება ეროვნული ხასიათი. ომგამოვლილმა ავტორმა სულისშემძვრელად გადმოგვცა ომის სიმწარე და მშვიდობის ფასი. მან ზედმინვნით სრული სიზუსტით აღწერა ჯარისკაცის მძიმე ხვედრი, როგორ არ კარგავდნენ ქართველები ამ მძიმე პერიოდში, იუმორის გრძნობას,

ქართული სიმღერით იოლებენ დარდს, გასაჭირში არ ტოვებენ მეგობარს. არა მარტო ადამიანი, ომი და თაობა იყო სულიკო ჟღენტის შემოქმედების მთავარი თემა, არამედ გადაშენების პირას მისული ქართულ უნიკალურ მცენარეთა და „ძირდალოცვილი“ (როგორც თითონ უწოდებს) ხეხილის ჯიშები, ის საუბრობს მათი მოვლის წესებზე და გადრჩენის აუცილებლობაზე.

კომუნისტური რეჟიმის მკაცრ პირობებში იქმნებოდა სულიკო ჟღენტის შემოქმედება, როცა ვერავინ აჩენდა გულზე დაკიდებულ ჯვარს, ეკლესიებში ჩუმად და მალულად შედიოდნენ მოსალოცად, მიუხედავად ამისა ავტორი მოხერხებულად, მორიდებით, შეპარვით გადმოგვცემს ქართველების დამოკიდებულებას სარწმუნოების, სამშობლოს, მშობლიურიენის, მიწის და ხელოვნების მიმართ სიყვარულისა და პატივისცემას. საყურადღებოა ნაწარმოების გმირების დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ. სცენარებში ქართველი ქალის ფუნქცია ოჯახში და საზოგადოებრივ საქმიანობაში გამოკვეთილია. ხაზგასასმულია ოჯახის თავკაცის როლი შვილის პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

ფილმში „მშობლიური ჩემო მიწავ“, უკვე მიტოვებულ ტაძრის დედაზარის ხმის გაგონებაზე მთელი სოფელი იკრიბება. ზარი რომელიც უკანასკნელად 1941 წელს დიდი სამამულო ომის დაწყებისას დაირეკა. ავტორს სოფლის მოსახლეობის შეკრება სხვა მხრივაც შეეძლო, მაგრამ ვფიქრობთ ეკლესიის ზარი მან მიზანმიმართულად გამოიყენა.

ამავე ფილმში ავტორი ეცადა აღენერა რეალური სურათი, დაცლილი ქართული სოფლებისა. დაენახვებინა საზოგადოებისათვის ქართველი კაცის ხელით შექმნილი განადგურებული კულტურა, გავერანებული ნასახლარები, გლეხი კაცის ოფლით დამუშავებული მიწა გაუყვანი ეკალ-ბარდით დაფარული. ვფიქრობთ ფილმის სცენარი ქართული მიწის და იმ თანამემამულეებისთვის შეიქმნა, რომელსაც მზრუნველი ხელის შეშველება და გადარჩენა ჭირდებოდა.

ბატონ რეზო ჩხეიძის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „იმ დროისათვის ვაცნობიერებდი, რომ ქართველ ხალხს სჭირდებოდა ფილმი-ოცნება, პატიოსან, წესიერ ხელმძღვანელებზე, რაღაც ეროვნულზე, პატრიოტულზე, ქართულზე. ამ იდეალზე მე და სულიკო ჟღენტს მუშაობა უკვე დაწყებული

გვექონდა. სურათი ლენინის პრემიით დაჯილდოვდა, რომელიც იმ დროისათვის უმაღლესი ჯილდო გახლდათ. როდესაც ფილმს ვიღებდით, ღამეს ვათევდით მეცხვარეებთან, მწყემსებთან, უკაცრიელ ადგილებში გზადაგზა გვხვდებოდა მესხეთის ცარიელი სოფლები, რომელიც სულ ასორმოცდა-თორმეტი იყო. მინდოდა ქართული საზოგადოებისთვის ცხადი გამხდარიყო რისთვის ვიღებდით ამ ფილმს—იმისთვის რომ შენების ჟამი დამდგარიყო, ქართული სახელმწიფოს შენების ჟამი (რ. ჩხეიძე, 2014;36).

სულიკო ჟღენცს სხვა, რომ არაფერი დაენერა, „ჯარისკაცის მამა“-ის სცენარის მიხედვით შექმნილი ამავე სახელწოდების ფილმმა მოიპოვა აღიარება და იქცა მსოფლიო კინომატოგრაფიის შედეგად. ადამიანურ ღირსებათა გამოსახვის ხელოვნებამ, კაცის ბუნების ცოდნამ, ცხოვრებისა და ადამიანური ურთიერთობის წვდომის საიდუმლოების შესაშურმა უნარმა, ადამიანის ვნებათა, ოცნებათა ზუსტმა ადექვატურმა ასახვამ ფილმი უკვდავ შედეგად აქცია.

სხვასცენარების მსგავსად ცხოვრებისეული სინამდვილიდანაა აღებული უკვდავი ფილმის სცენარი. ფრონტზე ორჯერ დაჭრილ სულიკოს, მიუხედავად დიდი სირთულეებისა ჰოსპიტალში ორივე ტრავმის დროს ჩააკითხა მშობლებმა, მეორედ მარტო მამა ჩავიდა დაჭრილის მოსანახულებლად. ვფიქრობთ ფილმის ერთ-ერთი ღირებული და მთავარი თემა თაობათა ურთიერთობაა.

ავტორმა გვაჩვენა ქართველი კაცი: ომში შეუპოვარი, მედგარი, ვაჟკაცური და თავისი თვისებებით, როგორ იქცა რეალობიდან ასხლეტილი უბრალო გლეხიკაცი ყველა ჯარისკაცის მამად. ფილმში დაჭრილი ჯარისკაცი არკადი საშველად მამას, ჯარისკაცის მამას უხმობს. საბჭოთა არმიის გენერლები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ფილმის პირველივე ნახვისას. „ჯარისკაცის მამას“ უკვე ნახევარსაუკუნეზე მეტია ნახულობს ქართველი და უცხოელი მაყურებელი, მაგრამ მოწონება და ოვაცია დღემდე არ განელებულა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ თავისი შეხედულება გამოთქვა ფილმზე: „50 წელი გავიდა „ჯარისკაცის მამის“ გადაღებიდან. ფილმისთვის ეს დრო ხანგრძლივია. როგორც ნესი, ამ ასაკის საუკე-

თესო კინომატოგრაფიის ნიმუშებიც კი თავის მიმზიდველობას კარგავს და თავისებურად „ბერდება“.

„ჯარისკაცის მამა“ არის დიდი ადამიანური სითბოთი, სიყვარულითა და ტკივილით გაჯერებული ეროვნული და ამავე დროს საკაცობრიო მამტაბის უკვდავი ფილმი (რ. ჩხეიძე, 2014:3).

ფილმის რეჟისორი ბატონი რეზო ჩხეიძე იგონებს: „ჯარისკაცი მამა“ სულიკოს გადატანილმა ომმა დაანერინა, რომლის მონაწილე თავად იყო. ამიტომაცაა ეს ფილმი მართალი. სცენარის იდეა და შესრულება მთლიანად მას ეკუთვნის. 8 თუ 9 გვერდიანი სცენარის პირველი წაკითხვისთანავე მივხვდი, რომ ეს გვერდზე გადასადები სცენარი არ იყო. ნებისმიერ ტრაგედიას თავისი რომანტიზმი ახლავს, ხელოვანის დანიშნულება კი სწორედ ამის დაფიქსირებაა. ფიქრობდი, რომელი არტისტი დამეკავებინა მთავარი როლით. ტროლეიბუსიდან დავინახერუსთაველის თეატრის გვერდით ფოტოაპარატების მაღაზიის რკინის რიკულებიან მოაჯირსვილაც კაცი გადაჰყურებდა და რაღაცას ჩასცქეროდა. ღონიერი სხეული, ძლიერი ფეხები, გაშლილი მხრები, მყარი დგომის პოზა. . . ის ნელში გაიმართა და მოტრიალდა. ვიცანი, ან როგორ ვერ ვიცნობდი ეს ხომ სერგო ზაქარიაძე გახლდათ! ჩემმა გონებამ, რომელიც მხოლოდ იმით იყო დაკავებული, რომ გიორგის როლის შემსრულებელს დაეძებდა, ეს კაცი თითქოს პირველად დამანახვა. მეორე დილით დავურეკე და კინოსტუდიაში დავპატიჟე, ახალი სცენარის გასაცნობად (რ. ჩხეიძე, 2014:30).

სერგო ზაქარიაძეს, როდესაც სცენარი წააკითხეს, უტირია და უთქვამს: დიდხანს ვოცნებობდი კარგ სცენარზე სადაც უბრალოდ როლს კი არ გავითამაშებდი, არამედ გმირის ცხოვრებით ვიცხოვრებდი: ვოცნებობდი სცენარზე, რომლის ავტორს უნარი ექნებოდა ღრმად ჩასწვდომოდა მოვლენის არსს, მიეკვლია და ამოეხსნა მისი მიზეზები. ვმსჯელობდით მომავალი ფილმის ყოველ დეტალზე. მუშაობამ ერთ ნელზე მეტ ხანს გასტანა. ვცადეთ ხაზი გაგვესვა მთავარი გმირის ადამიანური ღირსებებისათვის, გვეჩვენება მშობლიური მიწისადმი მისი სიყვარული, გულუბრყვილობა, გლახური სიუბმაკე, სიკეთე, კეთილშობილება, ადამიანების მიმართ პატივისცემის გრძნობა, მისი ხასიათის ჭეშმარიტი

ხალხური ბუნება. ვექებდით ეპიზოდებს, რომლებიც გამოავლენდნენ ხალხის უშუალო წარმომადგენლისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, ომისადმი მტრულად განწყობილი კაცის მშვიდობისმოყვარე ბუნებას. ჩემს გმირს ქონდა თვისებები, რომლებიც ყველა ეროვნების დამიანისათვის არის ახლობელი. ნაციონალური სახე იქცა ინტერნაციონალურ სახედ (რ. სურმანიძე, 2001;12).

დიდი სამამულო ომის თემაზე შექმნა ფილმი „ლიმილის ბიჭების“ სცენარი, სადაც ავტორი ფილმის დასაწყისშივე ასახავს ცხოვრების სარბიელზე გამოსასვლელად მომნიშვნეულობიან ხალგაზრდების ცხოვრებას. აღწერს მათ უმანკო სახეებს, პირველ სიყვარულს, ბავშვურ ანცობას, მეგობრობას, სკოლის დამთავრებით გამოწვეულ სიხარულს, როგორ ღალად, თავისუფლად წელში გამართული მიაბიჯებენ ქუჩაში. აქვე მოახლოებული ტრაგედიის დასაწყისი. სცენარში გადმოცემულია გაკვეთილის მსვლელობისას საავდრო გრუხუნი, დაბელილი ხეებიდან ცვივა ბოლები, ახალგაზრდები არც იქვე ჩავლილ ჯარისკაცებს აქცევენ ყურადღებას, რადგან ცუდზე არ ფიქრობენ, თავისუფლების შეგრძნება ამ გრძნობას აჭარბებს.

ფილმის შესახებ არა ერთი მოსაზრება გამოითქვა და დაინერა. ო. სეფიაშვილი წერს: „ყველაფერი ისე ჩვეულებრივად ხდება, როგორც იყო სინამდვილეში და ყველაფერი ისე მალღდება, როგორც ხელოვნებაში. ბიჭები სათითაოდ ამოდიან სანგრებიდან; ერთმანეთის მიყოლებით მიდიან სასიკვდილოდ, მიდიან ხმაამოუღებლივ, მხოლოდ წამით მოიხედავენ და ღიმილს გვიტოვებენ. . . და თუ სწორეა გამოთქმა, რომ ხელოვნების ნაწარმოების აღქმის პროცესი სხვა არა არის რა, თუ არა ასოციაციების თანმიმდევრული პროცესი, მაშინ გვჯერა, რომ ამ საოცარი ტაქტით და დამაჯერებლობით ეკრანზე მოტანილმა ღიმილმა წარმოშვა სურათის სახელწოდება. იმ ექვსი თბილისელი ბიჭისაგან მხოლოდ ერთი გიორგი მიაღწევს რაიხსტატამდე იგი შეკვამლულ კედელზე ცარცით წერს თანამებრდილი ძმაკაცების სახელებს, წამიერად დაფიქრდება, თითქოს ისევ იძალესო ღიმილის ბიჭებმა, აქაც არ იშლიან თავისას, და დამთმობი მეგობარი წაშლის თავის წამღვილ სახელს „გიორგი“ და მის მაგივრად მიაწერს ბიჭებისაგან შერქმეულ სახელს „ბოლოკა“ (რ. სურმანიძე, 2001;26).

სულიკო ჟღენტიც შემოქმედების პერსონაჟები ყველა თაობის ადამიანები არიან, რომლებიც გვერდი-გვერდ ერთმანეთის მხარდამხარ ურთიერთპატივისცემით მოდიან. ვფიქრობთ, ავტორი შიშობს ქართული სული არ დაკარგონ და დაივინყონ ახალგაზრდებმა, ამიტომ ცდილობს მოასმენინოს უფროსი თაობის შთამბეჭდავი ცხოვრებისეული გამოცდილება. ნაწარმოებებში მეტად ფაქიზად აქვს გამოხატული ვაზის მიმართ ქართველი კაცის დამოკიდებულება, რადგან მან კარგად იცოდა, რომ ქართველისათვის სამშობლოს, სარწმუნოების, უფროსის და ვაზის სიყვარული ერთმანეთთან გაიგივებულია. მიუხედავად ამისა ფილმში „მშობლიურო ჩემო მინაჲ“, ვაზის ამჩეხთან ურთიერთობა მშვიდობიანად მოაგვარა და მეტად მკაცრი განაჩენი გამოუტანა.

უყურებ ფილმებს და გგონია ჩვეულებრივია, ძალიან ახლობელია, ბუნებრივია ბაბუა და შვილიშვილის, მამა-შვილის, მეგობრების დამოკიდებულება ასეთი უნდა იყოს, მაგრამ გრძნობ, რომავტორი მთელი სიცხადით გაჩვენებს და გასწავლის, რომ არ დაკარგო უფროსის პატივისცემა, მოუფრთხილდე მეგობარს და იარო ნელში გამართულმა შენი ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე. „დიდი გზა არის შენს წინაშე შვილო, გთხოვ ნამუსიანად იარე იმ სიმართლით ცხოვრებაში, რომლითაც იარა შენმა ოჯახის წევრმა, გთხოვ-ნამუსიანად იარე ამ გზაზე, თუ სიძნელეები შეგხვდება არ შეგეშინდეს ნუ მიეცემი გართობას, იარე იმ სიმართლით ცხოვრებაში, რომლითაც იარა ყველა ჩვენი ოჯახის წევრმა: ბაბუებმა, დიდმა ბაბუებმა. . . შვილო ყოველთვის დადექი და მხარი დაუჭირე სუსტებს და ვისაც შენი დახმარება სჭირდება. ბავშვო, ყოველთვის იყავი მეგობრისა და ამხანაგის ერთგული. არასდროს არ ჩაიდო გულში ბოროტება მათ მიმართ, არასდროს არ ეძებო სიმდიდრე, შვილო ყველაზე დიდი სიმდიდრე ქვეყანაში, სუფთა სახელია (ამონარიდი ფილმიდან „ჩემი მეგობარი ბიძია ივანე“) (ს. ჟღენტი, 2010;9).

როგორი სიხარულით მიყვება კახაბერი ბაბუას შორ გზაზე ნერგების ჩამოსატანად(ფილმი „ნერგები,“). დიდი მანძილის გავლა უხდება ფეხით, მაგრამ მაინც არ წუნუნებს. გულისყურით უსმენს უკვე მრავალჯერ მოსმენილ ლუკა ბაბუას სათავგადასავლო ამბებს და ცულლუტურადაც ეკითხე-

ბა შეყვარებული ციციწოს შესახებ. ამ ეპიზოდით ხაზგასმულია ზნეობრივ-დიდაქტიკური პრობლემების საკითხი, რომელიც კარგად ერწყმის სოფლის ცხოვრებას. ვფიქრობთ სიძველისა და წინაპრის მიმართ პატივისცემაა გამოხატული ხაჭუჭყურა მსხლის ნერგების ძებნაში. თამამთამამობით შესწავლილ ქართულ ხალხურ სიმღერების ტექსტებში.

უამრავი ხეხილის ჯიში იყო გადაშენების პირას მისული, მაგრამ აქაც ხეჭუჭყური მსხალი შეგნებულად აქვს არჩეული ავტორს. ეს ის მცენარია, რომლის ნერგს ხანგრძლივი მზრუნველობა და გულშემატკივრობა სჭირდება, საიმისოდ, რომ კეთილი ნაყოფი მოგვცეს, რაც სიმბოლურად მომავალს განასახიერებს, ქვეყნის მომავალს, რომელსაც დიდი ზრუნვა სჭირდება, თაობების შეთანხმებული მოქმედება.

მიცვალებულის პატივისცემაც ასწავლა ბაბუამ შვილიშვილს, პატარა ასაკის მიუხედავად ჭირისუფალთან შეიყვანა ყმანვილი სამძიმრის მოსახდელად. აგრძნობინა, რომ ის უკვე კაცია და მოიქცეს ისე როგორც მას ეკადრება. ავტორმა გვაჩვენა გამოცდილი ადამიანის სიბრძნე და ბავშვური გულუბრყვილობა. პატარა ბიჭს თავისივე ქვეყანაში მოკლე მანძილზე მოგზაურობისას გამოაცდევინა მნუხარებაც, სიხარულიც, დაბრკოლებაც და სასიამოვნოდ შეაგრძნობა მომავლის იმედი.

არანაკლებ ამაღელვებელია ფილმი „ფესვები“, სადაც ავტორს უცხო მიწაზე გადაკარგული ქართველების ბედი აქვს აღწერილი, მიწის ყვილი „რომელსაც ხელში აიღებ და მერე მისი მიწაზე დაყრა გენანება“. ქართული სიმღერის ძალა და მადლი, ომის სიმწარე, ოჯახის სითბო, თუნდაც იმ იმედით სიკვდილი რომ საკუთარი ფერფლი, მის საყვარელ გურიას დაუბრუნდება და მშობლიურ სოფელში მშობლების გვერდით დაიდებს ბინას. ვფიქრობთ, მომავლის იმედია ასახული ფილმში. ბაბუამ, რომელმაც ვერ მოახერხა სამშობლოში დაბრუნება, ოცნების ასრულებას მის მომავალს შვილიშვილს ანდობს.

საკაცობრიო პრობლემები, რომელსაც სულიკო ჟღენტი შეეხო და აღწერა დღემდე აქტუალურია და მისივე სიტყვებით გვნიდა დავსვათ იმედის მომცემი კითხვა „გაზაფხული აღარ მოვა ბაბუ?“.

მშვიდობის სადარაჯოდან ვალმობილი დაბრუნებული

პირტიტველა ჯარისკაცი, კვლავ სამშობლოსა და მის თანამემამულეებზე ფიქრმა შემოქმედებით სარბიელზე გამოიყვანა და ბუნებით მშვიდობისმოყვარეს მთავარ თემად ომი აარჩევინა, ალბათ იმიტომ, რომ ომი არასოდეს დანყებულყო. „ყველაზე დიდი სიმდიდრე ქვეყანაში სუფთა სახელია“, ამბობს იგი. მართლაც სუფთა სახელითა და შეუბღალავი სინდისით წავიდა ჩვენგან დიდი ხელოვანი, რომლის შემოქმედება მუდამ შარავანდედად დაადგება ქართულ კინომატოგრაფიას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ულრელიძე, „ჯარისკაცის მამის“ სცენარის ავტორი, 1970;6,V, გაზეთი „კომუნიზმის განთიადი“;
2. რ. სურმანიძე, „მარგინალები ძველი და ახალი რვეულეზიდან“, თბ. 2001;
3. რ. ჩხეიძე, „ჩემი ცხოვრების ფილმები, მეგობრები, შვილები“, თბ. 2014;
4. ს. ულენტი, „სცენარისტი ჯარისკაცის ბედი“, მოსკოვი 2010.

Natia Kalandadze

Historical facts about literary works of Suliko Jgenti

Summary

Suliko Jgenti deserved people's love, attention and respect from the beginning of his career. The heroes of his stories were loved and idolized by the generations to come.

Movies created according to his screenplays represent a unique and valuable part of the World Cinematography Golden Fund.

Suliko Jgenti was the master of representing reality in fiction. He added value to real-life events of people by generalization and artful interpretation.

Natia Kalandadze, the Director of Niko Berdzenishvili Museum of Chokhatauri Municipality.

ნაილე მიქელაძე

ხის (ურთხელის) კულტია ჭარის ფოლკლორში

ქართულ ფოლკლორში არსებული წარმართული რელიქტის გამოვლენა და შესწავლა წარმოუდგენელია ხალხური ყოფისთვის დამახასიათებელი რწმენა-წარმოდგენების გაანალიზების გარეშე. წარმართულ ხალხურ სააზროვნო სისტემისათვის დამახასიათებელ მოტივებთან ერთად ინტეგრირებულად განიხილება ქრისტიანულ წეს-ჩვეულებები. დღევანდელი ხალხური ყოფისთვის დამახასიათებელი წარმართული წეს-ჩვეულებები ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებთანაა შერწყმული. ხის თაყვანისცემასთან დაკავშირებული სახეცვლილებები ქართული ყოფის თანმდევი პროცესია.

სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული ეთნო-მითოლოგიური ცნობები. არაერთგვაროვნად წარმოგვიდგენს საქართველოს მთის (განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოს) მოსახლეობის ხალხური ყოფისთვის დამახასიათებელი რელიგიური რწმენა-წარმოდგენებს, ისინი დღესაც ხალხური ყოფის სხვადასხვა რიტუალურ წეს-ჩვეულებაში გამოვლინდება.

შესაბამისი ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „წარმართ ქართველთა სააზროვნო სისტემაში დიდი ადგილი ეკავა საკრალურ ხესა და მასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს. საქართველოში ხის კულტის შესახებ ცნობები დაცულია როგორც საერო ხასიათის, ასევე სასულიერო ჟანრის თხზულებებში. ხის თაყვანისცემის და მის შესასწავლად განსაკუთრებით დიდია ხალხურ ყოფა – ცხოვრებაში შემორჩენილი როგორც ზეპირი გადმოცემების, ასევე სარიტუალო წეს-ჩვეულებების როლი.

ხის თაყვანისცემაზე მიგვანიშნებენ საქართველოში არსებული ტოპონიმებიც, მაგალითად: **მუხნარი**, **მუხათწყარო**, **რკონი**, თვით **„წყნეთი“** კოლხური **„ჭყონის“** ქართულ შესატყვისად ითვლება. **კოჯორი** ანუ **რკო-ჯვარი** და სხვ (სირაძე, 1987: 111).

საქართველოში ხის თაყვანისცემის ამსახველი ცნობები მრავლად მოიპოვება ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“–ს ტექსტის მიხედვით, წარმართი ქართველები სხვადასხვა ჯიშის ხეებს აღმერთებდნენ: „და იტყოდეს დამბადებლად ქვათა და ძელთა, და სპილენძსა და რკინასა და რვალსა, გამობერვით განჭედილსა, ღმრთად თავყუანის–სცემდეს. ესენი იცოდეს ცისა და ქუეყანისა შემოქმედად“ („მოქცევაჲ ქართლისაჲ“, 1964: 120). წარმოდგენილი ციტატის მიხედვით, ადამიანის მიერ არჩეულ საგნებიდან ერთ–ერთს ძელი წარმოადგენდა.



ვ. ბარდაველიძე აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ჯვარ–ხატების შესწავლისას, იზიარებს ნ. მარის აზრს, რომლის მიხედვითაც „ძელი“ იგივეა, რაც მთიელთა ჯვარი, ხოლო ხატი კი–ხე და რომ ჯვარი და ხატი ჩვეულებრივი ძელი ანუ ხე კი არ იყო, არამედ სათაყვანებელი ობიექტი, რომელიც იყო დაკავშირებული ასტრალურ მსოფლმხედველობასთან.

ვ. ბარდაველიძის თანახმად, საქართველოში ხის სხვადასხვა სახეობის თაყვანისცემა საფუძველს იღებს ტომობრივი ცხოვრების დროიდან, როდესაც ხეები წარმოადგენდნენ ტომის ტოტემურ მცენარეებს, ისინი შემდგომ სათაყვანებელ არსებებად იქნენ მიჩნეულნი, ამას გარდა, იყო რწმენა ხის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ხეები მოიაზრებოდნენ

ადამიანის მსგავს ცოცხალ არსებებად (ბარდაველიძე, 1974: 10).

მეცნიერებაში არაერთი ნაშრომი და კვლევა არსებობს ხეთა თაყვანისცემისა და მისი დანიშნულების შესახებ. ოდითგანვე საქართველოში სალოცავებისა და ხატების გარშემო, მრავლად არსებობდა საკრალური ტყეები, რომლებიც წმიდა და შეუვალი იყო. ისინი ტაძრებისა და ღვთის კუთვნილებად ითვლებოდა. სამლოცველოს გარშემო ხის დარგვას ისეთივე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, როგორც მისთვის შენირული ცხოველის დაკვლას. ცნობილია, რომ საქართველოს სხვადასხვა მხარეში წმიდა ხეებად ითვლებოდნენ მუხა, იფანი, ცაცხვი, ტირიფი, ვაზი და სხვა.

აჭარაში არსებოდა ეკლესია-მონასტრების ტყეები. დღესაცა შემორჩენილი ტოპონიმები: **ხატიტყე, ხატიმამული, ბეთლემის ტყე** და სხვა (ჭიჭინაძე, 1913: 120-121). გადმოცემებით, ეკლესია-მონასტრების საკუთრებაში მყოფი არათუ ხის მოჭრა, არამედ ნადირის მოკვლაც კი იკრძალებოდა(მიქელაძე, ჩელებაძე, 2015:2).

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით, საქართველოში მარადმწვანე ურთხელის კულტის არსებობაც დასტურდება. ამ ხეს საქართველოს სხვადასხვა მხარეში სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ. **რაჭაში, ლეჩხუმ – იმერეთსა და გურიაში მას ურთხელა ეწოდება, აჭარაში – მადა, ქართლში – ურთხელი, სამეგრელოში – ურთხელი, ფშავში უთხოვარი** (ხაზარაძე, ცაგარეიშვილი, 1988: 171).

ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვითაც, აჭარის ფოლკლორში საკრალურ მცენარეებად მოიაზრება: **ურთხელი, მადა, ვაზი//ყურძენი, თხილი, მსხალი** და სხვა.

ხეთა თაყვანისცემა და მასთან დაკავშირებული უძველესი რწმენა-წარმოდგენები შენარჩუნებული იყო **აჭარაშიც**. 1950-1960-იან წლებში ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ზედა ჩხუტუნეთში, კახიძეების საკარმიდამო ნაკვეთში საკრალური **ურთხელის** ასწლოვანი ხე იდგა. წმინდა ხესთან მოხუცები, დედაკაცები, ბავშვები იკრიბებოდნენ. იქ მისულებს ხან რა მიჰქონდათ და ხან რა. განსაკუთრებით ტკბილეული. ხესთან მისულნი შემონახულ წინაპრისეულ წეს-ჩვეულებებს ყოველთვის ასრულებდნენ. ამ ხის კუნძად ქცევის მერეც კი არ დაუკარგავს თავისი ფუნქცია. უხუცესთა ნაწილი დღე-

საც იხსენებს: „მაჭახლის ხეობის გამუსლიმანების შემდეგ უხუცესები ამ ხის ძირში წმინდა ქრისტიანულ წესებს ალასრულებდნენ. წმინდა ხის დარჩენილ ნაწილთან ქრისტიანულად ლოცულობდნენ(ნ. კახიძე, 85 წ. დაბ. სოფ ჩხუტუნეთში, მცხ ქ. ბათუმში. ჩავინერე 2015 წლის 25 ივლისს). შელოცვის ტექსტი დღემდე უცნობია.

ზოგადქართულ სიტყვიერებაში ამ ხის როლი განუსაზღვრელია. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ფოლკლორში მის ეტიმოლოგიას სხვაგვარად ხსნიან. **ფშაური** ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, „**უთხოვარი**“ იშვიათი ჯიშის ხეა ითვლება. ამ ხის სახელის ახსნა, ხალხური მასალების მიხედვით, მომდინარეობს მისი სიძვირიდან, და რადგანაც ეს ძვირად ღირებული ხე გახლდათ, ამიტომაც იგი არ „ითხოვებოდა“. სხვა გადმოცემის მიხედვით, რადგანაც ეს ხე ძალიან ძვირი იყო და იოლად არ იშოვებოდა, ამიტომ თამარ მეფე ამ ხის ჯიშს არავის აძლევდა და ამიტომ დაერქვა მას **უთხოვარი** (ხაზარაძე, ცაგარეიშვილი, 1988: 171).

სამეგრელოში ურთხელის ხის თაყვანისცემასთან იყო დაკავშირებული დღესასწაული „**ურთხოვა**“, რომელიც გაზაფხულზე ტარდებოდა. ამ დღესასწაულისთვის მოსახლეობას წინასწარ ჰქონდა შერჩეული ათასწლოვანი მაღალი ურთხელი, რომელთანაც შესანიშნავებით მიდიოდა და ლოცულობდა. ამგვარი ლოცვა – ვედრების ტექსტი ასეთია: „ღმერთო ძლიერო, წმინდაო ხეო, ძალის მომცემო, შენ მიეცი ჩვენს ხალხს გამარჯვება, გამრავლება, აგვისრულე ჩვენი ლოცვა-ვედრება, გვიმრავლე საქონელი, უხვი მოსავალი, მოგვეცი ამ დღეს ბედნიერება და ნუ დაგვიწუნებ ჩვენს შესანიშნავს.

ურთხელის ხესთან მისვლისას ოჯახი შემდეგ რიტუალს ასრულებდა: „ოჯახის უფროსი მამაკაცი ხეს ძღვენით მიუახლოვდებოდა, მას ხის ძირში დადებდა და მონინებით ხეს ბედნიერებასა და ჯანმრთელობას შესთხოვდა, შემდეგ პატარა ტოტს მოსტეხდა, ხელში დაიჭერდა, ხეს სამჯერ ლოცვით გარშემო შემოუვლიდა და ურთხელის ტოტს ოჯახის ყველა წევრს სამ – სამჯერ შემოჰკრავდა; თან ხეს ევედრებოდა ავი თვალისაგან ოჯახის დაცვას“ (იქვე: 172).

შუახვეის რაიონის მოსახლეობის ცნობიერებაში ურთხელის ხე „წმინდა ხეთა“ ჯგუფში მოიაზრება. ურთხელის//მადის, ყურძნის ან თხილის ნორჩი რტოებისგან ახალ-

შობილის აკვნის შესამკობელ ნივთებს ამზადებდნენ. მას აკვანის სახელურზე ამაგრებდნენ(ახალშობილის თავის მხარეს). ის ახალშობილს ავი თვალისა და ეშმაკეულისაგან იცავდა.

ურთხელი, კერძოდ კი, მისი ტოტი, საახალწლო დღე-სასწაულებშიც ფიგურირებდა. **სამეგრელოში** არსებული რწმენის მიხედვით, თუ ურთხელის ტოტს სახლის კარზე დამაგრებდნენ, ის ოჯახს ბარაქასა და ბედნიერებას მოუტანდა. ასევე, მთიან სამეგრელოში ურთხელის ხეს შვილების გამრავლება – გამარჯვებას შესთხოვდნენ. ამ რიტუალის მთავარი შემსრულებელი ქალი იყო. მისი შესრულებისთვის წინასწარ გამოაცხობდნენ კვერებს, რომლებსაც თან ურთხელის წიწვები ჰქონდათ გარეული. ამ კვერებით მივიდოდნენ ურთხელთან, მის ძირში დადებდნენ ხის კუთვნილ კვერს და დაილოცებოდნენ: „ხეო ძლიერო, ჩემო წმინდა ხეო, შენთან მოვედი, რომ შეგთხოვო ჩემი შვილების ბედნიერება და ჯანმრთელობა“ ((ხაზარაძე, ცაგარეიშვილი, 1988: 172).

ზემო აჭარის, კერძოდ ჭვანის ხეობის მოსახლეობის წარმოდგენა ხის ფუნქცია-დანიშნულებაზე უფროა დამოკიდებული, ვიდრე რწმენა-წარმოდგენებზე. მათი განმარტებით, „ურთხელი ყველაზე გამძლე ხეა, მისგან წისქვილის ბორბალს, წყლის ღარას, ავაზანს, თოხის, ცულის სახელურებს(ტარებს) ამზადებენ. მადის ხე ძალიან ნელა იზრდება. თანაც მისი დამუშავება ძნელია, ამიტომაც მადის შემად მოჭრა და გამოყენება –ცოდვაა“(მთქ. თ. ქარცივაძე, 84 წლის. დაბ. სოფ. ჭალაში და მცხ.სოფელ ზემოხევში, ჩავ. 2015 წ. ნ. ქარცივაძე, 76 წ. დაბ. და მცხ. სოფელ ზემოხევში, ჩავ 2015 წ.).

ამრიგად, ნაშრომში წარმოდგენილია ქართველი ხალხის როგორც წინაქრისტიანული რწმენის სააზროვნო ელემენტები, ასევე, ამ ელემენტების ქრისტიანობასთან შერწყმის შედეგად მიღებული და დღევანდელ ხალხურ ყოფაში დამკვიდრებული წეს-ჩვეულებები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბარდაველიძე 1974:** ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ტ. I, „ფშავი“, თბ., 1974.
2. **მიქელაძე, ჩელებაძე 2015:** მიქელაძე ნ., ჩელებაძე ნ., „ტოპონიმ „ბეთლემის“ გენეზისი აჭარის ფოლკლორში“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ჩვენი სულიერების ბალავარი, VII. 2015.
3. **მოქცევაი ქართლისა 1964:** „მოქცევაი ქართლისაი“, „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, წ. I, (V – Xსს), ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1964.
4. **სირაძე 1987:** სირაძე რ., ქართული აგიოგრაფია, თბ., 1987.
5. **ჭიჭინაძე 1913:** ჭიჭინაძე ზაქარია, „მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“, ტფილისი
6. **ხაზარაძე, ცაგარეიშვილი 1988:** ხაზარაძე ნ., ცაგარეიშვილი თ., ხეთურ-ქართული მითოლოგიური პარალელები (ეია – ურთხელი), მნათობი, 1988, №2..

Naile Mikeladze

Cult of Tree in Adjarian Folklore

Summary

It is impossible to reveal and study the still existing Pagan relict in Georgian folklore without analyzing the faith and belief characterizing the folk lifestyle. Therefore we try to discuss the peculiar motives for the Pagan system of public thinking in integration with the Christian rules and habits.

In Adjarian folklore the following plants were thought to be sacral: yew//conifer, vine//grapes, nut, pear, etc. While researching the issue for the distinct comparison we have used mainly the ethno-

folklore data being popular in scientific circles and describing the religious faith of Georgian highland (especially Western Georgian), which are still usable in various rituals and lifestyle of everyday life.

This form of the ancient belief in Ajara had been preserved until 1950-1960s within the inhabitants of village Zeda Chkhutuneti of Khelvachauri Region. In the Kakhidzes estate at the sacral conifer tree the old people did the rituals of their ancestors.

Thus the work represents both, the thinking details of pre-Christian belief of the Georgian people, and the existing rituals of public lifestyle, which are got by interflowing of these elements with Cristianity.

Марине Арошидзе

РОЛЬ ЯЗЫКОВОГО ФАКТОРА В ФОРМИРОВАНИИ НАЦИОНАЛЬНОЙ ИДЕНТИЧНОСТИ

Язык, Отечество, Вероисповедание.

Илья Чавчавадзе

Великий грузинский писатель и общественный деятель, Илья Чавчавадзе, в очень лаконичной форме выразил три важнейших фактора («три кита») национальной самоидентификации: это национальный язык, отражающий неповторимую самобытность культуры данного этноса, чувство родины (Отчизна, государственность) и вероисповедание. Именно эти факторы становятся знаками национальной идентификации, отличительными маркерами «своих», отделяющих их от «чужих».

В ходе исторического развития человеческого сообщества явно прослеживается тесная взаимосвязь языковых и социокультурных процессов: язык отражает все, что происходило с его носителями на протяжении многовековой истории человечества, накапливает закрепленные в языковых маркерах культурные концепты, формирует идеологию и сознание, передает накопленные знания от поколения к поколению. Язык всегда чутко реагирует на любые изменения, происходящие в обществе, но темпы неологизации и архаизации, интенсивность этих процессов особенно возрастает в периоды социальных бурь и потрясений, когда приобретенный этносом новый физический и культурный опыт меняет концептуальную систему, отображенную в виде языковой картины мира. Особенно остро запечатлеваются в памяти травмы: чем страшнее и масштабнее событие, тем тяжелее травматический опыт, влияющий на судьбу потомков. Человечество пережило много кровавых событий, в его истории сменилась не одна социальная парадигма, но двадцатый век оказался наиболее насыщенным социальными потрясениями: первая мировая война, вторая мировая война с многочисленными лагерями смерти, Холокост, Хиросима и Нагасаки, война во Вьетнаме, многочисленные террористические акты второй половины двадцатого века, техногенные ката-

строфы. Не менее страшным был процесс становления социализма: революция 1917 года, гражданская война, раскулачивание, насильственная коллективизация, Голодомор, репрессии, насильственная депортация народов, Великая Отечественная война, длительная экономическая разруха и нищета, архипелаг Гулаг, межнациональные проблемы периода перестройки и все тот же мировой терроризм и техногенные катаклизмы.

Именно поэтому рубеж века двадцатого с веком двадцать первым обострил проблемы осознания своего прошлого, усугубил травматический шок от многочисленных перекраиваний национальных территорий и государственных образований, актуализировал интердисциплинарные исследования механизмов коллективной памяти и национальной идентичности. Процесс социализации человека – это, прежде всего, процесс овладения культурной коллективной памятью, овладение тем символическим культурным кодом, который позволяет говорить о национально-культурной идентичности.

Проблемы национальной идентичности и связи данного явления с языком активно исследуются в современной научной парадигме. Понятия нации и этноса рассматриваются Э. Балибаром, И. Валлерстайном, Ю.С. Семеновым, П. Сорокиным, В.Ю. Сухачевым; понимание идентичности, в том числе национальной и этнической идентичности, описывается Ф. Бартом, П. Бергером, Ю.В. Бромлеем; роль языка в формировании этнической принадлежности исследуются Э. Балибаром, Д. Джозефом, В.В. Колесниковым, Ю.Г. Кругловым, М. Сильверстейном, М. Уолцером, Э. Хобсбаумом. Проблемы национальных стереотипов исследуются В. Липпманом, Н.Г. Брагиной, Т.Е. Васильевым, Т.А. ван Дейком, Л.П. Крысиным и др.

Своеобразное видение окружающего мира, национальный менталитет, социальный опыт – все это отражается в языковой картине мира данного этноса, которая имеет двойственный характер: с одной стороны, национальная картина мира традиционна и сохраняет привычные элементы, с другой стороны, картина мира постоянно обновляется, отражая изменения, просиходящие в социуме. Любые катаклизмы, природные или социальные, меняют привычный уклад жизни и оставляют неизгладимый след в памяти современников, которые передают

эти воспоминания своим потомкам. Все вышесказанное свидетельствует о необходимости исследования динамики основополагающих концептов, формирующих когнитивную базу данной лингвокультурной общности, в том числе и топонимы, урбаноиды (агоронимы, годонимы, хоронимы), и конечно же, этнонимы и наименования национальных праздников.

А.В.Суперанская в своей монографии «Общая теория имени собственного» отмечает, что «ономастическое пространство состоит из множества онимических полей, которые отражают существующую у данного народа модель мира в конкретное время», но так как языковая картина мира обусловлена историей, культурой, жизненным опытом данного этноса, то в ономастическом пространстве в той или иной степени всегда отражаются элементы прежних эпох (Суперанская 1973:37).

По мнению В.Б.Касевича, картина мира, закодированная средствами языковой семантики, со временем оказывается в той или иной степени пережиточной, реликтовой, лишь традиционно воспроизводящей былые оппозиции в силу естественной недоступности иного языкового инструментария; с помощью последнего создаются новые смыслы, для которых старые служат своего рода строительным материалом. Иначе говоря, возникают расхождения между архаической и семантической системой языка и той актуальной ментальной моделью, которая действительна для данного языкового коллектива и проявляется в порождаемых им текстах, а также в закономерностях его поведения (Касевич 2000:71).

Вслед за В.Б.Касевичем мы считаем, что в каждый судьбоносный для этноса период (войны, захват территорий, социальные революции, научно-технические революции, природные катаклизмы и пр.) происходят изменения в языковом воплощении картины мира, ее обновление, причем в разных общественно-политических условиях этот процесс протекает по-разному. Более того, исследования динамики грузинской концептуальной системы позволяют утверждать, что помимо объективных обстоятельств, вызывающих обновление отдельных подсистем национальной языковой картины мира, иногда наблюдается искусственное ускорение данного процесса, то есть имеет место

сознательное манипулирование коллективной культурной памятью, выработка соответствующей языковой политики.

«Многослойный пирог» грузинской национальной культуры впитал в себя и этническую культуру этого древнего народа, и общечеловеческие культурные ценности, так или иначе, в большей или меньшей степени, в ней отражены и культурные концепты завоевателей (персы, арабы, турки-османы, монголы и пр.), и культурные концепты, сформированные в период тесных русско-грузинских взаимоотношений. Аджария является одним из уникальнейших уголков Грузии, именно отсюда в Грузии началось распространение христианства благодаря деятельности святых апостолов. Представленная большим количеством субэтносов в отдельных царствах и княжествах (фактор Отчизны) грузинская нация сумела сохранить национальное единство во многом благодаря единой православной церкви (фактор веры). В процессе функционирования известная формула национальной идентичности, принадлежащая И.Чавчавадзе, выступала в двух вариантах:

Язык. Отечество. Вероисповедание.

Отечество. Язык. Вероисповедание.

В разные периоды кровопролитной истории Грузии на первое место в системе указанных ценностей выступал то фактор языка, то фактор Отчизны. В конце XVI – начале XVII вв. в Аджарии, находящейся под игом Османской империи, повсеместно насаждается ислам, в страшных мучениях гибнут самоотверженные христиане. Став частью Османской империи, жители Аджарии утратили вероисповедание своих предков, изменилась государственность, поэтому обострилось трепетное отношение к родному языку. Не удивительно, что в аджарском диалекте грузинского языка в период османского владычества были законсервированы и поэтому сохранились языковые нюансы, утраченные грузинским литературным языком.

Интересно проследить динамику языковых маркеров, отражающих смену общественно-политической парадигмы, к ним относится:

1) смена топонимов (городские палимпсесты, в которых годонимы – наименования улиц – отражают «культурно-социальные слои»):

Улица Скобелева – ул. Вацлава Воровского – ул. Благоевградская – ул. Ираклия Абашидзе – ул. Б.Имнадзе; Улица Морская – Интернациональная – Коминтерна – Сталина – М. Абашидзе; Улица Бебутова – Греческая – Зиновьева – Тельмана – Царя Парнаваза;

2) видоизменения и трансформация этнонимов:

картвели, грузины, ачарели, грузины-мусульмане, гурджи.

До Русско-турецкой войны 1877-1878 годов наш регион именовался в русских источниках «Турецкой Грузией», в отличие от «Русской Грузии», которая начиналась за Кобулетиот поста Св. Николая, расположенного на границе современной Гурии и Аджарии. Местные жители описывались как «воинствующие грузины-мусульманы».

Турки-османы называли Грузию – Гурджистаном, а жители Грузии были для них – *гурджи*. Наш регион, ставший в составе Османской империи отдельным вилайетом, получил название – *Аджаристан*, носителей по-прежнему именовали – *гурджи*. В настоящее время в составе Турции находятся исторические грузинские земли, коренные жители которых были в свое время отуречены, получили турецкие имена и фамилии, также как и потомки мухаджиров, переселившихся в Турцию по профессиональному признаку, все они и сегодня называются *гурджи*, и сами себя именуют – *гурджи*, но с уточнением – *гурджи цармошобит* (что означает – грузин по происхождению).

Сами жители Аджарии воспринимали себя *грузинами* (т.е. *картвели*), но чаще употреблялся термин, обозначающий субэтнос – *ачарели* (наряду с наименованиями соседних субэтносов: *гурули, имерели, кахели* и пр., очень четкую фиксацию которых мы находим в грузинском фольклоре, в том числе и в таком популярном виде современного городского фольклора, как анекдот). После разгрома Османской империи в Русско-турецкой войне 1877-1878 гг. мусульманская Аджария воссоединилась с христианской Грузией и на первый план выступил

фактор веры, произошло расширение значения этнонима *аджарец* и он стал обозначать «коренного жителя Аджарии – мусульманина» (при том, что коренные жители Аджарии – христиане не идентифицируют себя как аджарцы). Термин турецкого происхождения Аджаристан оказался столь употребительным, что после присоединения Аджарии к Грузии, и даже позже, после советизации Грузии, наш регион все еще назывался – *Аджаристан*, точнее *Советский Аджаристан*. В Российском государственном архиве Военно-морского флота даже сохранились сведения о каонерской лодке Черноморского флота «Красный Аджаристан» – 1922-1930 годы (РГАВМФ фонд Р-379).

Грузинские писатели и поэты, известные общественные деятели проводили разъяснительную работу среди местного населения, чтобы термин *аджарец* не был протипоставлен этнониму *грузин*, несмотря на это после советизации региона была попытка зафиксировать национальную принадлежность всех местных жителей с помощью этого термина (по свидетельствам респондентов, которые хранят старые дедовские документы, даже выдавались паспорта, в которых в графе национальность было вписано – *аджарец*). Но идейно-просветительская деятельность дала свои плоды, и в итоге, этническая принадлежность населения нашего региона была определена как *грузины*. Попытка расширения термина не удалась, и в настоящее время данный термин вновь подвергается частичной трансформации: дело в том, что в 80-ые годы двадцатого столетия грузинский народ вновь «нашел дорогу к храму» после долгой полосы безверия. Так называемая вторая христианизация Аджарии приобрела большой размах не только на волне национально-освободительного движения, не только в результате активной деятельности грузинской православной церкви, но и благодаря тому, что в народе все еще сильна была коммуникативная память об истинной вере предков. Она передавалась от поколения в поколение и даже в условиях господства Османской империи находила свое выражение в традициях местного населения (женщины ставили крест при выпечке кукурузных лепешек *мчади*, вязали изделия из шерсти, в которых всегда создавался крест и пр.). Поэтому сегодня у нас

очень много христиан, но они продолжают считать себя аджарцами (сужение термина – показатель коренного жителя), хотя православные коренные жители нашего края по-прежнему не идентифицируют себя с аджарцами.

Очень интересным индикатором изменения общественно-политической парадигмы являются наименования народных праздников, которые играют важную роль в формировании национальной идентичности, которая тесно взаимосвязана с коллективной культурной памятью. По мнению Яна Ассманна, интердисциплинарные исследования культурной памяти очень важны, ибо:

- коллективная память формирует символический универсум, очерчивающий границы общности;

- эти знаки становятся знаками идентификации, отличительными маркерами «своих» (Ассманн 2004: 57).

Будучи тесно взаимосвязанными проблемы этнической идентификации и культурной памяти имеют универсальные средства выражения – языковые маркеры, динамика изменений которых отражает судьбоносные для данного этноса периоды жизни. В периоды особой социальной активности язык функционирует как связующее звено, объединяющее нацию.

Использованная литература:

1. Ассман Я. Культурная память. Москва, Издательство «Языки славянской культуры», 2004;
2. Касевич В.Б. Язык, этнос и самосознание // Язык и речевая деятельность. Т. 2. СПб.: Изд-во СПбГУ, 2000;
3. Российский государственный архив Военно-морского флота. РГАВМФ фонд Р-379;
4. Супранская А.В. Общая теория имени собственного. Москва, Издательство «Наука», 1973.

**ლაზური ხალხური სამოჯახო-საყოფაცხოვრებო
პოეზია**

საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერებით მდიდარია მსოფლიოს ყველა ხალხის ფოლკლორული შემოქმედება. ზეპირსიტყვიერების ამ უძველეს ჟანრს სოციალური ფუნქცია ენიჭება და რეალისტურად, თუმცა, ხშირად იუმორის მოშველიებით, წარმოაჩენს საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპს, სრულყოფილად ხატავს ეთნოსის იერსახეს.

საყოფაცხოვრებო თემატიკის ლექს-სიმღერები ქართული ხალხური პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო უბანია, რომელშიც ასახვა ჰპოვა ოჯახურმა ურთიერთობებმა; ოჯახის ცალკეულ წევრთა დამოკიდებულებამ ერთმანეთისადმი თუ ტრადიციული ეროვნული წეს-ჩვეულებებისადმი; ადამიანთა ეთიკურ-ესთეტიკურმა ღირებულებებმა; მხარეთა, სოფელთა თუ სოფლის ცალკეულ უბანთა დახასიათებამ და სოციუმში არსებულმა სხვადასხვა პრობლემებმა.

ლაზურმა ზეპირსიტყვიერებამაც, სხვა ქართული რეგიონების მსგავსად, შემოგვინახა საყოფაცხოვრებო პოეზიის საინტერესო ნაკადი; მათი ნაწილი ტრადიციული ზოგადქართული საყოფაცხოვრებო ლირიკის ვარიანტებია, ნაწილი კი უშუალოდ ლაზურ ლოკალშია შექმნილი და სრულყოფილად წარმოაჩენს ლაზთა ხასიათს, მათ ზნე-ჩვეულებებს, ტრადიციულ ჯანსაღ იუმორს.

როგორც ყველგან საქართველოში, ისე სოფელ სარფში, რომელიც დღეისათვის დიდი ისტორიული ლაზეთის ტოლფას ლოკალად აღიქმება, ოჯახი და ოჯახური ურთიერთობანი ერთ-ერთი უმთავრესი თემაა. ლაზისათვის სანიმუშოა ისეთი ოჯახი, სადაც ყველა წევრს თავისი ვალდებულებები გააჩნია და სადაც იდეალური ჰარმონია სუფევს.

ამის დასტურია თურქეთის რესპუბლიკის შემადგენ-
ლობაში მყოფ სოფელ სარფში 2015 წელს ც. ნარაკიდის მიერ
ფატმა სადიკის ასულ სევდაოღლი-ჩაქირისაგან ჩანერილი
საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერა:

ლაზურიქართული:

ქიმოლიქ მუმეს,ქმარს მოაქვს,
ოხორჯაქ იქიფს,ცოლი აკეთებს;

ვა მულუნა,თუ არ მოიტანა,

მუთუ ვა იქიფს.არაფერს გააკეთებს.

იმავე მთქმელისაგან დაფიქსირებულ საყოფაცხოვრე-
ბო ლექს-სიმღერაში იუმორისტული ელფერით ახასიათებენ
ადრესატის ოჯახს; ამავე დროს, მისამღერად გამოყენებუ-
ლია ტრადიციული ლაზური რეფრენი – „ჰანანი, ნანი, ნანი“:

ჰანანი, ნანი, ნანი // ჰანანი, ნანი, ნანი,

ილმიში უმიანი // ილმის უმიან,

ქდოსე დენ ბაბასქანი // ქოსა არის მამაშენი,

სულთანი ნანასქანი // დედოფალი – დედაშენი,

ჯევდეთი – სიჯა სქანი // ჯევდეთი – შენი სიძე.

ჰანანი, ნანი, ნანი!.. // ჰანანი, ნანი, ნანი!..

საერთოდ კი ლაზებისათვის, ისევე როგორც საქართვე-
ლოს ყველა კუთხის მკვიდრთათვის, სანიმუშოა შეხმატკბი-
ლებული ოჯახი,რომლის იდეალური სურათია დახატული
გამოღმა სარფის მკვიდრის ავტორ – მთქმელ იაშა ბაქარა-
დის მშვენიერ ლექსში „...პაპულიქ მტკეციყაზეფს...“ – „...პაპა
წნელს თლის...“:

პაპულიქ მტკეცი ყაზეფს // პაპა წნელს თლის

კალათის ოშუშენი // კალათის მოსაქსოვად;

ნანდიდიქ ლუყუ კანკუფს // ბებია ფხალს აკეთებს

ქორბაში ოძლუშენი // მუცლის გასაძლომად;

ბაბაქ დიშკა ჩითერენ // მამას შეშა დაუჭრია

კირაში ოგ ზუშენი // კერიის დასანთებად;

ნანაქ კიცი ნოდვერენ // დედას კეცი მიუდგამს

მჭკიდიში ოჭუშენი // მჭადის შესანვაავად;

ბერექ ონწელის გეჯანს // ბავშვი საწოლში წევს

ოხელუ ორდუშენი // გასახარი და გასაზრდელი;

მყურაქ იშულუნ დომზე // ამოდის და ჩადის
გაულუნ მთელიში ხელაშენი // ყველას გასახარად.

ოჯახის შექმნა ლაზებისათვის, ზოგადქართული ტრადიციის თანახმად, უარესად დიდი საპასუხისმგებლო საქმეა. ადამიანის ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანესი მომენტისათვის განსაკუთრებულად ემზადება ვაჟი, რომელიც ოჯახის მამა უნდა გახდეს. სწორედ ამ მოქალაქეობრივი მოვალეობის ღირსეულად შესრულებას ქადაგებს სარფული დიალოგური ლექსი „...ოი, ნანა...“ („...ოი, დედა...“), რომელიც ც. ნარაკიძემ ჩაინერა სოფელ სარფში აიშე რეჟების ასულ ნარაკიძისაგან 1977 წელს. ლექსის თანახმად, შვილი სთხოვს დედას, დააოჯახოს, დედა კი შეახსენებს, რომ დაოჯახება დიდი პასუხისმგებლობაა, უნდა შეიძლოს ოჯახის რჩენა:

- ოი ნანა, ჩქიმი ნანა// ოი დედა, ჩემო დედა,
მუ იყვენ დომიჩილანა! // დამასახლე, რა იქნება!
- გოჩილაფ, სქირი ჩქიმი, // დაგასახლებ, შვილო ჩემო,
გასქედინენი ვანა. // თუკი შეძლებ ცოლის რჩენას.
- თექშენ დომოჩილატი, // ნეტავ დამაქორწილებდე,
დოოსქედინაფ, ნანა! // შევძლებ,დედა, ცოლის რჩენას!

ბოლო სიტყვები, რომლებიც აფორიზმის სახით არის წარმოდგენილი და მშვენივრად წარმოაჩენს საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე ამ უძველესი ქართველური ტომის ბრძნადმეტყველებას, ეკუთვნის დედას:

- ოჩილუს ფარა უნონ // ცოლის თხოვნას ფული უნდა,
ოჭკუმოს მქვალა უნონ, // ჭამას – საკვების მარაგი.
- კამა გოლაკიდეი // ჩამოკიდებულ ხმალს კიდევ
კირმა ქემერი უნონ. // სჭირდება ვერცხლის ქამარი.

ოჯახურ ტრადიციულ იერარქიას ჩვენი წინაპრები ყოველთვის განსაკუთრებულად სათუთად ეპყრობოდნენ, რაც ძველი პატრიარქალური ოჯახების ძირითადი საყრდენი იყო და, ბუნებრივია, ზნეობრივ სათნოებათა მასულდგმულებელიც. სარფულ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილია ამგვარი სულისკვეთების საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერა, რომელიც დიალოგური ხასიათისაადა წარმოაჩენს ოჯახში უმ-

ცროს-უფროსობის, მამისეული პრიმატის ტრადიციას (მთქმელი ნაიმე კედირის ასული ნარაკიძე – მემიშიში, მცხოვრები სოფელ სარფში. ჩაინერა ციალა ნარაკაიძემ 1977 წელს):

- მა მეულუ ხოფაშა, // – დედ-მამისაგან მალულად ნანა ბაბას მტკობაშა. // მე ხოფაში მივდივარ.
- მტკობაშა იგზალაში, // – თუკი მალულად ნახვალ, ვა მოგალენ ოხოიშა. // სახლში ვერ დაბრუნდები.
- ეშო კაი მოულუ, // – ვიდრე დედა მეყოლება. ნანა მიყოუნტაშა! // მშვენივრად დავბრუნდები!
- ნანა სქანის მიქ უჯერს, //- დედაშენს ვინლა უჯერებს, ბაბა უმჩანეე ტაშა! // სანამ უფროსია მამა!

ჩვენი ხალხის საოჯახო-საყოფაცხოვრებო ფოლკლორული შემოქმედებისათვის უმთავრესია ოჯახში მომავალი თაობის აღზრდა; ამდენად, დედობა უზენაესი მოვალეობაა, რომელიც ქალს ეკისრება ოჯახში. ლაზური ხალხური ლექსის „...ონწელი დოგიდგიფ...“ („...აკვანს დაგიდგამ...“) ლირიკული გმირი მომავალ დედას პირდებალამაზ აკვანს, მაგრამ თან უიმედობასაც გამოთქვამს, რადგანაც, ხალხური სიბრძნის თანახმად, დედობასაც თავისი გამოცდილება სჭირდება:

ონწელი დოგიდგიფ // წითლად და ყვითლად შელებილს
საი-მჭითა ლაფეი, // აკვანს დაგიდგამ ნარჩევს,
სი ბერე გარდეტუი, // მაგრამ ბავშვს როგორ გამოზრდი,
უბეეს გეგაფერი. // უშვილობას ხარ ნაჩვევი.

(მთქმელი აიშე ნარაკიძე, მცხოვრები სოფ. სარფში. ჩინერა ც. ნარაკიძემ 1977 წელს სოფ. სარფში).გამოღმა სარფში მცხოვრები ავტორ-მთქმელის იაშა ბაქარაძისაგან ლილე თანდილაგას მიერ 2014 წელს ჩანერილი ლექსი „...შუიმშინე...“ („...გენაცვალე...“) დედისადმი შვილის მიერ გაცხადებული უსაზღვრო სიყვარულია:

შუიმშინე, სქანდერ ფშიგნი, // გენაცვალე, შენგან გავი-
ბე,

სინ გათქვეტუ ჩქიმი ნანა. // შენ იტყოდი ჩემს ასაკს.
სქანი ჭვინი მანთი მაჭუნს, // შენი ტკივილი მეც მენვის,
სინ გოგობა, ჩქიმი ნანა! // შემოგვევლე, ჩემო დედა!
მან ვირდე დო სი იხჩინე, // მე ვიზრდები და შენ ბერდე-
ბი,

მუ იყვასენ, ჩქიმი ნანა!.. // რა იქნება, ჩემო დედავ!..
ომრი მოხთას, სინ მინდულუ, // დრო გავა და შენ კი წახ-
ვალ,

უსქანელი მუ პა, ნანა! // უშენოდ მე რა ვქნა, დედავ!

ლაზური ხალხური საყოფაცხოვრებო პოეზიის თანახ-
მად, დედაზე არანაკლები მოვალეობა შვილის მიმართ ეკის-
რება მამას. სახალხო მთქმელი, რომელიც მთელი ხალხის
გულისთქმას გამოხატავს, არცხვენს ვაჟს, რომელსაც ვერ
გაუთავისებია თავისი მოვალეობა, ვერშეუგვნია, რომ
ზრდასრულია, უკვე „მამას“ და „ბიძას“ ეძახიან, რაც გარ-
კვეულ პასუხისმგებლობასა და მოვალეობას აკისრებს. ლექ-
სში „... ბეე ვოე...“ („...ბავშვი ვარო...“) სწორედ ამგავრი უპა-
სუხისმგებლომამაკაცია გაკიცხული (მთქმელი აიშე რეჯე-
ბის ასული ნარაკიძე, მცხ. სოფ. სარფში, ჩაიწერა ც. ნარაკი-
ძემ 1977 წელს)

ბეე ვოე, გიჩქინი, // ბავშვი ვარო, გგონია,
გილუნ შარვალი ნდაი, // შარვალი გაქვს ვინრო.
ბეეე ბაბა გიჯოხოფს, // ბავშვი მამას გეძახის,
მანძაგეეფეე – დაი. // მეზობლები – ბიძას.

სარფულ საოჯახო-საყოფიერო პოეზიაში, ზოგადქარ-
თულისა და მსოფლიოს სხვა მრავალი ხალხის ზეპირსიტყვი-
ერების მსგავსადაქტუალურია რძალ-დედამთილის ციკლის
ნიმუშები. ნურიე ბაიმალის ასულ ხორავასაგან 1983 წელს ც.
ნარაკიძის მიერ სოფ. სარფში ჩაწერილერთ-ერთ საყოფაც-
ხოვრებო შაირში, საქართველოს სხვა კუთხეთა ანალოგიუ-
რი თემის შაირთა მსგავსად, დედამთილის სიკვდილია სა-

ნატრელი; თუმცა, პარალელიზმად აქ ლაზური გარემოგამოყენებული:

მზოდას ორთას ქაფშია, // შუა ზღვაშია ქაფშია,
დომილურუ დამთირე. // მომიკვდა დედამთილია.

გაღმა სარფული ერთ-ერთი ლექს-სიმღერის თანახმად (მთქმელი ფატმა სადიკის ასული სევდაოღლი-ჩაქირი), რძალი საყვედურობს დედამთილს და აღქაჯს უწოდებს:

ბაზაის ებჭოფი ლუყუ, // ბაზარში ფხალი ვიყიდე,
ქოგებდვი ია სალანის; // დავდე იგი საინზე;
ჰირ დუნდას ვარ მიძირუნ // ქვეყნად არსად მინახავს
სქანისთერი დამთერე ჯაზი! // შენისთანა აღქაჯი დედამთილი!

ხშირად ეს ნიმუშები გაბაასების ფორმას ატარებს დადიდაქტიკური სენტენციით მთავრდება:

- დაამთეე ჩარბი კეტი, // მაკარონის ჯოხს წააგავს,
მაკაინაში კეტი. // დედამთილი ტურჩებჩხირა.

- დამთეობას მუჭიშაში // – დედამთილობის დროისთვის
ნისათი იყვენ კეტი. // რძალიც ჯოხი ხდება ხშირად.

სარფულ საოჯახო-საყოფიერო პოეზიაში გვხვდება ოჯახის წევრთა დახასიათება. ოსმან იუსუფის ძე გოგიტიძისაგან 1983 წელს ც. ნარაკიძის მიერ სოფელ სარფში ჩანერილი ერთი საყოფაცხოვრებოშაირის თანახმად, და-ძმა უარყოფითი ეპითეტებით, დედ-მამა კიდადებითი, ტრადიციული ეპითეტებით არის შემკული:

და დაძი მენ, // და ეკალია,
ჯუმა-ჯუმოი, // ძმა – ძმარი,
ბაბა დიდი დალია, // მამა – დიდი ტყეა,
ნანა გუიშ ძალია. // დედა – გულის მალამო.

ახალი სიძისადმი ტრადიციული პატივისცემის გამოხატვა ერთ სარფულ საყოფაცხოვრებო შაირში იუმორისტული ელფერით არის გადმოცემული (მთქმელი ხავანა ოსმანის

ასული მემშიში, მცხ. სოფ. სარფში. ჩაინერა ც. ნარაკიძემ 1977 წელს):

სიჯა, მოხთი აღანი, /// სიძევ, მოდი ახალო,

მაქვალ გეგიტალანი!../// კვერცხი რომ ჩაგინალო!..

ლაზური საოჯახო-საყოფაცხოვრებო პოეზიისათვის უცხო როდია ავი დედინაცვლის თემა. გაღმა სარფში (თურქეთის რესპუბლიკა) დაფიქსირებულ ერთ საყოფაცხოვრებო შაირში (მთქმელი ფატმასადიკის ასული სევდაოღლი – ჩაქირი. ჩაინერა ც. ნარაკიძემ 2015 წელს) დედინაცვლისაგან შევიწროვებული გერი ჩივის, რომ დედინაცვალმა ერთი მჭადისათვის თავი გაუტეხა:

ნანაშანტემის დერდი- // დედინაცვლისა დარდი-

უნკაელი მსქიბუ იქთუ; // უწყლოდ წისქვილი დაბრუნ-

და;

არ მჭკიდი ქუალიშენი // ერთი მჭადი-პურისთვის

გემჩუ თი ქაკომიტახუ. // დამარტყა, თავი გამიტეხა.

ქართული ხალხური საყოფაცხოვრებო პოეზიის ერთ-ერთი საინტერესო ციკლია მხარეთა, სოფელთა და სოფლის ცალკეულ უბანთა დამახასიათებელი ლექს-სიმღერები; მათი უმეტესობასატირულ-იმორისტული ხასიათისაა; ამგვარ ნიმუშებში შექებულია ან, უმეტეს შემთხვევებში, დაცინვისა და გამათრახების ობიექტად არის ქცეული ადამიანთა მანკიერი თვისებები, წარმოჩენილია ცალკეულ სოფელთა თავისებურებანი, ზნეობრივი ნორმებიდან გადახვევა, გულუბრყვილობა და, ბუნებრივია, შექებულია დადებითი მომენტები. ლაზურ საყოფაცხოვრებო შაირებშიც, ზოგადქართულის მსგავსად, დახასიათებულნი არიან ცალკეული სოფლისა თუ ქალაქისმცხოვრებნი. ოსმან ჯევაიშისაგან ც. ნარაკიძის მიერ 1982 წელს სარფში ჩანერილი საყოფიერო შაირის თანახმად, ნოღელ გოგონებს ბაყაყისმჭამელებად მოიხსენიებენ:

ნოღედაი ბოზოფე – // ნოღედელი გოგონები -

მთელი ბაყაყი მჭკომე. // ყველანი ბაყაყის მჭამელები.

იმავე მთქმელის რეპერტუარის თანახმად, სარფელებს დასცინიან, რომ დელფინის ცხიმით არიან დატანადებულნი:

- სარფული ტანბალალი // სარფელი ტანბალალები მთელი დეფინას ძალი! // დელფინის ზეთები ყველა!
- მოხვეწაფა ვა მეგჩაფრაც // უნდა მეხვეწო, ერთ დოქსაც არ ბარდალი ძალი! // ვერ მოგცემ ამ ძალს, ვერა!

მავანს სიმღერას უწუნებენ სარფელები და სალექსოდ იმეტებენ. პასუხიც იმავე სტილშია:

- ბიაფა მუჭო ზოპონ, //- სიმღერას როგორ ამბობ, მუჭო ფიმფილი ბოჩი?! // ყოჩის წვერებიანო?
 - ფიმფილის მო ელაჩაფ,- // ჩემს წვერ ნუ შეეხები შენ, დადისქანის გეორჩი! // დავაფინე დეიდაშენს!
- (მთქმელი ჯევაიში ჰევა, მცხოვრები სოფ. სარფში. ჩაინერა და თარგმნა ციალა ნარაკიძემ 1977 წელს).

გაღმა სარფში (თურქეთის რესპუბლიკა) ციალა ნარაკიძის მიერ 2015 წელს 73 წლის ლაზი ქალბატონის – ლუთბიე ასლანის ასული ათანისაგან ჩანერილ ერთ საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერაში შექებულია შრომისმოყვარე სოფელი აზლალა, რომელსაც ბზის სუნი ასდის; ხოფაში კი, რომელიც „ჩამონგრეულია“, მზე შუადღისას ამოდის; დაწუნებულია ხოფელების ტკბილეულობაც:

- აზლალა კაი ქდოდ, // აზლალა კარგი სოფელი,
- ჩიმჩირიში შუა გულუნ, // ბზის სუნი ასდის;
- ხოფა დოლონტრაცე // ისჩამონგრეულ ხოფაში,
- ონდღეის მჟუა ძულუნ, // შუადღისას მზე ამოდის;
- ხოფუდ შექერლემე // ხოფელების შაქარლამა
- პიონთას ვა გულულუნ. // პიონთაში არ გადის.

ლიმანელ გოგონებს, რომლებსაც სამძიმარზე დაგვიანებიათ და წასვლა მეორე დღისათვის გადაუდვიათ, დასცინიან. სოფელ სარფში 1977 წელს ც. ნარაკიძის მიერ აიშე ნარაკიძისაგან ჩანერილ ლექს-სიმღერაში:

ლაზური: ქართული:

ლიმანუი ბოზოფე, //ლიმანელო გოგონებო,
ლიმანიშა ნულუთი, // თქვენ ლიმანში მიდიხართ.
ამსეი დოლუმეჯუ დო//ახლა უკვე დაღამდა და
ჭუმანდელეს ნულუთი, //ხვალ დილაზე მიდიხართ,
ხუსენი ვარ ენდა დო //ხუსენი მომკვდარა და
გონძიქეი გულუთი. //ხელდაკრებით მიდიხართ.

იმავე მთქმელისაგან დაფიქსირებული ერთი საყოფიერო შაირის თანახმად, დასცინიან ცუდ ხელოსანს – რეჯებიანთ ჰემიდს, რომლის გაკეთებული კეცები დაემტვრათ და მჭადები ეზარალათ:

არუფა კეემიდი // არუფა – კრამიტია
რეჯებიში ჰემიდი! //რეჯებიანთ ჰემიდა!
დომიტუხებს კიცეფე, // დაგვემსხვრა კეცები და
ხანუმიში მჭკიდეფე. // ჭადებიც სულ დაგვიტყდა.

ერთ გაღმასარფულ (თურქეთის რესპუბლიკა) საყოფაცხოვრებო შაირში (მთქმელი ლუთბიე ასლანის ასული აითანი. ჩაინერა ც. ნარაკიძემ 2015 წელს დაწუნებულია „ტუჩებჩამოკიდებული“ მწყემსი ვაჟი:

იდი ფუჯი ოჯვინი, // ნადი, ძროხა აძოვე,
ცანცა ელაკიდეი! // აბგაჩამოკიდებულო!
სი კულანი მიქ მექჩაფტუ- // შენ გოგოს ვინ მოგცემდა
ჩარბიგელაკიდეის? // ტუჩებ ჩამოკიდებულს?
ქურდობა, როგორც მანკიერი სოციალური მოვლენა
და, ამავე დროს, ღარიბული ყოფა, იუმორისტულად არის
წარმოჩენილი იმავე მთქმელის რეპერტუარში:

- მხირსუზეფე ქამახტეს, // – ქურდები შემოვიდნენ,
ანი მიწვი, მუ პათ ჩქინ? // ახლა მითხარი, რა ვქნათ?
- ექ მუთუ ქოძირესნა, // – იქ თუ რაიმე ნახეს,
ოკულე გონაულათ. // შემდეგ ჩვენ გამოვართვათ.

ზარმაცი და უქნარა, გართობას გადაყოლილი ადამიანია გაკიცხული გამოღმა სარფში 2014 წელს ავტორ-მთქმელის იაშა ბაქრაძისაგან ლილე თანდილავას მიერ ჩანერილ ლექსში „...კაიშ ქოკუიზდი...“ – „...მოიჭირე ქამარი...“.

უშრომელი ადამიანი სასიძოდაც უვარგისად მიიჩნევა:

კაიში ქოკუიზდი, მოიჭირე ქამაქი,
გელოგოლავს შარვალი! გძვრება შარვალი!
ეფჩი, ბოზო მიქ მექჩაფსბიჭო, გოგოს ვინ მოგცემს,
ხვალა ყაზუფ ყავალი! მხოლოდ სალამურს თლი!
ნუნკუ ტალუნჩა გულუ, პირი დასვრილი გაქვს,
ტანი ლებონი ინჯირ, ტანდაუბანელი წვები;
მუნდეს დოლოგანგონასროცა გაგახსენდება,
ემ ორას ზოი იბირ. მაშინ ხმამალლა მღერი.
ვა რენ ნოსი – ფიკირი, არ გაქვს ჭკუა-გონება,
კითხან, გულუ ქიბირითუ გკითხეს, დადიხარ ამაყად,
მუ ყვაგინონ ოკულერა უნდა ქნა მერე -
გოხტი ხვალა, იბირი! იარე მარტო, იმღერე!

სარფულ საყოფაცხოვრებო ლირიკაში იუმორისტულად არის დახასიათებული სოფლის მცხოვრებთა საქმიანობა:
სალეხიქ თხომუ ორგაფს // სალიხი თხემლასა რგავს,
ადემიქ ნთხიი ნორგაფს. // ადემი მიაღრგავს თხილსა.
შაინოიში ბადიქ // შაინოის ბერიკაცი
ყოფა მგეის ქაფი წკიფს. // ყანაში მგელს ატყავებსა.

სიღარიბემ, გაუსაძლისმა პირობებმა ლაზურ (სარფულ) საყოფაცხოვრებო ლირიკაშიც ჰპოვა ასახვა. წარუმატებელი თევზჭერა ლაზ მეთევზეთა ოჯახებს შიმშილს უქადდა; ამიტომაც ძალზე მწარედ განიცდება თევზის (ხამსას) ნაკლებობა. თურქეთის რესპუბლიკის იურისდიქციაში მყოფი გაღმა სარფის ლაზ მოსახლეობაში დაფიქსირებული ლექს – სიმღერაც (მთქმელი ფატმა სადიკის ასული სევდა-

ოფლი-ჩაქირი, 64 წლის. ჩაიწერა ც. ნარაკიძემ 2015 წელს)
სწორედ ამგვარი მწირი წელიწადის შესახებ ჩივის:

ანწი ვა იყუ ქაფჩა, // წელს აღარ იყო ხამსა,
ბერეფე ჩქიმის მუფჩა? // ჩემს შვილებს რა ვაჭამო?

სარფულ საყოფაცხოვრებო პოეზიაში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეთა ნიმუშებში, განსაკუთრებული ადგილი უკავია ადამიანთა ტრადიციული თავშეყრის ადგილს – წისქვილს. მთელი დღის საქმიანობით დამშვრალი მშრომელი გლახობა საღამოს საფქვავით ხელში წისქვილის გზას გაუყვებოდა და ხშირად რიგში ღამის თევა უხდებოდა. ეს საუკეთესო დრო იყო ტრადიციული საზოგადოების მახსოვრობაში შემონახული სხვადასხვა ჟანრის ფოლკლორული მარგალიტების ამოსაფრქვევად, ურთიერთობისათვის ჭირ-ვარამისა და ცხოვრებისეული გამოცდილებების გასაზიარებლად; არც ის იყო შემთხვევითი, რომ ყველგან, ყველა ქართულ სოფელში, მენისქვილედ ენაწყლიანი, მჭევრმეტყველი ადამიანი იყო, კარგად რომ იცოდა „ამ მთისა და იმ ბარისა“. წისქვილის, როგორც ადამიანთათვის გულის გადახსნისა და გულშინადადებთა გაზიარების, ამდენად – ზეპირსიტყვიერების რეალიზების საუკეთესო არენად მიჩნევას ემსახურება ამჟამად თურქეთის რესპუბლიკაში მოქცეულ გაღმა სარფში ც. ნარაკიძის მიერ 2015 წელს ფატიმა სადიკის ასულ სევდაოღლი – ჩაქირისაგან ჩაწერილი ლექს-სიმღერა:

ქარმატეში ქვაეფე!.. // წისქვილის ქვები!..
ოკოხედით დალეფე, // დასხედით ერთად დები,
გუი თქვანიმ დერდეფე // და თქვენი გულის დარდები
უნვით ართი-ქართეფეს. // გაუზიარეთ ერთმანეთს.
ლაზურ ხალხურ საყოფაცხოვრებო პოეზიაში წისქვილი

განსაკუთრებულად გამოკვეთილი თემაა; განუმეორებელი ხიბლით აღსავსე პატარა, ძველისძველი წისქვილი, რომელიც არ ჩერდება, დღედაღამე ბრუნავს, ხალხს ფქვილს უმზადებს და არავის უნახავს დაღლილი, ლაზი სახალხო მთქმელის იდეალია; წისქვილი ახალისებს ღელეებს, სხვის-

თვის ივსება და სხვისთვისვე იცლება, თავად კი არაფერი ერგება:

ჭუტა ქარმატე // პატარა ნისქვილი
ქურეფეს ოშენამს სერსი მუშითე // ღელეებს ახალისებს
მისი

ხმაურით,
მჯვეშ ემექთარი ჭუტა ქარმატე. // ერთი ძველისძველი
პატარა

ნისქვილი.
თხომუშ ღურნი დო თხომუშ // თხემლისგან გამოთლი-
ლი

სპინათე ლალით და შტვირით,
იქთენ უდოდგინუ ჭუტა ქარმატე. // ბრუნავს და არ
ჩერდება
პატარა ნისქვილი.

(ლაზ. პარ., 1982: 33)

აღსანიშნავია, რომ ცნობილმა ლაზმა მგოსანმა ხასან ჰემილიშმა ნისქვილზე არსებული ხალხური ლექსი გადაამუშავა და განავრცო. ჰელიმიშისეული ლექსის თანახმად, დაუღალავი ძველისძველი ნისქვილი, რომელიც წინაპართა ხელით არის შექმნილი, თაობათა გამომზრდელია და მახსოვრობას ინახავს, იგი დამაშვრალთა იმედია, არსობის პურის მომცემია (ჰელიმიში, 2005:73).

ამრიგად, ლაზურ (სარფულ) ფოლკლორულ შემოქმედებაში შემორჩენილ საოჯახო-საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ზეპირსიტყვიერების ამ ძალზე მოქნილსა და ყოველი ეპოქისათვის სახასიათო უბანს თავისი სოციალური დატვირთულობა გააჩნია და წარმოაჩინს ლაზთა ყოფა-ცხოვრების ცალკეულ სახასიათო დეტალებს, გვაცნობს მათ ურთიერთდამოკიდებულებას, სოფლის მკვიდრთა ზნე-ჩვეულებებსა და, რაც მთავარია, ტრადიციულ სახალისო იუმორს.

დამონმებული ლიტერატურა:

1. ლაზ. პარ., 1982: „ლაზური პარამითეფე“. ნიგნი შეადგინა და ლიტერატურული რედაქცია გაუკეთა ნათელა ქუთელიამ, თბილისი;
2. ჰელიმიში, 2005: ჰასან ჰელიმიში, ლექსები (ბირაფეფე), ბათუმი;
3. ც. ნარაკიძე, საველე ექსპედიციის მასალები, სარფი, 2014

Narakidze Tsiala
Shioshvili Tina

Folk Family and Household Poetry in Laz Dialect

Summary

The folklore of Laz dialect has preserved interesting samples of family and household poetry. Some parts of them are general traditional Georgian samples and others are with local characters, which represent laz peoples' character, traditions, customs, details of their life and healthy humor.

*მალხაზ ჩოხარაძე
ლილე თანდილავა
მანანა თავდგირიძე*

შერაფეთთინ ოზშაჰინის (ბათალოღლუს) პოეზია და ლაზური მოტივები მელენი სარფიდან

შერაფეთთინ ოზშაჰინი დაიბადა 1930 წელს. მისი ძველი გვარი არის ბათალოღლუ. ბათალოღლუთა სამკვიდრო მამული თურქეთის სარფია. საქართველოში ამ გვარის მხოლოდ ერთი ოჯახია – გონიოში და მათი გვარია ჩიქოვანი. მელენისარფელი ბათალოღლებიც დღემდე ინახავენ გვარის თაობათა მეხსიერებაში გამოტარებულ სსოვნას, რომ მათი ძველი გვარი ჩიქოვანია. ერთერთ ნიგნში ოზშაჰინი ასახელებს ვინმე მუსტაფა ჩელების, რომელიც გადმოცემით ოსმალეთის არმიის ოფიცერი ყოფილა და რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში დიდად უსახელებია თავი (Özşahşin, 2012:123). ეს ბრძოლა ფოთთან გამართულა. საზღვრის გახსნის შემდეგ პოეტი სპეციალურად ჩასულა ფოთში წინაპრის ნაკვალევზე. ამ მიდამოებით მოხიბლულს ლექსიც მიუძღვნია ქალაქისთვის (Özşahşin, 2012:31).

ლექსების წერა გვიან დაუწყია, როგორც თავად აღნიშნავს – 1966 წლიდან. გამოცემული აქვს შვიდი კრებული, მათ შორის: „Pris – II“ (2012), „Kantğa“ (2010), „HO-HO“ (2010) და სხვა. უკანასკნელი კრებულისა „Imgars“ („ტირის“) (2013), რომელშიც ავტორს რჩეული ლექსები შეუტანია. კრებულები თვითგამოცემას წარმოადგენს და რომელიმე გამომცემლობის გრიფი არ გააჩნია.

შერაფეთთინ ოზშაჰინი წერს როგორც თურქულად, ასევე ლაზურად, რაც ასახულია კრებულებშიც. მართალია, რაოდენობრივად თურქული მეტია, მაგრამ საკმაოდ ბევრია სრულიად დამოუკიდებელი, ორიგინალური ლაზური ლექსი.

თურქეთის მოქალაქეთა იმ ნაწილში, რომლებიც ნაციონალურ უმცირესობას წარმოადგენენ (ცხადია, აქ ქართული მოდგმის მრავალრიცხოვან მოსახლეობასაც ვგულისხმობთ), მეტად იშვიათია ფოლკლორის ფარგლებს გარეთ

გასული ლიტერატურული ცდები მშობლიურ ენაზე. შესაბამისად, საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ჩვენი ავტორის საკმაოდ ნაყოფიერი შემოქმედების ლაზური ნაწილი.

შერაფეთთინი სარფელია და ბუნებრივია, რომ მისი ლაზური ლექსების ენობრივი საფუძველი ხოფურ-ჩხალური დიალექტია. სწორედ ამ გარემოებებიდან გამომდინარე უნდა შევნიშნოთ, რომ საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ლექსების ავტორის ენაც.

შერაფეთთინ ოზშაჰინის შემოქმედების ანალიზისას ძირითადად მისი თურქული თუ ლაზური ლექსების ქართული ბნკარედებით (ლ. თანდილავა) ვახდენთ ციტირებას, თუმცა შიგადაშიგ, უფრო მაშინ, როცა ავტორის ლირიკული განწყობის გადმოცემას ვისახავთ მიზნად, მხატვრული თარგმანიც ვცადეთ (მ. ჩოხარაძე).

მართალია, ამ კრებულებში საგრძნობია გაუნაფავი ხელიც და დაუხვეწავი მხატვრული სახეებიც, მაგრამ, მეორე მხრივ, მელენისარფელი ავტორის პოეზიის არსებითი ნიშანია გულწრფელობა. „კრებულში იმ განწყობის ასახვა ვცადე, რომელიც ყველაზე მეტად მაფიქრებს – რა არის ამქვეყნად მართალი, როგორ უნდა იცხოვროს კაცმა... ეს ერთი საკითხია და მეორე – ჩემი სოფლის სილამაზე. ვწერ იმაზე, რაც მომწონს და მაფიქრებს... ამ ლექსების ავტორი დიდებისკენ კი არ მიილტვის, არამედ სურს, რომ თავისი სულის ნაწილი ძვირფას ადამიანებს გაუზიაროს...“ – წერს იგი ერთ-ერთი უსათაურო კრებულის კრებულის მოკლე შესავალში. ძვირფას ადამიანებზე გაზიარებული სული კი ლაზეთის სიყვარულითაა გამთბარი და ლაზობით სიამაყის გრძნობით გამსჭვალული. ავტორი ცდილობს, დააკვირდეს ლაზის ბუნებას, გარეგნობას, მოქმედებას... პოეტის თქმით, ლაზი მოუთმენელია, სწრაფი, ვერ იტანს დაყოვნებას, საქმეშიც მალის. საქმეშიც გაგყვება და საუბარშიც. სიტყვას არ დაგიძვირებს, სათქმელსაც პირდაპირ გეტყვის. მაღალფარდოვნებას ვერ იტანს, მაგრამ რაც მთავარია, სიტყვის კაცია.

„ლაზი გულუხვია“, – აღნიშნავს ავტორი და სწორედ ამ კონტექსტში მოიხმობს მეტად საინტერესო მხატვრულ სა-

ხეს, – „მისი საჭმელი (მის მიერ შემოთავაზებული საჭმელი) შეგიძლია თამამად მიირთვა“. ამ ფრთიანი სიტყვით ავტორმა მახვილგონივრულად გამოხატა ადამიანური ხასიათის არც თუ უმნიშვნელო დეტალი, – ლაზი რასაც გასცემს, დაუნანებლად გასცემს, არ დააყვედრის, არ დაამადლებს, არ გამოეტირება. ამიტომ „იჭმევა მისი საჭმელი“ (Özşahşin 2013: 22).

ლაზი თავაზიანია, მაგრამ არა დამთმობი. უკან დახევა არ უყვარს. არც ჭკუას დაეკითხება ვინმეს – სიამაყის და ღირსების შელახვად მიაჩნია.

შერაფეთთიანი აღიარებს, რომ ლაზს ფიზიკური მუშაობა არ უყვარს, მაგრამ იქვე მიუთითებს, რომ თუ დასჭირდება, არც შრომას გაუბრბის და მთებსაც გადააბრუნებს.

ყველაზე დიდი ღირსება ლაზისა მისი ნათელი სულია. დრომ ვერ შეებლალა ეს სული და ამ სინათლის საუკუნეთა განმავლობაში შენარჩუნება მეტად ძნელია, ამიტომაცაა, ლაზები ნაადრევად რომ ჭაღარავდებიან ხოლმე:

„ქარი წაიღებს თეთრი თმის ბადეს,
სევდა ვერ წაშლის სიცოცხლის სურვილს,
ლაზი – თვალებით ნაპერწკალს ანთებს,
გაგათბობს მისი ნათელი სული!“ (Özşahşin, 2013: 22)

შერაფეთთინ ოზშაჰინი ლაზური ყოფის მრავალ დეტალს ასახავს მხატვრულად, ჩვენი მიზანი არ არის ამ დეტალების ყველა ასპექტის განხილვა, თუმცა, გვერდს ვერ ავუვლით ნადირობის თემას. ნადირობა ლაზისთვის ერთგვარი არისტოკრატიული სიამოვნებაა, მითუმეტეს, როცა საქმე ეხება მიმინოთი ნადირობას. ეს ამბავი საყოველთაოდ არის ცნობილი და ბუნებრივია, ხსენებულ თემას ვერც სარფელი ავტორი აუვლიდა გვერდს.

ლექსში „ტყის ქათამი“ მკაფიოდ გამოხატული მონადირული სულისკვეთებაა. ამ თემის კონტექსტში ცოცხლდება სოფლის სურათებიც – ტყის ქათმის გამოჩენა, მისი ხმიანობა, მონადირეთა სამზადისი და ბოლოს წარმატებული ნადირობა (Özşahşin, 2013: 31); სხვა შემთხვევაში პირიქით, პოეტი სარფელ მონადირეებს კენწლავს – რა მოგივიდათ, ძილს წა-

უღიხართ – ჩამოთოვა, ტყის ქათამი ლამის ეზოში მოგდით, თქვენი თოფები კი დუმსო.

ეს ყველაფერი, ცხადია, საინტერესოა, მაგრამ სამონადირეო თემის ყველაზე შთამბეჭდავი ნაწილი მაინც მიმინოს უკავშირდება. საერთოდაც, ლაზი და მიმინო თურქეთის შავიზღვისპირეთის (და არა მხოლოდ შავიზღვისპირეთის) ფოლკლორის დაუშრეტელი ნაწილია. „ლაზის საქმე მიმინოაო,“ – გვითხრეს ხემშინებმა სარფის მეზობელ სოფელ ქაზიმიეში. დღესაც ხშირად მოისმენ პოპულარულ სიმღერას:

„ლაზებისა ზღვა არის,
ხემშინების – ძაილა
აგვისტოს თვეც დამდგარა,
სად ხარ ალი ტაია¹.“

საქმე ისაა, რომ აგვისტო მიმინოთი ნადირობის სეზონია და ალი ბიძიაზე ამის შეხსენებით სიმღერა ისევ და ისევ ლაზის მიმინოსთან დამოკიდებულებაზე მიანიშნებს.

ეს სარფის მასალაა, თუმცა, რატომ სარფის – მთელი ლაზეთის... იმასაც არაკობენ: ზამთარში ჰემშანმა ფული დაკარგოს, ლაზი იპოვის, ჰემშანი – ვერა, რადგან ეს უკანასკნელი ზამთარში ცაში იყურება, ამინდს აკვირდება.

ზაფხულში ლაზმა ფული დაკარგოს, ჰემშანი იპოვის, ლაზი ვერა, იმიტომ რომ ლაზი ცაში იყურება – მიმინოს უყურებს!

იმასაც იტყვიან, ართვინიდან (რიზედან, ტრაპზონიდან...) ლაზი მოდიოდა და ორმოში ჩავარდა, რადგან მიმინოს უყურებდაო.

მოკლედ სარფელი პოეტის შემოქმედების თემა მიმინოც გამხდარა – ლალად, ხალისიანად, ძალდაუტანებლად და რაც მთავარია, საქმის ცოდნით (მიმინოს დაჭერა, დაგეშვა, მოვლა, ნადირობა...) აღწერს პოეტი ნადირობის ამ სახეობასთან დაკავშირებულ წვრილმანებს და მონაწილეობას ამ დიხაც საინტერესო საქმეში:

„გავთვალე – მიმინო მოდის ბადისკენ,
ყურადღებით შერეფ, მიმართულება მარჯვნივაა,
მივიდა, აყვირდა ბადესთან,

ტყუილად როდი გავსულვარ ბუნებაში,
დავიჭირე, მიმინო ბადეშია,
აბა ამოვიყვანო, ვნახო, როგორია...

და აქვე, პროფესიონალი მონადირისთვის დამახასია-
თებელი შეძახილი:

„მიმინოვ ჩემო,
კუდი დაგმოკლებია...“

პოეტი ეხება ფრინველის დაგეშვასთან დაკავშირებულ
პრობლემასაც:

„ხელში ვიჭერ, არ ჯდება, ჩამოეკიდება ხოლმე,
ვერ შეეგუა, სულ იკბინება...“
თუმცა, მცდელობამ ნაყოფი გამოიღო:
უკვე შეეჩვია ჩემი მიმინო,
სამ დღეში მორჯულდა,
გამახარა მე, გულს უხარია...“

შედეგი ამ ძალისხმევისა კი წარმატებული ნადირობაა:

„მთელი კვირა ვინადირებ,
გინდ შორს იყოს [ფრინველი],
უცებ დაიჭერს,
თითო თითო მოინადირებს მწყერსაც...“

ლაზური მოტივების საფუძველს ქმნის აგრეთვე ის გა-
რემო, რომელიც წარმოდგენილია სარფელი პოეტის ლირი-
კაში. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩება თითქოს ლექსე-
ბიდან ზღვის ჩქაფუნი, ტალღების ჩხრიალი ისმის:

„მალე მოდი, ცოცხლად (სწრაფად, ჩქარა)
ჩამოდი ნოლაში,
ქვა ისროლე ზღვაში,
მოდი და ნავიდეთ
ნოღედსა და აზლალაში,
იმ დასთან და ძმასთან,
მამასთან და დედასთან,
შეყვარებულთანაც მიდი,
მალულად, მალულად,
სწრაფად, სწრაფად, სწრაფად“.

ეს ლექსი („სწრაფად“) ლაზურადაა დაწერილი და შთაბეჭდილების სისრულისთვის იმავე ფრაგმენტს ლაზურადაც მოვიყვანთ (ოლონდ, ჩვენ – ქართული ანბანით):

„ორდო მოხტი მანიშა,
ქაგელახტი ნოლაშა,
ქვა ისტოლი ზოლაშა,
ქომოხტი დო ვიგზალათ
ნოლედი, აზლალაშა,
ია ჯუმაშა, დაშა,
ბაბაშა დო ნანაშა,
დარიშათი ქომეხტი,
ტკობაშა, ტკობაშა,
მანიშა, მანიშა, მაანიშაა!..“ (Özşahşin, 2013: 55)

ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ „ქარქალაკი“, რომელიც ფილოსოფიური ლირიკის საინტერესო ნიმუშადაც შეიძლება მივიჩნიოთ. სიტყვა „ქარქალაკი“ ლაზურ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „შეშის ნარჩენები“, ნაფოტი ზღვიდან ნაპირზე გამოყრილი“ (ლექსიკონი, 2013:704). ამ ნაფოტებს ჯერ მდინარის დინება ახეთქებს აქეთ-იქით, მერე – ზღვის ტალღები. დროთა განმავლობაში ნაფოტს კანი ეცვლება, გლუვდება, მარილით იჟღინთება, ნაპირზე გამორიყული კი გამოშრება, გაფიცხდება. ეს არის სწორედ ქარქალაკი და საუცხოოა ცეცხლის დასანთებად – კვარივითაა, უცებ ეკიდება ცეცხლი. ქარქალაკის მოტივი საზოგადოდ, ცნობილია ლაზურ ზეპირსიტყვიერებაში და შესაბამისად, საქართველოს სარფის ფოლკლორშიც. ჩვენი ავტორის ლექსი სწორედ ქარქალაკის მონოლოგია. იგი აღწერს, თუ როგორ ათამაშებს მას თავის ნებაზე ზღვის ქარი და ტალღები, ხან ნაპირთან მიაგდებს, ხან ისევ სიღრმეში ჩაითრევს და უცნობი რჩება, სად გარიყავს ბოლოს ზღვა.

ლექსის დასაწყისში სიტყვა „ქვეყნის“ ხსენება („დუნია, ზოლა, მა – ქარქალაკი...“ // „ქვეყანა, ზღვა, მე-ქარქალაკი...“) ძალაუწებურად ქმნის გაურკვეველი ყოფიერების ასოციაციას. ხშირად ადამიანსაც ისე ათამაშებს ბედისწერა, რო-

გორც ქარქალაკს – ტალღები და არავინ იცის, რით დასრულდება ეს თამაში.

„არ ვიცი, სად მივდივარ,
ზღვა ქარს მიაქვს,
ქარქალაკი ზღვას მიაქვს,
სალამოს დილა მოჰყვება,
სად უნდა გამრიყოს ნეტავ?...“

„...ვა მიჩქინ ქი სო მევეულუ
ზოლა ილიქ ნუჩუმეს,
ქარქალაქი ზოლაქ გუჩუმეზ,
ამა აქშამიშ იმიშ ამა საბაჰ,
სო ელამტკოჩასინან აჯაბა“ (Özşahşin, 2013:59).

აღსანიშნავია, რომ შერაფეთთინ ოზშაჰინის შემოქმედებაში კონკრეტულ, ყოველდღიურ ორომტრიალში დანახული და განცდილი შთაბეჭდილებები სჭარბობს. სავსებით რეალისტურია გამოხატვის მანერაც. მასალას მხატვრული შემოქმედებისთვის პოეტი იღებს ხეობიდან, სოფლიდან, ტრადიციული ყოფისთვის დამახასიათებელი წვრილმანებიდან... შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ პრაქტიკულად ყველა კრებულის ერთ-ერთი ძირითადი და ძვირფასი თემაა ავტორის მშობლიური სოფელი – სარფი. თითქმის ყველგან სალექსო განწყობა შემოსაზღვრულია თურქეთის სარფით. საქართველოს სარფისაკენ პოეტი არ „იხედება“. რასაც, შესაძლოა, ობიექტური საფუძველიც ჰქონდეს, მაგრამ ამ საკითხს ქვემოთ შევეხებით, ამჯერად კი შევნიშნავთ, რომ პოეტი ალფრთოვანებულია მწვანეში ჩაფლული ზღვისპირა სოფლის სილამაზით, მშვიდი, იდილიური გარემოთი, სადაც ერთდროულად შეიძლება ტკბობა ზღვის ნარმტაცია პეიზაჟებით, ტყიანი ფერდობების სიმწვანით, დაღარული ხეობების იდუმალებით:

„აქ ჩემი ფუძეა, სამოთხე, სიზმარი,
ეზოებს აღვიძებს ზღვისფერი ნიავი,
რაკრაკებს მდინარე სუფთა და ანკარა,
ეს ჩემი მხარეა, თბილი და მზიანი“.

პოეტისთვის ყველაზე მთავარი, ძირითადი საფუძველი სოფლის სიკეთისა, მაინც ხალხია, სარფელები, – მისი ნათესავები, მეზობლები, მეგობრები... ამ ხალხით ამაყოფს იგი და მათ გამო უხარია სოფელში ყოფნა:

„აქ ჩემი გვარია, მათთან ვარ ნიადაგ,
აქ ყველა ჩემია, მათ ქებას ვუნდები,
სოფელი, სიკეთის და ძმობის გამწევი,
ამაყი ნაბიჯი და სავსე გულები!...“
(„სარფი“ – Özşahşin 2013: 30)

ამიტომაც ბუნებრივია საკუთარი კერიის, სახლის, სახლისკენ მიმავალი გზის სიყვარული, სახლისა, რომელიც ერთი პატარა დეტალია, ფუნჯის ერთი მოსმაა ამ იდილიურ ტილოზე:

„ჩამოლამდება.
ჩამოსხდებიან და ჩამოთვლემენ:
ხის ტოტებზე – გარეული
და ქანდარზე – შინაური ფრინველები.
სახლის გზა თითქოს გეძახის,
შენც შეუყვები შენი სახლის გზას
სულმოუთქმელად...“
(„სახლი“ – Özşahşin, 2013: 20)

ზემოთ მოყვანილი ფრაგმენტებიც ცხადყოფს, რომ ოზშაჰინის პოეზიისთვის დამახასიათებელია ნატურალისტური სურათები და მასთან, სოფლის ხმები – ჭრიჭინების ჭრიჭინი, ძროხების ბლავილი, ძაღლების ყეფა, მამლების ყივილი („ჩემი მამალი“- Özşahşin, 2013: 10), რაც ასევე სოფლის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და დამახასიათებელ განწყობასაც ქმნის მკითხველში.

უნდა აღინიშნოს, რომ პოეტი იმ დუხჭირ დროსაც ეხმიანება, როცა ლუკმა-პურის პრობლემა იდგა და როცა ხალხს „მუშაობით სული გასძვრა“, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰქონდა; ბოლოს კი ხალხს სული ჩაის კულტურის გავრცელებამ მოათქმევინა:

„ბევრი ვჭამეთ გოგრის ფაფა,
ჩაით მოგვცილდა მუცლის უანგი,

ახლალა დავინყეთ სიმდიდრის ნახვა,
დავინყეთ ჯამის, ქვაბის გამოცვლა“.

„ჩაი რომ არ გაშენებულებო, მშვიერი დავრჩებოდითო“,
– არაერთხელ უთქვამთ გალმა სარფში. თუმცა, პოეტის აზრით, მატერიალურ კეთილდღეობას ბევრი სულიერი ღირებულებაც ემსხვერპლა და ამას აღნიშნავს კიდევ გულისტკივილით:

„ის არის, რომ ფულით ხასიათიც შეიცვალა...“

დაგვწვი, შენ, ჩაი, – დაბინავდა სარფში ბინძური სიამაყე!“

(„დილა სარფში“, Özşahşin, 2013: 53)

ზემოთ ვთქვით, შერაფეთთინ ოზშაჰინი საქართველოს სარფისკენ არ იხედება-თქო. მის პოეზიაში თითქოს არც ჩანს ორად გაყოფილი სოფლის სევდა. მისი პოეზიის თემატიკიდან და ბუნებიდან გამომდინარე „არ ჩანს“ არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ არ ანუხებს! თემის იგნორირების მიზეზი კი შესაძლოა თურქული ცენზურა იყოს.

თუ საბჭოთა კავშირში მცხოვრები ქართველი მწერლები თავს უფლებას აძლევდნენ (ცხადია, მხოლოდ და კატეგორიულად ნებადართული იდეოლოგიური ჩარჩოების ფარგლებში) „გაეხედათ“ თურქეთის სარფისკენ თუ საზოგადოდ, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიებისკენ, ენერათ ამ თემაზე და ზოგჯერ პოლიტიკური კონიუნქტურისგან თავისუფალი, ადამიანური სიტბოთი გამსჭვალული ნაწარმოებებიც შეექმნათ, როგორც ჩანს, თურქული სალიტერატურო ცენზურა მსგავს უფლებას არ იძლეოდა.

ჩვენ არ ვაპირებთ საბჭოთა და თურქული ცენზურის ხარისხობრივ შედარებას და მითუმეტეს, საბჭოთა ცენზურაში ლიბერალიზმის რაიმე ნასახის აღმოჩენას. აქ ხარისხობრივ მიმართებაზე არ არის საუბარი; უბრალოდ, თურქული ცენზურა, როგორც ჩანს, ამ კონკრეტული მიმართულებით, უფრო მკაცრი კი არა, სხვანაირი იყო, შესაძლოა, საბჭოთა კავშირის მიმართ მეტისმეტად ფრთხილი დამოკიდებულების აუცილებლობა აიძულებდა ცენზურას, აეკრძალა

საბჭოთა მეზობლისკენ გახედვა რეალურ ცხოვრებაშიც და შემოქმედის მხატვრულ წარმოსახვაშიც.

ახალი თემები, მაგალითად, ბათუმისა, საზღვრის გახსნის შემდეგ ჩნდება პოეტის შემოქმედებაში და ისიც მხოლოდ იმ სახელმწიფოს გადასახედიდან, რომლის მოქალაქეცაა. ყოველ შემთხვევაში, მისი ისტორიული მეხსიერება იმ პერიოდით შემოიფარგლება, როცა ბათუმი ოსმალეთს ეკუთვნოდა:

„ბათუმი ძველად ჩვენი ვილაეთი იყო,
70 წელი ვერ ვთქვით ბათუმი, ბათუმი, ენა და გვევა,
წლების წინ დაიკარგა ვილაეთი,
უიმისოდ ცუდად იყო საქმე...“ (Özşahşin, 2012: 79).

თუმცა, როგორც ჩანს, პოლიტიკურმა პროცესებმა ადრინდელ პოეტურ მეტყველებაშიც ჰპოვა მცირედი სადინარი. ამ თვალსაზრისით, უპირველესად, მხედველობაში გვაქვს ლექსი „სარფში მყოფი იმამები“ (Özşahşin 2013: 33).

ამ ლექსთან დაკავშირებულ ასოციაციებზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ერთი ისტორია, რომელსაც დღემდე ყვებიან გაღმა-გამოღმა სარფში. საქმე ისაა, რომ როცა სოფელი გაიყო და საზღვარიც დაკანონდა, ჯამე თურქეთის სარფში დარჩა, ხოლო იმამი – საქართველოს სარფში – მართალია მას გაღმა სარფშიც ჰქონდა მინა-მამული და ნათესავებიც ჰყავდა, მაგრამ ცხოვრებით გამოღმა სარფში ცხოვრობდა.

გასაგებია, რომ იმამი სხვა სახელმწიფოში ღვთისმსახურებას ვერ აღასრულებდა. ათეისტურ სახელმწიფოში კი (ანუ სოფლის საბჭოურ ნაწილში) ჯამეს არავინ ააშენებდა. შესაბამისად, ხოჯა ჩამოსცილდა რელიგიურ საქმიანობას და თანდათან, ქვეყანაში არსებული ტენდენციების შესაბამისად, ჩაერთო საკოლმეურნეო ცხოვრებაში. გაღმა სარფის ჯამე კი ერთხანს ხოჯის გარეშე იყო დარჩენილი, მაგრამ ბუნებრივია, სოფელს შემცვლელის პოვნა არ გასჭირვებია.

როგორც ათეისტური ასევე რელიგიური სახელმწიფოსთვის ეს ფაქტი არაორდინალური პრეცედენტი იყო და მისი ნებისმიერი ინტერპრეტაცია (განსჯის გარეშეც გასა-

გებია, რომ ამ ფაქტის საბჭოური თუ თურქული იდეოლოგიური ინტერპრეტაციები ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული იქნებოდა.) ინტერესის საგანია დღემდე.

მაგრამ რა კავშირშია გაყოფილი სოფლის ჯამე შერაფეთთინ ოზმაჰინის პოეზიასთან?

ლექსში „სარფში მცხოვრები იმამები“ საუბარია იმამების ტიალად დარჩენილ ადგილებზე, იმამის ხეობის (ასეთი ტოპონიმი რეალურად არსებობს) ქარზე, გამოთქმულია გულისტკივილი იმის გამო რომ ძველი იმამები აღარ არიან. ლექსში, ბუნებრივია, ავტორი არ ცდილობს, ზემოხსენებული ისტორიის რაიმე ფორმით გადმოცემას, მაგრამ ვფიქრობთ, ფაქტებზე მიძალებად არ ჩაგვეთლება, თუ გარკვეულ ასოციაციურ კავშირებზე ვისაუბრებთ:

„მართალია, იმამთაგან არცერთი აღარაა,
შეუცვლიათ მიმართულება,
საქმისთვის, იდეისთვის სხვაგან წასულან,
სადაც დაიბადენ, გაიზარდენ, ის სახლები
დავინწყნიათ...“

პოეტი შთაბეჭდილების გაძლიერებას სუბიექტური ლირიკული განცდების წარმოჩენითაც ცდილობს:

„ახლა მარტო ვარ; მარტო ცხოვრება ძნელია,
დარდით და წუხილით სავსე...
შერეფ, ნულარ იყურები ფანჯრიდან,
დარდს ნულარ იმატებ!
არ იდარდო, დახურე ფანჯარა და კარი...“

ფანჯარა, ყოველგვარი ინტერპრეტაციების გარეშეც, არის ერთი ტრაგიკული თემა სარფული ყოფისთვის: ფანჯრიდან სოფლის მეორე ნაწილი ჩანს, ფანჯრების დაგმანვა („ნუ იყურები ფანჯრიდან“) ორივე ქვეყნის სასაზღვრო რეჟიმის მეტისმეტად მკაფიოდ გამოკვეთილი ტენდენცია იყო. მითუმეტეს, რომ იქვე თითქოს კიდევ ერთი მკრთალი მინიშნებაც გამოიკვეთება:

მოსალამოვდა და სინყნარე დარდს ჩამოყრის იმამის ადგილებში,

მყუდროებას ჩქამიც არ არღვევს, მხოლოდ ღელის ხმა მოდის სახლამდე...”

ისლა დაგვრჩენია, დავამატოთ, რომ ეს სწორედ ის ღელა, საზღვრად რომ ჩამოდის და ორ სახელმწიფოდ ჰყოფს პატარა სოფელს.

თუ მისაღებად მივიჩნევთ ვარაუდს, რომ ამ ლექსში დი-ახაც იგრძნობა გაყოფილი სოფლის თემის გამოძახილი, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს გამოძახილი ერთგვარი რელიგიური სარჩულითაა წარმოდგენილი და ესეც ბუნებრივია ჩვენი ავტორის პოეზიისათვის; სხვა მოტივებთან ერთად (სოციალური თემა, სიყვარული, მარტოობის განცდა, ყოფიერებაზე სევდიანი დაფიქრება), აშკარად თვალსაჩინოა რელიგიური მოტივი. ამის დასტური ერთ-ერთი კრებულის (HO-HO, გვ. 47-60) ბოლოს დართული ჩანაწერებიცაა, რომლისთვისაც ავტორს „Bu Alem“ („ქვეყნიერება“) უწოდებია. ეს არის რელიგიურ-ფილოსოფიურ თემაზე შექმნილი გამონათქვამები, რომელიც ერთმანეთის და ღმერთის წინაშე ადამიანის ვალდებულებებს ეხება და მოუწოდებს ურთიერთსიყვარულისა და რწმენის ერთგულებისკენ.

შერაფეთთინ ოზშაჰინის პოეზიაში სხვა თემებსა და მოტივებსაც იპოვის მკითხველი. თუნდაც ისეთ ლექსებს, თურქეთის სახელმწიფოს ძღვევამოსილებაზე რომაა საუბარი, ან სტამბოლი რომაა განდიდებული („სტამბოლი ისეთი ქალაქია, ყველაფერს რომ იპოვი, იგი თურქეთის მარგალიტია და მსოფლიოში პირველი...” – Özşahşin, 2013: 4) მაგრამ, ძირითადი და ყველაზე თვალსაჩინო აქ მაინც სწორედ ლაზური მოტივები და სურათებია – ესოდენ გულწრფელი სიყვარულით, მოწინებით და პატივისცემით რომ გაუცოცხლებია პოეტს და სიყვარულითვე მიუტანია მკითხველამდე.

ლიტერატურა

1. Özşahşin 2012: Özşahşin Ş., „Pris“ – II, Sarp;
2. Özşahşin 2013: Özşahşin Ş., „Imgars“, Sarp.

Malkhaz Chokharadze
Lile Tandilava
Manana Tavdgiridze

*Sherafetin Ozshahin (Bataloglu) poetry and
Laz motives from Sarpi*

Summary

An interesting artistic types are represented in the poetry of Sarpian Sherafetin Ozshahan. In the work is widely discussed his writings and namely, Sarpian motives.

*თამილა ლომთათიძე
ნანა სტამბოლიშვილი*

არქაული საცეკვაო რიტუალების სიმბოლიზმი (აჭარა)

აჭარის ეთნოკულტურაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ხალხურ ქორეოგრაფიას. ცეკვები, ძირითადად, სრულდებოდა თავყრილობების, გართობა-სანახაობების, საოჯახო და სასოფლო დღესასწაულების დროს. აჭარულ ცეკვებში გვაქვს საბრძოლო, სატრფიალო, სახასიათო, შრომისა და, საერთოდ, სამეურნეო საქმიანობის ამსახველი როგორც ინდივიდუალური, ასევე, ჯგუფური (ხორუმი, ოჰოი ნანა, განდაგანა, შეხდომილაი, ქალური, ლეკური, ბაღდადური, ქურთბარი, შამილი, ყარაბალი, ყოლსამა და სხვ.) ცეკვები, რომლებიც ან საკრავების ან სიმღერის თანხლებით სრულდება. გვხვდება, აგრეთვე, საფერხულო ცეკვები და არქაული საწესჩვეულებო დანიშნულების ცეკვა-თამაშობანი. ასეთ ნიმუშებში წმინდა საცეკვაო ელემენტებთან შერწყმულია არქაული რიტუალები და წეს-ჩვეულებები.

არქაული ადამიანის მსოფლალქმა აერთიანებს სიმბოლურ აზროვნებასა და სიმბოლურ ქმედებას – შემონახულს მითორიტუალურ სისტემაში და ხალხურ ხელოვნებაში, რომელიც ყველაზე ხატოვნად ასახავს ადამიანების სიმბოლურ აზროვნებას (культурология, 1995:177). უძველესი საცეკვაო ხელოვნება თავდაპირველად მთლიანად მაგიური ხასიათის იყო და თავის თავში ინახავდა არქაულ მითორიტუალურ სიმბოლიკას. ქართული ხალხური ცეკვებში კოდირებულია ქართველთა მითოლოგიური, კოსმოგონიური, რელიგიური და მაგიური შეხედულებების შემცველი არაერთი ასპექტი. ხალხურ ქორეოგრაფიაში ხდება სიმბოლური სახეებით სამყაროს მოდელირება. ამიტომაც ცეკვები წარმოადგენენ გარკვეულ სიმბოლო-ნიშანთა სისტემას, რომელიც ხატოვან, ხელშესახებ სახეს აძლევს იმას, რაც უხილავი, საკრალური იყო (Ранние формы искусства, 1972:40). ჩვენი მიზანიც აჭარაში შემონახული რამდენიმე ავთენტური საცეკვაო ნიმუშის („ხორუმი“, „ოჰოი, ნანო“) სიმბოლური ენის წვდომა, მასში

კოდირებული შინაარსისა და სიმბოლური აზროვნების უნივერსალური ფორმების ახსნაა.

არქაული საცეკვაო რიტუალები არა თავისუფალი მხატვრული შემოქმედების პროდუქტი, არამედ სავალდებულო ელემენტი იყო სამყაროს რთულ სისტემასთან ურთიერთობისთვის და მაგიური დანიშნულება ჰქონდა. ქართული ხალხური ქორეოგრაფიის უძველესი ნიმუშები წრიული ფორმის ფერხულებია. უძველესი ფერხულები რიტუალურ ხასიათს ატარებს და სხვადასხვა ღვთაებას უკავშირდება. ეს დადასტურებულია არქეოლოგიური და ისტორიული წყაროებით. რიტუალური ხასიათის უძველესი ფერხულები გამოსახულია ბაგინეთის ძვლის ფირფიტაზე (ძვ.წ. VI ს), ნაბალრების ბრინჯაოს სარტყელსა და სამადლოს ქვევრზე (ძვ.წ. III-II ათასწლეული), თრიალეთის ვერცხლის თასზე (ძვ.წ. II ათასწლეული). რიტუალური ფერხულები ქართველთა ეთნოგრაფიულმა ყოფამაც შემოინახა „სამონადირეო ფერხულების“, სვანური „ღემჩილისა“ და „ბეთქილის ფერხულის“, „ორსართულიანი ფერხულების“, „ზემყრელოს“, „ფერხულ-ოსხეპუს“, „ფერხისაის“, „ქორბელელა“-ს და სხვათა სახით. ეს ფერხულები თავდაპირველად დამოუკიდებელ მაგიურ რიტუალებს ან ბუნების ძალთა აღორძინებისა და ნაყოფიერებისადმი მიძღვნილი უძველესი მისტიკრიების ელემენტებს წარმოადგენდნენ. უძველესი რწმენა-წარმოდგენებით ფერხულები დროის ციკლურობის გამოხატულება, ნაყოფიერების უზრუნველყოფის, სამყაროს განახლების, მონესრიგების საშუალებაა და გარკვეულ კოსმოლოგიურ სიმბოლიკას უკავშირდება რაც ფერხულებში გარკვეული საკრალურ-რელიგიური დოგმებით იყო გადმოცემული. მ.ელიადეს თანახმად, თავდაპირველად ყველა ცეკვა საკრალური იყო და მითოსურ წინაპარს – გარკვეულ ღვთაებას ან გმირს ეძღვნებოდა და არქეტიპული სანყისის იმიტირებას ახდენდა (Элиаде, 1987). ამდენად, რიტუალური ფერხულები გარკვეულ საშუალებას წარმოადგენს ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენების შესასწავლად.

უძველესი რიტუალური ცეკვები მოიცავენ სამყაროს შესახებ შეხედულებათა არქეტიპებს: წრეს, ხაზს, ზიგზაგს და სხვ., რომლებშიც გამოკვეთილია ასტრალური სიმბოლიზმი. წრე ასტრალური ღვთაების – მზის სიმბოლური გა-

მოსახულება იყო, რაც განპირობებულია არა მხოლოდ ფორმით, არამედ მისი სადღეღამისო და წლიური ბრუნვით. წრე, ამავე დროს, სამყაროს მთლიანობის, უსასრულობის, მარადიულობისა და ჰარმონიულობის სიმბოლოა (სურგულაძე, 1993:6). წრის მისტიკური სიმბოლიზმის მნიშვნელობა არც აჭარის ეთნოგრაფიული ყოფისათვის იყო უცხო. რწმენა რგოლისებრი საგნების „სინმინდის“ შესახებ ჩვენში უძველესი ხანიდან მომდინარეობს. წრის მაგიური მიშვნელობის ამსახველი მრავალი ფაქტია ცნობილი ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში. ოდითგან წრეხაზი ავი თვალისა და ბოროტი ძალებისაგან მფარველ საშუალებადაა მიჩნეული. აჭარაში, ისევე. როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, სცოდნიათ ნარ-ეკლის წრიულად შემომრგვალებული სათვალეების გადმოკიდება საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კარებზე, ბოსტნებისა და ყანების შესასვლელში. მზის სიმბოლური ნიშნის – წრის აპოთროპიული ფუნქცია აჭარაში კიდევ ერთხელ ადასტურებს მზის კულტისა და მისადმი მიძღვნილი რიტუალების არსებობას (ლომთათიძე, 2014).

როგორც აღვნიშნეთ, უძველესი ფერხულების ფორმა ძირითადად წრიულია. მათთვის დამახასიათებელია წრებრუნვა, ტრიალი, რაც ქმნის ხელშეუხებელ ტერიტორიას – წრეს და წარმოშობს ამ ტერიტორიის შიგნითა საკრალური სივრცის დამცავ მაგიურ ძალას (Керимт, 1994). საქართველოში საფერხულო წყობის უძველესი მონადირული ცეკვები მხოლოდ წრიული ფორმით არსებობდნენ, რაც მათ სიძველეზე და რიტუალურობაზე მიუთითებს. ამ ერთგვაროვან ფორმას თავისი სახესხვაობებიც გააჩნია. მაგალითად: გახსნილი წრე, საერთო წრეზე რამდენიმე პატარა წრე, ორ ან სამ წრიული, სართულებიანი წრე და სხვ. (თათარაძე 1999:2)

საშემსრულებლო ფორმა – წრე, ერთი მხრივ, საკმაოდ მორგებული, ოპტიმალური ფორმა იყო მასობრივი რიტუალური ცეკვის შესასრულებლად. მეორე მხრივ, მას გააჩნდა სიმბოლური, მაგიური აზრი, რომელიც დაკავშირებული იყო მზისა და მთვარის კულტებთან. ამავე დროს, წრიული ფორმით ცეკვის შესრულება უკავშირდებოდა ნაყოფიერებისა და სხვადასხვა საქმიანობაში წარმატების მოპოვების სურვილს. აღსანიშნავია, რომ მრავალი ხალხი ასრულებდა ამ ცეკვას განსაკუთრებულ დროს – ომის, შიმშილის ან სხვა უბედურე-

ბისას, რადგან მიჩნეული იყო, რომ წრიული ცეკვები წარმოადგენდა უძლიერეს კოსმიურ ენერჯიასთან დამაკავშირებელ საშუალებას, რომელიც აუცილებელი იყო მათ ცხოვრებაში რთული ეტაპების გადასალახად (გვარამაძე, 1957). IV საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე (ძვ. წ. IVს.) თავის ნაშრომში «ანაბაზისი» მოგვითხრობს ქართველთა შორეული წინაპრების – მოსინიკების საცეკვაო ხელოვნების შესახებ. სენოფონტეს თანახმად, მოსინიკები ბრძოლის წინაც და ბრძოლის შემდეგაც ასრულებდნენ მწყობრ, რიტმულ ცეკვას სიმღერისთანხლებით. სენოფონტეს ეს ცნობა ადასტურებს, რომ ქართველებს იმ პერიოდში სალაშქრო სიმღერა-ცეკვები ჰქონიათ, რომლებსაც ერთი მომღერალი იწყებდა, ხოლო შემდეგ მას გუნდი უერთდებოდა (მიქელაძე, 1967:113).

ძველთაძველ გმირულ-ჰეროიკული ხასიათის საბრძოლო ცეკვადგანიხილებოდა „ხორუმი“, რომელიც ხასიათდება ცეკვის მკვეთრი რიტმული დინამიკით. ხორუმი სრულდებოდა დოლისა და ჭიბონის თანხლებით. მიჩნეულია, რომ „ხორუმი“, იგივე „ხორონი“, „გადახვეული ხორუმი“, „ჩამორებული“ არის მტერთან ბრძოლისა და ბოლოს გამარჯვების ზეიმის ქორეოგრაფიული გადმოცემა (კოკელაძე, 1977:46) მაგრამ ტერმინ „ხორუმი“-ს ეტიმოლოგია („ხორუმის“ სახელწოდების „ხორ“ ფუძე აჭარულ-ლაზურ საცხოვრებელ სახელთან „ა-ხორ“, „ო-ხორ-თან“ კავშირზე მიგვანიშნებს, რომელიც ფუნქციურად უკავშირდება საქონლის სადგომს და შესაბამისად ხორომსაც (თივის ძნა) და სანესო მოქმედებათა მთელი კომპლექსი, რომელიც თავს იჩენს ხორუმის ცალკეულ ელემენტებსა და საცეკვაო ნახაზში (წრიული მოძრაობები, სართულებიანი წყობა, ხელმოხმული, მჭიდროდ მდგარი, მოცეკვავეთა მიერ შექმნილი ჰორიზონტალური სწორი ხაზი, მტკიცედ გადაბმულ ერთგვარი ჯაჭვი და სხვ.) ავლენს, რომ ესაა არა მხოლოდ მტერთან ბრძოლის, არამედ სამყაროს წესრიგისა და სრულყოფისათვის ორი საპირისპირო ძალის (ქაოსისა და მონესრიგებული კოსმიური სამყაროს, ნათელისა და ბნელის) ერთმანეთთან შებრძოლებისა და გაჯობრების ინსცენირება, სადაც წრეები (სოლარული სიმბოლიკა), სართულებიანი მწყობრი (სამყაროს ვერტიკალური მოდელი),

მჭიდრო ხაზი (სივრცეთაშორისი ზღვარი) და მსგავსი ფორმის საცეკვაო ქმედებანი ქართველთა კოსმოგონიური წარმოდგენებსა და სამყაროს ჰორიზონტალური და ვერტიკალური სივრცითი განფენილობის შესახებარქაულ რწმენა-წარმოდგენათა კომპლექსს უკავშირდება, ისევე, როგორც სახლის სიუხვის, საქონლის გამრავლებისა და ნაყოფიერებისაკენ მიმართული თუშური „ქორბელელა“, სვანური „მირმინქელა“, ქართლური „ზემყრელო“.ცეკვა „ხორუმის“ სტრუქტურა და ძირითადი იდეა მიანიშნებს, რომ „ხორუმი“ თავისი ქორეოგრაფიული ფორმებითა და სტრუქტურით სამყაროს აღქმის თავისებური მოდელი, ერთი უდიდესი სისტემაა, რომელშიც ჩადებულია არა მხარეთა შორის ომის, არამედ ნაყოფიერებისთვის, სამყაროში წესრიგის დამყარებისა და დროჟამის მსვლელობის მონესრიგებისათვის ბრძოლის იდეა (წრის – დაცული და ჩაკეტილი მიკროკოსმის მთლიანობა ირღვევა, ბრძოლა ქაოსსა და კოსმოსს, ბოროტსა და კეთილს შორის კოსმიური წესრიგით მთავრდება და ხელიხელჩაკიდებული მჭიდრო სწორხაზოვანი მწყობრის სახით ჩნდება მტკიცე და ურღვევი მიჯნა სააქაო და საიქიო სამყაროებს შორის).მაგრამჩანს, ტრანსფორმაციის შედეგად ამ ცეკვაში მოქარბებულმა საბრძოლო სიუჟეტმა გადაფარა ნაყოფიერების რიტუალისათვის დამახასიათებელი კომპონენტები. ეს არაა შემთხვევითი, რადგან მითოსურ ცნობიერებაში ბრძოლა ერთ-ერთ უმთავრეს რიტუალად გაიაზრებოდა. (გელაშვილი, 2014:13-14). ხორუმის საკრალურობაზე მიუთითებს ისიც, რომ თავდაპირველად ხორუმი იყო არა მასიური ცეკვა, არამედ მას ასრულებდა მამაკაცების მცირე ჯგუფი – 3-5-7 კაცის ოდენობით, მას ყავდა მოთავე – ხორუმბაში და იგი, ძირითადად, ქორწილების დროს სრულდებოდა.

არქაული სიმბოლიზმი თავს იჩენს არა მხოლოდ საცეკვაო ნახაზსა და ცეკვის შინაარსში, არამედ მის ატრიბუტიკაშიც. „ხორუმი“-ს ერთ-ერთი კომპონენტია ალმის, დროშის აღმართვა, რაც, ტრადიციულად, მტერზე გამარჯვების სიმბოლოდაა მიჩნეული. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ დროშა „ხორუმის“ კომპოზიციაში გვიანდელი ელემენტია. „ხორუმის“ ავთენტურ ვარიანტში ხორუმის მოთავე – ხორუმბაშს ხელთ ჰქონდა ბალდადი (რასაც დღესაც ხშირად ვხვდებით ხორუმის სასცენო შესრულებისას), რომლითაც

სხვადასხვა მოძრაობის, ბრძოლის დაწყების ნიშანს აძლევდა მონაწილეებს და რომელსაც აფრიალებდა გამარჯვების ნიშნად. შესაძლოა, სწორედ ბალდადი ჩაანცვლა დროშამ და შეითვისა მისი ფუნქციები. თუმცა ცეკვის შინაარსსა და ფორმაში კოდირებული სოლარული სიმბოლიკა გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა ალამი, როგორც საკულტო ატრიბუტი, ფიგურირებდა „ხორუმის“ თავდაპირველ ვარიანტშიც, რადგან ქართულ ეთნოგრაფიაში დადასტურებულია კავშირი დროშასა და მზის კულტს შორის. მიჩნეულია, რომ მზის კულტმსახურებაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი სიცოცხლის ხის სახესხვაობად მიჩნეულ წმინდა დროშას ანუ „ალვისტანს“ უკავია. დროშა წმიდათაწმიდა სათემო და სატომო სალოცავებში. მასზე ხელის შეხება მხოლოდ ხუცესს ან მკადრეს შეუძლია. იგი ინახებოდა მთავარ საკულტო ნაგებობაში და ხატობის დროს გადმოაბრძანებდნენ სპეციალურად მისთვის განკუთვნილ დროშათსაბრძან კოშკში. მასთან ახლოს ტარდებოდა მსხვერპლშენიერვა და, საერთოდ, ქართველები ყველა მთავარ მოვლენას დროშას უკავშირებდნენ და თავდადებით იცავდნენ მას. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფაში დროშა არის არა მხოლოდ ღვთაების სიმბოლო, არამედ მისი განსახიერება (ბარდაველიძე, 1939:58-65). აჭარაში არ ჩანს დროშის საკულტო დანიშნულებით გამოყენების ჩვეულება, მაგრამ შესაძლოა, სწორედ „ხორუმშია“ შემონახული დროშისადმი განსაკუთრებული თაყვანისცემის კვალი.

აჭარის საცეკვაო ფოლკლორში შემონახულია ისეთი არქაული სიმბოლოები, როგორიცაა შოლტი, წკნელი, ჯოხი, ხის ხმალი. ეს ატრიბუტიკა გამოიყენებოდა აჭარაში სახუმარო ცეკვის სახით შემონახულ ერთპირ ფერხულში „ოჰოი, ნანო“.

ერთპირი ფერხული, რომელსაც ჰყავს თავისი მომძახელი ე.ი. ჰანგისა და სიყვების მთქმელი და მისი „შემბანელი“ და შემხმობელი მთელი საფერხულო მწყობრის სახით უძველესი სახეობის ფერხულებადაა მიჩნეული (ჯანელიძე, 1948). „ოჰოი, ნანო“-ც უძველესი წარმოშობის რელიგიურ-მისტიკური ფერხულია. მასში მონაწილეობენ კორიფე და „მიძინებული“ მეფერხულები (9-11 კაცი), რომლებსაც ჯოხის დარტყმით და შეძახილით „აღვიძებდა“ ფერხულის მოთავე. გალ-

ვიძებული მონაწილეები ჩააბამდნენ ფერხულს და კორიფეს გარშემო კრავდნენ წრეს. კორიფე წრის შიგნით ექცეოდა და ჯოხს ურტყამდა მოფერხულებს. მათ შორის იმართებოდა დიალოგი, რომლის ფონზეც გუნდი ჯერ მიჰყვებოდა წინამძღოლს, მელის კუდივით იგრიხებოდა, ზიგზაგური სვლების შემდეგ, ისევ წრეს კრავდა, შემდეგ წრე იშლებოდა და კორიფე ჯოხით მიერეკებოდა მეფერხულებს (მაკარაძე, 2002:304-305). რიტუალური ატრიბუტიკით (ჯოხი, ნკეპლა) და სარიტუალო ქმედებებით (წრიული ფერხული და მიხვეულ-მოხვეულად მოძრავი მწკრივი, ჯოხით მეფერხულეთა „გაღვიძება“, მონაწილეთა სხეულის მოძრაობა) “ოჰოი ნანო“ სემანტიკურ ერთობას ავლენს ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში საკმაოდ კარგად ცნობილ ისეთ რიტუალებთან, როგორიცაა “მელიაი ტულეფიაი“, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნკეპლით ცემა, წელსქვემოთ შიშველი მამაკაცების საფერხულო ზიგზაგისებური სვლა, რაც სქესობრივი აქტის ჯგუფურ სიმულიაციადაა მიჩნეული. ნაყოფიერების კულტთან დაკავშირებული სხვა ქართული წარმართული მისტიკებისთვისაც დამახასიათებელია მეთაურის მიერ მონაწილეთა ჯოხით, ნკნელით, ხისხმლითცემათავზე, ბეჭებზე, მკერდზე, მუცელზე, თეძოებზე, ფეხებზე. ზოგადად, ჯოხი ბერიკა/ყეენის მორთულობის ნაწილიცაა (წელზე შემოხვეულ თოკზე ჰკიდია, როგორც ფალიკური ნიშანი) და მისი იარაღიც, რომელსაც დღესასწაულის მონაწილეებს მოსცხებეს კიდევ დროდადრო ან კარდაკარ ჩამოვლის დროს მეკომურების ეზოში მიწაზე მიუსვ-მოუსვამს, რომ ამით მიწის ნაყოფიერება გამოიწვიოს. ხმლებივით გათლილი ჯოხები, მოკლე ჯოხი-კონკილა, ხის შამფურები, ხელჯოხები ბერიკას თანმხლებთა აუცილებელი ატრიბუტიკაცაა (რუხაძე, 1999:49). ყველა ეს მოქმედება ბერიკაობა-ყეენობის დროს ნაყოფიერების გამოწვევის მიზნით სრულდებოდა. ქართულ ეთნოგრაფიაში ჯოხები, ხისხმლები, შამფურები, ჩხირები და სხვ. ითიფალურობის გამომხატველად ითვლებოდა. მიჩნეულია, რომ ჯოხით და მისი მსგავსი ნივთებით ცემა და ჩხვლეტა უნდა იყოს სქესობრივი აქტის გამომხატველი და გამრავლებისათვის წარმოებული მაგიური მოქმედება (ჯავახიშვილი, 1951:64; ბარდაველიძე, 1953:134). ნაყოფიერების გამოწვევის იდეა დევს სექსუალური ლტოლვის გამომხატველ სიმბო-

ლურ მოძრაობებშიც, რომლებსაც „ოჰოი, ნანოს“-სმეფერხულები მიმართავენ.

„ხორუმისაგან“ განსხვავებით, „ოჰოი ნანოსათვის“ დამახასიათებელია ზიგზაგისებური, მიხვეულ-მოხვეული მწკრივი.თუ „ხორუმ“-ში სწორი ხაზით კოსმოსსა და ქაოსს შორის ბრძოლის შედეგად მოწესრიგებული სამყაროს მოდელია წარმოდგენილი, „ოჰოი ნანო“-ში ზიგზაგისებური მსვლელობით დარღვეულია ზღვარი სამყაროთა შორის, ნაჩვენებია მოფერხულეთა გადანაცვლება ამქვეყნიურიდან იმქვეყნიურში და პირიქით, რაც წარმოადგენს ტრიადის – „სიცოცხლე-სიკვდილი-სიცოცხლე“, მოკვდინება-აღდგომის მარადიული ციკლის განსახიერებას, რასაც სამყაროს გაცოცხლება და ნაყოფიერება მოსდევს. ასე, რომამ იდენტური ელემენტებით აჭარული „ოჰოი, ნანო“ორგანულ კავშირს ავლენს ბუნების ძალთა აღორძინების უძველეს ხალხურ დღესასწაულებთან ადრეკილაი, მელიაი ტუღეფიაი, საქმისაი, რომლებიც ნაყოფიერების, შვილიერებისა და საერთოდ, მოსავლიანობის მფარველი ღვთაების კვირიაის თაყვანისცემის ნაშთადაა მიჩნეული (ჯავახიშვილი, 1951:70).„ოჰოი, ნანო“ თავისი სახუმარო, საკარნავალო ხასიათის მიუხედავად, რაც მან დროთა განმავლობაში ტრანსფორმაციის შედეგად მიიღო, უკავშირდება უძველეს რწმენა-წარმოდგენებს ნაყოფიერებისა და მისი მიღწევის მაგიურ-რიტუალური საშუალებების შესახებ. ამ ფერხულს სამართლიანად უკავშირებენ ნაყოფიერების ქალღვთაების დიდი დედა ნანას კულტს, რომელიც დედობისა და შვილიერების მფარველი იყო(ა.ინაიშვილი, ჯ.ნოლაიდელი, გ.ჩხიკვაძე, 1961:5). ამდენად, „ოჰოი ნანო“ არის არა მხოლოდ სიმღერასთან შეწყობილი რიტმული მოძრაობა, არამედ გარკვეული მითოლოგიური სიუჟეტის განსახიერება.

მითორიტუალური სიმბოლიკა იკვეთება აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულ სხვა ციკვებშიც. რაც ადასტურებს, რომ ხალხური ქორეოგრაფია, როგორც ეთნოკულტურის არქეტიპი, ინახავს და ასახავს ქართველთა კოსმოსურ მითოლოგიურ წარმოდგენებს სამყაროს მოწყობის და სხვადასხვა კულტთან დაკავშირებული სარიტუალო პრაქტიკის სიმბოლური დატვირთვის შესახებ. ავთენტური საცეკვაო რიტუალები აჭარაში ორგანულ კავშირს ავლენენ ბუნების

ძალთა აღორძინების ხალხურ დღესასწაულებთან, ინახავენ რწმენა-წარმოდგენებს დროის ციკლურობის, ნაყოფიერების უზრუნველყოფის, სამყაროს განახლების, მოწესრიგების საშუალებათა შესახებ და იძლევიან ხელშესახებ მასალას არქაული მითოსურ-რელიგიურ სისტემების შესასწავლად.

ლიტერატურა:

1. ვ.ბარდაველიძე – სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, X, საქ. მეცნ. აკად. გამ-ბა, ტფ., 1939 წ.
2. ვ.ბარდაველიძე, ქართული (სვანური) სანესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953
3. ე.გელიაშვილი, ორნამენტული სიმბოლიკა ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში, (ავტორეფერატი), თბილისი, 2014
4. ლ.გვარამაძე, ქართული ხალხური ქორეოგრაფია, თბ., 1957
5. ავ.თათარაძე, ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ისტორიის საკითხები, თბ. 1999
6. ა.ინაიშვილი, ჯ.ნოლაიდელი, გრ.ჩხიკვაძე, მასალები აჭარული მუსიკალური ფოლკლორიდან, თბ., 1961
7. გ.კოკელაძე, ზოგი რამ ქართულ ცეკვაზე, თბ., 1977
8. თ.ლომთათიძე, ხალხური აგრალური წეს-ჩვეულებები აჭარაში, ბათუმი, 2014
9. ე.მაკარაძე “ხიხაძირული “ოჰოი, ნანო“, ბსუ-ს სამეცნიერო ცენტრის კრებული, II, ბათუმი, 2002
10. თ.მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბაზისი“, თბ., 1967
11. ჯ.რუხაძე, ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში, თბ., 1999
12. ირ.სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბილისი, 1993
13. ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1951
14. დ.ჯანელიძე, ქართული თეატრის ხალხური სანყისები, თბ., 1948
15. Керлот Х.Э., Словарь символов, М., 1994
16. Культурология, XXвек, М., 1995

17. Ранние формы искусства, М., 1972
18. Элиаде М.Э., Космос и история, М., 1987

Tamila Lomtadze
Nana Stambolishvili

Folk dance symbolism

Summary

Authentic dance rituals in Ajara is connected with the folk festivals of nature's power revival. They kept beliefs about cycle time, providing of productivity, renewal of universe and etc.

ნანული ნოლიდელი

ბერძნული ლექსიკონისათვის აჭარულ დიალექტში

ქართული და ბერძნული ენების ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი სათავეს უძველესი ხანიდან იღებს. ბერძნულ ენასთან კონტაქტებმა ქართულ ლექსიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა. ცნობილია, რომ ქართულში, ქრისტიანულ სარწმინოებასთან დაკავშირებული და საერთაშორის ტერმინების გარდა, დამკვიდრებულია ისეთი სიტყვები, როგორიცაა: ანდამატი, კალამი, კლიტე, მარგალიტი, საბანი, ტაბლა და სხვ. ბერძნული ნასესხობანი გვხვდება ქართული ენის დიალექტებშიც, მათ შორის, აჭარულშიც. ამ ნასესხობათა შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ერისა და ქართული ენის ისტორიის კვლევისათვის.

აჭარულ დიალექტში ბერძნულიდან ჩანს ნასესხები სიტყვა **კონდო**, რომელიც ახლაც აქტიური ლექსიკური ერთეულია ქობულეთურ კილოკავში. **კონდოს** ეძახიან პატარა გოგონას. ამასთანავე, უფრო ფართო სემანტიკით, იგი ხშირად კნინობითობის გამომხატველია და ქალის სოციალურ მდგომარეობას უსვამს ხაზს. მაგ.: „რა აქ გასახარელი მამ საცოდავს, ამდენი კონდოების პატრონს!“. ბერძნულში **Kontos** აღნიშნავს მცირე სიდიდეს, პატარას; **Kontoilas** კი ეძახიან პატარა ტანის ქალს.

აჭარულში ფიქსირდება სიტყვა **ლონდრო**, რაც უხემს, მსხვილს აღნიშნავს. „კანაფს, მეჩხერს თუ დავთესდით, ღონდრო-ღონდრო ძირებს გეიკეთებდა“. **ლონდრო (Xondros)** ბერძნულშიც სიმსხვილეზე, სისხოზე მიუთითებს: 1. სრული, მსუქანი; 2. მაგარი, მკვრივი; 3. მსხვილი; 4. უხეში, გაუთლელი.

ქართულ ენაში გვაქვს სიტყვა **ანტლია**, რაც სულხან-საბას განმარტებით, „ბერძნულად საყენებელია ნყალთა“. მართალია, სუბსტანტივის სახით ეს სიტყვა აჭარულ დიალექტში არ დასტურდება, მაგრამ გვაქვს მისგან ნაწარმოები ზმნა **დანტლევა**, რაც სითხეში მკვრივი, სქელი მასის დალექვას, ჭურჭლის ძირზე დაკრებას ჰქვია. მაგ.: „შრატი გაცივდება, ნადული შიან ჩავა და დეინტლევს ფსკერში, დაჯდება“.

სიტყვათა ამ რიგში შეიძლება განვიხილოთ ტერმინი **პნკალა**, რომელიც, აჭარულთან ერთად, გურულ დიალექტსაც შეუთვისებია. იგი ენოდება ორ პარალელურ ხეზე თანაბრად დამორებული ქდეების დამაგრებით გაკეთებულ მოძრავ კიბეს. ზოგან იგი საერთოდ კიბეს აღნიშნავს. „ნალი-აზე პნკალას მივაყუდებთ და ისე ავალოთ“. **პნკალა** უნდა მოდიოდეს კიბის ბერძნული სახელიდან **სკალა**. ბერძნულში იგი, ასევე, აღნიშნავს ტრაპს, ნავმისადგომს.

უშუალო სხეების გარდა, ტერმინები არაუშუალოდ, ერთი ენიდან მეორეში სხვა ენის მეშვეობითაც ხვდება. მაგ., აჭარულში გვაქვს ბერძნული სიტყვები, რომლებიც თურქული ენის მეშვეობით დამკვიდრებულან. ასეთი ტერმინები ხშირად დასტურდება ლაზურშიც. მაგ., **დემეთი** – დასტა, შეკვრა; **ვარიოზი** – დიდი ურო; **ლოდოსი** – თბილი, მოღრუბლული ამინდი, რომელიც აღნობს თოვლს (ნ.ნიჟ.); **ლეგენი** – თასი, ვარცლი; **სირა** – რიგი, ჯერი (ნ.ნიჟ.); **ფედევრა** – ყავარი (ნ.თანდ.); **ვიდე** – ცომის თხელი ფენა; **ფერიზი** – მორიდება, მოთმენა (ნ.თანდ.); **ქილისა** – ეკლესია და სხვ.

ცალკე გვინდა გამოვყოთ სიტყვა **ღრამი**. იგი აჭარული დიალექტის სამშენებლო ლექსიკის კუთვნილებაა და სამშენებლო ფიცარზე დამატებით გაკეთებულ სიგრძივ ნაჭდევს აღნიშნავს. როცა უნდათ ფიცრის პირები, კიდეები ერთმანეთში ჩასვან, ფიცრის პირებს სიმტკიცისათვის უკეთებენ დამატებით სიგრძივ ნაჭდევს, ღარს, რასაც **ღრამს** ეძახიან. **ღრამი** ბერძნულშიც გავლელულ ხაზს, რიგს, შემონერილობას, მიმართულებას აღნიშნავს, ხოლო **ღრამმა** – ასოს, დაწერილს, მეცნიერებას. სიტყვა **ღრამი** უშუალო კავშირში უნდა იყოს ენათმეცნიერულ ტერმინთან **გრამატიკა** და სხვ.

სიტყვა **თემბელი** ფართოდაა დამკვიდრებული აჭარულსა და ლაზურში. იგი არის თურქულშიც. ბერძნულში **tempelus** აღნიშნავს ზარმაცს, უსაქმურს. იგი მიღებულია სიტყვიდან **tempo** – დრო. თემბელი კი ის ადამიანია, რომელიც დროს ვერ უწყობს ფეხს, ზანტი და უქნარაა. აჭარული ფოლკლორი კარგად იცნობს ერთ-ერთი პოპულარული ზღაპრის პერსონაჟს თემბელ მემედას, რომელიც აჭარელ მეზღაპრეთა საყვარელი პერსონაჟი და ნაცარქექიას პროტოტიპია.

ქართულ-ბერძნული ლექსიკური ურთიერთობის თვალ-

საზრისით საინტერესოა ის ტერმინებიც, რომლებიც ბერძნულშია დამკვიდრებული და ქართველურ ენათა მონაცემების საშუალებით აიხსნება.

ცნობილია, რომ ხმელთაშუაზღვის აუზში, ნეოლითიდან მოყოლებული, მიმდინარეობდა სხვადასხვა ხალხთა ინტენსიური განსახლების პროცესები. არქეოლოგიური მონაცემებითაც დასტურდება, რომ ქართველური ტომები ამ პროცესის უშუალო მინაწილენი იყვნენ. ამიტომ, ქართველურ და წინაბერძნულ ენებს შორის მიმართებები სხვადასხვა გზით შეიძლება განვითარებულიყო: ქართველურ ტომთა ძველ საბერძნეთში მიგრაციით ან იქედან წინაბერძნულ ტომთა ნაწილის გადმოსახლებით. ამ ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე, გასაგებია, „თუ რატომ არსებობს ბერძნულში ქართველური (სამხრეთკავკასიური) წარმოშობის პლასტები. მრავალი ბერძნული სიტყვა, ბუნდოვანი თუ უცნობი ეტიმოლოგიისა, პარალელურად პოულობს ქართველურში“ (რ.გორდეზიანი, 1985). ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა *თელი*, რომელიც ქართველურ არქეტიპადაა გამოყოფილი და ბერძნულში ჰქვია ღორის ნაშიერს. *თელ-* ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის გამოყოფილ ძირად ითვლება (პ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, 1990:146).

ეს სიტყვა არ დასტურდება ძველქართულში. არც ახალი სალიტერატურო ქართული ენა იცნობს ამ ტერმინს. მხოლოდ სულხან-საბას ლექსიკონშია განმარტებული *თელი*, როგორც ღორის გოჭი. აჭარული დიალექტის მესაქონლეობის ლექსიკაში დასტურდება სიტყვა *ღორთელი*, რაც აღნიშნავს საქონლის ერთგვარ დაავადებას, რომელიც უჩნდება ხბომოსაყვან საქონელს და „უჭამს“ ნაყოფს.

განმარტებითი ლექსიკონის (ქეგლ) მონაცემებით, *ღორთელი* ცნობილი ყოფილა იმერულსა და რაჭულ დიალექტებშიც. იმერულში *ღორთელი* გინეკოლოგიური დაავადებაა. უჩნდება ფეხმძიმე ქალს და მუცელში „ჭამს“ ნაყოფს. რაჭულში კი *ღორთელი* ყელის ერთგვარი დაავადებაა. *ღორთელ/ღურთელ* დასტურდება სვანურშიც ყელის ჯირკვლისა და ყელის ჯირკვლის ტუბერკულიოზის აღსანიშნად (ვ.თოფურია, მ.ქალდანი, 2000)

ტერმინი *ღორთელი* კომპოზიტია. ამ ლექსემის მეორე შემადგენელი სიტყვა *თელი*, როგორც ჩანს, აჭარულს, იმე-

რულ და რაჭულ დიალექტებთან ერთად, შემოუნახავს ტერმინში **ღორთელი**.

აღსანიშნავია, რომ ბერძნულში არის სიტყვა **kellon**, რაც მოგრეხილს, მოღრეცილს, ნაკლულს აღნიშნავს (რ.გორდეზიანი, 1985:64). აჭარულში **კელი** სუბსტანტივის სახითაა შემონახული და საფუძველს უმყარებს ქართული და სვანური ენების მონაცემებს, მით უფრო, რომ გარდა აჭარულისა, ფუძის სახით (**კელ**) იგი ქართული ენის სხვა დიალექტებში და ძველ ქართულში არ ფიქსირდება. სავარაუდოდ, **კელი** საერთოქართველური სიტყვაა.

კელი არის მოკლე ფიცარი, რომელიც იხმარება მშენებლობის პროცესში საჭირო სხვა ფიცრის დასაგრძელებლად, „ნასაკერებლად“, ან მოკლე კედლის ასაშენებლად ფანჯრებსა და კარსა და ფანჯრებს შორის. „ლოჯის აყვანისას, თუ ფიცარი სიგრძეში არ ყოფნით, სიგრძის ფიცარს, კელს წაამატებენ; ფანჯარასა და კარს შუა კედელიც კელით აჰყავთ“ (ნ.ნოლაიდელი, 2013:14). აჭარულში გვაქვს, ასევე, სიტყვა **კელობს**, რაც კოჭლობას აღნიშნავს („კელობითა რათა მწუნობ, /განა კურდღელს მადევნებო?!“). ძველ ქართულშიც კელობა კოჭლობაა: „იგი კელობდა ბარკლითა მით“ (ი.აბულაძე, 1975). ქართველურ ენათაგან ქართული კოჭლის (**მკელობელი**) შესატყვისი გვქონდა სვანურშიც (**მკ-კლ-ი** – კოჭლი; **ი-კლ-ი** – კოჭლობს), რომელიც ავლენს ქართული **კლ(←კელ)** ძირის კანონზომიერ შესატყვისს. გამოთქმულია ვარაუდი, რომ **მკლე/მოკლე** ფორმები უკავშირდება **კელ/კლ** ზმნურ ძირს (ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, 1990:173) და მისი შეპირისპირება შეიძლება ქართულ-ზანური ერთიანობის დონემდე ამაველ ქართულ **კელ/კლ** ფუძესთან (მეგრ.-ჭან. **კორ**.-რ.გორდეზიანი, 1985:54).

ამავე თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ ტერმინი **გენი**, რაც ბერძნულში გვარს, შთამომავლობას, წარმოშობას აღნიშნავს. მეგრულსა და ლაზურში **გენი/გინი** ხბო, ძროხის ნაშიერია. **გენ** და მისი ფონეტიკური შესატყვისობის **გინ,გან,გენ** ძირის ტერმინები დადასტურებულია აჭარაშიც, მესაქონლეობის ლექსიკაში: **გენვა** (და მისი ფონეტიკურად სახენაცვალ ფორმები: **მოგანება, მოგერება, მოგანურება, მოგერისება**) აღნიშნავს მონველამდე ხბოს მიშვებას დედას-

თან ძუძუს მსუბუქად გამოსაწოვად. *გუნჯა* ამავე სემანტიკით გვაქვს გურულსა და იმერულში.

ამ ტერმინთან დაკავშირებით ბევრ მეცნიერს აქვს გამოთქმული თვალსაზრისი (ს.ჟღენტი, არნ.ჩიქობავა, ალ.ლონტი, ნ.სურმავა, ზ.თანდილავა, ც.ნარაკიძე და სხვ.). მიღებულია მოსაზრება, რომ ქართული ენის დასავლურ დიალექტებში არსებული სიტყვა *მოგუნება* და სხვა ფონეტიკური სახესხვაობები ზანური *გუნ* ძირიდან მომდინარე ფორმებია და ზანიზმია ამ დიალექტებში, თუმცა, ბოლო გამოკვლევებით, *გუნ* ძირს ზოგი მეცნიერი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანის კუთვნილებად ასახელებს (ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, 1990:78), ზოგიც საერთოქართველურ ძირად გამოჰყოფს (თ.გამყრელიძე, ვ.ივანოვი, 1984), მაგრამ ზ.თანდილავა აღნიშნავს, რომ „საკუთრივ მეგრულ-ჭანურში *გუნ* ძირი ბერძნულიდან ნასესხები ჩანს“ (თანდილავა, 1989:74).

თუ ზემოთგანხილულ ტერმინებს (*თელი, კელი...*) გავიხსენებთ, შესაძლოა, მოხდა პირიქით და *გუნ* ძირი მართლაც საერთოქართველურიდან გავრცელდა ბერძნულში, მით უფრო, რომ *გუნ, გან, გინ, გურ, გრ* ძირებთან დაკავშირებით კიდევ შეიძლება გამოვყოთ ტერმინები, რომლებიც აჭარულში, გარდა მესაქონლეობის ლექსიკისა, ნათესაობის ლექსიკაშიც გვაქვს. მაგ.: *ნაგრამი, ნეგრო*. ეთნოლოგიური მონაცემებით, ისინი შთამომავლობას აღნიშნავენ (მგელაძე, 2004:76; ჯავახიშვილი, 1937:184). აჭარულში გვაქვს სამეურნეო ტერმინებიც: *ნაგერალი* – მოსავლის ალების შემდეგ დარჩენილი და მოკრეფილი მოსავლის ნაწილი; ასევე, დაუთესავად, მიწაში დარჩენილი თესლისგან ამოსული კულტურული მცენარე. *მონაგერება* – მოსავლის ალების შემდეგ დარჩენილი ნაწილის მოგროვება და სხვ. აქვე უნდა აღვნიშნოთ არაკვიდრი შვილის ლიტერატურული სახელიც – *გური*.

დასახელებულ სიტყვა-ტერმინთა შედარება გვაძლევს საშუალებას, გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ყველა ზემოთდასახელებული სიტყვა *გუნ/გურ/გრ* ძირიდანაა მიღებული, შთამომავლობას აღნიშნავს და საერთოქართველურიდან იღებს სათავეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი.აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973
2. რ.გორდეზიანი, წინარებერძნული და ქართველური, თბ., 1985
3. ა.თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბ., 2013
4. ზ.თანდილავა, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური კვლევა-ძიება ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, IV, თბ., 1989
5. ვ.თოფურია, მ.ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000
6. ნ.მგელაძე, აჭარული ნოგრო და გვარი, ბათუმი, 2004
7. შ.ნიჭარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971
8. ნ.ნოლაიდელი, ლექსიკური ძიებანი, ბათუმი, 2013
9. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1928
10. ჰ.ფენრიხი, ზ.სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990
11. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, თბ., 1950-1964
12. ივ.ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფ., 1937
13. Т.Гамкрелидзе, В.Иванов, Индоевропейский язык и Индоевропейцы, I-II, Тб., 1984

Nanuli Noghaideli

For Greek vocabulary in Ajarian dialect

Summary

From ancient times, contacts with the Greek language has significant impact on Georgian dialect. We found varinats of Greek in Georgian language, including in Ajarian. Also it's interesting these terms that are established in the Greek and are opening through Georgian languages.

სარფის ეთნოგრაფიული პანორამა

სარფი, თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ისტორიული კოლხეთის ერთ-ერთ უძველეს მემკვიდრეთა, ლაზებით კომპაქტურად დასახლებული სოფელი, ქართველოლოგთა სხვადასხვა მიმართულების მკვლევართა ყურადღებას იწვევდა, რომელთაგან განსაკუთრებით გამოვყოფთ: ნიკო მარის, იოსებ ყიფშიძის, არნოლდ ჩიქობავას, გიორგი ჩიტაიას, მუხამედ ვანილიშის, ალი თანდილავას, ზურაბ თანდილავას და სხვათა შრომებს. მათი შრომების და სხვა ავტორთა მიერ გამოყენებული წყაროების, მოსაზრებების, ასევე, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში დაცული საარქივო მონაცემებისა და ახლად მოპოვებული საველე-ეთნოგრაფიული მოასაღების შეჯერების კვალობაზე გვესახება ამოცანა წარმოვაჩინოთ სარფელთა ტრადიციული და ახალი ყოფაცხოვრების ცალკეული მხარეები. აქედან გამომდინარე, ვითვალისწინებთ იმასაც, რომ სარფი ლაზეთის კონკრეტული სოფელია, რომლის შესწავლაც გარკვეულად შეავსებს ჩვენს ცოდნა-წარმოდგენას ზოგადად ლაზეთზე, მიუხედავად იმისა, რომ მას, ისტორიულ-გეოგრაფიული თუ პოლიტიკური ხვედრის გამო, გააჩნია ლოკალური ეთნოგრაფიული თავისებურებები.

აჭარის, განსაკუთრებით ქვემო აჭარისა და ლაზეთის ზღვისპირა ზოლის მსგავსი ვერტიკალური ზონალობის, შესაბამისად მიახლოებული ბუნებრივ-კლიმატური პირობების არსებობამ ორივე კუთხის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაშიც მეტნაკლებად სამეურნეო კულტურების ანალოგიური ელემენტებისა და ფორმების განვითარება განაპირობა როგორც მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, ასევე, ხელოსნობის სხვადასხვა დარგში, რომელთაგან გამორჩეულობით ხასიათდება და განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელოსნობის, კერძოდ, ლითონის დამუშავების უძველესი დროიდან მომდინარე მაღალი კულტურა¹ და ძვირფასი სამშენებლო თვი-

სებების მქონე ხე-ტყის სიმდიდრე. ამ ორი ფაქტორის ჰარმონიულად შერწყმამ მტკიცე მატერიალური ბაზა შეუქმნა „ხით მუშაკობის“ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების ჩამოყალიბება-განვითარებას. აღნიშნული გარემოების ფაქტორივი დადასტურებაა ხელვაჩაურისა და ქედის რაიონებში, ნანილობრივ ქობულეთისა და შუახევის ცალკეულ სოფლებში, ასევე, ლაზებით კომპაქტურად დასახლებულ სარფში და იმის იქით ზღვისპირა ლაზეთის ვრცელ ტერიტორიაზე² მატერიალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფენომენის დასავლურ-ქართული საცხოვრებლის – ოდა-სახლის ქვეტიპების ანალოგიური არსებობა. აღნიშნული ოდა-სახლის ერთ-ერთი უძველესი ფორმა კოლხური ჯარგვალია, რომელიც გარდაიქმნა დროთა განმავლობაში ზედშედგმულ ერთსათავსოიან ჯარგვალად, იქედან შემდგომში თანდათან განვითარდა ე. წ. ცალპირა სახლის ფორმად და მისი სრულყოფილება დასრულდა აჭარული და ლაზური ორსართულიანი სახლის სახით.¹ ლაზებისა და აჭარლების აქტიური სამეურნეო კონტაქტები, ხუროთმოძღვრული გამოცდილების ურთიერთგაზიარება მნიშვნელოვნად ხელს უწყობდა საცხოვრებელი სახლების მსგავსს საკულტო ნაგებობათა-მეჩეთების მშენებლობას². ის რომ ლაზი მოგზაური ხუროები ჯამეებს აჭარაში, ისევე როგორც საკუთრივ ლაზეთში³ ადგილობრივ საცხოვრებელ ნაგებობაზე მიმსგავსებულს აშენებდნენ, კონკრეტული ფაქტებით გამოიხატება⁴: შენობის კვადრატული ფორმის, ოთხფერდა გადახურვით, ხის ფიცრული კედლების აგების ტექნიკური ხერხებით, ქვის საძირკველის ან ქვის პირველი სართულის ზემოდან ხის მეორე სართულის დაშენებით და ა.შ. ხალხური ხუროთმოძღვრულკონსტრუქციული ელემენტების მსგავსების გარდა თვალსაჩინოა ჯამეების ინტერიერში შემონახული უძველესი ქართული ტრადიციული ორნამენტული ხელოვნების ნიმუშების საწესჩვეულებო, როგორც წინაქრისტიანული, ასევე, ქრისტიანული სიმბოლიკით ან რწმენა-წარმოდგენებით გაჯერებული სახვითი მოტივები (ჯ. ვარშალომიძე, 2008).

სარფელებისათვის და სარფის გარდა აჭარის სხვა სოფლებსა თუ ქალაქებში მცხოვრებ ლაზებისათვის შემა-

ფერხებელ გარემოებას არ ქმნიდა აჭარლებთან მოყვრულ-ნათესაური ურთიერთობის დამყარების პრაქტიკა.⁵ იტყოდნენ: მოყვრობა უნდა „გავანედლოთ“, ე.ი. განვავახლოთ, გამოვაცოცხლოთ და საამისოდ საიმედო საფუძველს მშობლების თუ მკვიდრი ახლობლების ინიციატივის გამოჩენა წარმოადგენდა. სასიძოს მთავარ ღირსებად „კაცურ კაცობა“ მიიჩნეოდა, რაც მტერ-მოყვარესთან შესაფერის საპასუხო ურთიერთობის უნარს გულისხმობდა. საპატარძლოსაგან პირველ რიგში პატიოსნებასა და შრომისმოყვარეობას მოითხოვდნენ. ისევე როგორც შერჩევის დროს უპირატესობა ენიჭებოდა გვარსა და წოდებას (ვანილიში, თანდილავა, 1964:113). დანარჩენ თვისებებს ქალი მეუღლის ოჯახში შეიძენდა ან განიმტკიცებდა. საქორწინო ურთიერთობისათვის ქალ-ვაჟთა მიმართ წაყენებული მოთხოვნების მინიმუმი დავასახელებთ, ხოლო სხვა დანარჩენს კი უფრო მეტად პარტნიორთა ინდივიდუალურ პიროვნული ხასიათი განაპირობებდა. შეიძლება ითქვას, რომ ლაზები ხშირად ათხოვებდნენ ქალიშვილებს აჭარლებზე და პირიქით აჭარლებიც ხდებოდნენ სასურველი საპატარძლოები ლაზების ოჯახში. ამ რიგის დაოჯახების ფაქტები, არა შემთხვევითი და იშვიათია, არამედ ჩვეულებრივი და საკმაოდ მრავალი. ასეთ ოჯახებში დაბადებული ბავშვები ლაზურ-ქართულ ენოვანი ხდებოდნენ, ისევე როგორც მათი მშობლები. საყურადღებოა ისიც, რომ ამგვარი საქორწინო ცერემონიისა და საზეიმო-სადღესასწაულო პროცესისათვის უცხო არ იყო ერთმანეთს შეჯიბრებოდნენ ცეკვასა და სიმღერაში. ლაზსა თუ აჭარელს არა მარტო საკუთარი ტრადიციული ცეკვა-სიმღერის შესრულებას მოუწონებდნენ, არამედ სათანადო შეფასებას შექება-ნახალისებას იმსახურებდა თუ ლაზი აჭარულ „განდაგანას“ ან აჭარელი ე.წ. „ლაზხორუმს“ წარმატებით იცეკვებდა. „ლაზხორუმის“ ცეკვისას წრეში ხელი-ხელ ჩაკიდებულნი იყვნენ ორივე კუთხის წარმომადგენლები. ამგვარი მხიარულება ხშირად იმითაც მთავრდებოდა რომ რომელიმე ჭაბუკი „თვალს დაადგამდა“ ქალიშვილს. ცეკვა-თამაშს სიმღერები და შაირები მოჰყვებოდა. შენიშნულია, რომ სიმღერა და ცეკ-

ვა ერთდროულადაც სრულდებოდა როგორც ლაზებში ისე აჭარლებში—დანყებულ სიმღერას საცეკვაო ილეთებს შეახამებდნენ.

ლაზურ-აჭარული კონტაქტები და ურთიერთობის ჯანსაღი ფორმების ჩამოთვლა შეიძლებოდა კიდევ გაგვეგრძელებინა ისევე როგორც წეს-ჩვეულებები (ვანილიში, თანდილავა, 1964). მაგრამ ჩნდება კითხვა ლაზები თუ იყვნენ ანალოგიურ დამოკიდებულებაში, ახლო ურთიერთობაში კვარიანთში, გონიოსა და კახაბერში მცხოვრებ ხემშილ//ჰემშილ//ჰემშინთა ან კიდევ ქურთთა¹ თუ თურქთა წარმომადგენლებთან², 1944 წლამდე, ვიდრე მათ გაასახლებდნენ ამ სოფლებიდან. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ისინი დასახლებული სოფლების მოსახლეობის უმცირესობას წარმოადგენდნენ და ძირითადად მომთაბარე მესაქონლეები იყვნენ, ალპურ ზონაში ატარებდნენ გაზაფხულის მიწურულიდან, ზაფხულის თვეებსა და შემოდგომის დასაწყისს პერიოდსაც¹. მათ ბარში საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა საკარმიდამო მიწის ნაკვეთები და აიშენეს ლაზების მსგავსი სახლებიც. ისინი ვიდრე საზაფხულო იალალებზე გაემგზავრებოდნენ მიწას დახმავდნენ და ზოგჯერ სიმინდს კიდევაც დათესდნენ, რომლის გათოხნა შეთანხმებისამებრ სარფელებს უწევდათ. ამკარად ჩანს, რომ სამინათმოქმედო საქმიანობაში ხემშილები თუ თურქები ლაზებთან გარკვეული ფორმით და ოდენობით თანამონაწილეობდნენ. ე.ი. მათ გააჩნდათ სამეურნეო ხასიათის გარიგებები და იგი არ ვრცელდებოდა საქორწინო-საოჯახო კავშირ-ურთიერთობის სფეროში. საგულისხმოა, რომ სარფელებმა ვერ გაიხსენეს თუნდაც ერთი შემთხვევა მეზობელ სოფლებში—კვარიანთსა და გონიოში მცხოვრებ ქურთებთან ან ხემშილებთან საქორწინო კავშირისა, თუმცა ამგვარ ცდას ჰქონია ადგილი.² ანალოგიური კითხვა თურქეთის სარფში მცხოვრებ ლაზთა მიმართაც გვექონდა, რადგანაც ამ სოფლის განაპირა მხარეს ე.წ. ხემშილლუღში, სადაც ხემშილები ამჟამადაც კომპაქტურად ცხოვრობენ არ დადასტურდა ჩვენთვის საინტერესო, ანალოგიური საქორწინო ურთიერთობა.

წარმოდგენილი ვითარების საფუძველზე ირკვევა, რომ ლაზები თურქ-ხემშილებთან, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სისხლით ნათესაობას კატეგორიულად ერიდებოდნენ, ერიდებოდნენ ქორწინებას. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ გამომდინარე სარფში ორიოდ ფაქტი აღინიშნა რუსი ეროვნების მამაკაცზე, სამხედრო მოსამსახურე-მესაზღვრეზე ლაზი ქალიშვილის გათხოვებისა-პაშკოვისა და ხარჩენკოს მიერ შექმნილი ოჯახები სარფშია დამკვიდრებული. აქედან გამომდინარე ნათელია რომ სარფელებმა ბოლო დრომდე შეინარჩუნეს გენეტიკურად კოლხური სისხლი, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები და ა.შ.

ამჟამად, ძნელია იმ აღმავრენისა და გაბრწყინებული საუკუნეების წარმატებების ჩამოთვლა¹, რასაც ძველი კოლხების მემკვიდრეები ლაზები, მათ შორის სარფელების წინაპრები ეზიარნენ. საამისოდ ერთი ბიზანტიელი ისტორიკოსის, VI საუკუნის მოღვაწის, აგათიას სქოლასტიკოსის დახასიათებაც კმარა: „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენდნენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობდნენ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოებს ექვემდებარებოდნენ, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული თავისი სიმდიდრით, სურვილით და ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მინა-წყლის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზითა და სიცქვიტით“ (ყაუხჩიშვილი, 1936:50-51).

გაცილებით უფრო ძნელია იმ ავბედითი, თურქული ხმლით დაღვრილი სისხლის თითოეული წვეთის, თითოეული მომაკვდავი გმირ-ვაჟკაცის კვნესა-ტკივილის გახსენება, რაც სვავებივით მოვარდნილმა მტერმა, XV საუკუნის მეორე ნახევრიდან თავს მოახვია და საბოლოოდ ფიზიკურად დაიმორჩილა ლაზეთი, მაგრამ ვერ წაართვა სიამაყე, რომელიც გულში ჰქონდა ჩამარხული. ჟამთა სვლამ მაინც დიდი საფრთხის წინაშე დააყენა ლაზეთისა და ლაზების მომავალი. სწორედ ერთი საუკუნის წინ, 1915 წელს, წერდა იოსებ ყიფშიძე: „ნუთუ ამდენი სისხლი ჭანებისა უნაყოფოდ უნდა დაიკარგოს... არცერთი ისტორიული პიროვნება, გინდ ტომი,

რომელთაც დღემდის მოუღწევიათ, არ იმყოფება ისევ საშიმ მდგომარეობაში, როგორშიც დღეს ჭანები არიან. მე–20 საუკუნეში ის ტომებიც კი, რომელთაც ისტორიული წარსული არ აქვთ, არ მიუძღვით არავითარი ღვანლი კაცობრიობის წინაშე, წელში იმართებიან... ჭანები კი, ლითონის დამუშავების პიონერები და ამ დარგში კაცობრიობის მოძღვარნი, სწორედ ამ დროს მიექანებიან უფსკრულისაკენ“ (თანდილა-ვა, 2005:6). „უფსკრულში გადაშვებაში“ უთუოდ მოიაზრება ლაზური ენის დაკარგვის პროცესი. ამ საშიშროების აღიარება უკვე პროგნოზებიდან რეალობად იქცა. გასაგებია, რომ ეთნიკური ცნობიერების სამი განზომილებიდან მამული, სარწმუნოება თურქების ძალმომრეობით დაიკარგა. სწორედ, საგანგაშო დარჩა ყოფნა არ ყოფნის, ანუ ლაზური ენის მომავალში არსებობის პრობლემა.

როგორც აღვნიშნეთ ამ ნეგატიური, გაუცხოების პროცესის გაღრმავებას სტიმული მისცა სარფში საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის სახელმწიფო საზღვრის დაკანონებამ. თურქეთის ლაზეთის სრული იზოლაცია ქართული სამყაროდან ხიდჩატეხილობის პრობლემას აღრმავებდა ნებისმიერ სფეროში.

ამიტომაც აქტუალურად მიგვაჩნია დიდი ისტორიული წარსულის მქონე ლაზეთის ერთ-ერთი სოფლის – სარფის თანამედროვე თვალთახედვით ეთნოგრაფიული შესწავლა.¹ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ერთადერთი სოფელია საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ლაზები. ამ სოფლის გარდა ისინი ცალკეული ოჯახების სახით ხელვაჩაურის რაიონის სხვა სოფლებში: გონიოში, ახალსოფელში, სიმონეთში, მახოში ცხოვრობენ.

ცნობილია, რომ სარფი, სოფ. მარადიდისა და მაჭახლის ხეობის მსგავსად, 1921 წლიდან, ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და ყარსის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ორად გაიყო: გამოღმა – მოლენი საქართველოს და გაღმა–მელენი თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა. სოფლის პატარა მდინარე ტიბაში//ტობაში გახდა ორი სახელმწიფოს მიჯნა, გავლებული იქნა საზღვარი, 1938

ნლიდანშენწყდა ყოველგვარი კონტაქტი მონათესავე ოჯახებს შორისაც.¹ სახელმწიფოთა განსხვავებულმა სისტემებმა, იდეოლოგიურმა, ეკონომიკურმა, სოციალურმა თუ პოლიტიკურმა იზოლაციამ მოსახლეობაში დაამკვიდრა ფსიქოლოგიური დაძაბულობა. რადიკალურად განსხვავებულმა ცხოვრების წესმა, სულიერი გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციებმა კულტურის სფეროში, თვალსაჩინო გახადა ასიმილაციის პროცესი. კერძოდ, გამოღმა–მოლენი სარფის მკვიდრნი უფრო ადრევე ეზიარენ ქართულ სასკოლო განათლებას, საკლუბო ღონისძიებებს (კინო, კონცერტი, სპექტაკლი), ბიბლიოთეკა–სამკითხველოს: ქართულ ენოვან ყურნალ-გაზეთებს, წიგნებს; საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მიეცათ შანსი სწავლა უმაღლეს ან საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში გაეგრძელებინათ. სწავლისადმი ინტერესი თითქმის ყოველსმომცველი აღმოჩნდა. გამოღმა სარფელებთაგან ბევრი ექიმი თუ ექთანი, ინჟინერი თუ აგრონომი აღიზარდა. მომრავლდნენ მასწავლებლები თუ ლექტორები, სწავლულ-მეცნიერები. ზოგიერთნი კი– სახელმწიფო დაწესებულებაში სხვადასხვა თანამდებობაზე მოსამსახურენი გახდნენ. როგორც აღვნიშნეთ ასევე, ამ მხრივ მნიშვნელოვანი ფაქტორი დარჩა საქორწინო ურთიერთობები სარფელებისა არა ლაზი მოსახლეობის სარძლოებთან თუ სასიძოებთან. ამ რიგის ოჯახებში ჩვეულებრივი მოვლენაა ორენოვნება–ქართულ-ლაზურობა.

შეუძლებელია გამოღმა სარფელთა კიდევ ახალი სულიერი ფერისცვალება არ აღინიშნოს: 2003 წლის აგვისტოში ამ სოფლის მოსახლეობიდან ბევრი მათგანი ქრისტიანულ წესზე მოინათლა, ახლად აშენებული ეკლესიის მრევლი გახდა...

თურქეთის სარფშიც ხელშესახებია თანამედროვეობისათვის დამახასიათებელი ცვლილებები, როგორც ნეგატიური ისე პოზიტიურიც. აქედან მეტად მნიშვნელოვანია, ის, რომ ქართულ//ქართველური ცნობიერება თვითდინებით განიცდის დეგრადაციას. ისეთი თაობა მოვიდა, რომელთა ერთი ნაწილი აღიარებს თავის ლაზურ წარმომავლობას, მეგრელებთან ენობრივ ნათესაობა–სიახლოვეს. მათ მიაჩნიათ, რომ ყოველივე ეს იყო შორეული წარსულის კუთვნილება.

მეორენი კი უარყოფენ ქართველებთან ნათესაობას. ამბობენ, რომ ქართველი სხვაა, ლაზი სხვააო.¹ გენეტიკურ ცნობიერების ამგვარი გაუცხოების რამდენიმე მიზეზი შეიძლება არსებობდეს. ამათგან ერთ–ერთი, სავარაუდოა იყოს თურქოფილური თუ თურქოცენტრული ტენდენციები, სხვადასხვა ერების ეთნიკური ნიველირება–ასიმილირება, თურქეთის ერთიანი მოქალაქეობის ჩამოყალიბების მოთხოვნებით, რასაც საუკუნეების მანძილზე ნერგავდა ოსმალეთის იმპერიის მმართველი ძალები. ამ თვალსაზრისით დიდი როლი შეასრულა მოსახლეობაში გენეტიკურ–ისტორიული მეხსიერების დაკარგვამ, განათლების დაბალმა დონემ,² მუსლიმანური რელიგიის წარმომადგენელთა ყოველდღიურმა ზეგავლენამ. ისინი შთააგონებდნენ მორწმუნეებს ისლამის ჭეშმარიტ უპირატესობას სხვა რელიგიებთან მიმართებაში. ქართველობა//გურჯობა აღიქმებოდა მართლმადიდებლურ ქრისტიანობად, რასაც საუკუნეების განმავლობაში ცეცხლითა და მახვილით ებრძოდნენ. ეკლესიებს ანგრევდნენ ან მეჩეთებად გადააკეთებდნენ. თანდათანობით მტრის ხატად ჩამოყალიბებულ ქართველის მცნებას მიიჩნევდნენ ურწმუნოების–გიაურების სიმბოლოდ. ამიტომაც ისტორიაში ჩახედავი ლაზისათვის ქართველობასთან ნათესაური კავშირის აღიარება დიდი ცოდვის გათავისებას ნიშნავდა. წარმოდგენილი ვითარების გარდა არსებობდა სხვა მიზეზებიც, მათ შორის ანგარიშგასანევია თურქული ენის ცოდნის დაუფლება პრაქტიკული აუცილებლობის გამო. მათთან ყოველდღიური სავაჭრო–საყოფაცხოვრებო ურთიერთობისათვის. ურთიერთობა შრომითი დასაქმების¹ თუ სხვა გარემოებები ცხოვრების უკეთ მონყობის შანს აძლევს ყველას, განსაკუთრებით თანამედროვე მოსწავლე ახალგაზრდობას, თურქული ენის ცოდნა თითოეული მათგანისათვის სამომავლო წარმატებებისა და პერსპექტივებისაკენ მიმავალი უკეთესი გზაა. შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ უცხო პირთან კონტაქტს, გულახდილ საუბარს მელენის, ანუ თურქეთში მცხოვრები, სარფელები ერიდებიან სასაზღვრო რეჟიმის მოთხოვნებიდან გამომდინარე². ამ თვალსაზრისით ისინი გა-

ცილებით უფრო თავშეკავებულები არიან, ვიდრე გამოლმა საქართველოს სარფელები... აღნიშნული გარემოება ახსნა-დია, რადგანაც ჟანდარმერია ზედმეტი ცნობისმოყვარეობისაგან, კონტაქტისაგან თავშეკავებას მოითხოვს და ეს გასაგებიცაა. ორ ათეულზე მეტი წელი გავიდა, რაც რუსი მესაზღვრეები აღარ არიან. ანალოგიური შეზღუდვებისაგან თავისუფალია საქართველოს სარფი.

ბუნებრივია, თურქეთის სარფელთა აღნიშნული საკომუნიკაციო სიტუაცია ზოგადი და ზედაპირულია, შეიძლება ითქვას ოფიციალური სადემონსტრაციო ნორმებია, რომლის მიღმა სიღრმეში მრავალჯერადი კონტაქტისა და დაახლოება-გაშინაურების შემდეგ მაინც გულწრფელად მყლავნდება იდუმალი ზოგად ქართველური ნიშნები, განსაკუთრებით – სტუმართმოყვარეობის ელემენტები, რომელიც საერთო ყოფილა უძველესი დროიდან მოყოლებული. შეიძლება ითქვას, რომ ზოგადქართველური ისტორიული მესხიერება თითქმის გამქრალია¹. იგი თავს იჩენს უფრო მეტად ძირძველი ტრადიციების მქონე სამეურნეო საქმიანობის ცალკეულ დარგებში.

სარფი საკმაოდ მჭიდროდ, ლაზებით კომპაქტურად დასახლებული სოფელია რომელსაც ამჟამად გააჩნია დემოგრაფიული ზრდის დაჩქარებული ტემპი. გაღმა-გამოლმა სარფის ბუნებრივ-კლიმატურმა პირობებმა ზღვისპირეთის ულამაზესმა სუბტროპიკულმა გარემოებამ თურქეთ-საქართველოს სასაზღვრო ზონამ, ორ სახელმწიფოთა შორის დამაკავშირებელი პუნქტის ფუნქციის შეძენამ, მასზე გამავალმა საერთაშორისო საავტომობილო მაგისტრალმა მონესრიგებული ინფრასტრუქტურით, არსებითი გავლენა მოახდინა ერთ დროს ნაკლებად ცნობილ პატარა, ხმელეთით ძნელად მისასვლელ სოფელზე². ამ სოფლის დასავლეთი ნაწილი ზღვის სანაპირო ზოლი ვაკე-დაბლობით იწყება, ხოლო დანარჩენი სამი მხარე შემორკალურია კლდოვან-ქარაფოვანი, გორაკ-ბორცვიანი რელიეფით. რაც უფრო ვშორდებით ზღვის სანაპიროს ფერდობი თანდათან მალღდება და მიიწევს ტყით დაფარულ მთისკენ. ფერდობზე მოედინება ნაკადულები, ლელები, პატარა მდინარეები, რომელთა ხან-

გრძლივი მოქმედებით დასერილ ხეებს შორის არსებული მინები ძველთაგანვე გამოყენებული იყო საკარმიდამო ნაკვეთებად. შეზღუდული იყო მესაქონლეობა საიალადო საძოვრებისა და სათიბავი მინების უკმარისობის გამო. აქაურ მოსახლეობას სულ მცირე 1–2 ძროხის ნანველით მხოლოდ საოჯახო მოთხოვნების დაკმაყოფილება შეეძლო¹. ცნობილია, რომ ზოგიერთ სარფელს ჩალა–ბალახი ნავით ბათუმიდან შემოჰქონდა. სოფლის პირობების კვალობაზე მოსახლეობა შეგუებული იყო სამინათმოქმედო სავარგულების სიმცირეზე; მიუხედავად იმისა, რომ ნიადაგის თითოეული მტკაველი რაციონალურად იყო გამოყენებული, მიმართავდნენ ნაკვეთების დამუშავება–დასვენების მონაცვლეობას. ანოყიერებდნენ საქონლის ნაკელითა და ზოგჯერ ხამსას მეშვეობით. მიუხედავად ამისა, ამ სოფლის დიდ უმრავლესობას მარცვლეული 6–8 თვესაც კი არ ჰყოფნიდა და ამიტომაც სიმინდს თესდნენ გონიოს, ნაწილობრივ კახაბრის მინდვრებზეც ხოლო მაკრიალში, იგივე ქემალფამას, ტერიტორიაზე ხასან კახაილიშის მინაზე მოჰყავდათ ბრინჯი. მოჰყავდათ ბოსტნეულ–ბაღჩეული. საკარმიდამო ნაკვეთის გარე ნაპირზე გაშენებული ჰქონდათ სხვადასხვა ხეხილი². ვაზის ჯიშებიდან გავრცელებულ ფილოქსერას თუ სხვა დაავადებას გაუძლო კაჭიჭმა და „ადესამ“³. მეფუტკრეობა ლაზების უძველეს წინაპრებსაც მოდგამდათ და იგი ეთნოგრაფიულ სინამდვილემდე მოაღწია–მეტწილად წიფლის ხეზე შედგმული სკა–როგოების სახით¹. ციტრუსებიდან ნარინჯის, ფორთოხლისა და ლიმონის ხეები ადრეც ჰქონიათ², ხოლო მანდარინი „ინშიუ“, რომელიც საქართველოში 1896 წელს იაპონიიდან შემოიტანეს, სუბტროპიკულ ზონაში, მათ შორის, სარფში მისი გაშენება დაიწყო XX საუკ. დასაწყისში (ბაქრაძე, 1971:10), ხოლო მასობრივად 1920–იანი წლებიდან გავრცელდა. იგი სარფელთა შემოსავლის ძირითად წყაროდ იქცა. თითოეული კომლი საშუალოდ 5–6 ტონა ნაყოფს ჰკრეფდა და აბარებდა მიმღებ პუნქტებს. ამჟამად, ციტრუსები, რუსეთის ბაზრის დაკარგვის შემდეგ ვეღარ იძლევა ეკონომიკურ ეფექტს. ჯერჯერობით არავინ დაინტერესებუ-

ლა მანდარინის ნაყოფის გადამუშავებით, ნატურალური ნვენების ჩამოსხმით თუ ჯემებისა და მურაბების დამზადებით. ბუნებრივია, ციტრუსოვანთა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს შეიძენდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა და უცხოეთშიც გამოუჩნდებოდა მყიდველები. ამ მიმართულებით პროგრესი ჯერ არ შეიმჩნევა, თუმცა ორ ათწლეულზე მეტი დრო გავიდა ამგვარ მდგომარეობაში. სამაგიეროდ შეიმჩნევა ციტრუსების ნაკვეთების შევინროება და მის ადგილზე ახალი სახლების აგების ან არსებულ სახლებზე ოთახების მიმატების ტენდენცია, რის სტიმულირების ნიშნებიც გამოიკვეთა სარფში ტურისტებისა და დამსვენებლების ნაკადების მოჭარბების გამო. ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო პროფილის მქონე სარფი თანდათანობით სააგარაკო დასახლებადა გადაიქცევა. თითოეული ოჯახი ცდილობს მისასვლელი გზა ბეტონის საფარით კეთილმოწყობილი გახადოს, ასევე ზრუნავენ ეზოსა და სახლს კომფორტის ელემენტები შემატონ ყვავილებითა და დეკორატიული მცენარეების გაშენებით. ძალიან ბევრს ფორთოხლის ხეები მარტის თვეშიც კი მოუკრეფავი აქვთ. ეს კიდევ ერთი შტრიხია გადამწვანებულ ციტრუსოვანთა ბაღებში ნარინჯისფერის ამეტყველებისა, მეორეს მხრივ კი კარგი საშუალებაა— ბინის— დამქირავებელს ახლად დაკრეფილი ფორთოხლის მირთმევით თავი მოაწონონ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს ერთ—ერთი ელემენტია ეგზოტიკური სარფის რეკლამისა და დამსვენებელთა მიზიდვისა, თუნდაც ზამთრის პერიოდში. ეს ჯანსაღი ჩანაფიქრი გარკვეული წარმატებით ხასიათდება. სარფში დამსვენებლები არა მარტო ზღვის სეზონზე ჰყავთ, არამედ თითქმის მთელი წლის განმავლობაში. ამას ემატება საზღვრის საბაჟო გამშვებ პუნქტში მგზავრთა უწყვეტი ნაკადი. ამ სოფელში არა მარტო თბილისიდან, რუსთავიდან—არამედ საქართველოს სხვა ქალაქებიდანაც ჩამოდიან, აქვე ისიც უნდა ითქვას ამიერკავკასიიდან (სომხეთი, აზერბაიჯანი), უკრაინიდან და რუსეთიდანაც ჰყავთ სტუმრები. ეს საქმე იმდენად წარმატებულია, რომ ხშირად ერთი და იგივე დამსვენებელი ჰყავთ ყოველი წლის გარკვეულ დროს. აქ აქტიურად მოქმედებს კლიენტთა მიერ სახლის, ოთახის, ადგილის

მობილური ტელეფონით წინასწარ დაჯავშნის პრაქტიკა კონკრეტული დროის ფაქტორის გათვალისწინებით. დამსვენებელთა კვების ორგანიზაციაც წინასწარ არის შეთანხმებული. უმრავლეს შემთხვევაში ოჯახის დიასახლისი ასრულებს მზარეულის ფუნქციას. სულ სხვა ეფექტი აქვს ოჯახურ გარემოში, ბოსტანში დაკრეფილი ბოსტნეულითა და ბახჩეულით, ახლად ჩამოკრეფილი ხილით (მსხალი, ვაშლი, ყურძენი, ატამი, ქლიავი) გამასპინძლებას. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, სარფელ გლესს სასოფლო სამეურნეო პროდუქტის ქალაქის ბაზარზე გატანა არ უხდება. ბუნებრივია, რომ დამსვენებლისათვის ამგვარი მომსახურება გაცილებით საინტერესოა, რაც ასევე განსაკუთრებით მიმზიდველია დამსვენებლების, ტურისტებისა თუ სტუმრებისათვის. მათთვის სამახსოვრო იქნება ლაზური წესით მწვანილებში, სუნელ-სანებლებსა თუ სანებლებში შეზავებული-შეკაზმული ახლად დაჭერილი თევზის შემწვარი თუ მოხარშული კერძის დაგემოვნება. სარფელები განსაკუთრებით გამოირჩევიან დამარილებული თუ ახალდაჭერილი ხამსას კერძების მრავალგვარი რეცეპტებით. აქვე ისიც უნდა გავიხსენოთ გამოთქმა: „ქაფშიაი ლაზისთვის ყურბანიაო“¹. გარდა კულინარიული ხელოვნებისა, უგემრიელესი კერძებისა, სასურველია განახლდეს თითქმის მივიწყებული 20 აგვისტოს კალენდარული დღესასწაული ე.წ. „მზოლამ კულანი“ (ზღვის ქალიშვილი)¹, რომლის ფანტასტიკურ-ჯადოსნურ საბურველში შერწყმულია ფერისცვალება-მარიამობის დღესასწაულის ელემენტები და სხვა უძველესი კოლხური ტრადიციების ნიშნები. შეუძლებელია ვისაუბროთ სარფზე და არ გავიხსენოთ სექტემბრის თვეში დელფინების ზღვის ნაპირთან მიახლოება და სხვადასხვა მოძრაობით, წყლიდან ამოხტომით ბუნებრივად მიმზიდველი სანახაობის შექმნის ეფექტი.

საქართველოში ლაზებით კომპაქტურად დასახლებული სარფის მოსახლეობის მატერიალური კულტურის, სამეურნეო ყოფის, სოციალური ურთიერთობის, სულიერი კულტურის, ტოპონიმიკური და ფოლკლორული მასალების, საისტორიო-წერილობითი მონაცემების ურთიერთშეჯერების სა-

ფუძველზე, ცხადი ხდება ოსმალების ცეცხლითა და მახვილით ფეოდალურად დაყოფილი საქართველოს სამხრეთი ტერიტორიების, მათ შორის ლაზეთის დაპყრობის შემდეგ, მოსახლეობის სულიერი დამორჩილების, სამკვდრო-სასიცოცხლო ძალადობით ისლამის გავრცელების რეალური ფაქტები. მიუხედავად გაუგონარი ტანჯვა-წამებისა, გამუსლიმანებულ ლაზებს ბოლომდე არ დაუკარგავთ ეთნიკური ცნობიერება. ისინი დღემდე ინარჩუნებენ არაერთ ძნელბედობას გამოვლილი სახელოვანი კოლხების გენეტიკურად სუფთა სისხლს. თურქებით, ქურთებით, ჰემშილთა და სხვა რჯულის ხალხის ჩამოსახლებით, უშედეგოდ დარჩა მათი ასიმილაციის ცდა. სარფელების, ისევე როგორც ზოგადად ლაზების, აქტიური კულტურული, სამეურნეო, საოჯახო-სოციალური, სულიერი ურთიერთობის ადრეულ, ნაკლებად მასიურ მასშტაბებს, თანამედროვე პირობებში უფრო ფართო პერსპექტივები გამოუჩნდა.

ლიტერატურა

1. ბაქრაძე, 2003–რ. ბაქრაძე, საქართველოს მიღმა, ბათუმი
2. ბანაში, 1988–წ. ბანაში, ეთნო–რელიგიური პროცესები ჩრდილო–აღმოსავლეთ ანატოლიაში, თბილისი
3. ბერაძე, 1981–თ. ბერიძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბილისი
4. დავითაძე, 1983–ა. დავითაძე, ქართული ხალხური ტრანსპორტის ისტორიიდან, ბათუმი
5. ვანილიძე, თანდილავა, 1964. მ. ვანილიძე, ა. თანდილავა, ლაზეთი, თბილისი
6. ვარშალომიძე, 2005–ჯ. ვარშალომიძე, მოგზაური ლაზი ხურო–მეჩუქურთმეები, –კრ.: ბნბსსკიმ, IV, ბათუმი
7. ვარშალომიძე, 2007–ჯ. ვარშალომიძე, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრულ–დეკორატიული და სახვითი ხელოვნების ნიმუშები აჭარის მუსლიმანურ საკულტო ნაგებობებზე (ჯამეები), –კრ.: სდსეპ, I, ბათუმი
8. თანდილავა, 2013–ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი

9. კვირკველია, 1976–გ. კვირკველია, უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ, თბილისი
10. Лисовский, 1887-В.Я. Лисовский. Чорохский край. Тифлис
11. Марр, 1910- Н.Марр, Грамматика занского (лазского) языка. С.-Петербург
12. Марр, 1910 – Н.Я. Марр, Из поездки в Турецкой Лазистан. ИИАН, С.-Петербург
13. მგელაძე, 1964–ვლ. მგელაძე, ლაზური დასახლების მორფოლოგიისათვის, – კრ: ბსკიშ, III
14. მგელაძე, შოშიტაიშვილი, მიქელაძე, ტუნაძე, 2009 – ნ. მგელაძე, ნ. შოშიტაიშვილი, ჯ. მიქელაძე, თ, ტუნაძე, ლაზი ხელოსნების სამშენებლო ტრადიციები ქოროხ–აჭარისწყლის ხეობებში, – კრ. გურამკარტოზია–75, თბილისი
15. Надарая, 1966-Г. Надарая, научные основы получения высоких и устойчивых урожаяв цитрусовых, Тбилиси
16. Робакидзе, 1959 – А. Робакидзе, Современное грузинское крестьянское жилище. მსე, თბილისი
17. რობაქიძე, 1967–ალ. რობაქიძე, დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობანი აჭარაში,–კრ.:ამყვს, თბილისი
18. Тимофеев, 1906-С.М. Тимофеев, Сельско-хозяйственный очерк Батума и его окрестностей, Баум и егоокрестности, Батуми
19. ფუტკარაძე, 2014–თ. ფუტკარაძე, საცხოვრებელი ნაგებობანი. ისტორიული ჭანეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ბათუმი
20. ყაუხჩიშვილი, 1936–ს. ყაუხჩიშვილი–ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი
21. ჩიტაია, 2001–გ. ჩიტაია, 1993 წლის აჭარისტანის ექსპედიცია. შრომები, ტ. III, თბილისი
22. ჩხატარაშვილი, 2013–გ. ჩხატარაშვილი, მეთევზეობა ქვის ხანის საქართველოში,–საისტორიო მაცნე, XX, ბათუმი
23. Церетели, 1906-Н. Церетели, Очерк торгово-промышленного развития гор. Батума. Батуми и его окрестности, Батуми

24. ხახუტაიშვილი, 2007–დ. ხახუტაიშვილი, აჭარის უძველესი და ძველი ისტორიის ძირითადი ეტაპები სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, I, თბილისი
25. ხახუტაიშვილი, 2009–დ. ხახუტაიშვილი, შავი ზღვისპირეთის ქართველური ტომები ბერძენ–ლათინი მწერლების ცნობების, შრომები (სამტომეული), I, ბათუმი
26. ხახუტაიშვილი, 2013–ნ. ხახუტაიშვილი, კოლხთა ეთნოგენეზის პრობლემა კოლხური სამთო–მეტალურგიული ცენტრის მონაცემების შუქზე. შაისტორი ომაცნე, XX, ბათუმი
27. ჯავახიშვილი, 1960–ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი
28. ჯანაშია, 1959–ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბილისი
29. ჯანაშვილი, 1963–ა. ჯანაშვილი, საქართველოს ცხოველთა სამყარო. ტ. III, ხერხემლიანები, თბილისი
30. ჯანაშვილი, 1978 – ა. ჯანაშვილი, დელფინები. ქსე, ტ. 3, თბილისი
31. ჯანაშვილი, 1979–ა. ჯანაშვილი, თევზები. ქსე, ტ. 4, თბილისი
32. ჯანბერიძე, 2012–გ. ჯანბერიძე, ხასან ჰელიმიში. პოეზია, ფერწერა, ბათუმი
33. ჯღარკავა, 2008–მ. ჯღარკავა, კოლხური (მეგრულ–ლაზური) სააკვნოლექს–სიმღერები.–ბშრსსუშ, IV, ბათუმი
34. ჯღარკავა, 2005–მ. ჯღარკავა, კოლხური (მეგრულ–ლაზური) „სიჯალიკობა“ და მასთან დაკავშირებული ხალხური პოეზია.–ბზბსსკიშ, IV, ბათუმი.

გურამ ჩხატარაშვილი

სამხრეთ კავკასიის ზინალური ზედა პალეოლითი კულტურის და სანშრუბლიას მღვიმეების მიხედვით

საქართველო უძველესი დროიდანვე გამოირჩეოდა ხელსაყრელი ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობითა და კლიმატური პირობებით რამაც განაპირობა მისი ათვისება კაცობრიობის უძველესი პერიოდიდან – ქვის ხანიდან. ამის მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს ამ ეპოქის შესატყვისი არქეოლოგიური ძეგლების (მღვიმეები, გამოქვაბულები, ეხები, სადგომ-სახელოსნოები და სხვ.) მრავალფეროვანი სიმრავლე.

საქართველოს ტერიტორიაზე ასობით ზედაპალეოლითური ძეგლებია, რომელთა შესწავლა ჯერ კიდევ XIX ს.–ის ბოლოდან იწყება, რომელიც მთელი გაუსლი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა. უკვე XX საუკუნის მიწურულს, ზედა პალეოლითური ძეგლებით ინტერესდება დასავლეთის სამეცნიერო წრეები, მაშინ როცა ქართველი მეცნიერების მიერ გაკეთდა სხვადასხვა სამეცნიერო უბუბლიკაციები თუ სხვა სახის სამუშაოები, რომლებმაც უცხოელ კოლეგებში დიდი ინტერესი გამოიწვია. ამის შედეგი იყო ის, რომ ზემო იმერეთის ორ არქეოლოგიურ ძეგლზე 1993 წლიდან – ძუძუანას მღვიმესა [Meshveliani et all; 1999] და ორთვალა-კლდის მღვიმეში [Tushabramishvili et all; 1999] დაიწყო ერთობლივი ამერიკა-ისრაელი-საქართველოს საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციები (ხელმძღვანელი: თ. მეშველიანი; მასთან ერთად მონაწილეობდნენ: ოფერ ბარ იოზეფი, ანა ბელფერ კოენი, გაი ბარ ოზი, ზინოვი მაცკევიჩი, ნინო ჯაყელი და სხვები), რომელმაც არაერთ მნიშვნელოვან აღმოჩენას ჩაუყარეს საფუძველი.

ძუძუანას მღვიმე მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, იმერეთის რეგიონში, სოფ. მღვიმევის ტერიტორიაზე, მდ. ნეკრისის ხეობაში (მდ. ყვირილას მარჯვენა შენაკადი)(**ტაბ. I/1-2**). არქეოლოგიური ძეგლი პირველად აღმოჩნდა 1966 წ.

ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის ხანის შემსწავლელი ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. არქეოლოგი დავით თუშაბრამიშვილი) [თუშაბრამიშვილი; 1969].

ძუძუანას მღვიმის შესწავლა რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა. ბოლო დროს არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა 1996-2008 წწ., როცა განხორციელდა საქართველო-აშშ-ისრაელი საერთშორისო ერთობლივი პროექტი „თანამედროვე ფიზიკური ტიპის ადამიანის განსახლების პრობლემები სამხრეთ კავკასიაში“. ექსპედიციის (ხელმძღვანელი თ. მეშველიანი) ფარგლებში შესწავლილ იქნა ორი უბანი: პირველი ეს იყო დ. თუშაბრამიშვილის ადრე შესწავლილი თხრილის გაფართოება მღვიმის შესასვლელთან, რომელსაც შემდგომ ეწოდა „ქვედა ჭრილი“, ხოლო მეორე, ე.წ. „ზედა ჭრილი“. საერთო გათხრილი ფართობი მოიცავს 24 მ².

არქეოლოგიური გათხრები 50x50სმ² და 5სმ. სიღრმეზე წარმოებდა გათხრილი მასალები ირეცხებოდა და იცრებოდა, რათა არ დაკარგულიყო უმცირესი არტიფაქტიც [Bar-Yosef et al; 2011: 333].

ძუძუანას მღვიმეში საკმაოდ მძლავრად არის წარმოდგენილი მთლიანად ზედა პალეოლითური კულტურა. რაც შეეხება ამ პერიოდის ფინალურ ფაზას (B ფენა), იგი თარიღდება 16,5-10,2 ათასწლეულებით Ka cal BP. ამ ფენის არქეოლოგიური კომპლექსი შესდგება კოლექციისაგან, რომლისთვისაც დამახასიათებელია მიკროგრავეტების, ზურგდაბლაგვული და რეტუშირებული მიკროლამელების არსებობა (ტაბ. II/1). საფხეკთა რაოდენობა გაცილებით აჭარბებს საჭრისების რაოდენობას. აქვეა წარმოდგენილი წაგრძელებული ფორმის ლამელები (80 მმ სიგრძის), პატარა ლამელები, მიკროლამელები და ანამტვრევები. ობსიდიანის იარაღები შეადგენს საერთო ჯამში 1,2 %-ს. აქ არ გვხვდება ობსიდიანის ნუკლეუსები. რაც შეეხება ძვლის ნივთებს, არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა მხოლოდ 8 ნივთი, რომელთაგან ერთი არის დეკორირებული, კერძოდ, ნეკნის ფრაგმენტზე ჩანს ნაჭდევის კვალი [Bar-yosef et al: 341].

ძუძუნას მღვიმის ფაუნაში სულ მცირე 28 სახეობაა გამოყოფილი. განვითარებულ ზედა პალეოლითურ C ფენაში ბიზონი პროცენტულად უფრო დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი (40%), ხოლო D (ადრეზედა პალეოლითი) ფენაში იზრდება კავკასიური ჯიხვის პროცენტული მაჩვენებელი (42%), ეს ორი სახეობა ცხოველთა საერთო რაოდენობის 90% შეადგენს, დანარჩენი სახეობებია ტური (*Bos primigenius*), კეთილშობილი ირემი (*Cervus elapus*), შველი (*Capreolus capreolus*), ტახი (*Sus scrofa*), ცხენი (*Equus caballus*), მელა (*Vulpus vulpes*) და დათვი (*Ursus spaleaus*) სულ მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. კავკასიური ჯიხვი ბინადრობს 800 მ.-დან 2.400 მ.-ის სიმაღლეზე კლდოვან მიდამოებში. ამ სახეობისათვის დამახასიათებელია სეზონური მიგრაცია. ადრე გაზაფხულზე ჯიხვები მალლა მთაში ადიან და გვიან შემოდგომაზე ჩამოდიან ტყიან მიდამოებში, ასეთივე სეზონური მიგრაცია ახასიათებს ბიზონს. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ძუძუნას მკვიდრნი ამ სახეობებზე შემოდგომაზე და ზამთარში ნადირობდნენ. ცხოველთა კბილებზე დაკვირვებამ კი აჩვენა, რომ ნადირობა ძირითადად ზრდასრულ ინდივიდებზე ხდებოდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ზედაპალეოლითელი მონადირე-შემგროვებლები გამოცდილი მონადირეები იყვნენ.

პალინოლოგიური მასალების ანალიზის შედეგად, აღმოჩნდა უნიკალური შემთხვევა ველური სელის ბოჭკოს სახით, რომელთა შორის იყო დაგრეხილი და შეღებილი ცალეები. ბოჭკოები აღმოჩნდა ყველა არქეოლოგიურ ფენაში, მათგან ჩვენთვის საინტერესო B ფენაში იყო 48 ნიმუში [Bar-Yosef, et all: 341-344].

რაც შეეხება მეორე ძეგლს, სანურბლიას ეხი მდებარეობს ამავე დასახელების მღვიმეს სიახლოვეს ნყალტუბოს რაიონში, სოფ. ყუმისთავის ტერიტორიაზე მდ. სემის ნაპირზე, ფერმის მახლობლად. მღვიმე გამომუშავებულია ბარემულ კირქვებში. მღვიმის შესასვლელი იხსნება ასიმეტრიული ძაბრის ფსკერზე. შესასვლელის სიგანე 30 მ-ია, სიმაღლე კი 10 მ. დამხრობილია ჩრდილოეთისაკენ. ქიმიური ნალექები-

დან აღსანიშნავია სტალაქტიტები, სტალაგმიტები, მექანიკურიდან – ლოდნარი, ტბიურ–კოლმატაციური თიხების ფენა.

ძეგლზე არქეოლოგიურ კვლევა–ძიებებს აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეტნოგრაფიის ინსტიტუტი (ექსპედიციის ხელმძღვ. ალ. კალანდაძე). როგორც არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ისე ზედაპირულად შეგროვდა დიდძალი არქეოლოგიური მასალა: კაჟის იარაღები და მისი წარმოების ნაშთები, ნუკლეუსები, საფხეკები, სახოკები, სახვრეტები და სხვ. აგრეთვე რიყის ქვის იარაღები, ცულები, საპრიალებლები და სხვ. იარაღთა სიმრავლე, მათი მრავალფეროვნება და გამოყენების ხასიათი მეტყველებს, რომ ადამიანს საწურბლიას ეხში ხანგრძლივად უცხოვრია, პალეოლითიდან მოყოლებული ვიდრე ენეოლითამდე [Каландадзе, Каландадзе; 1978: 124]. აღსანიშნავია, რომ ძეგლი შუა საუკუნეებშიც ჩანს გამოყენებული თავშესაფრად.

ბოლო დროს ძეგლზე არქეოლოგიური სამუშაოები ერთობლივი საერთაშორისო საქართველო–ირლანდია–აშშ–ისრაელი პროექტის ფარგლებში ტარდება, სადაც ერთიანად მუშაობს ქართულ–უცხოელ სპეციალისტთა ჯგუფები (ექსპედიციის ხელმძღვანელი თ. მეშველიანი). არქეოლოგიური კვლევა–ძიებებმა დაადასტურა მკვლევართა მიერ წინა წლებში გამოთქმული მოსაზრება, რომ ამ ძეგლზე აშკარად ჩანს ქვის დამუშავების ინდუსტრიის ის ფაზა, რომელიც აქამდე არ ფიქსირდებოდა საქართველოს ზედა პალეოლითურ ძეგლებზე [Pinhasi et al: 2014], . ესაა ე.წ. ევროპული ეპი–გრავეტი, რომლისთვისაც დამახასიათებელია წაგრძელებული ფორმის მართკუთხედები, რომელთა ორივე ბოლო სწორად გაბმული რეტუშიტაა დამუშავებული, გვერდები კი სწორად დაბლაგვული(ტაბ. II/2).

ასეთია მოკლედ, სამხრეთ კავკასიის ზედაპალეოლითის ფინალური ეტაპი. უნდა ავლნიშნოთ, რომ იგი წარმოადგენს ჩვენს სადისერტაციო ნაშრომს (ხელმძღვ. დოქტ. თ. მეშველიანი), რომელზედაც მუშაობა მიმდინარეობს და ბუნებ-

რევია შენიშვნებისა თუ ხარვეზებისაგან დაზღვეული არაა. ნაშრომს უფრო სრულყოფილი სახით უახლოეს მომავალში წარმოგიდგენთ.

ბიბლიოგრაფია;


1. **თუშაბრამიშვილი დ.**, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში. საქართველოს სახ. მუზეუმის ექსპედიციების ანგარიშები, თბ., 1969.ტ. I, გვ. 3-11
2. **Каландадзе А. Н. Каландадзе К. С.**, Археологическое обследование карстовых пещер Цхалтубского района в 1974 г., Пещеры Грузии 7, Тб., 1978
3. **Meshveliani T., O. Bar-Yosef, A. Belfer-Cohen, N. Jakeli, A. Kraus, D. Lordkipanidze, M. Tvalchrelidze, A. Vekua**, Excavations at Dzudzuana Cave, Western Georgia (1996-1998): preliminary results. in *Préhistoire Européen*, 15. 1999. p.p.76-86
4. **Ofer Bar-Yosef, Anna Belfer-Cohen, Tengiz Mesheviliani, Nino Jakeli, Guy Bar-Oz, Elisabetta Boaretto, Paul Goldberg, Eliso Kvavadze & Zinovi Matskevich**, Dzudzuana: an Upper Palaeolithic cave site in the Caucasus foothills (Georgia), *ANTIQUITY* 85 (2011): 331–349;
5. **Tushabramishvili N., D. Lordkipanidze, A. Vekua, M. Tvalchrelidze, A. Muskhlishvili and D. Adler**, The Paleolithic rockshelter of Ortvala klde, Imereti region, the Georgian Republic, in *Préhistoire Européenne*, 15, 1999. p.p.65-77
6. **Ron Pinhasi, Tengiz Meshveliani, Zinovi Matskevich, Guy Bar-Oz, Lior Weissbrod, Christopher E. Miller, Keith Wilkinson, David Lordkipanidz, Nino Jakeli, Eliso Kvavadze, Thomas F. G. Higham, Anna Belfer-Cohen**, Satsurblia: New Insights of Human Response and Survival across the Last Glacial Maximum in the Southern Caucasus, *PLoS ONE* 9(10): e111271. doi:10.1371/journal.pone.0111271, p.p. 1-27

Guram Chkhatarashvili

Final upper paleolithic of south caucasus according to materials from Dzudzuana and Satsurblia

In this paper, we discuss final upper paleolithic period of south Caucasus according to materials from two Georgian cave-sites: dzudzuana and Satsurblia. We present stone materials, paleontological and palinological information from these sites.


ტაბ. I




1



გაბ. II



1



2

**ფაიფურის ფინჯნები გონიო-აფსაროსის
ციხიდან**

გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გვიანი შუასაუკუნეების მონაპოვრებს შორის, მცირე რაოდენობით გვხვდება ფაიფურის ფინჯნები.

ცნობილია, რომ ფაიფურის სამშობლოა ჩინეთი. ის წარმოადგენს მაღალი ხარისხის კერამიკულ ნაწარმს. სახელწოდება მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან „Fagfur“ და აღნიშნავს ჩინეთის იმპერატორების მუსულმანურ ტიტულს. სწორედ, ეს სიტყვა დამკვიდრდა ბერძნულ და რუსულ ენებში [Галенко 2005:498], ხოლო ინგლისურენოვან ქვეყნებში, ცნობილია „porcelain“ სახელწოდებით და მომდინარეობს იტალიური სიტყვა „porsellana“ [Vroom 2005:163]. ფაიფურის დამზადების ზუსტი თარიღი უცნობია. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ მისი წარმოება იწყება ხანის დინასტიის დროს (206-221 წწ) [Кузьменко 1980:4], ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ის პირველად დამზადდა ტანის დინასტიის მმართველობის პერიოდში (618-906 წწ) VIII ს ბოლოსა და IX ს დასაწყისში [Кречетова, Вестфален 1947:7; Гудименко 2005:178; Sharma 2012: 2-3]. ფაიფურის დამზადების ტექნოლოგია დიდი ხნის მანძილზე უცნობი იყო და მხოლოდ XVIII ს დასაწყისში აღმოაჩინეს მეისენში (გერმანია) [Vroom 2005:163]. ფაიფური დიდი წარმატებით სარგებლობდა, როგორც შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ისე ევროპაში. მისი მასობრივი გავრცელება XVI ს იწყება, მაგრამ მასზე მოთხოვნა განსაკუთრებით XVII ს გაიზარდა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ფაიფურის ნაწარმი ფინჯნის ტიპისაა. მათი ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელია თეთრი ფერის მტკიცე კეცი, დაბალი დისკოსებური ქუსლი, ბრტყელი ძირი და მომრგვალებული კალთა. თეთრ ფონზე გამჭვირვალე კრიალა ჭიქურის ქვეშ გარე და შიდა კალთა კობალტის ლურჯი საღებავითაა მოხატული. გაფორ-

მების ძირითადი სახეა სხვადასხვა სახის მცენარეული ორნამენტი, შიდა ზედაპირზე ყვავილოვანი ორნამენტი ძირითადად გვხვდება ჭურჭლის ძირზე (ტაბ. I/1-3), თუმცა არის ნიმუშები, რომელთა შიდა ზედაპირი თავისუფალია დეკორისაგან (ტაბ. I/6).

თეთრ ფონზე ჭიქურქვეშ კობალტის ლურჯი საღებავით მოხატული ფაიფური როგორც თელიან, ჩნდება XIV ს დასაწყისში იუანის დინასტიის დროს (1271-1368 წწ). მათი წარმოების დაწყების ყველაზე ადრეულ თარიღად მიჩნეულია 1351 წელი [Кузьменко 1980:5; Carswell 1995:11]. თუმცა, არის ცნობები, რომ ამ ტიპის ფაიფურის ყველაზე ადრეული ნიმუში მიეკუთვნება ტანის დინასტიის მმართველობის პერიოდს [Siobhán 2009:10; Обухов, Волков 2007: 21]. წარმოების მთავარი ცენტრი XIV ს-ში იყო ქ. ცინგდენჟენი. კობალტის ლურჯი საღებავით მოხატვის ტექნიკა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ირანთან [Арапова 1977:7]. დღეისათვის რთულია იმის დადგენა, თუ პირველად როდის მოხდა ირანული (ქაშანური) კობალტის შეტანა ჩინეთში, მაგრამ როგორც ფიქრობენ ეს უნდა მომხდარიყო იუანის მონღოლური დინასტიის მმართველობის დროს [Carswell 1995:11]. ცოტა მოგვიანებით, მინის დინასტიის პერიოდში (1368-1644 წწ) აბრეშუმის სავაჭრო გზის მეშვეობით აქტიურად მიმდინარეობს ირანთან ვაჭრობა და კობალტის ოქსიდის გავრცელება. ეს პროცესი გრძელდება XVI ს დასაწყისამდე. XVI ს-დან. როდესაც ცინგდენჟენში აღმოაჩინეს კობალტი, ჩინელებმა ირანის ქაშანურ კობალტზე უარი თქვეს და საკუთარის გამოყენება დაიწყეს [Арапова 1977:7; Кузьменко 1980:4].

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში უნოდებენ ამ ტიპის „ლურჯი-თეთრი“ ფაიფურის განვითარების ოქროს ხანა მინის დინასტიის მმართველობის პერიოდს განეკუთვნება (1368-1644 წწ). 1369 წლიდან მინის დინასტიის დამაარსებელმა ჰონგ ვუმ ქ. ცინგდენჟენიდან წარმოების ცენტრი საიმპერატორო კარზე გადაიტანა და ფაიფურის წარმოებაზე მკაცრი კონტროლი დააწესა. საიმპერატორო კარი აქტიურად უჭერდა მხარს ამ ტიპის ფაიფურის წარმოებას, ფორმების იდეუ უფრო სრულყოფასა და განვითარებას [Sugimura 2000:41; Гусач 2011: 394]. მინის დინასტიის „ლურჯი-თეთრი“

ფაიფური იყო პირველი ჩინური ფაიფურის ნაწარმი, რომელიც ექსპორტირებული იყო ევროპის, აზიის, აფრიკისა და ამერიკის კონტინენტის მრავალ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი XVI ს-დან, როდესაც გაიხსნა საზღვაო გზა ევროპასა და ჩინეთს შორის[**Арапова 1977:7; Кречетова, Вестфален 1947:9; Кузьменко 1980:5; Стужина 1970: 62; Гусач 2011: 394**].

მინის დინასტიის მმართველობის ბოლო პერიოდში XVI ს ბოლოსა და XVIIს დასაწყისში ფაიფურის ნაკეთობების გასაფორმებლად დაიწყო სხვადასხვა ფერის საღებავის გამოყენება, მზადდება პოლიქრომული დეკორით შემკული ნაწარმი [**Гусач 2011: 394**]. მსგავსი ტიპის ფაიფურის რამოდენიმე ფრაგმენტი გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზეც არის აღმოჩენილი.

ერთ-ერთი მათგანის შიდა ზედაპირზე ცენტრში ნითელი საღებავით მოხატულია ყვავილი (ტაბ. 1/4) გარე კალთა კი გაფორმებულია ლურჯი, ნითელი, ყვითელი და ღია-მწვანე საღებავებით. კალთის ცენტრალური ნაწილიდან ქუსლისაკენ ტალღისებურად შემოუყვება ნახევარმთვარისებური ლურჯი ფერის ფართე ზოლები, ხოლო ზედა ნაწილში მოსახულია გვირილები, რომელთა კონტურები ნითელი ფერისაა, ფოთლები ღია-მწვანე, ბუტკო კი ყვითელი ფერის. პირის კიდეს შემოუყვება ერთი ცისფერი ზოლი და ღია-მწვანე ფერით ერთმანეთზე გადაბმული წვრილი მცენარეული ორნამენტი. ჭურჭლის ქვედა ნაწილში ქუსლისაკენ მოცემულია ნითელი ფერის სამი პატარა ვერტიკალური რკალი და 3 წერტილი. გარე მხრიდან ძირზე ფრაგმენტულად შემორჩენილია მცენარეული ორნამენტი.

მეორე ფინჯნის გარე კალთაზე შემორჩენილია ლურჯი საღებავით მოხატული მცენარეული ორნამენტის ფრაგმენტები (ტაბ.1/5). შიდაპირზე ორ ღია-ცისფერ წრიულ ზოლში ჩასმულია ლურჯი საღებავით მოხატული მცენარე, რომლის ფოთლები ალაგ-ალაგ გაფორმებულია მოწითალო ფერის საღებავით. მცენარის ერთ-ერთ ტოტზე შემომჯდარია ფრინველი, რომელიც ასევე ლურჯი საღებავითაა მოხატული.

ფაიფურის ნაწარმი მაღალი ხარისხისა და სილამაზის გამო, საკმაოდ ძვირი ღირდა და მიუწვდომელი იყო მოსახ-

ლეობის ფართო მასებისათვის, ამიტომ სხვადასხვა ქვეყნის ხელოსნები ცდილობდნენ ისეთი ნაწარმი შექმნან, რომელიც ახლოს იქნებოდა ფაიფურთან. XV ს ბოლოსა და XVI ს დასაწყისში ჩინური ფაიფურის მიბაძვით იწყება ფაიფურის პროდუქციის წარმოება, რომელიც გავსდა ფაიფურს, თუმცა, ხარისხით ჩამოუარდებოდა მას. ახლად შექმნილმა პროდუქციამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ის დიდი მოთხოვნილება, რომელიც ფაიფურზე იყო. შესაბამისად მსოფლიოში ჩინური ფაიფურის ფართო გავრცელება თანდათან წყდება. მაგრამ, მიზეზი მხოლოდ ეს არ იყო. ჩინური ფაიფურის ექსპორტის შემცირება გამოიწვია, აღმოსავლეთში პოლიტიკური არასტაბილურობის გამო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შემცირებამ [Siobhán 2009:11].

XVII ს-დან ცინის დინასტიის დროს (1644-1911 წწ) პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის დალაგების შემდეგ კვლავ განახლდა ფაიფურის წარმოება. სავაჭრო ურთიერთობების აღდგენამ და კიდევ უფრო გააქტიურებამ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ევროპის ქვეყნებს შორის გამოიწვია ჩინური ფაიფურის წარმოების სწრაფი აღდგენა და კიდევ უფრო სრულყოფა. მასში ევროპულ ბაზრებზე გულუხვად იხდიდნენ თანხას, ეს კი სტიმული იყო კერამიკის ხელოსნებისათვის მაღალი ხარისხის საექსპორტო ფაიფურის დასამზადებლად [Арапова 1977:23; Кузьменко 1980:6; Стужина 1970: 63; Гусач 2011: 396]. ფაიფურით ვაჭრობის მნიშვნელოვანი საერთაშორისო-სატრანზიტო ცენტრს წარმოადგენდა სამხრეთ ჩინეთის საპორტო ქალაქი კანტონი (გუანდუნის პროვინცია).

1680-1690 წწ ჩინური ფაიფურით ვაჭრობამ გამოიწვია ნამდვილი მსოფლიო სენსაცია. ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი, ჰოლანდიელი ვაჭრები ჩინეთიდან ყიდულობდნენ ფაიფურის იმდენად დიდ ნაწარმს, რომ მალე დასავლეთ ევროპის ქვეყნების კოლექციებში ჩინურმა ფაიფურმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა [Гусач 2011: 396; Beurdeley 1974: 30; Jörg 1997: 89].

ფაიფურის ოსტატები ყურადღების გარეშე არ ტოვებდნენ მუსულმანურ ქვეყნებსაც და ფაიფურის დამზადებისას ითვალისწინებდნენ ასევე მათ მოთხოვნასა და გემოვნება-

საც. ხშირად ეს ახალი „ლურჯი-თეთრი“ ფაიფური მზადდებოდა სპეციალურად ისლამური სტილით, რადგან ექსპორტირებული ყოფილიყო ახლო აღმოსავლეთში [Watson 2004: 61]. ამდროინდელი ჩინური ფაიფურის არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აღმოჩენილია სამარაში (ერაყი), ნიშაბურში (ირანი), ჰამაში (სირია), იზნიკში (თურქეთი), აფეასიაბში (უზბეკეთი), ნისაში (თურქმენეთი), ოთარაში (ყაზახეთი) და სხვ. [Sugimura 2000:41]. ირანში მისი გავრცელება ჯერ კიდევ XIV ს ბოლოსა და XV ს იწყება, ხოლო XVI ს მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც ვრცელდება თურქეთის ტერიტორიაზე. იცოდნენ რა თურქების მიდრეკილება ყავის მოხმარებისადმი, სპეციალურად მათთვის ამზადებდნენ პატარა ზომის ფაიფურის ყავის ფინჯნებს და თასებს [Pope 1952: 22-23]. თურქეთში მისი გავრცელება განსაკუთრებითმას შემდეგ იწყება, როდესაც სელიმ I 1514 წ დაამარცხა ირანი და 1516-1517 წლებში წარმატებით დაამთავრა აღმოსავლური ლაშქრობა [Fehérvári 1973: 150].

როგორც უკანასკნელი წლების არქეოლოგიური გათხრები ცხადყოფენ, „ლურჯი-თეთრი“ ფაიფური ყველაზე ხშირად იმ ადგილებში გვხვდება, რომელიც ოსმალეთის იმპერიის მფლობელობაში იყო. მსგავსი დეკორის ფაიფურის ჭურჭელი აღმოჩენილია უნგრეთის ციხესიმაგრეებისა და ქალაქების: ეგერის, კანიზსას, სზოლნოკის, ბუდას და სხვ. XVI ს ბოლო და XVII ს დათარიღებულ კულტურულ ფენებში. შარმ-ელ-შეიხში, ნითელი ზღვის სანაპიროზე XVIII ს თურქულ ჩიბუხებთან და ნითელკეციან კერამიკასთან ერთად. აზაკში თურქული ციხესიმაგრის XVII ს ბოლო და XVIII ს დასაწყისის კულტურულ ფენებში [Гыча 2011: 398]. გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე „ლურჯი-თეთრი“ ფაიფურის ფინჯნები ხშირ შემთხვევაში აღმოჩენილია, იზნიკის სანარმოო ცენტრიდან მომდინარე ფაიფურის ნაწარმთან ერთად, XVI ბოლო და XVII ს კულტურულ ფენებში.

ფაიფურის ფინჯნებს შორის ცალკე გამოსაყოფია ერთი ჯგუფი, რომელთა შიდა ზედაპირი თეთრ ფონზე გამჭვირვალე კრიალა ჭიქურის ქვეშ კობალტის ლურჯი საღებავითაა მოხატული სხვადასხვა სახის მცენარეული ორნამენტებით, გარე კალთა კი დაფარულია ყავისფერი საღებავით (ტაბ. I /7-

9). არის რამოდენიმე ნიმუშიც, რომლის ორივე მხარე ყავისფერი საღებავითაა გაფორმებული (ტაბ.1/9).

მსგავსი დეკორით ფაიფურის მოხატვა პოპულარული გახდა XVII ს ბოლოდან იმპერატორ კანსის მმართველობის დროს (1662-1722 წწ). ამ ტიპის ფაიფური XVII ს ბოლოსა და XVIII ს მოწონებით სარგებლობდა ინგლისში, გერმანიაში, ჰოლანდიასა და ამერიკაში, თუმცა პოპულარობა დიდი ხანი არ გაგრძელდა. იმპერატორმა კანსიმ მისი მმართველობის ბოლო ხანებში XVIII ს I მეოთხედში აკრძალა და მთლიანად გააქრო ბაზრებიდან ფაიფურის ჭურჭლის ზედაპირის ყავისფერი საღებავით მოხატვა [Гуцач 2011: 398].

ყავისფერი საღებავით გაფორმებული ყავის ფინჯნები და თასები პოპულარობით სარგებლობდა ოსმალეთის იმპერიაშიც. თურქები ფართოდ მოიხმარდნენ მსგავსი დეკორით გაფორმებულ ნაწარმს. ამ ტიპის ყავის ფინჯნები მრავლად არის აღმოჩენილი სტამბოლში, სარაჩანის XVII ს კულტურულ ფენებში. XVII ს ბოლო და XVIII ს დასაწყისის უნგრეთის ციხესიმაგრეების კულტურულ ფენებში: ონდოში, სზენდროში და სხვ. აზაკის ციხესიმაგრეში ამავე პერიოდის ფენებში. გონიო-აფსარისში აღმოჩენილია XVII ბოლო და XVIII ს კულტურულ ფენებში, ქუთჯაიური ფაიფურის ყავის ფინჯნებთან ერთად.

აქვე შევნიშნავთ, რომ მსგავსი დეკორის ფაიფურის ფინჯნებს აწარმოებდა მეისენიც (გერმანია) 1720-1775 წლებში. XVIII ს ბოლოდან და XIX ს მანძილზე ევროპაში ფაიფურის მწარმოებლები ჩინური სტილის ფაიფურის პროდუქციას და მათ შორის ყავის ფინჯნებს აქტიურად ყიდნენ თურქულ ბაზრებზე [www.academia.edu/AnnadeVincenz:74]. ყავისფერი საღებავით მოხატული ფაიფურის ფინჯნები აღმოჩენილია ისრაელში ქ. იაფას ოსმალური პერიოდის მასალებში, რომლებიც დათარიღებულია XVIII ს და მეისენის საწარმოო ცენტრით არის განსაზღვრული [www.academia.edu/AnnadeVincenz:71].

ამგვარად, მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე გვხვდება ფაიფურის ნაწარმი, რომლებიც თანხმლები და პარალელური მასალების მიხედვით კარგად თარიღდება XVI-XVII და XVII-XVIII სს-ით.

ლიტერატურა

1. **Арапова 1977:** Арапова Т. Б., Китайский фарфор в собрании Эрмитажа. Конец XIV-первая треть XVIII века. Ленинград
2. **Галенко 2005:** Галенко А., Гончарное производство и торговля в Османской провинции Кефе// Поливная керамика Средиземноморья и Причерноморья X-XVIII вв. 493–504. Киев
3. **Гудименко 2005:** Гудименко И.В., Китайский фарфор и глазурированная Китайская керамика из раскопок залатоордынского Азака// Поливная керамика Средиземноморья и Причерноморья X-XVIII вв. 178-182. Киев.
4. **Гусач 2011:** Гусач И.Р., Китайский фарфор XVII-XVIII вв. из раскопок на территории турецкой крепости Азак// Историко-археологические исследования в Азове и на Нижнем Дону в 2009 г. выпуск 25. 391-454. Азов
5. **Кузьменко 1980:** Кузьменко Л.И., Керамика и фарфор Китая. Каталог выставки. Москва
6. **Обухов, Волков 2007:** Обухов Ю.Д, Волков И.В., Китайская керамика из Маджара// Поливная керамика Восточной Европы, Причерноморья и Средиземноморья X-XVIII вв. (II Международная научная конференция), 20-25. Ялта
7. **Стужина 1970:** Стужина Э.П., Китайское ремесло в XVI-XVIII вв. Москва
8. **Beurdeley 1974:** Beurdeley M., Porcelaine de la Compagnie des Indes. Fribourg
9. **Fehérvári 1973:** Fehérvári G., Islamic Pottery. London
10. **Carswell 1995:** Carswell J., Çin Porselen ve Seledonlari, Sadberk Hanim Müzesi Koleksiyonu. İstanbul
11. **Jörg 1997:** Jörg C.J.A., Chinese Ceramics in the Collection of the Rijks museum, Amsterdam (The Ming and Qing dynasties). Amsterdam
12. **Pope 1952:** Pope J.A., Fourteenth-Century Blu-and-White a group of Chinese porcelains in the Toplapu saraye müsesi, İstanbul. Washington
13. **Sugimura 2000:** Sugimura T., Islamic and Chinese ceramics of Central Asia in the 15 century// Blue of Samarkand, International

symposium on revitalization of traditional ceramic techniques in Central Asia. 38-46. Samarkand

14. **Siobhán 2009:** Siobhán C., Chinese Porcelain Treasures Blue and White Wares of the Ming Dynasty// PASSAGE. July/August.10
(<http://www.fom.sg/Passage/2009/07bluewhite.pdf>)
15. **Sharma 2012:** Sharma A., Chinese porcelain Finds from Purana Qila excavations// Heritage and Us, conserve it for the future quarterly e-journal, Year 1, Issue2, Nov.2–9
<https://www.academia.edu/3291249/Chinese-Porcelain-Finds-from-Purana-Qila-Excavatin>
16. **Vroom 2005:** Vroom J., Bizantine to modern pottery in the Aegean (7th to 20th Century). Bijleveld
17. **Vincenz:** Vincenz A., Porcelain and Ceramic Vessels of the Ottoman Period from the Ancient Police Station in Jaffa, Israel
(www.academia.edu/AnnadeVincenz)
18. **Watson 2004:** Watson O., Ceramics from Islamic Lands. Thames & Hudson/ The al-sabah Collection Dar al-Athar al-Islamiyyah, Kuwait National Museum. New York

Kakhaber Kamadadze

Porcelain cups from Gonio-Apsaros

Summary

There are very interesting materials, which discovered and belong to different times In Gonio-Apsaros. One of them is the porcelain. The name „porcelain“ derives from italian „porcelana“. The Venetian traveller Marco Polo first used it. First porcelain was made in the north of China.

The massive export of Chinese Blue-and-White Porcelain to Europe began in the XVI century. The Chinese tradition of decorating porcelain with cobalt blue underglaze traces back to the Song Dynasty (960–1279), but the designs and firing process were further developed during the Yuan Dynasty (1279–1368), with porcelain from this period being exquisitely refined and meticulously

worked. Blue and white porcelain ultimately reached its zenith in the Ming Dynasty (1368–1644). The essential characteristics of the blue and white wares are the brilliant white translucent Chinese porcelain and the cobalt oxide of Kashan in Persia (modern Iran).

During the Qing Dynasty (1644–1911), classic pieces and patterns of blue and white from the Ming Dynasty were reproduced and enhanced.

Blue and white Chinese porcelain discovered in Gonio-Apsaros dated period XVI-XVII cc and it was imported from Iznik of Turkey.

Porcelain cups with chocolate brown exterior and blue band under the rim on white interior discovered in Gonio-Apsaros dated XVIII c and it was imported from Kutaia of Turkey.

ტაბულა:



**მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებები
თოქათის პროვინციაში**

XIX-XX საუკუნეებში, განსაკუთრებით კი XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან შექმნილი პოლიტიკური და სოციალური, (რელიგიური) ვითარების გამო ქართველ მუსლიმთა მრავალი ოჯახი აიყარა მშობლიური კუთხიდან და ოსმალეთში გადასახლდა. მუსლიმანური რწმენით გაბრუებულნი ერთმორწმუნე ოსმალეთში წავიდნენ, „მშობლიურ წიაღს“ მიაშურეს, ქრისტიანობას გაერიდნენ, ისე რომ გაცნობიერებულიც არ ჰქონდათ, რა მოჰყვებოდა ამ გადასახლებას უცხო მხარეში, უცხო კულტურაში, უცხო ხალხთან, რომელთანაც მხოლოდ რწმენა აკავშირებდათ. იყო კი რწმენის ერთობა საკმარისი ფაქტორი თანაცხოვრებისათვის? პროპაგანდით გაბრუებულთ ეგონათ, რომ საკმარისი იყო, თუმცა მოტყუებდნენ. მუჰაჯირები უპირველესად ქართველები იყვნენ, საკუთარი კულტურით და იდენტობით და შემდეგ მუსლიმანები. ამიტომაც მუჰაჯირთა პირველმა თაობებმა ძნელი გზა განვლეს, ვიდრე ახალ კერას შექმნიდნენ, ვიდრე დამკვიდრდებოდნენ ახალ საცხოვრისში (ფალავა მ., 2013:289).

საქართველოში პირველად მუჰაჯირობას ადგილი ჰქონდა 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, როდესაც ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლდა სამცხე-საათაბაგოს ნაწილი, ხოლო ჩვენთვის საინტერესო, მუჰაჯირობის მეორე პერიოდი დაიწყო 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ და გრძელდებოდა 1882 წლის 3 თებერვლამდე (სვანიძე, 1996:5). ამ პერიოდის მუჰაჯირობაში ორი განსხვავებული ეტაპი გამოიყოფა: პირველი ეტაპი მოიცავს პერიოდს თითქმის ომის გაჩაღებიდან 1878 წლის აგვისტო-სექტემბრამდე, როცა დასრულდა რუსეთის ჯარის მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ათვისება და მის მთელ ტერიტორიაზე დამყარდა რუსული მმართველობა. ამ ეტაპზე მუჰაჯირობამ უფრო ფართო მასშტაბები მიიღო სანსტეფანოს ხელშეკრულების (1878 წლის მარტი) ხელმოწერი-

სა და განსაკუთრებით შემდეგ, როცა უკვე საბოლოოდ გაირკვა რუსეთის მიერ დაკავებული ქართული ტერიტორიების საკითხი. მეორე ეტაპი კი მოიცავს პერიოდს 1878 წლის აგვისტოდან თითქმის საუკუნის ბოლომდე. მუჰაჯირობის ყველაზე დიდი ტალღა სწორედ ამ ბოლო ეტაპზე წარმოიქმნა, უფრო მასობრივი, ხასიათი კი 70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების დასაწყისში მიიღო (ბარამიძე, 1999:48-49)

გადასახლებული ქართველები დასახლდნენ მარმარილოს ზღვისპირეთში, ეგეოსის რეგიონში, სხვადასხვა დიდ ქალაქებსა თუ რაიონებში. მათ შექმნეს არაერთი ახალი დასახლება. ქართველ მუჰაჯირთა მნიშვნელოვანი ნაწილი შავი ზღვის რეგიონში დასახლდა (შაშიკაძე, 2013:145).

მუჰაჯირთა განსახლების არეალი თურქეთის შავიზღვისპირეთში ვრცელია და მოიცავს სხვადასხვა ილჩეებს, სადაც მუჰაჯირები რეგიონების, სოფლების მიხედვით კომპაქტურად არიან დასახლებული (ფალავა, შაშიკაძე, ჩოხარაძე...2013:3). ამჯერად განვიხილავთ შავი ზღვის რეგიონში შემავალ თოქათის პროვინციის ქართულ დასახლებებს. სტატია ძირითადად ეყრდნობა 2015 წლის ივლისში თოქათის პროვინციაში მოპოვებულ საველე ექსპედიციის მასალებს.

თურქეთის პროვინციები (ილები) დაჯგუფებულია 7 რეგიონში ესენია: ეგეოსის რეგიონი (**Ege Bölgesi**); შავიზღვის რეგიონი (**Karadeniz Bölgesi**); ცენტრალური ანატოლიის რეგიონი (**İç Anadolu Bölgesi**); აღმოსავლეთ ანატოლიის რეგიონი (**Doğu Anadolu Bölgesi**); მარმარილოს ზღვის რეგიონი (**Marmara Bölgesi**); ხმელთაშუა ზღვის რეგიონი (**Akdeniz Bölgesi**); სამხრეთ ანატოლიის რეგიონი (**Güneydoğu Anadolu Bölgesi**).

შავი ზღვის რეგიონი კი, შედგება 18 პროვინციისაგან (ილისაგან) ესენია: 1.ამასიის პროვინცია; 2. ართვინის პროვინცია; 3. ბართინის პროვინცია; 4. ბაიბურთის პროვინცია; 5. ბოლუს პროვინცია; 6. ჩორუმის პროვინცია; 7. დუზჯეს პროვინცია; 8. გირესუნის პროვინცია; 9. გუმუშქანეს პროვინცია; 10. ყარაბუქის პროვინცია; 11. კასთამონუს პროვინ-

ცია; 12. ორდუს პროვინცია; 13. რიზეს პროვინცია; 14. სამსუნის პროვინცია; 15. სინოპის პროვინცია; 16. თოქათის პროვინცია; 17. ტრაპზონის პროვინცია; 18. ზონგულდაქის პროვინცია.

თოქათის პროვინციაში მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებებია: ერბაა: ზოლალ ლიჩუქურ. ცენტრში: ექინჯილიქ ქოი.

თურქალ ცენტრში: ბოიაჯილარ მაჰალლესი, მუფთი მაჰალლესი.

ნიქსარი ცენტრში: მუსაფინარი, აქინჯი, მერჯიმეკდუზი, ორენლერ, უსთაჰასან, ოლუქლუ, ფათლი, სორჰუნ, დალქაია, ოსმანიე, თეფეიათაკ.

თოქათის პროვინციის ქართულისოფლების უმრავლესობა **ნიქსარის** რაიონშია. რამდენიმე სოფელია თურქალში და **ერბაასა**-ში, ასევე თოქათის ცენტრალურ რაიონში. ნაწილი დასახლებებისა შავშეთიდან, კერძოდ, იმერხევიდან - სოფლები: დაბა, უბე, ზიოსი, ხევწრული, ბაზგირეთი, ოთხკილდედა სხვა წასულ მუჰაჯირთა შთამომავლებს ეკუთვნის. გვხვდება, აჭარიდან-კერძოდ, კი ქედის რაიონიდან: სალორეთი, აგარა... გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებებიც.

უსტაჰასანი-20 კომლი ქართველი ცხოვრობს. ქემალილმაზის-68 წლის (ქართულ გვარს ვერიხსენებს) თქმით: „ამ სოფელში თეელი (ყველა) გურჯი ვიყავით ჰამათურქებში გევერიეთ-გავთურდით, რუსები და თურქები ერთმანებ რომ წაკიდებიან ბათუმში მუსლიმანები დუუხოციან და ჩემი დედი გამოქცევლასა ცხანიქსარში დამდგარამა რა იქავრობა არ მოწონებია აქ (ე.ი.უსტაჰასანში) ამოსულა, აქაცრუმები (ბერძნები) ყოფილან გურჯებრუმებს წაკიდებიან და აქიდან გუუქცევიან“.

მუსაფინარი-ადრე 30 კომლი იყო, დღეს კი 7 კომლია დარჩენილი. რესპოდენტები ამბობენ, რომ აჭარიდან ბათუმიდან მოსულან, მაგრამ კონკრეტულად სოფელს ვერ გვისახელებენ, ქართულის მცოდნეც თითქმის არავინაა. 86 წლის თენზილე დოლანის გადმოცემით: „ჩვენ ბათუმიდან ვართ, ამ სოფელში (მუსაფინარი) კი უწინ შავშეთიდან მოვსულვართ

(ასახელებს სოფლებს: ოთხკიდე, ბუთლუ, მირსილი, გედივე-რი) ჩემი დედი ბათუმიდან შავშეთში მოსულა, იქავრობა არ მოწონებია და ნიქსარში ამოსულა ეს სოფელი (მუსაფინარი) დუუკავია. ჩემი ბაბოი (მამა) იდრისოლლი იყო, დედის მხარე კი ქოსოლლები იყვნენ“ (ფუტკარაძე ნ., საველე ექსპედიციის მასალები, რვეული №1, თოქათის პროვინცია 2015 წლის 23-25 ივლისი).



თოქათის პროვინცია

მერჯიშექი-ამ სოფელში 20-მდე კომლია, ქართულის მცოდნეც არავინაა, თუმცა ადრე ქართული სოფელი ყოფილა.

ორენლერი-თავდაპირველად 4 ოჯახი მოსულა ვერხნალიდან დანარჩენი სხვა ჩიხისხევიდან, უსტამისიდან, ართვინიდან რამდენიმე ოჯახი ბაზგირეთელიც არის. 71 წლის ფადიმე თოფჩი-გეზერის გადმოცემით, მისი წინაპრები შავშეთიდან, ვერხნალიდან მოსულან და სავარაუდოდ ინუსოლლები ყოფილან, თუმცა ქართულის მცოდნე დღეს აღარავინაა, მხოლოდ ის შემორჩა მათ მეხსიერებას, რომ ოდესღაც მათი წინაპრები ბათუმიდან ყოფილან.

დალქაია-70 წლის დურდანე ქოჩაქი-მერჯანის გადმოცემით: „აქ ბათუმიდან მოვსულვართ საღორეთიდან, (ქედის რ-ნი პირველი მაისი) ეს სოფელი თეელი (ყველა) გურჯები ვიყავით მარა ახლა გავსხვაფერდით“ (გულისხმობს გათურქებას). სოფელში სულ 23-24 კომლი ცხოვრობს, თუმცა ქართულის მცოდნე არავინაა.

ოლუქლუ-ძირითადად აჭარლებია თავდაპირველად 7 კომლი მოსულა. დღეისათვის 30 კომლია თუმცა სოფელი დაცარიელებულია მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ქალაქებში წასული, ქართულის მცოდნესაც იშვიათად თუ შეხვდები.

გედვედი-ფათლი ამ სოფლებშიც აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ, თუმცა კონკრეტულად სოფლები და გვარები აღარავის აღარ ახსოვს, ქართულის მცოდნეც არავინაა.

სორჰუნი-ამ სოფელში ქართველები შავშეთიდან გადმოსულან, ქართული საერთოდ აღარ იციან, ადრე ქართული სოფელი ყოფილა, თუმცა დღეს უკვე გათურქებულია, მხოლოდ იმას თუ გეტყვიან, რომ მათი წინაპარი გურჯი ყოფილა.

მუხტარდუზი-საათიე ერშიში (64 წლის) გვიყვება, რომ ამ სოფელში ზოგი არტანუჯიდან, ზოგი შავშეთიდან მოსულან. ქართულის მცოდნე დღესდღეობით არავინაა.

ასსარი-რასიმ გოლმეს (კოჭობიძე 73 წლის) თქმით: „ამ სოფელში კოჭობიძეები ცხოვრობენ“, ხოლო უნზილე ქესკინი ილმაზის (64 წლის) გადმოცემით: „ამ სოფელში ართვინის უბედან გადმოსულა ჩუენი წინაპარი, ძველ დროში ქორშეითანოლლებს გვეტყოდნენ, ჰამა ბევრი აღარ მახსოვს ძველი ხებერი (ამბავი)“.

ოსმანიე-შავშეთიდან ართვინიდან გადმოსული მუჰაჯირთა შთამომავლების სოფელია, ასახელებენ სოფელ ქოქლიენტს და სოფელ იაღლიქოის. დღეისათვის 15-16 ოჯახი ცხოვრობს, თუმცა ქართული ენა საერთოდ დაკარგულია.

აქინჯი-რესპოდენტები ასახელებენ შავშეთის სოფლებს ობასს და ზიოს. ფითნეთი ტაშქინის (85 წლის) გადმოცემით: „ამ სოფელში ზოგი შავშეთიდან ამოსულა, ზოგიც სოფელ გაღმიენთიდან. ამ სოფელში ადრე ბერძნები და სომხები ცხოვრობდნენ, გურჯები რომ მოსულან ეს ადგილი ფარით უყიდიან, ჩუენი ძუელები ადრე ყველა გურჯები იყვნენ, ჩვენ ახლა გავთურქდით“ (ფუტკარაძე ნ., საველე ექსპედიციის მასალები, რვეული №1, თოქათის პროვინცია, 2015 წლის ივლისი).

აღნიშნულ სოფლების მოსახლეობის დიდი ნაწილი სამუშაოდ სხვადასხვა ადგილებშია გაფანტული. ადგილზე დარჩენილები მისდევენ მინათმოქმედებას და მეცხოველეობას. თოქათის პროვინციის სოფლებში, სადაც თითქმის აღარ დარჩნენ ახალგაზრდები, ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ სხვა პროვინციებთან განსხვავებით, თოქათის პროვინციაში წინაპართა ენა თითქმის აღარ არის შენახული, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე გამონაკლისს, აქაურ სოფლებში მხოლოდ ძველ თაობას ახსოვთ ქართული და ისიც ძალიან ცუდად. მთხრობელთა ნაამბობში აშკარად იკვეთება ძველი ისტორიების მივიწყება. თაობა, რომელსაც „ახსოვს“ ბებია ბაბუების მოგონებები მუჰაჯირობის ეპოქაზე, ძალიან შემცირდა, ამ ცოდნის მოპოვება დროთა განმავლობაში უკვე შეუძლებელი იქნება. მუჰაჯირობის ეპოქა თანდათან იშლება ადამიანთა მეხსიერებიდან და გადადის კულტურულ მეხსიერებაში. ეს პროცესი სწორედ ახლა, ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარამიძე ი., საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (XIX ს-ის 70-80-იანი წლები), ბათუმი, 2009.
2. სვანიძე მ., „ქართველები თურქეთში, თბილისი 1996.
3. ფალავა მ., შაშიკაძე ზ., ჩოხარაძე მ.,... „ექსპედიცია მუჰაჯირთა შთამომავლებთან“, ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, VII, ბათუმი 2013.
4. ფალავა მ., „ქართველი მუჰაჯირები ორდუსა და სამსუნის გუბერნიებში“ ,ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, VII, ბათუმი 2013.
5. ფუტყარაძე ნ., „საველე-ექსპედიციის დღიური, თურქეთითოქათის პროვინცია 2015 წლის 23-25 ივლისი.
6. შაშიკაძე ზ., „ქართველთა მუჰაჯირობა თურქეთის შავი ზღვის რეგიონში“, ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, VII, ბათუმი 2013.

Nani Phutkaradze

Settlements of descendants of Muhajirs in Tokati province

Summary

The paper refers to the 1877-1878 Russo-Turkish war of descendants of Muhajirs exiled from Adjara communities that Turkey's Black Sea region in the province of Tokatis settled. The paper deals Tokatis provincial villages and communities of descendants of Muhajirs noted that the era of exile gradually spread from the memory of people and goes into the cultural memory.

ქეთევან ფუტყარაძე

სამოქალაქო საზოგადოება და მოზარდთა ეკოლოგიური აღზრდა

XXI საუკუნის გლობალური პრობლემები განსაკუთრებით გამოიკვეთა ეკოლოგიურ სფეროში. ეკოლოგიური პრობლემები თვალშისაცემია ყველა სფეროში. ეკოლოგია ბერძნული სიტყვაა (ეკო-სახლი, ლოგოს მეცნიერება.). თანამედროვე გაგებით, ეკოლოგია სწავლობს ცოცხალი ორგანიზმების ერთმანეთთან და გარემოსთან ურთიერთობებს.

სოციალური ეკოლოგიის კვლევის საგანია საზოგადოებისა და ბუნების, როგორც ერთიანი მთელის კანონზომიერებათა დადგენა და მათ საფუძველზე საზოგადოებას და ბუნებას შორის ჰარმონიული ურთიერთობების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება. სოციალური ეკოლოგია სწავლობს ბიოსფეროს, როგორც ერთ მთლიანობას, იგი ადგენს ბიოსფეროს უზოგადეს კანონს, ამ კანონების გამოყენების შესაძლებლობებს ადამიანის მიერ, ისე რომ შენარჩუნებული იქნას საზოგადოების ბუნებრივი საარსებო საშუალებანი, ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების მიზნით იგი ადამიანს ასწავლის რა არ უნდა გააკეთოს, ადგენს ისეთ ნორმებს, რომლის იქითაც ადამიანი არ უნდა წავიდეს ბუნების მოხმარების პროცესში.

ეკოლოგიის ერთ-ერთი ახალი დარგია ადამიანის ეკოლოგია, რომელიც შეისწავლის გარემოსა და ადამიანის ურთიერთქმედების პრობლემებს, ადამიანის მიერ გარემოს შეცვლის მცდელობას და ბუნებისაგან საპასუხო რეაქციებს. იგი განსაზღვრავს ბიოსფეროში ადამიანის „ეკოლოგიურ ნიშანს“. ერთის მხრივ, ადამიანის განვითარებისათვის საჭირო ოპტიმალური პირობების დადგენას და მეორეს მხრივ ეკოსისტემაზე ადამიანის ზეგავლენის შესაძლებლობებს. სოციალურ ეკოლოგიას განვითარების საკუთარი კანონები გააჩნია, რომელთაც ეყრდნობა ადამიანის ეკოლოგიაც. სოციალური ეკოლოგიის კანონებია:

1. ეკორეგრესი;

2. ეკოსისტემის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის პრევენცია

სოციალური ეკოლოგია ყალიბდება როგორც საზოგადოებასა და გარემოს შორის ნორმატიული წესების ურთიერთობების დამცველი სისტემა.

საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთმიმართების საკითხი უძველესი პრობლემაა. იგი სხვადასხვაგვარად ვითარდებოდა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში.

ადამიანი თავისებური შეგნებული არსებაა. სწორედ ამ უნიკალური თვისების გამო იგი უცვლის გარემოს სახეს, ცდილობს ბუნება საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენოს. გარემომცველი ბუნება მიმართულებას აძლევს ადამიანთა საქამიანობას. ადამიანსა და გარემოს შორის არსებობს ბუნებრივი წონასწორობა. მისი დარღვევა ადამიანს დაღუპვით ემუქრება და ამისი მიზეზი ტექნიკური პროგრესია. სწორედ ასე აღმოჩნდა ადამიანთა საზოგადოება ეკოლოგიური კრიზისის წინაშე.

ბუნებას ფუნქციონირებისთვის არ სჭირდება ადამიანი, მაგრამ თვითონ ადამიანებს და ცხოველებს არ შეუძლიათ არსებობა ბუნების გარეშე. საზოგადოება არსებობს ბუნებაში და ბუნებასთან ერთად, თუმცა თავისი არსებობით გავლენას ახდენს ბუნებაზე, ზოგჯერ დადებითს, ხშირად კი უარყოფითს. ბუნებრივ გარემოსთან საზოგადოება მუდმივ ურთიერთკავშირშია თავისი ისტორიული არსებობისა და ცვალებადობის ყველა ეტაპზე.

სამოქალაქო საზოგადოება გულისხმობს ისეთი პიროვნების აღზრდასაც, რომელიც ბუნებასთან დამოკიდებულებებში ყველაზე მეტად ეთიკურ ნორმებს იყენებს. მათ შორის მთავარია სიკეთისა და ბოროტების ურთიერთმიმართების, სამართლიანობის, ჰუმანიზმის, პასუხისმგებლობის და სხვა საკითხები.

დღეს 21-ე საუკუნეში, მაშინ როცა ახალი სამყარო ადამიანის თვალწინ და ადამიანის შემწეობით იქმნებოდა, ჩვენს ირგვლივ ხდება რადიკალური ცვლილებები ბიოსფეროს სტრუქტურაში. კაცობრიობა და მისი განვითარების მთავარი საფუძველი – წარმოება ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, მოახერხებს თუ არა ადამიანი იმდენად ზნეობრივი გახდეს

ბუნებასთან დამოკიდებულებაში, რომ მოახერხოს წონასწორობის შენარჩუნება ბუნებასა და საზოგადოებას შორის.

ბუნებისადმი ტექნოკრატიულმა მიდგომებმა გამოიწვია ბუნების გარდაქმნა. ადამიანს გაუჩნდა სურვილი ბუნების დამორჩილებისა, თუმცა საბოლოოდ ადამიანი წინააღმდეგობაში აღმოჩნდება არა მარტო ბუნებასთან, არამედ საკუთარ თავთანაც. თუ ადამიანი პატივს არ სცემს ბუნების კანონებს, თუ ბუნების დაცვა საკუთარ მოვალეობად არ მიიჩნია, ამას მოჰყვება ჩვენს ირგვლივ არსებული უარყოფითი შედეგები. ბუნების მხრიდან შურისძიების სურვილმა გლობალური ხასიათი მიიღო და ვლინდება ეკოკატასტროფების სახით. ადამიანის არასწორი მოქმედების შედეგია და კაცობრიობას ახალი უზარმაზარი თანხები სჭირდება მათი თავიდან აცილებისა და გამოსწორებისათვის. დადგა საკითხი იმის შესახებ, ხომ არ ემუქრება კაცობრიობას ყოფნა-არყოფნის საფრთხე.

ეკოლოგიური აღზრდა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ბუნებისა და ადამიანის დამოკიდებულების საკითხი ეკოლოგიური პოზიციებიდან სწორად იქნეს შეფასებული. ეკოლოგიური კატასტროფების შეუფასებლობის ერთ-ერთი ძირეული მიზეზი ეკოლოგიური განათლების ნაკლებობაა. ეკოლოგიურ ცოდნას სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა შემდგომი სრულყოფილი საქმიანობისთვის. ამის შედეგად ახლებურად მოხდება გააზრება პრობლემისა ბუნება-ადამიანი, რასაც თან მოჰყვება ადამიანის ბუნებისადმი პატრონობისა და თანამშრომლობის იდეის დანერგვა. ეკოგანათლება, შემეცნების აუცილებელი ნაწილია. სწორედ ის აყალიბებს ეკოკულტურას, ეკოცნობიერებას, რაც საბოლოო საზოგადოების განვითარების წინაპირობაა. ეკოგანათლებას ხელს უწყობს სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების, ორგანიზაციების შექმნა. მათი ვალია საინფორმაციო ტექნოლოგიების გზით ეკოდილოგების გამართვა, საერთაშორისო კავშირები, აქციების გამართვა, გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით. ეკოგანათლება უწყვეტი და დინამიური პროცესია. იგი აუცილებელია ნებისმიერი ასაკის, ნებისმიერი პროფესიის ადამიანისათვის. მისი საბოლოო მიზანია სამყაროს, როგორც ერთი მთლიანობის აღქმა. ეკოგანათლება უდიდეს კავშირ-

შია მორალთან, რადგანაც ადამიანი სამყაროს ნაწილია, მორალი კი სპეციფიური ადამიანური თვისებაა. ეს ურთიერთკავშირი ავალდებულებს კიდევ ადამიანს არამარტო ისარგებლოს ბუნებისაგან, არამედ კიდევ უნდა გასცეს ბუნებისთვის ბევრი რამ. ასეთი დამოკიდებულება ბუნებისადმი მხოლოდ ეკოგანათლებით მიიღება და იგი მდგრადი გარემოს უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა. ზნეობის გარეშე წარმოუდგენელია ბუნებისა და ადამიანის დამოკიდებულების საკითხის გარკვევა.

„ეკოლოგიური აღზრდა“ ითვალისწინებს პიროვნების დაინტერესებას ბუნებით, მისი სიდიადისა და აღქმის უნარის დანერგვას. ეკოლოგიურ აღზრდას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამას განაპირობებს ის ფაქტი, რომ ეკოლოგიურმა პრობლემებმა მოიცვა მსოფლიოს ყველა ქვეყანა. შეუძლებელია ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა ერთი ან თუნდაც რამდენიმე ქვეყნის ძალებით. მშვიდობის დაცვა და ბირთული ომის საფრთხის თავიდან აცილება, მსოფლიოს ერთიან ძალისხმევას მოითხოვს. სწორედ ამ საკითხებმა და მათი გადაჭრის გზებმა პოლიტიკური ხასიათი შეიძინა. XX საუკუნის მეორე ნახევარში საერთაშორისო მასშტაბით შეიქმნა ეკოლოგიური ორგანიზაციები, ასოციაციები, გაერთიანებები. მათი მთავარი სასაუბრო თემა სოციალური საკითხების გვერდით ეკოლოგიურმა მოთხოვნებმა ჩაანაცვლა. ადამიანის ჰარმონიულად განვითარების სისტემაში ჩართულია ეკოლოგიური აღზრდაც, ვინაიდან კაცობრიობის ბედი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დამოკიდებულებას გამოავლენს მომავალი თაობა ეკოლოგიური პრობლემებისადმი.

თანამედროვე აზროვნებაში გამოიკვეთა მოთხოვნა – „ადამიანი-ტექნიკა-გარემო“. სწორედ აქედან იწყება ადამიანის სურვილი დაეუფლოს ტექნიკას და ეკოლოგიურად გამოიყენოს ბუნებრივი რესურსები. რაც უფრო მალე გააცნობიერებს ადამიანი, რომ იგი მუდმივად ბუნებასთან კავშირში ცხოვრობს, რომ მან ბუნებას უნდა მოუაროს, თუ უნდა რომ არსებობა შეინარჩუნოს, მით უკეთესია. ეკოლოგიური აღზრდის აუცილებლობას თვით ჩვენს ირგვლივ არსებული სინამდვილე გვკარნახობს. იგი აღზრდის სხვა დანარჩენ ფორ-

მებთან ერთად საზოგადოების მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს ემსახურენა.

ეკოლოგიურ აღზრდაში რამდენიმე ძირეული საფეხურის დაფიქსირებაა შესაძლებელი:

1. ჩამოყალიბებული ცოდნის სისტემა ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების შესახებ;

2. ფასეულობათა ეკოლოგიური ორიენტაცია;

3. ბუნების მიმართ ადამიანის დამოკიდებულების ნორმებისა და წესების სისტემა, სადაც მოცემული იქნება მისი შესწავლის აუცილებელი წესები.

ამ კუთხით განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია საზოგადოებისა და მეცნიერების როლი. მეცნიერება იკვლევს იმ ფასეულობებს, რომელთაც ადამიანი ეყრდნობა ბუნებასთან დამოკიდებულების პროცესში. ბოლოს კი განიხილავენ იმ სოციალურ შედეგებს, რასაც ბუნებასთან სწორი დამოკიდებულებით ვღებულობთ.

ეკოლოგიური აღზრდის მიზანია პიროვნებას ჩამოუყალიბოს ბუნებასთან სწორი, ჰუმანური დამოკიდებულების გრძნობა. ეკოლოგიური აღზრდა მჭიდრო კავშირშია ზნეობრივ აღზრდასთან.

საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმებიდან ზნეობა უძველესია. აღზრდის ფორმებიდანაც ზნეობრივი აღზრდა ისტორიულად უფრო ადრეულია, ვიდრე ეკოლოგიური აღზრდა. აღზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია ზნეობა. ზნეობრივი აღზრდა პიროვნების ფორმირების საფუძველია. ზნეობრიობა ადამიანს ეხმარება არა მხოლოდ ადამიანებთან და საზოგადოებასთან დამოკიდებულების საქმეში, არამედ ბუნებასთან მიმართებაშიც. ზნეობრიობა და შეგნებულობა საჭიროების შემთხვევაში ცხოვრების წესად უნდა იქცეს.

ეკოლოგიური აღზრდა ზრდის პიროვნების პასუხისმგებლობას გარემოს მიმართ, ამალღებს მოვალეობის გრძნობას, რაც საბოლოოდ პიროვნების ფორმირებას უწყობს ხელს.

ეკოლოგიური პასუხისმგებლობა მჭიდრო კავშირშია იმ ზნეობრივ მახასიათებლებთან, როგორცაა თვითკონტროლი. ე.ი. კრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი თავისა და გარემოსთან დამოკიდებულების საკითხში. ყველაფერი ეს

ამაღლებს ადამიანის ზნეობრივ დამოკიდებულებას გარე სამყაროსთან. ეკოლოგიური და ზნეობრივი აღზრდის მჭიდრო ურთიერთკავშირის შემდეგ კაცობრიობა მიაღწევს განვითარების ისეთ დონეს, რომ გამართლებული იქნება მ. ბენიტის სიტყვები: „მე ვერ წარმომიდგენია თუ როგორ შეუძლია დატკბეს ადამიანს სამყაროთი, როცა თავისუფლად და სიხარულით ანგრევს რა სამყაროს, რომლის ცენტრში თვითონ დგას. მე მჯერა ადამიანის მომავლის, მჯერა ადამიანის უდიდესი შესაძლებლობების, მაგრამ ეს რწმენა დამყარებულია იმაზე, რომ ადამიანი წარმოადგენს ბუნების ნაწილს. ეს არის რწმენა იმისა, რომ ადამიანი ყოველთვის ცხოვრობს ცოცხლებს შორის და არ გაანადგურებს ყოველივე ამას“

ეკოლოგია ადამიანის პიროვნული კულტურით იწყება. ეკოლოგიური პრობლემატიკის ერთ-ერთ ძირითად ასპექტს პიროვნებისა და გარემოს ურთიერთობა წარმოადგენს, რომლის მოგვარება სხვაგვარად შეუძლებელია, თუ არა ეკოლოგიური კულტურის დამკვიდრების გზით, ამიტომ მიზანშეწონილია მოსწავლეებს ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან ჩავუნერგოთ ცოდნა ისეთ საკითხებზე, როგორცაა, წყლის, ჰაერის, ბუნებრივი რესურსების დაცვა, საფარველის რაციონალური გამოყენება. ახსნა-განმარტება უნდა ჩატარდეს პროგრამულ მასალასთან ორგანულ კავშირში კონკრეტულ მაგალითებზე. მოსწავლეებმა საბუნებისმეტყველო საგნების სწავლის დროს უნდა გაითავისონ ბუნების დაცვის აუცილებლობა და მნიშვნელობა. ამ მიზნის მიღწევა წყვეტს მნიშვნელოვან პედაგოგიურ პრობლემას – მოსწავლეთა ეკოლოგიური აღზრდის კუთხით.

საჭიროა ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში, შემდეგ სკოლაში, ბავშვებს განვუვითაროთ ბუნებისადმი სიყვარული, დავუნერგოთ მოსწავლეებში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისადმი სიყვარული. ამით ჩავუნერგავთ სურვილს დაეუფლონ ტექნიკას, ეკოლოგიურად გამოიყენონ მასალები, ბუნებრივი რესურსების ენერჯია.

სამოქალაქო საზოგადოება აროს მოქალაქეთა ნებაყოფილებითი დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციების, ასოციაციების, საზოგადოების ერთობლიობა, რომლის მიზანს შეადგენს მოქალაქეთა კერძო ინტერესებისა და უფლებების დაცვა. თუ გვსურს სამოქალაქო საზოგადოებაში

ცხოვრება, უნდა ავლზარდოთ მრავალმხრივ განვითარებული, ნიგნიერი, მედიანიგნიერი, ციფრული, ეკოლოგიური, მულტიენობრივი კომპეტენციით აღჭურვილი პიროვნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბატონიშვილი იოანე, ხუმარსწავლა, I, თბ. 1990
2. ბერიძე ა., აღზრდის საძირკველი, ბათ. 2009
3. ბიბილეიშვილი ი., ხახუტაიშვილი ნ., ქართველი ისტორიკოსები აღზრდის შესახებ, ბათ., 2013
4. გობრონიძე აღ., პედაგოგიკა, თბ. 1996
5. გობრონიძე აღ., პედაგოგიკა, თბ. 2000
6. სარჯველაძე ნ., შუშანია ნ., მელიქიშვილი ლ., ბალიაშვილი მ. ტოლერანტობა მრავალეროვან საქართველოში, თბ. 2009
7. ლ. ფარბი, „პოპულარული ეკოლოგია“, მოსკოვი, 1971.

Ketevan Phutkaradze

Civil Society and Youth Environmental Education

Summary

XXI century global environmental problems became especially obvious in the field of ecology. Individual and environment relationship represents one of the main aspects of ecological problems. which solution otherwise is impossible, whether establishing of ecological culture. These issues are represented in this article.

ჩვენი ავტორები:

1. **თამაზ ფუტყარაძე** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო, განყოფილების უფროსი; შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
2. **ნოდარ შოშიტაშვილი** – გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ (საქართველო, თბილისი);
3. **ადა ქუთელია** – ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია (საქართველო, ბათუმი);
4. **კახაბერ ქამადაძე** – გონიო-აფსაროსის მუზეუმ -ნაკრძალი (საქართველო, ბათუმი);
5. **ალა კონდრაშევა** – ჩრდილო კავკასიის ფედერალური უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი (რუსეთი, სტავროპოლი);
6. **ტატიანა ნევსკაია** – ჩრდილო კავკასიის ფედერალური უნივერსიტეტი, პროფესორი (რუსეთი, სტავროპოლი);
7. **ალა სერდიუკი** – ბერდიანსკის სახელმწიფო ფილოლოგიური უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და სოციალური კომუნიკაციების ინსტიტუტის დირექტორი (უკრაინა, ბერდიანსკი);
8. **ოქსანა ჩერვენკო** – ბერდიანსკის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (უკრაინა, ბერდიანსკი);
9. **ნატალია ლაზბა** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
10. **მაია რურუა** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო, განყოფილების უფროსი (საქართველო, ბათუმი);
11. **ციური ქათამაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
12. **მერაბ მეგრელიშვილი** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);

13. **თემურ ავალიანი** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
14. **ელგუჯა მაკარაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
15. **მარინა ჯინჭარაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
16. **გურამ ჩაგანავა** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
17. **ანტონ ვაჭარაძე** – საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, დირექტორი (საქართველო, თბილისი);
18. **თინათინ ჯაბადარი** – საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, უფროსი სპეციალისტი (საქართველო, თბილისი);
19. **რევაზ უზუნაძე** – სამედიცინო აკადემია, დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (საქართველო, ბათუმი);
20. **ოთარ გოგოლიშვილი** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი; ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმი, დირექტორი (საქართველო, ბათუმი);
21. **ვლადიმერ წვერავა** – აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის არქეოლოგია-ისტორიის დეპარტამენტი, პროფესორი (საქართველო, ქუთაისი);
22. **მაყვალა გოგუა** – ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმი, მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
23. **კახაბერ ფუტყარაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი (საქართველო, ბათუმი);
24. **რუსუდან კობრავა** – ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმი, მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
25. **ალექსანდრე ჩხაიძე** – ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმი, მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
26. **მალხაზ ჩოხარაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
27. **ლილე თანდილავა** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
28. **მანანა თავდგირიძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი (საქართველო, ბათუმი);

29. **რამაზ სურმანიძე** – სამედიცინო ეკოლოგიური ინსტიტუტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
30. **ოთარ თურმანიძე** – ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
31. **ქრისტინე მეძველია** – ქუთაისის ცენტრალური არქივის ესფ დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილება, უფროსი სპეციალისტი (საქართველო, ქუთაისი);
32. **ინგა ელიავა** – ქუთაისის ცენტრალური არქივის ესფ დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილება, უფროსი სპეციალისტი (საქართველო, ქუთაისი);
33. **ნათია კალანდაძე** – ნ. ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, დირექტორი (საქართველო, ჩოხატაური);
34. **ნაილე მიქელაძე** – ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
35. **მარინა აროშიძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
36. **ციალა ნარაკიძე** – ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
37. **თინა შიოშვილი** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დეპარტამენტი, სრული პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
38. **თამილა ლომთათიძე** – ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
39. **ნანა სტამბოლიშვილი** – მაგისტრი (საქართველო, ბათუმი);
40. **ნანული ნოლაიძელი** – ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);

41. **ჯემალ ვარშალომიძე** – ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
42. **ნანი ფუტკარაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი (საქართველო, ბათუმი);
43. **გურამ ჩხატარაშვილი** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, არქეოლოგიური მუზეუმი (საქართველო, ბათუმი);
44. **ქეთევან ფუტკარაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საქართველო, ბათუმი).

Our authors:

1. **Tamaz Phutkaradze** – Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration, head of department; Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
2. **Nodar Shoshitashvili** – Giorgi Chitaia Ethnographical museum – The open Air Museum (Georgia, Tbilisi);
3. **Ada Kutelia** – Women International Organization (Georgia, Batumi);
4. **Kakhaber Kamadadze** – Gonio-Apsarus Archaeological Museum (Georgia, Batumi);
5. **Alla Kondrasheva** – North Caucasus Federal University, associate professor, (Russia, Stavropol);
6. **Tatyana Nevskaya** – North Caucasus Federal University, professor (Russia, Stavropol);
7. **Alla Serdiuk** – Philology and social communications institute of Berdyansk State philological University, director (Ukraine, Berdyansk);
8. **Oksana Chervenko** – State philological University of Berdyansk, doctor of philology science (Ukraine, Berdyansk);
9. **Natalia Lazba** – Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
10. **Maia Rurua** – Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration, head of department (Georgia, Batumi);
11. **Tsiuri Katamadze** – Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
12. **Merab Megrelishvili** – Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
13. **Temur Avaliani** – Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
14. **Elguja Makaradze** – Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
15. **Marina Jincharadze** – Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
16. **Guram Chaganava** – Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);

17. **Anton Vacharadze** – National Archives of Georgia, Central Historical Archives, director (Georgia, Tbilisi);
18. **Tinatin Jabadari** – National Archives of Georgia, Contemporary History Archives, main specialist (Georgia, Tbilisi);
19. **Revaz Uzunadze** – Candidate of Historical Sciences, Medical Academy, director (Georgia, Batumi);
20. **Otar Gogolishvili** – Shota Rustaveli State University, professor; Khariton Akhvlediani Museum, director (Georgia, Batumi);
21. **Vladimer Tserava** – Department of archaeology-history of Akaki Tsereteli University, professor (Georgia, Kutaisi);
22. **Makvala Gogua** – Khariton Akhvlediani Museum, research fellow (Georgia, Batumi);
23. **Kakhaber Phutkaradze** – Shota Rustaveli State University, PhD student (Georgia, Batumi);
24. **Rusudan Kobrava** – Khariton Akhvlediani Museum, research fellow (Georgia, Batumi);
25. **Aleksander Chkhaidze** – Khariton Akhvlediani Museum, research fellow (Georgia, Batumi);
26. **Malkhaz Chokharadze** – Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
27. **Lile Tandilava** – Shota Rustaveli State University, assoc. professor (Georgia, Batumi);
28. **Manana Tavdgiridze** – Shota Rustaveli State University, PhD student (Georgia, Batumi);
29. **Ramaz Surmanidze** – Medical-ecological Institute, MD, professor (Georgia, Batumi);
30. **Otar Turmanidze** – Niko Berdzenishvili scientific-research Institute, research fellow (Georgia, Batumi);
31. **Kristine Medzvelia** – National Archives preservation, registration and scientific-informational department of Central Archives of Kutaisi, senior specialist (Georgia, Kutaisi);
32. **Inga Eliava** – National Archives preservation, registration and scientific-informational department of Central Archives of Kutaisi, Senior specialist (Georgia, Kutaisi);

33. **Natia Kalandadze** – Niko Berdzenishvili local Museum of Chokhatauri Municipality, director (Georgia, Chokhatauri);
34. **Naile Mikeladze** – Niko Berdzenishvili scientific-research Institute, research fellow (Georgia, Batumi);
35. **Marina Aroshidze** – Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
36. **Tsiala Narakidze** -- Niko Berdzenishvili scientific-research Institute, research fellow (Georgia, Batumi);
37. **Tina Shioshvili** – Philology department of Shota Rustaveli State University, full professor (Georgia, Batumi);
38. **Tamila Lomtadze** – Niko Berdzenishvili scientific-research Institute, research fellow (Georgia, Batumi);
39. **Nana Stambolishvili** – Magister (Georgia, Batumi);
40. **Nanuli Noghideli** – Niko Berdzenishvili scientific-research Institute, research fellow (Georgia, Batumi);
41. **Jemal Varshalomidze** – Niko Berdzenishvili scientific-research Institute, research fellow (Georgia, Batumi);
42. **Nani Phutkaradze** – Shota Rustaveli State University, PhD student (Georgia, Batumi);
43. **Guram Chkhatarashvili** – Shota Rustaveli State University, PhD student; Archaeological Museum (Georgia, Batumi);
44. **Ketevan Phutkaradze** – Shota Rustaveli State University, PhD student (Georgia, Batumi).

ს ა რ ჩ ე ვ ი :

1. **თამაზ ფუტყარაძე** – ქურთულ-თურქული კონფლიქტი და ეთნიკური იდენტიფიკაციის საკითხები თურქეთის პოლიეთნიკურ საზოგადოებაში6
2. **ნოდარ შოშიტაშვილი** – მეურნეობის და ხელოსნობის ტრადიციული დარგები თურქეთის რესპუბლიკის შავი ზღვის სანაპიროების რეგიონის ეთნიკური ქართველებით დასახლებულ ტერიტორიებზე22
3. **Алла Кондрашева/ Татьяна Невская** – Грузия в имперской системе российского управления во второй половине XIXв39
4. **Ада Кация-Кутелия** – Абхазы в Аджарии59
5. **Алла Сердюк** – Символика солнца в устном народном творчестве (на материале устойчивых выражений)64
6. **Oksana Chervenko** – The peculiarities of contemporary folklore from the repertoire 74
7. **Наталия Лазба** – к некоторым вопросам махаджирства абхазов85
8. **მაია რურუა** – შენობები, ადამიანები, ისტორიები92
9. **ციური ქათამაძე** – არტანის ციხეები წერილობითი წყაროების მიხედვით (ქურუმლუხი, ური, ველი) 103
10. **მერაბ მეგრელიშვილი** – საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ისტორიიდან აჭარაში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში114
11. **თემურ ავალიანი, ელგუჯა მაკარაძე** – არტანის ონომასტიკა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით. მისი ტრანსფორმაციის ძირითადი გზები და ფაქტორები119
12. **მალხაზ ჩოხარაძე** – სახელმწიფო საზღვარი სარფელთა მეხსიერებაში139
13. **მარინა ჯინჭარაძე** – XI – XII საუკუნეების ქართული რენესანსული კულტურის სოციალური და მსოფლმხედველობრივი საფუძვლები 150
14. **გურამ ჩაგანავა** – ეთნონიმ „ჰალიძონებისა“ და ჰიდრონიმ „ალაზნის“ კანონზომიერი კავშირი თუ შემთხვევითი დამთხვევა 157

15. ანტონ ვაჭარაძე – ბათუმის საკითხი ანტანტის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში (1918-1920) ისტორიოგრაფია	163
16. თინათინ ჯაბადარი – მუნიციპალიზაცია, ნაციონალიზაცია, კონფისკაცია-რეკვიზიცია აჭარაში XX საუკუნის 20-30-იან წლებში	175
17. რევზ უზუნაძე – საზღვაო ნაოსნობის ისტორიიდან საქართველოში	194
18. ოთარ გოგოლიშვილი – ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის შესახებ ბათუმის ოლქში	217
19. ვლადიმერ წვერავა – სელიმ ხიმშიაშვილი	228
20. მაყვალა გოგუა – 1953-1956 წლების ყირიმის ომი და საქართველო	238
21. კახა ფუტყარაძე – სახელმწიფო უსაფრთხოების ზოგიერთი საკითხი საქართველოში ისტორიულად და თანამედროვე პირობებში	250
22. რუსუდან კობრავა – ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის ისტორიიდან	255
23. ალექსანდრე ჩხაიძე – სელიმ ხიმშიაშვილი „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების“ მიხედვით	274
24. რამაზ სურმანიძე – გრაფინი პრასკოვია უვაროვა და ქართველი საზოგადოებრიობა	281
25. ოთარ თურმანიძე – ბათუმის ოლქის მეჯლისის ისტორიისათვის	288
26. ქრისტინე მეძველია – ბათუმის საქალაქო სასწავლებელთან არსებული პედაგოგიური კურსების ისტორია 1903-1905 წწ.	310
27. ინგა ელიავა – „გელზენკირზენის სამთო-სამრეწველო საზოგადოების“ მიერ ქობულეთში მანგანუმის ელევატორით აღჭურვილი სადგურის მშენებლობის მცდელობის შესახებ	321
28. ნათია კალანდაძე – ისტორიული რეალიები სულიკო ჟღენტის შემოქმედებაში	330
29. ნაილე მიქელაძე – ხის (ურთხელის) კულტი აჭარის ფოლკლორში	339

30. Марине Арошидзе – Роль языкового фактора в формировании национальной идентичности	346
31. ციალა ნარაკიძე, თინა შიოშვილი – ლაზური ხალხური საოჯახო-საყოფაცხოვრებო პოეზია	353
32. მალხაზ ჩოხრაძე, ლილე თანდილავა, მანანა თავდგირიძე – შერაფეთი ოზმაჰინის (ბათალოლლუს) პოეზია და ლაზური მოტივები მელენი სარფიდან	366
33. თამილა ლომთათიძე, ნანა სტამბოლიშვილი – არქაული საცეკვაო რიტუალების სიმბოლიზმი	379
34. ნანული ნოლაიდელი – ბერძნული ლექსიკისათვის აჭარულ დიალექტში	389
35. ჯემალ ვარშალომიძე – სარფის ეთნოგრაფიული პანორამა	395
36. გურამ ჩხატარაშვილი – სამხრეთ კავკასიის ფინალური ზედა პალეოლითი ძუძუნას და სანურბლის მღვიმეების მიხედვით	410
37. კახაბერ ქამადაძე – ფაიფურის ფინჯნები გონიო-აფსაროსის ციხიდან	417
38. ნანი ფუტყარაძე – მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებები თოქათის პროვინციაში	427
39. ქეთევან ფუტყარაძე – სამოქალაქო საზოგადოება და მოზარდთა ეკოლოგიური აღზრდა	434



გამომცემლობა „**უნივერსალი**“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge